



1895

# „მოსამბე“

## თვიური ჟურნალი

(წელწალი მეორე)

გამოკა ყოველ თვის პირველ რიცხვებში

იმავე პრატორამით

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში.	10 მან.	6 მან.	4 მან.
საზღვარ გარედ . . . . .	13 მან.	7 მან.	5 მან.

პ. 6301

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

სელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ქურონალ «მო-სამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-ძე-ლიქოვის ქუჩასე № 13.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлис, Редакция „Мосамбе“*.

ვინც წლიურ ფასს წინ-და-წინ შემოიტანს, მიიღებს კედლის ქართულს კალენდარს 1895 წ—სას.



# მ რ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი პირველი

№ X

მ ა მ ბ მ ბ მ რ ი, 1894.

ტფილისი

საბჭოთაო მუშაკთა და მოსახლეობის გამომცემი (საბჭოთაო მუშაკთა და მოსახლეობის გამომცემი)  
1894

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 26 Октября 1894 года.

---

## შ ი ნ ა რ ს ი

<p>I მართლ-მსაჯულება. — მოთხრობა ე. შ. დე-გოგუესი, თარგმანი გ. ე. . . . .</p> <p>II ცხოვრების ჩარხი. — დაუმთავრებელი მოთხრობა ა. ყაზიბეგისა . . . . .</p> <p>III ბათესნირბული. — მოთხრობა ლუიჯი კაზუნანსა, თარგმანი გრ. უაფშიძისა . . . . .</p> <p>IV აივანგო. — რომანი გალტერ სკოტცისა, თარგმანი (გაგრძელება) . . . . .</p> <p>V ალექსი ბუვიან მოთხრობები: — I ქერივი. — II ბატონო მსაჯულა! — III ძეგლი. — თარგმანი ი. შ — ნისა. . . . .</p> <p>VI სასოვლო სამეურნეო თანხა. — წერილი ა. ფრანკლისა . . . . .</p> <p>VII მთხე ერაკლე მორის დოკუმენტები. — საისტორიო მასალა . . . . .</p> <p>VIII საერო გოაზია. — წერილი ალ. ხახანაშვილისა . . . . .</p> <p>IX ღვინის დაყენება. — VIII მსჯელობა ღვინის ღირსების დასაფასებლად. — პროფესორის გ. პეტრიაშვილისა (გაგრძელება) . . . . .</p> <p>X ინდოეთი. — ე. ლამანსკის თხზულებიდან (დასასრული) . . . . .</p> <p>XI ხალიტარატურა უნივერსები. — ქართლის მწერლობის ცხოველ-მყოფელობა და მისი უფერულობა. მესამე დასის პროგრამა. ამ დასის წარმომადგენელი — გ. წერეთელი და ბატონი ჯიბლაძე. ორიოდ სიტყვა ებ. ნინოშვილის შესახებ. უკანასკნელი სიტყვა ბ-ნს პეტრიძეს. აკაკის აზრთა წინააღმდეგობა მწერლობასა და საზოგადო საქმეში. რევუზისტების „კრიტიკონები: ბ-ნი გრენი და სხვანი. — ა. ნ — ღისა . . . . .</p>	<p>ბპ</p> <p>1</p> <p>17</p> <p>55</p> <p>74</p> <p>143</p> <p>1</p> <p>46</p> <p>55</p> <p>72</p> <p>112</p> <p>119</p>
---	--

## ქრონიკა:

- XII შინაური მიმოხილვა.—მიწად-მოქმედების მინისტრის მოგზაურობა.**—მმართველი ძალის გადატანა ტფილისიდან პეტერბურგს.—რა უნდა გვექნა, როცა ეს ცვლილება მოხდა?—წარმომადგენლობის საჭიროება.—მმართველობის მეთაურების მოგზაურობა.—მისი სიკეთე და მწიშვნელობა.—ახალი სამინისტრო.—რა იმედი აქვს მისი რუსეთს.—ჩვენი მზადება ბ-ნ ერმოლოვის დასახვედრად.—ახალი ხასიათი მეთაურების დანიშვნისა,—რა საფუძველზე უნდა ვაშენებდეთ შუამავლობას ახალ მეთაურების წინაშე?—აღმოსავლეთის კავკასია და მისი მივიწყება.—მისი ველი და უღაბნოები.—**ნ. ნაგოლამასა. . . : 147**
- XIII უცხოეთის მიმოხილვა.—მოსალოდნელი ცვლილება.—ნ. ნაგოლამასა . . . . . 159**

აბთარუბი. 20 ოქტომბერი, ნაშუადღე-  
ვის 8 საათი და 40 წუთი. ხელმწიფე იმპე-  
რატორმა აღმასანდრე მისამე ამა 20 ოქ-  
ტომბრის ნაშუადღევის 2 საათსა და 15  
წუთსედ მშვიდად ღვთის მიერ განისვენა.

# მართლ-მსაჯულება

ე. მ. დეგოგუესი

როცა ფონტენებლოელმა ნოტარიუსმა გახსნა პაკეტი და წაიკითხა ანდერძი ბატონის უტანდარისა, ეს მოხელე კაციც კი ძალიან გაჭკვირდა, ძალიან განცვიფრდა.

დიოდონე უტანდარი, ნანტში დალაღად ნამყოფი, სცხოვრებდა ასლა განმარტობით ერთს ციხე დაზაზის მიდამოთა შორის; ფონტენებლოში უფრო იმიტომ დაბინავდა, რომ ახლო ვიჭნები ჩემს დებსედანო, რომელნიც გათხოვილნი იყვნენ და ამავე ქალაქში სცხოვრობდნენ. დები ადრე გადაეცვალნენ და სამი დისწული დაუტოვეს. უფროსი დისწული, კამუსი, კარგი შემძლებელი მსვენელ-მთესველი იყო და ბინადრობდა სოლის დავაკებაზედ. თუმიც საჭმე ბევრი ჭქონდა, ძალიან მოუფლელად იყო და კარგს შემოსავალსაც იღებდა, მანაც სულ თვისის ბიძას სიამოვნებაში იყო. განდებოდა თუ არა ნობათი რამ, ან ხილი შემწიფდებოდა, ან ბაღეული მოვიდოდა, მაშინვე ეს პირველი მისავალი კამუსის მამულის ფონტენებლოში იგზავნებოდა მოხუცის სისიამოვნოდ და იმის პირის ჩასამტება-რუნებლად.

ძმანი ფლოკარნიც, შვილჩი უმცროსის დისანი, არას აშაგებდნენ და ისინიც ისე უტმასნებოდნენ თავიანთ ბიძას, როგორც ნამდვილნი დისწულნი, უგროშ-უგავაიკონი, ცარიელ-ტარიელნი. ამ საწყალ, ღარიბ უმწკვილ-კაცებს, ცოტა არ იყო, ნამრახის ქვევისათა და სახელ-გატეხილთ, არაფერში ბედი არა ჭქონდათ. ყოველ-გვარი სულაბა სცადეს, ტრაქტირაც კი ჭქონდათ, დამტარებულნიც იყვნენ სხვა-



და-სსკვ საჭონლისა, დღიურადაც მუშაობდნენ და უფრო კი, როგორც ამბობდნენ ტყის დარაჯნი, სსკვის ტყეში ნადირობდნენ. პიერ ფლოკარსუდ ნამდვილად ითქმოდა ესა. თუმცა ასე იყო, მანც ბატონი ეტანდარი ამისთანა ცულებას უურადლებას არ ატყუვდა და, როგორც ეტუობდა, თითქო უზირატესობას ამ რა ღარბს მძას აძლევდა. ეჭვი არაკის არა ჰქონდა ფონტენებლოში, რომ დაღწლის საკმოდ დიდი შეძლება დარჩებათ ამ მისის საყვარელ, ღარბ-ღატაკ დისწულებსაო. მეტე მძებს ერთი კარგი საჭმე ჰქონდათ კიდევ მოფიქრებული და ნიშანში ამოღებული. ბიძა სიცოცხლეშივე მზად იყო თითქმის მიეტა მძებისათვის: სარწირო თანხა, მაგრამ უცებ წვეთი დაეტა და მდიდარმა ბიძამ თქვენი წიერი წაიღო.

ნოტარიუსთან ერთად მთელი ქალაქიც გაჰკვირდა, როცა გაიგო, რომ ბატონმა ეტანდარმა მთელი თავისი ქონება, კარგი რკათასი ფრანკი წლიური შემოსავალი, უანდერმა თავისს დისწულს: კამუსსაო. მხოლოდ კამუსის არ გაუკვირდა ეს ამბავი. მდიდართა და ბედნერთ არას დროს არ გაუკვირდებათ სოლმე, როცა ბრძაბედის წყალობით მატულობს მათი კეთილ-დღეობა. მიწად-მომქმედმა კამუსმა შეიძინა სსკვა მამულებიც, რომლებსუცა, დიდი სხანი იყო, თვლი ეჭირა, გაადადა და გააფართოვა ნათესები და ბაღ-ბოსტანი და თავისს ცხოვრებას კი არა მოუმატა-რა: რაც ყოველ-დღიური ცხოვრება ჰქონდა მანამდე, იმ ცხოვრებასვე სკურდებოდა; ბინადრობდა ისევე იმ სოლის დაჯაკებასუცა თავისს განმარტობულს სახლში; ეს სახლი იჯგა შიგ შუა ბოსტანში, რომელიც შემოღობილ-შემოსილ-დღეული იყო კარშიყო სასარებე კელითა და კელიანის ბუჩქნარით. მის მამულ-დღეულს საზღვრავდა ერთის მსრით სასო-ფლო ვსა, რომელიც ფონტენებლოდან მოტეს მიდიოდა და სწორედ ამდგილას უცბად უსკევდა წრდილოეთისაკენ. კამუსს საჭმეები უფრო ფონტენებლოში ჰქონდა და ამიტომ თითქმის მეფამ დღე ამ გზასუ დადიოდა. ეჭირა ხელში თავისი წაბლის ვოხი, ეტვა გამუღმებით ერთგვარი ტანისამოსი შეძლებულის გლეხ-კაცისა, ხაკურდის შარვალი, ლურჯი ტილოს პერანგი, ესურს თავსუცა თიეთავის შლიანს და დაბოტებდა ამ გზასუცა გამუღმებით.

რაცა შეეხება ძმთა ფლოკართა, ამ ორს ცარიელსე დაწესილ ნათესავსა, ისინი, განკვირდნენ კი არა, მთლად გადირიგნენ და სულ კბილებს აკრატუნებდნენ თავიანთ ბედნიერ ბიძა-შვილებსა. მათ შორის უფროსი, შიერა, იყო გულ-ფიცხი და კარგად ჩასუქებული-ჩასსმული; არაფრის დაფარვა არ შეეძლო; აიგლო ჩივილითა და დრტკინვით ყავასანები: ის ასეთი და ის ისეთი, იმან გადაგდო კისურსედ ბიძა-ჩემი, ჩაითრია, მოაღორა, მოათინულა; ერთის სიტყვით, ღამნაკობდა ყოველსავე, რაც-კი ამისთანა შემთხვევაში ითქმის სოლმე და საქვეყნოდ იმუქრებოდა, თავს მოუჩუჩავ მე იმ ღორს კამუსსაო. რაკი ფიცხი სასიათი ჰქონდა და არა ღონისძიებდას არ კრიდებოდა, ამიტომ მისი დამუქრება საშიშიც იყო.

უძრროსი ფლოკარი, მატეე, კანტი უმაწვილა იყო და ქონდრის კაცსა ჰტკანდა; გულ-ჩათხრობილი იყო და გამოუთქული; ისე დადაოდა, თითქო დიდად კმაყოფილია ყველაფრისაო. ვინც კარგად არ იცნობდა, აწობდნენ, საქებური უმაწვილთა, მშვიდი და უწყინაროა. საზოგადოდ კი, მატეე უფრო ძლიერ უყვარდათ, ვიდრე მისი თავსედ სელაღებულა ძმა. იმისი სკინადისი არ იყო დამძიმებული არც სსკის ტყეში ქურდ-ბატონობით, არც სსუბისა და დაკვირვების გადაკიდებით მიკიტანსანებში და არც სსვა ამისთანა ყალთახანდობით. მისი ბორბტება მასინ იხენდა სოლმე თავს, ორცა უკეთურს სუმრობას ჩაიდენდა, სება-ნებად მოფიქრებულსა, ან გველ-ძეობით სსესე ოინს გამოაკვარასტანებდა, გულდასმით მოსაწერებულს და ამითი გადაუსდიდა სამაგეროს იმათ, ვინც აწყვილებდა რასმე. მისი სუმრობა ისეთი სასაცილო იყო, რომ თვით ისინი, ვისაც გააბამდა სოლმე ამ სუმრობით მასეში, მუცლებს კვლარ იტყენდნენ სშირად და ისოცებოდნენ სიცილითა. აღამისა ადვილად ამატიებებს დანაშაულს იმას, ვინც უნარს გამოიხენს და მოასერსებს მის გართობას. ერთს კი იტყუდნენ სოლმე, ეს ოინი მასწარა ფლოკარის: ამავე იქნებაო და მით გათავადებოდა სსქმე. ბ-ნ კტანდრის გარდაცვალების შემდეგ, მატეე უფრო შირ-გამუნდილი იყო და სუმრობასაც თავი დაანება: ბოლმა გულში ჩაიმაჩნა. ძმები სშირად ჩსუბობდნენ სოლმე იმის გამო, რაც დაქმართათ ისე მოულოდნელად. შიერი უუბნებოდა:

— რა საჭიროა, სწორედ წყალში გაწვეკმძღელი ქათამი საბ! გაგონილა, რომ ამისთანა ღვთის-წყრობას აგრე გულებრილად ეკიდება? შენ რომ ჩემი სასეკასი გაბედულება გქონდეს, აქამდე გამუს სულ სისხლს ვაჭტეკისებდით პირიდან.

— ფართი ფურთობით არა კარიგდება-რა, ეუბნებოდა პასუხად მატეი.— თავი დამინებე, ღმერთი-რწეული. ნუ გამცეტესლებე, თორემ, რა საჭიროა, ქეეყანას ავიკლებე.

როცა ფოკელივე წესი და რიგი შესრულებულ იქმნა, ნოტარიუსმა შეუთვალა გამუსსა, მოდი ჩემს კანტორასში და მიიღე ბიძაშენის მემკვიდრეობა. შაბათი იყო, ბაზრობის დღე. საღამო-ყამზედ, როცა მოაკარგინა თავისი საქმეები და გასწორა ფოკელივე ანგარიში, გამუსი შევიდა de l' Horloge-ის ფაჯანასში, რომელიც სამხრო მოედანზე იყო. მიუჯდა ერთს კუთხეში სტოლს და მოითხვია ერთი ჭიქა მკვარი სასიქელი, უფრო ფანადად წაუღალ სასლშიაო. პიერ ფლოკარიც იმავე ფაჯანასში იყო და აბოლებდა თავის ჩიბუსსა. თან ხმა-ძაღლა ელანარაკებოდა სელების ქჩეკითა და სასის მეტეელებით ფაჯანასის მეუტრებსა. ერთმა მათგანმა, ნოტარიუსის კლიენტმა, სთქვა, როცა გამუსი შემოვიდა:

— აი ამან დამისა დღეს ღარი; ეს არის ესლა განსე ნოტარიუს კოკერელთან, ასწია და წამოიღო მემკვიდრეობა თავის ბიძა ეტან-ღარისა.

პიერმა გადმოკარკლა გაბორტებული თვალეები, დააშტერდა თავისს დეიდაშეილსა, თან აღარ აშორებდა თვალეებსა და ძაღის-ძაღად მოასმენინა თავისს ამფსონებს ათასი საწეენი გადაკვარს სიტეეისა, ათასი ღანძლე-გინება; ადგილად გასაგები იყო, რასაკვირველია, ეასაც სედებოდა ასე მოქჩეული მათრასები პიერისა. ბოლოს, მოთმინებდინ გამოსულმა მსხნელ-მთესეულმა თავი კვლარ შეიმკრ:

— აი, შე სალასანაკ, შენა!— შეჭეკირა გამუსმა.

ფლოკარსაც ეს უნდოდა. ერთი კი ისტუნა და იმ წამსვე გამუსს აეტუნა ცხვირ-წინა. მოხსნა პირი ღანძლე-გინების გუღასა და სულ გათათსა თავისი დეიდაშეილა. როგორც კი შეამჩნია, გამუსი ჭოხს ეტოტინებაო, დაუშინა თავპირში თავისი ფე-

თინი მუშტები და მერე ზედ დააყოლა გრანდინი, სკამი, სტოლი. ორ-სამს წუთს გასტანა ჩხუბმა და საცლოდავი კამეისი, როგორც იყო, წამოაყენეს ზეზე საშინლად დაქექილი და დაბუნული: შირიდან დორბლი გადმოაღიოდა, ცხვირ-შირიდან და ყურებიდან სისხლი სდიოდა. მამინადვე პოლიციას აცნობეს ეს ამბავი დაწვერილებით. დაქვეილი კამეისი დასდეს კაბრიოლეტზედ და შინ წაიყვანეს. პიერი კი, სრულიად დამშვიდებული, რომ გულის-ბუნსარი იყარა, დაბრუნდა შინ და ისე არსენად იყო, თითქმის არაფერი არ მომსდარა.

— იცი, რა გითხრა, — უთხრა პიერმა მას: — წუწვმა კამეისმა სომ ჩასჯობა მინდ დღეს იმ ბესრეკის ფულები; მე კიდევ ზედ სართი დაკუბატე და, სიცოცხლე გაქვს, კარგა სანს ესსომება ევ სამატი. მატეიმ მსრები შეიმშუშნა მხოლოდ.

— ძალიან საქმე გი გიქმინა! გეტყობა, გგონია, რომ საკამოდ მდიდარი არ არის კამეისი და გინდა ასეა ჟანრიმც გადაინადო იმის სასარგებლოდ! არა, სემო მძო, თუ გინდა სამკვიფრო გადუნადო, შეა-გზავნე და ჯერ უნდა განერდე.

კამეისი რამდენსამე დღეს სასლადან გარედ კვლავ გამოდიოდა და ფონტანებლოში განსდა მხოლოდ მერე სწორზედა. ამ სანად ბაზარში შესვდა თავის დეიდაშვილს მატეის. სოფელეს მიწად-მომქმედს ძალიან გაუკვირდა, რომ უმცროსმა ფლოკანმა ზრდილობიანად დაუკრა თავი, თუმიცა, როგორც ეტუობდა, სასლში მიეშურებოდა.

მატეის შინ დასკდა თავისი ძმა და გულ-გრილად უთხრა:

— ამაღამ მთვარე იჭნება კიდევ, მინდა ვითომ სანადიროდ წავიდე. შენს თოფს სომ მომიტე?

— თოფსაო? შენა? როდის აქეთ გასდი მონადირე?!

— როდისმე სომ უნდა დაიწყოს კაცმა და...

— გამიგონია მერე აგრე თავზე სელის ადობა? კაცო, თხას სბოში კერ გამოარჩეე და სანადიროდ მიდიანარ?!

პიერი ყურადღებით დასტკერდა მას.

— გამიგონე, მატე. იცი, რომ წუწვი კამეისი დღეს ქალაქ-შია; თუ დმერთი გწამს, სისულელე არა აიტხნა-რა. მიბეგვა მა-

გისთანა სარსადისა, გაგინახრის, კარგიც არის და ღვთის მოსაწონიცა; სხვას კი ნურაფერს გაიკლებ გულში. მართლ-მისაჯულელებსი ხუმრობა არ იცის.

— ნეტა არ მოჭყუებოდე ერთი! შენ თავი დამანებე და სხვის საქმეში ნუ გაერევი. მომცემ თუ არა თოფისა?

— წაიდე, თუ კი აგრე გინდა, მე არ ვიღლი. მათხარი მანის, სად მიდისარ?

— იქ, საცა ჩემი საკბილო ნადირი მეგულემა, — წაიტუტუნა მატეიმ და ჩამოიღო თოფი, რომელიც ბუხრის თავისე კეიდა. პირმა მწუხარებით გააქნივ-გამოაქნია თავი. კარგად იცოდა, რომ რაც ერთსელ ამოსთქვა იმისმა მამ, ქრისტე ღმერთი კელარ გადათქმევინებდა. უმცროსმა ფლოკარმა გაშინჯა თოფი, დალია ერთი ჭიქა ღვინო და გაუდგა გზას სტეკნითა.

ჯერ გაემართა იქითკენ, საცა სოხბუბი იცოდა; მერე უკან მოტრიალდა, გადაიარა მინდორი და ისევ მოარეს გზაზედ გადმოვიდა, იქ, საცა სოფლისკენ იყო შესასვლელი. აქ შემის საწყობი იყო შემოზღუდული და ამ საწყობს იქით ჩამოვდა. თუიცა ჯერ ექვსი საათიც არ იყო, მაგრამ რაკი თებურჯალა იდგა, უნებად ჩამოხნულდა. ახალი მთვარე გამალებული მისცურავდა ღრუბლებში და ოდნავ ჭებუნდა დედა-მიწას განურკვეველს, ცრიაგს ნათელს. მატეი იფხა და გონება-დაუტანებელი ატყუარდებოდა გამკლელ-გამომკლელთ: ხან ეტლი გაივლიდა, ხან დღიური მუშა დედაჯატები, ხან ღამის დარაჯნი და მეგლენი; უნებ წამოხტა ეს კაცი და დაჯდა იქ, საცა მრავლად ეწყო ფიცრები! ახჩარებით მომავალი მტვარი გამოხსნდა გზასკედ. სკურდის შარვალი და ლურჯი პერანგი ეცვა, თავზედ თითიკის შლიაპა ესურა, ერთის სიტყვით, კამუსი იყო. ფლოკარმა ნება მისცა, რომ ორმოცნიოდე ნაბიჯი გაეკლო, გამოვიდა მერე თავის საფარადან, დაადგა გზას და კვალ და კვალ მისდევდა მემიულეს, ხან ახჩარებდა ნაბიჯს, ხან უგლებდა, კარადობდა, რომ არც თვალთვან მიმეუაროს და არც ძლიერ ახლო ეიყო იმ კატეჯედაო.

იმ დროს რომ გეკითხნათ მატეისათვის, რა ახრით მისდევდი კამუსსაო, გაუმხელდებოდა პასუხის მოცემა, წინდაწინვე გადაწევი-

ტილი არა ჰქონდა-რა. უხაროდა უცნაურის სიხარულით, რაკი კამუ-  
სისათვის შეუძინებულად მისდევდა ფეხ-და-ფეხ თავისს მტერს, რომე-  
ლიც ამით თითქო სელში ჰქვანდა ჩაბღუჯული რადგან მათ შორის  
თოფის გასროლის მეტი მანძილი არ იყო. მატყე ჰგრძნობდა, რომ  
ჩემს სელშია ის კაცი, რომელმაც მოძინაზო ყოველი იმედი და ვერ-  
ჯერობით ესეც საკმაოა ჩემთვისაო. მატყე შხად იყო მთელი და-  
მე ეარსა ასე და დაღლილობა არ ეგრძნო. იმას ეგონა სულ რამ-  
დენსანე წუთს მივსდევ კამუსსაო და ძალიან გაჭკვირდა, როცა და-  
ინახა, რომ მიუახლოვდა იმ ქუჩის შესასვეეს, საიდანაც იჭეუ ახლო  
იყო სახლი მისის დეიდაშვილისა.

კამუსის ჩრდილი უცხად გაჭჭრა ორღობეს იქით. მატყე მარ-  
ტოდ დარჩა და გული მოევიდა საშინლად. მიუახლოვდა ღობეს და  
ჰნახა, რომ ერთს ალაგას ღობე გადატეხილი იყო ოდნავ. გადას-  
წია კვლებსა და გადავიდა ბოსტანში. აქ შესჩერდა გაკვირებულად  
და გულმა ბაგა-ბუჯი დაუწყო. სულ ახლო, ასე ოცის ნაბიჯზედ,  
დიდს ხეს ქვეშ, მთავრის ცრიაგს შეჭხუდ მოსხანდა თივთივის  
შლიანა და ბლუზა კამუსისა; კამუსი დაჭბუნოდა ჟოსს და გაი-  
ცქირებოდა შორს, სწორედ ისე, როგორც გლეხ-კაცი შეჭყურებს  
ხოლმე სადამოთი ცას, იჭნება გავიგო, როგორც ამინდი იჭნება  
ხვალაო.

მატიე იდგა იმ ბილიკზედ, რომელიც კამუსის სახლისაკენ მი-  
დიოდა. საკმაო იყო მოეხედნა უკან კამუსსა, რომ მასინვე ერთი  
აღიაქოთი ატეხნა; უკან დასევა ყოვლად შეუძლებელი-და იყო. მა-  
ტიეს სისხლი თავში აუკარდა: თვალ-წინ ჰხედავდა, აკერ აჭეუ, ამ  
ღამის დუმილში მაჩუქს თვისის უბედურებისას, იმ მდიდარს  
ეგონისტს, რომელიც წინადაც საიმიხოდ არ უყვარდა და ახლას სომ,  
იმ საზინდარის ანდერძის შემდეგ, ისე შესძულდა, რომ შხად იყო  
წკუთ-წკუთობით დაეღია იმისი სისხლი. ბრან-მოძრეულმა, ჩუუელუ-  
ბრავ ადუშოეთებელის ხასიათის ფლოკარმა, კელარ შეიმაგრა თავი,  
გონება დაუტანებელივ დაუმივნა თოფი კამუსსა და გამოსწია ჩას-  
მანის ფეხს.. გაკარდა თოფი და მოისმა ხმა გამხმარის ხის მტკრე-  
ვისა: კამუსი ძირს დაეცა და გასტეხა ჟოსი, რომელზედაც იყო  
დაყრდნობილი. მკვლელს ერთხელაც არ შემოესმა კენესა, გაბრძო-



ლებაც კი ვერ შევნიშნა გვიძისა, რომელიც ბოსტნუელ მცენარეთა შორის დაეცა. უნდად განუტევეს სული ვამუსმა. ფლოკარი გავიყდა შიშით და გელარც გაქცევას ასერსებდა, გელარც გავითან მისკლას და მის დანსკას. ჭკრ სული დობეში გაკეთებულს კარს, დასტოვად ღია და მოკლე ფონტენებლს გზას: დაბრუნდა სახლში და სულ თერთოდა შიშითა; ასე ეგონა, რომ მართლ-მსაჯულება უმევე უგან მომდევნო.

პიერი ძმის უცდიდა. რაკი ასეთი შემოფოთებული დაინახა, მიხვდა, რაც მომხდარიყო, გამოართვა თოფი, ნახა ლულა და დარწმუნდა რომ თოფი დაცლილი იყო. თოფი თავისს ადგილას დაჭკიდა და სმა-ამოუღებლივ მიუჯდა ბუხარს თავისის ძმის პირდაპირ. რამდენსამე ხანს ორივენი ჩუმად იყვნენ; ბოლოს მატეიმა სთქვა ურედ:

— სწორედ აგრეა, აგრე ანდერმი. ჭკუას ისწავლის და აღარ გატრცნის საწყალს ხალხს. მე ახლა, რასაკვირველია, დაღუპული კაცი ვარ.

— უბედურო, — სთქვა პიერმა, — ეგ საქმე როგორ მოიქმედე? ანა, მეც ხომ არავის შევარჩენ სოლმე წყენსა, დაუმტკიცე კადრც საზიზღარ კამუსსა, მაგრამ მანც, ჩემის ფიქრით, ისევე ისა სკობიან, რომ თავისი დღენი კანმა ერთი სმელი ლუქმა პური სჭამოს, ვიდრე კაცი მოჭკლას აგრე დალატობით და დროც კი არ მისცეს, თავი დაიციას.

— მომიყვები ახლა შენ კიდევ დარიცხვას, — უპასუხა მატეიმ. შენ თვითონ იმასდი, ამოწყუმულელი ქათამი ხარო და ახლა გსედავ, რომ სისხლის მატეირ წყალი გიდგას ძირღებში. დაჭრებოთ ამას თავი: რაც მოხდა, მოხდა.

— ის მანც უნდა ვიფიქროთ, რომ ეადარხე როგორმე დაუსკლად; ატერ მთელი დამე კიდევ დრო გაჭკას.

— რა საჭიროა, სულ ერთია, მანც დამიჭერენ. ტყუილია, მართლ-მსაჯულების ბრჭყალებს ვერსად წაუვალ. რაც მალე იქნება, ისა სკობიან. სვალ დილით წავალ და ყველაფერს გამოვაცხადებ.

ამაზედ შესწვდა ლაპარაკი. ძმები დიდ ხანს ასხდნენ სმა-ამოუღებლივ, მთლად შთანთქმულნი თავიანთ შავ-გუგულმა ფიქრებითა. უმევე

კარგა გვიან იყო, როცა პიერი დაწვა და დაიძინა. მატეი ისევე ბუ-სართან იჯდა და თვალზე დაჭმეტილი უგონოდ იცქირებოდა სიგრი-ცეში. ინათლა კიდეცა და ის მანინც თავისს აღაგას იჯდა. ქუჩაში გაისმა თქარა-თქერი უანდარმის ცხენისა; მოისმა კარების კაკუნიცა; პიერს უცხად გაეღვიძა. რადგან მისს ძმის თქარადაც არ მოსდიოდა, ამდგარიყო, თითონ წამოდგა და გააღო კარები.

— თქვენა ბრძანდებით პიერ ფლოკარი? — ჰკითხა უანდარმმა.

— დიად მე გასლავართ.

— აი უწეება და ბრძანება, რომ გამოცხადდეთ. სამართალში გიბარებენ კამუსის საქმის გამო.

— მე სომ არა ვყოფილვარ მერე? გეუბნებით, რომ მე უბრა-ლო ვარ! სთქვა საშინლად გაბოთრებულმა და აკანკალებულმა პიერმა.

სულ დაავიწყდა პიერსა, რომ წარსულ კვირას ისე მიხეჩქვა კამუსი.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, — ღიმილითა სთქვა უანდარმმა. სა-მართალში სთქვით ყოველივე, რაც სთქმელი გაქვთ და იქ გაარ-ჩივენ.

ამ დროს გამოჩნდა კარებში მატეი. გაიგონა მასთვის მსა-ჯულებსა სასული კამუსისა და ეტყა აღარა ჰქონდა, რომ უთუოდ ჩემთვის მოსულა უანდარმიო.

— მე დამაპტიმრეთ, მე მოვიჭიქეჯე ეგ საქმე. ჩემს ძმას რას ჩასცივებისართ? მაგან არა იცოდა-რა; მე გუამბე მერე ყოველივე.

— რას ამბობს? — გერა გაიგო-რა უანდარმმა მატეის ღამა-რას და გაკვირებით შეჭყურებდა.

— იმას კამობს, რომ მე მოკვალი კამუსი. აქ რა არის გაუ-გებარი? მე დამაპტიმრეთ.

უანდარმმა მანინც კერა გაიგო-რა. ვიცმა უწეება მოიტანა იმისი, რომ პიერს იბარებდნენ სასამართლოში. კამუსს ეიფულა, ორი გზი-ლი ამომამტკრიაო; იმისი კი არა ეთქვა-რა, ვითომ მომკვლეს კიდე-ცაო. უანდარმი დიდის ხნის ნამსახური კაცი იყო და, როგორც იტყვიან, შეტუბობილი ჰქონდა თავისი სულთა; ასხენეს თუ არა სიტყვა «მოკვალიო», იმისს სასეს იმ მონადირეს მტყუველება და-ტყო, რომელმაც შამუს ესროლა თოფი და სოხობი კი მოჭკლა.



— თუცა მე თქვენის საქმისა არ ვიცი-რა, მაინც წავიდეთ კომისისართან და იმას აუხსენით ყოველავე.

მატიე გაჭყვა უხდარმს. კომისარს კმინა და მეტი ღონე აღარ იყო, უნდა გაეღვიბებინათ. ამასედ ძალთან გული მოუვიდა კომისარსა: ათქვენ და თქვენს თავსაო, იფიქრა და გამოუცხადა მატეის, რომ კამუისის საქმე ფლოკარის საქრეილის გამო თავისის რიგით იწარმოებს, სოლო რაკი რქმი სსსამართლოს გადაეცა, მე ესღა აღარ შეეხება-რაო. უხდარმმა სთქვა, რომ ფლოკარები ორნი ყოფილან და შესაძლოა კამუისებიც ორნი იყვნენო: ერთი ჩვიის, რომ მცემსო, სოლო მეორე თუცა არასა ჩვიის, აღმოჩნდა, რომ მოკლეა. კომისარი ახლა კი ჩაფიქრდა და უური დაუგდო ლაზარაკს. მატეიმ მოკლედ უამბო, თოფით მოკვალე მამულის პატრონი კაცი წუხელაო, იმისი ტაში იქვე გღია, სცა დანაშაული მოხდა და მე გიჩვენებთ, სახელდობრ, სად:ო. რაკი ასე პირის-პირ დაუყენეს ნამდვილს კაცის-კვლას, კომისარმა ოფიციალურად შეჭსუდა ამ საქმეს, გაბერა და სსსკ მოიღუშა. მაშინვე დებეშა დაუგრა პროკურორის თანაშემწეს, რომელიც წინა ღამეს მელიუნს წავიდა და სდამო ერთ ქალთან უნდოდა გაეტარებინა იქა, მერე კაცი გაჭზაუნა უხდარმების ბრძაღაში, ერთი უხდარმიც მომაშველეთო, ჩაყენა მათ შუა კაცის-მკვლელო, თვითონ წინ გაუძღვა თავ-მოწონებითა და გაუღვა მორეს გზასა.

თითქო საშინელს სიზმარშობაო, ისე მიდიოდა ახლა მატეი იმ გზასედა, რომელზედაც ფეს-და-ფეს მისდევდა წინა-ღამეს თავის მსსკრმზს. სმა-გაგემენდილი უხდარმები თვალს არ აშორებდნენ. დამნაშავეს. ის კაცი, რომელიც ერთის წუთის წინად მათს მფარველობასა ქვეშე იმყოფებოდა, ახლა, მხოლოდ ერთის სიტყვის გამო, გადაიქცა მათს საკეთრებად, მათს საშინელ საკეთრებად. ადვილად შეატყობდით თვალზესედა, რომ ისე უტყუროდნენ ახლა მატეის, როგორც საუკუნოდ დაღუბულს, შეატყობდით, რომ იმათის აზრით, დიდი მანძილი იყო მომავალ კატორგელსა და პატრონსან ჯარის კაცს შორის, ავასაკსა და წესის დამტკველს შორის.

მოახლოვდნენ კამუისის კარ-მიდამოსა და შემკრთაღმა მატეიმ დაინახა, რომ კარი ისევ ისე უურთამდე ღია იყო, როგორც წინა-ღა-

მეს დასტოვავ; როცა ამ კარებში შეადგა იყესი, ძალა-უნებურად თვალები მარცხნივ დარჩა დიდის სისკენ. ამ სეს ჭკეშ იფო ნასკერად მცენარეულობით დაფარული კანის გუამი. მკვლელს მუსლებმა კანკალი დაუწყო, კანმა წინ ნაბიჯი ვეღარ წასდგა და კარების ამოღეს მიეგრნო. მარტო ერთი კომისარი მიუხსლოვდა მოკლეულს, გადასწია ბალანს-მცენარეებსა და დაუწყო შინჯვა. უანდარმებმა, რომელნიც ტყვეს უდარაჯებდნენ, ისილეს მამინ ის, რაც არას დროს არ უნახვით თავიანთ მოკალებობის აღსრულების დროს, ისილეს სრუდიად შეუფერებელი რამ. ერთს წუთს შემდეგ კომისარი გასწორდა წელში, იტარა იერადებში სელები და წასკდა სიცილი და სარხარი, რომელიც მსიარულად გაისმა იმ დიდის მეუდროებაში. გარცხეულმა უანდარმებმა ერთმანეთს გადაჭსედეკ; ერთმა მათგანმა ვეღარ დასძლია ცნობის-მოკვარეობასა, მიუხსლოვდა კომისარსა და მორთო იმანც სიცილი. მეორემაც, რაკი მისკდა, კერაფერს თანამდებობას კასრულებო, დასება თავი ჰპტიმარსა, მივიდა ამანანგთან და ასტებს იმანც სარხარი. მატეი დარჩა მარტოდ-მარტო და ეგონა, რომ ასლა გი დაკიდებუ კვალ-წმინდათოდ თან უთუოდ გონებაც მკვარებოა. ისეთს ჭკუანედ იფო მატეი იმ სანად, რომ სულ შიშმა და ძრწოლამ აიტანა, როცა უყურებდა ამ სამს კაცს, რომელიც დასტკეროდნენ მკვდარის კანის გუამს და ასე იყურებო-გი ასკდებოდათ სიცილითა. ფლოკარი გიჟივით შესტკეროდა ამ ხალსს. თმა ფალსზედა ჭქონდა შემდვარი და შუბლზე ცივი ოფლი ჩამოსდიოდა წურწურითა. მაგრამ, რადგან სიცილზედ გიძამდები სსკა აღარა არის-რა, იმის სისის ასოებიც ათამაშდა თავის-თავად, უნახური მკვეთრი სრანტელი მოისმა და მორთო იმანც სიცილი! დიად, იცინოდა ისიც! თან სისსლი ეუნიებოდა ძარღვებში და ჭკრძნობდა, რომ ეს არის, ასლა გი ჭკუანზედ გიშლებო.

— აჰ მობრძანდი, აჰა, შე მასხარაკ, — დაუყვირა ერთმა უანდარმამ.

ამ დალაზარაკებამ, ცოტა არ იყო, გონს მოიფანა მატეი. ტორტმანით მივიდა ძლივს იმათთან, დიდის გაჭირვებით დაატანა თავს ძალა და ძლივს დაისედა ძირს. უნებად სულ შეეცვალა კაცს გუნება: მატეიმ გადინარხარა, რაც ძალი და ღონე ჭქონდა, ისე,

როგორც იცის სიცილი ჩვეულებრივ საღმა ხალხმა, როგორც სარ-სარობენ ისინი, რომელიც დიდს განსაზღვრავს გადურჩების სოლმე ბედად. მისკერპლი მისი, მდებარე ალუბლის ქვეშ, კაცის გეჰი კი არ იყო, ბოსტნის ბუბრა იყო, ჩიტების საფრთხობად გაკეთებული. გამუსი, როგორც გულმოდგინე მემამულე, დიდს ყურადღებას აქცევდა ბოსტნეულობას და მუდამ თავის ტანისამოსს აცემევდა ბოსტნის ბუბრას; ბოსტნის ამ ასირბულ დაწვევისთვის ინახავდა სოლმე თავისს განკეთილს ხაკერდის შალვებს, ლურჯ ბლურებს და თიეთის შლიაპებს. ის ჯოხი, რომელზედაც იყო ძიმავრებული გამუსის გაკეთებული ბოსტნის ბუბრა, გატყევილიყო. ფლოკარმა დახვდა ამ ჯოხს გონება-დაუტასებლივ და კვლავ შიშის ზარმა აიტანა: ჯოხს ეტყობოდა, რომ თოფი მოსკედროდა. ეს წკლილი ცხადად ამტკიცებდა, რომ წუსანდელი ამბავი სიზმარი და ზმანება არ ყოფილიყო. მატეე მისკდა, რომ სისხს კამუსი უკვე სასლში შესულა, ვიდრე მე ღობეს გეჰაგურებოდი და ძემკებს ვამორბედი. კომისარს რომ ყურადღებით დაეთვალიერებინა ბოსტნის ბუბრას ჯოხი, უთუოდ შენიშნავდა, რომ მართლაც თოფი ქჭმანდ მოსკედრილი, მაგრამ ისე გაოცდა და გაშტერდა, რომ დარწმუნდა, ყოველივე ეს სწორედ ჩვენს მასხარად ასავდება და განსაცინებლად მოუსდენიაო. ამიტომ არც ჯოხს დაუწყო დაწვევებით თვალიერება. მანინც ყველანაირად მალე კომისარი მოვიდა გონს.

— რას ამბობთ ახლა, ამისნით თუ არა, რასა ჭნიშნავს ასეთი მასხარობა? — მკვასედა ჭკითხა კომისარმა მატეესა.

მატეე ზირ-დაღებული შესტკეროდა თანამდებობის კაცს და ზასუსად იმას ასერსებდა მსოფოდ, რომ სულელივით იკრიჭებოდა. მატეეს უკვირდა ყოველივე ეს და უკვირდა, რასაკვირველია, არა განკებ, არა მოსკენებით, არამედ გულ-წრთელად; სოლო კომისარს ეგონა, ისა აქვს სასიამოვნოდ, ასე კარგად როგორ მოვასერსე ეს სუძრობაო.

— ზასუსს აკებთ, სანა საჭიროა, თქვენის უგუნურის მასხარობისთვის. არ შეიძლება დაუსჯელად შეწესება მთავრობისა ტყუილებრალზე; არ გაგონილა, კაცი მართლ-მსაჯულებსა ესუძრობადეს, უხანარებს თავიანთ საქმეს აცდენდეს და ყოველსავე ამას ზავსეუ-

რის სუმირობისათვის მოქმედებდეს. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მოწყალო სელმწიფეებო, თუ კაცი ვარ, თავს გაცნობებ! — სთქვა ეს და დიდის ამბით გასწია თავის გზასეუდ; ეტყობოდა დიდად ცდილობდა, ისე ეჩვენებინა თავი, კითხვი არც ალუშფოთებულვარ, არცა-რამყენია-რას საიმისოდაც. ასეთი საქციელი საჭიროდ დანახს, რომ მით აღედგინა თვისი ესტიბარო, რომელიც დიდად დაჭკარვას თავისს სულქვეითთა თვალში, რაკი იმდენი იცინა და იხარხარა ბოსტინის ბუბუკას გამო. ჟანდარმებმა, რაკი უფროსი მოიშორეს თავიდან, უფროს მეტი სიცილი ასტეხეს და სრულიად დაიმეგობრეს ტყუილი დამნაშავე; არა, ძალიან ჰატიოსან კაცი ყოფილა და, თუ იხუმიკა, იმიტომ იხუმიკა რომ ხალხს გაუცინებინაო.

იმას სიცილსა და სითხითს დასასრული არა ჰქონდა.

— აი სუმიარა ასეთი უნდა, აი!

— მერე რა კარგად მოიკატუნა თავი და! სახანძლეოს დავლებდი, დაიფიცებდი, რომ მაც კაცს სწორედ თავისი დედ-მამა დაუსტინამეთქვი, ისე იყო ეკალ-შეებული, აღშფოთებული.

— რა საჭიროა, თვითონ ჰრაკურროცი კი მოსტყუებოდან.

— კაცო, ძმაო, შენ აქტიორიც ვერ შეგუდრება, სწორედ.

— მაგის მაგიერ ბოსტინის ბუბუკა უნდა დაისაჯოს.

— ახლა კი თითო ჭიჭა რომ შემოგვთავაზო, ურიგო არ იქნება: კაცო, მთელს დღეს ტყუილად სომ არ დატყავარგებინებ?!.

ახლა კი ფლოკარი გულისთა და სულით იცინოდა და ყველანაშუად გუნებოვრად იცინოდა. რაკი გონს მოკეცა და თითქო ზმანებოდან გამოერკვია, იგრძნო სიხარული სიცოცხლისას; ერთის სიტყვით, იმ როლის შეთვისებას აზირობდა, რომელიც ძალათი თავზედ მთახიკის, კითხვი განკუთ მთავიქმედე ყოველივე და გამლავდიო. ძალიან სასაცილოდ მიანდა ეს ამბავი, რომელმაც უცბად სიცოცხლე დაუბრუნა. მატეო მზად იყო, გადაეკონა ჟანდარმები: «რა საქები ხალხი ყოფილაო», — სულ იმას იმხდა. მისარულად და სუმირობა-კილიკობით დაბრუნდნენ ყველანი ფონტენულოში. როცა მივდნენ ქალაქს, მატეომ დაჭმარა ჟანდარმები და კარგად გადაეკურეინა. ისე დამკობრდნენ ამის შემდეგ ის ჟანდარმები და მატეო, რომ უკეთესი მძობილები სხვა აღარაგინ ეტყუებოდა ჩვენს მატეოს. სადილობამ დევე მოეთინა მთელს ყავასანებს, ისე და ამხარად იხუმიკა ფლოკარმაო.

კომისარი რომ სხლში მოვიდა, იქ დასჯდა პროკურორის ამსახავი. სხქაროდ გამოქანუბულიყო მელიწინდანი; რაკი ღუპემა მიელო, სხეცა ფრავი, გუკეთებინა თეთრი ეელ-სახევეი და ასე მომრანსკული, სრულიად გამსადუბული საქმის გამოსამიებლად მაქსილიყო კომისართან. კომისარმა ტანუმატრა საქმის ვითარება, მაგრამ ამ გარემოებამ ძალიან ცუდს გუნებასე დაუენა ამსახავი პროკურორისს. რადგან თვითონ იქ არ ყოფილიყო, სიცა ის სხსაცილო ამბავი მოსდა, იმიტოი კერც წარმოადგინა, რა უნდა ყოფილიყო სხსაცილო და მუცლებს დასასკდომი. შირ-იქით, იფიქრა, რომ კც საქციელი შეურაცსყოფია მართლ-მსაჯულებისათ, განისხდა და ცუცხლი მოვიდა, მე რაღად გამრეთ მაგისთანა ისტორიასიო და კომისარს შირდაშირ აბრალებდა, ბუერი ყოფილსარ, გამოყუყუბუელი: კერე როგორ გადავიდეს კისერზედაო; ან, ვინ იცის, იქნება ამსახავიც იუგე მაკ საქმეში იმ ვიღაც ლირთვის და სხლსახასიო. ამ სხსათ ერთმანეთს სკამოდ უგადრისი სიტუებეი აკადრეს და მერე ორივე დამტკელსი კანონისანი შეუდგენენ იმ იფიქრს, თუ როგორ მოკუპურათ იმ უსირცხვილსათ; ბუერი იფიქრეს და ბოლოს გამოსტუდნენ, რომ ამ ამბავის გამოქვეურება ჩვენე შეგარცხვენს, ქვეუნა სხსაცილოდ აგვიგებს და ამ თემში აღარ გვედგომისებაო. რაკი ექვი არ იყო, რომ სწორედ ასე მოხდებოდა, ორივემ კეთილ-გონიერება გამოიჩინეს და გადასწვიტეს, სკაფუენით საქმეო. საქმე-ვი, მართალია, სკაფუენეს, მაგრამ ერთმანეთს ვი გამწურაღნი და გაცხვირულნი განშორდნენ.

ერთის კვირის შემდეგ კამუსისა და ფლოკარის საქმე გაირჩა სხსამართლოში. შვირი ბრალდებულთა სკამსედ იყდა. როცა კამუსის დეკლარატიმ გაათავა თავისი დაშარაკი და სთქვა ბოლოს, სხსიროთა კარამი: გადასდეს და დაშარაკიბულ იქმნას შვირ ფლოკარის, რომელიც ისე სხსტიკად დაეცა თავს სემს კლეიტსათ, წამოდგა პროკურორის ამსახავი, რომელიც უფრო გულ-მოსული იყო, რაკი ფონტენებლოში ისე უდროკოდ გამოსკეირნეს მხოლოდ იმიტომ, რომ დაემოწმებისა მკვლელობა ბოსტნის ბებერისი. თუნდა გადავიწუბულიცა ჰქონოდა ეს უსამოკრო ამბავი, ფლოკარის გვარი გაასსენებდა ისეკ. აღვსნებულის ენა-მეტყველებით მოწურადება იგი სხსამართლოს, შეიმოსენით კანონთა ყოვლადის სისხსტიკითა წინა-

აღმდეგ ბრალდებულისა, რომელიც არის კაცი დიად ნამრასის უფა-ქცევისა; რომელიც რამდენჯერმე უფიქვან მიცემული სამართალ-ში სსკის ტყეში ნადირობისათვის და რომელიც, ეჭვი არ არის, დიდხანს ემზადებოდა, რომ თავს დასსმობდა მშვიდობის მოყვარე მოქალაქესაო.

— ამ საქმეს, მოწყალენო სულმწიფენო, — სიტყვა დასასრულ ორატორმა, თავისი სამაგალი საჩინული აქვს. თვინიერ იმ ცხადის დანაშაულისა, რომლის განსილაგაც თქვენს გაქვთ მინდობილი, ბრალდებულის უფა-ქცევას ეტყობა, რომ ეგ კაცი ისეთს გზას დასდგომია მუქარისა და შეშინებისასა, რომელსაც იქნება სსკ ადგილს მიეყანა და უმადესი სსკელიც დაეკისრებინა! ბატონს კამუსს საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ბრალდებულს აზრად ჰქონდა ემსხვერპლნა თვით სიცოცხლეცა მასი და რომ ეგ თავს-დასსმა დღისით-მზისით იყო მსოფლად წინამორბედი საქციელი უფრო მძიმე ბოროტ-მოქმედებისა; კამუსს არა ერთსეულ შეუმსნეკია, რა საეკვოდ დასკირობდა სოლმე ეგ კაცი მინდორში და რომ ერთსეულ ღამე თოფიც გავარდა მაგისი ჩემის კლიენტის სასლის მსხლობლად. მართლ-მსაჯულებას არ შეუძლიან გადასწივიტოს, ეგ გარემოება დამუქება იყო მსოფლად იმისი, რომ მოგვალაგო, თუ დასაწივისი კაცის-კვლისა. გარნა უოკელივე საზნებო საბუთნი ამტკიცებენ, რომ ას თოფი იყო თოფი სსკის საკუთრების მოყვარულისა, რომელსაც უკვლანი კარგად იცნობდნენ ახლო-მასლო. ვინ იცის, იქნება მისმა ძმამ, ამ სალახანა მასხარამ, ეჭვის განსაფანტველადაც მოიგონა ის უმართებულეო ხუმრობა, რომლის განსენებასაც კი სამარცხვინოდ მივიჩნევადი, საბაბს რომ არ მადლეკდეს, მისი მომქმედი ღირსეულად დაკვმო აქ.

(ამ სიტყვების თქმასეუდ ერთმა ხნიერმა მოსამართლემ ღიმილი ვერ შეაკავა, სოლო ახალგაზრდებმა ჩურჩული დაიწყეს ერთმანეთში). ზროკურორის ამხანაგი განაგრძობდა უარესის გულ-აღტყინებითა და გულის-წყრომით:

— სიტყვამ მოიტანა და უნდა ესთქვა, რომ ამ შემთხვევაში კომისარმა დაჯგარვა თავისი ჩვეულებრივი ნაჭი შორს-მტკრეტელობისა, ნება-უფიქრობით გაუბა იმ მასეში, რომელიც დატებული ჰქონდა მართლ-მსაჯულების ღირსებას. გარნა ეს უსიარცხვილობა ვერ გვაძოუ-



ლებს ჩავატყუებოთ სავაჭრო ფოტო-ქრეა ჰიერ ფოტოგრაფისა. სწორედ გასაოცარია იქნებოდა ჩემთვის, უკეთეს გამგებო, კითხვით სვინდიდისი არ ეუბნება ბრალდებულს, რომ მაცისი ადგილი აქ გი არ არის, არამედ სისხლის სამართლის ბრალდებულთა სამარტსკიანო სკამზე. იმედი მაქვს, ბატონებო, რომ უამსა განაჩენის დადგენისას, სხვეში იქმნება მიღებული ეს დანაშაულობის განმამფიერებელი გარემოებანი.

სასამართლოს გადაწყვეტილების თანხმად, სასჯულთა დებულების 311 მუხლისა მეზერ, ჰიერ ფოტოგრაფს გადაწყვეიტი გამუსის ცემისა და დაწვეულებისათვის, რის გამოც მუშაობა გედარ შესძლო თითქმის ოცის დღის განმავლობაში, ციხეში დახატომება სუთის თვის ვადით და ასი ფრანკი ჯარიდა.

სასამართლოდან რომ გამოვიდა და ვადებოდა ხატომართა ეტლში, ჰიერმა შენიშნა, რომ ერთ-ერთი უნდარში, მის სადავჯოდ მიხე-ნილი, ილიებოდა და თვალთ ანიშებდა რაღასაც ვიდაც კაცს, რომელიც ყავასანის წინ იჯდა; შენიშნა ისიც, რომ იმ უნდარში უჩუჩრულა თავის ამსანაცს:

— ერთი შეხედე, აის სომ ის მასანარა ფოტოგრაფია!

მსჯავრ-დადებულმა გაისედა ყავასანისაკენ და დაინახა თავისი მის მსტიე, რომელიც იჯდა სტოლთან, ეჭირა ჩიბუხი პირში და წინ რაღაც სასმელები ედგა.

— იცნობთ ჩემს მძასა?— ჰკითხა ჰიერმა უნდარმსა:— და უმან-ხო, აქ მოვიდეს.

ჯარის-გატი გაიბერა ჭანჭურით და უმანუსა:

— მსჯავრ-დადებულა, მე არაგის არ ვიცნობ.

— მას, ნება მომეცით მე წავიდე და გამოვეთხოვო.

— შეუძლებელია. ესლა თქვენ მართლ მსაჯულების სელში ხართ.

ეტლი დაიძრა. ვიდრე ეტლი ციხემდე მივიდოდა, ჰიერს ეტ-ფობოდა, რომ ერთი ახრი აჭკვიატებოდა და აბეზრებდა თავს. გაცს ისე ეგონებოდა, რომ რაღაც ისეთის გამოცანის გაგება უნდა, რომელიც იმის ჭკუის საქმე არ იყო. უნდარმებს ესმოდათ, რომ ჰი-ერი თავისს სქელის ტუჩებით ატრიალებდა წარა-მარად სულ ერთი-სა და იმავე სიტყვას: «მართლ-მსაჯულება»!

# სსოპრების ჩარხი

დაუმთავრებელი მოთხრობა

## ა. ყაზიბეგისა.

### III \*)

კიდრე ჩეხს მოთხრობას გავაგრძელებდეთ, მეტი არ იქნება დაახლოებით გაგაცნოთ ლიდიას მამა და ის შირნი, რომელთაც მათთან დამოკიდებულება ჭკონდათ.

ლიდიას მამა, თავადი პაპლე სვეტიცივი, გახლდათ პოლშელი მდიდარი მუხატონე და, თუმცა მისი მამა ემაწვილობიდანვე რუსეთში გადმოსახლებულიყო, შვილისთვის ტრადიციული შესხედულება გერ შეეცვალა.

პაპლეს მამა ჯდრე მოუგვდა, მაგრამ შთამომავლობამ და შეძლებამ საშუალება მისცა ძალიან ემაწვილივე კავალერჯარდების პოლკში შესულიყო და პირველ ხანში მოუსვენარი ცხოვრება დაეწყო.

პირველსავე სიუმაწვილეში, ერთმა გამოცდილმა, ბევრით იმაზედ ხნეირმა დედაკაცმა ჩაიგდო სელში და ვკარი გადაწვირინა, მაგრამ პაპლე მალე მისკდა შეტდომას, დაინახა, რომ მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელი იყო და ცოლს საკმაო სიმდიდრე მისცა, თვითონ კი სამსახურინდანი გამოსული ოჯახის ქვეყანაში მოსვენებულ ცხოვრებას მიეცა.

სოფლის სიმარტოვეში, ის შესხედა ერთს ლამაზს, მაგრამ ლარბის უღიასტის (ახუნაურის) ქალს, მოეწონა, გულმა ნამდვილი

\*) ამ მოთხრობის I-ლი და მე-II თავი დაკარგულია.





სიყვარული იგრძნო და მათ შორის კავშირი ჩამოაგდო. ქალმა თავი მალე ფეხ-მძივად იგრძნო და პატიოსანმა პაქლემ უნუგეშოდ დაგდებდა კერ შესძლო. მან არც საყვარელი ქალის მოეყენება ისურვა; და არც იმის ნაშობის უსასულოდ დაგდება და გადასწყვეტა, რომ ყვე-რი დაეწერა.

კარგა ხანს ეს ქორწინება დაფარული იყო და არც ვიფიქრებდნენ, არც პაქლეს წინანდელმა ცოლმა არ იცოდა; მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ყველაფერი გამოაშვარავდა და საქმემ სასამართლომდინ მიადღწია.

სეკულიტაციის პირველი ცოლი უჩიოდა, რომ ამ კაცმა ჩემს სიცოცხლეშივე მეორე ცოლი შეირთო. პაქლეს ნათესაობა ამტკიცებდა, რომ ვიფიქრებდა კანონიერს ცოლად არ ჩაითვლებოდა და მასთანადმე ლიდა პაქლონანც მეტკვიდრედ კერ ჩაირიცხებოდა და თითონ ვიფიქრებდა გულნატკენი იყო, რომ პაქლემ ასე სასაცილოდ ავიდო, მოატუე და ყველას მასხარად გასადა.

ამ ხანში სეკულიტაციის ერთი მოურავი ჰქვანდა, კაცი, რომელიც არავითარს საშუალებას არ არჩევდა, ოღონდაც საცხოვრებელი ეშოვა. ეს განსჯათ მირონ იაკობან ზოლოსვი, რომელიც პირველში სამსუდრო სამსახურში გსლებოდათ, შემდეგ რამდენიმე წელიწადი სტრიაფხად ირიცხებოდა, მერე—ინტენდანტსტოკში და მასთანადმე კარგა ღასათიანად უნდა გამოქნილიყო, ჩასუქებულიყო, დიდი გაკეთებინა და საკმაო სიმდიდრე შეეძინა. ყველაფერი მოასწრო, გასდა სიმდიდრის შეძენისა და აქაც მსოლოდ შემთსკვამ უღალატა: რაღაცა უკანონო ქაღალდების შედგენისი მოესწროთ და, თუ რამ სიმდიდრე ეშოვნა, თავის დასახსნელად დასჭირდა.

მირონი საკმაოდ გაჭირვებული იყო, როდესაც პაქლეს მოურავად დაუდგა და თითქმის სულში ჩაუძვრა.

თუმცა ღამიზი არ იყო და მისი დიდი, დასიებული და გაწითლებული ცხვირი, მსხვილი, შეშუპებული პირი-სასე, გადმობრუნებული წითელი ტუჩები, ჭროლა თვალები და ნუკავილარი პირისასე არავისგან მოსაწონი არ იქნებოდა, მაგრამ ათასის დონისძიებით ვერ ვიფიქრებდნენ ნდობა მოიპოვა, შემდეგ დიდი მეტადინობა ისმარა, რომ ეს ქალი ქმარს მოშორებოდა და ბოლოს ისე ჩაიგდო, სელში

რომ, მის ნება-დაურთველად, საცოდავს ქალს, თითქმის ამოუნ-  
თქვავს კი გერ მოქსერსებისა.

უიულოამ დაანება ქმარს თავი და ზაკლემაც სოფელში ფოფანს  
ველარ გასილა. წამოიყვანს თავისი ქალი მოსკოვში და იქა სცხო-  
ვრება და გულის განკალით ელოდა სენატის გადაწყვეტილებას,  
რომელსაც იმისი ქალიშვილი, იმისი საყვარელი ღიდა ან უნდა გა-  
ებედნიერებინა, ან სრულად გლახავი, ეოვლად უნუგეშოდ დაეტო-  
ვებინა ჭკუყნად.

სწორედ ეს ხანი იყო, როდესაც თეიმურაზმა სვეტიცისის სა-  
სლობა გაიხრია და ღიდას უმანკოებამ კავკასიელის მხურვალე გუ-  
ლი მიიზიდა.

ზირკელსავე გაცნობის შემდეგ ისინი დამკობრდნენ და ღროს  
ერთად ატარებდნენ ხოლმე. ღიდას და თეიმურაზის დასალოების  
მიზეზი მარტო უბრალო უმაწვილობა არ იყო: იმთ მოსწონდათ ერთ-  
მანეთი, ეოკლეთვის საერთო სალაზარავო მასალა ჭჭონდათ და გა-  
თენებამდის ერთად რომ ეოფილიყვნენ, მანაც სათქმელი კადაკ ჭკუ-  
ნისა დაწიბოდათ ხოლმე.

მათ დაწყეს ერთად სიარული, სეირნობა, წიგნების კითხვა  
და ამოხაში ერთმანეთის გრძნობის, შესედულების და გულის მო-  
ძრობის გამოცეკვა. ღიდა აღმოჩნდა გულგუთილი და სამარ-  
თლიანი, არ იყო მოკლბეული ჭკუა-მასკილობას და გონება საკმა-  
რისად გასწილი ჭჭონდა; ეს ქალი არ იყო ისეთი შებუშილი,  
მუდამ გაბურული, დაფიჭრებული, თითქოს ჭკუენის ტვირთი კისურ-  
ზედ დაწოლია და ჭკუენის ვარაში თავში საცემად გახდომიაო.  
სოვლ არ მაქმზგავსებოდა ამ გვარს ქალებს,—ამის მაგივრად  
ღიდა მსიარულია, უმაწვილურად ცელქი იყო და ეოკელი მოძროა-  
ბა სოვლიერი, თუ ფისიერი ბუნებრივი ჭჭონდა და შიგ იოტის-  
ოდენი თვალთ-მაჭრობაც კი არ ერია. რასაკვირველია რომ ამ გვა-  
რი ეოფა-ჭკუა და სასიათი უფრო აღაზათიანებდა ასკელოზისებრს  
ქმნილებსა და მის ღარსებას ფასს უმატებდა. ამასთანავე, ცნობა  
მოყვარული იყო: უნდოდა ეოკელისიფერი შვეტეო და მისი გონება  
ჭკუენის არსების ხან რომელს სავანს წაწყედებოდა ხოლმე ხან რო-  
მელს. თეიმურაზ სისარულით შეჭყურებდა საცოცხლით აღსავსე ქალს

და სიამოვნებით აკმაყოფილებდა მისს წაღილს, უხსნიდა ლაღიას მის-  
თვის არეულს და ძნელად გამოსარკვევეს საგნებს. ამ გვარად ისინი  
ერთმანერთის საკლუდეკანებს ავსებდნენ და ერთმანეთთან სიასლდეკე  
თანდათან აუწილებელს საჭაროებად გადაეჭრათ.

დიდმა ხანმა არ გაიარა, და მათ მარტო ლაზარაკი და მოთხრო-  
ბების კითხვა კვლარ აკმაყოფილებდა; ლიდამ მოისურვა სწავლა და  
თეიმურაზმაც მისი სწავლება სიამოვნებით იკისრა და ეს განზრახვა  
მასინეკ ადსრულებასი მოიყვანეს. ქალბ ბეკითობდა; ყოველ დონის  
ძიებსას სმარობდა, რომ მეგობარის კაცისათვის არ ეთქმეინებინა,—  
ზარმანობსო; და კაცი კი სიხარულით შესრქეობდა მოწოდის ასეთს  
ბეკითობას და ჩქარის ნაბიჯით წინ სვლას. უწინ თუ ასეთი წუთები  
შესვლებობდათ, რომ ყოველ დღეს კერა ხედავდნენ ერთმანეთს, ესლას  
მიზეზი მიეცათ განუშორებლიკ სულ ერთად ყოფილიყვნენ და ერთ-  
მანეთს მომეტებულად დასალოკებოდნენ. ყოველ დღე თეიმურაზს ქალს  
ახალს დირსებას ამხნეკდა და ლიდის სულიერი სიმიდადრე თან და  
თან მიიზიდვკდა იმის გულს. არც ერთი სიტყვა, არც ერთი მომ-  
რაობა ქალისა, თეიმურაზს უადგილოდ და უდროოდ არ ესვენებოდა.

მოხუცი სვეტიციტი გულის ძკერით შეჭყურებდა იმათ და ასკა-  
რად სედაკდა, რომ ერთმანეთს მეტის მეტად უსალოკებინა. სედაკდა,  
რომ თუმიც იმის ქალს თავის მდგომარეობის ანგარიში უკერ კერ  
მიეცა თავისთვის და არ იცოდა რა მოსდიოდა, მაგრამ ასკარად  
ამხნეკდა, რომ თეიმურაზას სასე გულში მტკიცედ ჩაბეჭდოდა. ამ  
გვარი მდგომარეობა მამას ერთის მხრით ახარებდა, რადგანაც თეი-  
მურაზს ძალან მოსწონდა, მაგრამ მეორეს მხრათ სულა უშფოთლ-  
ბოდა იმ ფიქრით, რომ თეიმურაზს თავის დანებება შეკმლო და მა-  
შინ რა მოუადოდა ყმაწვილას ქალის ოცნებათ ადსავსე გულს. მო-  
ხუცი დიდხანს ჭიჭიჭობდა; ეკებდა საბულებას, რომ თეიმურაზის  
განზრახვა შეეტყო, მაგრამ ზირდაზირ საქმეში ჩარეკა კერ ვაკებდა;  
რადგანაც ამ გვარს საქმეში მესამე ზირას ჩარეკას ცოდვათაც სთვლი-  
და და სწმიმოდაც.

აი ხელს ეს ფიქრები უკრამდნენ იმას, ზარში სიტყვას უწ-  
ყვეტიდნენ: ეს იყო მიზეზი, რომ მოსუვა მთელას საათობათ ჩა-

ფიქრდება და, მთელს ქვეყანას მოწვევტილი, მოშორებული, მხალხოდ ღიდიას მომაკალხედ ოცნებას ეძლეოდა. უთკალ-თვალებდა შეყვარებულებს, დროს ეძებდა და ეპარებოდა ისეთის სიფრთხილით და გულის კანკალით, როგორც ბავშვი ჩიტსა, რომლის დატყენაც უნდა და მოკლადნელის ამოხრთქვისაც გი ეშინიან, რომ არ დაკათხოვო; მაგრამ დრო გაბოდა, შემოსკევა არ ეძლეოდა და იმულებული იყო თავისი განხრანსკა ყოველ-დღე გადაედო.

ერთს დღეს თეიმურაზს შეუძლოდ გამხდარაყო და ამისთვის სკეულებისამებრ სკეტქინციასს კერ მისუღიყო. ღიდიას მთელი დღე ლადინშა გაეტარებინა და, შეჩკული ყმაწვილ-გატან დროს გატარებას, რადცა აღშფოთებასა ჰგრძნობდა. იმ დღეს არც სადილა იქამა და მეტის მეტად დაღონებუღიცა ყოფილიყო. მამა ხედავდა, ესმოდა ქალის გულის მოძრაობა, იმისი დაღონების მიხეზა და, თუმცა შემთხვევა ეძლეოდა ამ საგანსკედ ღანანკავა დაეწყო, მაგრამ რამდენჯერაც დაანხრებდა, სიტყვები თითქოს ყელში გაესინებოდა და ხმას კელარ ამოიღებდა. ღიდას ყოველი ამოხრანა, მამას ღანსკრად სკდებოდა გულში და, თუ ქალსკედ მომეტებულს ტკივილს არ გრძნობდა, იმასკედ ნაკლებ მანც არ იტანჯებოდა.

მოაღწია საღამომი, სანთლები ანთეს, მაგრამ ღიდა თავის ოთახიდან არ გამოდიოდა. იქ შესუღიყო სადილს შემდეგ და მით უფრო მწარე ფიქრებს მისცემოდა, რომ თეიმურაზის მოუსკეულობის მახეზი კერ გაეგო.

სკეტლაციმ კელარ გასძლო და მაკიდა ოთახის კარებთან, შესდგა, ყური დაუგდო, მაგრამ სმაურობა არ გამოდიოდა. მოხუცი მელეკარებით ამოიხსნა, გამობრუნდა და მოშორდა კარებს; მაგრამ, რა წამს რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა, ისკევიმურუნდა ქალის ოთახს და ისკევი კარებთან შესდგა. რამდენჯერმე ასე მოაქცა და, როგორც ეტყობოდა, მელეკარება და მოუთმენლობა ემატებოდა. ბოლოს დაინარა, კარებას ჟუჟუტანიდან ყურება დაეწყო; მოხუცი ძალსკედ ქშენავდა და აღშფოთების ნიშნად დრო გამოშკებით წყნარი, გაფრთხილებული ოხკრან აღმოსდებოდა... საკვირველი არ იყო, რომ მოხუცი ასეთის სიფრთხილით ექცეოდა თავის ქალს; ქვეყანასკედ ბეკრი უბედურება ენასა, ბეკრი კარამი დასტესოდა თავსკედ,

ყოველისფერი დაეკარგა და მთელი სიტოცხლის სატანჯველის მაგირად, ბოლოს თითქოს დმერთს შეჭბრალებოდა და ნუგეშისთვის ეს ზეტყური ქმნილება ეწუქებინა.

ლიდიას ოთახში ბნელდა.

— იქნება სძინავს, იფიქრს მოსუცმა, მაგრამ მაშინვე ფერი ეტყალა და შეშინებულის ხმით დაუმატა:— აჯად სომ არ არის?!

საკმარისი იყო ამ ფიქრის გონებაში გატარება, რომ მოსუცნი მთლად დაბნეულიყო და აცანცასებული ხელი გასაღებისთვის მოეკლათ. კარგა ხანს იერს ბედავდა გასაღები ჩამოეწია, მაგრამ ბოლოს გულმა კვლავ გაუძლო და კარი წყნარად შეადო.

— ლიდა, გძინავს? სიფრთხილით ჭკითხა იმან.

— არა, ქალმა ზარმაცად მისცა ზასუსი.

— მაშ რა ამბავია? რატომ არ გამოდისარ, ან სანთელს რატომ არ აანთებინებ?

— რაგორღაც დავიღალე, — გახმორებით წარმოსთქვა ქალმა.

— დაიღალე? — გაიკვირვა მამამ: — დღეს ნაბაჯი არ გადაგიდგამს და რამ დაგლალა... უეჭველია დასუსტდი, რადგანაც ჰური არ გიჭამია.

— იქნება, — გულ-გრძელად უზასუსს ლიდიამ.

— მაშ ადექ, გამოდი ბაღკონსკედ, ჩინებული ჭკერია, — უთხრა მამამ, მივიდა ტანტთან, ჩამოჯდა და ხელები დაუჭირა ქალს. — ცრუტა ჰური მაინც შეჭამე.

— არა მშინა.

— აჯად სომ არა ხარ?

— არა.

— მაშ რა მოგივიდა?

— არ ვიცი.

ჩამოკარდა ისევ სისუმე; მსიარული, მუდამ მოღიმარე სახე ლიდიასი დაფიქრებულებული და მისი ჩვეულებრივი ელფერი ფერმერთალობას შეეცვალა. მამა ღაპარაკის მაგიერად ქალს ტანუწვევტლივ სელებზედა ჭკოცნიდა, თითქო ამით უნდოდა გადაეცა თავისი გრძნობა და გულის ზასუსი.

ამ გვარი ალერსი, როდესაც კაცს სეკდა შემოაწეება, ან თავი უბედურად მიანინა, გულს უღობს, უდულებს და ცრემლსა სწურავს.

ლიდაძაც იგრძნო, რომ ცრემლები მოაწვა, თვალები მოუღება და სასუფლესთან რაღაცა ძარღვმა თრთოლა დაუწყო. წუთიც და მას გადმოედინა მდუღარე ცრემლები.

მამა აღშოფოთდა, დაფაცურდა და ზედ ლეკა დაუწყო. ესკაწებოდა, ეძუდარებოდა, მითხარ, რა მოგივიდა, რადა სტირი, რამ ავადლევაო, მაგრამ თვითონ ლიდაძაც არ იცოდა, რაზედ სტიროდა. შერთაღია, დღეს თეიმურაზ არ მოსულა, მაგრამ გზას ეს საკმაო მიზეზი იყო; რომ გული გადმოკებრუნებინა? თეიმურაზ მოსწონდა, უგანასკენელს დღეებს სულ ერთად ატარებდნენ, მაგრამ ეს უმსწავლი მანინ უცხო იყო იმისთვის და მანინ. მამ რაღა ატარებდა? თვითონ ლიდაძე ვერ გიპასუხებდათ ამაზედ.

— მითხარ, მითხარ შვილო, რა მოგდის?—თავს ევლებოდა მამა.

— არ ვიცი მამაკ, არა!—ტირილით უპასუხებდა ქალი და დაუმტებდა:—გულზედ რაღაცა მსწკება და მოსკუნებს არ მამლეკს.

მწელად შეიძლება კაცმა სთქვას, ის ღაპანაკი რითი გათავადებოდა, თუ იმ წუთში გოგო არ შემოსულიყო და არ ეთქვა:

— თეიმურაზ გიასლათ.

ამ სიტყვებმა სამანქანო ცვლილება მოახდინა. ქალმა ერთიორი ჩაიკითინა და გაჩემდა; სასუ გაუღიმა და წვიამში გაბრწყინებულს მხეს დაემსგავსა.

მამა დაფაცურდა, დაიბნა და აღარ იცოდა რა ექნა.

— რა დროს მოსვლა იყო? რა ვუყო ახლა?—წამოიძახა იმან და საგონებელში ჩავარდა.

— მალე წადი, მამაკ!—ერთბაშად წამოიძახა ქალმა და დაუმტება:—მეც ესლაკე გამოკალ.

— ესლაკე, ესლაკე, შვილო!—გაცხარდა მამას და თითქმის სირბილით გავარდა ქალის ოთახიდან.

#### IV

თეიმურაზ, როგორც ზეკითა კსთქვით, შეუძლოდ იყო, ციებას ქვეშაგებად ჩაეგდო და ისეთი ძლიერი ჰაროქსიზმი ჰქონდა, რომ საღამომდის შინიდან გარედ ვერ გამოსულიყო. ყველაზედ მომეტე-

ბუჯად ის ახრახებდა, რომ საღამომოდ ლიდაისთან ერთად ჰეტ-რუკის ვარკშია სასეიროდ უნდა წასულიყო და ამისთანა სიამოვნება მოეცადა.

ამობენ, რომ ქალების საზოგადოებაში ყოფნა კაცს ანტიონებს, ზრდილობას ანიჭებსო. არ ვატი, რამდენად მართალია ეს, მხოლოდ ლიდაის გაცნობამ თეიმურაზზე დიდი გავლენა იქონია და საჩუკებლობა მოეუტანა. მათ შორის ისეთი არა წაკითხულ-არა, რომელსაც ბასი არ გამოეწვია, საქმისათვის კრიტიკულად არ შეკედნათ და ჭკნა გონება არ ევარჯიშებინათ. ყოველი დაწვრილებული შემთხვევა, ბუნების ყოველი მოკლე, ყოველი მოთხრობა და შიგ გამოსატული გმირები გაუჩინებელი არ დარჩენიან. ამისათვის ყოველსავე წაკითხულს უფრო მტკიცედ ითვისებდნენ და ერთხელ შემუშავებულ აზრს სამუდამოდ იძენდნენ. რასაკვირველია თავიანთი მოაზრების შემდეგ სხვა-და-სხვა კრტიკებსაც კითხულობდნენ და მით ეჩუოდნენ საგანზედ ჭეშმარიტი, ზედ მიწენილი შესედელება ექნათ. რომანების და მოთხრობების კითხვის დროს ორთავეს გული მოძქმედს გმირებს თანაუგრძნობდა, ორნივე თვალწინ იყენებდნენ იმათ ცხოვრებას, იმათ ადგილას სდებოდნენ, იმათ გრძნობით სულდგმულებდნენ. თეიმურაზს თავისი გრძნობა, რომელიც ლიდაისადმი აღძროდა, მხოლოდ უბრალო მეგობრობა ეკონა და მასთან ყოფნის სურვილი კი — ცოცხალ, გრძნობა გაურკვეველთან სიახლოვის საჭიროება.

იმას ფიქრად არ მოსდიოდა, რომ მის გულს სხვა გრძნობა გასჩენოდა, სხვა გრძნობა ამდელვარება და, გარდა გარტანის მიმზიდველობისა, კიდევ სხვა, უმაღლესის ცუცხლით აღგზნებულაყო. თეიმურაზ სრულიად ვერ ამჩნევდა, რა რიგად ღვივებოდა ეს ცუცხლი და ძრვილდებოდა, რომ აუცილებლად დრო უნდა მოსულიყო, როდესაც თოფის წამალსავით უნდა ეფეთქა.

მხოლოდ ამ აკადემოფობის დროს იგრძნო, რომ ლიდაი, გარდა მეგობრობის გრძნობისა, სხვა რაღაც წადილსაც უღვიძებს და მასთან სიახლოვე გონების გარდა გულსაც აღტაცებით უკისებს. ამ ფიქრმა პირველად თავში საიდან გაუელვა, საიდან დაიწყო, რადის? ამას თეიმურაზ ვერ გეტყუდათ, რადგანაც, როდუ-



საც ამ საგანს შეესო, მაშინ წარმოუდგა, რომ ღიღია გაგიჟებით უყვარდა იმ წუთშივე, როდესაც პირველად ნახა, როდესაც პირველად იმის სმას გაიგონა! მაგრამ არა, ადრე, ბევრით უფრო ადრე: მაშინაც კი, როცა ღიღია ჯერ არ ენახა, არც კი იცოდა ჭკვენიანდ გასწავლი იყო თუ არა. დიად, უმწველეს კაცს მაშინვე ესტუმრდა ქალის იდეალი, მას შესტრფოდა, შესთამაშებდა უმწველერის გულწრფელობით და აღმერთებდა. შეხვდა ღიღიანს და ეს ქალი ისე ეას-ლოკებოდა მისგან გამოსატყუარ სრულს და უმანკოებით საესე წარმოდგენას. ოცნება გაუნსოვლდა და გული სსკა რივად ატოვდა. ეს მდგომარეობა ვერ გაეგო, რადგანაც გამოუცდელი იყო და მსო-ლოდ ერთის დღის დაშორებამ თვალები აუხილა, აუხილა და მოს-წადდა სტრფოს ნახვა! მოსწადდა ისე, როგორც მწუფრვალს—წყა-ლი, გაუინულს—სითბო, ფრინველს—ჭაერი.

როდესაც განკლამა გაუარა და სიცხე მასცა თვალწინ წარმო-უდგა ღიღია, გაბრწყინებულ და სსივით მოცულ წმინდანად. მე-რე როგორა კეთილი იყო! თეიმურაზს ყოველის ფერი სტვიოდა, უოკელი სსეული აწუხებდა და, რაკი ღიღია მკურნალის ხელს შეა-სებდა, ტვივილის მაგივრად ციურს სიტკობებს იგრძნობდა; ატერ ქალი მივიდა იმის ლოკინთან, სამოკდა, პირმა გაუღიმა და თვალე-ბი საიმედოდ გაუბრწყინდა. თეიმურაზს გაუმიძღვრდა შეჭყურებდა და ედემის სიტკობებს ჭტრძნობდა. ქალი არ ელანარაკებოდა, მაგრამ კეკლუცობით თავისკენ იტყუებდა, უმწველ კაცს თავბრე ესკეოდა, მაგრამ იმდენი ღონე ღლარა ჭქონდა, რომ მივარებით, შესებით გა-ბედნიერებულყო. ქალი შესთამაშებდა სიტკობებით წამებულს, ნე-ტარების საღერდელს უშლიდა და მომნიღვარ სუნთქვასთან ერთად სიტყვებს ატრძნობინებდა: «მოდი თუ სიტკობებისა გესმის რამე, მე შემიძლიან დაგატკობ!.. სიცოცხლის ფასი გაგაკებინო!» თეიმურაზ იტანჯებოდა, აწყეტდა ხელებს და ამაოდ მიიბრძოდა მომნი-ღვარის მარდურისკენ.

ქალმა შეიბრალა, დახარა თავი და მარჯნის მსგავსმა ტყუებმა წარმოსთქვა, აუღონოკ! სიტკობებაც ვერ მოგებმარება!»

უმწველმა იგრძნო ქალის სუნთქვა. მისი ტუჩები თითქმის მის სასეს კვარებოდა და მასთან შეჭებების წადილმა გულში საკირე



აღუგზნო. ამ წუთში ქალმაც თითქოს ვეღარ მოითმინა, ორივე სულით სშირი დაღალები უკუ იყარა, მკლავები მაგრად შემოაჭდო. თეიმურაზს კისერსედ და გაშმაგებით დაუკონა. ავადმოფოს ეს ნეტარება-თა ავლდა, რომ გონი არ წასკლოდა და ყოველისფერი გაშავდა, თვლებში წითლად აუჭრულდა და სულთქმა-მეწვეტილი დაეცა. მაგრამ მისი თავ-დავიწყება მხოლოდ წუთისა იყო. გასილა თვლები და წამოჯდა, ოფელში გაჭანებულა ჯერ კიდევ იერ გამორკვეულიყო და სელებს ისე აფათურებდა, თითქოს კილაცის დაჭერა უნდოდა. ბოლოს მეტად მისუსტდა, ძილმა დასძლათ, თავი მოსჭრა და საგებელსედ დაეცა.

თეიმურაზ მაგარის აგებულებისა იყო და ამისთვის ძილმა ღონე მალე მოუგრიბა. საღამოსთვის უკეთ შეიქნა, სასჭაროდ წამოკარდა ფაცა-ფუცით ტანთ ჩაიცვა და სვეტიცის სასლისკენ გაჭანდა.

იქ დიდხანს ღოდინი არ მოუნდა, თუძცა რამდენიმე წუთი საუკუნოებად ეჩვენებოდა.

შემოვიდა მოხუცი და აჩქარებით მიკარდა:

— მადლობა ღმერთს, რომ მოსკედით.

თეიმურაზმა შესედა ჰაკლეს, სასეხედ არეკა შეამჩნია და შეშინებულის სმითა ჰკითხა.

— რა მოხდა, რა ამბავია?

— ახ, ღმერთო ჩემო! რა კიცია?.. აჩქარებულის ქმნით უშასუხებდა ისა:— ლიდაა, ლიდაა...

— რა, რა მოუვიდა?.. ჩქარა მითხარით, თუ ღმერთი გწამთ!..

— დღეს მთელა დღე არა უჭამია-რა, სულ იწავა... თქვენს კკითსულობათ.

— ავად სომ არ არის? ზრუნვით წამოიძახა თეიმურაზმა და წამოდგა იმ სკამიდან, რომელსედაც ის იყო დაჯდა.

— არ კიცია, ღმერთმანია, არა!.. მაგრამ აი ლიდაც.

ოთახის კარები გაიღო და მხარეულის თუძცა გაცრეცილის სახით შემოვიდა ქალი. იმან კარებიდანვე სელები გამოიშვირა და საუკედურით დაიწყო:

— სირცხვილია თქვენთვის, რომ მთელი დღე არ მოადისართ!.. იცით ამ სანში რა არ ვიფიქრე?... კამბობდი, იქნება ავად არის, მომკვლედი არავინა ჭყავს მეთქი.

— გამდლობთ მზრუნველობისათვის, ლილია ზავლოვანკა!—სელას ჩამოართმევით უზასუსა იმან:—მანც არ შემცდარსართ.

— როგორ? იქნება ავად იყავით?

— სამდელიდად.

— ღმერთო ჩემო!.. მართლმ, რა მოკვლიათ?—მზრუნველ ხელი დაადო ქაღმა და დაუწყო ცქერა.

თეიმურაზს ნასიზმერი მოაგონდა, მთლად გაყრყოლდა და თავი დახარა.

— გეჰმის, მამა? ავად ვოფილს და ჩვენ-კი არა ვიცოდით-რა!.. მოხუცმა უხერხულობა იგრძნო და თავი დახარა.

— ჭო, შვილო, ჭო!.. არა ვიცოდით-რა, —წაიფულელულა იმან და აღარ იცოდა რითი გაუთავებინა, როდესაც საბედნიერო ახრმა თავში გაუეღა—იცი რა, შვილო, დღეს არა გიჭამია-რა, თეიმურაზიც ავად იყო... მავსაც ეშიება... წავალ და ვეტყუა მოგართვან რამე.

— გამდლობთ, უზასუსა თეიმურაზმა: ზური არა მშინ.

— კარგი, მამა? კარგი... ძალიან კარგი. —უთხრა ქაღმა და მიუბრუნდა ემწვილ კაცს:—როგორ არა გშინთ, რომ მთელი დღე არა გიჭამიათ-რა... აი, მე ძალიან მშინ, მაგრამ უთქვენოდ არა ვჭამ... თანახმა ხართ?

— თქვენი ნუბა, —გაიღიმა სტუმარმა.

მამს გაუხარდა რომ თავი დაადწია, გასსლტდა და თავისუფლად მხალოდ მაშინ ამოისუნთქა, როდესაც მარტოკა დაჩნა.

მამის გასვლასკად ლილიამ თეიმურაზს ერთბაშად შესკდა და დაინახა, რომ აღგზნებულის თვალებით უყურებდა. კაცი გაწითლდა, თავი დახარა. წუთის წინად ისე გათამამებულა ქალიც ერთბაშად გამოიცვალა, განუძდა და თავდასრილმა კუშეტკასკენ გასწია. კაცი თიფქო უხილავს ბრძანებას ემორჩილებო, განჭყა უჭან და რინიგუ დასსდენ.

სასოჯადოდ მათი. პირველივე შეურს მხიარულის ტიტინით დაიწყო: ერთმანეთს ღაშაშაგს ან აცლიდნენ იქამდის, სანამ სწავლას ან შეუდგებოდნენ სოფელ და ესლას კი ორივე ისე გაჩემებულაყო, თითქო ერთმანეთს შემოსწორებოდნენ. მაგრამ მათი საქციელი რომ წერობისადაც არა ჰგვიანდა? ადვილად შეამჩნევდით, რომ დრო-გამოშვებით ხან ერთი დაუწყებდა ცქერას—და როდესაც შეამჩნევდა, რომ მეორის უურსადლება მიიქცია, თვალებს დასრიდა,—ხან მეორე.

— თუ მართლად ავად იყავით, რატომ არ შეგვატყობინებთ?—  
წინასწად, თითქო საყვიდურით უთხრა ქალმა.

— მეც რა იქნებოდა რომ შემეტყობინებინა?

ქალმა უკმაყოფილოდ შესედა და კატს კი გულში გაუნათლა, დიდი სიტუბება აგრძნობინა.

— ჩემს სანასავად ხომ არ მოსკიდოდით?

— რატომ არა? კიდევ შესედა გულ-წინეულად და თამამად.

— მიღებულეი არ არის,—უმასწვილმა ქალმა უცხოლო კატთან იარაღს...

— მეც მალაის დავეებ მაგვარ შესედულობას? და მაგასთან უეჭველია მამაც ჩემთან იქნებოდა.

— რომ არ წამოგყოლოდათ?

— ეგ შეუძლებელია, მამა თავის დღეში უარს არაფერში იუზბნება.

— არა, მაინც?

— თუ არ წამომეყვებოდა, მარტო მოკიდოდი.

თემიურსიმა შესედა და გადაჭარბებულმა მადლობის გრძნობამ თვალბუნად ცრემლები მოჰგვარა. იმან გამოართვა სული და წინასწად უთხრა:

— ლიდა, ლიდა, რა კეთილი რამა ხარო?... როგორ გადაგინადოთ მადლობა?

— რისთვის?—გაიკვირვა ლიდაში.

— რომ თქვენის...—თემიურსი შესედა და ცოტა სინუძის შემდეგ სიტყვა შესცვალა:—მეგობრობის ღირსადაც მსდით...—დაბოლოვან იმან და სიმამ ცახცახი დაუწყო.

— განა მე რომ ავად ვუოფილიყავ, სხანსაჲვად თქვენ კი არ მოსვიდოდით?

— ღმერთო!.. თქვენს ღოგინთან დაკავშირებით, გავათენებდი... რაც არა მწამს იმათაც კი ვიწამებდი, რომ მესლის ჩოქით თქვენი კარგადმოყოფობა გამოძეთხოვას... თქვენ არ იცით, ლადიაჲ, რომ ჩემთვის ეკელასუდ უძვირფასესი, ეკელასუდ დამატკობელი თქვენდა სამსახურია? დღეს საღამომდის ვერ მოვედი, ვერა გნახეთ და მთელი ჟოჯოსეთი გამოვიარე.

— თეიმურაზ, მეც მაგ მდგომარეობაში ვიყავ.

— თქვენცა? ალტაცებით წამოიძახა იმან და ზეზედ წამოიჭრა; მაგრამ მაშინვე თავი უნდა შეეკაკებინა, რადგანაც კარებში რამდენიმე სტუმარი გამოიხდა და სანქაროდ გასწორებული ლადია მისაგებებლად ეკეშერა.

ერთი მოსუცბული, სურთუვის კიდეში ჯვარის ლენტ გაკეთებული, სმაურობით შემოვიდა და ქალს ალტაცებით მიესალმა; სიამაღრტანე აშკარად ემხროდა და ეტუებოდა, რომ ამ მსოფლიო ძალა სულში ეჭირა.

— თქვენო ბრწყინვალეებო, კნიაუნაჲ!—იძინდა გაშმაგებული, —თან და თან იმლებით და, როგორც ვარდის კოკორი, ისე მშენებრებით.

— თქვენო აღმატებულებო!—თითის დაქნევით გააფრთხილა ქალმა.

— კნიაუნაჲ! რად მაწყრებით? —უთხრა მოსაუბრე.

— მართალს არ კამობ?

ამ სიტყვებზე ბებრულად ჩაიხარხარა და მსუნაგს კატასავით გაპარსული თუ გაყვლეფილი ტუხები მოილოკა.

— კმაზ, ბატონო, გეუფათ, ვკონებ რომ ეკ ლაპარაკი თქვენს ხანს აღარ შეჭიერას. ამ სიტყვების შემდეგ ქალი გამობრუნდა. — ნება მიბოძეთ გაგაცნოთ... ბატონი თეიმურაზ ჭმუნვარაშვილი.

— ჭმუნვარაშვილი, ჭმუნვარაშვილი! წარმოსთქვა მოსუცმა და ღორნეტით შინჯვას დაეწყო. — რუსის გვარი არ არის.

— მე ქართველი გასლავართ.

— აჲ, ქართველი, ქართველი... ძალიან სანაიმოგნობ, ძალიან სანაიმოგნობ... გაუშვირა სული ყმაწვილ კაცს და ლადიას მოეკვდა გვერდით. ჩანს ელას რამდენჯერმე და ასევე თეიმურაზს მიუბრუნდა:

— მაშ თქვენ, იმ მამაც გვარ ტომობას ეკუთვნით, რომელიც ისე გუჟღავნად და სანატკბოდ რუსეთისათვის სისხლსა ღვრის? მალანს სანამოკონა, ძალიან!... ამბობენ, რომ ვითომც ესლა ზოგიერთნი იქ რაღაცას ცუდქობენ... რაღაცა სამშობლო დაუწერიათ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მოუგონიათ, რუსული ენის სწავლა არ გვინდა... სულ ქართულად უნდა ვისწავლოთო, სამსჯავროც ქართული უნდა გვქონდეს... სულ სისულელე... მალე მოაწყვიანებენ...

ამ ლაპარაკზედ თეიმურაზ ამბრინა.

— მაშ აგრე ლაპარაკობენ? — მიუბრუნდა კიდეც ლენკალი და წარბები შეიჭმუნა.

თეიმურაზ ანთო და კვლარ მოითმინა.

— მე არ ვიცი, ვინ და სადა ლაპარაკობს მაგ სასულელეს? რომელის სარგებლობისთვის უგონებენ მაგ ცილისწამებას იმ ხალხს, რომელიც, თქვენისავე სიტყვით, რუსეთის სახელმწიფოსთვის მეტად მეტად ბევრს სისხლსა ღვრის.

— რაო? — გაჟვარებით შესება უნრობმა და დაუმატა. — გინრობ ბატონო, გინრობთ! — იქნება მართლა გაჭვსთ იმედი, რომ მოახერხოთ რამე?... ხე, ხე, ხე, ხე! ბოროტად ჩაიღინა მოსურნა. — რუსეთს ვერ კიდეც საკმარისი ძალა აქვს, რომ შეიღვასავით მოგსართო.

— ბატონო, აქ არც ადგილია და არც დრო არის მაგ ლაპარაკისთვის. ამისთვის უმორჩილესადა გთხოვთ შესცვალოთ... თქვენ, როგორც გეტყობათ, ჩემის გვარ ტომობის ხალხს არც იცნობთ და მათ სანათზედ, უოფა ცსოგრებაზედ შემიდარი არის შეგიადგინათ, ეგ უფლებას არ გაძლეკით, რომ ჩემთან ქართველებზედ აგრე ილაპარაკოთ. — ეგ ზრდილობის წინააღმდეგეც არის და მსაზიმდის მოკვლეობასაც... სანართელოშა აგრე არ მოგეჭვეოდაც.

თეიმურაზ წამოდგა, ჯიბიდან კარტოხკა ამოიღო და მისცა.

— აი ჩემი ატრესი, მოწყალეო ხელმწიფე! და ლიდიანს მიუბრუნდა:

— მომიტევეთ კიანყსა... რაც მინდოდა შეთქვა, ვერ გაპარავ... მამინ გიანჯობით, რადესაც უფრო თავისუფლად ვიქნებით.

იმ რიგად იყო ლიდა, ისე შეწესებული იყო, რომ დატყ-  
რატ კი ვეღარ მოასვენსა.

თეიმურაზ სჩქაროდ გავიდა და გაშტურებული ბებრძა წამოა-  
ძისა:

— ოი, ოი, ოი, ოი! — როგორი გაწიწმტება სტოდნია!...  
მართლა კაკასიელის სისხლი სდგომია ძარღვებში.

— რასაკვირველია, რომ გაჯანჯრდა.

— და რა უუთხარ ისეთი.

— მაგასევე უარესს რაღას ეტუოდით? თუ იმას არ იცნობ-  
დით, ჩემს სახლშია იყო და ჩემთვის მანტ უნდა გეცათ ზა-  
ტივი.

— მომიტყეეთ, კნიაჟნა, ღვთის გულისაჟის!... მე არ ვიცო-  
დი თუ გაწიწმტდებოდა.

— ჩემი წყენის გაფრთხილებასათვის კი არა ზრდილობისთვის  
უნდა მოგეჭვათ უურადღება.

ამ სიტყვებზედ ლადია მძინებდა ნაბიჯი გადასდგა და მოუ-  
ბრუნდა.

— მე თავს განებებთ, მომიტყეეთ, მაგრამ ეგ თქვენთვის ორივე  
ერთი უნდა იყოს, რადგანაც უეჭველია თქვენ მამაკეთან დადოადით  
სოფელ და არა ჩემთან.

— მოითმინეთ კნიაჟნა!... გარწმუნებთ რომ... მე არ მინდო-  
და, სრულად აზრად არა მქონდა...

— ნასკამდის, თქვენო აღმატებულებავ! მამაჩემი ესეაჟი ტიან-  
ლებათ. ამ სიტყვებით დაუგრა თავი და გაბრუნდა. ის იყო კა-  
რებს ხელი მოჭკიდა, როდესაც სვეტლანკი მხანარულად შემოვიდა  
და დაძისა:

— წავიდეთ, ზურის სიქმელს ოთახში, უკვლავიერი მზად...

ამ სიტყვა გაუწყდა რადგანაც გაჯანჯრული ქალა შეხვდა.

— რა ამბავია? ჭკითსა მოხუცმა.

— მათი აღმატებულება მოხმანდა თქვენთან და, სადაც ის იქ-  
ნება, იმ ოთახში მე მეტი ვარ. დაჟგრა თავი და გავიდა.

მოხუცი გაშტურებული დარჩა, როდესაც სტუძარი მივიდა და  
უთხრა:

— მე შეგატყობინებ. — ქართველებსევე რადაც კი ვიხსენებ, თქვენი სტუმარი შეფსუკიანდა და გაქცა... ლიდას ჰავლოვნა გამიწერს და მართლაც თავი დამანება.

— საკვირველი კაცი ხარ!.. წყნით უზასუნს სვეტლიცემი. — ყოველთვის, ყველგან შენის სლავიანო-ფილოზოფიით სისულელე უნდა ჩაიდინო!.. უშენოდ უგუნებოდ იყო ლიდას და ესლავიანო ვიყო, როგორ დაგამშვიდო?

— რა კიბოლი, რომ იმ ლაწირაკისთვის კნაყნა ისე განზრახვებოდა?

— მოწყალეო ხელმწიფე! წელში გასწორდა სვეტლიცემი და თვალები აუნთო:

— ვინც უნდა იყოს ჩემს სხლში, თქვენ სო გალანძვის ნება არა გქვია, და მაგასთანვე გატყობინებთ, რომ ჩემს სხლში არც ერთს ლაწირაკს ადგილი არ ექნება, ისე როგორც თქვენ.

მათი აღმატებულება მოახლოდა და სვეტლიცემი უთხრა:

— დამშვიდდით, კნაზო...

— გთხოვთ, გაბრძნდეთ! ისეიას ხმით უთხრა და მბრძანებანი მოძრაობით უჩვენა კარებსევე, რომ უარი თქმა აღარ შეძლებოდა.

— უგაძრავად. — წამოიძახა მოხუცმა და მელანსავით გუდა-ამოძრებული გაძუნდულდა.



თეიმურაზ იქამდის გაბრძნებულ იყო, რომ სვეტლიცემის სხლადან გამოსულმა აღარ იცოდა სად წასულიყო. ის მიბრუნდა, მიბრუნდა თავ-გადაუღებელი, თათქალს უკან ვიღაცა მისდევსო, ან სანქარო საქმასთვის მიუძღვნება, მაგრამ რომ გვერდით, საათი მიდიოდა, ვასუნს ვერ მოგვრემდათ.

წელს, როდესაც ისე აწყენინეს, სხვის სხლში იყო და, როგორც ყველა რბინდმა, თეიმურაზმა თავი შეაკავა, მაგრამ ესლავიანო დროდა წელანდელი სტუმარი, მგონია, კბილებით დაეგლავა:



ყველაზედ მომეტებულიდ ის აზრასკებდა, რომ ლიდოსისან მოღვაწეობა და უშაღეს, თორემ სხვა-და-სხვა თაყსედ სელ ალებულის რანდების ყებლობა ესე კერ ალეულებდა. მის პირველად არ ესმოდა ამ გუარის ბატონების ჯაფობა, კარგად იცოდა მათი ჩვეულებრივი უსრდელობა, გაუთლელობა და სიბრყივე; იცოდა, რომ სიტყვაში დარიდება არ იცოდნენ და, რაჟი ოდნავ ძელას მოიბოკებდნენ, ყველას თაყსედ წამოსხდომა უნდობდათ. თეიმურაზს იცნობდა თავის ქვეყანას, შესწავლილი ჭქონდა მისი ასტორიული წარსული და სრულის მოწიწებით ესაყვარლებოდა წარსულს ქართველთა სიწმინდეს. ყველა, ვინც კი ამ საგანს უსუფთაო სულით შეეხებოდა, ვინც იმის მოხრდილებასაც არც განიზრახავდა, თეიმურაზისთვის პირად მტრად გადაიქცეოდა. ამის შემდეგ ის აღარავითარი სპეულიების წინ აღარ შესდგებოდა, ოდრონდაც სამაგიერო გადაესადა.

თეიმურაზს კარგად ესმოდა, რომ თავის ქვეყნის და ხალხის ბატონის დაცვა პირდად მისის ღირსების დაცვა იყო, და თავისი თავი მხოლოდ თავისვე ერთან ერთად ჭქონდა დანახული. განმარტობული, ცალკე კერ წარმოედგინა ქართველი და სწორედ ამასთვის, საქართველოს რომელს კიდევსედაც უნდა დაეკრათ, თეიმურაზის გულში ტვივილი გაისმოდა.

ის იყო საქართველოს ნაწილი და გრძობაჲ მასთან გადაბმული. სკერთო ხალხისნობის უმთავრესა ძარღვი იმის ფიქრათ ურინსეს ძალებად გაწიდადებულაყო და, ვინც ერთს მათგანთან დაკავშირებით არ გაბედნიერებულაყო, ის ქართველად არა სწამდა და დაღუბულად მიანდა. აი ეს იყო მიზეზი, რომ მოსუცსაც კი ისე მკაცრად მოეპუჭო. ბოლოს იმან მიაღწია თავის სახლს და მაშინვე წერილებს შეუდგა, უნდოდა ყველაფერი ცნობაში მოეყვანა, რადგანაც ბრძოლაში ვინ იცის, ბედი ვის გაუღიბება და ვის მოჭსკეკდა გაუინული სიკვდილი მკლავებს.

ის იყო შევიდა შინ და სიტოლის უფრო გამოსწია, როდესაც ოთახში ზაღე სვეტიდინკი შემოვიდა.

თეიმურაზს არა მტრედ გარცდა, როდესაც დაბნაისელი მოხუცი დაინახა.

— მადლობა ღმერთს, რომ შინ მოვისწავროთ! — მიესალმა შემოსულის უკან.



— კნიაზო, ამ დროს!?. მაგრამ ორივე ერთია, — თქვენი მოხრმანების მისეზი რატ უნდა იყოს, — ყოველთვის სასიამოვნო სტუქმირი იქნებით... გთხოვთ, დაბრძნდეთ.

— რა დროს დაუდომას... მე საქმისთვის მოველ და გთხოვთ მომისმინოთ. თეიმურაზს თაჰში ახრმა გაუბინა, რომ სვეტლიცკო სვეუნდანტად იყო გამოგზავნილი.

— მიმისნეთ, კნიაზო! ყოველი წინადადება, რომელიც მონდობილი გაქვსთ, წინადადე მიმიღა.

— გამაღლობთ, გამაღლობთ! სინაწულით ხელი გაუშვირთ მოსუტმა და დაუქმტა:

— თქვენი გონიერების და გულ-კეთილობის იმედი მქონდა. წავიდეთ.

— თეიმურაზმა გამტყუებით შესედა.

— ანაფერნი არ შესმის... ამისსენით, სადა.

— კარგია, ჩაიცივით ჰაღტო, — სთხოვდა სვეტლიცკო.

— ანაფერნი არ შესმის.

— წავიდეთ და მასინ გაიგებთ ყველაფერს.

— ინებეთ, — ქუდის სელას წამოკლებით უმასუსს: — მაგრამ იცოდეთ, რომ დამცირებას ჩემს გასენაში არ ვიკისრებ.

— დმერთო ჩემო, დამცირებასუდ ვინ გელაპარაკებთ?

— მას მითხარით, სად მიგუქვართ?

— ჩვენსა.

— თქვენსა? — უმეტესად გაჭკვირდა თეიმურაზი.

— დიაღ, ჩვენსა.

— რისივის?

— იმისთვის, რომ ბოდიში მოკანტკეინოთ იმ ბრეყისა, რომელსაც ისეთი მოუფიქრებელი სუმირობა მოუვიდა.

— არა, კნიაზო, ბოდიშის მოხდა ჩემთვის საჭირო არ არის.

— აჭა, დმერთო! მას რა გინდათ... გთხოვთ საქმე მივიდობინად გაკათავოთ... ლიდავც გესვეწებათ... სომ იცით, მეც იმის მეტი არავინა მეავს... ქვეყანა ბოროტია და მეშურსკა... ჩემს სასლსაც სალაპარაკოდ ნუ გასდით.

— მას, როგორ მოვიქცე?

— შეურიგდით.

— შეუურიგდე კაცსა, რომელსაც თავი იქამდის აუწუვეტია, რომ ვინღი მიღანძვამს ყველასედ უწმინდესს საცასს და ყურიოთ მასმესს!... თქვენ როგორ მიწვევთ მაცას! მე ქართველი კახლავართ და ჩემი გული იმას ვეღარ გაუსწორდება, ვინც ერთსელ შეურაცხს-ყოფას მომაყენებს!.. არ მოკუთმენ, თუნდა ათსჯერ ჩემსედ ძლიერნი იყო.

— მამ რა გინდათ, რას ავირებთ?

— ღიდაა ჰელეოგნასს ეშინიან, რომ მის სასელს სელსი ცუდათ არ შახოს...  
— დიალ, დიალ... ჩაურთო მოსუცმა.

— ვინაუნს სასელი ჩემთგისაც ძვირფასია.— თქვენი სასლის ჰატვიის-ცემის ჩემს ვადადა ვრაცს... მე იქ ჰურ-მარილი მიჭამია... თქვენს ნანსობთან შეწიგება არა მსურს და არც შემძლიან... დაწე-როს ბოდიშის წყრილი, თვითონ და კინაუნამ სელი მოაწერონ და საქმე გათავებული იქნება.. სვალ შეა დღემდის ვასუნს ველი, თუ არ მოვივია, მამის თავისყოფელი ვიქნები, ისე მოვიქცე, როგორც მოვიანსრება.

— ვიცოდი, რომ ჰატვიოსანი კაცი სარ,— აღტაცებოთ უთსრა მოსუცმა და გავიდა.

თეიმურაზს დაღონდა და მწარე ფიქრები შემოაწვა. ღიდაა, რომელიც ამ წუთის წინად მზად იყო დემოთთანაც და კაცთანაც ფიცი მიეცა, რომ თეიმურაზს შეერთებოდა, მის ბრძანების მონა შექმნილიყო, ესლა კაცს უგზავნიდა, რომ იმ კაცს შერიგებოდა, რომელიც ასეთი შეურაცხყოფა მიაყენა... მეტი რითა სელმძღვანელობდა ის ქალი, რომელიც ქვეყნას ერწია?... მხოლოდ იმიო, რომ ქვეყნა აყაყანდებოდა!.. მამ სწანდა, რომ თეიმურაზისადმი ღირსეული ჰატვიისცემა არ ჰქონდა?.. იმის გრძობას არ აფასებდა, ღირსეულს ფასს არ სდებდა... თუ ვი ესლავე, თეიმურაზისთვის რაც სიწმინდე ჩაითვლებოდა, იმას ვაღანძვის და ფეს-ქვეშ გაქვლის შემდეგ, ქალა მასთან, შეურაცხ-მოფუელთან შერიგებას მხოლოდ ჭო-რების სასცდენად ითხოვდა, შემდეგში რადა უნდა ყოფილიყო?. ეს ანრები უტრიალებდა ყმაწვილ კაცს თავში და ტვისს უნთებდა...

«არა ჩვენ სავართო არა გვექნება-რა, ჩვენ ვერ დავაფასებთ ერთმანეთის სალღვანს, სთქვა თეიმურაზმა და მწარედ დაიკვნესა. მეტად ძნელი იყო იმ ქალის თავის დანებება, რომელთან შეერთების გულისთვის ჩვენი რას შეაბრძოლებოდა და ქვეშ დედამიწას..»

თეიმურაზმა წავიღო თმებში სელაბი და გიჟსავით დაიწყო ოთახში სიბზილი.

— ლიდას არა სწამს ჩემი სიწმინდე, ანაფრად აგდებს ჩვენს ხალხსაწილს!.. იქნება ესლა, იმ უმცირესთან ერთად ლიდაც დასტინის ჩვენს ხალხსაწილს, იმასთან ერთად მასხარად იგდებს თეიმურაზსაც და მის თანამემამულეთაც.

მეტად მწარე და მიძიმე იყო ეს ფიქრები. გული უდღუდებოდა და სისხლით ეკსებოდა, ტვინი ეწოდა და ენებოდა!.. ეგვიპტური უნდა ჩაბუღულიყო, ეგვიპტური უნდა ჩაშლილიყო. მერე ვისგან? ერთის ვიღაცა შემოსვლით გაძლელისგან? მაშ იმათი ერთობა რა ნიდაგსკედ იქნებოდა აქნებულად, თუ მათი რწმუნება ერთ-სულ და ერთ-სორც არ იქნებოდა. არა, თეიმურაზ არ შეართამდა ლიდას, რადგანაც ქართველი იყო და ამ ქალს ვი ბუნებთივე ქართველის გრძობის არც სიწმინდის რწმუნება და არც პატივისცემა არა ჰქონია.

დაეშა დივანზედ და მწარედ, მწარედ დაიწყო ტირილი.

ერთბაშად კარები გაიღო და ოთახში ვიღაცა უმწვილი კაცი შემოვიდა. ის იყო ჩაცმული სამკრავრო ტანისამოსში და ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა. შემოვიდა თუ არა, ჩემოდანი დააგდო და წამოიძინა:

— თეიმურაზ! რა მოგსკვლია?

თეიმურაზმა მოისკვია, წამოდგა და სანქაროდ მივიდა მასთან.

— გიორგი! შენა? გადაესვია ასლად მოსულს: — თვალები სომარ მტყუებს! საიდან გაჩნდი?

— საიდან გაჩნდი! — გაიცინა. ასლად მოსულმა. — მადლობა ღმერთს! მთვარეზედ არა ვყოფილვარ... პეტრებურგიდან მოკედ საკუთარი შენს სახსავად... ჰა, ჰა, ჰა!.. არ მომელოდი განა?... შენ?... შენ როგორღა ხარ? დაცა ერთი გაგშინჯო, — უთხრა და განსედ გაუდგა: — ძმაო, რა რიგად გამოცვლილხარ... იქნება, რასაც შენ-ყოდ ლაპარაკობენ, მართალია?

— რას ღაპარაკობენ?... — სსჩქაროდ იკითხა თეიმურაზმა და დაუძებტა: — მოდი დავსხდეთ, დალაღული იქნებო.

ამხანაგები დასდნენ. თეიმურაზს, როგორც ეტყობოდა, სტუ-ძრის მოსვლა ეამა, რადგანაც მოცოცხლება დაეყო.

— გუუბნები რომ ღაპარაკობენ... ამბობენ, რომ შენ რაღაცას სუელელობ და შენს სანასკად წამოგეღ... მიაძბე, რა ანბაგია, ეოგე-ლი ფერი მიაძბე... გეძნელება?... მას კარგი, ჯერ იყო, დაკისკე-ნოთ და შემდეგ მითხარ... აბა, ამ თქვენს დამიანულს ქაღაქში შე-სამჩნევი რა არის?... — სად შეიძლება საღამო გაჯატაროთ?

— ჩვენს ქაღაქში მოწყენის მეტს კერაფერს ნასაკ, დროს გა-სატარებელს ადგილს კერ იპოვი და თუ საღამო გინდა გასანასალო, დეე, თუნდა ჩიბის მთებზეღა წაიადეთ... გინდა?

— ოღონდაც! წამიყვანე კი სადმე და, თუნდა ბუხის მთა იყო.

ამხანაგები გაჩუმიდნენ, რადგანაც თეიმურაზს ისეე გულა ჩაე-თხრო და მოაბუხა.

გიორგი შაბათაშვილი თეიმურაზის ამხანაგი იყო, ბავშობი-დანვე მასთან შეზრდილი და დიდი სიყვარული ჭქონდათ ერთ-მანეთისა. გომისნიანივე დამეკობრებულნი, დღემდის ძმურის თა-ნსმობით და ერთის მიმართულებით იყვნენ შეკავშირებულნი და ერთი ერთმანეთისაკან დაფარული არა ჭქონდათ-რა. გიორგის უკვირდა თეიმურაზის ცუდილება, იმას ფერმკრთალობა, სინუიე და მეტადრე მობუხა, თითქოს ცხოვრებას მძიმე ტვირთი და-უკისრებიაო. სულ ორი წელიწადი იყო, რაც ერთმანეთი არ უნა-სოთ და ასე მოკლე სანში ამდენად გამოცვლა სწორედ, რომ ეურა-დლები მისაქრევი იყო. გიორგიმ იგრძნო, რომ საქმე სასუძარო არ იყო და გაფთხადა. სხვის პირადობის პატივის მტრული სტუმარი ცდილობდა უსაბედო სიტუკით თეიმურაზისთვის გუ-ლი არ ეტკინა, არ ეწეენიებინა და ამიტომ ელოდა, რომ მეგო-ბარს ღაპარაკი თითონ დაეწყო. იმან კარგად იცოდა, რომ მოლოდ მწუნარებაში გამოუგებელს კაცს შეუძლიან თავის დარდი გულში ჩაი-მარხოს, დამლოს და აღარ გამოაჩინოს, მაგრამ თეიმურაზი-სთან ემაწვილარ, ცხოვრებაში ასლად შესულს, ჯერ ამ გარი გა-

კერძებს ან შეეძლო. ამის მაგივრად ის მოელოდა, რომ მისი მეგობარი, რამდენადაც უნდა ცდილიყო, შემსწრეებს, გულის მომწვავეს საგნისთვის ღაზარაკი აცდილებინა, მაინც ან შეიძლება და მის გარშემო ან ევლო, ან ერთიანად და იმ გამორედილებამდის მისუდიყო, რომ გული სრულიად გაქრებინა და მოასრება მისგან განუკარგებინა. როგორც გიორგი მოელოდა, სწორედ ისეც მოხდა. ან გაიანა რამდენიმე წანამ, როდესაც თეიმურაზის ღაზარაკი დაიწყო.

— შენ როგორა ჭიჭიბობ: ცოლი და ქმარი, რომ სხვა-და-სხვა გვარ-ტომობისა იყოს, მათ შორის ბედნიერება შეიძლება?

— საკვირველი ვითხება? — გაიღიმა გიორგიმ. — სიყვარულმა ნაწინააღიერი გასწავა ან იცის.

— სიყვარულმა, ჭო, მართალს ამბობ, ეგ გრძობა ჩვენს უნებურად იბადება, მაგრამ გონებაში.. გონებაშიც ან უნდა იცოდეს გარეგან?

— გონებაში.. რასაკვირველია, იცის გასწავა, მაგრამ მაგ საგანზე ღაზარაკი სწორედ ან არის აღიარული... გონებაში იცის განსხვავება, მაგრამ ეგ გრძობას ან უიღის მოსისხლე მტრებმა ერთმანეთი შეიყვარონ, შეგავშიდნენ და ერთმანეთის სიბოცხლე დაუტოვონ.

— მათი მიზანი, შესედულობა რომ სხვა-და-სხვა იქნება?

— სხვა-და-სხვა რად იქნება?

— იმიტომ რომ მათი ინტერესები თავის ქვეყნის ბედნიერებას მიმართავს და ეს გრძობა გი მეორეს დახსაკვრინებს.

— როდესაც ცოლ-ქმარი შეუღლებიან, მათს სასიათში, უკუკვლია, როდენამე განსხვავება იქნება; ერთი უფრო ძლიერი იქნება, მეორე უფრო სუსტი.

ამის გამო ერთმანეთთან ცხოვრება უკუკვლია ერთის სასიათს მეორეს დაუძლიებებს და სრული თანხმობა ჩამოკარდება. რასაკვირველია, ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ცოლ-ქმარს ნამდვილი სიყვარულის გრძობა აკავშირებს... უამისოდ, ერთი სოფლებიდან რომ იყვნენ, სიტომების მაგივრად, ცხოვრება უფროსეთად გადაქცევათ.

— არა, მე მაგას არ ვამბობ; თუმცა მაგ ახრის თანხმად არა ვარ... ჩემი ღაზარაჲის ახრი რომ უფრო აშკარად გამოვსატო, მაგალითს ავიღებ... ვთქვათ, ირლანდიელმა შეირთო ბრიტანელი დედაკაცი.

ირლანდია ბრიტანიისგან დაპყრობილია, ბრიტანელების შირდაშარი მიზანი ის არის, რომ ირლანდიელებიც, არამც თუ ზოლიტიკურად შეირთონ, არამედ მათი ბატონები შეიქნენ და, ისე იმსახურონ, როგორც ყურ-მოჭრილი ყმები... ყოველი ბრიტანელი ამ აზრებით იზრდება, ბავშობიდანვე ეს აზრი ეწვეთება ყურში, და როდესაც ცხოვრებას დაიწყებს, ამ აზრის ასრულებას ემსახურება. ის დაიწყებულა, რომ სამართლიანად მოქმედობს და, ბავშობიდან შესხეული, აღარ აკვირდება თავის მოქმედებას, აღარ არსებებს, მტყუნია, თუ მართალი... ირლანდიელს მსოფლიდ ძალით შეიძლება ამგვარი ცხოვრება ავისებინოს, ხოლო გულში ყოველთვის ის ახრი ექნება, რომ განთავისუფლდეს ამ მდგომარეობიდან, მის გულში ყოველთვის ბრიტანელის წინააღმდეგი ნაშეწყველი ენება და შთამომავლობასაც ამ სიძულვილის გრძობას უცხოელებს... ირლანდიელმა კაცმა შეირთო, ვითქვათ, ბრიტანელი ქალი. ირლანდიელი ბრიტანელებზედ გაბრახებულია, შინაობაში ყოველთვის ჭკიცსავს მათ, ამცირებს, ბუკრულ უსამართლობაშიდინაც კი მიდის და ეს კი ჩვეულებრივი შემთხვევა დაპყრობილთათვის... ცოლი შირველში ითმენს, ბოლოს ეწეინება: ესმის, რომ ბრიტანელებთან ერთად ამცირებენ იმის მამს, დედას, ნათესაობას, მთელს კვარეულობას!.. ჯერ ფთხილად წასარჩლება... კაცს აღაშოფოთებს ქალის უსამართლობა და ამღება შოფოთი: ორივენი უსიამოვნებაში ჩავარდებიან, ორივე ბრახდებიან და, რასაც უწინ ყურადღების ღირსად არა ჭსდიდენ, რაც მათ შორის შეუმიხეველად გაივლიდა ხოლმე, ის ესლანსუბის მიხეზად გაუსდებათ, დასამტიციციელს საბუთად მოიყვანენ. ამ შოფოთსა და არეულებაში იზრდებიან შეილები, უფუჭდებათ სისიათი და თავიანთ მოვალეობის შესახებ შესედულება უმისინდებათ... შენ იტყვი, რომ შირველის უთანხმობის შემდეგ ცოლქმარში ერთ-ერთი უნდა გატყდეს, დამორჩილდეს; მართალია, კვ შესაძლებელია: უღონო ღონიერს დამორჩილდება, რადგანაც ძალა არა აქვს, წინააღმდეგობა

გაჟიწიოს, მაგრამ ეს მოწინილება ნამდვილი მოწინილება იქნება?... სრულიადაც არა... უმღური ძლიერს გაუხშიდება, რომელაც თვალ-თათვის მოწინილებად გეგნებნათ და გულის კი ჩაიტანს ჯაგრისა, რომ მასთან გადაუსდოს, როდესაც ძალა მისკენ იქნება... თუ თითონ გადახდა კერ მთახურსა, მასთან შვილებზედ დაიწყებს მოქმედებას და იმითივედ ხომ ცოლქმის წინააღმდეგობას ისეც ცუდი გავლენა აქვს... არა, გიორგი, კაცი თავის დღეში არ დაივიწყებს თავის დამცარებას და საუკუნოებებიც რომ გავიდეს, მანც გომიხენს თანას...

ამ გძელი სიტყვის წარმოთქმის დროს გიორგი გაუნძრევლად იჯდა და გულმოდგინედ ეურს უკდება. მხოლოდ, როდესაც თეიმურაზმა გაათაკა, სტუმარმა გადაისკა შუბლსედა ხელი და თავისთვის სრულად წარმოთქვა:

— საქმე სასუძარო არ ეოფილა, ვიდაცა ჭყარება!

ამ სიტყვებს შემდეგ, გიორგი აღარ მოეშვა და, თეიმურაზს გათეხება მოღწეული იყო, მანც განართობად წაიყვანა. ისა თეიმურაზად, რომ თეიმურაზს ჭმენსა მალე გაუკლიდა, თუ არ დაჯადლი, რომ მწუხარე ფაქტებს სშირად და სხარდლივ დაუკვირდესო.

## VI

ამ შეითხვევის შემდეგ, როდესაც მღელვარებით სავსე დამემ გაიარა, გათეხებასთანვე ერთად თეიმურაზ სესე წამოიჭრა და წესელ დარჩენილს საქმეებს შეუდგა. მხოლოდ რამდენიმე წერილის მომწოდება მოასწრო, რომ გიორგიმ თვალები გახსილა, განზმორა და გამოესმაურა.

— ბიჭო, არა გძინებია, თუ რა არის?

— როგორ არ მეძინა? — მოკლედ უზანუსა თეიმურაზმა და ისევე წერას ხელი მაჭყო.

— როდისღა მოასწარ?.. ჩვენ რომ დავწყობით, თითქმის გათეხება იყო... სზინკა მომწოდე.

— რა გუფოთ?.. საქმემ მოითხოვა. — უზანუსა. თეიმურაზმა და სზინკა, რომელიც სტოლიდან აიღო, გადაუგდო.



ჩამოკარდა სიხუიე. გიორგი რაღაზედაც დაფიქრდა და ამხანაგს თვალს არ აშორებდა. თეიმურაზ კი მთლად თავის მუშაობას მისცემოდა და თავ-დავიწყებით სწერდა.

— თეიმურაზს! — გააწვევით წერს ამხანაგმა.

— რა გინდა?

— დასიბუე წერს თავი და უფრო დამიგდე.

— რა გინდა? — უხასუს თეიმურაზმა და მიუხლოვდა.

— არ შეგიძლიან წარმოიდგინო, რა რიგად იყრი წაგსკვლია.

— მაცების.

— და წუხელისაც არა გძინებია, დაუისტე რაღა?... ეგრე არ შეიძლება, უეჩველად ავად ვახდები.

— მაგას თავი დაუანბოთ... შენთან მოღვაწეობა მანდოდა და, რაკი წერა შემაწვევით, ბარე გეტუი კიდეც, რაც სათქმელი მაქვს.

— რა ამბავია, სთქვი. — უფრები ცქკატა გიორგიმ, რადგანაც ეგონა თეიმურაზის საქმეს შეატეობდა.

— შეურაცხება მომაყენეს და დუელში გამოვიდოდა.

— როგორ? — წამოხტა უმაწვილი კაცი, რომელიც ამხანაგს კარვად იცნობდა და იცოდა, რომ ამ კვარს შემოსევაში თეიმურაზს სუშიობა არ უყვარდა.

— დიად... დუელში გამოვიდოდა-მეთქი, — სრულად დამშვიდებით უხასუს ამან. — მაგრამ ნუ შეშინდი, იქნება მშვიდობიანად გათავდეს... თორმეტ საათამდის არის კადა, და თუ მანც დამინც ბრძოლა მომიხდა, ჩემი სეკუნდანტი შენ უნდა იყო.

— სეკუნდანტი! კარგი, ვიქნები... მაგრამ რისთვის, მასეზი რა იყო დუელისა?

— მისეზი ის იყო, რომ სეკუნს ქვეყანას შეურაცხება მიაყენეს და...

— რასაკვირველია, შენი კალი შეასრულე! — არ დაწყალა გათავება.

— რაღა თქმა უნდა.

— მაშინე სთხლი შე?

— არა, დუელში გამოვიდოდა.

— შენ გამოითხოვე?..

— რასაკვირველია.

— ეგ არ არის კარგი... თავის დღეში მაც საზიარებებს უზიარატესობა არ უნდა მისცე. შირველი სრულა ვისაც აქვს, ოთხმოცდაცხრამეტი მასნი იმისკენ არის... წყენით წარმოთქვა გიორგიმ და დაუმტა: — არა, უნდა გეთლიშა და ისე მოგესერებინა, რომ იმის გამოეწიე... მშინ შირველი სრულა შენ გეკუთვნებოდა.

— სუმრობას თავი დაანებე, ადექ და მეორე მოწამეც კიშოვნოთ.

გიორგი წამოდგა, მაგრამ მანც დაუმტა:

— ღმერთმანი, მე კი მშინვე ეთხლეშდი.

— მაგას არ იქმლდი, რადგანაც წინააღმდეგობა ოჯახობაში მოგვისდა და ქალების სასოგადობაში ვიყავით; ამას გაგრდა ხეში მობრდაზირე მოხუცია.

— ჟანი გაკარდეს თუ მოხუცია... მართალი იყო და ტყუილს შებლი შირველმა მანც შენ უნდა მიუშვირო!.. სულელობა!.. მაგრამ ნუ გეშინინა, თუ შენ მოგვლა, მშინვე მე გამოკითხოვ, და ღმერთი ისე როგორ გაწერება, რომ ომნივე დაგესტროს.

ის იყო გაათავა ეს სიტყვები, რადგანც ოთახში ბიჭი შემოვიდა და თეიმურაზს წერილი მიათვა. ამანც სასქაროდ გამოართვა, გადაიკითხა და ვიზლით წამოიძახა:

— დამტირებელი!

— რა მოხდა კიდექ?

— აი, წაიკითხე. წერილი სტოლსუდ დაავლო და მეორე წერილს, რომელიც იმავ კონკერტში იდო, დაუწყო კითხვა. გიორგიმ აიღო და შემდეგი წაიკითხა:

«მოწყალეო სელმწიფევე

«თეიმურაზ ლუარსაბისძე!»

«გუშინ მოუფიქრებელის სუმრობით გაწეინეთ... სრული თანსმა განლავარ, რომ ასე არ უნდა მოკჭრეულიყავ გარეშე შირთან, რომელიც მსოლოდ იმ წუთში გავიცანი და დაგმეყოფილების მოთხოვნა თქვენის მხრით სრულად საბუთიანი და სამართლიანი არის.

«გერმნობ ჩემს თავს სრულს დამნაშავედ თქვენს წინაშე და ლიდია ზაგლოანას წინაშე გინდი ბოდის და გაწმუნებთ, რომ თქვენი წყნა აზრად არა მქონია.

«დავითები მარად თქვენი ზეტივისმცემელი

«კარზი მოსკოველი».

— ღმერთო ჩემო! წამოიძისა გიორგიმ წიზლით; რა წამს კითხვა გაათავა:— რა დამცირებულის სულისა ყოფილა!

— დიად, მძაჲ, ქვეყნას მკ გვარის ხალხით არის სასუ და მბრძანებლობის უფლებაც კი აქვით... რასა იქ?.. ეველგან და ეველფერში ძალა მოქმედებს.

მეორე წერილი თეიმურაზმა ვიბეში ჩაიღო.

— როგორ გგონია? დაკმაყოფილებული ვარ თუ არა?

— სრულიად.

— აბა, ახლა კი თავი უნდა დატანებო.

— სიად მისკალ?

— ცოტადენი საქმე მაქვს.— სთქვა იმან და სასე მოაჩიდა.

— მალე მოხვალ?

— არ კიცი...

თეიმურაზ ჩქარობდა, იწმინდა ტანისამოსს, მაგრამ მანინტ რაღაცას იგვიანებდა. გიორგი უყურებდა კარკა ხანს და ბოლოს ერთბაშად ჰკითხა.

— ძლიან გიყვარს?

თეიმურაზი გაწითლდა, ჩაასკედა და მღელვარებით უპასუხა:

— ძლიან!

— აქამდის რატომ არ მატყობინებდი?

— იმტომ, რომ... ახ!.. მე თითონაც არ კიცი. როდესაც ს აქმე იმ ქალს შეესება, მშინ გონებასა გივანტამ და რაღაც უსილავის ძლის მოქმედების ქვეშა ვარდები!.. მაგრამ ნახვამდის, მიგვიანდება,— უთხრა იმან და გაბრუნდა.

— წადი, წადი, მძაო! ღმერთმა ხელი მოგიმართოს! მიატოვებ კარებადის, სადაც გიორგი კიდევ შესდგა.

— რაო, რა სთქვი?

— გზა დაგილოცე.

თეიმურაზმა სული მოჰკვიდა, შიიყვანა ოთახში და წარმოუდგენელის მწუხარებით და გრძნობით უთხრა:

— გვიან-ღა არის, გვიან, ჯინის დალოცვა.

— როგორ? — იკითხა გიორგიმ. — არ თანაგვიგრძნობს.

— მიზეზი ეკ არ არის.

— ა-ა, უთუოდ სიტყვა სხვისთვის მიუცია.

— არა, არც ეკ არის.

— შენ ღაზარაკი სრულიად აღარ მესმის.

— სემდა საუბედურად, მე არ შემიძლიან მისი შესრუტა. — ჯა-საგმიწად წარმოსთქვა თეიმურაზმა და მწარედ ამოიხსრა.

გიორგიმ იგრძნო, რომ თეიმურაზს უბედურად იყო, იტანჯებოდა წარმოუთქმელის ცუდილებით, მაგრამ მიზეზი არ ესმოდა. თეიმურაზს უყვარდა ღიჯია, იმასაც აგრძედა; ჭალი თავისუფალი იყო, ქალის მამას მოსწონდა ემაწვილი კაცი და რაღას უნდა დაეზოგოლებინა მისი ამსახვი?.. ბოლოს თავში ისეკ ეტყვა გაუეღვა და თანაგრძნობით უთხრა:

— უეჭველია, ჭალი არ თანაგრძნობს?

— ახ, ღმერთო! აი თუ არა. — უთხრა იმან და გადასცა ის ბარათი, რომელიც წელან მოუვიდა და შეტოვრისათვის არ ეხეხებინა.

გიორგიმ წყნარად გამოართო და წაიკითხა წერილი. ღიჯიასგან იყო და სწორად თავის საიმოვნებას, რომ ატეხილი შფოთი მშვიდობიანად გათავდა; თან სთხოვდა, რომ დღესვე მისუდიყო მასთან სანახავად. წერილი იყო სატრფიალო სიტყვებით გაკსეული და ის ადგილი, სადაც ემატიუბოდა, თითქმის სვეწინს მიემსგავსებოდა.

— რასაკვირველია, წასვალ. — ჭკითხა გიორგიმ, როდესაც კითხვა გათავა.

— არა. — მტკიცედ უმასუსა თეიმურაზმა, თუცა ამ ზასუსში საჭოჯოხსეთო სატანჯველი გამოითქვა.

— ესღა სულ აღარა მესმის-რა!

— რისთვის წავიდე?

— როგორ თუ რისთვის?!

— მე სომ იმს ვერ შევირთამ და ისა სჯობს, რაც ადრე მოკ-  
შორდებოთ ერთმანეთს..!. ორთავესთვის უფრო ადვილი იქნება...

— რატომ ვერ შევირთამ? კიდევ მიხეცი არის რამე?

— ჩემდა საუბედუროდ, არის.

— რა მიხეცი?

— მიხეცი ის არის, რომ ჩვენ სხვა-და-სხვა გვარ-ტომის სხ-  
ლსი პართ, ერთის გრძნობით ვერ შევხვადამ ერთმანეთის სიწმინ-  
დეს... მიხეცი ის არის, რაც წინადაც მითქვამს.

— შენ მე მსტურებ მავ სიტყვებით!.. უმსკველია არ გვარე-  
ბია, თორემ მავ ანგარიშს ვერ გამოუდგებოდი.

— ეჰ, გიორგი!.. კიდევ ეგა მკლავს, რომ მივყარს, მეტის-  
მეტად მივყარს და, როდესაც ბედნიერება ისე შესაძლოა, შუაში აუ-  
ცილებელი უფსკრული ჩნდება!.. დღე და ღამე მოსკვება ალბან  
მაჭკოს, დავდნი, დავილოე იმის სურვილით და მინც თავი უნდა და-  
კანებო!.. მხელია, მწარე, გიცი ძვირად დამიჯდება კავშირის გაწ-  
ვევტა, მაგრამ უნდა გაწვევით და... გაწვევტამ!

თეიმურაზს სულთქმა გაუხშირდა, სასე ადგონო და თავლებ-  
ში ისეთი მწუნარება დაეტყო, რომ გიორგიმაც სიბრალული და  
ადშეოთება იგრძო. აშკარად დაწმუნდა, რომ იმისი მეგობარი მე-  
ტის-მეტად მწარე მდგომარეობაშია, რომ მის გულშიანმდვილი სი-  
ყვარულის გრძნობა ადგონებულა, შეჭბშია გონებისგან შემუშავებულს  
რწმუნებას და მით უფრო ძლიერის გამეტებულის ბრძოლის მსხვე-  
რზლად გაუსდია, რომ თეიმურაზს გრძნობაც და ჭკუაც ერთგვა-  
რის სიძლიერისა ჭქონდა, ერთმანეთს ვერა «სჯალდობდა», ვერ იმო-  
რჩილებდა.

— იცი რა გითხრან? სცადა გიორგიმ თეიმურაზისთვის უბრა-  
ლო ბრძოლა და ამაო სატანკველი აცტლებინა.

— რა უნდა მითხრან?—იმედ-გადაწვევტით უბასუხა უმაწვილმა  
კაცმა და დაუმატა:—უბედურება შემემთსვა და უნდა ვიბრძოლო!

— უბრალოდ რად უნდა იბრძოლო!— შეუტია გიორგიმ.—ამა-  
ოდ რად უნდა მთქვალო შენი ძალა და ღონე?.. რა ნება გაქვს?..  
თუ ბრძოლა შეგიძლიან, თუ სამაგისო ღონესა ჭკრძნობ, სხვა საგანს  
მოახმარო?.. ვერანუ ცოტა საბრძოლველი არა გაქვს განსაველი.

— აი სწორედ მაგისტრის გვეჭირვება, რომ სიმტკიცეს შეგვიპოვებინოს და ჩვენს შინადას მოთხოვნილებას ახაფერში ან დაუყო-  
მიოთ.— სიბრძნით უზს-უსა იმან.

— თუ ის ქალი მართალის გულისთ გიყვარს, აუცილებლად და-  
უთმობ, თუ ან გიყვარს და მხოლოდ ისე მოგწონს, მაშინ სსვა  
აჩნის... მეც ან გიჩნევი, უბრალო ტვირთი ავიდო... მაგრამ მე ვსე-  
დავ, რომ გიყვარს და აქედან წასული იმასთან მისვალ, რადგანაც  
დაწმენული ხარ, რომ იმასაც უყვარსა და შენი მაუსვლელობა  
წარმოეთქმულად დასტანჯვამ!

— ის სუბობს თავი ცოტა ხნით ესლა შევიწყნოთ, სანამ ს-  
უკუნო სატანჯველს მივცემო... გაივლის დრო და დაგვაგიწვდება  
ერთმანეთი.

— გაივლის დრო და სანამთ ერთმანეთს.— იმავე ხმით გაი-  
მეორა გიორგი.

— არას დროს!— სთქვა თეიმურაზს და გამოემშვიდობა, რა-  
დგანაც გიორგი ან უთმობდა და ამგვარის ღაპარავის გაგრძელება  
გი მეტად აბრალებდა.

გიორგი იმ კარებს დაეჭქერდა, სადაც თეიმურაზ გავიდა და  
ცოტა სიწყმის შემდეგ გრძნობიერად წაშროსთქვა:

— მეტად პატიოსანი აჩნის და მეშინიან ან დაიღუპოს!..— და  
დაუმატა:— ყოველი ღონისძიება უნდა მოვიხმაროთ, როგორმე გა-  
დავარსინოთ.

ამ სიტყვების შემდეგ იმასაც ქუდი დაიხურა და სსვა ამხანა-  
გების სანსავად წავიდა.

## VII

ამ დღიდან თეიმურაზს და გიორგის ამ საგანსეუდ ხმა აღარ  
ამოუღიათ. მთელს დროს ისინი ან მუშაობაში ატარებდნენ, ან  
ამხანაგებთან დადიოდნენ. თეიმურაზ თავის ამხანავს ყველგან დას-  
დეკდა, ყოველ დროს გატარებაში მონაწილეობას იღებდა, თითქოს  
კიდევ მსიარულებდა, უზრუნველად ღაპარავობდა და იცინოდა, მა-  
გრამ აშვარად ეტყობოდა, რომ რადცა ფარული გრძნობა გულის

უღრუნდა, და მოსვენებას არ აძლევდა. მედამ გაცრეცილი, იყრ მი-  
 ზდილი, დღითი დღე დნებოდა, თვალები ხასციკაიყო და ჩაღურ-  
 ვებოდა, მაგრამ გრძნობის გამოაუთქმელობა მიმატებოდა. თუმცა არა-  
 ფერი არ სტკიოდა, მაგრამ ვინც შეხედავდა, მამსივე იტყოდა, რომ  
 ამ კაცს რაღაცა აწუხებს და მოსვენებას არ აძლევს. ასე მიდიოდა  
 დღეები. თეიმურაზის მდგომარეობა: არ უძიებდასდებოდა. ლიდიას  
 ხასე მაგრად შთახედაოდა გულში და ცხადად, ძალი, სიზმარში  
 ვეეღვას ის უღანდებოდა; ვეეღვას ესმოდა რაღაცა ხმა, რომელიც არ  
 უსვენებდა და თავისკენ იზიდავდა. რამდენადაც ცდილობდა მოშო-  
 რებოდა იმსხედ ფიჭის, იმდენად მომეტებულის სიძლიერით სწუჟ-  
 რდებოდა მისი ხილვა, იმდენად მეტის წინააღმდეგობით უმსუდუ-  
 ბოდა მისი დაიწვევა. ყოველი სიცილი, ყოველი დროს გატარება,  
 მსიარულება, რომელიც თეიმურაზს შესვდებოდა სოღმე, შემდეგ, რა-  
 დესაც მარტოდ დასებოდა, შეუენებული მტუნგარება ერთი-ორად მე-  
 ტად იხენდა ძალას, ერთიორად აგრძნობინებდა ტვივილს და გულს  
 უკსებდა ნაღველით.

საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ვეეღვს იფიჭრობდა თავისივიის  
 არა ატტენსა-რა და ამისთვის დღე და ღამე არა შორდებოდასენს. თე-  
 იმურაზ მათ არ ეწინააღმდეგებოდა, ვეეღვას მისდევდა და ისეთს სუ-  
 რვილსაც კი აღუსრულებდა სოღმე, რომელსაც უწინ ჩიხლით უჟუ-  
 რებდა. ამგვარი ცხოვრება ესლაც მეტის-მეტად უმიმდებოდა, სიცოც-  
 ხლეს უძწარებდა, მაგრამ, რაკი სიცოცხლე გამწარებოდა ამიტომ გულის  
 გადაყოლება უნდოდა. მეტად შემსწუხებულს და გულის გამსიკებულს  
 მდგომარეობაში იყო, რომ რომელიმე დროს გატარებასედ უარს  
 ეთქვა, მაგრამ წვეთი სიძნობისა რა გამოზნდებოდა ტმუნგარების  
 სლვაში, რომელშიაც სიცოცხლე ჩაგარდნილიყო, ცდილობდა გამო-  
 სულას, სოღო მშველელი სელი არსადა სხანდა.

თუ თეიმურაზ ამ ყოფაში ჩაგარდნილიყო, ლიდიას მდგომარეობაც უკეთესი არ იყო.

დღეები მიდიოდა და ქალს თვალები გაწვალბული ჰქონდა თე-  
 იმურაზის გზის ცქვრით. იმას არ ესმოდა, ვერ გაგო რატომ არ  
 მიდიოდა თეიმურაზი, რას ეძრთლებოდა, რომ ასე უწვალოდ ეძრ-  
 თოდა? თუ არ მოსწონდა, არ უყვარდა, არმიყობით იმედს რად უც-



საკულებდა? მიიყვანს მანაც რატომ არ ატყუობინებდა, თავს რისთვის ანებებდა.

ქაღმა შესწირის მისხვერბლი, ყოველდღისივერი ჩაიღინა, იმის გულისთვის ის გაციტ კი გააგდო სისლიდან, რომელსაც ყოველდღისივერის უთმობდა, როგორც გონიდან გამოსულს მოსუტს, თუმიტ თავის მამის ნაამსნაგარს. სისკა რაღა უნდოდა?.. თავს ანებებდა და მეტე რადროს?.. როდესაც სუსთქვან კი თეიმურაზით უნდოდა, ქვეყანა მისით მშენიერდებოდა, ყოველივე მისგან გემრთელდებოდა.

ლიდია უგუნებოდ შეიქნა, ადამიანის შეიღის არ იკარებდა და სიმარტოეში თავის კარამს ეღეოდა. სულამო იყო და გუნება მეტის-მეტად აყოდა, რადგანაც უცოდნელობა მეტის-მეტად აღმოფოთებდა.

ქალი მივიდა კუშეტკასთან, გაწვა და რაივე სელის თითებო ერთმანეთში გაყრილი, თავ ქვეშ ამოიღო. ოთახში ბინდ-ბუნდი არ გაყრილიყო, მაგრამ ქაღმა გაწითლებული, სისხლ-მორეული თავლები მანაც დასუტა. ცოტა სანამ გაიარა და მღელვარების მომტებან დაეტეო: სულთქმს გაუსშირდა, დაწვები ამოუყვდა, ცხვირის ნესტოებში თერთლავ დაუწყო. ერთბამად სახე შეტეტვალა, გაფითრდა და 'სე'ყ წამოტრიალდა მთერთლავაყ სელებით 'სანი მოუთმენლად და რეკა. შეშინებული გოგო შემოვარდა და ყუებება დაუწყო, რადგანაც ამ უყანსენელს სანს ლიდიას სრულიად კვლარა ცტნობდა.

— მასო! — შემოსკლისათანავე ქალი მასთან მივიდა, მსტბუკედ სელი დაადო და მღელვარებით უთსრა:

— შენ ესლავ უნდა წასკიდე... ესლავ უნდა იზოგო თეიმურაზ... რაც გიინდა ჭქენ, რაც გიინდა იმოქმედო, რაც გინდა მოასკერსე, მსოლოდ უნდა მახვენო... გესმის, უნდა მახვენო-მეთქი, თუნდა ამისთვის სინცოცხლის, ნამუსის შეწირვაც დამტირდეს... გესმის... გაიგონე?.. გასწი და ჩქარა დაბრუნდი.

შეშინებულმა გოგომ ცხტასი დაიწყო და არ იცოდა რა კქნაჴ პირველად სედაკდა გრძობისაგან ამ მღეომარეობაში მყოფს ადამიანს, რომელსაც ჭკუანც, გონებაც დაჭკარგოდა და მზად იყო ნამუსიც კი მისხვერბლად გაეწირა.

— ქალბატონო, რას ბრძანებთ...—სცადა გოგომ დაწვრიანების დაწყებას, მაგრამ ღიადამ მოუთმენლად გააწვევტინა და ერთმანეთში არეულ ბრძანების და სვეწინის კილოთი უთხრა:

— ახ, ღმერთო! წადა, წადა-მეთქი! მიწვევ სავადა იყოს, თორემ მე თვითონ გავიჭრები, წავალ... ოოო, ნუ თუ არ გებრალლები?... სომ სედავ რომ კვირდება?... მამ გასწი... მიშველე, რადს უყურებ?

მაშოს შეებრალა ქალბატონი, რომელიც ყოველთვის მეგობარსა და ტოლსავით ექცეოდა და თავისეუ უნებურად მოლბა.

— კარგია, გიასლებით, გიასლებით, ოღონდაც დამშვიდდით!.. მაგრამ სავ გიპოვნო, რომ სისლი არ კიცი?

— ღმერთო ჩემო!.. ვერსინასეუ, სისლი რინავოკისა, №-რი მე-28-ე... უთხარ, მოვიდეს ესლავ, დაუყოვნებლავ! მომსინდა, მომავადოვ და ეს უფლებას მძლეკეს მისგან მოსულა მოკითხოვო... ბრძანებით წარმოხტევა იმის, მაგრამ მაშინვე კილო შესცვალა, ხმა აუკანკალდა და ნაწვევტინა-წვევტინად დაუბატა:—არა, ატრე ნუ ტყვი... შესვეწი... სთხოვა... ჩავატრე რომ მოწვალება მოიღოს!.. ავად ვარ... ის გულ-კეთილია... შეემუდარე, რომ ავადმოყვს გულ-ღმობიერად მოუპყროს... იჭნება უძნელდება ჩემთან მოსულა... იჭნება უშლის რამე... მიბძინოს სავ და ოღონდა და მაშინვე მე თვითონ გავჩნდება იმისთან, მე თვით ვიასლები... წადა, წადა!—სიტყვა აღარ ატყვიანა მოასლეს, გაბარუნა და კარებს სელის კვრით გააცილა.

თან მისდევდა ღიადა და თან მართლვარე ხმით ჩასწერს-ულბდა:

— ჩქარა, ჩქარა დაბრუნდი... იცოდე ყოველი დავკიანებულე წუთი მთელი სავუჩნე იჭნება ჩემთვის... ყოველი დავკიანება გულში მთელს ჟოჯოხეთს გამიღვიბებს!

გოგო გავიდა და ღიადამ კი ოთანში ჩქარის ნაბიჯით სინა-რული დაწყო; ბოლოს აძლო თეიმურაზის სურათი, რომელიც იქვე სწორ სტოლთან კვიდა და ხან წარმოუთქმელის ვრძნობით შეუ-ურებდა, ხან თავბრუს დამსვევის აღერსით ემუსინებოდა, ფრთხილად ეაღერსებოდა, როგორც ნაზი ნიავი სურნელთა კველურს ხან გა-მეღვრებულ ქარიშხალივით დავჭროლებდა და ციცხლს ვადანყობდა,

გაქრობას და განიაკუბას ექაძნებოდა. ხანა ტიროდა, ხან იცინოდა; ხან წაწად მოალერსე, ზედ შემდნობ, ტკბილ შაქრად იქცეოდა და ხან გამძვინვარებულ, ჰირ გამესხებულ კეფხვად, რომელიც ლამობდა მკერდი გაეპო, ბჭყალებში ჩაეგდო მისი მთრთოლვარე გული და გაუმძღვარად დასწაფებოდა, რომ სისხლი უგანასუნელს წვეთამდის ამოეწოკა.

კარგა ხანი მოუნდა, სანამ ქალს ძალა უღალატებდა და დასუსტებულს ლოცინად მიაგებდა. ისევე გუშეტკახედ მიწვა; მოღალეული ოცნება შესდგა, გონების მოაზრებამ უღალატა და ძალა მისდელი, გაუნძრევლად განსვენებას მიეტა. კიდეკ კარგა სანამ გაიარა; ქალი რადუნადმე დამშვიდებული იყო, როდესაც მოახლე შემოვიდა. ლიდაიმ ოდნავ გაახილა თვალები, მაგრამ მაშინვე ისევე დახუჭა, რადგანაც მთვარის ნაწი შეუჭი, რომელიც ოთახში შემოდოდა, საკმაოდ აწუხებდა.

— ქალბატონო, თეიმურაზ ვნახე... ამ სიტყვების გაგონება-ზედ გული ზღაპრულად აუტოკდა, ენერგიის დაბრუნება იგრძნო, მაგრამ მეტის მეტმა სისუსტემ თავბრუ დაასვია და წუთით გონება დაუბნია.

— ნახე? ბურჯანში წასულსავით იკითხა ქალმა, თეიმცა იმ წუთში რაღაც ზარების რეკის სმის მეტი, მის ყურს აღარა სწვდება და რა.

— ვნახე... შინ კი არ შეკსულვარ... მარტოკა არის... ბიჭმა მითხრა, რომ დიდს ხანს დარჩება შინაო... ერთი ამხანაგი მოუვიდა სტუმრად და სულ იმასთან ატარებს დროსაო... ის ემსწვილო ერთის კვირით სოფლად წასულა.

— რაო, რა სთქვი? წამოკარდა ლიდა და გადაეხვია მამოს.

მოახლემ გაუმეორა ნათქვამი და ეს საკმარისი იყო, რომ ლიდა ისევე აწუხდყო.

— მომეტი ტალმა, შლიაპა—აქარებოთ იმასდა ისა, მოანსკასაც აღარ აცლიდა გოგოს, რომელიც მთლად დაბნეულიყო, დაფანტულიყო და ანგარემ მათეკმლად დაფათურებდა.

ის მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როდესაც ქალი ქუჩაში გავიდა, ჩაჟდა პრალიოტკაში და უბრძანა:

— პრესინაზედ, სახლი №-28.

მაშოდ გაადგენს თვალი და გამობრუნების დროს ოსკრით წა-  
მოიძახს:

— კიდეკ კარგი, რომ ბატონი სოფლად წაჰყავდა, თორემ, ვინ  
იციის, რა მოხდებოდა. სთქვა ეს და გოგო ოთახში შევიდა.

კვიპაყმა გააქანა ქალი, ჰაერმა დაჰკერა და მის დასუსტებულს  
ძარღვებსედა იმოქმედა. ცოტადანად გული დაუმშვიდდა ლიდიას და  
თავის მოქმედების ანგარიშის მიცემა შეიძლო, დაფიქრდა თავის სა-  
ქციელზედ და გადასწვიტა, რომ მანც და მანც ამ გვარ მდგომ-  
რობაში დაჩინა შეუძლებელიაო და საქმე უეჭველად უნდა გამორკა-  
რგეო. ამისათვის რამდენადაც კი შეიძლება, დამშვიდებით უთხრა  
პრალიოტკის მატარებელს, რომ ჩქარა წასულიყო; ცოტა სიარულის  
შემდეგ ერთს დიდ სახლთან გაჩერდნენ, ქალი ჩამოსტა, მივიდა კა-  
რებთან და დარეკილის ზარის ხმაზედ გამოსულს დედა-კაცსა ჰკითხს:

— აქ სცხოვრობს თეიმურაზ ჭმუნგარაშვილი?

— ჭმუნგარაშვილი? თავით ფეხებდმის ათვალაერ-ჩანათვლი-  
ერა ქალი დედაკაცმა და ზარმაცად დაუძატა: — ეს სახლი დიდაა, აქ  
ბევრნი სცხოვრობენ, იქნება ისიც აქ იყოს... ვინ არის ის კაცი?

— სტუდენტია.

— სტუდენტი?.. სტუდენტებიცა სცხოვრობენ... მართალია,  
მიშველ-ტიტულები, ლატაკები არიან, ფული სულ არ მოკლებათ,  
მაგრამ ჩვენ იმათი საკადრისი ოთახებიცა გვაქვს... აქ ისეთს სი-  
მალეში სდგანან, უჩვენს ხელით ჩარდახისკენ, რომ სანამ იქ აას-  
წვი, სული ღმერთს ჩაჰხარდება.

— მაშ აქა დგას?... — იკითხა დედა-კაცის ყბელობით მოთმინე-  
ბა დაკარგულმა ლიდიამ.

— აქ კი სდგას, მაგრამ იქ ასეულა გაგიჭირდებათ.

— მაგაზედ თქვენ ნუ სწუხართ... მერამდენე ნომერშია...

— ადით ჩვეთა და იქ გაიგებთ... მაგრამ მე კი გიჩვენებთ,  
რომ უბრალოდ თავი არ შეაწუხოთ... არა ღირს... სიამოვნებას  
ვერ გიჩვენებენ და დროს ვერ გაგატარებინებენ... ან რითა?.. უფუ-  
ლოდ სიამოვნება გაგონილა?

— გამალობო! — უპასუხა სიბრძნით ქალმა და ბრძანებით და-  
უძატა: — გამატარეთ.

დედა-გაბი შეკრთა, ჩამოეცალა და, როდესაც ქალმა გაიარა, თანისთვის წაიბურთებუტა:

— ვერ უფერებთ? ღატაკებთან დაეთრევა და ქალბატონობა კი მომინდომას!. ის არა სჯობდა მე წამომყოლოდა — ბელ-ეტაჟით ერთი ვაჭარი დგას, ემაწვილი, მდიდანია... ფუღს ბესესაჟით ახსენს... მაგრამ არა, სტუდენტებთან მიეხირობა... სუელელი, დამიჯერებდა — დროს გარკად გაატარებდა, — ფუღსაც ბლომად იშოვიდა... და მეც, ყოველად დავრდომილს, სწავლს მოხუცებულსაც ერთს ორს გრომს საყდარში სასათებელ სასილღის ფუღს მასოგინებდა... მაგათ სადღერძელსაც დავუკვიდი და დმერთსაც შეგებდრებდი.

ამ ხანში ლიდა ავიდა სულ წყვეთ საერთოლში, სადაც შეატყობინეს, როგორც ბებრმა ქვეით აუხსნა, სადა იდგა ჭმუნვარაშვილი. ამისათვის ქალი მესამე ეტაჟში ჩამოვიდა და ის გარები დაარახნა, რომელშიაც ემაწვილი გაბი სცხოვრობდა.

— შემოდით! — მოკიმა თეიმურაზის ხმა და ქალს ხელი აუკანკალდა, მაგრამ მინც გარები შეაღო. წყნარად შევიდა და დადგა. თეიმურაზმა მოისედა, შეკრთა და ზეზე წამოვარდა.

— გინაყნა! ლიდაა ზავლუნა!.. — გააშურა იმისკენ. — რომელს ბედნიერს შემთხვევას მივაწერო თქვენი მოსვლა?!

— გამარჯვება, ბატონო თეიმურაზ... არ მომელოდით, განა?

— სწორედ მოგასსენოთ, ქვეყნის ედაბრუნებსს უფრო ადვილად წარმოვიდგენდი, სანამ თქვენს მობრძანებას... მობრძანდით, დაბრძანდით. მიატანა თეიმურაზმა და გაუსწორა კრესლო.

— როგორც გეტყობათ, ჩემი მოსვლა ძალიან გაიშათ. — წყნარად უბასუხა ქალმა.

თეიმურაზს მოაგონდა თავისი გადაწყვეტილება, გაწითლდა და აირია.

— მიზასუხეთ, — უთხრა წყნარადვე ქალმა.

— სწორედ ვითხრა... ვერ გიშასუხებთ...

— და უნდა მიზასუხოთ კი.

— ესლა არ შემიძლიან. კვლავ... ოდესმე.

— ოდესმე?.. მერე დარწმუნებული ხართ, რომ ოდესმე ერთმანეთს კიდევ შევხვდებით?.. ან იქნება იმედოვნებთ, რომ ამისკენ დამშვიდებულს მხასავთ?

— უეჭველია... ხანი, დრო გაივლის, დაჯავიწელებით, თვალების დახრით წარმოსთქვა თეიმურაზმა, თუმცა ხმაში კანკალი არ ეტეობოდა.

— დამჯავიწელებით?.. არ ვიცი... იქნება ოჯალი რომ ვეღარა გნახავს... გადაეწვიოს, მაგრამ რა მიზეზია გამაგებინეთ მაინც.

ამ სიტყვებსედე ქალი გასწორდა და სკამის ზურგისკენ მიიტრიალა და ისე მოხვია ტალმა, თითქოს სიცივემ დაჭკრაო, თუმცა ოთახში საკმაოდ ცხელია.

— მიზეზი... მიზეზი მე თითონაც არ ვიცი...

— მაშ მე გატევიო! — ქალს თვალები ნადგურდალსავით გაუბრწყინდა: — მიზეზი ის არის, რომ მოწყენით იუკით და თავის გაართობა გინდოდით; მიზეზი ის არის, რომ მე სიასლის მიმხიდველობა დაგვარე...

ამ სიტყვების გაგონებასედე თეიმურაზ გველ-ნაკებენსავით წამოძვრა.

— ლიდას ვაგლოვნა!...

— აბა გაბედეთ უარი! გაბრაზებით წამოიძისა ქალმა.

— ლიდას ვაგლოვნა! შირ-და-შირ შესედა თეიმურაზმა. — თქვენ შემიძღარი ხართ... თქვენთან დაშორებისთანა უბედურება ჩემს სიცოცხლეში არა შემემთხვევა რა... თქვენსედე უძვირფასეს გერას დაგვარევა... ამდენი ხანია გუფს ძალას ვატან, რომ ხვეწს განშორებას შეეკვირის და გერა გამიწყვიტა... შემომსედედ და მათხართ, შემომიძიან მოგატეუოთ?.. ვიტანეები, გონება მეხეწევა, სული მეხეწევა, რომდესეც მაც ფეიქრის აუცილებლობას წარმოგადგენ, მაგრამ რა ვქნა, რომ ამოისარევი არა მატქს და სება უნებლიე თავი წამებას უნდა მივტე.

ლიდას სასე დაჭკრედელებოდა, შირში სიტევა გასწყვიტოდა და თავის ვახლათის უკანასეწელს სიტევას-და ელოდა.

— კარგი, თანახმა ვარ... წყნარად უმას-უნა ქალმა, თუმცა მღელვარებამ კინალამ დაარჩო, — მაგრამ მიზეზი მაინც არ ვიცი.

თეიმურაზი მიუასლოვდა და ოდნავ გასაგონარის ხმით უთხრა:

— მიზეზი ის არის, რომ ჩვეწ სსკა-და-სსკვა გვარტომობას გვეუთვნით და შეერთებულნი ერთმანეუთის რწმუნებას, სიწმინდეს, ღირსეულს ვატევის ვერა ვნემთ.

თუ წელან თეიმურაზი წამოაყენა ქალის სიტყვებმა, ესლას მოქმედება გამოიცვალა და ლიდია სწრაფად აიჭრა ფეხსეუდ. ქალს თვალები გაუბრწყინდა, თითქო ნაპერწკლების სროლა დაიწყო; მთლად აინთო და მრისხანედ წარმოსთქვა.

— ა-ა! მისე კგ არის მიზეზთ?.. თქვენს გგონიათ, რომ რაკი თქვენს გგონიათ ხალხს ან გვეუთენა, თქვენის გგონობის დირსუელად დაფასებას ვერ შევიძლება?.. ვერ შევიძლება თქვენთან ერთად სეღის-სეღ ჩავიდებულმა გავწიო იმ მოვალეობის უღელი, რომელსაც თქვენ ემსახურებით და ეგა გგონიათ იმისთვის, რომ თქვენი მოქმედება ხანდისხან ჩემის ხალხის სარგებლობის წინააღმდეგი იქნება?.. მოსტყუედი, მოწყაღეო სელმწიფეე, მწარედ მოსტყუედი... ლიდია პავლოვან თავის დღეში ორად არ გაყოფილა, მისა გული ერთს ვერ გვეუთება და სეუა—მეორეს!.. მაგრამ თქვენ მართალი ხართ... რაკი ეგეთი აზრი შეგიდგენიათ ჩემზედ, — ჩვენი კავშირი შეუძლებელი შექნილა... მშვიდობით, ბატონო! მდაბლად თავი დაუჭრ და წყნარის სიარულით წავიდა. კარებთან შესდგა, წატორტმანდა და თეიმურაზი მიაშველა.

— გმადლობთ! — წყნარად გაეშვებინა ქალა და დაუმატა: — ბორბიკი შემიძლიან და წაქცევა კი არასოდეს.

ამ სიტყვებით გაახურა კარი და კარგა ხანმა გაიარა, სანამ თეიმურაზ გონს მოვიდოდა.

(შემდეგი იქნება)



# გათახსნირაგული

მოთხრობა

ლუიჯი კაბუანისა

II

უყვარდა ის ქალი. ისე უყვარდა, როგორც უყვართ პირუტყვი, თუმცა იცოდა, რომ არამც თუ სიყვარულისა, არამედ შებრალების ღირსიც კი არ იყო.

— მიყვარს ის ქალი!

ამის მეტს არას არ ამბობდა. როცა მამა შიგ პირში მიანხლიდა ხოლმე შეუბრალებელის სასტიკობით, იმ სასტიკობით, რომელიც სჩვევია მოხუცებას, თავზედ ლაფს რად ისხამო, ჯიოვანი დახრიდა თავს, გაფითრდებოდა, გაყვითლდებოდა და ჰგრძნობდა, რომ სული ყელში ებჯინებოდა სიბრახით. ჯიოვანს გული მისდიოდა, ბოლმა აღრჩობდა, მაგრამ იმ ქალზედ კი არა, მამაზედ მოსდიოდა გული.

— გაჩუმდი! — უთხრა ერთხელ მამას: — გაჩუმდი, თორემ თავს მოვიკლავ!

— მოიკალი! — უპასუხა მოხუცმა: — ეგ უკეთესი იქნება შენთვის, მთელის ჩვენის ოჯახისათვის, ჩვენის პატიოსანის სახელისათვის.

მაგრამ ჯიოვანმა თავი არ მოიკლა, იმიტომ კი არა, რომ გაბედულება აკლდა. კაცი ნება-ყოფლობით ჯარსა და ლაშქრობაში იყო. ნამყოფი და სიკვდილს თვალით უცქეროდა, მა-

გრამ არც ერთხელ შიში არ უგრძენია. იმიტომ არ მოიკლა თავი, რომ ვერ მოჰშორებოდა იმ ქალს; ვერ მოჰშორებოდა მაშინაც კი, როცა უსირცხვილოდ პირში მიახლიდა ხოლმე: „რას ჩამცივებინარ და თავს აღარ მანებებ? გაიგე და შეიტყე, რომ შენ ჩემთვის საჭირო არა ხარ!“

ამ დროს თვალები მოუწყლიანდებოდა ხოლმე ჯიოვანს, მუხლთ ეკვეთებოდა. იმ ქალის ხმა გულის სიღრმემდე შეარყევდა ხოლმე; ეშხი მისის ცისფერის თვალებისა, რომელიც ჯიოვანის ზიზღით იყო აღსავსე, სწვავდა ნეტარებითა; იმისი კვიპაროზივით მოყვანილი, შეკოკრებული ტანი, რომელიც ირხეოდა და თრთოდა გულის-თქმითა და ვნებათა-ღელვით დიბა-ატლასის კაბის ნაოჭებ ქვეშ, იმისი ოქროს ფერი თმა, რომელიც ყვითლად ციმციმებდა, იმისი ვარდის ფერი ბაგენი, მუდამ ნამ-მოკიდებული კოცნა-დაკონებისაგან, — ყოველივე ესე ავი-ეებდა, ჰხიზლავდა, ჰრყენიდა ჯიოვანს.

ისიც საკმაოდ მიაჩნდა, რომ ამ სიტურფის გვერდთ იყო. თან და თან უფრო თავს იმცირებდა და ჰკარგავდა ადამიანობას. ისე იქცეოდა, ვითომ ვერაფერს ვამჩნევო, თუმცა საშინელი წყურვილი კი სწიწნიდა მის გულ-გვამს: უნდოდა შეეტყო ყოველივე, თითქო იმიტომ, რომ გავიგო, გავითვალისწინო, რაოდენად საშიშია ის უფსკრული, რომელიც მზად არის ჩაჰყლაპოს და შეიწიროს ჩემი გონება, ჩემი გული და თვითონ მეც გადამაქციოს პირუტყვადაო. და მაინც ყოველ ახალსა და ახალს შერცხვენასა და თავზედ ლაფ-დასხმის შემდეგ უფრო უძლურდებოდა, უფრო მცირდებოდა და სტიროდა... იმ ქალისთვის.

— ალბად ჯიმშია, ალბად უჯილაგო აგებულებაა მიზეზი, რომ ასეთს უსაქციელობას მისდევს, ასეთს ღაფსა და ტალახში იფხუზნება! — აიჩემა ჯიოვანმა. საწყალი! ჰგრძნობს, ნეტავ, რა საზარელს, რა ბოროტს საქმეს ადგია? რასაკვირველია, არა ჰგრძნობს! ცხადია, რომ თავის თავსა ვნებს უფრო! ლამის ჯანი გაუტყდეს და დასნეულოდეს. როცა გაუვლის ეს ატაცება, ეს უცნაური თამაში სისხლისა და ძარღვებისა, კვლავ ჩემთან,

დაბრუნდება ისევ ისეთივე კეთილი, მოსიყვარული, როგორც იყო წინად, როგორც იყო პირველს ხანს ჩვენის ჯვარის-წერისას...

მაშინაც მათმა ბედნიერებამ მხოლოდ რამდენსამე თთვეს გასტანა. აგერ ორი წელიწადია უკვე მას უკან და ჯიოვანს ერთს დღეს არ დამშვიდებია გული, ერთს სააზს არ მოუსვენნია: სულ შიშშია, სულ თრთის და კანკალებს, ხელ-ჩაჭიდებული იმ ქოჩქოჩანათი, რომელმაც ჩაიყოლია და ჩაიხვია მისი ცოლი...

პირველად ჯიოვანს გონება დაებნა, არა სჯეროდა, გულის-წყრომას ეძლეოდა; მერე ტანჯვამ მოსტეხა, თითქო დააჩლუნგაო; ბოლოს ქედი მოიღრია, ბედს დამპირჩილდა, სრული დამცირება იკისრა, თითქო გადაყრუებული ქოფაკიაო, რომელიც პატრონს აღარ უნდა, და რომელიც ხაფხაფებს მაინც კარებთან, საიდანაც ის-ის კი იყო გააგდეს.

ცოტა გაწყდა, კინაღამ ისიც არ მიბეგვეს ერთხელ, როცა დაშლა დაუწყო ვირჯინიას, ნუ წახვალ აქა და აქ სადარბაზოდაო. ვირჯინიას იქ წასვლა ძრიელ საინტერესოდა აქვსო; ეგონა ჯიოვანს და, რაკი აგრეა, არ გაუფშვებო. ცოლ-ქმარნი სასტუმრო ოთახის კარებში შეჰხვდნენ ერთმანეთს; ვირჯინია ახლა უფრო ჰშვენოდა, ვიდრე ოდესმე, სახე გაატლასებოდა, ისე იყო აღგზნებული; შავი სადა აბრეშუმის ზედა-ტანი ზედ დაჰკლომოდა მის გულ-მკერდსა და მხარ-ბეჭსა. გეგონებოდათ საბერძნეთის ქანდაკებაო; გულ-მკერდი მღელვარებით აუდიოდა და დაუდიოდა; თვალეები უბრწყინავდა ნახევრად ჩამოფარებულ რიდეს ქვეშ. ჯიოვანმა შეატყო, რომ ჩემი აქ ყოფნა სწყინს, აჯავრებს, ხოლო მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მაინც წასვლაო; შეატყო ესა და იგრძნო, რომ ექვმა ხანჯალივით დაუარა გულში.

— ნუ მიდიხარ! — უთხრა ათრთოლებულის ხმით.

ქალმა მხრები შეათამაშა და სარკეს წინ შესდგა შლიდა. პის გასასწორებლად.

— ნუ მიდიხარ!

— რატომ?

— იმიტომ... რომ მე არა მსურს!

„არა მსურსო!“ დიდად ძალა დაატანა თავს ჯიოვანმა, რომ ეს სიტყვა წარმოეთქვა. მაგრამ ვაი, რომ, წარმოსთქვა თუ არა, საშინელის დაცინვით და ზიზლით გადინახარხარა ვირჯინიამ, წამოავლო ქოლგას ხელი და წასასვლელად გაემართა.

— ვირჯინია!

— ხომ არ გაგიჟდი!—სთქვა ქალმა, რაკი შეამჩნია, რომ ხმა აუმაღლა ჩემმა ქმარმაო.

დიად! ჯიოვანი ჰგრძნობდა, რომ ქკუაზედ იშლებოდა, როცა მისი ცოლი ისეთის გულ-დამშვიდებით გაემართა კარებისაკენ, თითქო აქ არაფერი ამბავიაო. ჯიოვანი სასწრაფოდ გაექანა კარებისაკენ და გზა გადუღობა.

ვირჯინია შესდგა განცვიფრებით და თვალი თვალში გაუბნია; მერე გადასდგა ერთი ნაბიჯი წინ.

— ჩამომეცა!—სთქვა მან ყრუდ,—ჩამომეცა გზიდან!

ჯიოვანი იდგა უძრავად და თვალებით ევედრებოდა, ნუ წახვალო და ხმას კი ვერ იღებდა.

— ჩამომეცალე-მეთქი!—განიმეორა ქალმა და ქოლგა მოუღერა; თან ქვემო ტუჩს იკენეტდა და მრისხანებით შეეჭყურებდა.

ჯიოვანიც ჩამოეცალა, ნება მისცა წასულიყო და ისე შეერთა, როგორც ბავშვი; ამოუჯდა გული და ბავშვზედ უარესად დაიწყო ტირილი. სცხვენოდა, ასეთი სუსტი როგორა ვარო და უკვე ჰნანობდა, ნეტავ ღმერთი გამწყრომოდა, წინააღმდეგობა არ გამეწია და უარესად არ გამეჯავრებინაო.

## II

ჰმ, სიცოცხლე გაქვთ, ვირჯინიამ კარგად იცოდა, რომ ყველაფერს ადვილად აკადრებდა თავისს ქმარს!

როცა ეს ქალი, კოპწია ვით ჯეირანი, ერთს სააღერსო სიტყვას აღირსებდა და ისე გადუგდებდა, თითქო მოწყალეობას

აძლევსო, ანუ როცა ნებას მისცემდა დაეკონა მისნი ბაგენი, ჯერ ისევ კიდევ ცხელნი სხვის კოცნითა, ჯიოვანი ივიწყებდა ყოველსავე, მზად იყო შეენდო ყოველივე, ისე მოჰხიბლავდა ხოლმე ეშხი მისის ცის-ფერი თვალებისა, აღერსი მისის თეთრისა და ნაზის ხელისა, რომელსაც ისე აუარათოლებლად უსვამდა მის თმას, თითქო გულ-უბრყვილო და ყოველად უმანკო ცოლის ხელი არისო.

— ეს სულმდაბლობაა! მაგ საშინელმა დედაკაცმა მოაჯადოვა ის კაცი! — ამბობდა დედა.

მოხუცს ადამიანს სოფლური ცრუ-მორწმუნოებანი შერჩენოდა კიდევ და ამიტომ საიღუმლოდა სთხოვა პატრსა, აკურთხე და განათლე ჯიოვანის ტანისამოსი, იქნება ჯადო-ქარი მოჰშორდესო. მაგრამ წმინდა წყალმაც ვერა გააწყო-რა და საცოდავი დედაკაცი სწყევლიდა იმ წუთსა და იმ საათს, როცა იმანა და მისმა მოხუცმა გადასწყვიტეს, მილანში გადაესახლდეთ, რომ უკეთ მოვაწყოთ ჩვენის ერთად-ერთის შვილის საქმე სამსახურშიო. უფრო იმასა სწუხდა საწყალი, რომ თვითონაც ძლიერ უნდოდა ის ქალი რძლად, მაშინ როდესაც მისი ქმარი დიდს უარზედ იყო და ამბობდა, მე მაგისთანა ლამაზისა და გაბრწყინვალეხულის რძალისა არა გამეგება-რაო, სრულიად არ შეეფერება ჩემის შვილის, როგორც ეტყობა, ჩვილს ხასიათსაო. ეს იყო მიზეზი, რომ ჯიოვანის დედა ხმას ვერ იღებდა და იყო საცოდავად გაჩუმებული; როცა მოხუცი მამა შვილს აყვედრიდა მისის ცოლის სამარცხვინო უსაქციელობას. საწყალს ჯადმიანს კინაღამ სული ამოუფიდა შიშით, როცა მოხუცი გასწორდა წელში, აიღო მალლა თავი, ძალზედ გაჭაღარავებულის და გათეთრებულის თმით მოსილი, და რისხვით ეუბნებოდა შვილს: მოიკალ თავიო! და ისე კი თრთოდა, თითქო მოსამართლეა და სიკვდილით დასასჯელს განაჩენს უკითხავსო.

მას დღეს აქეთ, საცოდავი კაცი სულ ორჯელ-სამჯერ თუ მივიდა მშობლებთან, მივიდა ისიც მაშინ, როცა იცოდა, რომ მოხუცებული მამა სახლში არ დაშხვდებაო. მისდა თანაგრძნობით საესე ლაპარაკი დედისა ამშვიდებდა, ესაღბუნებო-

და მის გულს. ასე თუ ისე, დედა სცდილობდა მის გამართლებას, არ ეუბნებოდა: თავი მოიკალიო! სასტიკის სიტყვებით არ იხსენიებდა იმ უბედურს ქალს, რომელიც, სხვა არა იყოს-რა, ჩემს სახელს ატარებდა!

— ჩემის აზრით, დედა, ეგეც ისეთი ავადმყოფობაა, როგორც ყოველი სხვა ავადმყოფობა, — გულ-წრფელად არწმუნებდა ჯიოვანი თავისს დედას. როცა იქნება, ვირჯინია უნდა განიკურნოს, უეჭველად განიკურნება.

რაკი ჰხედავდა დედა, ჩემი შვილი ასე გულ-დამშვიდებულად და თავის ბედის მორჩილი, თუმცა დიდად სწუხს თავისს უბედურებასაო, ვეღარა ჰხედავდა გაეძევავენბინა, რომ დღე და ღამ ღმერთს იმას ევედრებოდა, გამოასალმოს როგორმე წუთი-სოფელს ეგ ჯოჯოხეთი დედაკაცი, რომელიც ასე აუბედურებს ჩემს ნაშობს ძეს, ჩემს სისხლსა და ხორცსაო.

მისთვის ისევე ის ბავშვი იყო ჯიოვანი, ეს ოც-და-ათის წლის ვაჟკაცი, ეს ნიჭიერი ხელოთ-მოძღვარი, რომელიც ყველას ისე ძლიერ უყვარდა იშვიათის გულ-კეთილობისათვის. თუ შეამჩნევდა, დიდად სწუხს და დიდს ტანჯვაშიაო, მოხუცი დედა გულში ჩაიკრავდა ხოლმე თვისის შვილის ლამაზს, ოდნავ თმაში ქალარა-გამორეულს თავს და ისევე უღალერსებდა, როგორც უღალერსებდა ხოლმე ოდესმე ყოველ იმ შემთხვევაში, როცა მამა დაუწყებდა ჯავრობას რაიმე ყმაწვილურის ცელქობისათვის. ახლაც, დედა-შვილური გრძნობა, დედის ნაზი გული სძლედა ყოველსავე და მოხუცს მტკიცედ სწამდა, რომ ბოროტმა და მავნე სულმა მოაჯადოვა ჩემი შვილიო.



ამასობაში ის უბადრუკი თავისას არ იშლიდა და ითხოვნილობდა ლაფსა და ტაღახში. აეღო მალლა თავი, იღიმებოდა უღარდელად და არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. რაკი ქმარი ისეთის სუსტი ხასიათისა ჰყენდა, ტყუილების თქმაც ალარა სჭირდებოდა. ახლა თვლა აღარც კი ჰქონდა იმის მოტრ-

ფიაღეთა და მიჯნურთა გუნდს; არჩევანშიც კი აღარ შედიოდა და წუნს აღარავისა სდებდა: ვინც ხელში მოხვედებოდა, ყველა გამოსადეგი იყო მისთვის. რაღაც უცნაურის ინადით იყო გატაცებული, რაღაც უცნაური ავზნისობა და ფანტაზიები არ ასეენებდა: ათასში ერთხელ, თითქო სხვა-და-სხვაობისათვის, ისეე ქმარს დაუბრუნდებოდა ხოლმე ჟამსა დალილოობისა და მოყირჭებისასა. და მაშინ დადგებოდა ხოლმე მშვიდობიანი, ტკბილი დრო, რომელიც დიდს ბედნიერებას ანიჭებდა საცოდავს ჯიოვანს.

— ვამბობდი ხომა, რომ განიკურნება-მეთქი!—ფიქრობდა გულში ჯიოვანი.

მოჰყვებოდა ახლა ფიქრ-ოცნებას ბედნიერ შეყვარებული-ვით, ვარაუდობდა, სადა-და-სად ვიმოგზაუროთო, სად ვიცხოვროთ საზაფხულოდ, რომ მოვაშორო ქალაქის ჰაერსაო. უეჭველია, ამ ჰაერის ბრალი უნდა იყოს, რომ აგრე აქვს ძარღვები აშლილი და თითონაც აგრეა ხოლმე აღეწილი და გააღმასებულოო.

— წავიდეთ ნიცას!—ეტყოდა ჯიოვანი.

— არა, განმარტოებული ადგილი სჯობიან, სადმე მიყრუებულს კუთხეში, გენუას მხარეს,—უბასუბებდა ახლა ის მოქანცულის, ჯან-დასუსტებულ ადამიანის ხმით.

— ძალიან კარგი, გენუასკენ წავიდეთ!

ჯიოვანი არც კი ცდილობდა, გამოეძია და შეეგნო, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ასეთის მოულოდნელის ცვლილებებისა. აგებულობის საიდუმლოებააო! ამბობდა და დასდევდა ფეხ-და-ფეხ ცოლს ოთახიდან ოთახში ხმა ამოუღებლივ, მორჩილებით; ჰშველოდა, როცა მეუღლე მისი ალაგებდა და ასუფთავებდა სხვა-და-სხვა ავეჯს, სწორედ ისე, როგორც იმ დღეს, როცა ის-იყო ჯვარი დაიწერეს და სამგზავროდ ემზადებოდნენ ქორწილის შემდეგ.

ცის-ფერი ქიშმერის კაბა ეცვა, თეთრის აბრეშუმის ძაფით ნაკერი, თმა ოქროს ტალღასავითა სცემდა მხრებზედ. ამ დროს ვირჯინია ჰგვანდა ყოვლად უმანკო არსებას, განუსაზღვრელად



მშვიდსა და წყნარს, მეტადრე როცა თვალეზი მიეზნიდებოდა და სუბუქი ნაღვლიანობა დაეტყუბოდა მის პირისახეს. ჯიოვანი ჰგრძნობდა, რომ სულ ღნებოდა, იწვოდა ფერხით თხემამდე. მიიარდა ქალს და გაგიჟებით დაუკოცნა ყელ-ყური, კისერი, სწორედ დედოფლის კისერი, რომელსაც ნაზად მოჰშორებოდა ქერა, ჩაღის-ფერი თმა და თეთრად გაქათქათებული საყელოს არშია; მზად იყო, ვგონებ, კბილები ჩაეყარნა შიგ ყელში, რომ არა ჰშინებოდა ვაი თუ ეტკინოს და განჰქრეს მამხიბლველი ზმანება, რომელმაც, მინდა, დიდ ხანს გასტანოსო.

## IV

ამისთანა მშვიდობიანი დღენი,—სახლში ყოფნა დილიდან საღამომდე, მზადება და ფუსფუსი და მერე დასვენება დიდს ხანს სასტუმრო ოთახის რბილს სავარძელში, ან ყურება ფანჯრებიდან, რომელიც პრინც ჰუმბერტოს მოედნისაკენა ჰქონდა სახლს,—ყოველივე ესე სიზნარივით-ღა დარჩებოდა ხოლმე ჯიოვანის გონებაში, რადგან, მამის წინასწარმეტყველებისამებრ, მალე ჰქრებოდა ისევ ეს მოხიბვლა, ეს ჯადოქრობა. მოხუცებულს აღარა და აღარ ასეენებდა შვილის გარემოება.

— არა, როგორ უნდა ითმენდეს ჭკვიანი კაცი, ნამდვილი ხელოვანი ოსტატი თავისის საქმისა, რომ ფეხ-ქვეშ სთელავდეს ჭუჭყიანის ფეხ-საცმელებით ვიღაც სალახანა დედაკაცი, რომელიც მარტო იმას ეტანება, რომ წუმვში სტოპოს და ძლივს-ღა ოდნავ იმაგრებს თავს ფარისველობით, რათა საქვეყნოდ არ შერცხვეს და თავზედ ლაფი არ დაესხას.

— რა ვქნა და რა წყალში გადავარდე? მაგან დაიპყრო მთლად ჩემი არსება; ეგ არის ბატონი, ხელმწიფე—ჩემი, ჩემის სულისა, ჩემის სისხლისა! რა ვქნა და რა ქვას ვახალო თავი?

როცა გაიგო, რომ ვირჯინიამაც იპოვნა თავისი მბრძანებელი და ახლა კი იკადრა მობუზვაო, გაგიჟებით ველარ დაბზრიალდესო, რომ ახალი ბატონი მარჯლა მტარვალივითა უფლობს და ისე უჭირავს ხელში ის ქალბატონი, როგორც წმი-

ნდა სანთლის ნაჭერი, რომელსაც, როგორც უნდა ისეთს ფარმასა და სახეს მისცემს თვისის თბილის თითებითაო, ჯიოვანი ცას დაეწია სიხარულით, თითქო რაიმე ბედნიერებაში ჩაყარდნილაო. ჯიოვანი მადლობელი იყო იმ მახინჯის, იმ გაძვალ და გაშავ-ტყავებულ ქონდრის კაცსა, რომელსაც მეტად სასაცილო ცხვირი დასკუპებოდა სახეზე, თავი ხომ ისეთი მოლოპრილი ჰქონდა, თითქო კვახაო, რომელიც ყოვლად საუკეთესო ტანისამოსს იცვამდა, მაგრამ მით მაინც თვისსა სიდუხჭირეს ვერა ჰმალავდა,— აი ამ კაცის მადლობელი იყო, იმიტომ რომ ამ კაცმა დროებით მაინც შეაწყვეტინა მისს ცოლს აღვირ-აშვებული ცხოვრება. დახეთ სადამდე მივიდა ჯიოვანი!



ქალი კი ნეტარებაში იყო, რადგან ჰგრძნობდა, რომ სრულიად დაიმორჩილა და დაიმონა ამ მახინჯმა და მიიმახმა კაცმა, რომელიც ახლა ყოვლადის უგულვებელ-ყოფით და გულცივობით ექცეოდა; დარწმუნებული იყო, რომ იმის ხელიდან ველარსად წავიდოდა. და, როცა შემჩნედა მცირედიც არის, წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ჩემს მტარვალურს ინქერებსაო, დამეუქრებოდა, ბევრს ლაპარაკს არ მოგიყვები, ავდგები და მივანებებ თავსაო; მაშინ კი ვირჯინია გულს ამოისკენდა ხოლმე და სულ მდულარებას აპნევდა. რომ ებრძანებინა ვარჯონისათვის, ჩემი ჩექმები უნდა ჰლოკოვო, დაეცემოდა იატაკზედ და დაუწყებდა ლოკვას; თავსაც მოიწონებდა ამ თავის დამცირებით, — ესოდენ ძლიერმა და ჭეშმარიტმა ვნებამ შეიპყრო ვირჯინია, და შეიპყრო პირველად, შეიპყრო ისეთმა ვნებამა და გულის თქმამ, რომელიც ნაღმის მზგავსად იფეთქამს ხოლმე ჩვენის აგებულების სიღრმეში.

იმის გულისათვის, იმ დუხჭირის გულისათვის მივიდა ერთხელ ვირჯინია ქმართან, მივიდა ლამაზი და უსირცხვილო, თითქო ხასა და საყვარელიაო, მივიდა ყოვლადის სინაზითა, რომელიც დაეტყობოდა ხოლმე მისს ხმას, როცა კი ისურვებდა,

მოვიდა თავისის მშვენიერის ტანადობის ყოვლადის მომხიბლველობითა, გასხივცისკროვანებულ ცის-ფერ თვალებითა, სინგურიეთ ტუჩებითა, რომელიც სისხლს აუღუღებდა და აუჩუხჩუხებდა ხოლმე იმ იშვიათს სანეტარო დროს, როდესაც მოახერხებდა და დაეკონებოდა ხოლმე იმ ტუჩებს.

უკვე რამდენიმე დღე იყო, როცა ვირჯინია მეტის სინაზითა და სიყვარულით შესციცინებდა თავისს ქმარს. ერთხელ-ორჯერ მის კაბინეტშიაც შეიხედა, როცა ჯიოვანი მარტოდ მარტო იყო დიდრონ სტოლებ შორის, რომლებზედაც მრავლად ეყარა ნახაზებ-ნახატები, კარანდაშები, ფარგლები, ბეწვის ყალმები, პაწია ქილები ჩინურის შავის სამხატვრო წამლითა. ვირჯინია შესდგა კიდეცა და შეჰხედა თავის სურათს, რომელსაც მშვენიერი ოქროს ჩარჩო ჰქონდა. ამ სურათს სასოწარკვეთილებაში მოჰყვანდა ხელოვანი ოსტატი, როცა ჰხატავდა და ბოლოს გადიქვა გვირგვინად, ნამდვილ *chef d'oeuvre*-ად მის სხვა სამხატვრო ქმნილებათა შორის. თეთრ-ყირმიზას ქალის სურათი ცხოვლად სჩანდა ამ ხელოვან ქმნილების ნაცურის-ფერ ადგილზე, რომელსაც შემოჰხვევოდა გარშემო რკა-გრძელი და თხელი ვაზი; რამდენიმე მწვანე ფოთოლი და ცისფერი ყვავილი ლამაზად ამშვენებდა სურათის მეორე ნაწილს.

ორჯერვე ვირჯინია როგორღაც გაუბედავად შევიდა, ვერ მოახერხა ეთქვა, რისთვის მოვედიო, როცა ჯიოვანმა ჰკიოხა, ხომ არა გინდა-რაო; მიიარ-მოიარა სტოლებ შუა ნელ-ნელა, შეჰხედა ოდნავ სურათებს თვალების მილუღვით, ჰკიოხა რაღაც ორიოდე სიტყვა და უკანვე გამოვიდა.

— გინდა რამე? — არ იშლიდა თავისას ჯიოვანი და მისდევდა უკან, ვიდრე კარებამდე მიაცილებდა.

— არაფერი, — უპასუხა ქალმა. მინდოდა... მინდოდა გამეგო მხოლოდ, მარტო იყავ თუ არა. იმის წასვლის შემდეგ ოთახში მოიფინებოდა ხოლმე ისეთი საამო სურნელება ქალის იქ ყოფნისა, რომელიც ათრობდა, თავ-ბრუს ასხავდა და მოსვენებს აღარ აძლევდა ჯიოვანს.

სამიოდე დღის შემდეგ კიდევ მივიდა იმ დროს, როცა ჯიოვანი წასვლას ეპირებოდა რაღაც დიდის საქმისათვის.

— გამიგონე, — დაიწყო ქალმა, თან ხელეში დაუჭირა და პირდაპირ თვალებში შესცქეროდა თავის ჯადოსანის თვალე-ბით, — უარს ხომ არ მეტყვი?

ჯიოვანმა იგრძნო, როგორ მოღბა და დადნა მთლად მისი არსება და იძულებული შეიქმნა წაეფლო ხელი პირველისავე სკამისათვის და ჩამოძვდარიყო ზედ; ქალს თავი დაუქნია, ნიშნად თანხმობისა, და ელოდა, რომ ეთქვა, რაც უნდოდა. ვირჯინია კალთაში ჩაუჯდა თავისს ქმარს.

— გამიგონე, — დაიწყო კვლავ ქალმა... რაც გინდა, ის მომთხოვე. როგორც შენი ნება იყოს, ისე მომექეცი... აღარას გაწყვეინებ ამას შემდეგ... უგუნური ვიყავ აქამდე! ვიცი მაპატივებ, შენ ხომ მეტად გულ-კეთილი ხარ!... სამი ათასი ფრანკი მინდა, დღესვე... ორ საათს შემდეგ!... ნუ მეტყვი უარს!... მკერვალია... ნისიებია, რამდენიმე თამასუქია... ხომ მიხვდი?

ჯიოვანმა, რასაკვირველია, უარი არ უთხრა?

ჯიოვანი შეჰყურებდა ქალს ხმა-გაკმენდილი, გაკვირვებუ-ლი ასეთის თხოვნით, რომელსაც, კარგად იცოდა, ისე მალე ვერ შეუსრულებდა, როგორც იმას უნდოდა. ხოლო უარი ვუ-თხრა და როგორ ვუთხრაო? ძლივს შემთხვევამ ქალი ჩემსკენ მოახედა, ჩემსკენ მოაუბრუნა გული და მეორედ იქნება-ლა კი-დევ ამისთანა შემთხვევა?

ეს ფიქრი სწავდა და სდაგავდა ჯიოვანს.

ვირჯინია ჩამოჯდა სკამზედ სულ-განაბული, გაკმენდილი და თვალს ადევნებდა ქმარს, ვიდრე ის სჩხრეკდა ყუთს ოთახის ერთს ბნელს კუთხეში. როცა ჯიოვანი დაბრუნდა და თან სთვლი-და ბანკის წითელ-ყვითელ ბილეთებს, ვირჯინია მოეხვია ყელ-ზე და შუბლზედ აკოცა. ჯიოვანს უნდოდა ლაპარაკი დაეწყო, მაგრამ ქალმა ნაზად დააფარა პირზედ ხელი.

— ბოდიშის მოხდას ხომ არ აპირობ, რომ მეტს ვერ მა-ძლევ?

და ქალმა ბილეთები ჯიბეში გააქანა; თვალები უცნაურის კმაყოფილებით უბრწყინავდა, მღელვარებისაგან ხელები უთრთოდა, გაატლასებული ლოყები ეწვოდა, ტუჩები ეკუმებოდა და თავის-თავად უთამაშებდა, რაკი ჰგრძნობდა, რომ გავიმარჯვეო.

## VI

მიდიოდა ჯიოვანი ქუჩა-ქუჩა და სცდილობდა მოეშორებინა თავიდან მომაბეზრებელი ეჭვი, რომელიც ბუხის ბზულივით უჭედავდა ყურებს იმ წყეულ სამი ათას ფრანკის მოგონებაზედ.

— პირველად მთხოვეს ქალი ფულს და მეგრე ისიც რანაირის კილოთი მთხოვეს! შეიძლებაოდა განა უარი მეთქვა?! ვინ იცის!.. ვირჯინია ურიგო დედაკაცი არ არის; ღვთის წინაშე, არ არის ცუდი დედაკაცი. ვინ იცის, იქნება უკეთესი ხელმძღვანელობა რომ გამეწია!.. ამ ხანად კი განკურნების ნიშნები ექვ გარეშეა...

ჯიოვანი იღვრებდა ყელს, თავს მალლა იღებდა და სცდილობდა თავისუფლად შეესუნთქნა მყავ-მზადით საესე ჰაერი საჯარო ბაღისა, რომელიც სასიამოვნო სანახავი იყო იმ დროს თავისის მაგნოლიებით, ღიბანის ნაძვით, ყვავილთ უბნებით...

რა ბედნიერი იქმნებოდა, რომ შესძლებოდა და მაშინვე უცბად ჩაეღო ხელში მისთვის ის სამი ათასი ლირი! მაგრამ არა უშავს-რა, ჯიოვანმა კარგად იცის, საცა უნდა იშოვნოს დანარჩენიცა; ამ საქმის გამო სრულიად გულ-დამშვიდებული იყო.

ის ჟუჟუნა ცის-ფერი თვალები და სქელი ქერა თმა უფრო მეტს უშუქსა და ნააელსა ჰფენდა მის გულს, ვიდრე ცხრა-თვალი მზე—მწვანედ აბაზინებულს პატარა ველ-მინდვრებს და ნაცრის-ფერის მტვრით მოდებულს გზებს. რაღაც ჰგალობდა მის გულში უფრო ტკბილად, ვიდრე ის ფრინველნი, რომელნიც ჰიკიკებდნენ წაბლის ხის ტოტებ შუა მოკრიალებულ წმინდა ჰაერზედ.

უნდოდა აჩქარებულიყო, მაგრამ თავს იმაგრებდა. არა უშავს-რა, მოიცდისო! ჯერ დავსტკბები კარგად იმ ბედნიერებით, რომელმაც ასე უეცრივ, როცა თითქმის სრულიად არ მოველოდი, ავსებით აავსო ჩემი გულიო.

მიდიოდა Corso Venecia-ს ქუჩაზე და განგებ შესდგებოდა ხოლმე მალაზიების წინ, ათვალიერებდა სურათებს, ოქროს თევზებს, რომლებიც მხიარულად დაცურავდნენ ძეხვების დუქნის პატრონის პატარა აკვარიუმში, უყურებდა ხალხს, რომელიც ზოგი აქედ მიეშურებოდა და ზოგი იქით, ათვალიერებდა ეტლებს, ომნიბუსებს, ქალაქის ცხოვრების ფაცი-ფუცსა და დაუწყნარებელს დუდილს, მაგრამ მინც მისის გულის აჩქარებული ბაგი-ბუვი ვერამ დააწყნარა.

## VII

საჩქაროზედ აირბინა ჯიოვანმა თვისის სახლის კიბეზედ და თან მაგრად უქერდა ხელს დანარჩენს ათას ხუთასს ლირს, რომელიც მეგობრისაგან ისესხა. სასტუმრო ოთახიდან შემოესმა კაცის ხმა და უცბად შესდგა; მერე ფეხ-აკრეფით მიიპარა მეორე ოთახის კარებთან, რადგან იქიდან უფრო კარგად გაიგონებდა ყველაფერს და დანახვით კი იქ უფრო ვერ დაინახავდნენ.

გულმა ტკივილით დაუწყო აჩქარებული ცემა და ფანცქალი ჯიოვანს, როცა კარის კლიტეში გაიხედა და დაინახა თავისის ცოლის უსახური, უმზგაჟი მეგობარი, რომელსაც ჩაეწყო ხელები ჯიბეებში, აეღო მალა თავისი უშველებელი ცხვირი და ისე სცემდა ბოლთას ოთახში; ვირჯინია იჯდა სავარძელში, ლაპარაკობდა რაღასაც და ნეტარის თვალებით შეჰყურებდა თავისს საყვარელს კაცს. ის კი პასუხის მაგიერ მხრებს იმშუენიდა, იმანჭებოდა უმზგავსად, არას არ უჯერებდა ქალს, შეჰყურებდა ზიზლით და ისე ებუსხუნებოდა, თითქო ბატონია და არ უნდა ერთი სიტყვა აღირსოს თავისს მხვეალსაო.

ჯიოვანს თვალეზი აუჭრელდა, ყურებზა ბუბუნი დაუწყო... იმ წუთს ჯიოვანი იმას კი აღარა თქრობდა, ასე შემარცხვი-ნეს კაცი და თავზედ ლაფი დამასხესო; ის იმასა სწუზდა და ჩი-ოდა, ასე როგორ იმდაბლებს ეგ ქალი თავს ამ საზიზღარის კა-ცის წინაშე, რომელიც ღირსია, რომ ჩასცხოს თავისის ფეხსა-ცმელის ქუსლი და ისე გასრისოს ფეხ ქვეშაო. და როცა დაი-ნახა, რომ იმ მახინჯზა წაპგლიჯა ხელიდან ქალს ბანკის ბი-ლეთეზი, გადასთვლა საჩქაროზედ, შემოარტყა ყბაში და მერე ამართა ხელი და უნდოდა ხელის-კვრით გადაეწყვეტებინა, ჯი-ოვანს ისე მოეჩვენა, თითქო თვითონ მე მცემენ თავ-პირშიო. გულში თითქო რაღაც ჩასწყდა.

სალახანამ ვერ მოასწრო გაქცევა, როცა მოესმა საშინე-ლი ჯახუნი, რომელმაც კინაღამ სულ დანაქუქა კარები. ხო-ლო ვირჯინიამ წაივლო თმაში ხელები და იდგა გაშემებული, სრულიად გონება-დაკარგული; ვერც-კი დაიკვილა, ისე სახტად დარჩა, ისე გაშრა და დაშტერებოდა. ორის აღდამინის გვამს, რომელნიც, როგორც გველნი, ისე ჩაპგრეხოდნენ ერთმანეთს და იწკნელებოდნენ ძირს ხალიჩაზედ, საშინლად წაკიდებულნი და ერთმანეთს ჩაფრენილნი. ჯიოვანზა ჩასქიდა თავისი ფოლა-დივით მაგარი ხელები ქონდრის კაცს და ისე გათანგა, რომ სავატობა აღარა ჰქონდა; ისმოდა მხოლოდ განწირული ყვირი-ლი, მაგრამ ჯიოვანი მაინც ხვედასავით სცემდა მუშტს და უსი-სხლიანებდა თავ-პირს.

— ჯიოვანე! ჯიოვანე! — ლულულულებდა ვირჯინია ისე, თითქო ირჩობაო. — ნუ, ჯიოვანე, ნუ!

ხოლო ჯიოვანზა ყურადღებაც არ მიაქცია, ვიდრე არ იკრძნო, რომ ის სალახანა გაიგუდა სრულიად და ტომარასა-ვით უძრავად გაიშხლართა იატაკზედ.

ცოცხალ-მკვდარზა ვირჯინიამ ნება მისცა ქმარს, რომ ხე-ლი წაეელო მისთვის. მოთხუზნული და ტანისამოს-შემოფხრე-წილი ჯიოვანი, რომელსაც უცნაურად გაშტერებოდა თვა-ლები, უცბად დამშვიდდა, თითქო შერცხვა, ეს რა უკადრისი საქმე მოვიქმედო, და უკვე სულ სხვა გუნებაზე დადგა.



— გახსოვდეს, ქალბატონო! — სთქვა მან, ჰკრა უზრდელად ხელი ვირჯინიას და შეაგდო მეორე ოთახში: — თუ კიდევ მოგიქმედნია ამისთანა საქმე, ისე ჩაგკლავ, როგორც ცოფიანს ძაღლს! პატიოსანს სიტყვას გაძღვე, რომ შიგ გულში დაგცემ თოფს!

### VIII

და აი როგორ მოხდა ვირჯინიას გონება-მიუწდომელი ვარდაქმნა, გარდასხვაფერება.

პირველში სულ გაოგნებულებით იყო, თითქო კისერში დაარტყეს რამე მძლავრად, და ექვიანობით, გულის-წყრომით უყურებდა იმ კაცს, რომელმაც ისე ძალ-მომრეობით დაიჭირა ხელში, რომ თვითონაც არ ესმოდა, როგორ მოხდა ასეთი საქმეო.

მაშ სჩანს, ჩემი ქმარი ისეთი სუსტი და მოჩოფორთებული არსება არა ყოფილა, როგორც მე მეგონაო!

და ვირჯინიამ იმ ქალის აღტაცებულ ვაკვირებებით დაუწყო ცქერა თავისს ქმარს, რომელსაც ძალა აღარა აქვს აღუფოთდეს; ვირჯინიას გული ეღეოდა ახლა ახალის წყურვილით, უცნაურის ცნობის-მოყვარეობით, რომელსაც ღლითი-დღე რაღაც განურკვეველი გრძნობაც ემატებოდა, ზედ-ერთვოდა.

რა გრძნობა იყო, მადლობისა, ერთგულებისა, თუ რა?

ვირჯინიამ თვითონაც კარგად არ იცოდა, რა იყო. ჰგრძნობდა კი, რომ რაღაც კარგი იყო, ყოვლად მშვენიერი, ისეთის ბურანის მომგვრელი, როცა ტკბილს სიზმარს მოსდევს მოუსვენარი ფიქრი, ვაი თუ ყოველივე ესე მალე გათავდეს, სულ განჰქრეს, განიფანტოსო...

სამაგიეროდ, ჯიოვანი, რაც უფრო მეტად ამჩნევდა ცოლს ამ ცვლილებასა, უფრო მეტს ზიზღსა ჰგრძნობდა, უფრო მეტად სძულდებოდა ის არსება, რომელიც გაგიყვებით უყვარდა მაშინ, როცა სხვებს ახარებდა, სხვებს ანეტარებდა თვისის ემზით და სილამაზით. ჯიოვანს აღარ უნდოდა თითქმის, ზედ შე-

ეხენდა, თითო-ოროლა სიტყვას ძლივს აღირსებდა ხოლმე პასუხად; ცხადად ემჩნეოდა ხმაზედ, კილოზედ, ზრდილობიანს გულ-ცივობაზედ ის ყრუ გაბრაზება, რომელიც უფრო და უფრო უძლიერდებოდა, რაკი ამჩნევდა მოარჩილებასა და სინანულს თავისს ცოლს, ამ სულ-მდაბალს გამრყენელს სიყვარულისასა, როგორც იხსენიებდა თვითონ ვირჯინიას, დღე და ღამის ფიქრში წასული. ახლა ქაღს უყვარდა კაცი, ქალს, დიდად გაოცებულს და გაშტერებულს ჯიოვანის სასტიკის ძაღლონისა და ძალ-მომრეობის აფეთქებით; ამ ძალ-ღონის აფეთქებამ ძირს დასცა, ცოცხალ-მკვდრად აქცია პატარა სასტუმრო ოთახში ის ღირფი და სალახანა, რომელმაც ხელის კვრა მოუწნდომა ვირჯინიას; ქაღს სასოება ეკარგებოდა თვისის ქმრის გულ-ცივობის წინაშე; კარგია კიდევ რომ ევბრალები და ამ სიბრაღეულის გამო არ იჩენს სრულიად და სავსებით თვისს ზიზღს, თვისს დაუძლეველს მღელვარებასაო. დადიოდა საცოდავი მის გარშემო თვალემ-მიმქრალი, მოკრძალებული, როგორც მოახლეს; ვერა ჰხედავდა, შენდობას მაინც შეჰვედრებოდა; თან ჰგრძნობდა, რომ რაღაც ახალი იფურჩქნება მის გულში, ხოლო წარსული ჰშორდება, ეცლება, თითქო ძველი ტყავი სძვრება, ექერქნება და მით ახალი უფრო ნაზღვება, მჭვირვალდება, მქრქალდება თვთრ მარმარილოსავითაო.

როცა ორნი რჩებოდნენ მარტოდ-მარტო სასტუმრო ოთახში და ქმარი იჯდა სკამზე, იდაყვები მუხლებზედ ჰქონდა დაყრდნობილი, ხოლო თავი—დახრილი ხელებზედ, კოპები შეეკრა და წარბებ-ქვეშიდან გაჰბღვერავდა ხოლმე ხან-და-ხან ცოლს, ქალი იდგა ფანჯარასთან, ან გადაყუდებული იყო რაზედმე; ამ დროს ვირჯინია ისევე ლამაზი იყო, როგორც მუდამ, გარნა თავ-ჩაღუნული და აღელვებული კი. ვირჯინია ჰგრძნობდა ამ დროს უსამზღვრო ბედნიერებას, რაკი იქ იყო, ქმარს ახლო, მოძულეებულის დედაკაცის ყოფაში, და რაკი ამით თითქო წარსულს ცოდეებს ინანიებდა. შემეკრთალი, ხოლო იმედით სავსე ვირჯინია, ელოდა, რომ აი წამოდგება, მოვა ჩემთან, გა-

მომიწოდებს ხელებს, ჩამიკრავს გულში და მეტყვის: მიპატივე-  
ბია ყოველივე!

მაგრამ ჯიოვანი ფეხსაც არ იცვლიდა, ხმასაც არ იღებდა.  
ერთხელ, როცა ვირჯინიამ გაჰბედა, მივიდა ქმართან და ხელი  
დაადო მხარზედ, ჯიოვანი გველ-ნაკბენივით წამოვარდა ზეზედ.

— არა, არა! — სთქვა ჯიოვანმა. — ეგ შეუძლებელია!

და ამ მისმა უზრდელმა კილომ, ამ მისმა კუშტმა და ჩა-  
მობნელებულმა პირი-სახემ უფრო მეტად ატკინა გული, ვიდ-  
რე ატკენდა თვით ხანჯლის დაკვრა. ვირჯინიას ისე ეგონა მა-  
შინ, რომ ეს არის ვკვდებო, მაგრამ მაინც იმედს არა ჰკარ-  
გავდა კიდევ.

— სამართლიანად მექცევა! უარესი სასჯელი დავიმსახუ-  
რე! ამბობდა გულ-მოკლული ვირჯინია.

## IX

სახლი მოიცვა სულისა და გულის შემხუთავმა მღუმარე-  
ბამ. ვარჯინია ახლო აღარ მიჰკარებია ფორტეპიანოს, იაღონ-  
თა ყაფაზა ისევ ეკიდა ფანჯარაში, მაგრამ ობობას უკვე გაე-  
ბა იქ თვისი ქსელი, რომელიც ნაღვლიანობის ფერსა სდებდა  
მავთულების პატარა საპატიმროს, ყვავილები და მცენარენი სა-  
სტუმრო ოთახისა უკვე ჩამოჰკნენ; ოღნავ რომ შეგერხიათ,  
მაშინვე ფოთოლი ძირს ჩამოსცვიოდა.

ვირჯინია აღარავის აღარ იღებდა, სახლიდან კარში აღარ  
გამოდებდა, იყო კმაყოფილი ამ შავ ბნელის მღუმარებისა, რო-  
მელიც გამეფდა მის ცხოვრების ქექა-ქუხილს შემდეგ. ვირ-  
ჯინიას ათრობდა აზრი თავ-განწირულებისა და იმედი უღვიო-  
და გულში, რომ იქნება ასეთის ყოფა-ქცევით ერთი აღერ-  
სიანი სიტყვა მაინც გამაგონოს, ერთხელ მაინც შებრალებით  
შემომხედლოს ამ კაცმაო. ჯიოვანს კი, პირ-იქით, უფრო და  
უფრო მეტად აღშფოთებდა სამარცხვინო, ჭუჭყიანი წარსუ-  
ლი; თვალ-წინ სულ ის ელანდებოდა, რომ იმ წარსულის ნი-  
შნები ზედ ატყვია ამ დედა-კაცს, რომელიც შემწიკვლულია

ამდენისა და ამდენის კაცის კოცნითაო. ჯიოვანს ისე ეჩვენებოდა, რომ ვირჯინიას შვენეირი, შნოიანი ტანი უკვე იხრწნება, უკვე იშლება იმ ქაობში, რომელშიაც იმდენს ხანს იყო ჩაფლულიო.

მხოლოდ იმ სურათის დანახვაზედ, რომელიც დახატული იყო კრემონის მიერ და რომელზედაც ხელოვნებას განეცხვებებინა ვირჯინიას შვენეირი პატარა სახე, დაუწყებდა ხოლმე გული ჯიოვანს წინანდებურად ცემასა. იგი სურათი იყო დახატული მისის ქორწინების პარველ ხანშივე, როცა ის ტურფა შვენება ჯერ არ იყო შეგინებული და მწიკვლ-მოცხობილი. მთლად ყოვლადი ქალწულებრივი უმანკობა გასათხოვარის ყმაწვილის ქალისა, რომელიც ის-ის იყო გადაიქცა დედაკაცად, ცხოვლად გამოიხატა ტილოზედ, რომელსაც ხელოვანმა ოსტატმა უხვად მოჰფინა მომხიბლველი შუქი და მადლი თვისის ყალმისა, მთელის საათობით იღვა ჯიოვანი ამ სურათის წინაშე, რომელიც ხან-და-ხან თითქო მოძრაობაში მოდიოდა მის თვალ-წინ, თითქო აგერ გაცოცხლდაო. და, თუ ამ დროს შეხედებოდა ცოლი და დაუწყებდა ცქერას ფერ-ნაკრულობით უფრო მეტად გაგანიერებულის თვალებით, ვირჯინია მოეჩვენებოდა ხოლმე აჩრდილად, ლანდალ დღეთა მათ მწუხარებისათა და პირს მიიბრუნებდა, მოარიდებდა ხოლმე.

ბოლოსა და ბოლოს უგულობა და ზიზღი ჯიოვანისა მძულვარებად გადაიქცა.

— რიღასთვის არის აქ? რაღას ელის? ნუ თუ უნდა, რომ ისევე გავაძევაო და გავაგდო სახლიდან, როგორც ძაღლს აგდებენ? რატომ არა კვდება? რას მებლაუქება, თითქო წყეული ბედის-წერააო? ღმერთო, ღმერთო! რაღა მიშლის, რომ გავსრისო ეგ უკეთური ისე, როგორც მანებელი, საზიზღარი ქია?

ერთხელ ნამტირალევს წაასწრო ვირჯინიას. ცრემლებმა სულ გააგიჟა ჯიოვანი და გაცეცხლებულმა შეუტია:

— რაო? შენ კიდევ ტირილსა ჰბედავ? შენ კიდევ მესაყვედურები ჩემს უსამზღვრო გულ-კეთილობისათვის?

ვირჯინია დაეცა მუხლთ-მოდრეკილი მის ფეხთა წინაშე იმ იმედით, რომ იქნება მოვულობო როგორმე გულიო და იგრძნო, როგორ ჩაეყარა მის კისერს, თითქო ნადირის ბრჭყალებიო, ხელნი ჯიოვანისა... გაათრებულმა კაცმა კინაღამ თავის ხელით დაარჩო ქალი...

— რა გინდოდა, რაზედ დამიშალე, მომეკლა ბარემ და გამეთავებინა!?— დაუწყო კაპუნი მამას, რომელიც სწორედ იმ დროს მოვიდა შეილთან.— რა გინდოდა, მომეკლა ბარემ და გამეთავებინა?

რაკი მოხუცი გაკვირვებით შეჰყურებდა და ვერ მიხვედრილიყო, რად ამბობს ამასო, ჯიოვანმა დაუმატა:

— ოჰ, ძაშინ ბევრად ბედნიერი ვიყავ მე საცოდავი!..

ჯიოვანმა ველარ შეიმაგრა ცრემლები და ქვითინებდა გულ-ამომჯდარი.

გრ. ყაფშიძე

# ა ი კ ე ნ გ ო

## თავი მეთხუთმეტი

შორს უდაბნოში, რომელიც ხალხმა არ იცოდა, ცხო-  
რობდა განდევნილი დაწყობილი ყმაწვილოზიდან, ვიდ-  
რე გაქალაქებამდინ; ბუნწო მისი ქვეშაგები იყო, გა-  
მოქვაბული კლდე—სენაკი, საზრდო—ხილეულობა და  
წყურვილის მოსაკვლელი—წყაროს წყალი; ხალხს მო-  
შორებული იგი ღმერთთან ატარებდა დღეებს; მის  
ერთად ერთს საქმეს ლოცვა შეადგენდა და ერთად ერთს  
სიამოვნებას—უზენაესის ქება.

პარნელი.

არა მგონია მკითხველს დავიწყებოდეს ის რაინდი, რომელიც  
ასპარეზობაში გამარჯვებას ბევრით დაეხმარა თავის მამაცობით  
და რომელსაც ხალხმა „შავი ზარმაცი“ დაარქვა. გათავდა თუ,  
არა ასპარეზობა, ამ რაინდმა მაშინვე დასტოვა ბრძოლის ველი  
და როდესაც ჰეროდებმა და მესაყვირებმა გამოუძახეს მას იგი  
იქ აღარ იმყოფებოდა.

ეს რაინდი ჩრდილოეთისკენ წავიდა, ტყე-ტყე ბილიკებზედ  
მიდიოდა, შარა დიდს გზებს ერიდებოდა, რომ ხალხს არ შეხვე-  
დროდა. ღამე ერთს პატარა დუქანში ჩამოხტა, სადაც ერთმა  
მოგზაურმა დაწვრილებით უამბო ასპარეზობის ამბავი.

რაინდი მეორე დღეს აღრიანად გაუდგა გზას იმ განზრა-  
ხვით, რომ რაც შეიძლებოდა შორს წასულიყო, მაგრამ მიხვეულ-  
მოხვეულმა ბილიკებმა ძლიერ დააგვიანეს, ასე რომ საღამომდინ

\*) «მოამბე» № 9.

იოკშირის სამზღვრამდინ ძლივს მივიდა. ამ ღროს იმასაც და იმის ცხენსაც დასვენება ეჭირვებოდათ და დასასვენებელი ადგილისთვის უნდა ეზრუნა.

იმ ადგილში, სადაც მოგზაური იმყოფებოდა, არც ბინა მოიპოვებოდა და არც საქმელ-სასმელი. ამისათვის ისიც ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც იქცევიან ამისთანა შემთხვევაში სხვა მოგზაური რაინდები, რომელნიც ცხენებს ბალახზე გაუშვებენ ხოლმე და თვითონ მუხის ჩრდილში წამოწვებიან და თავის საყვარლებზედ ოცნებობენ. მაგრამ შავს რაინდს ან არა ჰყავდა მფლობელი ოცნებისა, ან დაუდევრობის გამო ყურს არ უგდებდა სიყვარულს, რომ ამაზედ ფიქრით მაინც დაეიწყებოდა სიმშალი და წყურვილი; როგორც უნდა ყოფილიყო, იგი მაინც გულნაკლულად იყო, რადგანაც ვერც ერთს გზაზედ ისე ვერ წავიდოდა, რომ მწყემსები და მონადირენი არ შეხვედროდნენ.

გზის ერთად ერთი მაჩვენებელი ნზე მთების იქით გადაიწვერა, ამისათვის შესაძლო იყო რაინდს ეხლა გზა ადვილად დაჰკარგოდა. მაგრამ გზაც ადვილად აერეოდა, თუ რომ იმას მიჰყვებოდა. იგი ამაოდ ცდილობდა ისეთი ბილიკი ამოერჩია, რომელსაც ან მწყემსის ქოხთან მიეყვანა, და ან შემის მჭრელთან; მან არ იცოდა, რომელ გზას დასდგომოდა. ბოლოს გადაწყვიტა თავის ცხენს მინდობოდა, რადგან გამოცდილებით იცოდა, რომ ცხენი თავისთავად უფრო ადვილად იპოვიდა გზას და მხედარსაც და თავის-თავსაც გაჭირვებისგან დაიხსნიდა.

ცხენმა სადავის მიშვება იგრძნო და სიარულს მოუმატა; თუმცა დიდი გზის გამოვლით და მხედრის მძიმე აბჯრით კარგა დაღალული იყო; აქამდინ დეზების ცემით სიარულს არ უმატებდა, ეხლა კი, რაკი ნებაზედ მიუშვა მხედარმა, ყურები აცქვიტა და თვითონ იგნებდა გზას. რამდენიმე ხნის სიარულის შემდეგ მხედარს ზარის ხმა მოესმა, რაცა ნიშანი იყო იმისა, რომ მონასტერი ან ნიში ახლო სადმე იყო.

რაინდი მალე მივიდა ერთს პატარა ტყესთან. რომლის პირდაპირაც ამართულიყო ერთი მაღალი კლდე, რომელზედაც



მუხები იღვა და უფსკრულს გადაჰყურებდნენ. ამ კლდის კალთებზედ თიხით გაღესილი ქოხი იღვა. მოჩანდა ახლო წყარო გამოდიოდა კლდიდან და კაცის ხელით ამოქცეხულს ქვაში ჩაღიოდა, მერე ტყეში მიდიოდა და იკარგებოდა. ამ მდინარის ნაპირებზედ ნიშის ნანგრევები იყო, რომლის ზარის ხმაც ამას წინად მოესმა შავს რაინდს.

რაინდს იმედი მოეცა, რომ ამ მყუდრო ადგილას ბინას იშოვნინდა და თავს შეაფარებდა, რადგანაც მეუღაბნოენი თავის მოვალეობად სთვლიდნენ გზა დაკარგულ და დაგვიანებულ მგზავრათვის ბინა მიეცათ და მასპინძლობა გაეწიათ. რაინდი გადმოხტა ცხენიდან და თავის შუბით ქოხის კარები დააკაკუნა.

— ვინც გინდა იყო, აქედან წადი, მოისმა ქოხიდან ხრინწიანი ხმა, ნუ ურღვევ მყუდროებას ღვთისა და წმ. ღუნსტანის მოსამსახურეს მაშინ, როდესაც იგი საღამოს ლოცვაზედ დგას.

— ღირსო მამაო, — მიუგო რაინდმა: — შენი ქოხის კარებთან საწყალი მოგზაური დგას, რომელმაც ამ ტყეში გზა დაკარგა; იგი შემთხვევას გაძლევს სტუმრის მოყვარეობა გამოიჩინო და გაჭირვებული ერთს ღამეს შეიკვდლო.

— კეთილო ძმაო, — უთხრა მეუღაბნოემ: — მე თვითონ გასაკითხი ვარ. ჩემს საკმელს ძალი არ დააკარებს პირსა და ჩემს ლოგინს ცხენიც არ იკადრებს, ამისათვის წადი შენს გზაზედ, ღმერთი იყოს შენი შემწე!

— მერე როგორ ვიპოვნო ამ ტყეში გზა, როდესაც ასე ბნელა? — მიუგო რაინდმა. — გთხოვ წმინდაო მამაო, თუ შენ ქრისტიანი ხარ, კარები გააღო და გზა მაინც მიჩვენო.

— მეცა გთხოვ, ჩემო ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო, — მიუგო მეუღაბნოემ: — ნულარ მაწუხებ. შენ მე შემაწყვეტინე ლოცვა, რომელიც აღთქმისა-მებრ მთვარის ამოსვლამდინ უნდა მეთქვა.

— გზა მიჩვენე, გზა!... — დაუძახა ხმა მალლა რაინდმა. — თუ არ გინდა თავი შემაფარებინო, გზა მაინც არის მიჩვენე.

— გზის პოვნა ძნელი არ არის, — მიუგო მეუღაბნოემ: — ამ ტყიდან მიმავალი ბილიკი ჭაობთან მიგიყვანს, აქედან მდინარესთან ჩახვალ, რომელშიაც უნდა გახვიდე და მერე პირ და პირ გზას დაადეკი და წაღი...

— ვერაფერი ვერა გავიგე-რა, — შეაწყვეტინა რაინდმა: — არა, ბატონო მეუღაბნოე, შენ რომ ყველა იმათზედ წმინდა იყო, რომელთაც წვერი აქვს და კრილოსანს ათამაშებენ, ამაღამ ამისთანა გზაზედ არ გამიშვებდი. მე გეუბნები, რომ შენ, რომელიც გარშემო მცხოვრებთა მოწყალებით ცხოვრობ, ნება არა გაქვს გაჭირვებულს მოგზაურს ბინა არ მისცე. დროით გამიღე კარი, თორემ ჯვარს გეფიცები, ძალად შემოვამტვრევ და შემოვალ.

მეუღაბნოეს შეეშინდა კარები არ დამეტვრიოსო და დაუყვირა მოგზაურს:

— მოიცა, მოიცა! მე თვითონ გაგიღებ კარებს.

ამ სიტყვების შემდეგ გაიღო კარები და რაინდის წინაშე წარსდგა მეუღაბნოე მოსულის ტანისა, რომელსაც ანაფორა ეცვა და ზევიდან ბალახისაგან დაგრეხილი თოკი ჰქონდა შემოჭერილი. ერთს ხელში ჩირაღდანი ეჭირა, მეორეში პანტის სხვილი და მძიმე ჯოხი. ორი უზარმაზარი ძალღი იყვნენ მისცივნილდენ რაინდს, თუ ბერი გარედ გამოუშვებდა. მაგრამ როცა მეუღაბნოემ ჩირაღდნის შუქზედ რაინდის მაღალი ჩაფხუტი და ოქროს დეზები დაინახა, წინანდელს განზრახვას თავი დაანება, ძაღლები დაიჭირა და ქონში შეიწვია. მან ბოდიში მოიხადა რაინდის წინაშე კარის გაუღებლობისათვის და იმით მართლულობდა თავს, რომ ამ არე-მარეში ბევრი ყაჩაღები დაიარებთან და ყველას განურჩევლად სცარცვავენო, იმათ არც ღეთისმშობელი სწამთ, არც წმ. ღუნსტანი და არც იმათი მოსამსახურეო..

— თქვენ ისე ღარიბადა სცხოვრობთ, რომ არა მგონია ყაჩაღები რამეს შეგხარბდნენ. ამასთანავე თქვენ გყავთ ორი ძაღლი, რომელნიც დიდს წინააღმდეგობას გაუწევენ თქვენს არა კეთილის მყოფელს.

— გულკეთილმა მეტყევემ, — მიუგო მეუღაბნოემ, — ამ ორი ძაღლის შენახვის ნება მომცა ჩემი საფანის დასაცველად, ვიდრე უფრო მშვიდობიანი დრო არ დადგება.

ამის შემდეგ მან ჩირალდანი რკინის შანდანში ჩაურჭო, მერე მიიღვა ცეცხლთან სამფეხა სკამი და ჩამოჯდა, რაინდსაც სთხოვა ცეცხლთან ახლო მისულიყო. ისინი დასხდნენ და ერთმანეთს ყურადღებით სინჯავდნენ.

— კეთილმსახურო მეუღაბნოე, — უთხრა რაინდმა რამდენიმე ხნის შემდეგ, — მე იმისი რომ არ მეშინოდეს, რომ წმინდა ფიქრებს შეგიშლი, სამს რამეს გკითხავდი: პირველად, სად დავაბა ჩემი ცხენი; მეორედ, ვახშმად რას მაქმევ, მესამედ, სად დავიძინო ამელამ.

— მე შენ ნიშნებით მოგცემ პასუხს, — უთხრა მეუღაბნოემ, — რადგანაც წესად მაქვს არ ვიხმარო სიტყვები იქ, სადაც ნიშნებიც საკმაოა. — ამას ეუბნებოდა და თან ოთახის კუთხეებს უჩვენებდა: — თავლა აქ არის; შენი ლოგინი აქ არის; აი შენი ვახშამიც (და თაროდან ერთი თევში გამხმარი სისირი გადმოიღო და სტოლზედ დადგა).

რაინდმა მხრები აიწია, გარედ გამოვიდა და კარებზედ მიბმული ცხენი შიგნივ შეიყვანა და იქ დააბა, სადაც მეუღაბნოემ აჩვენა, მერე უნაგირი მოხადა და დადლილს ზურგზედ თავის მანტია გადააფარა. მეუღაბნოემ რომ დაინახა ცხენის ასეთი მოვლა, თვითონაც წავიდა და ერთი კონა თივა მოუტანა, მხედარსაც ერთს კუთხეში ჩადუნას ოივა გაუშალა და საწოლად. რაინდმა მადლობა გადაუხადა და ორივენი ერთად ისევ სტოლს შემოუსხდნენ გარშემო, რომელზედაც გამხმარი სისირით სავსე თევში იდგა. მეუღაბნოემ კარგა გრძელი ლოცვის შემდეგ რამდენიმე მარცვალი სისირი ჩაიგდო პირში. რაინდს უნდოდა მიებაძნა მისთვის, ამისათვის მან აიყარა იარაღი და ჩაჩქანი გაიხადა. იგი იყო ქერა ხუჭუჭ თმიანი ქაპუცი, რომლსაც სიცოცხლით სავსე ლურჯი თვალები და ვაჟკაცური შეხედულება ჰქონდა.

მეუღაბნოემაც გაიხადა თავისი გრძელი კაბა და გამოჩნდა, რომ ისიც ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი იყო და რაიდზედ ნაკლები შეხედულობა არა ჰქონდა. მის სახეს პრეტყელი შავი წარბები და მალალი შუბლი ამშვენებდა, ზედ ეტყობოდა, რომ გამბედავ კაცი უნდა ყოფილიყო. ტანის სისრულე უმტკიცებდა, რომ იგი გემრიელს ხორცეულს საჭმელებს უფრო სწყალობდა, ვიდრე სისირსა და მწვანილეულს. ამას თვით რაინდიც მიხვდა, მან რამდენიმე მარცვალი სისირი შეკაბა და მასპინძელს სასმელი მოსთხოვა. მეუღაბნოემ წმინდა წყალი მოუტანა და უთხრა.

— ეს წყალი, წმ. დუნსტონის მდინარისაა, რომელშიაც მან მზის ამოსვლიდან ჩასვლამდინ ხუთასი წარმართი მონათლა. საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი! ესა სთქვა და რამდენიმე ყლოუბი წყალი ჩაყლაპა.

— როგორც ვხედავ, წმინდა მამავ, მქლე საჭმელს და ამ წმინდა წყალს თქვენზედ კარგად უმოქმედნია. შეხედულება გიმტკიცებთ, რომ თქვენ ხორცეულს და კარგს სასმელებს უფრო ეწყობით, ვიდრე ამ ხმელს სისირს და ცივს წყალს.

— ბატონო რაინდო,—მიუგო მეუღაბნოემ,—თქვენი ფიქრი ცოდვილი კაცის ფიქრსა ჰკავს, სხეულისაგან შთაგონებულს. ჩემი საჭმელი თვით ღვთისმშობლისგან არის ნაკურთხი.

— წმინდაო მამავ,—უთხრა რაინდმა,—ნებას მომცემ მე ცოდვილს შენი სახელი გავიგო?

— შენ შეგიძლიან ეკლესიის მსახური დამიძახო, ამისთვის რომ ამ არე-მარეში ასე მეძახიან. მართალია ამ სიტყვას წმინდასაც მიუმატებენ ხოლმე, მაგრამ მე ჩემს თავს ამის ღირსად არა ვთვლი. ახლა, რაინდო, შეიძლება მეც ჩემი სტუმრის სახელი გავიგო?

— რატომაც არა, წმინდაო მამავ! მე ამ არემარეში ზოგი შავს რაინდს მეძახის, ზოგი ზარმაც რაინდს.

— მე ვხედავ, ბატონო ზარმაცო რაინდო,—უთხრა მან,—რომ შენ კეთილ-გონიერი კაცი ხარ და ჩემი ბერული ცხოვრება არ მოგწონს, ამისთვის რომ შენ ფუფუნებას იქნები დაჩვეული; ეხლა გამახსენდა, რომ, როდესაც მეტყევემ ჩემთან

გამოიარა, ამ ძაღლებთან ერთად ცოტაოდენი საქმელიც დამიტოვა, რომელიც, როგორც უვარგისი ჩემთვის, აღარც კი მომგონებია.

— თუ გინდ დავიფიცავ, რომ იმას რამე საქმელი დაუტოვებია, — წამოიძახა რაინდმა: — როდესაც შენ გძელი კაბა გაიხადე, მაშინვე მივხვდი, რომ შენს სავანეში უკეთესი საქმელი მოიპოვებოდა. რა კარგი კაცი ყოფილა ის მეტყევე. მაგრამ დროით მაჩვენე, რა საქმელია.

მეუღაბნოემ ეჭვიანის თვალით შეხედა თავის სტუმარს და ფიქრობდა: — მივენდო თუ არაო. მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ რაინდი სანდო კაცი იყო, მან განჯინიდან გადმოიღო უშველებელი ქადა და სტუმარს წინ დაუდგა, რომელმაც მაშინვე გასჭრა ხანჯლით და გემო ნახა.

— დიდი ხანია, რაც ის მეტყევე აქ იყო? — ჰკითხა რაინდმა მასპინძელს, როდესაც პიროგის რამდენიმე ნაჭერი შექამა.

— ამ ორის თვის წინად, — უპასუხა გულმთავიწყმა მეუღაბნოემ.

— ღმერთს გეფიცები! — წამოიძახა რაინდმა, — შენი უღაბნო სასწაულებით არის სავსე; მე თუ გინდა დავიფიცავ, რომ ის შველი, რომლის ხორცისაგანაც ეს პეროგია გაკეთებულია, ამ კვირია ამ ტყეში დარბოდა.

მეუღაბნოემ ცოტა არ იყოს აირია ამ შენიშვნით. მან კისერი წაიგძელა და დაუწყაო რაინდს ცქერა, როდესაც ის გაფაციცებით სჭამდა ქადას, თვითონ კი ვერა ბედავდა ჰამას, რადგანაც წინად სთქვა, რომ ხორცეულს არა ვჭამო.

— მე, წმინდაო მამაო, პალესტინაში ვიყავ, — განაგრძო რაინდმა — და კარგად მახსოვს იქაური ჩვეულება: ყველა მასპინძელი სტუმართან ერთად სჭამს საქმელს. იმის დასამტკიცებლად, რომ საქმელი უვნებელია. არა მგონია თქვენისთანა წმინდა კაცი სტუმრის მოყვარე არ იყოს, ამისათვის კარგი იქნება, რომ თქვენც აღმოსავლეთის ჩვეულებას წაჰბაძოთ.

— თქვენი სურვილის დასაკმაყოფილებლად, ბატონო რაინდო, მე მზად ვარ მხოლოდ ერთხელ დეაქრდვით ჩემი წესი,— მიუფო მეთუდაბნოემ,— და რადგანაც მაშინ ჯერ არ იცოდნენ ჩანგლები, ამისათვის ხელით დაუწყო პიროგს ჭამა.

რაკი ამ ნაირად ბოლო მოეღო უნდობლობას, ორივემ მადიანად დაუწყეს პიროგს ჭამა და თუმცა რაინდი ღიდი ხნის მშიერი იყო, მაგრამ მაინც მეთუდაბნოემ აჯობა.

— წმინდაო მამავ,— უთხრა რაინდმა, როდესაც სიმშილი მოიკლა,— მე თუ გინდ ცხენს დავდებ სანაძლეოდ, რომ მეტყვევო, რომელმაც ეს პიროგი დასტოვა, ერთს ბოქვა ღვინოს ან სხვა რამ სასმელსაც დასტოვებდა. თქვენ შეიძლება არ გახსოვდეთ, მაგრამ განჯინა რომ კარგად გასინჯოთ, დაინახეთ რომ მართალს ვამბობ.

მეთუდაბნოე დაიღმიჭა და განჯინიდან სასმელი გადმოიღო; მერე აავსო ორი ყანწი და საქსონურის ჩვეულებისამებრ უთხრა:— თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბატონო ზარმაცო რაინდო!— და ყანწი სულ დაცალა.

— შენი სადღეგრძელოც იყოს, წმინდაო მამავ,— მიუფო რაინდმა და იმანაც დაცალა.

— წმინდაო მამავ,— განაგრძო რაინდმა, როდესაც ორივე ყანწები დაიცალა:— მე ძალიან მიკვირს, რომ ისეთს ბრგეს და ღონიერს კაცს, როგორც თქვენა ხართ, ამ უდაბნოში დავიშარხავთ თავი. იმის მაგიერად, რომ ციხეებსა და სიმაგრეებს იღებდეთ, ხორცსა და ღვინოს შეექცეოდეთ, შენ აქ მოსულხარ და მწვანილითა და წყლით ირჩენ თავს. მე რომ შენს ადგილას ვიყო, მეფის ირმებზედ ნადირობით შევიქცევიდი თავსა. ივინი ფარაფარა დადიან ტყეში და არც ერთი ირემი არ იწყენს თუ წმ. ღუსტანის მსახურის საზრდოდ შეიქნება.

— ბატონო ზარმაცო რაინდო,— მიუფო ტაძრის მსახურმა:— ეგ სიტყვები საშიშონი არიან და გთხოვ აღარ გაიმეორო. მე მეთუდაბნოე ვარ, ერთგული მეფისა და კანონებისა და ჩემი ხელმწიფის ნადირის მოკვლა რომ განვიზრახო, მაშინვე

დამაპატიმრებენ და ბერული ტანისამოსი რომ არ მეცვას; იქნება კიდევ დამარჩონ.

— შენ რაც გინდა სთქვი და მე რომ შენს ადგილას ვიყო, მთვარიანს ღამეში გავისეირნებდი ტყეში მაშინ, როდესაც ტყის ყარაულებს ეძინებოდათ, თან დილის ლოცვებს ვიგალობებდი და თან შვილდისარს ვესროდი მწვანეზედ გამოფენილს ირმებს. წმინდა ეკლესიის მსახურო, მითხარი სწორედ—გინადირნია როდისმე თუ არა?

— ჩემო ზარმაცო რაინდო, შენ ჩემს სახლში ყოველისფერი ნახე თუმცა არცკი უნდა მენახვებინა, რადგანაც ძალად შემომიგარდი სახლში. მე გირჩევ ისარგებლო იმით რაც ღმერთმა მოგვცა და იმის გაგებას არა ცდილობდე საიდან მოგვცა. აივსე შენი ყანწი და კეთილი სტუმარი იყავ; მაგრამ გთხოვ ბერის კითხვით თავი აღარ მამაბეზრო და იძულებულია არ გამხადო დაგიმტკიცო, რომ თუ ჩემი ნება არა ყოფილიყო, შენ ეხლა აქ არ იქნებოდი.

— პატიოსნებას გეფიცები, ჩემი ცნობის მოყვარეობა უფრო გაახელე. შენისთანა საიდუმლოებით მოცული მეუდაბნოე არას დროს არ მინახავს, და ვეცდები ჩემს წასულამდინ დაახლოვებით გაგიცნო. რაც შეეხება შენს მუქარას, წმინდაო მამაო, ნუ დაგავიწყდება, რომ შენ ელაპარაკები კაცს, რომლის ცხოვრებაც მხოლოდ განსაცდელის ძებნაში გადის.

— ბატონო ზარმაცო რაინდო, შენს სადღეგრძელოს ვსვამ,—წარმოსთქვა მეუდაბნოემ: რადგანაც შენს მამაცობას ვცემ პატივს და არა შენს დარბაისლობას. თუ გინდა და მე შენ ძმურის სიყვარულით ისეთს დარიგებას მოგცემ, რომ ერთი წლის განმავლობაში ცნობის-მოყვარეობის ცოდვას აღარ ჩაიდენ.

რაინდი დათანხმდა და იარაღის დასახელება სთხოვა.

— დალილას მაკრატლის და იოილის ლურსმიდან დაწყობილი გოლიათის ხმლამდინ,—მიუგო მეუდაბნოემ,—არც ერთი იარაღი არ მოიპოვება, რომლითაც ყოველთვის მზად არ ვიყო შეგებრძოლო. მაგრამ თუ იარაღის ამორჩევა ჩემი ნება არ იქნება, მაშინ ამ სათამაშოებზედ რას იტყვოდი ჩემც მეგობარო?



ესა სთქვა და მეუღაბნოემ გაალო სხვა განჯინა და ერთი წყვილი ფარ-ხმალი გამოიღო, რომელსაც იმ დროს ხმარობდნენ. რაინდმა შენიშნა, რომ იმავე განჯინაში ორი შევილი ეკიდა და რამდენიმე ისარიც ეწყო. იქვე იყო ქნარი და სხვა ისეთი ავეჯეულობანი, რომელნიც ბერს არ შემევენოდა.

—პირობას გაძლევ, ჩემო მეგობარო,—უთხრა შავმა რაინდმა,—რომ მე შენ ცნობის მოყვარეობით აღარ შეგაწუხებ; ამ განჯინამ ყველაფერი გამაგებინა, რის გაგებაც მინდოდა; ამასთანავე აქა ვხედავ იარაღს (იგი წამოდგა ზეზედ და ქნარი აიღო), რომლითაც შენთან ბრძოლა უფრო სასიამოვნო იქნება, ვიდრე ფარ-ხმლითა.

—იმედი მაქვს, ბატონო რაინდო,—მიუგო მეუღაბნოემ.— შენთვის ტყუილად დაურქმევიათ ზარმაცი. რაინდი, მაგრამ შენ ჩემი სტუმარი ხარ და არ მინდა შენს უნებურად ვაჟაკობაში გამოგცადო. თუ რომ კარგი ბალოადა იცი, ასოველთვის სასიამოვნო სტუმარი იქნები წმ. დუსტანის საფანისა, ვიდრე მე აქ ვიქნები. დაისხი ღვინო, ქნარის მომართვას ცოტა დრო არ უნდა და არაფერი ისე არა სწმენდავს ხმასა და სმენას, როგორც კარგი ღვინო. რაც შემეხება მე, ახირებულად მიყვარს, რომ ყურძნის წვენი თითებშიაც კი გამიჯდეს.

**თავი მეთექვსმეტი**

საღამოობით, მე ვჯდები კაჭთხეში და ვშლი ოთხბერ გადაკრულს წიგნს, რომელშიაც ზეციურ მადლით დაგვირგვინებულ წმინდა მოწამეთა მოღვაწეობაა მოფხოზობილი, როდესაც წმინდა სანთელი იწყობს ჩაქრობას, მე ვწვები დასამინებლად და ვგალობ საგალობელსა.

\* \* \*

ვინ დაუტევებს მშვენიერებას და ფუფუნებას და ვინ მიიღებს კვერთხსა და სამოსელსა ჩემსა? ვინ დაუტევებს მომკდერალს წუთისოფელს და ვინ შეუღებება განდგვილის მყუდრო ცხოვრებას.

ვარტონი.

თუმცა მხიარულმა მეუღაბნოემ დარიგება მისცა თავის სტუმარს და იმანაც დაუჯერა, მაგრამ უნდურა მანაც ადვილად ვერ მომართა.

— აქ ერთი სიმი აკლია, წმინდაო მამავ, და არც დანარჩენები არიან კარგ მდგომარეობაში, — უთხრა რაინდმა.

— ოჰო! მაგასაც ატყობ? — მიუგო მეუღაბნოემ. — მაშ დაკვრა გკოდნია: ყოველისფრის მიზეზი ღვინო და მოუთმენლობაა, — განაგრძო მან და ზეცისადმი ალაპყრო თვალელები. — მეგობარო, ამ სადღეგრძელოსა ვსვამ და ვისურვებ შენი ხელოვნების წარმატებას.

ვიდრე მეუღაბნოე სადღეგრძელოს დაღევდა, რაინდმა ცოტა არ იყო მომართა ფანდურა და ჰკითხა მასპინძელს ინგლისური ბალლა გინდა გიმღერო თუ სხვა რამ ფრანგული სიმღერაო.

— ბალლადა, ბალლადაო! — შესძახა მეუღაბნოემ: — ის ყველა ფრანგულს სიმღერებს სჯობიან. მე ისეთივე ნამღვილი ინგლისელი ვარ; ბატონო რაინდო, როგორც ჩემი მფარველი წმ. დუნსტანი. ამ სავანეში მხოლოდ ინგლისური სიმღერა უნდა ისმოდეს.

— მაშ ბალლადას გიმღერებ, — უთხრა რაინდმა, — შეთხზულს ერთი საქსონელი მემუსიკესაგან, რომელიც პალესტინაში გავიცანი. — ეს ბალლადა ჯვაროსანთა დაბრუნებას შეეხება.

როდესაც რაინდმა დამღერა, შეატყობდით, რომ თუმცა ძალიან დახელოვნებული არ იყო სიმღერაში, მაგრამ კარგ მასწავლებლებთან კი გავერთარებინა თავის გემოვნება. თუმცა ხმა უფრო მოუხეშავი ჰქონდა; ვიდრე ნაზი, მაგრამ ამ ნაკლებფანებასაც ხელოვნურად იცდენდა თავიდან.

სიმღერის დროს მეუღაბნოე სმენად გადაიქცა. იგი გადაესვენა სკამზედ და მეტის-მეტე გრძნობით თვალეებს ლულავდა. როდესაც დაატყობდა, რომ რაინდს ხმა ელევოდა თვითონ მიეშველებოდა ხოლმე. სიმღერის გათავების შემდეგ, მეუღაბნოემ გამოაცხადა, რომ ბალლადაცა და სიმღერაც კარგი იყო.

— მხოლოდ ერთი ეს არის, — დაუმატა მან, — რომ ჩემს საქსონელს თანამემამულეს, როგორც ეტყობა, დიდ ხანს უცხო-

ვრია ნორმანებთან ერთად, ამისთვის რომ ბაზლადაში ბევრი დასალონებელი ადგილებია.—მერე თვითონ აიღო ფანდურა და ისეთი ლექსი დამღერა, რომელიც მის წოდებას არ შეეფერებოდა, ასე რომ თვით რაინდსაც კი გაუკვირდა და უთხრა:

— მართალია ძალიან კარგად და მხიარულად იმღერე, მაგრამ ნუ თუ ეშმაკისა არ გეშინიან?..

— ეშმაკს ჩემთან რა უნდა, როდესაც ღღეში სამჯერ ვლოცულობ,—მიუგო ბერმა.

ფანდურა და ღვინით სავსე თასი დიდ ხანს გადადიოდა ხელიდან ხელში, ორივენი გულითა ლხინობდნენ. მაგრამ ამ დროს კარი ვიღაცამ დაარახუნა და სიმღერა შეაწყვეტინა. მასპინძელი და სტუმარი ზეზე წამოხტნენ. დაეკარის დამარახუნებლებმაც და ჩვენმა მკითხველმაც ცოტა მოიცადონ და ჯერ სხვა ამბავი მოისმინონ.

### თავი მჩაჭვილმეტი

გასწით! ჩვენი გზა ხეობებში და ვიწროებში გადის, სადაც კვეტი თხა თავის მშიშარა ღვდის ახლო დარბის, სადაც ზური ფოთლებიანი მუხა ბაღაშხედ დაცემულს მზის სხივებს აქუცმაცებს და ანაწილებს. ჩქარა წადით!.. სასიამოვნოა ამ გზებზედ სიარული, როდესაც მხიარული მზე თავის ტახტზედ ზის; უსიამოვნო და საშიშარია, როდესაც ცრტის კანდელი საზარელს ტყვეს თავის უხვირო სინათლით აშუქებს.

ერთიკის ტყე.

როდესაც ცედრიკ საქსონელმა აშბის ასპარეზობის დროს თავის შვილი უგრძნობლად დაცემული დანახა, მას უნდა ეთქვა თავის მახლობელთათვის, რომ შემწეობა აღმოეჩინად მისთვის, მაგრამ ვერ გაბედა. ამოდენა ხალხის წინაშე არ უნდოდა გამოეცხადებინა, რომ იგი მისი შვილი იყო, რადგანაც თვითონა ჰყო უარი მის შვილობაზედ და სამკვიდროც ჩამოართვა. მიუხედავად ამისა მან მაინც უბრძანა თავის კაცს ოსვალდს, რომ ყური ეგლო მისთვის და, როდესაც ხალხი დაიშლებოდა, ქალაქ აშბამდინ გაეცილებინა. ხალხი დაიშალა, მაგრამ რაინდი კი აღარსად იყო.

ოსვალდი ამაოდ ეძებდა თავის ახალგაზდა ბატონს: მან სისხლის წვეთები კი ნახა იმ ადგილას, სადაც იგი დაეცა, მაგრამ თვითონ ის კი აღარსად იყო; კაცს ეგონებოდა კეთილმა, სულელობა გაიყვანეს ბრძოლის ველიდანაო. იქნება ცრუ-მორწმუნე ოსვალდს სწორედ ასედაც ჰგონებოდა, თუ რომ ამ დროს მისი ყურადღება არ მიექცია ერთს კაცს, რომელსაც საქურჯლის მტვირთველის ტანისამოსი ეცვა და რომელიც მისი მეგობარი გურტი გამოდგა. გურტს ძალიან აწუხებდა თავის ბატონის ბედი და განწირულებით ეძებდა მას და იმაზედ კი აღარა ფიქრობდა, რომ თავის თავს განსაცდელში აგდებდა. გურტი მონა იყო ცედრიკისა და ოსვალდმა გადასწყვიტა მისი შეპყრობა.

დიდი ხნის ძებნის შემდეგ ოსვალდმა გაიგო იქ დამსწრეთაგან, რომ აივენგო ორს მდიდრულად მორთულს მოსამსახურეს ერთი მდიდარი ქალის ტრახტრეგანზედ დაესვათ და ისე გაეყვანათ ბრძოლის ველიდან. ყოველივე ამის შემდეგ ოსვალდმა გადასწყვიტა მისულიყო თავის ბატონთან და თან წაეყვანა გურტი, რომელსაც იგი ცედრიკის სამსახურიდან გამოქცეულად სთვლიდა.

ცედრიკი საშინლად სწუხდა თავის შეიღზედ, რადგანაც მამობრივმა სიყვარულმა თავის ძალა გამოიჩინა, თუმცა მეტისმეტი მამულის სიყვარულით ამ გრძნობის დათრგუნვას ცდილობდა. მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ აივენგოს აღარა უჭირდა: რა და მეგობრების ხელში იმყოფებოდა, მაშინვე გაიღვიძა მასში შეღახულმა სიამპარტავენემ.

— დაე სადაც უნდოდეს იქ წავიდეს, შესძახა ცედრიკმა; — დაე მათ მოურჩინონ წყლული, რომელთა გულისთვისაც დაიჭრა. იგი უფრო კარგად ხმარობს სასაცილოო შუბს ნომინურ რაინდებისას, ვიდრე მამა-პაპურს ხმაღსა და ნაჯახს, რომელთაც მამა-პაპანი ხმარობდნენ და რომლებითაც წინაპართა პატიოსნება და დიდება უნდა დაიცვას.

— ვისაც წინაპართა პატივის დაიცვა უნდა, უთხრა როენამ, — იგი უნდა იყოს თათბირში ბრძენი და ბრძოლაში გამბედავი.

გმირი გმირთა შორის და კეთილშობილი კეთილშობილთა შორის, მხოლოდ ერთი მისი მამა...

— გაჩუმი ქალბატონო როენა; მხოლოდ ამ შემთხვევაში მე შენ ყურს არ დაგიდებ. პრინცის სამეჯლისოდ მოემზადე: ჩვენ დიდის პატივისცემითა და თავაზიანად დაგვაპატიე. მე მინდა წავიდე მეჯლისში იმისთვის მაინც, რომ დავუმტკიცო იმ თავგასულს ნორმანებს თუ რა ნაკლებად მაწუხებს ბედი ჩემის შვილისა, რომელმაც მათი რაინდნი დაამარცხა.

— მხოლოდ მე კი არ წამოვალ იქა, მიუგო როენამ, — და ვბედავ მოგავიხარო, რომ გულქვაობად ჩავითვლიან იმ საქციელს, რაც შენ გმირობად მიგაჩნია.

— მაშ დარჩი შინ, უმადურო როენა, მიუგო ცედრიკმა, — შენ წმინდა გული არა გაქვს, ამისთვის რომ დაჩაგრული ხალხის ბედნიერებას აიფენგოს სწირავ და მეტი სხვა აღარა გაგვაჩნია-რა. მე კეთილშობილ ატელსტენთან ერთად წავალ იოანე აჟუელის მეჯლისში.

მოხუცი ცედრიკი მართლა წავიდა მეჯლისში და აქ მომხდარი ამბები ხომ ზევით ავწერეთ. გამოვიდნენ თუ არა დარბაზიდან, საქსონიის დიდებულნი თავიანთის ამალით მაშინვე ცხენებზედ შესხდნენ და გზას გაუდგნენ. ცედრიკმა მხოლოდ ეხლა შენიშნა გურტი. კეთილშობილი საქსი, როგორც ვიცით, გულნაკლულად წამოვიდა მეჯლისიდან და ეძებდა მიზეზს ვიზედმე ამოენთხია ჯავრი.

— შეჰკარით, მაგრა შეჰკარით! დაიყვია მან. — ოსვალდო, გუნდიშერგო! საძაგლებო! როგორა ბედავთ, რომ მაგ მაწანწალას მაგდენ თავისუფლებას აძლევთ?

ამხანაგებმა გურტს თოკით ხელები შეუკრეს. იგი უდრტინველად დაემორჩილა ბრძანებას, მხოლოდ გულისწყრომით შეხედა თავის ბატონს და სთქვა: — ახია ჩემზედ, რადგანაც შენი სისხლი და ხორცი ჩემს სისხლსა და ხორცზედ უფრო ძრვილ მიყვარს.

— წასვლის დროა, ცხენებზედ შესხედით! დაიძახა ცედრიკმა.

— დიდი ხინია დროა, სთქვა ატელსტენმა:— თუ რომ დროით არ გაუდევქით გზას, ვალტოგოვს ვახშამი გაუფუჭდება.

მოგზაურები წმ. ვიტოლდის მონასტრამდინ მისვლას ჩქარობდნენ, რომ ვახშამი მართლა არ გაფუჭებულიყო. აბატმა, რომელიც საქრინის დიდი გვარის ჩამომავლობისა იყო, მიიღო კეთილშობილი საქსები და გულითა და სულით გაუმასპინძლდა. ვახშამმა გათენებამდი გასწია და ვიდრე დილით გზას გაუდგებოდნენ ერთი კიდეე კარგად ისაუზმეს.

როდესაც მოგზაურები მონასტრის გალავნიდან გავიდნენ, ერთი ისეთი შემთხვევა მოხდა, რომელმაც კრუმორწმუნე საქსები ცოტა არ იყო შეაძრწუნა. გალავნის გარედ წამოყუნტულიყო შავი ძაღლი და ყმუოდა, მერე ხან აქეთ მიაწყდა, ხან იქით და მოგზაურებს უკან გაჰყვა.

— მე არ მიყვარს ასეთი მუსიკა, მამაო ცედრიკ, უთხრა ატელსტენმა, რომელიც მოხუცს საქსს მამას ეძახდა ხოლმე.

— არც მე მიყვარს, ბიძაჩემო, უთხრა ვამბამ, — მე ძალიან მეშინიან გზაზედ არა შეგვემთხვას-რა.

— ჩემის აზრით, განაგრძო ატელსტენმა, — უმჯობესი იქნება უკან დავბრუნდეთ და შუადღემდინ მონასტერში დავყოთ. კარგი არ არის, როდესაც ბერი, კურდღელი და ან ყმჟილა ძაღლი გზას გადაუჭრის კაცსა.

— სულ ტყუილია, მიუგო მოუთმენლად ცედრიკმა: — ძრიელ პატარა დღეა და შინამდინ ვერ ვუწევთ. რაც შეეხება ძაღლს, მე იმას კარგად ვიცნობ: იგი ეკუთვნის გაქცეულს მონას გურტს და ისევე საძაგელია, როგორც იმის პატრონი.

ესა სთქვა და ცედრიკმა საცოდავს ფანგს შუბი ესროლა. ფანგის მისდევდა თავის პატრონს, რომლის ნახვაც ძლიან გაუხარდა მას. შუბი წინა ფეხში მოხვდა და დაიჭრა. ფანგსი წკავეწკავით მოშორდა გაბრაზებულს საქსს. გურტს გული აემღვრა: იგი იმაზედ უფრო შესწუხდა, რომ მისი ერთგული ამხანაგის მოკვლა უნდოდათ, ვიდრე იმაზედ, რომ თვითონ იმასაც სუდად ექცეოდნენ. იგი ამაოდ ცდილობდა თვალეებთან ხელის მიტანას და უთხრა ვამბას: — გეთაყვა თვალეება მამიწმინდე;



მტვერმა ლამის დამაბრმავოს, და თოკით შეკრული ხელებით ვერ მომიწმენდა.

ვამბამ თხოვნა შეუსრულა და რამდენსამე ხანს ორივენი ერთად მილიოდნენ, გურტს ამ ხნის განმავლობაში ხმა არ ამოუღია. ბოლოს ველარ მოითმინა და უთხრა:

— ჩემო მეგობარო ვამბა, — უთხრა მან, — ვისაც ცედრიკთან უმსახურია, იმათში მხოლოდ შენ მოეწონე მას შენის სულელობით. მიდი მასთან და უთხარი, რომ მე ვერც სიყვარული და ვერც შიში ველარ მაძულებს მის სამსახურს. მას შეუძლიან თავი მომჭრას, შეუძლიან მცემოს, ფეხებზედ ბორკილები დამადოს, მაგრამ ამ დღიდან მე იმას ველარც შევიყვარებ და ველარც დავემორჩილები. წადი და უთხარი, რომ ბეოველფის შვილო გურტი მის სამსახურზედ უარს ამბობს.

— როგორ არა, — მიუგო ვამბამ, — თუმცა მე სულელი ვარ, მაგრამ მაგისთანა სულელურს თხოვნას კი ვერ შევასრულებ. ცედრიკს სხვა პატარა შუბიცა აქვს და შენც ხომ კარგად იცი, ნიშანს არ დააცდენს.

— დაე ის შუბი მე მესროლოს, — უთხრა გურტმა, — რა მენადლეება. გუშინ ჩემი ახალგაზღა ბატონი ვილფრედი მალად სისხლში მორეული დასტოვა, დღეს კიდევ ჩემს თვალ-წინ უნდოდა მოეკლა ერთად-ერთი არსება, რომელსაც კი ჩემთვის ოდესმე ალერსი გამოუცხადებია. გეფიცები ყველა საქსონელს წმინდანს, რომ მე ამას არას დროს არ ვაპატივებ იმას.

— ჩემის აზრით, — მიუგო ხუმარამ დასამწვიდებლად, — ჩვენს ბატონს ფანგის დაჭრა არ უნდოდა; მხოლოდ უნდოდა შეეშინებინა. შენ უსათუოდ შენიშნავდი, რომ იგი უზანგებზედ შედგა, — ეს იმას ნიშნავს, რომ მას შუბი ფანგის იქით უნდოდა გადაეგდო, მაგრამ ძალლი სწორედ ამ დროს შეხტა და დაიჭრა. მე იმას ჩემის ბალახებით მოგიჩვენებ.

— ნეტავი შემეძლოს მეც ვგრე ვფიქრო! — სთქვა გურტმა, — მაგრამ არა... მე დავინახე, რომ შუბი ჩემს ძალღს დაუმიზნა; მე გავიგე სიბრაზით გასროლილი შუბის ზუზუნი; მე



დავინახე, რანაირადაც ვაბრაზდა იგი, როდესაც ნიშანს ვერ მოარტყა. არა, მე აღარ შემიძლიან მისი სამსახური.

შეურაცხყოფილი მელიორე კვალად ჩაფიქრდა და ხუმარა თუმცა ბევრსა ცდილობდა, მაგრამ ფიქრიდან ვეღარ გამოარკვია.

ცედრიკი და ატელსტონი კი ამალის წინ მიდიოდნენ და ბაასობდნენ, იგინი ლაპარაკობდნენ სახელმწიფოს მდგომარეობაზედ, მეფის ოჯახში ჩამოვარდნილს უთანხმოებაზედ, ნორმანელ ბარონებთან შარის უფლსა და მტრობაზედ და თავიანთ სამშობლოს განთავისუფლებაზედ ნორმანებისაგან. ცედრიკი ამ საგანზედ დიდის გრძობით ლაპარაკობდა. თავის ხალხის დამოუკიდებლობა სისხლ ხორცად ჰქონდა გადაქცეული და იმის გულის კერპს შეადგენდა, კერპსა, რომელსაც თავის ოჯახის და შეილის ბედნიერებასაც კი მსხვერპლად სწირავდა. ამ აზრის განსახორციელებლად იგი საჭიროდ სთვლიდა ყველა ნამდვილი ინგლისელები ერთად შეერთებულიყვნენ და წინამძღოლად გამოცდილი კაცი ეშოვნათ. თითქმის ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ მოთავედ საქსების მეფის გვარეულობის კაცი უნდა ყოფილიყო. ეს ღირსება ატელსტენსა ჰქონდა, რომელიც თუმცა დიდი ჭკუის კაცი არ იყო, მაგრამ ნაცვლად ამისა იგი იყო წამოსადეგი, უშიშარი, სამხედრო საქმეებში გამოცდილი და თავისზედ ჰკვიან კაცების დარიგებასაც ისმენდა ხოლმე. თუმცა ასეთი იყო ატელსტენი, მაგრამ ბევრი საქსი უფრო იმის მოსურნე იყო, რომ ეს უფლება როენასათვის მიენიჭებინათ, რადგანაც იგი პირდაპირი ჩამომავალი იყო ალფრედისა; მისი მამა ბრძენი, გმირი და დიდ-სულოვანი კაცი იყო, ამისათვის და ჩაგრული ხალხი დიდს პატივსა სცემდა მის სახსენებელს.

ცედრიკს რომ სდომებოდა, ადვილად შეეძლო მესამე დასის წინამძღოლად გამხდარიყო, და ეს დასიც ისეთივე ძლიერი იქნებოდა, როგორც ზემოხსენებული ორი დასი. თუმცა მეფის ჩამომავლობისა არ იყო, მაგრამ ნაცვლად ამისა იგი იყო გმირი, საქმიანი და დიდი ენერჯის კაცი, მას ძვალ-რბილში ჰქონდა თავის თავის ქვეყნის ბედნიერება, რისა გამოც

მას საქსონელს ეძახოდნენ. ყოველივე ეს ღირსებანი არ იყვნენ შემწიკვლულნი არავითარის უღირსი საქციელით; იგი სულ იმის ზრუნვაში იყო, რომ თავის დაუძღურებული ერთი უფრო არ დაუძღურებულიყო დას-დასებად დაყოფით და ცდილობდა ყოველივე უთანხმოების მოსპობას ატელსტენზედ როენას გათა ხოვებით. ამ სანატრელი განზრახვის შესრულებას როენასი და აივინგოს სიყვარული აპროკოლებდა და ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ვილფრედი თავის სახლიდან გააგდო.

ცედრიკმა იმისთვის მიმართა ამ სასტიკს საშუალებას, რომ იმედი ჰქონდა რაკი ვილფრედი სხვაგან იქნებოდა, როენა მას დაივიწყებდა, მაგრამ ანგარიში მოსტყუედა. ცედრიკი, რომელიც ათაყვანებდა ალფრედის სახელს, ისეთს დიდს პატივსაცემად ამ დიდი მეფის ერთად ერთს ჩამომავალს, რომ ასეთი პატივისცემა ეხლანდელ მეფეთა შთამომავლობასაც კი შეშურდებოდა. როენას სურვილი მთელი სახლისათვის კანონი იყო და თვითონ ცედრიკიც ისე ექცეოდა, როგორც ქვეშევრდომი, რომ ამით განემტკიცებინა მისი უფლება იმ პირთა შორის მაინც; რომელნიც როენას გარს ეხვივნენ, რაკი ასე თავისუფლად იზრდებოდა და სხვებზედ ბრძანებას დაჩვეული იყო, ამისათვის როენა არავის ანგარიშს არ აძლევდა თავის მოქმედებაში და საქმროს ამორჩევაში; მან გადასწყვიტა მტკიცედ მდგარიყო თავის აზრზედ; ამისთანა შემთხვევაში თვით მორჩილი ქალებიც კი წინააღმდეგნი გაუხდებიან ხოლმე თავის მშობლებს. იგი გაბედვით ამბობდა იმას, რასაც გრძნობდა და ცედრიკიც წინააღმდეგი ვერ უხდებოდა, რადგანაც ჩვეული იყო იმის პატივისცემას.

ამაოდ სცდილობდა იგი როენას გულის მოგებას ბრწყინვალე სამეფო ტახტის დაპირებით. როენა ბუნებით ჭკვიანი ქალი იყო და ცედრიკის განზრახვას. აუსრულებელ განზრახვად სთვლიდა, თავის შესახებ მაინც. იგი არა მალავდა, რომ ვილფრედს აივინგოსთვის უცემდა გული, მაგრამ არც იმას მალავდა, რომ თუ გარემოების გამო საყვარელ რაინდთან განშორება იქნებოდა საჭირო, მაშინ იგი მონასტერში შევიდოდა და

ატელსტენთან ერთად კი სამეფო ტახტსაც არ ინდოშებდა. მას წინადაც ეჯავრებოდა ატელსტენი და ეხლა ხომ უფრო შეიძლება, რადგანაც იმის გამო ბევრი უსიამოვნება აღგებოდა.

თუმცა ასე იყო, მაგრამ ცედრიკი მინც ყოველს ღონისძიებას ხმარობდა ატელსტენი და როენა ერთად შეეუღლებინა, რადგანაც ეგონა ამით დიდს სამსახურს გაუწევდა საქსების საქმეს. შვილის უეცარს და რომანიულს მოსვლას აშბის ასპარეზობაზედ იგი თავის იმედების მომაკვდინებელ მხედ სთვლიდა. მართალია მამა-შვილურმა სიყვარულმა დროებით დასძლია მისი სიამაყე და პატრიოტული გრძნობა, მაგრამ ეს ამპარტუნება და პატრიოტული გრძნობა შემდეგში უფრო გაძლიერდა და ვადასწყვიტა უკანასკნელი ღონე ელონა, რომ ატელსტენი და როენა შეეუღლებინა და ამით საქსებისთვის დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. აი სწორედ ამ საქმის შესახებ ელაპარაკებოდა ეხლა ატელსტენს.

ატელსტენს მედიდური ხასიათი ჰქონდა, თავის ჩამომავლობაზედ ლაპარაკი უყვარდა და თავის-თავს ტახტის მემკვიდრედ სთვლიდა; მაგრამ მისი წვრილმანი მედიდურობა მაშინაც კი კმაყოფილდებოდა, როდესაც დაახლოვებული საქსები მცირე პატივსა სცემდნენ. თუმცა ატელსტენი ყველაფერში ეთანხმებოდა ცედრიკს საქსების განთავისუფლების შესახებ, მაგრამ როდესაც იმაზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, თუ რა საშუალება ეხმარათ ამ აზრის შესასრულებლად, მას გაუბედობა, სიზარმაცე და სიმხალე ეტყობოდა ხოლმე და საქმეს სახვალიოდ აგდებდა. ცედრიკის აღგზნებულს და გულმხურვალე ლაპარაკს ძლიერ მცირე გავლენა ჰქონდა მის შეუშუოთებელს ხასიათზედ.

შუა დღისას, ატელსტენის სურვილისამებრ, მოგზაურები ერთს დაჩრდილულს ადგილას ჩამოხდნენ პატარა მდინარის ნაპირას, რომ ცხენებიც დავსვენებინათ და პურიც ეჭამათ. მათ აქ ისე დიდ ხანს დაუკვირდნათ, რომ როტერვუდამდინ თვალნათლივ მისვლის იმედი დაეკარგათ.

თავი მეთვრამეტი

შეიარაღებული ცხენოსნები, რომელნიც კეთილშობილს ქალს აცილებენ (ეს ცხადად სწანს იმათი სიტყვებიდან, რომელთაც ყური მოკვარ გზაზედ), ახლო არიან და ღამის გათევას ციხე-დარბაზში აპირებენ.

იოანე ბელი.—ორა, ტრაგედია.

მოგზაურები გაუდგნენ გზასა და შევიდნენ ტყეში, სადაც არა ერთი და ორი ყაჩაღი იყო, რომელნიც გამოჰქცეოდნენ უსამართლობას და აქ იმალებოდნენ. მაგრამ ცედრიკსა და ატელსტენს იმათი არ ეშინოდათ, რადგანაც იგინი ათამდინ იყვნენ, გურტი და ვაშბა რომ არ ვიანგარიშოთ, რომელთაგან ერთი ხუმარა იყო და მეორე ხელებ შეკრული.

ცოტა მანძილი რომ გაიარეს, საშინელი ხმაურობა მოესმათ და ტრახტრეევანდები დაინახეს, რომელშიაც ცხენები აღარ ება; მათ გვერდით იჯდა ახალგაზდა ქალი, ებრაულის მდიდრულის ტანისამოსით მორთული, აქვე იყო ერთი მოხუცებული კაცი, რომელსაც ყვითელ ქუდზედ ეტყობოდა, რომ ისიც ებრაელი იყო; იგი განწირულებით დარბოდა წინ და უკან და ისეთ ნაირად იმტვრევდა ხელებს, რომ კაცს ეგონებოდა დიდი უბედურება რამ მისდგომიაო.

ატელსტენი და ცედრიკი ეკითხებოდნენ ებრაელს მწუხარების მიზეზს, მაგრამ შიშისაგან ენა ჰქონდა ჩავარდნილი და კარგა ხანს პასუხს ვერ აძლევდა. ბოლოს, როდესაც იორკელი ისაკი (ეს ჩვენი ძველი ნაცნობი ებრაელი იყო) გონზედ მოვიდა, მაშინ კი უამბო, რომ მას აშშში დაექირავებინა ექვსი კაცი თავიანთის ცხენებით ავადმყოფი მეგობრის გადასაცვანად იმ პირობით, რომ იგინი დონკასტერამდინ გაჰყოლოდნენ. იგინი პირველად უშიშრად თურმე მიდიოდნენ გზაზედ, მაგრამ როდესაც შემის მჭრელისაგან გაეგოთ, რომ ყაჩაღები მათ გზაში უცდიდნენ, ცხენები გამოეშვათ და გაქცეულიყვნენ. მარტოდ მარტო დაეტოვებინათ ებრაელი და მისი ქალი, რომელნიც წამდაუწუმ გაცარცვას უნდა მოლოდებოდნენ.

— თქვენს საფარველს ქვეშე ერთად მოგზაურობის ნება რომ მოგვცეთ, — უთხრა მოკრძალებით ებრაელმა: — ჩემს რჯულს გეფიცებით, რომ ამ სიკეთეზედ უდიდეს სიკეთეს ველარაფერს უზამდით ისრაელის შთამომავალთ.

— ძაღლო ურიავე, უთხრა ატელსტენმა, რომელსაც გულში ძველი ჯავრი ჰქონდა ჩაყოლილი, — განა დაგავიწყდა რანაირად დაგვცინოდი ასპარეზობაში? გინდა ებრძოლე, გინდა გაიქეც, ან როგორც გინდოდეს ისე მოელაპარაკე ყაჩაღებს, მხოლოდ ჩვენგან კი მფარველობასა და დახმარებას ნუ მოითხოვ; ყაჩაღები რომ მხოლოდშენისთანა საძაგელს კაცებს სცაჩვენებდნენ, მაშინ მე იმათ პატროსან კაცად ჩავთვლიდი.

ცეცრიკი თავის ამხანაგის აზრს არ დაეთანხმა. — ჩვენ უფრო კარგს ვიზამთ, უთხრა მან, — თუ მათ ორს მოსამსახურეს და წყვილს ცხენს მივცემთ, ახლოს აფლამდინ გასაცილებლად. ამით ჩვენ არაფერი დაგვაკლდება; ჩვენის ხმლითა და ჩვენთან დარჩენილ მოსამსახურეთა დახმარებით ოცი ყაჩაღის მოშორებას ყოველთვის შევიძლებთ.

ყაჩაღების სიმრავლით შეძრწუნებული როენა ცედრიკის აზრს დაეთანხმა. მაგრამ რებეკა მივიდა ცხენზედ მჯდომარე როენასთან, მის წინაშე დაიჩოქა და აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ ტანისამოსზედ აკოცა. მერე წამოდგა ზეზედ, პირბადე აიხადა და სთხოვა, რომ შეგვიბრალეთ და თქვენთან ერთად მოგზაურობის ნება მოგვეცითო.

— მე ჩემთვის კი არა ვთხოვთ ამ მოწყალებას, ეუბნებოდნენ რებეკა, და არც მოხუცი მამიჩემისათვის. მე ვიცი, რომ ქრისტიანებს ჩემი თანამემამულეთა გაცარცვა და შეურაცხყოფა არაფრად მიაჩნიათ. გვედრებით იმის სახელით, რომელიც ძვირფასია მრავალთათვის და განსაკურებით უფრო თქვენთვის, უბრძანოთ ეს ავადმყოფი თქვენის მფარველობით ფრთხილად და წყნარად წაიყვანონ. ამას რომ რამე უბედურება დაემართოს, მაშინ უკანასკნელი წამი თქვენის სიცოცხლისა მოგეწამლებათ იმით, რომ ჩემი თხოვნა უარ-ჰყავით.

კეთილშობილურმა და აღტაცებულმა რებეკას ლაპარაკ-მა დიდად იმოქმედეს მშვენიერს როენაზედ.

— ეს კაცი მოხუცი და სუსტია, უთხრა მან თავის აღმზრდელს ცედრიკს, — ქალი ახალგაზდა და მშვენიერი, ხოლო მათი მეგობარი მძიმე ავადმყოფია... თუმც იგინი ებრაელები არიან, მაგრამ ჩვენ, როგორც ქრისტიანებმა, ასეთს განწირულს მდგომარეობაში არ უნდა დავტოვოთ. მათ ორი ჯორი მიეცეთ და ბარკი მონების ცხენებს ავკიდოთ. ჯორები ტრახტრევანს წაიღებენ, ხოლო ამ მოხუცებულს და მის ქალს კი ორი თავისუფალი ცხენი დავუთმოთ.

ცედრიკი მაშინვე დაეთანხმა როენას აზრს; ატელსტენიც დაეთანხმა, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი ყველაზედ უკან ყოფილიყვნენ, რომ ვაშბას შესძლებოდა მათი დაცვა ღორის ღორის შუბითა.

— მე ჩემი შუბი ასპარეზობაში დავტოვე, მიუგო ხუმარამ, — ესევე მოუხდათ ზოგიერთა რაინდებსაც, რომელნიც ჩემზედ უკეთესნი იყვნენ.

ატელსტენი ყურებამდინ გაწითლდა, რადგანაც ასპარეზობაში იმის შუბსაც ასეთივე ბედი ხვდა; როენამ კი, რომელსაც ძალიან მოეწონა ვაშბას სიტყვის გადაკვრა, ატელსტენის გამოჯავრებით, რებეკა თავისთან მიიწვია და თავის გვერდით დააყენა. კვალად გაუდგნენ გზასა. გურტი ცხენიდან გადმოსვეს და მან სთხოვა ვაშბოს თოკი მოეშვა. ვაშბამ ისე ძალიან მოუშვა თოკი, რომ გურტმა სრულიად გაინთავისუფლა ხელები და დაბურულს ტყეში დაიშალა.

როდესაც მოგზაურები ვიწრო ხეობაში შევიდნენ, მათ ყაჩაღები უეცრად თავს დაესხნენ. ცედრიკმა იქამდინ იბრძოლა, სინამ ტყვედ არ დაიჭირეს; ატელსტენი კი ისე დაატყვევეს, რომ ხმალიც არ ამოუღია. დანარჩენს მოგზაურებსაც ასევე ბედი ხვდათ. მოსამსახურეებში ყველაზედ უშიშარი ვაშბა გამოდგა, მან გამოსტაცა ერუს მოსამსახურეს ხმალი და გაექანა თავის ბატონის გასანთავისუფლებლად, მაგრამ რაკი დაატ-



ყო, რომ ვერას გახდებოდა ცხენიდან გადმოხტა და ტყეში დაიმალა. ამ დროს ტყიდან ვიღამაც სახელი დაუძახა.

ამავე დროს ფანგისც მივიდა მასთან და მიელაქუცა. „გურტო შენა!“ წარმოსთქვა ვამბამ ფრთხილად, მელორე მაშინვე ვამბასთან მივიდა.

— ეს რა ამბავია?—ჰკითხა გურტმა საჩქაროდ:—რას ნიშნავს ეს ყვირილი და ხმლების ჩახა-ჩუხი?

— იმას, რაც ჩვენს დროში იშვიათად არ მოხდება ხოლმე,—მიუგო ვამბამ:—ყველანი ტყვედ დაიჭირეს.

— ვინ დაიჭირეს ტყვედ?—ჰკითხა მოუთმენლად გურტმა.

— ჩემი ბატონი, ქალბატონი, ატელსტენი, გუნდბერგი და ოსვალდი.

— თუ ღმერთი გწამს სწორედ მითხარ: ვისა და ან როგორ ჩაუვარდნენ ტყვედ?

— ჩვენი ბატონი მზად იყო ებრძოლა,—მიუგო ხუმარამ;—მაგრამ ატელსტენი და სხვები კი სრულიად მოუმზადებელი იყვნენ. ივინი ტყვედ წაიყვანეს ნიღაბებ ჩამოფარებულმა ყაჩაღებმა. ჩვენები ყველანი ისე ჰყრიან მიწაზედ, როგორც ვაშლები, რომელთაც შენ შენს ღორებს დაუყრი ხოლმე. ტირილი რომ არ შემეძლოს, მე მათ სასაცილოდ ავიგდებდი. ხუმარამ გულწრფელი მწუხარების ცრდილები მოიწმინდა თვალებიდან.

გურტი ცეცხლივით აენტო. ვამბა!—წარმოსთქვა მან:—შენ ხომ იარაღი გაქვს და შენი გული შენს თავს ბევრად სჯობიან; ჩვენ მართალია ორნი ვართ, მაგრამ ანაზღეულად ორის თავს დასხმაც ბევრს რამეს ნიშნავს. წავიდეთ!

— სადა და რისთვის? ჰკითხა ხუმარამ.

— ცედრიკის გასანთავისუფლებლად.

— შენ ხომ სამუდამოდ უარი თქვი იმის სამსახურზედ?

— ეგ მაშინ,—მიუგო გურტმა:—როდესაც იგი ბედნიერი იყო. წავიდეთ!

როდესაც ხუმარა ის იყო უნდა დასთანხმებოდა გურტს, უეცრად მესამე პირო მოვიდა მათთან და უბრძანა მოეცადნათ.



იმას ისეთი ტანისამოსი ეცვა და ისეთი იარაღი ჰქონდა, რომ ვამბას ეგონა ის ერთი იმ ყაჩაღთაგანი იყო, რომელთაც მისი ბატონი დაატყვევეს. მაგრამ რადგანაც მას ნიღაბი არ ეფარა, ვამბა მაშინვე მიხვდა, რომ იგი ლოკსლეი იყო, ის მეშვილდისრე ლოკსლეი, რომელმაც შვილდისრის სროლაში ყველას აჯობა ასპარეზობაში.

— რას ნიშნავს ეს ამბაი?—ჰკითხა მან:—ვის შეუუძლიან ამ ტყეში ვისიმე გაცარცვა და ტყვედ წაყვანა?

— აბა ახლა დაათვალიერეთ მათი ტანისამოსი, — უთხრა ვამბამ, — და გაიგებ შენები არიან თუ არა... ტანისამოსით სულ შენა გგვანან.

— მე ყველაფერს ეხლავე გავიგებ, — მიუგო ლოკსლეიმ: — და გიბრძანებთ, თუ სიციცხლე არ მოგძულეობიათ, ადგილიდან არ დაიძრათ, ვიდრე არ დაგბრუნდენ. მე გამიგონეთ და დარწმუნებული იყავით, რომ არც თქვენ მოგივათ ცუდად და არც თქვენს ბატონებს... მამითმინეთ, იმათებურად მინდა ჩავიცვა.

ესა სთქვა და ლოკსლეიმ მოიხსნა საყვირი, ქუდიდან ფრთა ამოიძრო და ვამბას გადასცა; შემდეგ ნიღაბი ჩამოიკო და საძებნელად წავიდა, წასვლის დროს კიდევ გაუმგორა ვამბასა და გურტს, რომ ადგილიდან არ დაძრულიყვნენ.

— ვითომ ჩვენ იმას მოვუცადოთ, გურტო? — ჰკითხა ვამბამ, — თუ დავანახოთ, რომ ფეხები ჩვენც გვაბია? ჩემის მოკლე ჭკუით, პატიოსანი კაცი მას ყოველთვის ქურდად ჩასთვლის.

— დაე თუ გინდ ეშმაკი იყოს, თუ რომ უნდა, — მიუგო გურტმა. — ჩვენ იმის მოცდით უარესი არ მოგვივა. თუ იგი იმავე ყიჩაღებს ეკუთვნის და ჩვენი აქ ყოფნა შეატყობინა, მაშინ არც ბრძოლა გვაშველის და არც გაქცევა. ამასთანავე მე ამას წინად გამოვცადე, რომ ნამდვილი ყაჩაღები ყველა იმ კაცებზედ საძაგლები არა ყოფილან, რომლებთანაც საქმე გვაქვს ხოლომე.

ლოკსლეი რამდენიმე წამის შემდეგ დაბრუნდა.

— ჩემო მეგობარო გურტო, — უთხრა მან, — მე გავერიე იმ ხალხში და შეფიტყე ვინც არიან და სადაც მიდიან, იგინი ტყვეებს

არავითარს ვნებას არ მიაყენებენ. უკუნურება იქნება, რომ ჩვენ მათ თავს დავესხათ. ყველა იგინი ომში გამოცდილნი არიან და ყარაულლები ჰყავთ დაყენებულნი, მაგრამ იმედი მაქვს მალე შეეკრიბო იმდენი ხალხი, რომ მათს სიფრთხილეს ბოლო მოვუღლო; თქვენ ორივე მოსამსახურენი ხართ, და როგორც გატყობთ ერთგული მოსამსახურენიცა ხართ ცედრიკ საქსონელი-სა, რომელიც ინგლისის ხალხის უფლების მოსარჩლეა. ინგლისელებიც მას უბედურებაში გამოადგებიან. ვიდრე ხალხს შევკრფამდე თქვენ მე თან გამომყევით.

ესა სთქვა და ტყე-ტყე ჩქარის ნაბიჯით წავიდა; ხუმარა და მელორე უკან გაჰყვნენ. ვამბამ ხმის ამოუღებლად დიდ ხანს ვერ გასძლო.

— მე მეგონა,—სთქვა იმან, როდესაც მიბარებული საყვირი და სხვა იარაღი გასინჯა,—რომ დავინახე ისარი, რომელითაც იმან ასპარეზობაში ეს ჯილდო მოიგო.

— მე კი ისე მეგონა,—მიუგო გურტმა:—რომ მესმოდა ხმა გულ-კეთილის მეშვილდისრისა დღეცა და ღამეც, და რომ მას აქეთ მთვარე სამჯერ აღარ ამოსულა.

— ჩემო მეგობრებო,—წარმოსთქვა მეშვილდისრემ:—მე ვინცა ვარ, თქვენთვის ეხლა საჭირო არ არის; თუ მე თქვენს ბატონს თავისუფლება დავუბრუნე, შეგიძლიან თქვენს მეგობრად ჩამთვალოთ. ის კი რა საჭიროა თქვენთვის რომ იცოდეთ: ეს სახელი მქვიან, თუ ის სახელი, კარგად ვესვრი შვილდსა თუ ცუდად, მთვარიან ღამეში მიყვარს სიარული, თუ მზიან დღეში.

— ჩვენ ლომის ყბაში ჩავაგდეთ ჩვენი თავი,—წასჩურჩულა ვამბამ გურტს:—ნეტავი როგორ დავინსნათ თავი?

— სუ! გაჩუმდი!—მიუგო გურტმა:—შენის სისულელით მას ნუ გააჯავრებ, მე კი სულითა და გულით მრწამს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

თავი მეცხრამეტე

შემოდგომის დიდს დამეში რა ტკბილად ესმის ტყეში ბილიკზედ მიმავალს მოგზაურს გალობა განდგეილისა!

ლოცვა მუსიკას ემსგავსება, მუსიკა ლოცვის ფრთებით ზე ემართება, ტკბილი ხმები მიჰფრინავენ ცაში როგორც ჩიტი, რომელიც მზის სხივებს ეაღვრისება.

განდგეილი წმ. კლიმენტის მდინარეზედ.

სამი საათის სიარულის შემდეგ, ცედრიკის მოსამსახურენი თავეთი საიდუმლოებით მოცულ გამცილებელით, გავიდნენ ერთ პატარა ველზედ, რომლის შუა ადგილასაც უზარ-მაზარი მუხა იდგა და გაბარდნული ტოტები აქეთ-იქით გაეშვირა. ამ მუხის ახლო ხუთი მეშვილდისრე იწვა დედამიწაზედ, ხოლო ერთი ყარაულად იდგა და წინ და უკან მიდი-მოდიოდა მუხის ჩრდილში.

ყარაულმა ფეხის ხმა რომ გაიგო, მაშინვე შეატყობინა თავის მძინარე ამხანაგებს, რომელნიც მაშინვე წამოაცივდნენ ზეზედ და შვილდისრები მომართეს. ექვსი ისარი გამზადებული იყო იქითკენ გასაფრენად, საიდგანაც ჩვენი მოგზაურები მოდიოდნენ, მაგრამ ლოკსლეი მათ მალე იცნეს, შვილდისრები ძირს დაუშვეს და მიესალმნენ.

— მეწისქვილე სად არის?—ჰკითხა ლოკსლეიმ.

— როტერგამის გზაზედ.

— რამდენი კაცია მასთან?

— ექვსი, და უსათუოდ ჩაიგდებენ რასმე ხელში, თუ წმ. ნიკოლოზის ნებაც იქნება.

— სასოებით ამბობ! აღან-ე-დელი სადღაა?

— ვატლინგის გზაზედ და ჟორჯოს მოძღვარს უცდის.

— ეგ კარგია! ბერი სადღაა?

— თავის სენაკში.

— მაშ მე იმასთან წავალ, — უთხრა ლოკსლეიმ, — თქვენ კი სხვა-და-სხვა მხრისკენ წადით და თქვენი ამხანაგები იპოვნეთ. რაც შეიძლოთ ბევრი შეაგროვეთ, ამისთვისრომ ნადირი,

რომელზედაც ჩვენ უნდა ვინადიროთ, დიდს წინააღმდეგობას გაგვიწევს. გათენებისას აქ მამელოდეთ... მაგრამ მოიცადეთ,— განაგრძო მან,—რაც უფრო საჭირო იყო ის კი მაგიწყდებოდა: ორი თქვენგანი ეხლავე წავიდეს ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზისკენ მიმავალ გზაზედ. რამდენიმე კაცს ჩვენსავით აცვიით და ტყვეები მიჰყავთ. გულ-მოდგინებით ადევნეთ მათ თვალ-ყური და თუ გინდ კიდევ მოასწროს შესვლა ციხე-დარბაზში, მაინც უნდა დავსაჯოთ იგინი, რადგანაც ამას თხოულობს ჩვენი ღირსება. გაჰყევით უკან და ერთმა თქვენგანმა მათი ამბავი შემატყობინოს.

მსროლელთ აღუთქვეს ყოველისთვის შესრულება და წავიდნენ. მათი წინამძღოლი და ორი მისი ამხანაგი კი კოპენ-გურტის ნიშისკენ წავიდნენ. ეს ორი ამხანაგი ეხლა დიდის პატვის-ცემით და მოკრძალებით შესცქეროდნენ თავიანთ წინამძღოლს.

როდესაც მკრთალ მთვარის შუქზედ იგინი წმინდა ნიშთან მივიდნენ, ვამბამ უჩუროხულა გურტს: თუ ეს ყაჩაღის ბინაა, მაშინ ძველი ანდაზა მართლდება: „რამდენიც ეკლესიასთან ახლო ხარ, იმდენი ღმერთთან შორსა ხარ“. ყური დაეფგლოთ, სენაკიდან სიმღერის ხმა გამოდის.

მართლაც ბერი და იმის სტუმარი რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ძველს სიმღერას მღეროდნენ და მხიარულობდნენ.

— ურიგოდ არა მღერიან,—უთხრა ვამბამ.—ვინ იფიქრებდა, რომ კაცი ასეთს მხიარულს სიმღერას გაიგონებდა შუალამისას და ისიც განდევგილის ოთახში?

— ჩემთვის ეგ საკვირველი არ არის,—მიუგო გურტმა:—ამ მხიარულს ბერს ყველა კარგად იცნობს და კარგი მონადირეც არის, ისე არ გაისეირნებს ხოლმე ტყეში, რომ მშველი არ მოჰკლას. ამბობენ მეტყვევმ უფროსთან უჩვილა თურმე და ბერული ტანისამოსის ტარება აუკრძალებს, თუ რომ კარგად არ მოიქცევა.

როდესაც ორი ამხანაგი ასე ლაპარაკობდა, ლოკსლეიმ სენაკის კარები დაარახუნა და ბერისა და იმის სტუმრის ყურადღება მიიქცია.

— ჩემს კრილოსანს ვფიცავ, — წამოიძახა მეუღაბნოემ და სიმღერა გაწყვიტა, — რომ ჩვენთან კიდევ ვილაებიც მოვიდნენ. მე არ მინდა ამ ღზინის დროს მნახონ. მტერი ყველასა ჰყავს, საყვარელო ზარმაცო რაინდო, და არიან ისეთი ბოროტი ვაჟ-ბატონებიც, რომელნიც ჩემს სტუმრის მოყვარულობას ლოთო-ზათა და გარყვნილებად ჩასთვლიან, რაიცა ჩემს წოდებას არ შეეფერება.

— საზიზღარნი ცილის-მწამებელნი! — მიუგო რაინდმა, — მე იმათ ვაჩვენებ ცილის-წამებას! მართალს ამბობ, წმინდაო მამო, ყველა კაცს თავისი მტერი ჰყავს: მეც ამ მხარეში ისეთი მტრები მყვანან, რომელთაც ზუჩით პირ-დაფარული უფრო დევლაპარაკები, ვიდრე პირ-ახდილი.

— მაშ რაც შეიძლო მალე დაიხურე ზუჩი, — უთხრა მეუღაბნოემ, — მე კი მინამ ბოთლებს მივალაგებ. მე ცოტა არ არის მთვრალი ვარ და რომ ბოთლების ჩახა-ჩუხი არავინ გაიგოს, სიმღერას ვიტყვი და შენც მამძახე.

ესა სთქვა და ხმა მალლა დაიწყო ბერმა სიმღერა და თანაც-სუფრას ალაგებდა; რაინდიც გულით იცინოდა, თან იარაღს ისხამდა და თან ბანს აძლევდა.

— რა ეშმაკური ლოცვა დაგიყენებიათ ამისთანა დროს? — მოისმა ხმა გარედან.

— ღმერთმა გაპატიოს, ბატონო მოგზაურო! — მისცა ხმა მეუღაბნოემ, რომელმაც სიმღერის ხმაურობაზედ და იქნება სიმთვრალის გამოც ვეღარ იცნო თავის კარგი ნაცნობის ხმა, — ღვთისა და წმ. დუნსტანის გულისაუვის შენ შენს გზაზედ წადი და ნუ გვიშლი ლოცვას ნურც მე და ნურც ჩემს წმინდა მოძმეს.

— უკუნურო ბერო! — მოისმა კვალად ხმა გარედან, — ლოკსლეის კარი გაუღე.

— ყველაფერი კარგად არის, საშიში არაფერია, — უთხრა მეუღაბნოემ თავის ამხანაგს.

— ვინ არის ევა? — ჰკითხა შავმა რაინდმა: — მე უნდა ვიცოდე...

— ვინა?—მიუგო მეუღაბნოემ,—გეუბნები-მეგობარია.

— ვინ მეგობარი?—ჰკითხა კვალად რაინდმა,—იქნება შენი მეგობარია და არა ჩემი!

— ვინ მეგობარია?—მაგის კითხვა უფრო ადვილია, ვიდრე პასუხის მოცემა.—ვინ მეგობარია? მოიცა, მოიცა, ეხლა მოვიგონე: ეს ის მეტყვევა, რომელზედაც წელან გელაპარაკე.

— ეჰვი არა მაქვს, რომ ისიც ისეთივე მეტყვევე იქნება, როგორც კეთილ-მსახური მეუღაბნოეც შენა ხარ, — მიუგო რაინდმა.—რაღას უყურებ, ვაჟლე კარები, თორემ შემოამტვრევს.

როდესაც ლოკსლეიმ კარები პირველად დაარახუნა, ძალღებმა საშინელი ყეფა ასტეხეს, მაგრამ მალე მისი ხმა იცნეს და გაჩუმდნენ, კარებთან მივიდნენ და ფხოქნა დაუწყეს, თითქო სტუმრის შინ შემოსვლას თხოულობენო.

— ეს რას ნიშნავს, მეუღაბნოე?—უთხრა ლოკსლეიმ, როდესაც რაინდი დაინახა:—ეს მხიარული ამხანაგი საიდან იშოვნე?

— ეს ჩემი ორდენის კაცია,—მიუგო ბერმა თავის ქნევით:—მთელი ღამე ლოცვა-ვედრებაში გავატარეთ.

— ეგ, მგონი, ბერია მებრძოლის ეკლესიისა,—მიუგო ლოკსლეიმ:—ეხლა იგინი ძალიან ბევრნი არიან ამ არე-მარეში: შენ შენი კრიალოსანი შეინახე და კვერთხი აიღე ხელში.—მერე გვერდზედ გაიხმო და უთხრა:—ხომ არ გავიჟებულხარ? ისეთი რაინდი მიგიღია, რომელსაც არც კი იცნობ. განა ჩვენი დადგენილებანი დაგავიწყდა?

— მე არ ვიცნობ ამასა?—უთხრა რიხიანად ბერმა,—მე ამას ისევე ვიცნობ, როგორც გლახა თავის კერძს.

— რა ჰქვიან სახელად?—ჰკითხა ლოკსლეიმ.

— მას ჰქვიან,—მიუგო მეუღაბნოემ,—მას ჰქვიან... ანტონ სკრებელსტონი... მე როგორ დავლევ ისეთს კაცთან, რომლის სახელიც არ მეცოდინება!

— შენ ბევრი დავილევია ბერო,—უთხრა ლოკსლეიმ,—და მეშინიან ბევრი ხომ არა გიყბედნია-რა.

— საყვარელო მეშვილდისრევ, — უთხრა რაინდმა და მივი-  
და მათთან, — ჩემს მხიარულს მასპინძელზედ ნუ ჯავრობ. მან  
მე გამიწია მასპინძლობა, რომელსაც ძალითაც მოვიტხოვდი,  
თუ უარს მეტყოდა.

— ძალითა! — შეჰყვირა ბერმა. — დამაცადე ეს ყომრალი  
ანაფორა გამოვიცვალო და მწვანე ჯუბა ჩავიცვა, თუ მაშინ  
თორმეტჯერ არ დავატრიალო შენს თავზედ ჯოხი, მაშინ მე  
არც ნამდგილი ბერი ვყოფილვარ და არც კარგი მსროლელი.

— ეს რომ სთქვა, ბერმა ანაფორა გაიხადა და მწვანე ფე-  
რის შარვალი და ჯუბა ჩაიცვა.

— გეთაყვა, ყაითნების შეკვრა მიშველე, — სთხოვამან ვა-  
მბას: — შრომისთვის ერთ ჭიქა ღვინოს დაგალევენებ.

— ღვინოსთვის გმადლობთ, — მიუგო ვამბამ. — მაგრამ ნუ  
თუ გგონია გიშველო, რომ წმინდა მეუღაბნოეს ტანისამოსი  
გაიხადო და ცოდვილი ყაჩაღის ტანისამოსი ჩაიცვა?

— ნურაფრისა ნუ გეშინიან, — უთხრა ბერმა: — ჩემი მწვა-  
ნე ჯუბა თავის ცოდვებს აღსარებაში ეტყვის ჩემს ბერულს  
ყომრალს ანაფორას და საქმე გაიჩარხება!

— ამინ! — მიუგო ხუმარამ. — მაუდის ჯუბა ანაფორას გა-  
ენდობა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ შენმა ანაფორამ ჩემს  
ტანისამოსსაც აპატიოს ცოდვები.

ვამბამ ბერს ყაითნების შეკვრა უშველა. ვიდრე ეს ორ-  
ნი ამ საქმეში იყვნენ, ლოკსლეიმ გაიხმო რაინდი გვერდზედ  
და უთხრა: ნუ დამიმაღამთ, ბატონო რაინდო: აშბის ასპარე-  
ზობის მეორე დღეს თქვენ გადასწყვიტეთ ინგლისელების გან-  
თავისუფლება უცხოელებისაგან?

— თუ გინდ რომ ეგრეც იყოს, მერე რა გამოგყავს მან-  
დედან, ჩემო საყვარელო! — ჰკითხა თავის მხრივ რაინდმა.

— ისა, რომ მე შენ ჩაგრულთა დამცველად გხადი, — მი-  
უგო ლოკსლეიმ.

— ეგ ყოველი რაინდის მოვალეობას შეადგენს, — მიუგო  
შავმა რაინდმა, — და ძალიანაც მეწყინება ჩემზედ რომ სხვა-  
ფრივ ფიქრობდეს ვინმე.



— ჩემთვის, — მიუგო ლოკსლიმ, — ეხლა საჭიროა, რომ შენ ისეთივე კარგი ინგლისელი იყვე, როგორც კარგი რაინდი ხარ, ამისთვის რომ ის საქმე, რომელსაც მე ეხლა შენ შევატყობინებ, თუმცა ყველა პატიოსანს კაცს შეეხება, მაგრამ ნამდვილ ინგლისელს უფრო მეტად შეეხება.

— მე დარწმუნებული ვარ, — მიუგო რაინდმა, — შენ ისეთს ვერაფერს იპოვი, რომელსაც ინგლისი და ყველა ინგლისელის სიცოცხლე ისე ძვირად უღირდეს, როგორც მე.

— მე ვგ სულითა და გულითა მჯერავ, განაგრძო ლოკსლიმ, — ამისთვის რომ ჩვენს სამშობლოს ისე არას დროს არ დასჭირებია იმათი თავი, რომელთაც იგი უყვართ, როგორც ეხლა. ყურა დამიგდე, მე შენ შევატყობინებ ჩვენს განზრახვას და თუ შენ მართლა ისეთი ხარ, როგორც მგონიხარ, შეგიძლიან ამ საქმეში კარგი ადგილი დაიჭირო. მაწანწალათა ხროვას, ჩაცმულ იმ ხალხის ტანისამოსით, რომელნიც ბევრად მათზედ პატიოსნები არიან, ტყვედ წაუყვანიათ კეთილშობილი ინგლისელი ცედრიკ საქსნელი, მისი გაზდილი ქალი და მისი მეგობარი ატელსტენი და უნდათ ამ ტყეში აშენებულ ციხე-დარბაზში დაამწყვდიონ. ახლა გკითხავ მე შენ, როგორც ნამდვილს ინგლისელს: მათს განთავისუფლებაში მიიღებ მონაწილეობას თუ არა?

— მე ვალად ვრაცხ ჩემს თავს მივიღო შენი წინადადება, მიუგო რაინდმა; — მხოლოდ მინდა გავიგო, ვინა ხარ შენა, რომ მათ გასანთავისუფლებლად მეძახი?

— მე, მიუგო ტყის მცხოვრებელმა, — კაცი ვარ, რომელსაც სახელი არა აქვს, მაგრამ ერთგული მეგობარი კი ვარ ჩემი სამშობლოსი და ყველა იმათი, რომელთაც იგი უყვართ. ჯერ-ჯერობით ამით უნდა დაკმაყოფილდე, თუ გინდა რომ შენც უცნობლად დარჩე. დამიჯერე, ვისაც სიტყვას მივცემ, წმინდათაც შევასრულებ.

— სულითა და გულით მჯერა, მიუგო რაინდმა. — მე კაცს სახეზედ შევატყობ ხოლმე, რაც არის, და შენც გატყობ, რომ პატიოსანი და მაგარი ხასიათის კაცი ხარ. მაშ ტყუილ-

ჟბრალო გამოკითხვით აღარ შეგაწუხებ და ტყვეების განთავისუფლებაში დაგეხმარები; ამის შემდეგ, იმედი მაქვს ერთმანეთს გავიცნობთ და ერთმანეთის მადრიელნი ვიქნებით.

— დახე ერთი, უთხრა გურტს ვამბამ, რომელმაც ბერს ტანისამოსი ჩააცვა და მათი ლაპარაკის უკანასკნელი სიტყვები გაიგონა:— ჩვენ ახალი მომხრე შევიძინეთ! მე მგონია, რაინდის გმირობა უფრო კარგი ლითონისაგან არის ჩამოსხმული, ვიდრე მეუღაბნოეს საჩუშუნოება და მეშვილდისრის პატიოსნება; ლოკსლეის თვალეში ეტყობა, რომ ყაჩაღია, ბერი კი მოქიფე ცბიერს კაცსა ჰგავს.

— გაჩუმიდი, ვამბა, თუ ღმერთი გწამს, უბასუხა გურტმა.— იქნება ყოველივე ეგ მართალი იყვეს; მაგრამ თვით ეშმაკიც რომ გამომეცხადოს თავის რქებით და მითხრას ცედრიკისა და ქალბატონი როენას განთავისუფლებას გიშველიო, არა მგონია იმდენი საჩუშუნოება მქონდეს, რომ ამ წინადადებაზედ არ დაყაბულდე და მას არ შევუერთდე.

ბერი ისე იყო ჩაცმული, როგორც მეშვილდისრე ლოკსლეი, ხმლითა და ფართა, მხარზედაც ნაჯახი ჰქონდა გადადებული. ყველაზედ წინ ის გამოვიდა სენაკიდან, შემდეგ კარები მაგრა დაკეტა და გასაღები იქვე კარებთან შეინახა.

— შეგიძლიან, ბერო, ჩვენი დახმარება? ჰკითხა ლოკსლეიმ, — თუ ღვინის ბუღი კიდევ გიტრიალებს თავში?

— წმ. დუნსტინის მდინარის ერთი ყლუბი წყალი სულ გაასწორებს ყველაფერს, მიუგო მეუღაბნოემ. მე ვგრძნობ, რომ თავი როგორღაც მიტრიალებს და კიდევ ვბარბაცობ; მაგრამ თქვენ ნახავთ, რომ ყოველივე ეს მალე წავა. ამ სიტყვების შემდეგ იგი მივიდა იქვე ქვის აუზთან, სადაც ჩამოდიოდა წყალი, რომლის წინწყლებიც მთვარის შუქზედ ასე გეგონებოდა ხტიანო, და ისე ხარბად დაუწყო წყალს დაღევა, თითქოს სრულიად უნდა დააშროსო.

— დიდი ხანია, რაც მაგდენი წყალი აღარ დაგიღევი, წმ. მეუღაბნოევ? ჰკითხა. შავმა რაინდმა.

— არ დამიღვეია მას აქედ, რაც ჩემი ბოთლები გამოიცალა, — მიუგო ბერმა: — ღვინო ორთქლად იქცა და მე იძულებული ვარ ამ მდინარით მოვიკლა წყურვილი. ამის შემდეგ ბერმა ხელები დაიბანა და თავი შიგ წყალში ჩაყო და იმ ღამის ლოთობის ნიშანი სულ ერთიან მოიბანა.

როდესაც გაგრილდა და გამოფხიზლდა, ბერმა ისე სუბუქად დაატრიალა თავის მძიმე ნაჯახი, თითქოს პატარა ჯოხიოდა და დაიძახა: სად არიან ის მაწანწალანი, რომელნიც ქალებს ძალათი იტაცებენ? დაე ეშმაკმა წამილოს, თუ მე იმათი ჯგერის არ ამოვიყარო!“

— შენა ფრცულობ, წმინდაო მეუღაბნოვე? ჰკითხა შავმა რაინდმა.

— მეუღაბნოეს ნუ მეძახი, მიუგო განდევილმა. გეფიცები წმ. გიორგისა და გველაშაჰს, მე მეუღაბნოე მხოლოდ მაშინ ვარ, როდესაც ანაფორა მაცვია. მაგრამ როცა მწვანე ჯუბას ჩავიცვამ ხოლმე, მეც ისევე მინდება სმა და ფიცი, როგორც ყველა სხვას.

— რაც გინდა ისა ჰქენი, მხიარულო მამაო, უთხრა ლოკსლიმ, — მხოლოდ ჩუმიდ კი ილაპარაკე; შენ ისე ხმაურობ, როგორც მთელი მონასტერი უქმე დღის წინად, როდესაც წინამძღვარი დაიძინებს ხოლმე. წავიდეთ, ბატონებო; ლაპარაკში დროს ნუ დავკარგავთ; საჭიროა ყოველი ჩვენი ძალა მოვიკრიბოთ, თუ ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზის აღება მოგვიხდება.

— როგორ! შესძახა შავმა რაინდმა. — ფრონდე ბეფი სცარცვავს მეფის ვასალებს? დიდი ხანია რაც ის ყაჩაღი და ხალხის შემაწუხებელი ვახდა?

— ხალხის შემაწუხებელი ყოველთვის იყო და არის, უთხრა ლოკსლიმ.

— რაც შეეხება იმას, ყაჩაღია თუ არა, დაუმატა მეუღაბნოემ, იმას იმის ნახევარი პატიოსნებაც არა აქვს, რაც ჩემს ნაცნობს ყაჩაღებს.

— წავიდეთ განდევილო და ენას მოუჭირე, უთხრა ლოკსლიმ. — უმჯობესია იქ მივიდეთ, სადაც უნდა მოვგროვდეთ,

ვიდრე იყბედო ის, რის ყბედობაც არ შეგშვენის და არც კეთილგონიერება მოითხოვს.

თავი მეოცე

ვაი! რამდენმა წელიწადმა და საათმა გაიარა მას აქედ, რაც ამ სტოლს გარშემო ადამიანები უსხდნენ და ლამპარი უნათებდა მათ. მე ასე მგონია, ესლაც მესმის მეთქი წარსულის დროის ხმაურობა, რომელიც გაისმოდა ამ შუა-ბნელს თაღების ქვეშ, როგორც გამოურკვეველი ხმა დიდი ხნის საულაეში გახსვენებულთა.

იოანე ბალი.—ორა, ტრაგედია.

იმ დროს, როდესაც ლოკსლეი და იმის ამხანაგები თათბირობდნენ იმაზედ, თუ როგორ გაენთავისუფლებინათ ცედრიკი და მისი ამხანაგები, ამავე დროს მათი დამტყვევებელი მიეშურებოდნენ უშიშარ ადგილისკენ, სადაც მათი დაპატიმრება უნდოდათ. მაგრამ სრულიად დაღამდა და როგორც ეტყობოდათ მაწანწალებმა ტყის ბილიკები კარგად არ იცოდნენ. იგინი იძულებულნი იყვნენ ხშირ-ხშირად შემდგარიყვნენ, და ერთხელ-ორჯულ უკანაც მოუხდათ დაბრუნება, რომ იმ გზას დასდგომოდნენ, რომელზედაც უნდა წასულიყვნენ. დილის ცისკარიც ამოვიდა და ისინი კი ჯერ ნამდვილს გზას არ დასდგომოდნენ. გათენებამ გაამხნევა იგინი და სიარულს მოუმატეს. ამდროს ყაჩაღების ორს წინამძღოლს ასეთი ლაპარაკი ჰქონდათ ერთმანეთში:

— ეხლა კი დროა თავი დაგვანებო, ბატონო მორის, უთხრა ტაძრის რაინდმა დე ბრასის,—და შენი კომედიის მეორე ნაწილი მოამზადო. დროა განმათავისუფლებელი რაინდის როლი ითამაშო.

— მე ეხლა ფიქრი შემეცვალა, მიუგო დე ბრასიმ,—და იქამდინ არ მოგშორდები, ვიდრე ჩვენს ტყვეებს ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზში არ დავაბინავებთ. მაშინ როენას წინაშე ისე გამოვცხადდები, როგორც ნამდვილადა ვარ და იმედი მაქვს მაპატივებს გულისთქმით გამოწვეულს ძალადობას.

— მერე რამ გამოგაცვლევინა აზრი, დე ბრასი? ჰკითხა ბია გილბერმა.

— ეგ შენ არ შეგეხება, მიუგო მოსაუბრემ.

— იმედი მაქვს, ბატონო რაინდო, რომ შენი აზრის გამოცვლა ჩემს პატიოსნებაზედ ეჭვის შეტანით არ იქნება გამოწვეული, თუმცა ფირტურში სულ ამაზე გელაპარაკებოდა?

— ჩემი აზრები საკუთრივ მე მეკუთვნიან. ამბობენ ეშმაკი იცინისო, როდესაც ერთი ქურდი მეორეს ჰპარავსო. ჩვენ ვიცით, რომ იმან თუ გინდ ცეცხლი და გოგირდი ამოანთხიოს, ტაძრის რაინდი მაინც თავს არ დაანებებს თავის სურვილის შესრულებას.

— ვერც თავისუფალი რაზმის წინამძღოლს გაუქარვებს იმ შიშს, რომ ძმა და მეგობარი ისევე უსამართლოდ მოექცევა მას, როგორც თვითონ ის ექცევა სხვას.

— შენ ტყუილ უბრალოდ მაყუდრი, მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ტაძრის რაინდების ზნეობა კარგად ვიცი და შენ არ მოგცემ შეიმთხვევას, რომ ხელიდან გამომტაცო მშვენიერი პატიმარი, რომლის გულისთვისაც ამდენი განსაცდელი გამოვიარე.

— მერე რისა გეშინიან? შენ ხომ იცი ჩვენი ორდენის ალთქმა?

— ისიც კარგად ვიცი როგორც ასრულებენ ამ ალთქმას. კმარა, ბატონო რაინდო; ქალებთან ზრდილობიანად მოქცევა ყველას თავისებურად ესმის, ამისთვისაც არას გზით არ შემიძღლიან ტაძრის რაინდების პატიოსნებას ვერწმუნო.

— მაშე გამოგონე, რას გეტყვი: მე შენს ლურჯ თვალეზიან ტურფასთან დავა არა მაქვს: ჩემის აზრით ჩვენს ტყვეებს ში იმაზედ უფრო ტუფა არსება სხვა მოიპოვება.

— როგორ! ნუთუ მოახლეზედ ამბობ? ჰკითხა დებარასიმ.

— არა, ბატონო რაინდო, მიუგო ამაყად ბია გილბერმა. — თავს იქამდინ არ დავიმცირებ, რომ მოახლეზედ რამე განვიზრახო; მაგრამ დატყვევებულ ქალთა შორის არის ერთი, რომელიც შენს ტურფაზედ არასფრით არ არის ცუდი.

— გეფიცები წმინდანებს, რომ ებრაელს ქალზედ ამბობ.

— თუ გინდ რომ აგრეც იყოს, მაგის წინააღმდეგ რას იტყვი?

— არაფერს, განა უმანკობის აღთქმა შენს სვინიდისს არ დაჰქეჯნის ებრაელ ქალთან დაკავშირებისათვის?

— რაც შეეხება ჩემს აღთქმას, მაგას ჩვენი ორდენის უდიდესი მაგისტრი განმარტავს. ხოლო რაც შეეხება სინიდისს, მაგაზედ იმას ვიტყვი, რომ ის კაცი, რომელსაც სამასამდინ სარკინოსი მოუყვავეს, მცირე ცოდვის წინაშე აღარ დაიხვეს.

— შენი საქმე შენ უფრო კარგად იცი. მე კი დავიფიცამ, რომ მოხუცი ებრაელის ოქროები უფრო მოკწონს, ვიდრე იმისი ქალის შავი თვალები.

— მე შეიძლება ერთიც მამწონდეს და მეორეცა. მოხუცს ებრაელს მე და ფრონ დე ბეფი გავიყოფთ; იგი ტყუილად არ გვითმობს თავის ციხე-დარბაზს. მე მინდა რომ ჩემი მოღვაწეობისთვის საკუთარი ჯილდოც მერგოს და ეს ჯილდო არის ებრაელი მშვენიერი ქალი. ეხლა, როდესაც ჩემი სურვილი შეიტყე, გინდა თუ არა შენი წინანდელი განზრახვა შეასრულო?

— არა, არა, მე ჩემს ტყვე ქალთან მინდა დავრჩე.

ამ ლაპარაკის დროს ცედრიკი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა შეეტყო თავის დარაჯებისაგან, თუ ვინ დაატყვევა იგი თავის ამალით და რა უნდათ მათგან.

— თქვენ სწორედ ინგლისელები ხართ, უთხრა ცედრიკმა, და, ღმერთო ჩემო! როგორ შეახეთ ხელი თქვენს თანამემამულეთ? თქვენ ჩემი მეზობლები ხართ და მაშასადამე მეგობრებიც უნდა იყვნეთ; არც ერთი ჩემი მაზობელი ინგლისელი ჩემი მტერი არ იქნება. გეუბნებით, რომ ბევრს თქვენგანს, რომელთაც ტყეში ხეტიალობისათვის სდევნიდნენ, მე მფარველობას ვუწევდი, რადგანაც მეცოდებოდნენ, რომ მტარვალები საშინლად სტანჯავდნენ. მითხარით, რა გინდათ ჩემგან? რად ხმარობთ ჩემზედ ძალას?

ამაოდ ცდილობდა ცედრიკი თავის დარაჯების გულში: პატრიოტული გრძნობის აღძვრას. იმათ ბევრი მიზეზი ჰქონ-

ღათ ჩუმად ყოფილიყვნენ და მისი ღარიგებისა და გაჯავრებისათვის ყური არ ეგდოთ.

ივინი აჩქარებით მიდიოდნენ გზაზედ იქამდინ, ვიდრე მაღალი ხეების იქით არ გამოჩნდა ფრონ დე ბეჟის ციხე-დარბაზი. ეს იყო პატარა სიმაგრე, რომელსაც გარშემო კოშკები ერტყა და შუაში დიდი რგვალი ეზო ჰქონდა. ამ სიმაგრეს გარედან თხრილი ჰქონდა შემოვლებული, რომელიც, თუ საჭიროება მოითხოვდა, წყალით აივსებოდა ხოლმე.

ცედრიკმა დაინახა თუ არა ტყეში დილის მზის სხივებით განათებული ფრონ დე ბეჟის ციხე-დარბაზი, მაშინვე მიხვდა თავით უბედურების მიხვებს.

—უსამართლობა იყო ჩემის მხრით, ამ ტყეში გაცვივებულ ყაჩაღებზედ სთქვა ცედრიკმა,—როდესაც ეჭვი შევიტანე, რომ ვითომ ივინი ჩვენს დამტყვევებლებს დახმარებოდნენ. მითხარით, რა უნდა ჩვენგან თქვენს ბატონს—ჩვენი სიცოცხლე თუ ჩვენი ქონება? ნუთუ შეშურდა იმას, რომ ორს საქსონელს, მე და კეთილშობილს ატელსტენს, კიდევ გვაქვს მამული ჩვენს სამშობლოში? ბარემ წაგვიყვანეთ და ბოლო მოუღეთ ჩვენს თავისუფლებას! თუ ცედრიკ საქსონელს თავის სამშობლოს დახსნა არ შეუძლიან, იმისთვის სიკვდილს მაინც შეიძლებს. უთხარით თქვენს მტარვალს ბატონს, რომ მე მას ვთხოვ ქალბატონი როენა გაანთავისუფლოს. იგი ქალია და ქალისაგან რისა უნდა ეშინოდეთ ნორმანებს.

თანამოგზაურნი ჩუმად იყვნენ და წინანდებურად არც ეხლა აძლევდნენ პასუხს. ბოლოს მოგზაურები ციხე-დარბაზის კარებთან მივიდნენ. როდესაც დე ბრესიმ საყვირი დაუკრა, მაშინვე კიბე გადმოუშვეს და ყველამ იმაზედ გაიარე და ეზოში შევიდნენ. მერე ტყეები ერთს ოთახში შეიყვანეს, სადაც მათთვის საუბზე იყო მომზადებული, მაგრამ ატელსტენის მეტი საქმელს არაეინ დაჰკარებია. ამ დროს ცედრიკსა და ატელსტენს გამოუცხადეს, რომ იმათა და როენას ერთს ოთახში არ მოუხდებოდათ ყოფნა.



როენა გააშორეს თავის ამალას და ზრდილობიანად წაი-  
ყვანეს ცალკე ოთახში. ასევე მოექცნენ რებეკასაც, თუმცა იმის  
მამა ბევრს ეხვეწებოდა ნუ გამაშორებთო და ამისათვის ფულის  
მიცემასაც კი ჰპირდებოდა.

— ურწმუნო ძაღლო! როდესაც შენთვის მომზადებულს  
საორსა ნახავ, უთხრა ერთმა დარაჯმა, შენ თვითონ არ მოიხ-  
დომებ შენი ქალის იქ შეყვანას.

მოხუცებული ებრაელი ძალის-ძალად წათრიეს მისთვის  
დანიშნულს ოთახში. მოსამსახურეებსაც იარაღი აპყარეს და  
სხვა-და-სხვა საპყრობილეში დაამწყვდიეს; როენას თავის მოაქ-  
ლე ელჯიტაც კი არ გააყოლეს თანა.

ის ოთახი, რომელშიაც ცედრიკი და ატელსტენი დააპა-  
ტიმრეს, ერთს დროს დიდი დარბაზი ყოფილიყო. ეხლა კი ეს  
დარბაზი თავდანებებული იყო, რადგანაც ციხე-დარბაზის ეხლან-  
დელს პატრონს სხვა უფრო კარგი და დიდი დარბაზი აეშენე-  
ბინა. ცედრიკი დადიოდა წინ-და-უკან და იგონებდა წარსულს  
დროს, როდესაც საქსონიის მეფე ამ დარბაზში მტერზედ გა-  
მარჯვების დღე სასწაულობდა.

— დიად, — ამბობდა ცედრიკი, — ამ დარბაზში იღღესასწა-  
ულა საქსონიის მეფემ მტერზედ გამარჯვება და ამ დღესასწა-  
ულს მამა-ჩემიც დაესწრო. მაშინ ვინ მოიფიქრებდა, რომ შენ,  
ატელსტენ, მეფის ჩამომავალს და მე, რომლის მამაც ერთგუ-  
ლი დამცველი იყო საქსონიის სამეფოსი, ამავე დარბაზში ნორ-  
მანები დაგვატყვევებდნენ!

— მართალია ცუდი საქმე მოგვივიდა, უთხრა ატელსტენ-  
მა, მაგრამ იმედა მაქვს მცირე სასყიდლის მიცემით მალე გაგვან-  
თავისუფლებენ, განთავისუფლებამდინ კი არა მგონია სიმშლით  
დაგვხოცონ. მე მივირის, ბატონო ცედრიკ, რომ წარსული დრო  
ეგრე კარგად გახსოვს, და ის კი აღარ გაგონდება, რომ ეხლა  
სადილობის დროა.

— მოდი და ამას ელაპარაკე, სთქვა თავის თავად გულ-  
მოსულმა ცედრიკმა: — მეფის ჩამომავლობის კაცი მხოლოდ სმა  
და ჭამაზედ ფიქრობს, ისეთი დიდი საქმე კი, როგორც ქვეყნის

განთავისუფლება, ამისთანა უხეირო კაცზედ არის დამოკიდებული. მართალია, თუ რომ როენა შეიერთო ცოლად, მის კეთილშობილურს გულში საუკეთესო გრძნობანი გარღვიძებენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი მისი გული მხოლოდ აკვიანია საუკესო გრძნობათა დასაძინებლად. ან როგორ მოხდება ესა, როდესაც როენაც, ატელსტენიც და მეც ტყვეთა ვართ და ჩვენი თავისუფლება საშიშრად მიაჩნიათ ჩვენი ხალხის დამჩავგრელებს?

ცედრიკი ამ სამწუხარო ფიქრებით იყო მოცული, როდესაც კარები გაიღო და ოთხმა მოსამსახურემ სადილი მიართვეს, მაგრამ ეს ორი პატიმარი დიდხანს არ დასტკბნენ სადილის შექცევით: მათი ყურადღება მიიზიდა საყვირის ხმამ, რომელიც ციხე-დარბაზის კარებიდან მოისმა. საქსები წამოდგნენ სადილიდან და ფანჯარასთან მივიდნენ, მაგრამ ცნობის მოყვარეობა ვერ დაიკმაყოფილეს, რადგანაც ფანჯარა ეზოს გადაჰყურებდა და საყვირის ხმა კი ციხის გარედან ისმოდა. ეს კი იყო, რომ ამ საყვირის ხმამ ციხე-დარბაზში დიდი აღიარებით ასტეხა.

### თავი მეოცდაერთე

ჩემო ასულო!.. ჩემო ოქროებო!— ოხ, ჩემო ასულო!— ოხ, ჩემო ქრისტიანების ოქროებო. მართლმსაჯულე-ბავ! კანონო!— ჩემო ოქროებო, ჩემო ასულო!

შექსპირი. ვენეციელი ვაჭარი.

თავი დავანებოთ ცედრიკსა და ატელსტენს და შევიხედოთ ისაკის საპყრობილეში. იგი იყო მეტის-მეტად დაბალი და ნესტიანი ოთახი. სინათლე მაღლა ჯუჯუტანიდან ჩამოდიოდა. აქა იქ დაჟანგებული ბორკილები ეყარა, რაიცა ნიშანი იყო იმისა, რომ აქ სხვებაც იქნებოდნენ დაპატიმრებულნი. ამ საპყრობილის სანახაობა ისაკზედ გულ-მაგარ კაცსაც კი შეაძრწუნებდა, — ის კი იჯდა გულ-დამშვიდებული და თავის მწარებედს ელოდა. მონადირეები ამბობენ, რომ კურდღელი მაშინ უფრო დიდს შიშსა გრძნობს, როცა ძაღლები მისდევნო, ვიდრე მაშინ, როცა დაიჭერენო. ებრაელი დაჩვეული იყო მთელს

თავის სიცოცხლეში შიშ ქვეშ ყოფნას და ამისათვის მზად იყო ყოველნაირი ტანჯვა აეტანა. ისაკი პირველად არ იყო ამისთანა გაჭირვებულს მდგომარეობაში. გამოცდილებით დარწმუნებული იყო, რომ ეხლაც, როგორც წინად, თავს დაიხსნიდა მტარვალებისაგან. ამისათვის იგი მიჯდა თავის საპატიმრო ოთახში და თავის მწარე ბედს ელოდა. სამი საათის განმავლობაში ებრაელი ერთნაირს მდგომარეობაში იყო; ბოლოს ხალხის ფეხის ხმა მოისმა, საპატიმროს კარები გაიღო და რეჟინალდ ფრონ დე ბეფი შევიდა შიგ თავის ორის მოსამსახურით.

ფრონ დე ბეფი მაღლის ტანისა და მაგარის აგებულების კაცი იყო. მთელი თავის სიცოცხლე ომებში და კერძო ჩხუბებში გაეტარებინა, იგი ყველანაირს საშუალებას ხმარობდა თავის ფეოდალური უფლების გასაძლიერებლად; პირი-სახე სრულიად შეეფერებოდა იმის ხასიათს, თვალეში მუდამ ბოროტება ეხატებოდა. პირი-სახე რამდენსამე აღვილას დაჭრილი ჰქონდა და უსიამოვნო შესახედაობისა იყო. ამ საშინელს ბარონს მარტო ერთი ხანჯალი ჰქონდა წელში გარჭობილი. იმის ორს შავს მოსამსახურეს ტილოს ტანისამოსი ეცვათ და მკლავები იდაყვამდინ დამკლავებული ჰქონდათ, თითქო ყსბები არიანო. ყველა მათგანს თითო კალათა ეჭირა; შესვლისას იგინი კარებთან დადგნენ და ფრონ დე ბეფმა კარები მაგრა ჩაკეტა შიგნიდან. იგი მიუახლოვდა ებრაელს და თვალეები საშინლად დააშტერა. ებრაელმა შეხედა მას და კანკალმა აიტანა, შიშისაგან მოიკუნტა და თითქო დაილია. საბრალო ისაკს იმდენი ღონე არა ჰქონდა, რომ ქუდი მოეხადა და თავი დაეკრა იმ კაცისათვის, რომელმაც ასე შეაძრწუნა.

ისედაც ახოვანი ბარონი ეხლა თითქო უფრო ღიღბობდა და ზორბავდებოდა, მსგავსად იმ არწივისა, რომელიც ფრთებსა შლის და თავის მსხვერპლს უპირობს თავზედ დაცემას. იგი სამს ნაპიჯზედ მოშორებით დადგა იმ კუთხეზედ, სადაც საბრალო ებრაელი იყო მიკუნტული და ერთს მონას რაღაც ანიშნა. შავი მონა მივიდა, კალათიდან სასწორი და საწონი ქვე-

ბი ამოიღო, ფრონ დე ბეფის წინ დააწყო და უკანვე წაგდა: ბარონმა თვითონ დაუწყო ებრაელს ლაპარაკი.

— წყეულო ძაღლო წყეულის ერისა!—უთხრა მან ხმა-მა-ღლა და თაღებმაც ბანი მისცეს.—ამ სასწორს ხომ ხედავ?

საწყალმა ებრაელმა თავის დაქნევით მიუგო პასუხი.

— აი ამ სასწორით უნდა მომიწონო ათასი გირვანქა ვერცხლი,—უთხრა ფრონ დე ბეფმა.

— წმინდაო აბრამ!—ღალად ჰყო ებრაელმა,—განა ვისმე გაუგონია ამდენის თხოვნა? განა ვისმე ზღაპარშიაც არის გაუგონია ათასი გირვანქა ვერცხლი? რომელი კაცის თვალს უნახავს ამოდენა საუნჯე? იორკში ჩემი და ჩემი თანამემამულეთა სახლები რომ გადააბრუნო, იმის მეთაფე ნაწილსაც ვერ იპოვნის, რასაც თხოულობ.

— თუ ვერცხლი ვგრე ძნელი საშოვნელია,—მიუგო ფრონ დე ბეფმა,—ოქროზედაც უარს არ ვიტყვი, ამით შენ დაიხსნი შენს საზიზღარს სხეულს იმ სატანჯველსაც, საგან, რომელსაც ვერც კი წარმოიდგენ.

— შემბრაღე, კეთილ შობილო რაინდო,—შევედრა ისაკი.—მოხუცებული, საწყალი და უმწეო ვარ, ჩემი განადგურება შენს ღირსებას არ შეეფერება... მატლის გასრესა არაფერი ვაქეცობაა!

— მოხუცი ხარ,—განაგრძო რაინდმა,—იმათ შესარცხვენად, რომელთაც გადროვეს მზაკვარობასა და მძარცველობაში დაბერებულიყავ. სუსტი ხარ იქნება იმისთვის, რომ ურიას არც ხელები აქვს, არც გული: მაგრამ ის კი ყველამ იცის, რომ შენ მდიდარი ხარ.

— გეფიცები, კეთილ-შობილო რაინდო,— მიუგო ებრაელმა,—ყველას, რაც კი მწამს და იმასაც, რაც ჩვენ ორივესა გერწამს...

— ტყუილად ნუ ფიქულობ,—გააწყვეტინა სიტყვა ნორმანმა,—და შენის ჯიუტობით შენს თავს სამარეს ნუ უთხრი. ის კი არ გეგონოს, რომ მე შენი შეშინება მინდოდეს, ან შენი მშინარა გულით ვსარგებლობდე. გეფიცები იმას, რაც შენ

არა გრწამს,—სახარებას,—რომ განზრახვა ჩემი შეურყეველია და შეუცვლელი. ეს საპატიმრო სახუმაროდ არ არის აშენებული; შენზედ ბევრით უფრო კეთილ-შობილნი პატიმარნი და ხოცილანი ამ კედლებს შუა და მათი ამბავი დღესაც არავინ იცის. შენ კი ხანგრძლივი და ნელ-ნელი სიკვდილი მოგეცის.

ბარონმა კვალად ანიშნა მონებს თავისთან მისვლა და რაღაც უჩუჩრჩულა. მონებმა ამოიღეს კალათიდან ნახშირი, წყვილი საბერველი და ერთი ბოთლი ზეთი. ერთი მათგანი ცეცხლს აკვესებდა, მეორე დაჟანგებულს ლუმელში ნახშირს აწყობდა და საბერველით უბერავდა, ვიდრე მთლად ნახშირი არ გაღვივდა.

— ხედავ, ისაკ, ამ დაწყობილს რკინებს გაჩაღებულს ნახშირზედ?—უთხრა ფრონ დე ბეფმა. — ამ რბილს სარეცელზედ ტიტველას დაგაწვენენ, როგორც ყურთუქის ლოგინზედ. ერთი მონა ცეცხლს გაჩაღებს შენს ქვეშ, მეორე კი ზეთს წაგისვამს ტანზედ, რომ კარგად მოიხრაკო. ახლა ამ ორში ერთი ამოირჩიე: ან ცეცხლის ლოგინი და ან ათასი გირვანქა ვერცხლის გადახდა. გეფიცები მამი-ჩემის სულს, სხვა ამოსარჩევი არა გაქვს-რა.

— არა, არ შეიძლება,—შეპყვირა კანკალით ისაკმა,—არ შეიძლება, რომ შენ აგრეთი განზრახვა გქონდეს. მრავალ-მოწყალე ღმერთს არას დროს არ შეუქმნია აგრეთი სასტიკი გული.

— მაგის იმედი ნუ გაქვს, ისაკ,—უთხრა ფრონ დე ბეფმა:—ეგ ფიქრი უბედურებამდინ მიგიყვანს. იქნება გგონია, რომ მე, რომელსაც მინახავს ქალაქის გაცარცვა, სადაც ათასობით ჩემისთანა ქრისტიანი დაღუპულა ხმლითა, წყლითა და ცეცხლით, დაუფტევებ ჩემს განზრახვას მხოლოდ იმისთვის, რომ ერთი ვიღაც ურია ტირილსა და ქვითინს მოართავს? ანუ იქნება ფიქრობ, რომ ეს შავი მონები, რომელთაც თავის ბატონის ბრძანების მეტი სხვა არა გაეგებათ-რა, შეგიბრალებენ და ხელს არ გახლებენ? ჭკუა მოიკრიბე, ბებერო, მომეტებული სიმდიდრე თავიდან მოიშორე, მიეცი ქრისტიანს ნაწილი იმ სარჩოლსი, რომელიც მისი მოძმეებისაგან შეგიძენია, შენი მოხუცე-

ბულობა კიდევ აავსებს დაცარიელებულს ქისას; მაგრამ ექიმი და წამალი კი ვეღარ გაჰკურნავენ შენს დახრაკულს ტანს. გადაიხადე, რასაცა გთხოვ და გაინთავისუფლე თავი აქედან, საიდანაც ცოცხალი ბევრი არავინ გასულა. ტყუილ-უბრალოდ აღარ გელაპარაკები; ორში ერთი ამოიჩჩიე: ან ფული გადაიხადე და ან სატანჯველი მიიღე.

— აბრამ, ისაკ და ყოველნო მამამთავარნო ჩემის ერისანო, თქვენ იყავით ჩემი შემწე-მფარველი, — ლაღად ჰყო ისაკმა; — მე არ შემიძლიან ამორჩევა, რადგანაც შენს ახირებულს თხოვნას ვერ შევასრულებ.

— მაშ ტანისამოსი გახადეთ, მონებო! — უთხრა რაინდმა; დაე თავის ხალხს მამამთავრებმა უშველონ.

მონებმა სტაცეს ხელი საწყალს ებრაელს და როდესაც ნახა, რომ მართლა ცეცხლზე შეწვას უპირებდნენ, შეკრთა და გულადობა დაჰკარგა.

— მოგცემ ას გირვანქა ვერცხლს, — უთხრა მან: — ესე იგი, — დაუმატა რამდენიმე ხანის სიჩუმის შემდეგ: — მოგცემ ჩემის თანამემამულეთა დახმარებით; ამისთვის რომ მე უნდა ვიდგე თორის კარებში იქამდინ, ვიდრე იმდენს ვერცხლს არ შევაგროვებ, რამდენსაც თხოულობ. როდის და სად უნდა მოგიტანო ის ვერცხლი.

— აქა, — მიუგო ფრონ დე ბეფმა: — აქ უნდა მოიტანო და ამავე საპატიმროში უნდა მომიწიანო. იქნება გგონია გაგანთავისუფლო, ვიდრე აღნიშნულს ვერცხლს სრულიად არ მივიღებ?

— მერე რითი ვარ დახათრიჯანებული, რომ ამოდენა ვერცხლის მოცემის შემდეგ გამანთავისუფლებ?

— კეთილშობილის ნორმანის სიტყვით, საზიზღარო ურიავ! მიუგო ფრონ დე ბეფმა: — ნორმანელი ბარონის სიტყვა მთლად შენი ხალხის ოქროსა და ვერცხლზედ უფრო წმინდაა და სპეტაკი.

— უკაცრავად, კეთილშობილო ლორდო! — უთხრა ისაკმა მოკრძალებით: — და მე რაღად უნდა ვერწმუნო იმ კაცის სიტყვას, რომელიც მე არაფერში მერწმუნება?

— ამისთვის, რომ შენ სხვაფერი ხსნა არა გაქვს, ურიაე! — მიუგო რაინდმა სასტიკად: — შენ რომ შენს საკუჭნაოში იყო იორკში და მე ფულსა გთხოვდე, მაშინ შენ უფლება გაქვს ვადა დამინიშნო. აქ ჩემი საკუჭნაოა და უპირატესობაც ჩემს ხელთ არის.

ებრაელმა ღრმად ამოიოხრა!

— იმის პირობა მაინც მომეცით, რომ ჩემთან ერთად ჩემს თანამოგზაურებსაც გაანთავისუფლებთ. მე იმათ ვეზიზღებოდი, როგორც ურია, მაგრამ უბედურობის დროს კი შემიბრალეს. იმათ ჩემს საშველად შეიგვიანეს გზაზედ და ნაწილი ჩემის უბედურებისა იმათაც დაატყდათ თავზედ; ამას გარდა იმათ შეუძლიან გამოყიდვაში რამდენადმე დამეხმარონ.

— თუ შენ უკმეხ საქსონელებზედ ამბობ, — მიუგო ფრონ დე ბეფმა: — მათი გამოსყიდვა სულ სხვა პირობით იქნება. გირჩევ, ურიაე, შენ შენს თავზედ იფიქრო და სხვის საქმეში ნუ ერევი.

— მაშ მე და ჩემს დაქრილს მეგობარს გაგვანთავისუფლებ? ჰკითხა ურიაი.

— ორჯელ ხომ არ გაგიმეორებ, ისრაელო, რომ შენ შენს თავზედ იზრუნე და სხვას თავი დაანებე. მითხარ როდის შეგიძლიან ფულის მოცემა? — დაუყვირა ფრონ დე ბეფმა.

— გაგზავნეთ ჩემი ქალი რებეკა იორკში, — უთხრა ამოოხერით ისაკმა: — და ის მოიტანს ფულსა.

— შენი ქალი! — უთხრა გაკვირვებით ფრონ დე ბეფმა: — ვწუხვარ, რომ ეგ ადრევე არ ვიცოდი, თორემ მე იმას ბრიან დე ბოა გიღბერის ხელში არ ჩავაგდებდი.

ამის გაგონებიზედ ისაკმა ისე საშინლად დაიყვირა, რომ საპატიმრომ ზრიალი დაიწყო და შეძრწუნებულმა მონებმა იგი ხელიდან გაუშვეს. ისაკი დაეცა დედამიწაზედ და თავის მტანჯველს მუხლებზედ მოეხვია.

— ბატონო რაინდო! — შეჰყვირა ისაკმა: — წაიღეთ, რასაცა თხოულობთ, თუ გინდა ააჯერ მეტიც... გამალარიბე, დამაქციე... გამგმირე შენის ხანჯლითა, შემწვით ამ ცეცხლზედ,



ოღონდ კი ჩემი ქალი უვნებლად გაუშვით! თუ შენ ქალისაგან ხარ დაბადებული, ჩემი უნუგეშო ქალის პატიოსნებაც დაიცვი... იგი პირ-წავეარდნილი უბედური თავის დედა-რახილია, იგი უკანასკნელი ნაყოფია ჩემის სიყვარულისა... ნუ თუ უბედურს მამას ერთად-ერთს სიყვარულს ხელიდან გამომტაცებ? ნუ თუ თქვენ გინდათ იმის მამა იქამდინ მიიყვანოთ, რომ იგი თავის ერთად-ერთი შვილის სიკვდილს და დედის გვერდზედ დამარხვას ნატრობდეს?

— კარგი იქნებოდა, რომ ეგ აღრევე მცოდნოდა, — მიუგო ნორმანმა: — მე ასე მეგონა თქვენს ხალხს ფულის მეტი არაფერი უყვარს-მეთქი.

— ძალღებასაგან დევნულს მელას და გარეულს კატასაც უყვართ თავის შვილები, — მიუგო ისაკმა: — სწორედ ასევე უყვარს თავის შვილები აბრამის დევნულს ჩამომავლობასაც.

— დაე აგრე იყოს! — უთხრა ფრონ დე ბეფმა: — სხვა დროს მეცოდინება, მაგრამ ეხლა კი აღარაფერი შემიძლიან; მე სიტყვა მივეცი ჩემს ამხანაგს და ათი ურიისათვის და ურიის ქალისთვისაც არ შევცვლი ჩემს სიტყვას. მაგრამ რათა გგონია, რომ შენს ქალს ბოა გილბერის ხელში ცუდი საქმე მოუფა?

— ცუდი საქმე მოუფა, უსათუოდ მოუფა! — შეჰყვირა ებრაელმა და მწუხარებით ხელებს იმტვრევდა: — როდის დაუცავთ ტაძრის რაინდებს სიცოცხლე კაცისა და პატიოსნება ქალისა, რომ ეხლა დაიცვან?

— ურწმუნო ძაღლო! — უთხრა ფრონ დე ბეფმა და თვლები დაუბღვირა: — სიონის ტაძრის რაინდებს ცილს ნუ სწამებ! შენ შენი თავის გამოყიდვაზედ იფიქრე, თორემ ვაი შენი ბრალი!

— ყაჩაღო, კაცის მკვლელო! — დაუყვირა ებრაელმა, რომელმაც სიბრაზისაგან თავი ვეღარ დაიჭირა. — მე შენ არაფერსაც არ მოგცემ, არც ერთს მანყულს, ვიდრე ჩემს ქალს უვნებლად არ დამიბრუნებ.

— ჭკუაზედ ხომ არ შესციდი? — დაუყვირა ბარონმა, — განა გახურებული რკინა და აღუღებული ზეთი ვერას დააკლებს შენს სისხლსა და ხორცსა?

— რა მენადღებება! — უთხრა ებრაელმა, რომელიც მამობრივმა სიყვარულმა განწირულებამდინ მიიყვანა, — შეასრულე შენი ბოროტი განზრახვა. ჩემი ქალი — ჩემი სისხლი და ხორცია; იგი ჩემთვის ათასჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემი სისხლი და ხორცი, რომელთაც შენ ემუქრები. ვერ მიიღებ ჩემგან ვერცხლს, და თუ გინდ კიდევ მიიღო, მიიღებ მხოლოდ გამდნარს, რომ გაუმაძღარ ყელში ჩაგასხან... არა, არც ერთ მანუსულს არ მოგცემ, თუ გინდ რომ ამით კიდევ უმემძლოს შენი დახსნა საუკუნო წყევლისაგან, რომელიც მთელი შენის სიცოცხლით დაიმსახურე! წაიღე ჩემი სიცოცხლე, თუ გინდა, და შენის თვალით ნახე ტანჯვათა შორის მყოფი ებრაელი როგორ დასცინის ქრისტიანს.

— ენახათ, — უთხრა ფრონ დე ბეფმა, — გეფიცები წმინდა ჯვარს, რომელიც შემადრწუნებელს საგანს შეადგენს შენის დაწყველილი ხალხისათვის, რომ ცეცხლისა და ხანჯლის ძალას გაგაძნობინებ. მონებო! სტაცეთ ხელი მავას და გახურებულს რკინებზედ გასჭიმეთ!

თუმცა ებრაელი გაუძალიანდა, მაგრამ მონებმა გახადეს ზევითა ტანისამოსი და ის იყო სულ უნდა გაეტიტვლებინათ, რომ ამ დროს ციხე-დარბაზის გარედან ორჯელ მოისმა საყვირის ხმა. ამავე დროს მოისმა კაცების ხმაურობა, რომელნიც რეჯინალდ ფრონ დე ბეფს ეძებდნენ. გაბრაზებულმა რაინდმა უბრძანა მონებს ებრაელისთვის ტანისამოსი ჩაეცმიათ, რომ მისი საქციელი არავის ენახა. ბარონი მონებთან ერთად საპატიმროდან გამოვიდა.

### თავი მეოცდარვა

არა, თუ რომ მშვიდობიანი ლაპარაკი არ მოგიღობოთ გულსა, მე მაშინ ძალას ვიხმარებ და ძალად შეგიყვარებ წინააღმდეგ ბუნებისთის სიყვარულისა.

შექსპირი. — ვერონელი მეგობრები.

ოთახი, რომელშიაც ქალბატონი როენა იყო, მოწყობილობით ციხე-დარბაზის ყველა სხვა ოთახებს სჯობდა. ამ ქალს უფრო მეტს პატივსა სცემდნენ, ვიდრე სხვა პატიმრებს. როე-

ნა თავის ოცნების ამარა იყო, ვიდრე ამ სამარცხვინო ღრამის აქტიორები როლებს გაინაწილებდნენ.

შუა დღე იქნებოდა, როდესაც დე ბრასი, რომლის გულსთვისაც ეს ყაჩაღობა მოხდა, როენას ოთახში შევიდა თავის სურვილის გამოსაცხადებლად. იმას ნიღაბი აღარ ჰქონდა ჩამოფარებული და აღარც მწვანე ჯუბა ეცვა, იგი ეხლა მორთული იყო მშვენიერის ტანისამოსით. საზოგადოდ დე ბრასი წამოსადეგი და ლამაზი შეხედულობის კაცი იყო.

როდესაც ოთახში შევიდა, დე ბრასიმ ქული მოიხადა და როენას თავი დაუკრა, ამასთანავე სთხოვა დამჯდარიყო, მაგრამ რადგანაც იმან თხოვნა არ შეასრულა, რაინდმა ხელი გაუწოდა რომ სვაგრძლამდინ მიეყვანა. როენამ ხელი არ მისცა და უთხრა:

— თუ მე ციხის უფროსის წინაშე ვდგევარ, ბატონო რაინდო, — გარემოება ნებას არ მაძლევს სხვაფრივ ვიფიქრო, — მაშინ ზრდილობა მოითხოვს პატიმარი ქალი ფეხზე იდგეს, ვიდრე თავის ბედს გაიგებდეს.

— ვაი რომ შენს წინაშე, მშვენიერო როენავ, ციხის უფროსი კი არა, ტყვე სდგას; დე ბრასის უნდა შენს მშვენიერს თვალებში ამოიკითხოს თავისი ბედი და თქვენ კი მისგან მოვლით თქვენი ბედის გაგებას.

— მე თქვენ არ გიცნობთ, ბატონო, — უთხრა გულ-ნატკენის სიამპარტავნით, — მე თქვენ არ გიცნობთ და თქვენი აგრეთი კადნიერი საქციელი, მხოლოდ ყაჩაღს თუ შეეფერება.

— თქვენ თვითონა ხართ დამნაშავე, — განაგრძო დე ბრასიმ წინანდელის კილოთი, — რომ მე გადაველ ზრდილობის სამზღვარს იმ არსების წინაშე, რომელიც მე ჩემის გულის მპრძალებლად და ჩემის თვალების ვარსკვლავად ამოვირჩიე.

— გიმეორებთ, რომ მე თქვენ არ გიცნობთ, ბატონო რაინდო, და არც ერთი კაცი, რომელიც კი რაინდის დეზებსა და ძეწკვს ატარებს, უმწყო ქალთან შესვლას არ გაბედავს.

— მე თქვენ არ მიცნობთ? ჩემი უბედურებაც სწორედ ვე არის, მაგრამ ნება მიბოძეთ შეგატყობინოთ, რომ დე ბრასის

სახელი ხშირად იხსენებოდა ხოლმე, როდესაც გეროლდები ქებას ასხამდნენ რაინდების ვაჟკაცობას ასპარეზობისა და ბრძოლის დროს.

— დაე ისევ გეროლდებმა შეგასხან ქება, ბატონო რაინდო! მითხარით მხოლოდ, რომელი მათგანი შეასხამს ქებას ამაღმინდელს თქვენს გამარჯვებას მოხუცებულს კაცზედ, რომელსაც რამდენიმე მოსამსახურე მოსდევდა; რომელი მათგანი შეაქვს თქვენს საქციელს იმ საბრალეო ქალის შესახებ, რომელიც ხელშეკრული მოიყვანეთ ყაჩაღის ციხე-დარბაზში?

— უსამართლოდ მექცევით, ქალბატონო როენა, — უთხრა დე ბრასიმ, — რაკი თქვენ თითონ არ გამოგიცდიათ გულის-თქმანი, ამისთვის ვერც წარმოიდგენთ, რა უგუნურებამდინ მივა ის კაცი, რომელიც თქვენის მშვენიერებით არის გატაცებული.

— გთხოვთ, ბატონო რაინდო, — უთხრა როენამ, — ჩემთან ეგ იაფი ფასის სიტყვები არ იხმარათ: იგინი კეთილ-შობილს რაინდს არ შეეფერებოიან. თქვენ იძულებული მყოფთ დავჯდეთ, რადგანაც ისეთს სიტყვებს ხმარობთ, როგორებიც ყველა საძაგელს კაცს უხვად მოეპოვება.

— გულ-ზვაგო ქალო! — მიუგო დე ბრასიმ, გაბრაზებულმა იმით, რომ იმის აღერსიანმა სიტყვებმა მხოლოდ ზიზლი გამოიწვიეს, — გულ-ზვაგო ქალო, შენს წინაშე სდგას კაცი, რომელიც შენზედ ნაკლებ ამპარტავანი არ არის. იცოდეთ, რომ მე შენი ცოლად შერთვა მინდა; მაგრამ, როგორც ვხედავ, მე შენ უშუბითა და შვილდ-ისრით უფრო დავიმორჩილებ, ვიდრე ტკიბილის სიტყვებით და ზრდილობიანის ქცევით.

— თუ ზრდილობიანი სიტყვა, — უთხრა როენამ: — საზიზლარს საქციელს ჰფარავს, მაშინ იგი მსგავსია იმ რაინდის ქანისა, რომელიც უბრალო გლეხსაც არტყია. მე არ მიკვირს, რომ ოინბაზური ქცევა ეგრე მალე მოგწყინდათ; თქვენი კეთილ-შობილებისათვის უფრო შესაფერი იქნებოდა ყაჩაღური ტანისამოსი და სიტყვა-პასუხი, ვიდრე რაინდობის სახელით ყაჩაღურის საქციელის დაფარვა.

— თქვენი რჩევა მშვენიერია, ქალბატონო როენა, მაგრამ გაბედვით გეტყვი, რომ შენ ამ ციხე-დარბაზიდან ვერას დროს ვერ გახვალ და თუ გახვალ მორის დე ბრასის ცოლად გახვალ. მე ჩვეული არა ვარ ჩემი განზრახვის უარის ყოფას; ამასთან ნორმანელი ბარონისთვის საჭირო არ არის ფრთხილად მოექცეს საქსონელს ქალს, რომელსაც იგი აბედნიერებს თავის გრძნობის გამოცხადებით. შენ ამპარტავანი ხარ, როენა, და მით უფრო ღირსი ხარ ჩემის ცოლობისა. სხვა რა რიგის საშუალებით მიაღწევ უმაღლეს ადგილს და პატივის-ცემას, თუ რომ ჩემთან შეუღლებახედ უარს იტყვი? როგორ გამოხვალ იმ სულის შემხუთავ ქოხებიდან, სადაც საქსები ღორებთან ერთად ცხოვრობენ და როგორ დაიჭერ საპატიო ადგილს, რომელიც შენს მშვენიერებას შეეფერება, თუ ჩემს სურვილს უარსა ჰყოფ?

— ბატონო რაინდო! იმ ქოხებში, რომელნიც შენ აგრე გეჯავრება, მე ჩემი ყმაწვილობა გამიტარებია; დამერწმუნე, რომ როდესაც მე იმათ დავტოვებ, თუ ეს როდისმე მოხდება, დავტოვებ მხოლოდ ისეთი კაცისათვის, რომელსაც არ ეჯავრება ის ადგილი, სადაც მე აღვზრდილვარ.

— თქვენი აზრი მე ვიცი, რაც არის, ქალბატონო როენა, თუმცა თქვენ კი გგონიათ, რომ არ ვიცი, მაგრამ ნუ ფიქრობთ, რომ რიჩარდ ლომგულმა როდისმე სამეფო ტახტი დაიბრუნოს და მისმა საყვარელმა ვილჰერედ აივენგომ თქვენ იმის სასახლეში შეგიყვანათ, როგორც თავის შეუღლე. იცოდეთ რომ ჩემი მეტოქე აივენგო ჩემს ხელთ არის და ჩემზედ არის დამოკიდებული შევიანაო თუ არა ის საიდუმლოება, რომ იგი ფრონდე ბედის ციხე-დარბაზში იმყოფება ეხლა.

— ვილფრედი აქ არის?—წარმოსთქვა ქალბატონმა როენამ ზიზლით:—ეს ისევე მართალია, როგორც ის, რომ ფრონდე-ბეფი იმის მეტოქეა.

დე ბრასი დააშტერდა მას.

— ნუ თუ შენ მართლა არ იცოდი ესა?—ჰკითხა მან:— შენ არ იცოდი, რომ ვილფრედ აივენგო ურიის ტრახტრევა-ნიო მოგზაურობდა... კარგი საზოგადოება კი იყო იმ ჯვარო-

ნისათვის, რომელიც ქრისტეს საფლავისათვის იბრძოდა!—დებრასიმ ზიზღიანად გაიცინა.

— თუ ის მართლა აქ არის, — მიუგო როენამ და ცდილობდა მღელვარება არ შესტყობოდა, თუმცა ვილფრედის ბედზედ ძალიან შიშობდა: — მაშ რანაირად იქნება იგი ფრონდებეფის მეტოქე? ან რისა უნდა ეშინოდეს იმას, გარდა მცირე ხნის ტყვეობისა და გამოყიდვისა, როგორც მოითხოვს რაინდთა ჩვეულება?

— როენა! — უთხრა დებრასიმ: — ნუ თუ შენც სხვა ქალე-ბივით იმ აზრისა ხარ, რომ მეტოქობა მხოლოდ ქალის გამო შეიძლება? ნუ თუ არ იცი, რომ მეტოქობა პატივს მოყვარეობის და სიმდიდრის გამოც შეიძლება და ფრონდე ბეფი ყოველს ღონისძიებას იხმარებს მიწასთან გაასწოროს იგი ვინცკი აიგენგოს მდიდარ მამულს შექენაში ხელს შეუშლის? მაგრამ გამიღიმე მშვენიერო როენა, და დაჰრიღს რაინდს ნურაფრისა შეეშინდება ფრონდე ბეფისაგან; თუ არა და შენ წინადაც უნდა გამოიტირო იგი, რადგანაც ფრონდე ბეფის ხელმა შებრალება არ იცის.

— დაიხსენი იგი, თუ ღმერთი გწამს დაიხსენი! — შესძახა როენამ, რომელსაც სატრფუს საშიშროებაში ყოფნით ცოტა არ იყოს გულის სიმაგრე წაერთვა.

— მე შემიძლიან... მე მინდა... ეგ ჩემი სურვილია, — მიუგო დე ბრასიმ. — თუ რომ როენა დაჰყაბულდება დე ბრასის მეუღლობაზედ, ვინ-ღა გაბედავს იმის ნათესავის, იმის აღმზრდელის შეილის და იმის ყმაწვილობის ამხანაგის ხელის ხლებას? მაგრამ მხოლოდ შენს სიყვარულს შეუძლიან მოუპოვოს მათ ეს მფარველობა. მე ისეთი უგუნური არა ვარ, რომ მივანიჭო ბედნიერება და მოვარიდო უბედურება იმას, ვინც არის დამაბრკოლებელი მიზეზი ჩემის სურვილისა. მოიხმარე შენი გავლენა ჩემზედ და იგი გადარჩება; უამისოდ კი ვილფრედს სიკვდილი მოეღოს და შენც ვერ განთავისუფლდები.

— შენი მკვახე სიტყვები მარწმუნებენ, რომ იგი ისეთს საშინელს მდგომარეობაში არ იმყოფება, როგორც შენ ამბობ.

ან შენი განზრახვა არ არის ბოროტი, ან ისეთი დიდი უფლება არა გაქვს, თორემ აგრე არ ილაპარაკებდი, ბატონო რაინდო.

— მაგ იმედით თავს ნუ მოიტყუებ, დრო გამოაჩენს, რომ სცდები. შენი თაყვანის მცემელი და შენი გულის სატრაფო ამ ციხე-დარბაზში დაქრილი წევს. ფრონ დე ბეფს იგი სიმდიდრის შექმნაში ხელს უტრის. ვინ დაუშლის იმას, რომ ავადმყოფს წამლის მაგივრად შხამი დააღვინოს; თუ არა-და ის ისეთს მდგომარეობაში იმყოფება, რომ თავიდან ბალიშის გამოცლაც ეყოფა, რომ საუკუნოდ სული დალიოს. ცედრიკს...

— ცედრიკი, — გააწყვეტინა სიტყვა როენამ; — ჩემი კეთილ-შობილი, ჩემი დიდ-სულოვანი აღმზრდელი? მე ახად მამივიდა ეს უბედურება, ამისთვის რომ აივენგოს ბედზედ ვფიქრობდი და იმის მოხუცი მამის ბედი კი სრულიად დავივიწყე.

— ცედრიკის ბედიც შენზედ არის დამოკიდებული, — განაგრძო დე ბრასიმ, — და ნებას გაძლევ იფიქრო ამაზედ.

როენა აქამდინ ძალიან გულ-მაგრად იყო, მაგრამ როცა ცედრიკი ახსენეს, მაშინ კი ველარ შესძლო და გული აუჩუყა-და, მერე აქე-იქით მოავლო თვალი, ხელები ზეცისადმი გააპყრო და განწირულებით ქვითინი დაიწყო. ვინ იქნება ისეთი კაცი, რომ ასეთი მშვენიერი ქმნილება ნახოს ამისთანა მდგომარეობაში და მის ბედში მონაწილეობა არ მიიღოს, დე ბრასიმაც შეიბრალა იგი და ცდილობდა დაემშვიდებინა.

— თუ ამ ქალის ცრემლები და მწუხარება გულს მამილობას, — ფიქრობდა დე ბრასი, — მაშინ სრულიად გამიცრუვებინა ის იმედები, რომლების გულისთვისაც ამდენი განსაცდელი გამოვიარე. პრინცი იოანე და მისი მოთათბირენიც სასაცილოდ ამიგდებენ. მაგრამ ვგრძნობ, რომ ვერ შევასრულებ იმ როლს, რომლის თამაშობაც ვიკისრე. მე არ შემიძლიან ვუყურო არც ასეთს მშვენიერს სახეს, შიშის ზარით დაღმეჭილს და არც ასეთს მშვენიერს თვალებს, ცრემლებით სავსეს. მე მინდა რომ ან იმას დაუბრუნდეს თავისი სიამპარტავნე და ან მე გამიხდეს ისეთი შეუბრალებელი გული, როგორიც ფრონ დე ბეფსა აქვს.



—დე ბრასი ამ ფიქრებიდან გამოიყვანა საყვირის ხმამ; რომელიც ყრუდ მოისმა შორიდან და მასთან ერთად ციხე-დარბაზის სხვა მცხოვრებნიც შეაშფოთა.

### თავი მეოცდსამე

მე შეყვარება იგი ისე, როგორც ლომს თავის ძე,  
პომ.—ღუგლასი.

იმ დროს, როდესაც ჩვენგან აწერილი ამბები ხდებოდა ციხე-დარბაზის სხვა-და-სხვა ნაწილში, ებრაელი რებეკა იჯდა შორს განმარტოებულს კოშკში და თავის ბედს ელოდა. იგი მოიყვანეს ამ კოშკში, სადაც მას დახვდა ერთი მოხუცებული დედაკაცი, რომელიც თან ძაფს ართავდა და თან მღეროდა. რებეკა რომ შევიდა ოთახში, ამ დედაკაცმა თავი მალლა აიღო და შურიანის თვალით შეხედა მშვენიერს ებრაელს ქალს.

— შენ შეგიძლიან აქედან დაიკარგო, დაბერებულო ჭირ-ჭინავ!—უთხრა ერთმა რებეკასთან მოსულმა მოსამსახურემ:— ასე გვიბძანა ჩვენმა ბატონმა. ეს ოთახი უფრო ლამაზ სტუმარს უნდა დაუთმო.

— დიად,—წაიბუტბუტა ბებერმა,—ამაგი ყოველთვის ასე ჯილდოვდება ხოლმე. იყო დრო, როდესაც ერთი ჩემი სიტყვა საკმაო იყო, რომ შენისთანა მხედარი აქედან გაეგდოთ. ეხლა კი უნდა ავდგე და წავიდე აქედან შენისთანა მეგინიბის ბძანებითა.

— კეთილო უფრიდავ,—გაერია ლაპარაკში მეორე მოსამსახურე,—მაგაზედ რას ლაპარაკობ, ადექი და გაეხირე აქედან. ჩვენი ბატონის ბძანება უსათუოდ უნდა ასრულდეს. შენ შენი დრო გქონდა; მაგრამ შენი მზე დიდი ხანია ჩაესვენა. შენ ეხლა იმ ცხენს ჰგეხვარ, რომელიც სიფიცხით წისქვილზედ დასაფქველი გამხდარა. დრო იყო, როდესაც დახტოდი, მაგრამ ეხლა კი ფეხს ძლივსა სდგამ,—ჩქარა, იორღათ წადი აქედან.

— თქვენ ორივენი ავი ძაღლები ხართ,—დაუყვირა ბებერმა,—და ძაღლის ბუნაგშიაც გაფიქსდებით! მაგრამ ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, თუ აქედან გავიდე, ვიღრე ამ ძაფს არ ჩამოვართავ.

— მაშ ჩვენს ბატონს შენ გაეც პასუხი, ბებერო—უთხრა მოსამსახურემ და გამოვიდა. რებეკა და ბებერი ერთად დარჩნენ.

— რა ეშმაკური საქმე განუზრახავთ ამათ კიდე?—ბუზლუნებდა ცხვირში ბებერი და ხამუშ-ხამუშ რებეკას აცქერდებოდა:—მაგრამ გამოცნობა ძნელი არ არის... დიად, ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რისთვის შემოგზავნეს ეს ქალი ამ განმარტოებულს კოშკში, საიდანაც იმის ხმას ვერაფერს გაიგებს.— შენი მეზობლები, ტურფავ, მხოლოდ ბუები იქნებიან და მათი ძახილი ისევე შორს წავა, როგორც შენი.—ალბად უცხო ქვეყნელია,—დაუმატა ბებერმა, როდესაც რებეკას ტანისამოსი დაუთვალიერა.—რომელი ქვეყნიდანა ხარ? სარკინოსელი ხარ, თუ ეგვიპტელი?.. პასუხს რისთვის არ მაძლევ? თუ ტირილი გცოდნია, ნუ თუ ლაპარაკი კი არ იცი?

— ნუ ჯავრობ, დედა,—უთხრა რებეკამ.

— შენი თქმა საჭირო აღარ არის,—უთხრა ურფრიდამ:—მელას კუდით იცნობენ და ებრაელს ქალს ლაპარაკით.

— თუ ღმერთი გწამს მითხარი, რას უნდა მოველოდე ასეთის ძალ-მომრეობისაგან? რა უნდათ ჩემგან? ნუ თუ იმისთვის, უნდათ ჩემი სიკვდილი, რომ ებრაელი ვარ? ჩემს სარწმუნოებას დიდის სიამოვნებით შევწირავ ჩემს თავს.

— შენი სიკვდილი, ჩემო მტრედო? რა სიამოვნებას მოუტანს მათ შენი სიკვდილი? სიკვდილის შიში ნუ გაქვს. შენ იმასვე გიზამენ, რაც ერთს დროს საქსონელს კეთილ-შობილს ქალს უყვეს. შენისთანა ებრაელს ქალს უკეთესი ბედი რად უნდა მოელოდეს, ვიდრე იმას? აბა შემომხედე: მეც შენსავით ყმაწვილი ვიყავ და ბევრით უფრო შენზედ ლამაზი, როდესაც ფრონ დე ბეფი, ამ რეჯინალდის მამა, თავის ნორმანებით გარს შემოერტყა ამ ციხე-დარბაზს. მამა-ჩემი და იმის შვიდი შვილი თავ-განწირულებით იცავდნენ თავიანთს სამკვიდროს, ყოველს

ოთახში იბრძოდნენ; არ იყო არც ერთი ოთახი და არც ერთი საფეხური კიბისა, რომ მათი სისხლით არა ყოფილიყოს შეღებილი: იგინი დაილუზნენ, სულ ერთიან გაწყდნენ; ვიდრე მათი სხეული გაცივდებოდა და სისხლი გახმებოდა, მე გაძარჯვებულს ჩაუფვარდი ხელში და მან სათამამაშოდ გამიხადა.

— ნუ თუ ხსნა არსაით არის? ნუ თუ გაქცევაც არ შეიძლება? მე შენ უხვად, ძალიან უხვად დაგაჯილდოვებდი, — უთხრა რებეკამ.

— მაგაზედ ნურც კი იფიქრებ, — მიუგო ბებერმა: — აქედან მხოლოდ სიკვდილს შეუძლიან გაგანთავისუფლოს... და ეს სიკვდილიც ძლიერ დაიგვიანებს, — დაუმატა მან თავის ჭადარა თავის ქნევით. — მაგრამ ის კი სასიამოვნოა, როდესაც ფიქრობ, რომ ამ ქვეყნად ჩვენისთანა უბიდურებს ვუოვებთ. მშვიდობით, ებრაელო ქალო!.. მაგრამ ებრაელი ხარ, თუ წარმართი, შენი ბედი მაინც ჩემი ბედისთანა იქნება, რადგანაც საქმე იმისთანა კაცებთან გექნება, რომელთაც თავის დღეში არც სირცხვილი სკოდნიათ და არც შებრალება. გიმეორებ, მშვიდობით. მე ჩემი ძაფი დავართი და შენი საქმე კი ჯერეც არ დამწყობილა.

— ნუ წახვალ! თუ ღმერთი გწამს, ნუ წახვალ! — შეჰყვირა რებეკამ. — ჩემთან დარჩი, თუნდა იმისთვის, რომ გამლანძლო და დამწყველო. შენი აქ ყოფნა მე დამიხსნის.

— თვით ღეთის-მშობლის აქ ყოფნაც ვერ დაგიხსნის, — მიუგო ბებერმა და მიუშვირა ხელი ტლანქად დახატულს ღვთის-მშობლის ხატზედ. — აი ეს აქ არის და ნახე განგარინებს მწარე ბედს თუ არა.

ბებერი გამოვიდა ოთახიდან ბოროტის ღიმილით და კარები გამოიხურა. რებეკას ესმოდა, როდესაც ის კიბეზედ ჩადიოდა და ყოველ ფეხის გადაღმაზედ იწყევლებოდა. რებეკას როენაზედ უფრო ცული ბედი მოელოდა. ან რა გასაკვირველი იყო, როდესაც რებეკა ებრაელის ქალი იყო და როენა კი საქსონელი დიდი გვარის ქალი და დიდი მამულის პატრონი. ამისათვის რებეკა მზად იყო ყოველს სატანჯველს მამაცურად შე-

ხვედროდა. მიუხედავად ამისა, რებეკა მინც ძლიერ. შეკრთა, როდესაც კიბეზედ ფეხის ხმა გაიგო. კოშკის კარები ნელ-ნელა გაიღო, ყაჩაღურად ჩაცმული კაცი შემოვიდა მასთან და კარები ჩაკეტა. თავზედ ქული ჰქონდა ჩამოფარებული და ტანს მანტიით იმალება, თითქო იმ საქმისა სცხვენოდა, რომელიც ეხლა უნდა ჩაედინა. იგი დადგა ქალის წინაშე, მაგრამ ლაპარაკი კი ვერ გაუბედა. რებეკამ დაასწრო მას და თავის ძვირფასი სამკაული ამ ტყუილს ყაჩაღს მისცა.

— დაიჭი ეს, ჩემო მეგობარო, — უთხრა მან, — და თუ ღმერთი გწამს მოწყალების თვალთ იყავ ჩემზედა და ჩემს მოხუცებულს მამაზედ. ეს სამკაული ძლიერ ძვირად ღირს, მაგრამ ვინც ამას მიიღებს და ეცდება ჩვენს აქედან უვნებლად განთავისუფლებას, იმისთვის ცოტაც არის.

— პალესტინის მშვენიერო ყვავილო! — მიუგო ყაჩაღმა, — ეგენი პალესტინის მარგალიტებია, მაგრამ სითერთით შენს კბილებზედ ბევრით დაბლა სდგანან; ეს აღმასები ძალიან კარგები არიან, მაგრამ მათი ელვარება შენი თვლების ბრწყინვალეობას ვერ დააბნელებს, და მას აქეთ, რაც ჩემს სასტიკს ხელლობას შეეუდგე, სიმშვენიერეს უფრო დიდს პატივსა ვცემ, ვიდრე სიმდიდრეს.

— ნუ მოაკლებ შენს თავს ამ სიმდიდრეს, — მიუგო რებეკამ: — ეს სასყიდელი აიღე და ჩვენ გაგვანთავისუფლე! ოქრო შენ სიამოვნებას მოგანიჭებს და ჩვენთან ცუდად მოქცევა კი სინანულს. მამა-ჩემი ყოველს სურვილს შეგისრულებს და თუ გონივრულად მოიქცევი, შეგიძლიან ამ საუნჯით დაუბრუნდე საზოგადოებას, წინანდელი შეცდომანი გეპატივება და ახალს შეცდომას აღარ ჩაიდენ.

— კარგს ამბობ, — უთხრა ყაჩაღმა ფრანგულად, — რადგანაც რებეკასაგან საქსონურად დაწყობილს საუბარს სამძიმოდ სთვლიდა; მაგრამ იცოდე, ტურფა იავ, რომ მამა-შენი მძლავრის ფრონ დე ბეფის ხელშია, რომელიც რკინასაც კი ოქროვერცხლად გადააქცევს ხოლმე. იგი ყოველსავე სიმდიდრეს გა-

მოართმევს მამა-შენს. შენ კი შენი თავი სიყვარულითა და სიტურფით უნდა გამოისყიდო.

— შენ ყაჩალი არა ხარ,—მიუგო რებეკამ ფრანგულადვე: —ყაჩალი ჩემს წინადადებაზედ არასდროს უარს არ იტყოდა. არცერთი აქაური ყაჩალი იმ ენაზედ არ ლაპარაკობს, რა ენაზედაც შენ მელაპარაკები. შენ ყაჩალი არა ხარ, შენ ნორმანი ხარ... იქნება დაბადებით კეთილ-შობილიც... ოხ, კეთილ-შობილი იყავ საქმეშიაც: ხელი აიღე შეურაცხყოფაზედ და ძალ-ლობაზედ!

— შენ, რომელიც ასე კარგად მიხვდი ჩემს ვინაობას,—უთხრა ბრიან დე ბოა გილბერმა და მანტია მოიხსნა,—არც შენა ხარ ნამდვილი ასული ისრაილისა; შენის სიტურფითა და სიჭაბუკით ხიბლავ და აჯადოებ კაცის გულსა. დიად, მართალია, შე ყაჩალი არა ვარ. მშვენიერო ვარდო! მე მზად ვარ შეგიმეცო ყელი ამ სამკაულით, რომელიც ასე გიხდება, ვიდრე მოგაკლო ამას.

— მაშ რა გინდა ჩემგან, თუ არა ჩემი სიმდიდრე?—ჰკითხა რებეკამ.—ჩვენ შორის არავითარი კავშირი არ შეიძლება: შენ ქრისტიანი ხარ, მე ებრაელი! ჩვენი კავშირი ერთნაირად წინააღმდეგი იქნება ეკლესიისა და სინაგოგისა.

— მართალს ამბობ, —უთხრა დაცინვით რაინდმა:—ურისი ქალი თუ გინდ რომ დედოფალიც იყოს, მაინც არ შევირთავ. ამას გარდა, მე ქრისტიანი ქალის შერთვაც არ შემიძლიან, ამისათვის რომ ჩემი აღთქმა ამის ნებას არ მძლევს, მაგრამ რომელიმე ქალის შეყვარებას კი არ მიკრძალავს. მე ტაძრის რაინდი ვარ! აი ჩემი წმინდა ორდენის წმინდა ჯვარიცა.

— როგორა ბედავ ჯვარის ხსენებას ამისთანა ლაპარაკის დროს?—უთხრა რებეკამ.

— მერე შენ რა გინდა! შენ ხომ არა გწამს იგი?

— მე ისა მწამს, რასაც ჩემი მამები მასწავლიდნენ, და ღმერთმა მპატიოს, თუ ის ჩემი რწმენა შეცდომა იყოს. მაგრამ შენი რწმენა რა რწმენაა, როდესაც ახსენებ იმას, რასაც წმინდათა სთვლი და ახსენებ მაშინ, როდესაც ემზადები რაინდების აღთქმის დარღვევას?

— შენ კარგად და ბრძნულად ჰქადაგობ, ასულო სირახისა! — უთხრა რაინდმა, — ცოლის შერთვა მიუტევებელი ცოდვაა ტაძრის რაინდისათვის; მაგრამ თუ მცირე სისულელეს ჩავიდენ, ჩემი ორდენი ადვილად მაპატივებს. სოლომონის სიონის ტაძრის დამცველს სოლომონისებური ამოვნებაც შეუძლიან მოითხოვოს.

— თუ რომ შენ სამლო წერილი და წმინდა მამათა ცხოვრება წაგიკითხავს, — მიუგო რებეკამ, — მხოლოდ იმისთვის, რომ შენი გარყვნილება და ცუდი ყოფა-ქცევა გაამართლო. შენი საქციელი იმ კაცის დანაშაულსა ჰგავს, რომელიც წამლეულის ბალახეულობიდან შხამს ამზადებს.

ამ საყვედურის დროს რაინდს თვალები ცეცხლისავით აენთო.

— გამიგონე, რებეკა, — უთხრა რაინდმა, — აქამდინ მე შენ მშვიდად და წყნარად გელაპარაკებოდი; ეხლა კი ისე გელაპარაკები, როგორც მბრძანებელი. შენ ჩემას ხმლითა და შუბით ხარ ნაშოენი და ჩემს ნებას უნდა ემორჩილებოდე; მე ჩემს უფლებას არავის არ დაეუთმობ და ძალით გამოგართმევ იმას, რასაც თხოვნითა და ხვეწნით არ მაძლევ.

— შესდექ, — უთხრა რებეკამ, — შისდექ და ყური დამიგდე, ვიდრე მაგისთანა მძიმე ცოდვას ჩაიდენდე! მართალია, შენ შეგიძლიან დამძლო, ამისათვის რომ ღმერთს ქალი სუსტად გაუჩენია და კაცის დიდ-სულოვნებისათვის ჩაუბარებია! მაგრამ შენს ბოროტებას, ტაძრის რაინდო, მთელს ქვეყანაში მოვფენ, ყველას შევატყობინებ, რომ შენ ებრაელ ქალთან შესცოდე და ამით შეურაცხ ჰყავი წმინდა ჯვარი.

— შენ მახვილ-გონიერად ლაპარაკობ, ურჩის ქალო, — უთხრა რაინდმა, რომელიც კარგადა გრძნობდა რებეკას სიტყვასიმართლეს, — მაგრამ შეტის-მეტად დიდი ხმა უნდა გქონდეს, რომ ამ ოთახის გარედ გაიგოს ვინმე; ამ ოთახ კედელ შუა დიმიარხება შენი დრტვინვა და საჩივარი და მშველელი ჭრავინ გამოგიჩნდება. მხოლოდ მარტო ის დაგიხსნის, რომ შენს ბედს დაემორჩილო და ჩვენი სარწმუნოება მიიღო, მაშინ შენი ბედი

ბევრს ნორმანელს ქაღის შეშურდება, რადგანაც შენ იქნები სიყვარული ისეთის კაცისა, რომელიც ერთი უკეთესთაგანია ტაძრის რაინდთა შორის.

— ჩემს ბედს დავემორჩილო?— შეპყვირა რებეკამ.— მაგრამ, ოხ ზეცაჲ! მერე რა ბედია ეს ბედი? შენი სარწმუნოება მივიღო? მერე შენისთანა ყაჩაღს რა სარწმუნოება აქვს? ტაძრის რაინდთა შორის შენა ხარ უკეთესი? საზიზღარო რაინდო! მე შენ მეზიზღები და სასაცილოდ გიგდებ! აბრამის ღმერთმა თავის ასულს ამ გარყვნილების მორევიდან გასავლელი გზა უჩვენა.

ამის შემდეგ რებეკამ გაალო ფანჯარა და თვალის დახამხამებაზედ საშინელი უფსკრულის ნაპირს დადგა. ეს ისე უცრად მოხდა, რომ ბოა გილობერი წინ ვერ გადაეღობა და ვერ შეაჩერა იგი. როდესაც რაინდმა მოინდომა იმასთან მისვლა, უფსკრულის პირზედ მდგარმა რებეკამ დაუძახა:— შესდექ შენს ადგილას, საზიზღარო რაინდო, ან მოდი, თუ გინდა. შენი ერთი ფეხის გადმოღებმა და ჩემი უფსკრულში გადავარდნა ერთი იქნება.

რებეკამ გულხელი დაიკრიბა და ზეცისადმი აღაპყრო თვალნი, თითქო თავის სულს ავედრებდა მას უფსკრულში გადავარდნის წინად. რაინდი შედრკა და რებეკას გამბედაობამ საშინლად გააკვირვა.— აქ მოდი, უგუნურო!— უთხრა მან,— გეფიცები დედამიწას, ზღვასა და ზეცას, რომ მე შენ არავითარს შეურაცხყოფას არ მოგაყენებ.

— მე შენ არ გერწმუნები, ტაძრის რაინდო, — მიუგო რებეკამ.— შენი ორდენის პატივისცემა უკვე ვისწავლე შენგან. შენ ადვილად გასტეხავ შენს ფიცს, რომელზედაც დამოკიდებულია პატიოსნება და უპატიოსნება უბრალო ებრაელის ქალისა.

— შენ უსამართლოდ მექცევი, — უთხრა რაინდმა გულმხურვალედ: — გეფიცები სახელს, რომელსაც ვატარებ, ჯვარს, რომელიც გულზედა მაქვს, ხმაღს, რომლითაც აღჭურვილი ვარ და ჩემ წინაპართა გერბს, რომ მე შენ შეურაცხყოფას არ მოგაყენებ! თუ შენს თავზედ არა, მამა-შენზედ მაინც იფიქრე! მე



იმის მეგობარი ვიქნები და ამ ციხე-დარბაზში დასჭირდება ჩემი შველა.

— მე ყველაფერი ეგ კარგად ვიცი, — უთხრა რებეკამ: — მაგრამ შეიძლება განა კიდევ დაგიჯერო?

— დაე დაიმსხვრეს ჩემი იარაღი, დაე შერცხვენილი იყოს ჩემი სახელი, თუ შენ კიდევ რამე მიზეზი მოგცე ჩემზედ საჩივრის. არა ერთს კანონსა და დადგენილებას გადაესულვარ, მაგრამ ჩემს სიტყვას კი არასდროს არც გადაესულვარ და არც გადავალ.

— კარგი, დაგიჯერებ, — მიუგო რებეკამ, — მერე უფსკრულს მოშორდა და ერთს განჯინასთან დადგა. — აი მე აქ ვიდგები. შენ კი შენი ადგილიდან არ დაიძრა; თუ ერთს ფეხსაც არის გადმოსდგამ ჩემსკენ, მაშინ დაინახავ, რომ ებრაელი ქალი თავის სულს უფრო ადვილად მიანდობს ღმერთს, ვიდრე ტაძრის რაინდს თავის პატიოსნებას.

როდესაც რებეკამ ეს სიტყვები წარმოსთქვა, მისმა კეთილშობილურმა და მაგარმა ხასიათმა, რომელიც სრულიად შეეხამებოდა მის სიმშვენიერეს, ისეთი ღირსება და ლაზათი დაადო მის სახეს და მოძრაობას, რომ იგი ამ ქვეყნიურს ქმნილებას აღარა ჰგავდა. თვალები უფრო გაუბრწყინდა და ლოყები სრულიად არ გაჰფითრებია უცარის სიკვდილის მოლოდინით; პირიქით, იმ აზრმა, რომ თავის ბედის ბატონი თვით იყო და სიკვდილით გადაირჩენდა თავს სირცხვილისაგან, უფრო ფერი მოუმატა. მის სახეს და თვალელები გაუბრწყინა. თვით ამპარტავანი და ზვიადი ბოა გილბერიც კი ფიქრობდა, რომ მას ასეთი ალტაცებული და ასეთი ხასიათის ქალი არასდროს არ ენახა.

— შევირგდეთ, რებეკა, — უთხრა მან.

— მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ამაზედ ახლო ერთმანეთს არ მივუახლოვდეთ, — მიუგო რებეკამ.

— შენ ჩემი აღარ უნდა გეშინოდეს! — განაგრძო ბოა გილბერმა.

— არც მეშინიან იმის წყალობით, ვისაც ეს კოშკი ისე მაღალი აუშენებია, რომ აქედან გადავარდნა უსიკვდილოდ არ

იქნება. ამ კოშკისა და ისრაელის ღმერთის წყალობით მე შენი აღარ მეშინიან!

— უსამართლოდ მექცევი, რებეკა, — მაუგო რაინდმა, — უსამართლოდ, გფეიცები დედამიწას, ზღვასა და ზეცას! მე ბუნებით ისეთი არა ვყოფილვარ, როგორსაც ეხლა მხედავ: გაუთლელს, ახირებულს თავ-მოყვარეს. ქალმა მასწავლა სასტიკობა და ქალივე შეიქმნა ამ სასტიკობის მსხვერპლი. გამიგონე, რებეკა. არც ერთს რაინდს არ აუღია შუბი ხელში ისეთის მოწიწებით თავის სატრფოსადმი, როგორც მე. ეს სატრფო ღარიბი ბარონის ქალი იყო და ჩემის სახელით უფრო იყო ცნობილი, ვიდრე თავის გვაროვნობით. მერე როგორ გადამიხანდა ამაგი. როდესაც მე ჩემის შრომითა და სისხლით სახელი გავითქვი და დავბრუნდი, იგი გათხოვილიყო ერთს აზნაურზედ, რომლის სახელიც არსად არ იხსენებოდა. წმინდად მიყვარდა იგი და სასტიკად ამოვიყარე მოღალატის ჯავრი! ამ დღიდან ყოველივე კავშირი გავწყვიტე ჩემს სიცოცხლესთან. მე ველარ ვიგემებ ოჯახურს ამოენებას, ველარ დავსტკებები ცოლის ერთგულობით. ჩემი საფლავი მარტოდ მარტო იქნება და ამოიფხვრება ბოა გილბერტების გვარი.

— მერე რითი შეიძლება შენი დაჯილდოება მაგოდენა მსხვერპლისათვის? — ჰკითხა რებეკამ.

— ჯავრის ამოყრითა და პატივის მოყვარეობის ცეცხლის ალით, რებეკა.

— რა მკირე ჯილდოა იმისთვის, ვისაც დაუკარგავს უძვირფასესი უფლებანი კაცობრიობისა!

— მაგას ნუ ამბობ, ქალო! ჯავრის ამოყრა ღმერთებსაც კი ასიამოვნებს. თუ ეს თვისება, ქურუმთა სიტყვით, ღმერთებს მხოლოდ თავიანთთვის შეუნახავთ, ეს იმისთვის, რომ უბრალო მომაკვდავს ამ თვისების ღირსად არა სთვლიდნენ. პატივის მოყვარეობა? ეს ისეთი ცთუნებაა, რომელიც თვით ზეცის მყუდროებასაც კი შეაშფოთებს. — რაინდი ცოტას ხანს გაჩუმდა და შემდეგ განაგრძო: — რებეკა! ქალი, რომელიც სიკდილს უფრო რჩეობს, ვიდრე შეურაცხყოფას, ამაყის გულისა და ძლიერი

სულის პატრონი უნდა იყოს! შენ ჩემი უნდა იყო! ნუ გემინიან, ეს შენის ნებით უნდა მოხდეს და იმ პირობით, როგორც შენ გინდა. შენ უნდა დამთანხმდე და ჩემთან ერთად შეუზენდ გაიყო ის იმედები, რომელნიც სამეფო ტახტზედაც კი უპირატესნი არიან! მოისმინე ვიდრე პასუხს მომცემდე და განსაჯე, ვიდრე უარს მეტყოდე. შენ ხომ იცი, რომ ტაძრის რაინდი თავის საზოგადოებრივს უფლებას ჰკარგავს, უფლებას თავისუფლად მოქმედებისას; ამის ნაცვლად იგი ხდება წევრი ძლიერის ორდენისა, რომლის წინაშეც ზოგჯერ თვით სამეფო ტახტიც კი ძრწის ხოლმე. ამ ორდენის წევრთა შორის მე მცირე წევრი არა ვარ და მალე ერთი უპირველესი გამგეც ვიქნები ამ საზოგადოებისა. ტაძრის რაინდები არამც თუ დასთრგუნვენ მეფეებს, არამედ ხელთ იგდებენ მათს ტახტებსაც და ხელიდან სკიპტრას გამოსტაცებენ. თვით მეფობა მესიისა, რომელსაც თქვენ ამაოდ მოელით, ვერ მიანიჭებს თქვენს გაბნეულს ერს იმას, რაც ჩემს პატივის მოყვარეობას სურს. მე ვემბედი დიდსულოვანს და გამბედავს ქალს, რომელიც შეუზენდ გამიყოფდა ამ სურვილს და ასეთ არსებად შენა გპოვე.

— და შენ ეუბნები მაგას იუდიელის ჩამომავლობის ქალს? — ჰკითხა რებეკამ. — მოიფაქრე...

— პასუხს ნუ მაძლევ, — მიუგო რაინდმა, — სარწმუნოებათა განსხვავებაზედ ნურაფერს ნუ მეტყვი: კერძო ლაპარაკის დროს ეს ბავშვური ზღაპრები სასაცილოდაც არა გეყოფნის ხოლმე. მაგრამ კმარა, სარწმუნოებრივს საიდუმლოებას ამაზედ მეტად აღარ აეხედი ფარდას. საყვირის ხმა მაუწყებს, რომ ჩემი წასვლა საჭირო არის. რაც გითხარი, კარგად იფიქრე იმაზედ. მშვიდობით. მე ბოდიშს არ ეიხედი იმ ძალადობისათვის, რომელიც შენზედ მოვიხმარე, უამისოდ შენი მტკიცე ხასიათი არ გამოჩნდებოდა. ოქროს მაშინ იცნობენ, როდესაც გასასინჯველს ქვას წაუსმენ ხოლმე. მე კიდევ დავბრუნდები და ერთხელ კიდევ მოგელაპარაკები.

ბოა გილბერი ოთახიდან გავიდა და რებეკა მარტო დარჩა. იგი უგუნური რაინდის პატივის მოყვარეობით უფროა შე-

შინდა, ვიდრე სიკვდილით, რომელიც მას მოელოდა. როდესაც რებეკა კვალად შემოვიდა ოთახში, მადლობა გადაუხადა იაკობის ღმერთს მფარველობისაუვის და სთხოვა მისი მამაც უმწეოდ არ დაეტოვებინა. სხვა არსებაც შეავედრა ღმერთს:—ეს იყო დაპირილი ქრისტიანი, რომელიც ბედმა თავის მოსისხლე მტრების ხელში ჩაადგო. მართალია გულმა ძგერა დაუწყო, როდესაც ლოცვაშიაც კი მოიგონა ის კაცი, რომელთანაც არავითარი ერთობა არ შეეძლო ექონია, როგორც თავის სარწმუნოების მტერთან. მაგრამ იგი შეავედრა ღმერთს და ამას ვერავითარი ცრუ-მორწმუნეობა ველარ შეაცვლევინებდა.

### თავი მეოცდამოთხე

წყეული გრამოტა, როგორც ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

გოლდსმიტი.—ქალი გამარჯვებას ემორჩილება.

როდესაც ბოა გილბერი დარბაზში შევიდა, დე ბრასი უკვე იქ იყო.—შენი არშეიკობაც, უთხრა უკანასკნელმა,—ეტყობა ისევე ჩაიშალა, როგორც ჩემი ამ წყეული საყვირის წყალობით. მაგრამ შენ უფრო გვიან და უგულოდ მოხვედი: ალბად არშეიკობით შენ უფრო ისიამოვნე, ვიდრე მე.

— მას დავიჯერო ვერაფერი გააწყე საქსონელს მშვენიერს მემკვიდრე ქალთან?—ჰკითხა ბოა გილბერმა.

— გეფიცები მამი-ჩემის საფლავს, ვერაფერი, ქალბატონ როენას ალბად გაგებული ჰქონია, რომ მე ქალის ცრემლების დანახვა არ შემიძლიან.

— გრცხვენოდეს! ჯარის უფროსი ხარ და ქალის ცრემლებს კი უგდებ ყურსა! სიყვარულის საკურთხეველზედ დაცემული რამდენიმე ცრემლი უფრო აღაგზნებს ხოლმე ტრფიანლებას.

— კარგი თუ რამდენიმე ცრემლი იქნებოდა, როგორც შენ ამბობ; მაგრამ ის იმდენს ტიროდა, რომ იმ ცრემლებით

ქიაკოკონის ჩაქობაცკი შეიძლებოდა. როენას რაღაც ეშმაკი ჩაუჯდა გულში.

— ებრაელს ქალს კი მთელი გუნდი ეშმაკებისა დაეპატრონა! უამისოდ საიდან გამოიჩინდა ისეთს გამბედაობას და გულ-მაგრობას. მაგრამ ფრონ დე ბეფი სად არის? საყვირის ხმა თანდათან უფრო ძლიერდება

— ალბად ურიასთან აქვს მოლაპარაკება, — გულ-ცივად მიუგო დე ბრასიმ, — და საკვირველიც არ არის, რომ საყვირის ხმას ისაკის მწუხარება აყრუებდეს. შენ ხომ იცი, ბატონო ბრიან, ურია ადვილად ვერ დასთმობს ოქროებს და ვინ იცის ისე საშინლად ყვირის, რომ ოცს ამისთანა საყვირსაც კი გააჩუმებდა. მოსამსახურე გავგზავნოთ და დავუძახოთ.

მალე ფრონ დე ბეფიც მოვიდა, რომელიც იძულებული იყო ებრაელის წვალეებისათვის თავი დაენებებინა და გამოსვლისას მოსამსახურეებს განკარგულებას აძლევდა.

— ვნახოთ რა იქნება ამ აღიაქოთის მიზეზი, — სთქვა მან. — აი წერილი რომელიც თუ არა ვცდები, საქსონურად არის დაწერილი. მან რამდენჯერმე გადააბრუნა გადმოაბრუნა იგი და მერე დე ბრასის გადასცა.

— იქნება აქ რაღაც საიდუმლო ნიშნებია, ჩემთვის ეს სულერთია, — უთხრა დე ბრასიმ. — ყმაწვილობისას სდომებიათ ჩემთვის წერა ესწავლებინათ, მაგრამ ჩემი დასმული ასოები სულ შუბსა და ხმაღს ჰგვანდნენ თურმე და იძულებულნი შექნილან აღარ ესწავლებინათ.

— აქ მომეცით ეგ წერილი, — უთხრა ბოა გილბერმა: — მე ცოტა რამ მისწავლია ბერებისაგან.

— მაშნება მოგვეცით თქვენის ცოდნით ვისარგებლოთ, — უთხრა დე ბრასიმ. — აბა რას გვაუწყებს ეს წერილი?

— ომს გვიცხადებენ, — მიუგო ტაძრის რაინდმა: — მაგრამ ღვთისმშობელს გეფიცებით, თუ ეს ხუმრობა არ არის, მაშინ წრეს გადასული თავხედობაა ასე თამამად ომში გაწვევა.

— ხუმრობა! გაცხარდა ფრონ დე ბეფი. ნეტა ვიცოდე, ვინ გამიბედა ასეთი ხუმრობა. ბატონო ბრიან, აბა წერილი წაიკითხე!

ბოა გილბერმა შემდეგი წიკითხა:

„მე ვამბა, შვილი ვიტლესისა, ხუმარა კეთილშობილის და თავისუფლად დაბადებულის ბატონის ცედრიკისა, საქსონელად წოდებულისა და მე, გურტი, შვილი ბეოფულდისა, მელორე...“

— ქუაზედ ხომ არ შემცდარხარ! — უთხრა ფრონ დე ბეფ-მა და კითხვა გააწყვეტინა.

— ღმერთს გეფიცები, ასე სწერია, — მიუგო ბოა გილბერმა და კვლად დაიწყო კითხვა: — და მე გურტი, შვილი ბეოფულდისა, მელორე ხსენებულის ცედრიკისა, ჩვენი მეგობრების და მომხრეების დახმარებით, სახელდობრ: გმირი „შავის რაინდისა და მამაცის მეშვილდისრის რობერტ ლოკსლეისა, გიცხადებთ თქვენ, რეჯინალდ ფრონ დე ბეფს და თქვენს მომხრეებს, ვინც გინდა იყვენ იგინი, რომ რადგანაც უმიზეზოდ ანუ მტრობით დაატყვევეთ ხსენებული ცედრიკი და მისი გაზრდილი ქალბატონი როენა, ატელსტენი, ურია თავის ქალითა და კიდევ ბევრი სხვები, ამისათვის ამ წერილის მიღებიდან ერთი საათის განმავლობაში უფებლად უნდა გაანთავისუფლოთ ყველა ზემოხსენებული პირნი თავიანთის ცხენებითა, ჯორებითა და ქონებითა. თუ ჩვენს მოთხოვნილებას არ შეასრულებთ, მაშინ თქვენ მოლალატედ და ყაჩაღებად ჩაგრაცხავთ, ბრძოლას დაგიწყებთ და ყოველს ღონისძიებას ვიხმარებთ, რომ მიწასთან გაგასწოროთ“.

ამ წერილს ქვეშ ჯერ მამალი იყო დახატული და ქვეშ ეწერა, რომ ვამბამ დახატაო, მერე ჯვარი იყო გამოხატული გურტისაგან და მათ შემდეგ „შავს რაინდსა“ და ლოკსლეის ეწერათ ხელი. რაინდებმა გულმოდგინებით მოისმინეს წერილი და წაკითხვის შემდეგ ერთმანეთს შეხედეს. დე ბრასიმ პირველად დაარღვია სიჩუმე ხმა მალღაგაცინებით, რომელსაც ბოა გილბერმაც ბანი მისცა. ფრონ დე ბეფა კი მოუთმენლად დააშტერდა მათს ულაგო მხიარულებას.

— გთხოვთ, ბატონო რაინდებო, — უთხრა მან: — იმაზედ იფიქროთ, როგორ დავიხსნათ თავი ამ გარემოებისგან და უდროვო მხიარულებას თავი დაანებოთ.

— ფრონ დე ბეფი ჯერაც ვერ მოსულა გონსა მას აქეთ, რაც ასპარეზობაში ცხენიდან გადმოავდეს, — უთხრა დე ბრასიმ ბოა გილბერს: — მას ძალიან ეშინიან ბრძოლაში გაწვევისა, თუ გინდ რომ ხუმარა და მელორე იწვევდნენ.

— წმ. მიხეილს გეფიცები, — მიუგო ფრონ დე ბეფმა — მე ძალიან მინდა, რომ ყოველივე ეს ამბავი მარტო შენ თავს იყვეს. ეს უგუნურები ასეთს გაბედულს და თავხედურს წერილს არ მოიწერებოდნენ, თუ რომ ღონეც არ შესწევდეთ. ამ ტყეში ბევრი მაწანწალანი არიან, რომელნიც გადამტერებულნი მყვანან იმისთვის, რომ ნადირობას ვუშლი. რამდენჯერ მესროლეს ისარი მოსაკლავად, რადგან ერთი ყაჩაღი ირემზედ ნადირობისათვის სასტიკად დავსაჯე. აქ მოდი, — დაუძახა მან ერთს თავის მოსამსახურეს, — ხომ არ გაგიგია რამდენნი არიან ისინი?

— ცოტა ცოტა ორასამდინ იქნებიან, — მიუგო მოსამსახურემ.

— უყურეთ ერთი და! — განაგრძო ფრონ დე ბეფმა: — ყოველივე ეს იმისთვის, რომ მე თქვენ ჩემი ციხე-დარბაზი დავგიტოვებ, იმისთვის რომ თქვენ თქვენი საქმე ჩუმად ვერ გაარიგეთ და ამდენი კრაზანა დაიხვიეთ თავს.

— კრაზანები? — სთქვა დე ბრასიმ: — უმჯობესია სთქვა უშხამო კრაზანები, არაფრის მაქნისთა ხროვა, რომელთაც ტყეში ყაჩაღობას მეტი არაფერი შეუძლიანთ.

— უშხამოვო! — უპასუხა დე ბრასიმ. — მერე როგორა ეთქვა ეგა, როდესაც ვიცი, რომ იგინი წვეტიანი ისრებით არიან შეიარაღებულნი და ნიშან შიაც კარგად ესვრიან.

— გრცხვენოდეს, ბატონო რაინდო! — უთხრა ბრიანმა. — შეგვიკრიბოთ ჩვენი ხალხი და ჩვენ დავესხათ მათ თავზედ. საკმაო ერთი რაინდი, ანუ ერთი მეომარი, რომ ოცს იმათგანს ბოლო მოუღოს.

— რასაკვირველია, საკმაო იქნება, — დაუმატა დე ბრასიმ: — მხოლოდ იმათთან ბრძოლისა მცხვენნიან.

— მართალია, — მიუგო ფრონ დე ბეფმა, — თუ რომ იგინი ოსმალნი იყვნენ, ბატონო ბრიან, ანუ საფრანგეთის მშენებარა



გლებები იყვნენ ბატონო დე ბრასი; საქმე ის არის, რომ იგინი ინგლისელი მეშვილისრენი არიან, რომელთაც მხოლოდ იარაღითა და ცხენებით ბევრად ვჯობივართ, მაგრამ რა სარგებლობას მოგვითანს ყოველივე ესა, თუ რომ იგინი ტყიდან არ გამოვლენ. შენ ამბობ გავუხტეთ იმათაო, მაგრამ როგორ, რომ ციხე-დარბაზის დასაცველად საკმაო ხალხი არა გვყავს. ჩემი საუკეთესო მეომარნი იორკში არიან; შენი რაზმიც იქ არის, დე ბრასი; მე ესლა მხოლოდ ოცი კაცი მყავს იმათ გარდა და აბა ამით რას გაეხდებით.

— შენ, როგორც გეტყობა, უფრო იმისი გეშინიან, ვაი თუ ციხე-დარბაზს გარს შემოერტყენენო? — უთხრა ბოა გილბერმა.

— არა, ბატონო ბრიან, მე მაგისი არ მეშინიან, — მიუგო ფრონ დე ბეფმა: — მართალია იმათ ძლიერ მამაცი წინამძღოლი ჰყავთ, მაგრამ ციხის ასაღები მანქანები არა აქვთ.

— მაშ კაცი გაგზავნე მეზობლებთან და სთხოვე მოგეშველნენ, რომ მელორისა და ხუმარასაგან დაიხსნან სამი რაინდი, მომწყვდეულნი რეჯინალ ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზში, — უთხრა ტაძრის რაინდმა.

— თქვენ ხუმრობთ, ბატონო რაინდო, — მიუგო ბარონმა: — ვისთან გავგზავნო? მალეოაზენი იორკშია თავის ხალხით, დანარჩენი ჩემი მომხრეებაც, აგრედვე, მეც ესლა იქ ვიქნებოდნი, ეს წყეული შემთხვევა რომ არ მომხდარიყო.

— მაშ იორკში გაგზავნე და შენი ხალხი დაიბარე, — უთხრა დე ბრასიმ: — აბა იმათ იქამდინ მოიცადონ, ვიღრე ჩემი რაზმი მოვა და ჩემი დროშა გაიშლება, მაშინ მე იმათ ყოჩად ყაჩაღებს დავუძახებ.

— მერე ვინ წაიღებს მაგ ბრძანებას? — ჰკითხა ფრონ დე ბეფმა: — იგინი ყველა გზებს შეჰკრავენ და გაგზავნილს კაცს წერილს წაართმევენ. მე მგონია, ბატონო ბრიან, თუ წაკითხვა იცი, წერაც გეცოდინება, თუ საწერ-კალამი ვიშოვეთ.

— საწერ-კალამი მგონია უფრიდას აქვს შენახული, — წამოიძახა საქურელის მტვირთველმა, რომელიც ბატონის ბრძანებას ელოდა.

— მაშ იპოვე და მოიტანე, უთხრა ფრონ დე ბეფმა მოსამსახურეს:— ბატონო ბრიან, შენ უნდა მისწერო ყაჩაღებს ღირსეული პასუხი.

— მე მათ ჩემი ხმლით უფრო კარგს პასუხს მივცემ, ვიდრე კალმითა, — უთხრა ბოა გილბერმა. — მაგრამ დაე ისე იყოს, როგორც შენი სურვილია.

ბოა გილბერი დაჯდა და სწერდა ფრანგულად იმას, რასაც ფრონ დე ბეფი ეუბნებოდა. წერილში შემდეგი ეწერა:

„ბატონი რეჯინალდ ფრონ დე ბეფი თავის მომხრეებით და რაინდებით, ყაჩაღებთან და მონებთან საბრძოლველად გასვლას არ კადრულობს. თუ რომ ის კაცი, რომელიც „შავს რაინდს“ ეძახის თავის თავს, ნამდვილი რაინდია, უნდა იცოდეს, რომ ყაჩაღებთან ერთად მოქმედება არა პატიოსანს რაინდს არ შეშვენის და უფლება არა აქვს კეთილშობილი კაცი საბრძოლველად გაიწვიოს. რაც შეეხება თქვენს პატიმრებს, ქრისტიანული გრძობა ვალად გვდებს გთხოვოთ, რომ მოძღვარი გამოუგზავნოთ, რათა აღსარება ათქმევინოს და ღმერთს შეავედროს იგინი, რადგანაც გადაწყვეტილი გვაქვს შუადღემდინ დავხოცინოთ იგინი და მათი თავები კოშკების კედლებზედ დავაწყობინოთ. გიმეორებთ, გამოუგზავნეთ პატიმრებს მოძღვარი, და ამით უკანასკნელი სამსახური გაუწიეთ მათ ამ ქვეყნად“.

ეს წერილი დაკეცეს და საჭურვლის მტვირთველს მისცეს, რათა მას გამოგზავნილის კაცისათვის ვადაეცა.

მეშვილდისრემ შეასრულა თავის მოვალეობა და დაბრუნდა მომხრეთა ბანაკში, სადაც გურტი, ვამბა, შავი რაინდი და ლოკსლეი მოუთმენელად მოელოდნენ წერილის პასუხს. იმათზე ცოტა მოშორებით რამდენიმე გამბედავი მეშვილდისრე იყო წამოწოლილი და მწვანე ტანისამოსზედ ეტყობოდათ, რა ხელობაცა ჰქონდათ. ორასამდინ შეთქმულნი შეიკრიბნენ და აან და თან კიდევ ემატებოდნენ. საქსონელებიც მოვიდნენ თავიანთის ბატონის ცედრიკის გასანთავისუფლებლად. მომეტებული მათგანი ცელებითა, ნამგლებითა და სხვა სამეურნეო იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. წერილი, პირველად მეუ-

დაბნოეს მისცეს, რომელსაც მისი შინაარსი ამხანაგებისთვის უნდა შეეტყობინებინა.

— ფოცავ კერძს წმ. ღუნსტანისას, რომელმაც უფრო ბევრი ცხვრები შერევა ფარებში, ვიდრე რომელმამე სხვა წმიდანმა, — წარმოსთქვა განდევილმა: — რომ მე ამ ნაჯღაბნს ვერ ვარჩევ და არ ვიცი ფრანგულია თუ არაბული.

მან წერილი გურტს მისცა, რომელმაც ატრიალა ხელში და მერე ვამბას გადასცა. ხუმარამ ოთხ-კუთხივ დაათვალიერა წერილი და იმანაც ლოკსლეის გადასცა.

— დიდი ასოები რომ შეილდები იყოს და პატარები ისრები, კიდევ გავიგებდი რასმე. ეხლა კი სრულიად არა მესმისრა ამ წერილისა.

— მაშ მე წავაკითხავ, — სთქვა შავმა რაინდმა, მერე აიღო წერილი, წაიკითხა და მისი შინაარსი თავის საქსონელს ამხანაგებს შეატყობინა.

— ცედრიკს სიკვდილით სჯიან! — წამოიძახა ვამბამ: — კარგად კი წაიკითხე, ბატონო რაინდო?

— მე ის გითარგმნეთ, რაც აქა სწერია, — მიუგო რაინდმა.

— მაშ ციხე-დარბაზი უსათუოდ უნდა ავიღოთ, — წამოიძახა გურტმა: — თუ გინდ რომ მისი ქვების აღება სათითაოდაც მოგვიხდეს.

— სხვაფრივ არ შეიძლება, — უთხრა ვამბამ: — თუმცა მე ერთი ქვის აღებაც ძლიერ შემძიმება.

— ეს მხოლოდ ეშმაკობაა დროს მოსაგებად, — სთქვა ლოკსლეიმ: — ისინი ვერ გაბედავენ პატიმრების დახოცვას, რადგანაც კარგად იციან, რომ სამაგიეროს გადაუვუხდით.

— მე ძლიერ მინდა, — სთქვა შავმა რაინდმა: — რომ ციხე-დარბაზში შევიდეს ვინმე ჩვენგანი და მათი გარემოება შეგვატყობინოს, რადგანაც იგინი მოძღვარსა თხოულობენ, წმინდა მეუღაბნოეს ადვილად შეუძლიან ეს თანამდებობა შეასრულოს და საქარო ცნობები მოგვიტანოს.

— აი დაგწყევლა ღმერთმა შენცა და შენი თათბირიც! — შესძახა მეუღაბნოემ: — აკი გითხარო, ზარმაცო რაინდო, რომ როდესაც ანაფორას ვიხდი, მაშინ ჩემი სიწმინდე და ჩემი უწმინდესობა ანაფორასთან ერთად მშორდება-მეთქი, ხოლო როცა

მწვანე ჯუბას ვიცვამ, მაშინ ირმების დახოცვას უფრო ვარჩევ, ვიდრე ერთს ქრისტიანს აღსარება ვათქმევინო.

— ვშიშობ, წარმოსთქვა შეგმა რაინდმა, — რომ მოძღვრის როლი ჩვენშორის ვინმე შეასრულოს.

ყველამ ერთმანეთს შეხედეს და გაჩუმდნენ.

— ეხედავ, წარმოსთქვა ვამბამ, — რომ სულელი ყოველთვის სულელი დარჩება და თავის კისერი იქ უნდა მიუშვიროს, სადაც ჭკვიანებს საშიშრად მიაჩნიათ თავის შეყოფა. იცოდეთ, ჩემო ამხანაგებო, რომ ვიდრე ამ ჭრელს ტანისამოსს ჩავიცვამდი, მე ყოპრალს ტანისამოსს ვატარებდი და მზად ვიყავ ბერობა შემემოსნა, მაგრამ ამ დროს ტენისს ანთება მომივიდა და იმდენი ჭკუა-ლა დამრჩა, რადენიც საჭიროა სულელისათვის. იმედი მაქვს, მისი უწმინდესობის მეუღაბნოეს ანაფორის წყალობით მე კარგად შევასრულებ მოძღვრის როლს და ჩემს ბატონს ცედრიკს და მის ამხანაგებს სულიერს მშვიდობას მოუპოვებ.

— რას იტყვი, შეუძლიან ამას მოძღვრის როლის ასრულება? ჰკითხა გურტს შეგმა რაინდმა.

— არ ვიცი, მიუგო გურტმა; მაგრამ თუ ვერ შეიძლება, თავის სისულელე სარგებლობას არაფერს მოუტანს.

— მაშ ჩაიცვი ანაფორა, უთხრა რაინდმა, — და სთხოვე შენს ბატონს, რომ ციხე-დარბაზის გარემოება გვაცნობოს. იქ უსათუოდ ხალხი მცირედ იქნება და უეცრად თავს დასხმის უმაღლვე დაგვმორჩილდებიან. მაგრამ წადი დროით, დაგვიანება აღარ შეიძლება!

— ჩვენ კი, დაუმატა ლოკსლეიმ, — ისე მკიდროდ შემოვერტყმებით ციხე-დარბაზს, რომ იქიდან ბუზაც კი ვერ შეიძლება ამბავის წაღებას. შენ შეგიძლიან დაარწმუნო მტარვალეები, უთხრა მან ვამბას, — რომ თუ პატიმრებს რამეს დაუშავენ ჩვენც სამაგიეროს გადავუხდით.

— მშვიდობა თქვენთანა! წარმოსთქვა ანაფორა ჩაცმულმა ვამბამ და თავის მოვალეობის ასასრულებლად წავიდა.

## ალექსი გუგუის მოთხრობები



### მ მ რ ი ვ ი

ერთი გვირა მუტია, ქარი არ ჩაკრდნილა; ერთი გვირა მუტია, დელაკს გაგიჟებული ზღვა და თითქო ქვეყანას წალკვას უბირებსო, მთასაკით ზვირთებს ესერის თავის მწიარ ნაზირებს.

დელაკს გაგიჟებული ზღვა და ისე დღე არ გავა, რომ და-მსრჩალი ანაჟან გამოთრეოს.

გათენდება და ნაკვი-ნაკვად მიდის, სათეეს-ოღ... ოთსნი წაკ-ლეწ და სანისი-ღა დაბრუნდებაან!

მაშ რა ქნან? შიმშილით სომ არ ამოწყლებიან?

შარშან სწორედ ამ დროს იყო, რომ ზღვამ ერთი ცარიელი ნაკვი გამოირეა. მთელი სოფელი შეიძრა: მობრბდნენ გულ-გასკო-ქილი, იერ-მისდილი დედა-კაცები—ჯახსოთ ვისი უბედური ცოლ-შვილი ატირდაო! მობრბდნენ საწყლები და უკან ბაღლები მოსდევ-დნენ. მობრბდნენ და თან ღრიალით იყეს-შიშველი, დაგონებულ მსკრებით მოსილი ბაღლები მოსტიროდნენ; თითონაც არ იცოდნენ, რას ტიროდნენ: დედა ტირის, ალბად უბედურება რამ არის ჩვენს თავსაო.

მიუხანლოვებოდნენ ნაკს, ერთს გაუბედავად გადახედავდნენ და გულს ღოღი მოკუებოდათ; სასე გაუბწყინდებოდათ, სისარულით თვალთ-ცრემლი მოკრეკოდათ და:

— არა, ჩვენი არ არისო!—წამოიძახებდნენ გულ-დამშვიდებუ-ლნი.

ბოლოს ერთი ყმაწვილი დედანკაცი მოვიდა, ყველასეულ ღამეში და ყველასეულ ფურ-მყრთადი. ბოლოს მოვიდა, რადგან სელში ბუ-ბუ-მწოკარს ეჭირა და სამი კიდეე კახაზედ ებლაუჭებოდა. ერთი უტაროდა და სამნიე თვალ-ცრემლიანნი—მამა, მამა! გაიძახოდნენ.

დაინახა ნავა და იქვე ჩაიჩოქა... ყველანი გახუდნენ, მერე დე-დაცა ცხები მისცვიდნენ, ბავშვები მოაშორეს.

საღსი კი ეძებოდა. ქუდ-მოხდილი, თავ-დაღუნული იდგნენ მოხუცებულები უბედურის წინაშე.

ცოტა ხანს უკან ქვრივი წამოდგა გულ-მოკლული, ფურ-მის-დილი, თითქო ცრემლი გაეშრა და გააფთრებულ ზღვას გადასე-და; შებლიდგან თიბი გადიწია, რომ უკეთ დაესახა თავის დამლუ-შკელი ზვირთები და თავის წვევლა-ვრულვას ეთქვა მათთვის. მერე ბავშვებს მიეპატრონა და სმის ამოუღებელი შინისკენ წავიდა.

იქ მეფეთ კი ცრემლი გერ შეიმაგრეს და თითქო რცხვენიათ, რაღა ტკატარებს, ამოდნა უბედურებს რითი გერ შეაკვრეთო, ერთ-მანეთის ჩუმიდ იწმენდნენ თვალებს და თან გაიძახოდნენ:

— ოჲ, სწყელი ზეტრეს ქვრივი!

საკი მშრალზედ ცაიტანეს და იქვე მალლად ამართულ ვეარც-მის ხსლო დატოვეს. გაუძამლანმა ზღვამ საბრალო ზეტრეს უსუ-ლო გვამიც კი დაიშურა მის ცოლშვილისათვის, რომ მაწინთვის მიებარებინათ; იმ დღეს აქო ეს ერთი წელიწადია, ყოველ-დილით მიდის ნაკთან ქვრივი თავის ბავშვებით; დაინოქებენ ამ უგვამო სა-ფლავის წინაშე და ცხარე ცრემლით და ლოცვით ეკადრებიან: «გა-ნუსენენ, უფალო, სულსა მონისა შენისათა!..»

გუშინ ბენუა—ზეტრეს მეგობარი იყო და სათუქსადაც სში-რად დადიოდნენ ერთად—ქვრივის სანახავად წავიდა.

კარგა გვიან იყო, კარი რომ დაურაკუნა.

ჯოჯოხეთის სმით გაიძახოდა გააფთრებული ზღვა, ქარი სტე-ქდა და გრიალებდა, ავანს აზარებდა...

ბენუამ კი ზანდუვიდან საგანგებოდ შენახული შალვარი ამოი-ღო, ხსალი ქუდი დაიხურა... წვერი მოიხარსა, თავი გააკრეცინა; ჯი-

ბეები ხილით და საცმელებით გაავსო და ასე მორთული და მომზადებული წავიდა პეტრეს ქვრივის სანასავად.

ტანში ურუანტულმა დაუარა, ქვრივის სიტყვაზე რომ დანახა. ოთხსში ბადეების მეტი არა იყო რა. ბუნრიდან სითბოს მაგივრად საშინელი ქარი და ყინვა გამოდიოდა.

დედა-პილი ვახშად ისხდნენ: წინ წყალში დამხალი შერი კვავთ და შესანსლული თევზი.

— საღამო მშვიდობისათ! — მესალმა ბენუა:

— ბატონს ბენუას ვასლავართ! უზასუსა გაკვირვებულმა ქვრივმა.

— რა მოგასსენოთ?.. სტუმარი ღვთისააო, ნათქვამია... ვასშად თქვენი სტუმარი ვიქნები, თუ თქვენი ნებაც იქნება...

ქვრივმა მასუხი არ გასცა.

— უმთავრესი გი დამაიწუდა... განა არ ვიცი, თქვენც ვიამებათ, დღეს თვეში გაყვიდე! ძალიან კარგი ფასი მომცა, ვილაც ღვთისნიერი ვაქარი იყო... დიად... ხომ მოგესსენებათ სულმა წამიღია... ამბობდა ბენუა და იმდენი რამ ამოაღაცა კიბიდან, რომ სუფრასკედ კელარც გი ეტეოდა.

უნდა გენახათ, როგორ გაუბრწყინდათ ბავშვებს სასუ, რა სიხარულით შესტკეკოდნენ ბენუას, როგორ ეპოტინებოდნენ ხილს და თან დედას უყურებდნენ: სებას მოგვცემ ავილოთ? ეს ხილი ხომ ჩვენთვის არის მოტანილიო?

— განა არ ვიცი, რომ ღვთის მოწყალეა ყველაფერი საკმარის ამ ოჯახში, — განავრძო ბენუამ: — ყველაფერი ბევრია, მარამ ბავშვებისათვის, დიად, ე მატარებისათვის...

თან გი სულ ის ფაქრი აწესებდა — არ იწეინოს პეტრეს ქვრივმა, არ გამოჰყვოდესო. შიშით ვერ არც გი შეესდნა მისთვის და რაც ხანი გადიოდა, უფრო და უფრო მომცნობდა; ბოლოს ცეტსლივით აქნო და რომ არ შეემხევიანებინა — ბავშვებს კოცნა დაუწყო.

მერე ცრემლი მოიწმინდა და მხარული ხმით შესძახა:

— დასხედით, უმწყილებო, დასხედით! ღმის შიმშილით მოკვდე!



სუფრასს შემოუსდნენ, მაგრამ ბენუას სელიც არათრასათვის უსლდა. ქვრივიც როგორღაც უმადოდ იყო... ბავშვები კი შეეძვრულნენ! თან ისე გულთანად იცინოდნენ, საწყალი დამშეული ბავშვები.

ვინ იცის, რა ფიქრებს წაქეზო ქვრივი, რომ ისე გაჩუმებული, გატაცებული იჯდა სუფრასკედ. ბენუაც გაჩუმებულიყო; დაჭკირებოდა ამ მწარე სიღარიბეს და გაიძისოდა თავისთვის:

— ჰეტრე! ჩემო ჰეტრე! ხედავ რა სიღატაკეს და შიმშილს დაუბუდნათ შენს სახლში! დამაცალე, დამაცალე! მამ ბენუა ახარ მეჩქვას, თუ შენს ქვრივს და წვრილ-შვილს ტკბილი ლუქის არ მიკაწოდო! დამაცალე შენ!

კიდევ ვარცა ხანი იჯდა ამ ფიქრებით მოცული, მერე წამოდგა, თავი მოიფხანა და ქვრივს ცრემლიან თვალებში დააშტერდა.

— მგონი თქვენთვის ვერ არც კი მითქვამს, რომ ზღვაში სიარულს თავს ვანებებ; რაც ვიარე, ისიცა ეძარა... ახლა ცოტა რამ შენახული მაქვს... შავი ღღისათვის, ერთი-ორი გროში... მომწყინდა, სხვა რომ არა იყოს-რა... ამასთან, დასწყევლას დემრთმა, გავალ თუ არა ზღვაში, მასანვე ცხანებული ჰეტრე მოამკონდება... თვალ წინ მიდგას, თითქო ცოცხალი იყოსო, აღარა მმოხრდება... საშინელი ფიქრები მომდის, ხან რა მომეჩვენება, ხან რა... შემეშინდება და...

ჰეტრეს სსენებასკედ ქვრივმა ქვითინი მოერთო.

— ექვ, რა გაწყობა? ალბად ბედის-წერა იყო!— განაგრძო ბენუამ:— დღეს სწორედ წელიწადია. სწორედ ამასთანავე ავი დარი იყო მამანაც, ასეთივე ქარი, ასეთივე მოჭურუებული ცა, ასეთივე წვიმიანი დღე იყო... საწყალი ჰეტრე!... მაგრამ მე სულ სხვას მოგასსენებდიო...

ქვრივი კი უფრო მწარედ ტირიდა.

— დიას, ზღვაში სიარულს თავს ვანებებ... ოღონდ; არ ვიცო, დემრთმანი, რა უნდა გქნას მართოდ-მართომ ჩემს სახლში? არც ცოლი, არც შვილი, არც ტოლი, არც სწორი! ნეტავი შორეული ნათესავი მინც მომეძუბებოდეს სადმე! ოხერ-ტაილაო, სწორედ ჩემისთანა გაცხედ არის ნათქვამი. ჭო და ამიტომ არის, რომ... ცოდვის შერთვა განვიძრახე!..

— თქვენ ისეთი გულ-კეთილი, ჰატიოსანი კაცი ბრძანდებით, ბატონო ბენუა, რომ ღმერთი ღირსეულს საცოლოს ავირჩევთ სადმე და სირულს ბედნიერებს და კმაყოფილებას მოგანიჭებთ.

— საქმეც კი არის და! მე რომ მინდა, ცოლი მინდა, ნამდვილი... ცოლიც კარგი იყოს, დედაც კარგი იყოს... გულიც კეთილი ჰქონდეს... ძლივსადა ასერხებდა ბენუა.

— ერთი სიტყვით ნორჩი, ლამაზი კარდი, რომ ჯერ ანც-გი აყვავებულყოფს...

ცოტა ხანს სიიუმე ჩამოკარდა.

— დაად!...

— კარგი ოკასის შვილი, ლამაზი, ზრდილი გოგონა, ჭა, ბატონო ბენუა?

— დაად! დაად! ლამაზი, ზრდილი გოგონა... თუმცა მე ის მიირჩევიან, დაად... — ბენუას ენა დაება და ძლივს-და წაიღულღულდა: დაად, ი გოგონას მე ის მიირჩევიან, ერთი კარგი, ჰატიოსანი ქვრივი იყოს, ობლები ჭყვადეს, წვრილ-შვილი... ქვრივი იყოს, რომ... აი, როგორც თქვენ... ასლა!... ძლივს არა ვთქვი!...

შეერთა ქვრივი, დასტურდა — იქნება ყურმამ მიმტყუვნა... და ორივეს ცრემლი მოკრიათ.

ისევე სიიუმე ჩამოკარდა.

ბენუა თავ-დაღუნული იდგა, ხან გაწითლდებოდა, ხან გაყვითლდებოდა და სელში ქუდს ათამაშებდა, თითქო ამის მეტი არა აწუხებს რაო. ქვრივი კი ბენუას შესცქეროდა, შესცქეროდა ისე, როგორც ჯერეთ გაურყენელი, მორწმუნე ყმაწვილი წმინდანის ხატს უყურებს ხოლმე. მერე თავი კვლავ შეაკავა, სისწრაფით ისევე ტირილი მორთო და ბედნიერებით სავსემ, თუმცა მორცხობისაგან აკანკალებული სმით უთხრა:

— კარგი, ბატონო ბენუა! მე თანახმა ვასლავართ, რადგან თქვენ მართლად და ჰატიოსანი კაცი ხართ. ჩემი პეტრე — შემოდან დატყვერით ესლა და მადლობას გეუბნებათ... გამადლობთ, გამადლობთ!

ბავშვები გარს ეხვეოდნენ და ჭკვირობდნენ — დედა რომ ტირის, მამასა ტირის, და ბენუას რაღა ატირებსო? თავი მაინც ისევე ბენუამ შეაკავა.

— რა უბედურია ღარიბი კაცი! სიხარულშიაც კი ცრემლს აფრქევს, ის დაღრცვილი ის! კარგით! გვეუფთავა ამდენი სევდა და კენკსა! ახა, ბავშვებო, იცოდეთ, რომ დღეის შემდეგ მე ვარ მამათქვანი! და ოთხივე გადაჭტონა.

თან კი თეატრობდა: სუ გემინიან, ზეტრე! დამცალე შენა, შენი წვრილ-შვილის სახლს ისე გააკისებ, რომ დეუდეს და გადმოდიოდეს! შიმშილს განუდგენი, სულ ეუდით ქვას კასროლინებ!

## II

### ბატონო მსაჯულო...

სამსჯავროდან წარის-გაცემბა ერთი სულ ფაწვილი, ასლად შეღრებული ბიჭი გამოიყვანეს; ანტელონსა ჰკავდა რომ შეგესდნათ; გაგიკვირდებოდათ — განა რას დამაჯებდა იმისთანას, რომ ბოროლიც კი უყრია ამ სწულსაო? მაგრამ რას იზამთ? საბუთებით დამტკიცებულიყო მისი ქურდობა და სასჯელიც ღირსეული დაეხიშნათ! მაგრამ... მაგრამ... ერთს ამბავს მოგიტოსრობთ:

აი ბატონო, მსაჯულო.

მოდრებულელი, მოჭურუშებული ცა დასწოლდა მინემებულ ბანაკს და მის მუდროებას დაჩაკვა ძახილია არღვედა, ერთმანეთს რომ აფთხილებდნენ; წვიმდა, თან საშინელი ცივი ქარი ქროდა, ის ქარი, ძვალსა და რბილში რომ გაუჯდებოდა ხოლმე ადამიანს და ბედ-იღბალს აწვევდინებს.

შორს, შორს მტრის ბანაკიდან წამ-და-უწეოდ რაღაც ეჯვასავით სინათლე მოხანდა, ზედ წარბაზნის გრიალი ისმოდა, თითქო კშინიან და ცდილობს უკვლას შეატეობინოს, რომ ტყუილად ნუ მეპარები, არ დავიძინებ, ვერ მომასწრობო! ხან და ხან დაჩაკვის ხმა გაისმოდა:

- ვინა ხარ, სად მისვალ?
- მეგობარი...
- მარჯვნივ შეუსვია!

წვიმა, ჭარის ზეწენი, ზარბაზნის გრილი და ზედ დიდი ხნის დაღლილობა და შიმშილი—მკვდარივით მიგრძლიეო სავწყალი ხალხი სველ ხალხად. ძლივს არ ეღიროსათ მოსკენება! ძლივს არ ეღიროსათ ძილი და ამოდენა ჭირასა და გუბის დაიწვეება! ასე ტუბილად მგონა თავის დღეში არსად სძინებიათ! ასეთა ტუბილი სიზმარი მგონი თავის დღეში არსად უნასავთ! ზოგი თავის სატრფოს სედავს და მის ალერსით სტუბება, ზოგს დიდება და შტვი ესიზმრება... და უკვლავს—სიცოცხლე და დღე-გრძელობა... დიდი ხნის სიცოცხლე, სიბურე... შინ დაბრუნება და თავისიანებში ტუბილი სიცოცხლე და სიბურე. არა, ამთი მკვლეელი ტუბია ვერ ხამისმუღჳ არ გასლავთ,

უცხად საყვირის სმა მოასმა.

— ადექსით! ჩქარა! იარაღი შეისისთ! ფთხილად! არიქა, ბანაკში მტერი შემოგუპირვია!

ვერ გონზედ არც კი მოსუღიყენენ, რომ ასისთავის ბრძანება მოესმათ:

— გასწორდით! იარეთ!

ჭარი უფრო მწარედ ზეწენებს, წვიმა კოკის შირულად ასსავს, ცა უფრო მოღრუბლულდა; სადღაა წელანდელი ტუბილი. სიზმრები, სადღაა წელანდელი შინ დაბრუნება და სიბურე! საწველებს თვალ წინ სიკვდილი-ლა უდვით და აი ან ესლა, ან ესლა წაშოიწეწენებს ერთი გიჟი ტუბია და...

— თოფი გატენეთ! ჩუმიად იარეთ! ისმის კადეკ ბრძანება ასისთავისა,

და მიდიან... სად? იჭნება სიკვდილისკენაც მიდიოდნენ... რაკუეთ, რა!... იარეთ!

იმას-ლა ცდილობს უკვლავ, თოფის ღულას დაუცოს რაჟე, რომ წყალმა არ დაუსკულოს. მუსლამდე ტლახოში, მიტოპავენ; აი ბანაკიდან გავიდნენ, გარკება უკან დარჩათ. ასლა კი მშვიდობით! ბანაკში კადეკ შინ იყენენ, ჩუენსა, სამშობლოში და ბანაკ გარეთ კი უცსკოთდა. გარტა სანი ვარტს.

— გასედათა... ჩემდა...!

უბრძანა ასისთავმა ასეთი სრინწიანი სმით, თითქო ყელში დასარჩობად უჭერს ვინმეო.

გახერდნენ. ქანდაკებასაკითხადგნენ სულ-განაბულნი, საომრად-მომზადებულნი. მტრის ყუბანა ჯერ მორისა ცვივოდა, ტალახს თუ შემოაშხაზუნებდა, თორემ სხვა ვნება არ შეეძლო რა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს უფრო უკეთ დაიწყო მტერმა სრლად და...

ბეკის აუტირდა იმ დამეს ცოლშვილი, ბეკი პატარა დაობლდა, მაგრამ... ღირს ვი ამისეულ ღაზარაკი?..

აგერ წაიქცა უბედური, შიგ მკერდში მოხვდა...

ღმერთო, რა მწარედ შეჭყვირა... როგორ ღმრის დაჭრილი! იქნება კვდება და სიკვდილის წინ თავის თავს ვი არა, იმას-ღა ნახობს, რომ მის სისხლს კერავინ აიღებს.

ასისთავი ვი თავისას გაიძახის:

— ჩემდა!... თქვენ ვი, ჩემდა მეთქი!

რადაც საშინელება ელანდებთ საწყელებს. რომ არ ბნელოდეს, მომაკვდავს რომ ხედავდნენ, იქნება ასეთ სისუსტეს არ მისცემოდნენ. შიში ვი არ გეტონათ, არა! ეს სინანულია: თავად წინ წარსული უდგათ, გუშინდელი ტკბილი წარსული თავის ჭირით და ღსინით, შრომით და ტკბილ ლუკმით; ქარის გრიალში თავიანთ საყვარლების, შინ დატოვებულების სმები ეყურებთ, მათი ღაზარაკი, ძახილი, აღერსი... ერთად ერთი, ზარ-დამცემი ფიქრილა უტრიალებთ თავში: ვათავდა, მე იმით კელარა ვნახამო!

აგერ დასრულა ერთი და შიგ ყურში ჩასჩურჩულეს თავისს ამსანაკს:

— ვაილაკ, არ გეუფრება? მტონი ამდამ მცტ განვისკენო წიად-თა შინა აბრამისათა... თუ მძა ხარ, ვაილაკ?..

— რათ? რათ?

— ამდამ მოკვადები მეთქი!..

— რას მიედ-მოკვადები!..

— გუბნები, ამდამ მომაკვადენ... ჭო და ე ჯვარბ... ნუ თუ ჩემი ჯვარბი მტრის ხელში უნდა ჩავარდეს?... ჯიბეში ვიდევ ქისა მჭკს...

ამ დროს შორი ახლო ეუმბარს გასკდა და ორი კაცი გადააქცია. გულსკლავი ყვარილით წაიქცნენ უბედურები და ასისთავის უფრო სასტიკად შემოსძახა:

— ჩუმიად მეთქი! ჩუმიად!

სმა უკანკალებს საწყალს, თითქო ეს არის კიდეც მოკვდა და სამარადიან-ლა ამოიძახისო:

— კაილაკ... ჩვენს სოფელში... საწყალი დედა-ჩემი... დედა-ჩემს ესლაც კერ გაუგია— რად წამოგვაყვანეს, რასთვის? ვისთვის რა მარტოელის ოცდა ხუთის წლის ბიჭების ხოცვაო?.. ჭო, შე-მომთვინე, რომ ჯვარსაც და ქისასაც... ცოტა რამ გორშები მაქვს ვაიბეში... საწყალ დედა-ჩემს მიუტან... ჭა, კაილაკ! შემომთვინე!...

— აი დასწყველს ჩემსა გამჩენმა! ბიჭო, სომ არ გაგიყვებულსარ?! რას როტამ?..

— კაილაკ! შემომთვინე, რომ დედა-ჩემს მაუტანს!..

— კარგი ჭო! ოღონდ გაათაკე და... მიუუტან! მაგრამ იქნება მე უფრო ადრე მათეშეინოს ფეხები ი ოსერმა ტყუიამა, ჭა?

— შენ მოგხვდება და მე დედა-შენსა ვნახამ... აგრე, არა?

— კარგი, კარგი! კეთილაც...

— გმადლობ!

ერთი ეუმბარს კიდეც გასკდა და მის ნატეხი შიგ გულში ერთ უბედურს. ერთი კი შეჭყვირა: კაილაკ! კაილაკ! და იქვე გადაკარდა საწყალი.

— ჩუმიად! ჩუმიად! შემოსძახა გაცოფებულმა ასის-თავმა:— გასწყორდით! მარცხნაკ... იარეთ!

ჯარი წაუკადა და ზანზანანი კი თავისს მომაკვდინებულ სიმღერას არ იშლიდა...

გათენდა. ბრძოლის კელს ცოტა სინათლემ დაჭკრა. შორადან მკადრების ასაკრებად მომაკვალი ჯარი გაძოწნდა. ბევრი იმსხვერპლს წუხსნდელმა დაბეკ. აკერ სულ აქ არა ურან სისხლას მორეკმა... დადრეკვილნი, დამახინკებულნი, ტალხით და სისხლით მოსურვილ-

ნი. აქვე ერთი სულ უმეწილი ბიჭი გდაი; მეორეს მის გული გადაუ-  
ლელია, სული ჩაუყვია და ქასას ეწეა. მეორე სული მკვდარისთვის  
ჯობეში ჩაუყვია...

— ამით შემოსედეთ, ბატონო, — მოასსენა ასის-თავს ერთმა  
ბიჭმა.

ასის-თავმა ზიზღათ გადასედა რა ცხედაც, მეტე უბედურ  
კაილაკის გკამს წისლი ჭკრა და ბრძანა:

— აგრე ეგდას ეტ ძალი ეკა! ამ ჰატოსან გაუყვრებთან ეტ  
ჭურდო როგორ უნდა დაკმაწხოთ?...

— დიად, ბატონო მსაჯულო!...

### III

#### ქმელო

როგორც კი სმა გკარდა, ბატონს შვილი ეყოლაო, თაყვანის  
სატილად ეასლენს ძლიურნი ამა ქვეყნისანი და მუსლი მოადრიკეს  
მის აკენის წისაჲ. მოქალაქენი, ყარის-კარნი, მთელი ქვეყანა მსო-  
ლოდ იმას-ღა ნატრობდა, რომ ასლად დაბადებულის ბარულს  
კეამოროთ როგორმეო.

დიდი გკარის შვილი იყო: მისი წინაპარნი, მეფას ნაბაჰკარნი  
მანსც იქნებოდნენ.

ბედანა იყო და ეკლა მის ჟინანობას ეიორწილებოდა; უმა-  
წილი-გაცად გასდა და ეოკელ წადილს და სერკაღს უსაულებდნენ;  
დაუყვანდა-და მისი ბრძანება კანონად გადაქცა.

ბატონი ბრძანებოდა.

დედის რძესთან ერთად მტარკალობა ეწოგნა და დარწმუნებუ-  
ლი იყო — მე სულ სხვაგვარი სისხლი მიდგას, კადრე მთელს ქვე-  
ყანასო. ეკონა, თვით ქვეყანა მსოლოდ იმასთვის არას გასენალი,  
რომ მე მასამოგნოს და ჩემი ბრძანება აასრულოსო; დარწმუნებუ-  
ლი იყო, ეკლას სიკვდილ-სიცოცხლე ჩემს ხელთ არისო.



ძლიერებით სახსე იყო, უთავდავი უძა ჰქვანდა და ერთი მისი ბრძანება საკმაო იყო, რომ მოეჯანსედა, თავის სადგომის წინ მისთვის ძეგლი აგეთ.

ქარის გრივადი, ჭექა-ქუხილი, თოვლი და წვიმა გერას ავლებდა მის ძეგლს და ამ ძლიერებით კვლარ გამამღარყო ქვეყნის ბატონი. სულ ძეგლის ძლიერების ფიქრში იყო და, რადგან, ბატონის წინ ყველა ქედს იდრეკდა, ბრძანება გასცა—ჩემს ძეგლს თავადმა და აზნაურმა, ერმა და ბერმა თავუგანი სცესო!

ეს დიდი ხნის ამბავია!

და დიდმა და პატარამ—ყველამ თავუგანი სცა ბატონის ძეგლს... უსულო ნაქანდაკეს, რომელსაც მომავალთათვის ძლიერის ბატონის ძლიერი სახე უნდა შეენას.

და გა იმას, ვინც ძეგლიან გაიგლიდა და თავუგანს კი არა სცემდა! ჯერ ჯარმის, შემდეგ სასჯელი და ბოლოს... ჭკუაზუდაც მოვიდოდა! თუ არა—და წამება!

ბატონობას დაჩუქულს პატრივის-ცემა თავის თავის გარდა სხვისი არაუვისი ჰქონდა. ქალი იყო, თუ კაცი, ვინც კი მისთან იყო, მისი საქონელი, მისი საკუთრება, ღვთისაგან მინიჭებული საკუთრება იყო და, რაც ნებაგდა, იმას უზამდა.

ჯარი მრავალი ჰქადა. ვინ აღუდგებოდა წინ მის ბრძანებას? იქვე გააკაუბდნენ და მზეს დაუბნელებდნენ.

საცა ღამისი ქალი იყო, იმისი უნდა უოფილიყო; საცა მამაცი ვაჟვანი იყო, მისთვის უნდა ემსახურნა.

სალხის წამებას, უმიზეზოდ ალკატას ისე შეეჩვია, რომ თავის სიამოვნებისათვის აღარაგის ინდობდა. წმინდა, სულ-შეუხებელი აღარა გაჩნდა-რა. იქამდის მიიყვანა ქედ-მოდრეკილი სალხი, რომ მან ამისთანა ცხოვრებას, ამოწვევით ირწია და ერთხმად შეკბლავდა: სიკვდილი მტარვალსო!

ის კი მთელი დღე თავის ოთახში დადიოდა ჩაფიქრებული, ბოლთასა სტეპდა ერთის წადილით გატაცებული: რა მოკიგონრომ, რატ კი შეიძლება, უსასტიკესად დაუსაჯო აჯანყებულებიო! იმ დროს მისი ჯარი სალხს დარეოდა და მთელ ქალაქში სისხლის ღვარი დაეუენებინა..

სადამოკსედ გამარჯვებულები სასახლეში ეასლენენ, მთლად სალხის სისხლით შესვრილნი. ერთი ათასად უძლიერესად და ყოკლის შემძლებლად იგრძნო ბატონმა თავის თავი.

მოედანს გადასკდა, დასტქერდა თავის ძეგლს, რომელიც მთავრის შუქსედ მართლს საშინლად გადიდებულიყო და ელვარებდა.

ნეტარებით აღეკსო გული, როცა ნახა, რომ ძეგლის ჩრდილი მთელს მოედანს ზედ გადაჭფარებოდა.

ცა გაწითლებულიყო, ქარი ჰჭროდა და ნელ-ნელა ისე გაძლიერდა, ისეთ გრიგალად გადაიჭტა, თითქო ცოდვილ ქვეწმის აღკვა სწადიანო. გლეკვდა იჭაურობას, კორიანტელს აღენდა: ასის წლის სეებს აკურესებდა და ვაი იმას, რომელსაც დრეკა ვერ მოკუნესებინა! ეშუჭრებოდა: ან მოადრიგე, ქედი მომისარე... ან არა და ძირიანად ამოვიღებ მიწიდანაო!

ბატონი კი სტკებოდა ამ სურათით და თავის ძეგლით. ქვეყანას რლაც განსაცდელი მოსდგომოდა და იმისი ძეგლი კი უძრავად, ამაყად ედგა, თითქო ბუნების სისუსტეს დასცინისო.

და თითონაც კელარ შემავარ სიცილი, ერთი ძლიერად გადინარჩნარა, ნიშნი მოუგო სუსტს ბუნებსა და საწოლ ოთახში შემომანდა.

საშინელი სიზმარი ნახა: მისგან დახოცილთა შვილები, მისგან ამოყლუტილთა ნათესავები შეკროვილაყუნენ, კბილების დრჭენით ეტანებოდნენ ბატონს და სისხლის ძეებსა უზარებდნენ.

აქმდას დაუმარცხებელი ჯარი ბატონისა დაემარცხებინათ... ერთგულ ამალას ელლატნა ბატონისთვის...

მისგან დახოცილთა დანი და დედანი წაეტანნენ... ჟრისხილებით

ნაგუწ-ნაგუწად გლეჯდნენ მის სათუთ ტანს... თითონ კი... ბატონი გაბოდა!..

მხდალი! დიანთ გაჭქტეოდა და გაბოდა!

უცბად გამოეღვიძა... აენკალებდა... ცივი ოფლი დაესხა... თანის სწოლში იყო, თავის დიდებულ სარეცელზე.

ქარი ჩავარდნილიყო.

— მამ რა! ვინ არის, ვინ, ჩემსედ ძლიერი? ვინ გაბედავს, ვინ იქნება თავსედ სულალებული, რომ ჩემს ყოყნად შემძლეულობას შეესოს!?

წამოდგა და ბნელში თავის ძეგლს შეახედა. კიდევ უნდოდა ძეგლის თვალ-გაუწვდენელი ჩრდილი დაენახა.

ღმერთო ძლიერო, ძეგლი არსად სჩანდა!

დამტრეკელი ძეგლი ტალახში ეგდო.

ტალახში!

თვალები სისხლით ავესო, შიშში ქათვი მოურია და დაჭრილი დათვივით დაიღრიალა:

— ოო!... ვეიცავ წმინდათა წმინდას!... უფრო ძლიერს ძეგლს ავიმართავ და მარმარილოზედ ჩემს სასეულს იმითის სისხლით დაკაწერ, ვინც ეგ ძირს დასცა! ჭკეი, ბიჭებო!

ჯარის კაცნი წინ გამოეჭიმნენ.

— თქვენ ეო! თქვე... ვინ იყო ის მხდალი, რომ მე გერ შემოძებდა და ჯაკრი ჩემ ძეგლზედ იუარა?

— მხდალი კი არა, ძლიერი განსლდათ, ბატონო.

— ძლიერიო! ძლიერი ჭკეყანაზედ მსოლოდ ერთია! გეგუწებთ, თქვე... ერთად ერთი... ძლიერი მე ვარ. მე, მარტო მე! და ის კი ვინც გაბედა და თავისი გასკრწელი სულა ჩემს ძეგლს შეასო... წამებულ იქმნას ახლავე, აქვე, ამ მოკდანზედ! მუცელი გაუფათრეთ, რომ ჩემი სულით ამოგვლიჯო ნაწლავები და ძალებს გადაუყარო!

— მითხარით ვინ იყო ის...

— თქვით რადა!..

ჯვარის-გატნი გაჩუქდნენ. შუიინდნენ, თრთოდნენ მძვანკარე ბატონის წინაშე. ბოლოს ერთმა მოსურცუბულმა შეჭბუდა და წინ წადგა.

— სთქვა რაღა, შე ქოთაგო! იქნება ჯერაც არ იცით, რომ ბატონი მე ვარ! არ იცით, განა?! მას მე გავწავლით! ძლეური არისო, იძასით? რაც უნდა ძლეური იყოს, რაც უნდა მძლავრი იყოს, მაინც მე უძლეურესი ვარ და იმასაც ვინაცვალე...  
 — მესი დაეცა, ბატონო.

## ს ა ს მ უ ლ მ

### ს ა მ უ რ ნ ე ლ თ ა ნ ს ა <sup>1)</sup>

#### II

ამ ორი-სამის წლის წინად ყოფილმა შიმშილობამ რუსეთში მეტად გააცხოველა მწერლობა და მთავრობაც საგონებელში ჩააგდო. ვიდრე საშინელი შიმშილი ეწვევოდა რუსეთს ყველა არხეინად იყო, აგრე რიგად არა ნაღვლობდნენ გლეხის დაქვეითებულ ეკონომიურ მდგომარეობის ფეხზე წამოყენებას. ცამ დაიქუხა და მხოლოდ პირჯვარი მაშინ გამოისახეს. კერძო კაცნი, მთავრობის მოხელენი და თვით მთავრობაც შეუღდნენ იმის განხილვას, გამორკვევას, თუ როგორ მოხდა, რომ ერთის წლის მოუხსავლობით ოც მილიონზე მეტი სული, ქალი და კაცი, კინალამ შიმშილით გაწყდაო. მიზეზი ასეთის უნუგეშო მდგომარეობისა ბევრისაგან ბევრი აღმოჩნდა. უმთავრესი კი ხალხის უმეცრებაა, გაუნათლებლობა და უსწავლელობა. მტკნარი უვიცობა იქაურის მდაბიო და უბირის ხალხისა ცხადათა სჩანს სასტატისტიკო ცნობათაგან: ას კაცზე ათმა ძლივს იცის, ისიც ვაი-ვაგლახით, წერა-კითხვა. უცოდინარობამ მალე მოიტანა მწარე ნაყოფი. ხორცელობის დროს, როდესაც მთავრობა მხედ ებრძოდა ამ საშინელს სენს, ბრბო და განუვითარებელი ხალხი ბევრგან გამწარებით დაერია ექიმებს: ზოგი დაარჩო და ზოგიც გადასწვა ხოლერიან ავადმყოფთათ-

<sup>1)</sup> ამ წერილში მოყვანილი ცნობანი, ოფიციალურად შემოწმებული, ჩვენ მიერვე იყო სხვა-და-სხვა დროს გამოქვეყნებული გაზეთ «ივერიაში», აქ მხოლოდ ეს გაბნეულნი ცნობანი ერთად არის თავ-მოყრილი, წესსა და რიგში მოყვანილი, საჭირო დამატებითაა შევსებული და ჯეროვანად შექ-მოფენილი.

ვის აგებულ სადგურებთან ერთად. უარესობაა ხოლმე საქონლის ჭირის დროს. მთავრობა სცდილობს შეიკავოს ერთ ალაგას გამძვინვარებული სენი და ამ აზრით ავადმყოფ საქონელს ჰხოცავს, ზარალს უზღავს საქონლის პატრონს, მაგრამ მაინც გაშმაგებული ადამიანი თავისას არ იშლის და კეტებით უხვდება ექიმ-ბეითალებს და პოლიციას.

ნაკლებ საზარალო და სავალალო არ არის რუსეთის მკვიდრისთვის მამულის სიმცირე და საკმარისი საძოვარ-სათიბის უქონელობა. ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს მიზომილი მამული მეტის-მეტად შემცირდა, რადგან ერის რაოდენობამ ერთი-ორად იმატა: ერთი კომლი ორად და სამად გადაიქცა და ამისათვის სახნავ-სათესი ისე შეუმცირდა მიწად-მომქმედს, რომ მეურნეობა შეუძლებელია, თუ სხვის მამული არ აიღო იჯარით; რაკი საიჯარადრო მამულის მსურველი ბევრი გამოჩნდა, იჯარის ფასმა აიწია, ასე რომ \*ბევრს ალაგას თითო დესეტინაზე<sup>2)</sup> ოც-ოცდა ხუთ მანეთს იღებენ იჯარად. ეს ისეთი დიდი ფასია, რომ მოიჯარადრე ხშირად, სარგებლობის მაგიერ, ჰზარალობს და მხოლოდ იმითი ჰწუგეშობს, რომ საქონლისათვის ბუჩო მაინც დამრჩება.

უფრო საგრძნობელია რუსის მეურნესათვის საძოვარ-სათიბის სიმცირე. თივაა ერთად-ერთი საკვები საქონლისა რუსეთში და საკმარისადაც უნდა მოსთიბო ბალახი, რადგან შვიდი-რვა თვე საქონელი, დიდის ზამთრის გამო, დაბმული უნდა გყავდეს ბოსელში. თუ სათიბი ადგილი მცირეა, რა თქმა უნდა, დიდ გაჭირვებაში ჩავარდება მკვიდრი საქონლის საკვების ნაკლებობის გამო.

სახნავ-სათესისა და სათიბის სიმცირემ დაჰბადა რუსეთში ერთი უცნაური და თითქმის გაუგებარი გარემოება. მოხდება ხოლმე, რომ უშველებელი სოფელი, ას-ორას კომლიანი, უცბად „გაიპარება“, მიმა-პაპეულს, ნაჭირნახულევსა და ბინას

<sup>2)</sup> დესეტინა 2400 ოთხ-კუთხი საყენია, უდრის ჩვენებურ ორს დღიურს. რადგან საქართველოს სხვა-და-სხვა ალაგას დღიური სხვა-და-სხვა ზომისა იყო, ამისათვის საგლეხო დებულებამ დღიურად 1200 ოთხ-კუთხი საყენი მიიღო.

თავს ანებებს და უგზო-უკვლოდ დაიწყებს ხეტიალს, ვიდრე არ დაბინავდება რუსეთის რომელსამე განაპირა ქვეყანაში. კომლელულად სიარული ახალ ადგილ-მამულის საძებნელად ხომ ისეთი ჩვეულებრივი ამბავია, რომ ეს გარემოება სრულებითაც აღარავის აკვირვებს. დღეს რუსეთიდან გადასახლებულს, ახალ-მოშენეს შეჭვდები ყარსის მხარეს, თურქესტანში, ჩინეთის სამძღვარზე, ამურისა და თვით მიყრუებულ, სიცოცხლე მიმქრალს ტაიგაში.

მესამე მიზეზი, რომელიც ძირს უთხრის რუსეთის მხენელ-მთესველის კეთილდღეობას—არის მტკნარი უფიცობა და გაუგებრობა იმისი, თუ როგორ მოუაროს მამულს. ამის გამო სახნავი მამული გაილახა, ძალ-ლონე გამოელთა, გამოფიტდა და გამოქარდა. უგუნურებამ ტყეები გაანადგურა და ამას აუარებელი უბედურება მოჰყვა თან. მოტვლებილ ხრიოკებს წვიმა და ავდარი თავისუფლად ჰრეცხდა, ნოყიერებას აცლიდა და უსარგებლოდ ჩაჰქონდა ხეებსა და ღრანტეებში. ტყის გაჩენას ზედ ერთოდა გვალვა, რომელიც იქვე, გაზაფხულის პირზე, სთუთქვდა მცენარეს. ტყე გაიკაფა, ველ-მინდორი, ნახნავ-ნათესი, მოკლებული ბუნებრივ საფარს, გახდა აღმოსავლეთის ცხელის ქარის სანავარდოდ. ვინ მოსთვლის, რამდენი დღიური შემუშავებული მამული გააოხრა ამ საშინელმა ქარმა, რამდენი ნოყიერი ნაჭერი მიწა აავსო ქვიშით და ღორღით და უდაბნოდ გადააქცია! ტყის განადგურებამ, რასაკვირველია, ჰაერიც შესცვალა. უდროოდროს კოკის-პირული წვიმა და გვალვა, სუსხიანი ზამთარი და უზომოდ ცხელი ზაფხული დიდ ზარალს აძლევდა ნახნავ-ნათესს. მხენელ-მთესველი კი, საშუალებას მოკლებული ბუნების სტიქიონთან საბრძოლველად, გულხელ-დაკრფილი შეჰყურებს ზეცას და იმედ-მიხილილი იქიდან მოელის ხსნას და შველას.

მიწათ-მომქმედის უნ-უგეშო მდგომარეობას ხელს უწყობს აგრეთვე უზომო სახელმწიფო გადასახადი. ხარჯის ამკრებთა ინსპექტორების მიერ შეგროვილ ცნობათაგან სჩანს, რომ გლეხი იხდის დესტეტინაზე სხვა-და-სხვა ხარჯს ათის მანეთიდან თორ-



მეტ მანეთამდე<sup>\*)</sup>. ცხადია, ამოდენა გადასახადს მკვიდრი ვერ აიტანს, რადგან შემოსავალი ნაკლებია ხარჯზე. ამისათვის საეკონომიო მდგომარეობა მკვიდრისა დღითი-დღე, წარმატების მაგიერ, უკან-უკან მიდის. შემოსავალი ხარჯს ვერა ჰფარავს, მოთხოვნილება კი მაინც დიდია და რაც ხანი გადის, უფრო მატულობს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგიერთს ალბათ სოფლის მკვიდრს იმოდენა შეუტანელი ხარჯი (ნედლიმკა) დაედო, რომ თავის დღეში მის გადახდას ვერ მოახერხებს, თუ ხარჯის მძლეველის ბედი და ყოფა ძირეულად არ შეიცვალა. ორიოდ მაგალითი საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ, რა საშინლად შეირყა და დაძაბუნდა ნივთიერი მდგომარეობა და მეურნეობა რუსეთის მკვიდრისა. რუსეთის თითო-ორიოლა გუბერნიას მეხუთედი გაწერილი ხარჯისაც ვერ შეაქვს წელიწადში; ყაზანის გუბერნიას ცამეტი მილიონი მანეთი აქვს გადაუხდელი და სამარისას ჩვიდმეტი.

რა თქმა უნდა, მიზეზი კიდევ ათასია, რომ ასე შეირყა საეკონომიო მდგომარეობა მიწათ-მომქმედისა, რომ ადამიანი ვეღარ უძლებდა ოჯახს, პირ-ნათლად ვერ ასრულებს სახელმწიფო მოთხოვნილებას, უზომოდ ვალიანდება და ქვეყნის უსარგებლო ტვირთი ხდება. მაგრამ თვალსაჩინო მიზეზი, რომელსაც საუკეთესო მცოდნენი რუსეთის ერის ცხოვრებისა აქცევენ ამ უამად დიდს ყურადღებას ისაა, რომ მოხარჯეს გაცილებით მეტს ვახდევინებთ, ვიდრე შეძლება აქვს. რასაკვირველია ძნელი და მოუხერხებელი საქმეა, გადაიხადო ათი თუმანი წელიწადში, თუ შემოსავალი რვა თუმანზე მეტი არა გაქვს; ან შეიძლება ათ თუმანზე ცოტა მეტი გქონდეს შემოსავალი, მაგრამ მონაგარს და ნაჭირნახულევს თუ სულ სახელმწიფოს მისცემ, შენ მშვიერ-მწყურვალე და შიშველ-ტიტველი დარჩები. ამ საგნის შესახებ რუსის ცნობილი პუბლიცისტი სლონიმსკი ამბობს: გლევს ვახდევინებდით ორჯელ მომეტებულს, ვიდრე მამული აძლევდა; ძალით ვაყიდვინებდით ჩალის ფასად მის ცოლ-

\*) იხ. წერილი პროფესორი ივანიუკოვისა. P. МАСЕЛ, 1893 წ., №11, გვ. 162.

შვილის გამოსაკვებად საჭირო პურსა; გულ-გრილად შევსცქეროდით, როცა გლეხი საქონელს ჰყილდა ხარჯის გასასტუმრებლად; არავითარი ღონე არ ვიღონეთ, დახმარება არ აღმოვუჩინეთ, როცა მიწის მუშაკს თითქმის არჩობდნენ სხვა-და-სხვა მოიჯარადრენი, სოფლის მოვანშენი და მეღუქნენი. ასი-ათასობით დავლუპეთ და დავაწიოკეთ გლეხის ოჯახობანი და მათგან აღებული ფული მოვანმარედ სხვა-და-სხვა რკინის გზისა და მრეწველობის მოქახრაკეთა გასამდიდრებლად. შაქრის მწარმოებელთ პრემია დავუნიშნეთ, ოღონდ შაქარი საზღვარ-გარეთ გაზიდეთო, განგებ ვაძვირებდით შინვე ჩვენთვის საჭირო საქონელსა და სხვ.

ოფიციალურ ცნობათაგანა სჩანსო, განაგრძობს ბატონი სლონიმსკი, რომ თოთხმეტი წლის განმავლობაში მთავრობამ მისცა სპირტის მწარმოებელთ პრემიად ორმოცი მილიონი მან., თითქმის იმდენი, რამდენიც თვით საქონელი ჰქონდა. ამ ორმოცი მილიონის საშოვნელად, შეიძლება, მილიონზე მეტის გლეხის ოჯახობა დავარბიეთ, საჯაროდ გავუყიდეთ სახლ-კარი, საქონელი და აუარებელი ხალხი დავტოვეთ უსაქონლოდ და უმამულოდ. მერე რისთვის? იმისთვის, რომ უცხოელებს იათად შეეძინად ჩვენში გამოხდილი სპირტიო \*).

ასეთს საქციელს თავისი მწარე შედეგი მალე მოჰყვა. რუსეთში გაბედნიერდა რამდენიმე ათასი მექარხნე და ვაჭარი, მიწის-მშრომელს კი თავისი დავმართა, გზა დაებნა, დაუძღურდა და ღამის სხვის სარჩენი გახდეს, იმის მაგიერ რომ მან არჩინოს ქვეყანა და სახელმწიფო. გლეხიაო, ამბობს ბ-ნი მიროპოლსკი (ქარხნების ინსპექტორი) ჩვენის საეკონომიო ყოფაცხოვრების საფუძველი, ქვა-კუთხედი. თუ გლეხი მდიდარია და ღონიერი ჩვენც ყველანი მდიდრები და ღონიერნი ვიქნებით, თუ ის გაღარიბდა, დაუძღურდა, ჩვენც ეგვევ დაგვემართებაო. ამისათვის ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ გლეხი ფეხზე

\*) იხ. წერილი ლ. ზ. სლონიმსკისა: Экономические реформы и законодательство. Вѣстн. Евр. 1893 წ. სექტემბრის ნომერი, გვ. 317—318, დასაწყისი ამ საყურადღებო წერილისა აგვისტოს ნომერშია დაბეჭდილი.

წამოვაცენროთ, შერყეული ოჯახობა გაუფიქროთ და მით ჩვენც გავეძლიერდეთო.

მიწათ-მომქმედის ასეთს გაჭირვებას, არ შეიძლებოდა, მთავრობის ყურამდე არ მიეღწია, რადგან მარტო შიმშილობის დროს ორას მილიონ მანეთზე მეტი დასჭირდა დამშვეულ ხალხის გამოსაკვებად. დახმარების დახანება ყოველად შეუძლებელი იყო და მართლაც მხნედ შეუდგა მთავრობა და ერობა საქმეს. განსაკუთრებული ზრუნვა მეურნეობის გასაუმჯობესებლად მიენდო დიდის ხნის განზრახულს და მხოლოდ ეხლა დაარსებულ სახელმწიფო ქონებათა და მიწად-მოქმედების სამინისტროს.

ახალ სამინისტროს ჯაფა და შრომა ბევრი მოელის. გაჩეხილ და განადგურებულ ტყეებს ხელ-ახლად უნდა გაშენება, საცა კი ცოტაოდნად მიინც გადარჩენილა ტყეები, უნდა მოვლა და პატრონობა <sup>5)</sup>. ნაკლები საზრუნავი არ არის კარგის ჯიშის საქონლის გაჩენა და გამოფიტულ, მოღალულ ნიადაგის გაპოხიერება და გაპატრება, აღდგენა დედამიწის შომცემი ძალ-ლონისა. ახალი სამინისტრო ამ თავითვე შეუდგა საქმეს, მეცადინეობს, რომ, რაც შეიძლება, მეტად გაავრცელოს მდამბიო ხალხში სამეურნეო სწავლა-ცოდნა. ამისათვის აარსებს როგორც დაბალს, ისე მაღალს სასწავლებლებს. სამეურნეო სამინისტროს განზრახული აქვს გაჰგზავნოს რამდენიმე ექსპედიცია და დაავალოს შესწავლა დაწვრილებით ნიადაგისა და ჰავისა ციმბირის რკინის გზის ორთავე მხარეს, მარჯვენე და მარცხენე, ორასის ვერსის მანძილზედ. ამ რკინის გზის აქეთ-იქით მთავრობასა ჰსურს დაასახლოს რუსეთის შიდა გუბერნიებში მოჭარბებული მკვიდრი, რომელიც გადარიბდა და დაუძლიურდა მამულის სიმკირის გამო. კარგა ხანს მთავრობა თითქმის სდევნიდა გადასახლების მსურველთ, ხელს არ უწყობდა, გზიდან შინ აბრუნებდა და სხვა ათასგვარ დაბრკოლებას უჩენდა. ახლა კი სულ სხვაა. მთავრობა არამც თუ ხელს არ უშლის

<sup>5)</sup> ამ მოკლე ხანში დაკანონდა, რომ ტყეების შეკვრისა და დაცვის კანონები მთელს იმპერიაში გავრცელდესო. დროც იყო, თორემ ლამის ჩენი ქვეყნის სიმდიდრე—ტყეები, უგუნურების წყალობით, ხელიდან გამოგვეცალოს.

გადასახლების მსურველთ, არამედ დახმარებასაც უჩენს და აღარ უფრთხის ისეთ ხარჯსაც კი, რომელსაც თხოულობს ციმბირის დიდის რკინის გზის გაყვანა. სულ ცოტა სამას-ოთხასი მილიონი მანეთი დაიხარჯება ამ უშველბელი რკინის გზის გაყვანაზე და მხოლოდ ათიოდე წლის შემდეგ დასრულდება.

დაცემულ მეურნეობის აღსადგენად ესევე სამინისტრო სხვა-და-სხვა ღონისძიებასა ჰხმარობს და, თუ საჭიროა, ხარჯსაც არ ერიდება. ამ უკანასკნელ დროს შეიცვალა საგნების სწავლების ხასიათი ახალ-ალექსანდრიის სააგრონომიო ინსტიტუტში, ხოლო ამ შემოდგომაზე ხელ-ახლად დაიწყება სწავლა პეტროვსკო-რაზუმიოვსკის სამეურნეო აკადემიაში, რომელიც აგრედევე გადაკეთდა სააგრონომიო ინსტიტუტად. ორთავე ინსტიტუტში სწავლას პრაქტიკული ხასიათი ექნება, რათა ამ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ, სამინისტროს აზრით, უკეთესად შეისწავლონ ჰავა, ბუნება რუსეთისა და ნიადაგის თვისება. ამ გვარად მომზადებული აგრონომები, რათქმაუნდა, დიდ სარგებლობას მოუტანენ დაქვეითებულ და განიორწყლებულ მეურნეობას \*).

სამეურნეო სამინისტრო აპირებს აგრეთვე მთელი რუსეთი მოჰფინოს პრაქტიკ-აგრონომებით, დაუახლოვოს ეს მკოდნიე კაცნი უცოდინარ სოფლის მეურნეს და დროზე შესაფერი დარიგება და რჩევა მისცეს იმისი, თუ როგორ გააუმჯობესოს

\*) სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა, მოწყვეტილი და მოშორებული პეტრობურგს, უყურადღებოდ და დატოვებული. ბესარაბიასა და ყირიმს აქვთ სკოლები, საცა ვენახის მოვლას და ღვინის დაყენებას ასწავლიან და კახეთი-კი,—ეს უტრძნის სამშობლო, მოკლებულია ასეთს სასწავლებელს!

ნეენს, ახალ-ალექსანდრიის და იაროსლავს, ამ რუსეთის მცირე ქალაქებს, დიდი ხანია აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, მხოლოდ ჩვენი ტფილისია მოკლებული ამ უმაღლეს ბედნიერებას. ისე კი არსად არის საჭირო უმაღლესი სასწავლებელი, როგორც აქ. აი რას ამბობს ამ საგნის შესახებ პროფ. ივანიუკოვი: „Богатая и неисследованная природа, богатое историческое прошлое края, представляющее обильный материал для научного изучения, но с примечное население, легко могущее усвоить европейскую культуру,—это такие элементы, которые способны дать полный развить всякой попытке научной деятельности на Кавказе“. იხ. Р. М. 1893 წ. სექტემბერი, გვ. 182.

თავისი მამული და მეურნეობა. ამ აგრონომებსვე დავალებული ექმნებათ განაგონ თავიანთ რაიონებში საქმე სამაგალითო და სანიმუშო მამულებისა, რათა ხალხმა თავის თვალთ დანახოს სიკეთე მეცნიერულად ადგილ-მამულის შემუშავებისა და სხვა. ამათვე ექმნებათ ჩაბარებული სამეურნეო სადგურები. მცირე ხარჯს არა სწევს ახალი სამინისტრო ველ-მინდვრების მოსარწყავად, საცა კი შესაძლებელია, ქაობების ამოსაშრობად და ღელე-ხევებში ტყის გასაჩენად. ამ მხრივ გენერალ ჟილინსკის შრომა-მეცადინეობამ ცოტა სამსახური არ გაუწია რუსეთის მეურნეობას.

ყველა ამ საკეთილო და სასარგებლო რეფორმებს მიწათ-მომქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო, რომელსაც ძალიან მცირე სახარჯო ფული მიეცა სახელმწიფო საბჭოს მიერ, ერთსა და ორს წელიწადს ვერ განახორციელებს, მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ უმაღლესმა მთავრობამ დაინახა აუცილებელი საჭიროება მათი და დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ მაინც, როცა გარემოება ხელს შეუწყობს და საშუალება მეტი ექნება, მომეტებული მხნეობით მოეკიდება საქმეს და შეიძლება, უპატრონობით და უყურადღებობით დაცემული მეურნეობა აღადგინოს და აღორძინოს.

რუსულს მწერლობაში ხშირად შეხვდებით საყვედურს და საჩივარს მთავრობის მიმართ, რომ მეურნეობის ინტერესი მსხვერპლად შესწირა ვაჭრობა-მრეწველობასაო. მოციქული მრეწველობისა, ქიმიის ცნობილი პროფესორი მენდელეევი, დიდს მჭერმეტყველებით ამტკიცებდა და დღესაც ამ აზრს ადგია, რომ დროა რუსეთმა ხელი აიღოს ისეთ წარმოებაზე, როგორც არის ხენა-თესვა, რადგან ხენა-თესვა სარგებლობის მაგიერ, ზარალს აძლევს მის მიმდევარსაო და ურჩევდა მთავრობასა და თავის თანამემამულეთ, ხელი მოჰკიდეთ უფრო მომეტებულ სარგებლისა და ხეირის მოძიებას ხელობასაო. ასეთ ხელობად მენდელეევს მიაჩნია მრეწველობა. მთავრობა თანაუგრძობდა პროფესორის აზრს, ხელს უმართავდა მრეწველობას, მრავალ შეღავათს აძლევდა, უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს დიდ

ბაჟს ადებდა და ბოლოს ხომ გერმანიას საბაჟო ომიც გამოუცხადა პროტექციონისტების სასიხარულოდ ?).

მენდლეევის მოწინააღმდეგენიც გულებელ-დაკრეფილნი არა სხედან. რუსეთის მეურნეობა იღუპება, ხალხი გადაშენდება, თუ დროზე უკუღმართ საფინანსო პოლიტიკას თავი არ დავანებეთო, ამბობდნენ და დღესაც ამას გაიძახიან ისინი. ნაკლების მკერმეტყველებით არც მეურნეობის მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი თავის დღეში სამრეწველო სახელმწიფოდ ვერ გადიქცევა, რომ თვით ბუნებას რუსეთისთვის განუწყესებია ხვანთესვა. და ამისათვის უმთავრესი ყურადღება მთავრობისადა და კერძო კაცთადა ამ უმთავრეს ხალხის კეთილდღეობის წყაროს უნდა ჰქონდეს მიქცეულიო. ამ ბრძოლაში, ჯერჯერობით, გამარჯვება დაჩაგრული მეურნეობის მოკეთეთ დარჩათ და ფინანსთა მინისტრი იძულებული შეიქნა ისეთი სავაჭრო ხელშეკრულობა დაედო გერმანიასთან, რომელიც შესამჩნევ შეღავათს აძლევს რუსეთის ადგილ-მამულის ნაწარმოებს და უადვილებს გერმანიაში დამზადებულ სამეურნეო იარაღის რუსეთში შექენას. ასე რომ როგორც ამ სავაჭრო ხელშეკრულობას, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან შეკრულ სავაჭრო ტრაქტატებს, ყველას საფუძვლად დაედო მფარველობა რუსეთის მეურნეობისა. 1891 წლის საშინელომა შიმშილომა ასე შესამჩნევად შესცვალა რუსეთის საფინანსო პოლიტიკა და სულ სხვა ნაირი ფერი მისცა საფინანსო სამინისტროს მოქმედებას. საფინანსო უწყების მოღვაწეობა ამ უკანასკნელ ორს წელს მეტად განცხოველდა და ყოველს მის განკარგულებას ცხადად ეტყობა,

?) ეხლანდელი ფინანსთა მინისტრი ვიტრეს წყალობით ეს ომი გათავდა. მექარხნეთა ძალა ასე თუ ისე აილაგმა და ცოტაოდენი შეღავათი მიეცა მეურნეობას.

პროტექციონისტების დედა-აზრი საფუძვლიანადა აქვს დასურათებული ლ. სლონისკის. იხილე მისი წერილები: ზემოდ-მოყვანილი საეკონომიო რეფორმები, ორი წერილი ეურნალ В.-Евр.-ში 1893 წლისა; Лже-Протекционизм и его результаты, ორი წერილი ეურნ. В.-Евр.-ში 1892 წ. მარტი და აპრილი. Нашъ торговый Балансъ, იმავე ეურნალში, 1892 წ. თებერვალი. Экономическая программа, მისი და Промышленные идеалы и дѣятельность, В.-Евр. 1891 г. №№ 11 и 12.

რომ ჯეროვანის სიფრთხილათ აქვს აწონილ-დაწონილი სოფლის მეურნეობის საჭიროებანი.

ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა საფინანსო უწყების სატარიფო კომიტეტი, როდესაც შეამცირა ფასი რკინის გზებზე მეურნეობის ნაწარმოებთა გადასატან-გადმოსატანისა: ხორბლეულისა და ყოველგვარის ნაჭირნახულევისა.<sup>8)</sup> წელს გამოვიდა ახალი კანონი, რომლის ძალით მამულის პატრონ გლეხებს მიეცათ ნება სანადელო ფულის ნარჩენი გადიხადონ წვრილ-წვრილად, ხოლო თუ ნარჩენი დიდია, მაშინ ისიც მიემატება ვალს და ამ სახით წლიური შესატანი კი არ იმატებს, არამედ ვადა ვალის მოწყვეტისა გახანგრძლივდება. შარშან ამისთანა მამულის პატრონ გლეხებს მთავრობა დაეხმარა ოცი მილიონი მანათით, როგორცა სჩანს ფინანსთა მინისტრის უქვეშევრდომილესი მოხსენებიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის ერთს უმთავრეს წყაროს შეადგენს მაგარ სასმელების ბაჟი. „ეკონომიურად დაქვეითებულ და უკან ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც ერის მომცემი ძალა სუსტობს და სახელმწიფოს მოთხოვნილებანი განუწყვეტლივ მატულობენო, ამბობს ბ-ნი ო, გადასახადის მომატება, განსაკუთრებით სასმელებზე, ხაზინის შესავსებლად, ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული.“<sup>9)</sup> სასმელების ბაჟი წელიწადში თითქმის 300 მილიონ მანათს იძლევა. ოცის წლის განმავლობაში მრავალჯერ იქმნა მომატებული აქციზი, ასე რომ სამი მანათიდან ეხლა თუმნამდე აიწია თითო სპირტ ვედრაზე, მაგრამ, როგორც ყველგან, აქაც მომატებას თავისი საზღვარი აქვს. გაღარიბებულმა ხალხმა ვედარ შესძლო ძვირის არაყის სმა და ნაკლებად დაიწყა მისი სყიდვა. 1892 წელს, როცა თითო ვედრაზე ბაჟი 10 მანათი იყო, იმდენივე შემოვიდა, რამდენიც 1883 წელს, როცა ვედ-

<sup>8)</sup> ამავე სატარიფო კომიტეტმა შესაჩვენად შეამცირა რკინის გზებით მიხვლა-მოსვლის ფასი, ახალი წესები დაკლებულის ფასით მიხვლა-მოსვლის მოქმედებას დაიწყებენ ამ წლის პირველ დეკემბრიდან.

<sup>9)</sup> იხ. წერილი ბ-ნი ო-სისა: Исполнение государственной росписи за 1892 годъ, Вѣстн. Евр. 1893 წ. № 12, გვ. 807—808.



რაზე მხოლოდ რვა მანათი იყო ბაჟი. ცხადია, რომ 1892 წელს ნაკლები სპირტი გაიყიდა, თორემ შემოსავალს უნდა ემატა. ამისათვის მომატება კიდევ ბაჟისა უსარგებლო იქნება, რადგანაც რამდენადაც ბაჟი მატულობს, იმდენად მცირდება რაოდენობა გაყიდულის სპირტისა.

ამ გარემოებამ საფინანსო უწყება ძალიან დააფიქრა. ალბად რაკი გლეხი ნაკლებადა სევამს არაყს, ფული არა აქვს, თორემ თავის საყვარელ სასმელს ავრე ადვილად არ აკვეთავდაო. თითქმის ჭეშმარიტებადაა აღიარებული, რომ ეკონომიურად ღონიერი ერი ლოთობას არ ეტანება. ესეც უნდა იყოს როცა კაცს შეძლება აქვს ყოველდღე იქონიოს სახლში სასმელი, უეჭველია, ლოთობას მოერიდება, ხოლო როცა დანატრულებულია საყვარელ სასმელს, მაშინ საცა კი შეხვდება, უზომოდ დაუწყებს სმას და თავს ჩაირჩობს შიგა.

რაკი საფინანსო უწყებამ დაინახა, შემოსავალი შემცირდა სასმელზედ დადებული ბაჟისაო და თან მიხვდა, რომ სამიკიტნოდუქნები და მიკიტნები ცუდად ჰმოქმედობენ ხალხზედ, ამის გამო ძალიან შეფიქრიანდა და განიზრახა, მე თვითონ მივყოფ ხელს სასმელების ყიდვას, რათა ამით ერთის მხრივ შემოსავალი გავადიდო, ხოლო მეორეს მხრივ მოვაცილო ხალხს თავიდან სამიკიტნოები და მათი დამლუპველი ზედმოქმედებაო. საცდელად ეს უწყება აპირობს ვაჭრობა დაიწყოს ოთხ აღმოსავლეთის გუბერნიაში (უფისა, ორენბურგისა, სამარისა და პერმისაში, 1895 წლის პირველ იანვრიდან) და თუ სახეირო და სასარგებლო აღმოჩნდება ასეთი ცდა, შემდეგ მთელს რუსეთში შემოიღებს ამ საქმეს—სასმელების ყიდვის მონოპოლიას. ფინანსთა სამინისტროს ბლომადა აქვს შეკრებილი მასალა იმისი, თუ რა ნაირად ჰლუპავს ხალხის ქონებას დუქანი (კაბაკი), რა დიდი გავლენა მოიპოვეს სოფლად მდუქნეებმა (კაბატჩიკებმა) და მასთან რა ცუდს არაყსა ჰყიდიათ. სამინისტროს აზრით, რაკი სასმელების ვაჭრობის მონოპოლია მის ხელში იქნება, რა თქმა უნდა, კარგის ღირსების არაყს გაჰყიდის, არ მოსწამლავს და არ მოშხამავს ხალხს, მთავრობის

მოხელენი სხვადა-სხვა ხრიკებით არ შეიტყუილებენ დუქანში გლესს, როგორც იქცევიან კაბატჩიკები, ერთის სიტყვით არ ეცდებიან ძალად ასვან და ალოთონ ხალხი არაყით.

გამართლდება თუ არა ფინანსთა სამინისტროს იმედი, ჩვენ ამის გამოცნობას არ გამოვეყიდებით და არც საჭიროა. საყურადღებო აქ მხოლოდ ისაა, რომ განზრახულ მონაპოვლითადაც ერის ნივთიერი კეთილ-დღეობა აქვს ფიქრად. მისი შემოღება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რუსეთის მკვიდრი ეკონომიურად დაიჩაგრა, ხარჯის გაღების ძალა აღარა აქვს და სახელმწიფოს პირნათლად ვეღარ გასძლოლია.

არც შინაგან საქმეთა სამინისტრო სცდილობს ნაკლებად, რომ ხარჯის გაღები გლეს-კიცობა ნივთიერად მოლონიერდეს. ამ უკანასკნელ დროს ამ სამინისტრომ მრავალი საყურადღებო ღონისძიება იღონა, რომელსაც, უეჭველია მნიშვნელობა ექნება ცხოვრებისათვის და თვალსაჩინო სარგებლობას მოიტანს. დიდი ხანი არ არის, რაც შინაგან სამინისტროს მეცადინეობით დაწესდა დაზღვევა ურთიერთის დახმარებით სოფლის შენობათა და შესამწინევი სარგებლობაც მოაქვს ამ საქმეს. ყველამ ვიცით, რა საშინელს ზარალს აძლევს ცეცხლი რუსეთს, სადაც შენობანი უფრო ხისაა და მომეტებულ ნაწილად სოფელი გაშენებულია ერთის ან ორის ქუჩის აყოლებ-ჩაყოლებული, ასე რომ, თუ ცეცხლი წაეკიდა რომელსამე სახლს, მთელი სოფელი გადიბუგება ხოლმე. სულ ცოტა რომ ვთქვათ, მთელს რუსეთს წელიწადში ოცო მილიონის ზარალი მოსდის ცეცხლისაგან. დაზღვევის საქმე ამ მხრივ ასეა მოწყობილი: ყოველი მკვიდრი იხდის წელიწადში გადაჭრილ ფასს და დამზღვევი საზოგადოება მოვალეა უზლოს დაზარალებულს თავისი ზარალი. მართალია მკვიდრს ხარჯი ემატება, მაგრამ სამაგიეროდ უზარუნველ ყოფილია ისეთის საშინელის სტიქიონისაგან, როგორიც არის ცეცხლი. ასეთისავე წესითა და რიგითა ჰფიქრობს მოაწყოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაზღვევა მოსავლისა <sup>10)</sup>. მცირე ხარჯს არც გრასის წესდება გამოიწვევს და

<sup>10)</sup> პირნახელის დაზღვევის საუკეთესო წესდება შეიმუშავა ბ.ნ.მ. გრასმა. ეს წესდება სამინისტროში წარდგენილი განსაზღვრულად.

ძნელად თუ აიტანს ამ ახალ-ხარჯს გლეხის უღონო ოჯახი, მაგრამ საფიქრებელია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო რაიმე ღონისძიებას გამოსცემნის პრემიის შესამცირებლად და მაშინ შეიძლება საეალღებულო დაზღვევა ნათესისა მალე განხორციელდეს. ჭირნახულის და ნათესის უზრუნველობა დაზღვევის შემწეობით დიდად შეამცირებს მოუსაველობის უბედურებას და შეიძლება თითქმის კიდევ გააქარწყლოს შიმშილობის სიმწვავე.

ბატონ-ყმობის გადავარდნის დროსვე მთავრობამ იზრუნა, რომ განთავისუფლებული გლეხი, „ახალი მოქალაქე“, როგორც მაშინ ეძახდნენ ნაყმევ კაცსა, მამულის პატრონი გამხდარიყო. მთავრობის აზრით, ყოველი ადამიანი სულითა და გულთა მაშინ იმუშავებს, ოფლს მაშინ ჩაღვრის მამულში, როცა დარწმუნებულია, რომ მისი ნაამგადარი ხელიდან არ გამოეცლება და რამდენისამე ხნის შემდეგ სხვას არ ჩაუვარდება! ამისათვის მთავრობამ მისცა ღონისძიება განთავისუფლებულ გლეხს, დაეხსნა მიზომილი ნადელი და სრული და დამოუკიდებელი ბატონი გამხდარიყო თავის მამულისა<sup>11)</sup>. კეთილი განზრახვა მთავრობისა სამწუხაროდ არ გამართლდა. რუსის მიწათ-მომკმედმა მთავრობის დახმარებით შექმნილი მამული დიდხანს ვერ შეინარჩუნა და მომეტებული ნაწილი საკუთარის მამულისა მედუქნეს და სოფლის წურბელას ჩაუგდო ხელში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დროზედ მიაქცია ყურადღება ამ უცნაურ ამბავს და შეიმუშავა წესდება, რომლის ძალითაც დახსნილ მამულს ვერავინ ვერ იყიდის და უნდა დარჩეს სამუდამოდ მხენელ-მთესველის ხელში, რათა ბოგანო და უმამულო ხალხი მძიმე ტვირთად არ დააწვეს სახელმწიფოს. სამინისტროს მიერ შემუშავებული წესები ამ საგნის შესახებ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა და ეხლა მოქმედებს, როგორც კანონი.

<sup>11)</sup> იხ. ესრედ წოდებული Положеніе о Выкупѣ. ჩვენში მოქმედებს ამ დებულებების მიხედვით შემდგარი Наказъ по выкупной операциі въ Тифлисской и Кутаисской Губерніяхъ. ნაკაზი ქართულადაცაა ნათარგმნი, მაგრამ ძნელი გასაგებია. ეხლა ამ თარგმანის შიგნით თითქმის შეუძლებელია.

საშინაო მრეწველობის გასაძლიერებლად შინაგან საქმეთა სამინისტრო აარსებს მუზეუმებს, ბანკებს, საიდანაც შინაღმრეწველი (კუსტარი) ხელს გაიმართავს და მოვახშის ყურმოჭრილი ყმა არ გახდება; სცდილობს აგრედვე სამინისტრო ბაზარი მოუპოვოს შინაღმრეწველის ნაწარმოებს როგორც თვით რუსეთში, აგრედვე სამზღვარ გარედ. ამავე სამინისტრომ გადასწყვიტა დააარსოს წელს სოფლად 125 გამსესხებელი კასა, საიდანაც სოფლელი იაფად, მცირე სარგებლით ფულს ისესხებს. შემნახველი კასები ხომ კაი ხანია არსებობს ქალაქებსა და სოფლებში. სამინისტრომ გააადვილა აგრედვე პასპორტების მიღება. პასპორტის აღება აქამდისინ ძნელიც იყო და ძვირიც. პასპორტის სიძვირე და მისი ძნელად მიღება საშინლად უცარავდა ხელსა იმ მუშა კაცს, რომელიც იძულებული იყო სხვაგან გადახვეწილიყო ლუკმა პურის საშოვნელად.

მაგრამ უმთავრესი ყურადღება შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ხალხისთვის საზრდო ჰქონდეს შიმშილობის დროს. ორასი წელიწადია ამ საქმისთვის ჰზრუნავს მთავრობა და ჯერაც რიგიანი ვერა მოუგვარებია. პური სწორედ მაშინ არ აღმოჩნდებოდა ხოლმე მაღაზიებში, როცა საქირო იყო. მთავრობა იძულებული ხდებოდა შიმშილობის დროს ფული გამოეღო, პური ეყიდა და სესხად დაერიგებინა გაჭირვებულებისათვის. შემდეგ კი გასესხებულის პურის მოკრეფა ერთ ვაი-ვაგლახად და უბედურებად ხდებოდა გლეხისათვის და უფრო ბევრს ზარალს აძლევდა, ვიდრე თვით შიმშილობა. მაღაზიებიდან გაცემული პურის ნედლიმიკა ამ ჟამად ისე დიდია, რომ მისი გადახდევინება ყოვლად შეუძლებელია.

აზრი შინაგან საქმეთა სამინისტროსი ამ საგნის შესახებ დღეს ისაა, რომ, რაკი ძველი წესი, რომელსაც საფუძვლად დავდებო თვითოეულ კაცის უნარი, ესე იგი პურის მაღაზია გაჭირვებაში იმდენად დაგეხმარება, რამდენიც შენ თვითონ შეიტანე თავის გამოსაკვებად უვარგისი აღმოჩნდა, მოიფიქრეს

მეორე წესი, რომელსაც საფუძვლად დაედება შეერთებული ძალა. სამინისტროს იმედი აქვს, რომ ეს მეორე წესი უფრო საშველდრო და სასარგებლო იქნება. ამის უტყუარ მაგალითს თვით ცხოვრება იძლევა: ეს არის ცეცხლისაგან დაზღვევის წესი, რომელმაც ისე მოიკიდა ფეხი, რომ ცეცხლი სრულიადაც საშიშო არ არის იმათთვის, ვინც მონაწილეა ამ საქმისა. რაც უნდა დიდი ზარალი მოგივიდეთ ცეცხლისაგან, საზოგადოება გიზღავთ. ღირსება ამ წესისა, სხვათა შორის ისაა, რომ, რაც უფრო ვრცელი და ფართოა მის მოქმედების, რაიონი, რაც უფრო მრავალია მის მონაწილეთა რიცხვი, იმდენად მცირე წვლილი უნდა შეიტანოს თვათოვეულმა წევრმა საქმისათვის და ზარალს კი ამოიგებს თითქმის მუქაოდ და არა სესხის დაბრუნებით.

ერის საზრდოთი უზრუნველყოფის წესდებას სწორედ დაზღვევის პრინციპი უნდა დაუდონ საფუძვლად. კერძო კაცის ცხოვრებაში მოუსავლობას და სახლ-კარის გადაბუჯვას ერთი და იგივე პრაქტიკული შედეგი აქვს, დალუბვა ოჯახისა. მასასადამე მოუსავლობის დროს დამშეული ოჯახის პატრონს პური უსასყიდლოდ მიეცემა და მის საფასურს შემდეგ აღარ გადიხდის.

ასეთის დანიშნულების მიხედვით, ფონდაც ღონიერი და ძლიერი უნდა შესდგეს, რათა მისი დაშრეტის შიში არ იყოს. მონაწილეობა უნდა მიიღოს მის შედგენა—შევსებაში მთელმა იმპერიამ, დიდმა და პატარამ, კეთილ-შობილმა და უბირმა. ერის გამოკვება უპირველესი საქმეა სახელმწიფოსი და მასასადამე, ამ აზრის განსახორციელებლად თვით სახელმწიფომ უნდა შესწიროს უდიდესი მსხვერპლი, დაიკლოს რამდენიმე ასის თავი ყოველისავე თვისის შემოსავლისა და დააარსოს სპეციალური ფონდი. შემოსავალი აქვთ აგრედვე ერობათა და ქალაქებსა. რასაკვირველია მათის შემოსავლიდანაც უნდა გადიდვას რამდენიმე ასის თავი (პროცენტი). საზრდოთი უზრუნველყოფის თანხის შესადგენად. ასეთია აზრი ბ-ნ ფონ-პლევეს თავმჯდომარეობით ნამყოფის კომისიისა.

ზემოდ ჩამოთვლილ სამინისტროებს გარდა, ერის კეთილდღეობის განსაკარგებლად ჰზრუნავს სამხედრო და გზათა სამინისტროც. უკანასკნელი პირდაპირ მწარმოებელისაგან სყიდულობს ჯარისათვის პურსა და ალაფებს—ფოდრაჩიკებს აღარ აძარცვენებს ხალხსა. გზათა სამინისტროს დღესაც არ დაუსრულებია ტარიფის შემცირება. ტარიფის შემცირებაში რარი სამინისტრო იღებს მონაწილეობას; საფინანსო და გზათა სამინისტრო.

თითქმის სავსებით და სრულიად ჩამოვთვალეთ მთავრობის ყოველი განკარგულება, რომელსაც აზრად აქვს ერის ეკონომიურად გამობრუნება, მისი ოჯახობის ფეხზე დაყენება და გაძლიერება. აღენიშნეთ აგრეთვე მთავრობის მეცადინეობა მხენელ-მთესველის საკეთილდღეოდ და არ დაგვიწყება ის რეფორმებიც, რომლის განხორციელებაც მთავრობას განუზრახავს და ღღეს თუ ხვალ, კიდევ სისრულეში მოაყვანს თვის სურვილს. მართალია, მეცადინეობა და ზრუნვა მთავრობისა დიდი და განუსაზღვრელია, შეუძლებელია ეს ადამიანმა არ დაინახოს, მაგრამ როგორც უკვე მოვიხსენეთ ამ წერილის თავში, ხარჯის გამღების ბედი და ნივთიერი მდგომარეობა მაინც ამით არ გაუმჯობესებულა და წარმატებას ვერასფერში ვერა ვხედავთ. პირ იქიო, მეურნის ყოფა ცხოვრება დღითიდღე უკან-უკან მიდის და მუშაკი სასოწარკვეთილებას ეძლევა. ერთის წლის მოუსავლობა ქიანახულისა ისე აუძლეურებს და ასუსტებს ნივთიერად რუსეთის მეურნეს, რომ მისი ფეხზე წამოყენება მეტის-მეტად საძნელოა. მაგალითები იყო, რომ თითო-ორილა ალაგას მკვიდრი საქონლის მაგიერ თვითონ ებმოდა გუთანში და ისე ჰხნავდა. აბა ასეთ გათახსირებულ მეურნეს რაღა უშველის, რა შეაძლებინებს, ხელ-ახლა მოიკრიბოს ძალ-ღონე და გახდეს სასარგებლო წევრი სახელმწიფოსი?

მიზეზი ამ სამწუხარო და უნუგემო მდგომარეობისა, ჩვენის აზრით ისაა, რომ სახელმწიფოს მოთხოვნილება უზომოდ იზრდება, მატულობს. მიუხედავად იმისა, აიტანს თუ არა ერის ქონება ახალ-ახალ ხარჯს, სახელმწიფო იძულებული ხდება

ბა თავის საქიროების დასაკმაყოფილებლად მიჰმართოს ერთს წყაროს ხარჯის გამღების შეთხელებულ ჯიბეს. ღონიერ ევროპის ხალხის დამღუბველი მილიტარიზმი რუსეთსაცა სცემს თავის ნაწყვეტებს და აქაც, ძალა-უნებურად, ღირსებისა და პატივის დასაცველად, იძულებულნი არიან აუარებელი ჯარი იყოლიონ. წლებანდელი ხარჯთ-აღრიცხვიდან სჩანს, რომ შემოსავალი ათას მილიონ მანეთზე მეტია და თითქმის ნახევარი ამოდენა ფულისა სამხედრო საქიროებას უნდება. მილიტარიზმის წყალობით ხუთას-ექვსასი მილიონი უსარგებლოდ იღუპება და რაღა გასაკვირველია, რომ სასარგებლო საქმისთვის, რომელიც ერთი-ორად, სამად და ათად, დააბრუნებს დანახარჯს, ფული არ მოიძებნება და ქვეყანა რჩება ღვთის ანაბარად. უფულობაა მიზეზი, რომ მიწათ-მომქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მხოლოდ 180,000 მ. მიეცა იმ დიდი და საშვილიშვილო საქმის შესასრულებლად, რომელიც კისრად აღდევს ამ ნორჩ დაწესებულებას<sup>12)</sup>. რასაკვირველი იქნება, რომ ასეთის მკირე ღონისძიებით მიწათ-მომქმედების სამინისტრო ვერ გაუძღვეს პირნათლად მეურნეობის განკარგების საქმეს და სიკოცხლით საფე მოქმედების მაგიერ, ქალაქების წერას შეალოოს თავისი მხნეობა და ძალ-ღონე.

## II

ჩვენ მიერ გაკვირით დახატული სურათი რუსეთის მკვიდრის ეკონომიურ მდგომარეობისა სწორედ რომ სამწუხარო და უნუგეშო გამოვიდა. საუკეთესო მამულის შვილნი არა ჰმაღლენ ამს და ხელს არ აფარებენ ამ საქირ-ბოროტო საგნებს. დაღუბვა და განადგურება მოგველის, დედამიწის პირიდან ავიხოცებითო, ჰღალადებენ გულ-მტკივნეულობით პატრიოტნი, — თუ ამ საშინელ გაკირვებას მალე წამალი არ მოგუძებნეთ და ერის უკულმა დატრიალებულ ცხოვრებას წალმა არ ვუბრუნეთ

<sup>12)</sup> იხ. P. M. № 5, 1894 წ. გვ. 165.



პირიო. ძალა გამოღეული მკვიდრი რეტიანსავით დაწიალებს ვრცელს რუსეთის იმპერიაში და ამაოდ ეძებს ადგილს და ცხოვრების ისეთს ვითარებას, საცა ადვილად შეეძლოს სული მოთქვას და ფეხზე დადგეს.

მრავალია სხვა-და-სხვა დაწესებულება და კერძო საზოგადოება რუსეთში, რომელთაც საგნადა აქვთ დაეხმარონ გაჭირვებულ მკვიდრს და ტვირთი შეუმსუბუქონ მიწად-მომქმედს. მარტო ერობას იმოდენა ღვაწლი მიუძღვის რუსეთის მხენელ-მთესველის წინაშე, რომ მისი აღნუსხვა და გათვალისწინება მცირე წერილში ძალიან ძნელი და მოუხერხებელი საქმეა. არც გამოვეციდებით ჩვენ ამას, ვიტყვით მხოლოდ რომ ერობის უქონლობა დიდ ზარალს აძლევს საქართველოს ერის საზოგადო ცხოვრებას. ერობა რომ ყოფილიყო შემოღებული ჩვენში თავის დროზე, ეგებ ეკონომიური ყოფა ჩვენის სოფლისა ისე არ დაქვეითებულიყო, როგორც ამ ჟამადაა და ამ სასარგებლო დაწესებულებას უფრო მეტი ნაყოფი გამოეღო, ვიდრე რუსეთში. თითქმის დარწმუნებულიცა ვართ, რომ ეს ასრე იქნებოდა, რადგან ჩვენის ქვეყნის ჰავა და ნიადაგი, ხასიათი, ზნე და ჩვეულება აქაურის მკვიდრისა სხვაა, ვიდრე რუსეთში, ხოლო ამისთანა განსხვავებულს ყოფა-ცხოვრებას უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევდა ისეთი დაწესებულება, რომლის უმთავრესი საგანია იზრუნოს მკვიდრის კეთილ-დღეობისათვის.

ერობის მუდმივ მზრუნველობას მოკლებული და მხოლოდ აღმინისტრაციის ანაბარად დატოვებული ჩვენებურ მკვიდრის ეკონომიური ყოფა და მეურნეობა დღით-დღე უკან-უკან მიდის და, თუ ამ ხანად იმ უკიდურესობამდის არ მისულა, სადამდისაც მიაღწია რუსეთის მხენელ-მთესველმა, შეიძლება მალე მიაღწიოს, რადგან ცხოვრების გზას სწორედ იქითკენაა აქვს პირი მიმართული. დედა-აზრი საგლეხო რეფორმისა, ანუ ბატონ-ყმობის გადავარდნისა ის იყო, რომ მიწად-მომქმედ გლეხს საკმარისი მამული მისცემოდა, გამხდარიყო მამულის პატრონი, დაესაკუთრებინა მიზომილი მამული და თავის-თავის

ბატონი და გამგებელი თვითონვე ყოფილიყო, რომ მასთან ხელი არა ჰქონოდა არც ნაბატონარს და არც მთავრობისაგან განწესებულ მოხელეს. ოცდაათი წელიწადი გავიდა რეფორმის შემდეგ და რასა ვხედავთ? ისედაც მცირე მამული გლეხისა ერთი-ორად და სამად შემცირდა; მამული შეიძინა საკუთრებად ტფილისის გუბერნიაში მხოლოდ ერთმა მეთავედმადროებით-ვალდებულ გლეხობისამ, მაგრამ ისინიც, ვინც მამულის პატრონი შეიქნა, სინანულში არიან, რადგან მამულის დასახსნელად აღებული ვალის სარგებელი ისე დიდია და ისენაკლებად შეესაბამება მამულის შემოსავალს, რომ ლამის ნასყიდობა ხელიდან გამოეცალოს<sup>13)</sup>. ვერც თავის-თავის რიგიანი მომვლელი გახდა ჩვენებური მხვენლ-მთესველი, რადგან სოფლელი მოკლებული შესაფერ სწავლა-განათლებას, აგრე ადვოლად ვერ გაუძღვება ცხოვრების მიმე ტვირთს.

ერთი და იგივე მიზეზი, რა თქმა უნდა, დაჰბადებს ერთგვარს შედეგსა. ცხოვრების მიმდინარეობა რუსეთში ისეთი იყო, გარდასახად ისე უზომოდ ემატებოდა, და დღესაც ძალაუნებურად უმატებენ, რომ შეუძლებელი იყო, კეთილ-დღეობა მკვიდრისა არ შერყეულიყო. ესევე მიზეზები ჩვენშიც მოქმედობს და აქვეითებს გლეხ-კაცობას ნივთიერად, თუმცა ჩვენის ქვეყნის ბუნება ისეთია, რომ მცირეოდენის ხელის შეწყობით, მკვიდრს შეიძლებოდა გაუჭირვებლად ეცხოვრა.

<sup>13)</sup> იხ. Сводъ статистическихъ данныхъ о землевладѣніи въ Тиф. и Кут. губерніяхъ, Тифлисъ, 1893 г. გვ. 8 და 14. ამ წიგნში მოყვანილია როგორც რაოდენობა ნადელისა, აგრევე დახსნილი მამულისა და მკვიდრთა რიცხვი. ამ ეამად 120,000 მანეთზე მეტი ნედლიმკა აწერია ტფილისის გუბერნიის იმ გლეხობას, რომელმაც მამული შეიძინა მთავრობის დახმარებით.

ამ მხრივ სხვა სურათს წარმოადგენს იმერეთი. აქ ერთი გროშიც არ ჟსენხით მთავრობისაგან მამულის დასახსნელად და ნადელები შეისყიდეს თავის ღონისძიებით. თითქმის ექვსი მილიონი მანეთი მისცა გლეხობამ თავის ნაბატონრებს მამულის დასახსნელად. მაგრამ ეს სასიამოვნო გარემოება სრულიადაც არ არღვევს ამ წერილის დედა-აზრს, რომ ჩვენშიც, როგორც რუსეთში, გლეხობა ეკონომიურად დეცა. იმერეთში ნადელის დახსნას ხელი შეუწყო გარეშე გარემოებამ. როგორც მაგ. სხვა-და-სხვა სამუშაომ ოჯახს გარეშე, თორემ იქაური მკვიდრის ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ისეთსავე გაჭირვებაშია, როგორც ქართლ-კახეთში.

ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ სახელმწიფო ტვირთის ზიდვა, პირნათლად გამოსვლა გლეხობისა აქ, საქართველოში, უფრო ძნელია, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში. ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ჩვენებურ ხარჯის გამღებს განძრახ მეტს ახდევინებდნენ; სრულიადაც არა. ბუნება და ვითარება ჩვენის ქვეყნისა ისეთია, რომ ხარჯი და ბორჯი მეტია, ვიდრე სხვაგან. ჩვენს ქვეყანაში ბევრი იმისთანა გადასახადია, რომლის სახსენებელიც არ არის რუსეთში. ავიღოთ, მაგალითად, ესრედ წოდებული სათემო დარაჯთა შესანახი ფული. მარტო ქუთაისის გუბერნია წელიწადში ასი ათასს მანეთს იხდის სათემო დარაჯთა შესანახად. საქართველო მთა-გორიანი ქვეყანაა, მთის მდინარენი ჩქარი არიან და არა მდორე, როგორც რუსეთში, ამისათვის გზების გაყვანა იქ გაცილებით მეტს ხარჯსა და შრომას თხოულობს აქაურ მკვიდრისაგან. გზის ბეგარა მძიმე ტვირთი ჩვენის გლეხ-კაცისათვის, როგორც კალიის გაწყვეტა ცოცხებით და ბარ-ნიჩბებით, როდესაც კი გვეწვევა ხოლმე ეს საშინელი მწერი, იშვიათი სტუმარი შიდა გუბერნიებისა. ნაკლებად არ აფერხებს აქაურ მკვიდრის ეკონომიურ ცხოვრებას ჯარების გადაყვან-გადმოყვანის ბეგარაც. ასეთი ბეგარა სხვაგანაც არის, მაგრამ აგრე სამძიმო არ არის, როგორც ჩვენში, რადგან საქართველო განაპირა ქვეყანაა, სადაც მრავალი ჯარია დაბანაკებული და ამისათვის დიდი მოძრაობაც არის ჯარებისა სავარჯიშოდ, ზაფხულობით, სწორედ იმ დროს, როცა სისხლის პურის ქამის დროა და როცა ერთი დღე ზამთრის ერთ თვეს უდრის.

მცირე ზარალს არ აძლევს აქაურ მკვიდრსა სახელმწიფო ენის უცოდინრობაც. ურუსულოდ სად წახვალ, ვის მიჰმართავ? ენის უცოდინრობაა მიზეზი, რომ ჩვენებურ გლეხ-კაცს უძნელდება ხშირად სამართლის კარის პოვნა და, უბრალო საქმის ვითარების შეტყობა რომ უნდოდეს, ათ შაურობით და მანეთობით უნდა გასწიოს ხარჯი. ამას გარდა ისიც ბევრჯელ მომხდარა, რომ ხარჯი გაუწევია, არზაში კი უვიცს, ქუჩაში მა-

წანწალა აბლაკატს საჩივარი სწორედ არ ჩაუწერია და ამგვარად საქმე უკუღმართად წასულა.

მართალია ჩვენი ქვეყანა უხვი და მდიდარია, ჰავა სასიამოვნო და ზომიერი აქვს, მაგრამ მაინც ნივთიერი მდგომარეობა მკვიდრისა სანატრელი არ არის. როგორც ჰხედავს მკითხველი. მკვიდრს, ფოსტის ფულისა და საერო გადასახადის გარდა, ათასგვარი სხვა ხარჯი და ბორჯი აწევს კისრად და მისსილიდესა და სიმრავლეს ვეღარ იტანს. მეურნეობა უბედურდება, ოჯახი სუსტდება და ირღვევა. შემოსავალი მცირდება და გასაფალს კი არაფერი აკლდება, უფრო მატულობს. მაშ როგორ უნდა უშველოს მიწად-მომქმედმა საქმეს, როგორ წამოაყენოს ფეხზე წაქცეული ოჯახი, რომ სხვასაც პასუხი გასცეს და თვითონაც წელში გასწორდეს? რაიმე საშუალებისა და საღსარის გამოძებნა აუცილებლად საჭიროა, თუ გვინდა რომ უარესი არ დაგვემართოს.

რამ უნდა გვიშველოს, რა უნდა დაედოს წამლად ჩვენს გაჭირვებულ და უნუგემო მდგომარეობას? აი საჭირ-ბოროტო საგანი, რომლის გამორკვევასა და შეგნებას ყურს ვერ მოუყრუებს ჩვენის ცხოვრების გულ-შემატკივარი. სწორედ ეს საშვილი-შვილო და დიდი საგანი ამ სატკივრისათვის წამლის გამოძებნისა აქვს აზრად ბ-ნ ტფალოსის გუბერნატორის თ. გ. დ. შარვაშიძის მიერ დაწყებულს საქმეს სასოფლო-სამეურნეო თანხის დასაარსებლად. მათის მეცადინეობით სამეურნეო თანხა უკვე არსდება, თვალ-საჩინოდ იზრდება და თითო-ორიოლა ალაგას კეთილი ნაყოფიც მოიტანა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში უფრო მეტს სიკეთესა და სარგებლობას მოგვითანს. წესდება სასოფლო-სამეურნეო თანხისა უკვე შედგენილია და ზედ-დართულის განსამარტებელის წერილით წარედგინა უმადლეს მთავრობას დასამტკიცებლად საკანონმდებლო წესით. პირველად მთავარ-მართებელის საბჭომ განიხილა ეს წეს-

დება და შემდეგ, რაკი მან მოიწონა, წესდება გაეგზავნა სახელმწიფო საბჭოს 14).

სასოფლო სამეურნეო თანხის დაარსებას გაზეთი „ივერია“ თავის დროზედ ასეთის აღფრთოვანებულის იმედით მიეგება:

„კარგა ხანია მას აქეთაო, ამბობს მეთაური წერილი ამ გაზეთისა<sup>15)</sup>, რაც ჩვენს მკითხველს ვაუწყეთ, რომ ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა თ. შარვაშიძემ განკარგებისათვის მისდამი რწმუნებულ გუბერნიის გლეხკაცთა ცხოვრებისა ერთი ფრიად ნაყოფიერი და დიდ მნიშვნელობიანი საქმე დაიწყო და მთელის დაუძინებლის მხნეობით მიეცა ამ საქმის განხორციელებას. ამ საქმის მიწერ-მოწერიდან ვიცით, რომ ბ-ნს გუბერნატორს ჩვენებურ გლეხკაცობის უნუგეშო ყოფა დაუნახავს, დაჰკვირვებია ამ სამწუხარო ამბავს და მისი მიზეზი სამართლიანად უცენია იმაში, რომ ჩვენებურს გლეხკაცობას, თუმცა ჰკუაძ უჭრის და გულიც ერჩის, მაგრამ ცალ-ცალკე გარჯით ვერა უქმნია-რა და ქონებრივ უქონლობისაგან ვერ გამოსულა. ეს ქონებრივი შეუძლებლობა არის თავი და თავი მიზეზი მისის უნუგეშო ყოფისა და ამიტომაც თუ რამ ეწამლება, სწორედ აქ უნდა ეწამლოსო.

ხოლო რა გზით და როგორ? ყოველი ადამიანი და ნამეტნავად გლეხკაცი, როგორც ყველგან, ისეც ჩვენში ცალ-ცალკე უღონოა ამ დიდს ტკივილს თვითთულად ცალკე უწამლოს და უნუგეშო ყოფისაგან თავი დააღწიოს. ხოლო რამდენად უძლურია ცალ-ცალკე, ბევრის-ბევრად ღონიერია და ძლიერი, როცა განცალკევებული ძალ-ღონეს ერთად შეიკრებს. მაშასადამე, საჭიროა მთელის გლეხკაცობის ერთიანი მოძრაობა, ერთიანი გასჯა, ერთი შეერთებული საზოგადოებური ღონეო; თუ ზღვა კოვზით დაიღვევა, კოვზითვე რატომ არ უნდა აივსოს? აქ ხომ მარტო კოვზის სიმრავლეზეა დამოკიდებული ყველაფერი და ამ შემთხვევაში იმდენ კოვზით წვდას ვერავე შეესძლებს, რამდენსაც გლეხკაცობა, იმიტომ რომ გლეხკაცობა ბევრია და თვითთულისაგან თითოერთოლა მარცვალი, თუ პირველშივე არა, თავის დროზე შინც მთელს ხეავს შეადგენს.

ამ სახით გზა ნაპოვნი იყო. გამოირკვა, რომ ვისაც ჰსურს გლეხკაცობა დაიხსნას დღევანდელ გაჭირვებისაგან და ღონე მისცეს ყოფა-ცხოვ-

<sup>14)</sup> მსურველი ჯერ-ჯერობით ვერ შეიძენს ამ წესდებას. სულ რამდენიმე ცალი დიბიტედა და დათრეგდა მხოლოდ მთავრობის დაწესებულებათა და იმათ. ვინც წესდების შედგენაში მონაწილეობა მიიღო. წესდება ჯერ არც ქართულადაა გადმოთარგმნილი, რადგან თუ სახელმწიფო საბჭომ არ შეიწყინარა და არ დააკანონა, საქმე შეიძლება ჩაიშალოს და გადათარგმნა ტყუილი შრომა იქნება.

<sup>15)</sup> იხ. „ივერიის“ მეთაური წერილი, 1892 წ. № 68.

არების განკარგებისათვის, საღსარი უნდა აუჩინოს საერთო ქონების შექმნისა, რომ ამგვარ ერთიანის ქონების ძალ-ღონით იგი შეეძლოს თავის უნუგეშო ყოფას, დაიხსნას მისგან თავისი თავი და განკარგების გზას გავიდეს წელ-გამაგრებული. საერთო საზოგადო ქონების გამგებლობა, მისი საერთო სიკეთისათვის ასე თუ ისე მოხმარება ჭკუითა და გულითაც გასწურთენის გლეხ-კაცობასა, შეაჩვევს საზოგადო საქმეების ჩხრეკას, განკითხვას და ამ გზით საზოგადო საქმეთაგან ნაცადი და ნასწავლი, ჭკუა და გულ-გათამამებული, თვალ-ახილებული თვითონვე გაიგნებს დანარჩენს გზას თავის ყოფა-ცხოვრების განკარგებისასა და აღარავის აღარ გაუწვდენს ხელს: მიშველეო. თავისი მშველელი თვითონ იქნება, სრულიად თავისუფალი სხვის მუნათისაგან და მადლობელი მარტო თავის თავის თვით მოქმედებისა და მხნეობისაო...

როგორ უნდა შემდგარიყო ეს საერთო საზოგადოებრივი ქონება გლეხ-კაცობისა? რა თქმა უნდა, თვითონ გლეხ-კაცობას უნდა ენაწილნა ამ საქმისათვის თავისი წვლილი, ერთის სიტყვით, ყოველ წლივ ეხადნა ამისათვის დაწესებული გადასახადი...

ეს გადასახადი და სხვა რაიმე ხარჯი აქ ერთმანეთთან შესადაგრებელი არ არის. ეს ახალი გადასახადი გლეხ-კაცს ეცოდინება რისთვის არის, სად მიდის; ისიც ეცოდინება, რომ მის დაუკითხავად ერთი გროშიც არ დაიხარჯება, რომ მარტო მის საჭიროებას, მისგანვე დასახელბუღლს, მოხმარდება და სხვა ყოველი ხარჯი კი, რასაც გლეხ-კაცი დღეს იხდის, სხვის კუთვნილებად მიიჩნია, სხვის სახარჯოდ, იმისი მას არა ეკითხება-რა და აქ, რასაკვირველია; რომ ერთის გადახდა ეადვილოს და მეორესი კი გაუძნელდეს. ამას გარდა ამ ახალ გადასახადს უსიამოვნო და მწვავე თვისება არ ექმნება, როგორც სხვის ბრძანებით დადებულს გარდასახადს მოსდევს, რადგან სამეურნეო თანხის შედგენა სოფლის ნება-ყოფლობაზეა და მოკიდებული და აქ ძალის დამტანებელი არავინ იქნება.

ამ სახით ბ-ნი გუბერნატორი ჩვენს—გლეხ-კაცობაზედ იმედ-დაყრდნობილი შეუდგა მის მიერ აღმოჩენილ საქმის განხორციელებას. ჩვენდა სანუგეშოდ, ჩვენმა გლეხ-კაცობამ არ გაუმტყუნა იმედი და ქვეყანას დაანახვა მაგალითი რომ მართლა ისე უვიცი, ისე გაუმგებარი არა ყოფილა, როგორც დღესაც ბევრსა ჰგონია; რომ მარტო საზოგადო შეერთებულ ღონით შესაძლებელია ერთიანად გაძლიერება, ერთიანად წინ წაწევა, ერთიანად გაღონიერება და ყოველ ამისი დაუღალავი გამწევი უღლისა თვით მოქმედებაა, თვით-შველა და თვით-გარჯა. სული და გული ამ საქმისა აქ არის, ამ თვით მოქმედებაში“.

სასოფლო სამეურნეო თანხის დაარსება სულ ახალი საქმეა და წრევანდელ გაზაფხულიდან მეხუთე წელიწადი დაიწყო.

რაც ამ დიდმა საქმემ ფეხი მოიკრდა. 28 თებერვალს 1890 წ., ბნმა ტფილისის გუბერნატორმა, თ. შარვაშიძემ, შეჰკრიბა საგუბერნიო მმართველობის და საგლეხო საკრებულოს წევრი, მოიწვია აგრედვე რამდენიმე გარეშე კაციცა, ცნობილი საზოგადო მოღვაწეობით, მაზრის უფროსნი და მომრიგებელი შუაკაცი, ვინც კი იმ დროს ტფილისში იყო. ამ კრებულმა განიხილა გუბერნატორის მიერ წარმოდგენილი საგანი იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით დაეგზმაროდ გლეხ-კაცობას, რა ღონე ვიღონოთ, რომ გლეხ-კაცობამ შეადგინოს თანხა და მით გაუძღვეს თავის საზოგადო საქროებასაო. კრებამ მოიწონა სურვილი გუბერნატორისა, ამოარჩია ცალკე კომისია და დაავალა, დაწვრილებით შეისწავლეს ეს საგანი და შეიმუშავეს წესდება იმისი, თუ რა წესითა და რიგით შეიძლება ამ საქმის სისრულეში მოყვანა. კომისიაში აირჩიეს თ. ილია ჰავჭავაძე, წევრი საგლეხო საკრებულოსი ა. ვ. პახომოვი, ტფილისის მაზრის უფროსი თ. ლ. გ. ჯანდიერი, მომრიგებელი შუაკაცი ი. გ. თულაშვილი და თავმჯდომარედ აწ განსვენებული, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგებელი, ივანე სტეფანეს ძე ხატისოვი. საქმის მწარმოებლად კომისიისა გუბერნატორმა დანიშნა ალ. ყიფშიძე. კომისიამ სამ თვეზე მეტს ხანს გულ-მოდგინებით იმუშავა და 12 თბათვეს წარუდგინა გუბერნატორს შემუშავებული წესდება და ვრცელი მოხსენება. კომისიის მიერ შემუშავებული წესდება ბევრჯელ შეიცვალა, ბევრი რამ გამოაკლდა, ბევრიც ჩაემატა და დღეს სრულიად დამთავრებული წარედგინა, როგორც უკვე მოვიხსენეთ, უმაღლეს მთავრობას განსახილველად და დასაკანონებლად.

ბნმა გუბერნატორმა ამ დაკანონებას არ დაუწყოა ცდა და მხნედ შეუდგა ამ საქმის განხორციელებას. სულ ოთხის წლის განმავლობაში მეტის-მეტად სანუგეშო და სასიხარულო ნაყოფი მოიტანა მისმა დაუღალავმა მეცადინეობამ და მხნეობამ. აი დაწვრილებით, რა ვითარებაშია დღეს ეს საქმე, ოფიციალურის ნუსხის მიხედვით: ტფილისის გუბერნიაში ითვლება



9 მაზრა და 401 სამამასახლისო 16). 1891 წლის პირველ იანვრამდე 272 სამამასახლისოს ჰქონდა პურის ბეღელი სასოფლო სამეურნეო თანხის შესადგენად; 1892 წ. პირველ იანვრამდე—295 სამამასახლისოს, 1893 წლის პირველ იანვრამდე—326 და 1894 წლის პირველ იანვრამდე 332 სოფლის საზოგადოებას. პირველ წელს მონაწილეობა მიიღო ამ თანხის შედგენაში 415,969 სულმა მამრმა და მდედრმა, მეორე წელს—506,780 სულმა, მესამეს—529,391 სულმა და მეოთხეს—557,885 სულმა. პირველ წელსვე ტფილისის გუბერნიის გლეხობამ მოაგროვა ფულად 110,692 მანეთი 57 კაპეიკი, ძველთესლი ხორბალი 256,830 ფუთი და ახალთესლი 67,321 ფუთი. 1891 წელს ასე იმატა ამ თანხამ: ფულად იყო 220,910 მან. 45 კაპ.; ძველთესლი 327,372 ფუთი, ახალთესლი 103,566 ფუთი. 1892 წელს იყო: 409,648 მან. 99 კაპ., ძველთესლი 189,699 ფ. და ახალთესლი 66,913 ფუთი. 1893 წელს იყო: ძველთესლი 158,629 ფუთი, ახალთესლი 48,273 ფუთი და ფულად 567,428 მან. 86 კაპ. 17). ამ სახით სულ ოთხის წლის განმავლობაში, ჩვენმა გლეხ-კაცობამ შეიძინა ნახევარ მილიონზე მეტი საზოგადო ქონება და წარბი არც კი შეუხრია, არამც თუ გაკირვება რამ ენახოს თანხის შედგენის დროს. გარდა ამისა ხორბლეულობის შესანახად, ვიდრე ხორბალი გაიყიდებოდეს და ფულად იქცეოდეს, გლეხ-კაცობამ შეიძინა ხის ამბრები. 1890 წელს ჰქონდა ამბარი 1,169 სოფელს, 1891 წელს კი 1251 სოფელს. დარჩა მხოლოდ მცირე რიცხვი პატარ-პატარა სოფლებისა, რომელთაც ჯერ ვერ მოუხერხებიათ შეიძინონ ამბარ-ბეღლები. მაგრამ იმედია, რომ ეს პატარა სოფლებიც მალე მოახერხებენ ამბრების შექმნას. ამისათვის საჭიროა მხო-

16) გორის მაზრაში, შარშანდლიდან დაწყებული, სამამასახლისოების რიცხვი შემცირდა, რადგან მცირე სამამასახლისოები გააუქმეს და შრავალი მათგანი გააერთიანეს, ასე რომ რიცხვი სამამასახლისოებისა ტფილისის გუბერნიაში ამ ეჟმად 397 არის.

17) ფული ინახება ადგილობრივ მაზრის ხაზინებთან დაარსებულ სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასებში, სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში და ტფილისის საკომერციო ბანკში.

ლოდ რამდენიმე მცირე სოფელი ერთად შეერთდეს და ამგვარად გაიჩინონ ერთი საზოგადო ამბარი.

უმაჯებელი საგანი სასოფლო-სამეურნეო თანხისა ის არის, რომ ერთხელვე და საშუალოდ გაჩნდეს ერთი ძლიერი წყარო და ერთად თავმოკრეფილი აუზი შეძლებისა და ქონებისა. ეს წყარო და აუზი უნდა გაუძღვეს ყოველ-გვარ სასოფლო სამეურნეო გაჭირვებასა; მან უნდა შეუწყოს ხელი სოფლის მკვიდრს განმტკიცებადა და განსაფართოვებლად თავისი ქონებრივისა და ზნეობრივის ძალ-ღონისა; მან უნდა მისცეს ღონისძიება ადვილად და წარბ-შეუხრელად, თავისისავე ძალ-ღონით, სხვის დაუხმარებლივ; გაუძღოს და აიტანოს ათასგვარი უბედურება და გაჭირვება.

ეს არის მიზეზი, რომ წესდება სამეურნეო თანხისა ძირეულად განსხვავდება იმ წესდებათაგან, რომელთა შემწეობითაც კლიობდა აქამდე მთავრობა, საზღო არ გამოჰყოფდა, არ მოჰკლებოდა მკვიდრს შიმშილობის დროს. შიმშილობაში დახმარება ხალხისა ერთი უმძიმესი და უდიდესი საქმეა სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და მართლაც უმდიდრესი მთავრობა არასოდეს არ ჰღალატობდა ამ მოვალეობას და მეცადინეობას არ აკლებდა, რომ ხალხი შიმშილით არ გაწყვეტილიყო. პეტრე დიდთან დაწყებული დღემდის კანონი კანონზე იბეჭდებოდა, იმართებოდა პურის მაღაზიები, გროვდება ხორბალი, არსდებოდა განსაკუთრებული თანხები მთელის იმპერიისათვის, მაგრამ მაინც საქმე რიგიანად ვერ მოეწყო. პური სწორედ მაშინ არ იყო საკმარისი, როცა საქირებდნენ და გასესხებული ხორბლის აღება ხომ ერთი უბედურება და ვაი-ვაგლახი იყო ხალხისათვის 18).

<sup>18)</sup> ვისაც დაწვრილებით კსურს გაიციოს საგანი ხალხის უზრუნველ-ყოფისა საზღოთი შიმშილობის დროს, იმათთვის აქ დავასახელებთ: Уставъ о бѣднѣмъ населеніи народнаго продовольствія, т. XIII св. зак., изд. 1889 г.; წერილს პ. გოლუბევისას: Новая система народнаго продовольствія, В. Евр. 1893 წ. მისის ნომერი და კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის მიერ შედგენილ ვრცელ მიმოხილვას: Обзоръ главнѣйшихъ узаконеній и прашительственныхъ распоряженій по обезпеченію народнаго продовольствія въ Имперіи по 1881 годъ.

ამას გარდა უვარგისობა ძველი სისტემისა უფრო ის არის კიდევ, რომ ეხმარება ხალხს პურითა თუ ფულით მაშინ, როცა მოუსავლობა უკვე ეწვია ადამიანს და იმაზე არასა ზრუნავს, რომ მოსპოს და აღმოფხვრას ძირეულად თვით მიზეზი უბედურებისა, ე. ი. შეუძლებელი გაჰხადოს თვით მოუსავლობა, რასაკვირველია, რამდენათაც ეს ადამიანის ხელთ არის. შიმშილობა შედეგია მოუსავლობისა. პირველი ითხოვს ეგრედ წოდებულ პალლიატივურს წამალს მოსპობისას, ხოლო მეორე რადიკალურს წამალს წინსწრებისას. ძველი სისტემა ხალხის უზრუნველ-ყოფისა საზრდოთი შიმშილობის დროს, აგროვებს სათავენს პურად და ფულად, რომელიც უქმად და უსარგებლოდ სდევს შიმშილობამდე და ყურადღებას აქცევს მხოლოდ პირველ გვარს წამალს. ღონისძიებანი-კი წინსწრებისა, ე. ი. იმისთანანი, რომელთა შემწეობითაც შესაძლოა ან სრულიად მოისპოს, ან იშვიათი შეიქმნას თვით მოუსავლობა, ეს ერთად-ერთი მიზეზი შიმშილობისა, სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული ამ სისტემით.

უფრო ძირეული წამალი კი ის არის, რომ მოუსავლობა არ ეწვიოს ქვეყანას. შიმშილობა შეუძლებელია, თუ მოუსავლობა არ გვეწვია. მოუსავლობა კიდევ სულ მოისპობა, ან იშვიათი ამბავი იქნება, თუ მიწად მოქმედებას მოეშველა ცოდნა და ფული და ამ ორის ღონისძიებით მეურნეობა შესაფერს გზას დაადგა. ამისთანა გარემოებათა შორის ერს ძვირად მოველინება მოუსავლობა და თუნდაც ეწვიოს უბედურება მოუსავლობისა, ერი წელ-გამაგრებული დაჰხედება, რადგან ქონებით გაღონიერებული იქნება წინა წლების ნამეტანობისაგან და აღჭურვილი ზნეობრივის ძალ-ღონით.

ეხლანდელ დროში ხალხის უზრუნველ-ყოფა, მოუსავლობის დროს, საზრდოთი სულ სხვაფრივ არის მოსაწყობი, ვიდრე წინად იყო. ეხლა უპურობა კი არ არის მიზეზი დამშვევისა, სყიდვის უილაჯობაა. წინად გზა-კვალი არ იყო, ფული ბევრიც რომ გქონოდა, თუ ადგილობრივ პური არ მოიპოვებოდა, შიმშილით სული ამოგივიდოდა. ეხლა სულ სხვაა.

ერთს თვეზე, საიდანაც გსურს, თუნდა ამერიკიდან, მთელი ზღვა შეგვიძლიან დაიბარო პურისა, ოღონდ, ვიმეორებთ, ძალა იყოს და ადამიანს ღონე მოსდევდეს უცხოეთიდან პურის დაბარებისა. ამ მოსაზრების ჭეშმარიტება ნათლად დაამტკიცა რუსეთის შემშლილობამ. პური საკმარისი იყო რუსეთში, ფუტს არ აუწევია შვიდ აბაზზედ ზევით და მანც ხალხი შიმშილით ეხოცებოდა. რათა? იმიტომ რომ რუსეთის მკვიდრი ღარიბ-ღატაკია და სყიდვის ილაჯი არა ჰქონდა. ევლურ ადამიანსავით ბალახ-ბულახით და ხის ქერქით იკვებავდა თავსა, ოჯახი ისე ჰქონდა გათახსირებული, რომ შემოდგომის პირველ თვესაც ვერ გამოიკვებეს თავი და აბა ასეთი ოჯახი, როგორ მოახერხებს საზრდოს სყიდვას, თუნდა ფუთი პური მანეთიც ყოფილიყო? ასეთი ოჯახი მოსავლიან წელსაც მამძღრისად ვერა სჭამს პურს და ნახევარზე მშვიერია.

ეხლანდელ დროში მისვლა-მოსვლა ერთა და ქვეყანათა შორის გაადვილდა რკინის გზების და ხომალდების წყალობით. ამისათვის შემშლილობა სრულიადაც აღარ არის საშიში. ოღონდ ჯიბეში ფული იყვეს, ოღონდ ადამიანს სყიდვის საღსარი მოეპოვებოდეს და პურს, საიდანაც გსურს, იქიდან დაიბარებ. ამიტომაც ეხლა ძველი სისტემა, რომელიც ადვილობრივ აგროვებდა პურსა, უსარგებლო და გამოუსადეგარი. ამისათვის მთავრობა ღდეს უნდა მეცადინეობდეს გააძლიეროს ერის ღონე პურის სყიდვისა, გააღონიეროს მამულ-ღედულის მომცემი ძალა, განაკარგოს და განაეითაროს მეურნეობა და სასოფლო მრეწველობა. ამით მოეღება ბოლო მოუსაველობას და მამსასა და მე შემშლილობასაც, რადგან შემშლილობა შედგება მხოლოდ მოუსაველობისა. ამ გვარი მოქმედება ღიდ შრომასა და ხარჯს მოსთხოვს მთავრობას და ამიტომ მარტო მთავრობა ვერ იტვირთებს ამ ღიდ საქმეს. თვით ერია მოვალე იზრუნოს თავისს თავისათვის, ხოლო მთავრობამ უნდა აღმოუჩინოს დახმარება და ხელი შეუწყოს ყოველ განზრახვას და დაწყობილებას, რომელსაც კი აზრად ის ექნება, რომ თავი იჩინოს ერის ნაყოფიერება თვით-მოქმედებამ.

ამ მოსაზრებათა ძალით ბ-ნი გუბერნატორი ჰფიქრობს, რომ ტფილისის გუბერნიისათვის, სადაც შიმშილი იშვიათი ამბავია, საჭირო არ არის პურის მალაზიები იმ სახით, როგორც რუსეთშია ეს საქმე მოწყობილი. ამის მაგიერ საჭიროა მეცადინეობა, რომ განკარგდეს მეურნეობა და მიწად-მოქმედება, გაღონიერდეს გლეხ-კაცი ნივთიერად და ოჯახი ფეხზე წამოაყენოს. ყოველივე ეს შესაძლებელი იქნება, უკეთუ დაწესდება და განხორციელდება განზრახული საქმე, რომ გლეხობამ წვრილ-წვრილად, მცირედის ხორბლის გამოღებით, შეადგინოს თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სასოფლო სამეურნეო თანხა<sup>19</sup>).

მეხუთე წელიწადია, რაც ეს საქმე დაიწყო, რაც ტფილისის გუბერნიის გლეხობა შეუდგა, პურის ჩამოსვლით, სასოფლო-სამეურნეო სათაფნოს შედგენას და რამდენი ხანიც გადის, უფრო მეტის ხალისით და სიყვარულით ეკიდებიან გლეხ-კაცი ამ საქმეს. ოთხის წლის გამოცდილებამ დაარწმუნა ავტორი პროექტისა, რომ მისი მადლიანი აზრი უკვე შეითვისა ერმა და რომ მისმა მეცადინეობამ უქმად არ ჩაიარა. ეს გარემოება უტყუარი საბუთია იმისი, რომ, თუ კანონმდებელმა რაიმე მოულოდნელი დაბრკოლება არ აღმოუჩინა წესდებას და დამტკიცებულ იქნა, ამ ათი ხუთმეტის წლის შემდეგ, ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცობის ნივთიერი, გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა იმდენად საკეთილოდ შეიცვლება, რომ მისი მაგალითი სწორედ ღირსი გახდება წაბაძვისა სხვა გუბერნიების გლეხ-კაცობისათვისაც.

<sup>19</sup>) იხ. ტფილისის გუბერნატორის, თ. შარვაშიძის, ქაღალდი, რომელიც მისწერა მან შთავარ-მართებელს ამ საგნის შესახებ, 1893 წელს პირველი ოქტომბრის თარიღით, № 5567. აგრეთვე მეთაური წერილი „ივერიისა“ 1893 წ. № 206. ამ წერილში მოკლედ იგივეა ნათქვამი, რაც გუბერნატორის ქაღალდშია ვრცლად.

## III

ახლა ვეცდებით გავაცნოთ მკითხველს თვით წესდების შინაარსი.

თავის საზოგადო სასოფლო-სამეურნეო საქიროებათა გასაძღვლად თვითთვეულმა სამამასახლისომ ანუ სოფლის საზოგადოებამ უნდა შეადგინოს სასოფლო-სამეურნეო სათავენი. ეს სათავენი სრული საკუთრებაა საზოგადოებისა (§ 1).

რა საქიროებას უნდა მოხმარდეს ეს სათავენი?

საქიროება მრავალია ზე როგორც უმაღლესი, აგრედვე ადგილობრივი მთავრობა მოვალეა დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებულ სოფელს, თუკი თვითონ, მარტო თავის მოხერხებით სოფელი ვერ მისწვდომია თავის გაჭირვებას. გლეხ-კაცობა სახელმწიფოს უმთავრესი ნაწილია; კეთილდღეობა თვით სახელმწიფოსი დამოკიდებულია ამ წოდების კეთილდღეობაზედ, რადგან ეს წოდება უმთავრესად გამლეხი ხარჯისა, ურომლისოდ სახელმწიფო თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, რომ სიმდიდრე ერისა არის სიმდიდრე სახელმწიფოსიო, ამას კარგადა ჰგრძნობდა უმაღლესი მთავრობა და რაკი თვითონ ვერ მოახერხა სოფლის შინაური საქმის გაძღვლა, აიღო და სოფელს მიანიჭა უფლება თავის-თავს თვითონ უბატრონოს, თვითონ იზრუნოს თავის კეთილდღეობისათვის<sup>20</sup>). მთავრობამ საზრუნავად დაიტოვა მხოლოდ საზრდოობა ერისა შიმშილობის დროს. მინიჭებული უფლება თვით-მმართველობისა გლეხ-კაცობამ ვერ გამოიყენა და თავის ქირ-ვარამის წამლად ვერაფერი ვერ მოაგვარა. ერის საზრდოობა-კი შიმშილობის დროს, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, მარტო აღმინისტრაციის ხელში იყო; ხოლო მის მეცადინეობას სიკეთე არა მოჰქონდა-რა, რადგან საქიროების დროს მალაზიებში სა-

<sup>20</sup> იხ. ст. 47 п. п. 5, 6, 7, 8 и 12 Сельскаго Положенія. ამ ორის წლის წინად ქართულად აღბეჭდილ „დარიებაში“ სოფლის მონტელეთათვის ზემოხსენებული მუხლი კანონისა უდრის § 13.

კმარისი პური არ აღმოჩნდებოდა ხრომე და სულ-გაზიდული და გატანილი იყო მსესხებლების მიერ. ამისათვის შიმშილობაში მთავრობა გაჭირვებულთ უჩრგებდა ფულს საიმპერიო თანხიდან, ან ჰყიდულობდა პურს და სესხად აძლევდა გლეხ-კაცობას. სესხის დაბრუნება სწორედ ღვთის-რისხეა იყო სოფლებისათვის. ახალი მოსავალი იმდენი არა იყო-რა, რომ თავიც გამოეკვება, ხარჯიც გაესტუმრა, თესლიც შეენახა და მთავრობისათვისაც სესხი დაებრუნებინა. პოლიციაც, რაკი ჰხედავდა გაჭირვებას, ძალას არ ატანდა, ვალი მატულობდა და რაც ხანი ვალიადა, უფრო ძნელდებოდა პურის მოკრება მის გასა-სტუმრებლად. პურის მოკრება ძალით ნახსენის გადასახდელად დიდად აზარალებდა გლეხის მეურნეობას, ზოგჯერ სრულიად ათახსირებდა მიწად-მოჰქმედის ოჯახს და, რა თქმა უნდა, ასეთი დახმარება მძულვარების მეტს არას გამოიწვევდა გლეხ-კაცის გულში, მით უმეტეს რომ გაჭირვების დროს აღებულ ხორბალს, თუ ფულს სესხად, გლეხი ყოველთვის ისე უყურებს, თითქო დაბრუნება და გადახდა მისი, საჭირო აღარ არისო <sup>21)</sup>.

უფრო საზარალოა სესხის გაცემა ეკონომიურის მხრივ. სესხი, ფულად იქნება გაცემული თუ ხორბლეთულობით, გლეხმა უნდა დააბრუნოს უსათუოდ ფულად. შემოდგომაზე, როცა პოლიცია შეუტევეს სოფელს, სესხი დააბრუნეო, სოფლელი ნახევარ ფასად ჰყიდის მოსავალს და ისე ისტუმრებს ვალს. თუ ამისთანა დროს მოსავალი მცირე იყო, ისევე იმავე მთავრობას უნდა გაუწვდინოს მერე ხელი, სარჩო მომეცი ახალ მოსავლამდეო და ამ გვარად მის ვალიანობას ბოლო არ ეღება. ეს ვალიანობა ძირს უთხრის და ათახსირებს ისედაც დაუძლურებულ ოჯახს.

<sup>21)</sup> ძნელი წარმოსადგენია ქართველი მკითხველისათვის, რაოდენი ნედლი-კა აღდევს თითო-ორიოლა გუბერნიას აქ დასახლებული თანხისა! მაგალითებრ სამარის გუბერნიას მართებს 7,000,000 შ. მოდით და აკრიფეთ ამოდენა ვალი, როდესაც სამარის გუბერნიას ნედლი-კა სხვა გადასახადისა უფრო ბევრი იქვს. სანადგლო ფულის ნედლი-კა 16,000,000 შახეთია, სხვა ვალები 34,602,005 შ., სულ 57,602,005 შანეთი. ამისთანა დავალიანებულ გუბერნიაში სოლომონ ბრძენიც ვერას გახდება!. იხ. *Очерки провинциальной жизни, проф. И. Ивьянкова. Р. М. ამ წლის მე-ხუთე ნომერი*, გვ. 195.



რუსეთის ჰაერი და ბუნება ერთფეროვანია. შიმშილი თუ ეწვია ამ ქვეყანას, ათს, ოცს გუბერნიას მოედება, ასე რომ ამბრებში პურის მოგროვებას რუსეთში ცოტაოდენი აზრი აქვს, ხოლო ჩვენის ქვეყნისათვის არავითარი გასამართლებელი საბუთი არ არსებობს ამისთანა წესისათვის. საქართველოს ჰავა და ნიადაგი მრავალ-ფეროვანია, ერთი ხეობა მეორეს არა ჰგავს, დაყოფილია მაღალის მთებით და მდინარეებით; ერთს პატარა კუთხეში თუ მოუსავლობაა, იქვე ახლოს, პატარა მთის გადაღმა, სულ ხუთი-ათის ვერსის მანძილზედ შესაძლოა მოსავალი ზღვად იყოს გამხდარი. ამას გარდა რუსეთში კულტურა ერთგვარია, სულ პური და ჭვავი და სხვა არაფერი; ამ მხრივაც ჩვენს ქვეყანას დიდი უპირატესობა აქვს რუსეთის წინაშე. თუ პური მოსცდება ჩვენში, სიმინდი მოვა, თუ ესეც მოსცდა, ღვინო მისცემს მუშაკს სარჩოს. ბაღოსნობა და ხილეულობა ხომ უფრო აძლიერებს ოჯახს. ამისათვის ტფილისის გუბერნიისათვის, სადაც შეუძლებელია რუსეთის მინავარი მოუსავლიანობა, სრულიად საჭირო არ არის ამბრებში პურის გროვება ხალხის საზრდოდ შიმშილობაში. საჭიროა მხოლოდ გაძლიერება მიწად-მომქმედის ოჯახისა, განკარგება მისის მეურნეობისა. ასე გაძლიერებული ოჯახი ადვილად გაიტანს თავს, თუ მოუსავლობა ეწვია და სხვას აღარ გაუწვდის ხელს—მიშველეთო.

გაძლიერება და ფეხზე დაყენება სწორედ კი ეჭირვება ჩვენებურ სოფლის მეურნეს. დღითი დღე მისი საქმე უკან მიდის, სიღარიბე მატულობს და ცოდნა და ღონისძიება კი არსადა სჩანს, რომ თავიდან მოიშოროს ეს სიღარიბე და სიღატაკე. უპირველესი მიზეზი, რომელიც ხელს უტარავს ჩვენს მეურნეს—მამულის სიმცირეა. წინადაც არ მაეცა გლეხს მამული საკმაოდ და დღეს ხომ მისი მამულიანობა უმამულობას უდრის. სწორედ აქ გამოიჩინეს თავის მაღლიანობას სამეურნეო თანხა და ამ საჭიროებას გლეხისას წამლად დაედება. რასაკვირველია, მიწად-მომქმედს შეუძლია იყიდოს მამული სესხად აღებულის ფულით, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თუ ნასყიდი მამული სავნახე ადგილია, ხარჯი, ჯათა და შრომა დიდი დასჭირდება,

ვიდრე მოსავალს მოგცემს, ხოლო თუ სახნავია, მის მოსავლედ დადაც კაი ჯაფა და შრომაა საქირო და ამასობაში ვალს კოდევ ვალი უნდა მიემატოს. ამგვარად შეიძლება ვალის სარგებელი ისე გადიდდეს, რომ მსყიდველს ნასყიდი მამული ხელიდან გამოეცალოს და ცოტა რამ თავისიც ზედ დააყაროს <sup>21)</sup>. სულ სხვაა, როდესაც მიწათ-მომქმედი იყიდის მამულს იმ ფულით, რომელიც ნელ-ნელა აგროვა და შეინახა შეუმჩნეველად. ამ სახით სამეურნეო თანხას შეუძლიან აგვაცილოს ერთი უმთავრესი ჩვენის საფლავის მეურნეობის დამღუპველი მიზეზი — მცირე-მამულიანობა.

საფლავის მეურნეობას ძირს უთხრის აგრედვე ტყეების გაჩეხა და განადგურება. ტყეების გაჩეხის გამო თოვლი უტბადდება, აღიდებულნი მთის წყარონი საშინელის სისწრაფით მოჰქუხან და გზაზე ყველაფერს ანადგურებენ. ერთის თვალის დახამხამებაზე აღელვებული მდინარე შლამითა და ღორღით ავსებს შემუშავებულს მამულს. ხშირად ას-ას დღიურობით გაუნადგურებია ნათესი და ვენახები. ასეთი ზარალი მოაქვს ალგეთის წყალს ბორჩალოს, კისის-ხევს კახეთსა და მეჯუდას — ქართლში და სხვ. საცა ტყე განადგურებულია, იქ შესამჩნევად მცირდება ნიადაგის ქვეშ წყალი, ზაფხულობით მდინარეები პატარავდებიან და მოსარწყავად საკმარისი წყალი აღარ არის; ამის გამო მამულის მოსავლიანობა ძალიან კლებულობს.

<sup>21)</sup> 23 აპრილს 1888 წელს მთავრობამ დაარსა საგლეხო ბანკები, საიდანაც გლეხებს შეეძლოთ გაეტანათ ფული სესხად მამულის საყიდლად. ბანკი მხოლოდ მაშინ აძლევდა გლეხებს სესხსა, თუ ნასყიდობის ღირებულ ფასის ერთ ნაწილს იმ თავითვე ნაღდად შეიტანდნენ, დანარჩენს ბანკი ვალად აწერდა და მამულს იგირავებდა. ბანკში შესატან ნაღდ ფულს გლეხები ვალად იღებდნენ მოვასშეთაგან დიდის სარგებლით, მამულის შემოსავალი ამ ვალის სარგებელს უნდებოდა, ასე რომ ბანკში სარგებელი ვეღარ შეჰქონდათ. ამის გამო ბანკი დაგირავებულ მამულს სხვებზე ჰყიდდა და გლეხები ხელ-ცარიელი რჩებოდნენ. ხშირად ისიც ეკარგებოდათ, რაც პირველში ნაღდად შეიტანეს, ამ გვარად მამული ხელიდან ეცლებოდათ და სანუგეშოდ მოვასშეს ვალი რჩებოდათ. რა დიდი ზარალი მოუტანა რუსეთის გლეხობას ამ გვარზე ფულის დაყრამ (доплата), ეს მშვენიერად არის გამო-მორკვეული ჟურნალ В. Евр.-ის მიერ. იხ. შინაური მიმოხილვა ამ ჟურნალისა: 1891 წ. № 10, და 1893 წ. № 1.

აქ, საქართველოში, ტყეს განსაკუთრებული მნიშვნელობაცა აქვს. საწვავ შესასა და ხის მასალას გარდა მიწათ-მომქმედს სჭირდება ჭიგო და სარი ვენახისთვის. სამეურნეო თანხამ ეს საჭიროებაც უნდა დააკმაყოფილოს, მისცეს გლეხობას შეძლება შეიძინოს ტყეები, ან გააშენოს ახლად, საცა კი მოსახერხებელი იქნება.

მესამე უდიდესი საჭიროება მინდვრების მორწყვაა. ტფილისის გუბერნიისათვის წყალი—სინონიმა სიცოცხლისა. ძველი არხები ცხადად ამტკიცებს, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთში რუების გაყვანას. საცა მამულს წყალი ხვდება, იქ დღიური ფასობს ხუთ თუმნიდან ათ თუმნამდე და საცა არა, იქ თუმანსა და ორ თუმანზე მალლა არ აღის მამულის ფასი. აქაურ მკვიდრს კარგად ესმის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მამულის მორწყვას, მაგრამ უილაჯობის გამო ვერ მოუხერხებია გაიყვანოს რუ-არხები. ამ წყლულსაც სასოფლო სამეურნეო თანხა უებარ წამლად დაედება.

მევენახობა, ღვინის დაყენება, ბალოსობა, ხილი დიდს მოვლასა და პატრონობასა თხოულობს. ჩვენი ყურძენი და ხილი განთქმულია მთელს ქვეყანაზედ თვისის სიკეთით, მაგრამ მოუვლევლობის გამო ლამის ხელიდან წაგვივიდეს ეს დარგი სოფლის მრეწველობისა, როდესაც მარტო მაგას შეეძლო ერთხინა ადამიანი. განსაკარგებლად მევენახობისა და ბალოსობისა საჭიროა ფული და აქაც სამეურნეო თანხა ნამდვილს დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეს.

ნაკლებს ყურადღების ღირსი არ არის განკარგება ხენათესვისა, საქონლის ჯიშისა, გამართვა რიგიანის გზებისა და ბრძოლა საქონლის ჭირის მოსასპობად. ხენათესვა-ჩვენში სწორედ ისე მიმდინარეობს, როგორც მეფე ფარნაოზის დროს. გონიერი შემუშავება, რიგიანი იარაღი ერთი-ორად გააძლიერებს მოსავალს. ყველამ იცის, რა უბედური საქონელი გვყავს; ხარები ისე უღონონი და გაღახულნი არიან, რომ რვა-ცხრა უღელია საჭირო გუთნისათვის; ძროხები ხომ კატებსა ჰგვანან და ოროლ თუნგის მაგიერ, თითო ჩარქს ძლივს იწველიან,

ისიც ორ-სამს თვეს. სასოფლო სამეურნეო თანხაშ ამ საჭიროებასაც წამალი უნდა დასდოს.

სასოფლო სამეურნეო თანხა შესდგება სოფლის სურვილისა მებრ. ძალდატანებას აქ ალაგი არა აქვს. სურვილი უნდა გამოცხადებულ იქმნას კანონიერად შემდგარ განაჩენითა. ერთხელ დადგენილი განაჩენი ვეღარ მოიშლება შემდგვის განაჩენით, ყოველი სული, თორმეტი წლიდან დაწყებული, ვიდრე სამოცი წლისა შესრულდება, მოვალეა წელიწადში გადიხადოს ოცი გირვანქა ხორბალი: პური, ქერი, სიმინდი, ჭვავი ან ფეტვი, საცა რა მოდის. სოფელი, თუ მოისურვებს, შეუძლიან მეტი გადასახადიც შემოიღოს (§§ 2—6).

ყველასათვის ცხადია ღ დამტკიცება ამას აღარ ეჭირვება, რომ გლესს მეტის-მეტად ეზარება ახალის ხარჯის გამოღება; ან კი რა სასიამოვნოა, როცა ძველ გადასახადს ვერ გასძლოლია ადამიანი, ახალი მიიმატოს. ამისათვის შეიძლება სთქვას ვინმემ: აიტანს მიწად-მომქმედი ამ ახალ გადასახადს, ანუ კიდევ რომ შეიძლოს მისი გამოღება, ესიამოვნება ასეთი გადასახადით? პასუხად ის შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო თანხის შესადგენად გაღებული ხორბალი დაკარგული არ არის. სახელმწიფო გადასახადსა და ბეგარას კი გლეს-კაცობა ისე უტკეპრის, როგორც წყალში გადაყრილს და დაკარგულს ფულს. ყოველი მარცვალი, რომელსაც შეიტანს საზოგადო ამბარში, მისი სრული საკუთრებაა, მას ვერავენ შეეხება, თუ მისი სურვილი და ნება არ არის.

ფულად გარდასახადი მეტის-მეტად სამძიმოა სოფლის მკვიდრისათვის. სოფელში ფული ძალიან ცოტაა; შეიძლება თითქმის სულაც არ დაინახოროვონ, რომ სახელმწიფო გარდასახადი არ არსებობდეს. შემოდგომაზე, როცა ფოსტის ფულს აგროვებენ, ერთი ვაი-ვაგლაზი და უბედურებაა ზოგჯერ ორის შაურისა და აბაზის საშოვნელად. ღვით, ჩვენში, პურის მოსავალი ჯერ საკმარისია, აქაური მკვიდრი გულ-ხალვათია, განსაკუთრებით კალომაზე. ოცი გირვანქა პურის გაღება ამ დროს (§ 8 წესდებისა) არაფერი დასაკლისია. მიჩვეულიცაა ქართველი კაცი პურით ხარჯის გასტუმრებას: მებატონე, მღვდე-

ლი, დალაქი, მწყემსი, მამასახლის-მოსამართლენი, ყველანი თავიანთ გასამრჯელოს და ხვედრს პურით იღებენ და ძველად, საქართველოს თავისუფლების დროს, როგორც დღეს ბოლგარიში, სახელმწიფო გარდასახადს გლეხი პურით იხდიდა. ფულის გაღება სამეურნეო თანხის შესადგენად ძნელიც იქნებოდა და მოუხერხებელიც. ამისათვის წესდებებში პირდაპირ ნათქვამია, რომ გარდასახადი უსათუოდ პურით უნდა იყოს და არა ფულით. პურის გაღებას ის უპირატესობა აქვს კიდევ, რომ კალოზობაზე, როცა პური შეაქვთ ამბარში, ნაკლებად ფასოფს ხორბალი და რაც ხანი გავა, ფასი მატულობს. ასე რომ გლეხის მცირე ფასიანი ქონება რამდენიმე ხნის შემდეგ დიდ ფასიანი ხდება. ამ უბრალო ჭეშმარიტებას გლეხის გონებაც აღვილად მისწვდება.

წესდების შემდეგ პარაგრაფებში (§§ 7—20) ნაჩვენებია წესი და რიგი, როგორ უნდა მოიკრიფოს ხორბალი, რა დროს, როგორ უნდა ინახებოდეს და ვისა აქვს უფლება ამბარ-ბეღლების რევიზიისა.

შეგროვილი პური უნდა ინახებოდეს ამბარში ორ წელიწადს; თუ მოსავლის ნაკლებობაა, შეგროვილი პური შეიძლება იყიდონ ნახევარ ფასად, ან შესამედის ფასის დაკლებით სამეურნეო თანხის მონაწილეთ. (§§ 23—25)

აზრი სამეურნეო თანხისა ისაა, რომ შეძლება და საშუალება მისცეს მიწათ-მომქმედს—მოსპოს მიზეზი მოუსაველობისა, გააღონიეროს მეურნეს ქონებრივი ძალა და გააღიღოს ამა თუ იმ აუცილებლად საჭირო ნივთის ყიდვა. ამისათვის ამ პარაგრაფებში დაწესებულია, ინახებოდეს მხოლოდ ორის წლის შეტანილი პური, რომლითაც გაჭირვებული კაცი ხელს მოინაცვლებს, ვინცობაა მოსავლის ნაკლებობა ჩამოვარდა. სესხად გაცემა პურისა სრულიად გაუქმებულია და გამოკლებული, რადგან გააძნელებს სამეურნეო თანხის ზრდასა და შეიძლება სრულიადც შეაფერხოს ამ დიდის საქმის წარმატება.

ის წესები, თუ როგორ უნდა ისყიდებოდეს პური და ინახებოდეს გაყიდული პურიდან აღებულ ფული; მოქცეულია §§ 26—32-ში.

ოც და პირველ და ოც და მეორე პარაგრაფში ნათქვამია, რომ სამეურნეო თანხას შეიძლება მიემატოს სასოფლო ფული, თუ ასეთს ფულს არა აქვს განკერძოებული დანიშნულება; მიიღება აგრედვე კერძო შემოწირულება. სამეურნეო თანხის დახარჯვა არ შეიძლება კერძო ეალისა და სახელმწიფოს მიერ აუკრეფავი ხარჯის (ნედლომკა) გადასახდელად; არ შეიძლება აგრედვე ამ თანხის დაგირავება, დაწინდრება.

ასე რომ არ იყოს დაწესებული, შეიძლება სამეურნეო თანხა სრულიადაც ვერ შესდგეს, ან თუ მოგროვდება რამე, შესაძლოა, უცბად მოისპოს და მაშინ თავის პირდაპირ დანიშნულებას ვეღარ შეასრულებს. დანიშნულება კი ამ სათაფნოსი, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მეტად დიდია და სასარგებლო. ამ თანხამ ფერი უნდა უცვალოს ჩვენს უფერულს ცხოვრებას. ასწიოს და აამაღლოს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა და მისის წყალობით ნათელი მოეფინოს შავითა და ბნელით მოსულს სოფლის ცხოვრებასა.

ყველაზე საყურადღებო მუხლი წესდებისა არის ოც და მეცამეტე, სადაც ჩამოთვლილია სოფლის საჭიროებანი, რომელსაც უნდა მოხმარდეს სასოფლო-სამეურნეო თანხა. საჭიროებანი განიყოფება ორ ნაწილად; უმთავრესი საჭიროებაა სყიდვა სახნავ-სათესისა, ტყე-ქალებისა და სასოფლო სამეურნეო შენობათა (сельско-хозяйственные заведения), აგება წისქვილთა, რუსა და არხების გაყვანა და სხვა ამ გვარი, რომელიც-კი ასე თუ ისე ხელს შეუწყობს სოფლის სამეურნეო ცხოვრებას. მეორე რიგის საჭიროებანია: შექმნა ჯიშინის საქონლისა, ბაყილო-ყლორტებისა ტყის მოსაშენებლად, დაბარება საუკეთესო ვაზისა, ხეხილისა, ხორბლის თესლისა, სამეურნეო თანხისა და სხვა.

დანარჩენი საჭიროებანი, თუნდა საზოგადო ხასიათისა ჰქონდეთ, თუ კი სასოფლო მეურნეობას არ შეეხება, ამ თანხას ვერ გაუწვდენს ხელს.

განმარტებით წერილში, საიდანაც ამოვკრიფეთ უმეტესი ნაწილი აქ მოხსენებულ მოსაზრებათა, ასეა ახსნილი ეს პარა-

გრაფი: შემდეგ, როცა სამეურნეო სათაენო იმატებს და გაბე-  
ვრდება, შეიძლება სხვა-და-სხვას გაედევნოს სუწვილი მო-  
იხმარონ ეს თანხა ისეთის საჭიროების დასაკმაყოფილე-  
ბლად, რომელსაც იქნება საზოგადო ხასიათისა ჰქონდეს, გა-  
რნა სოფლის მეურნეობაზედ კი დაშორებული იყოს. სოფელი  
ლონიერია და ამიტომ გულუხვია: რაკი ფულს დანახავს, ისეთს  
რამეზე დაჰხარჯავს, რაც იოტის ოდენადაც ვერ განაკარგებს  
მის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას. პირ-იქით შეიძლება დიდი  
ზარალიც მოუტანოს და სათაენოდანაც ხელცარიელი დასვას.  
ამისათვის წესდება პირდაპირ აღიარებს, რომ ჰურის ჩამოსვლით  
შემდგარი თანხა მხოლოდ მეურნეობას უნდა მოხმარდეს და  
სხვას არაფერსაო. მეტიც იქნებოდა აჭრელება წესდებისა იმ  
საჭიროებათა ჩამოთვლით, რომელთა აღნუსხვა ადამიანს გაუ-  
ჭირდება, ისე ურიცხვი და მრავალია მოთხოვნილება და საჭი-  
როება ადამიანისა და ადამიანთა კრებულისა. ოღონდ სო-  
ფელი მოლონიერდეს ეკონომიურად, აღყვავდეს მისი მეურნე-  
ობა და განა რა გაუჭირდება ნივთიერად ლონიერს კაცს, რას  
მოინდომებს მაშინ, რომ სწადელი ვერ შეისრულოს, სასურ-  
ლი ვერ განახორციელოს. ამისათვისაა სწორედ ნათქვამი, რომ  
სამეურნეო თანხა მარტო მეურნეობას მოხმარდეს და სხვას  
არაფერსაო, რადგან გაბნევა, გაფანტვა, დაკნინება და დანაწი-  
ლება თანხისა ათასგვარ საჭიროებისათვის, მხოლოდ დაახანებს,  
დააგვიანებს ამ თანხის გამაღებულს ზრდას და მაშასადამე ის  
დროც გვიან დაგვიფგება, ოდეს გლონიერებული ჩვენი სო-  
ფელი წელში გაიმართება, თავისუფლად ამოისუნთქებს და არ-  
ხვინად, ბატონ-კაცურად და უშიშრად გაუსწორებს თვალს  
როგორც აწმყოს, ისე მომივალს.

დანარჩენს პარაგრაფებში (§§ 34—44) დაწვრილებით  
არის ნაჩვენები, რა წესითა და რიგით უნდა აღნიშნოს სოფ-  
ლის საზოგადოებამ თავისი საერთო საჭიროება, როგორ  
უნდა იქმნას იგი შემოწმებული იმ დაწესებულების მიერ,  
რომელსაც თვალ-ყური უჭირაკს ამ საერთო თანხაზედ. იქ,  
სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ამ თანხიდან გროში არ მიე-



ცემა სესხად კერძო კაცს, რადგანაც გასესხებულის აღება მეტად სამძიმოა: რომ საზოგადო საჭიროებისათვის შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ ის თანხა, რომელიც უკვე შეგროვილია; დასასრულ მოხსენებულისა, როგორ უნდა უპატრონოს და ყუბრი უგდოს ამ თანხას საგუბერნიო მმართველობისა და საგლეხო საკრებულოს შეერთებულმა კრებამ, რომელსაც ექვემდებარება გამგეობა ამ საქმისა და რა მოვალეობა აქვს დაკისრებული ამ დაწესებულებას. გადაწყვეტილება ამ საკრებულოსი, დამტკიცებული გუბერნატორის მიერ, სეზოლოვოა და საჩივარის შეტანა აღარსად არ შეიძლება.

წარსულის წლის ნოემბერში მთავარ-მართებლის საბჭომ, სამის დღის განხილვის შემდეგ, შეიწყნარა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის მიერ წარდგენილი ზემო. მოხსენებული წესდება შესახებ სამეურნეო თანხისა<sup>22</sup>).

ეს ბრწყინვალე საქმე, სულ ოთხი-ხუთი წელიწადია, რაც დაიწყო და ისეთი სამაგალითო ნაყოფი მოიტანა, რომ მომეტებულის წარმოდგენა გონების თვალთ ძნელიც არის<sup>23</sup>). ჩვენმა გლეხობამ უქონლობით შევიწროებულმა, მცირე ხანში, გირვანქობით და ჩანახობით, შეადგინა თანხა, ჰურიით და ფულად, თითქმის ერთ მილიონ მანეთამდე. მერე შეადგინა ისე, რომ არც კი რამ შეუტყუვა. აბა რას დააკლებს თუნდ გაჭირვებულ ოჯახსაც, რომ წელიწადში სულზე გაიღოს ოც-ოცი გირვანქა ხორბალი, ისიც კალოობაზე, როცა ყოველი მიწათმომქმედი გულ-უხვია, და თითქმის უანგარიშოდ აძლევს ღვთის მოცემულ დოვლათს ყველას, ვინც კი ხელს გაუწვდენს. ცოტ-

<sup>22</sup>) იხ. «ივერია», 1893 წლისა, № 257.

<sup>23</sup>) ჯერ-ჯერობით ჩვენმა გლეხობამ აი როგორ გამოიყენა ეს თანხა. სოფელმა ხაშშიამ ამ თანხის შემწეობით გააშენა საზოგადო ვენახები; სოფელს კაკაბეთს გააკაეს არხი, რომელსაც უნდება 10,000 მანეთი. კაკაბეთს მარტო 7,000 მ. აქვს შეგროვილი, დანარჩენ 3,000 მ. სოფელი კომლექსულად გაიწერს; ბორჩალოს მახრის ს. შახნაზარმა იყიდა მამული და ნასყიდობის ქაღალდის დასაწერად საჭირო ფული 1,300 მ. დაქპარჯა ამ თანხიდან. იხ. „ივერია“, 1894 წ. № 84.

ცოტაობით კი ზღვა ქონება შეგროვდა და შემდეგში ერთი-ასად, ათასად, მილიონებად გადიქცევა ეს თანხა.

ამ საერთო თანხამ უნდა წამალი მოუძებნოს სოფლის მრავალგვარ საჭიროებას, სოფელი ფეხზე უნდა წამოაყენოს, ზურგი გაუმაგროს, რომ თავის თავის ბატონი თვითონვე გახდეს. ამ თანხით მოინაცვლებს სოფელი ხელს და ცოტ-ცოტაობით შეივსებს, რაც კი აკლია: იყიდის მამულს, ტყეს, გაიჩენს კარგის ჯიშის საქონელს, შეიძენს სამეურნეო იარაღს, გაიკეთებს მშენიერ გზებს, წისქვილებს, გაიყვანს არხებს, დაჰმართამს სკოლებს, სამკურნალოებს, დაიჭირავებს ფერშალს, ექიმს, მეურნეობის მცოდნე კაცს, რომ რჩევა-დარიგება მისცეს გლეხობას და საჭირო სამეცნიერო ცნობა გაუზიაროს და—რატომ არ უნდა ვიცინებოთ,—ოდესმე გაიმართამს სახალხო უნივერსიტეტსაც, როგორც შევცია-ნორვეგიასა და ინგლისშია და სხვაგან ევროპაშია(24).

ასეთი ოცნება ჭკუაზედ ახლოა და სრულიადაც არ არის მოკლებული ჯეროვანს საფუძველს. ოთხი ხუთის წლის განმავლობაში არაფრისაგან მლიონი თანხა გაიჩინა ნევთიერად უღონო გლეხობამ და ამ ათის, ოცის წლის შემდეგ ხამ ეგ თანხა ათ მილიონად გადიქცევა, რადგან თანხას სარგებელი ცალკე ემატება და ყოველ წლიურა გადაება ოც-ოცი გირვანქა პურისა კიდევ სხვაა. საქმე ისეთ სწორე გზაზეა დაყენებული და ისე გონიერულადაა მოწყობილი, რომ სამეურნეო თანხა განუწყვეტლივ, საზღვარ-დაუდებლად, დაუსრულებლივ უნდა იზრდებოდეს.

მაგრამ ყველაზე საყურადღებოა და თან გასაოცარი შედეგი ის იქნება, რომ ამ ფულის სარგებლით ჩვენი გლეხი სა-

<sup>24</sup> მართალია ოცდამეცამეტე პარაგრაფი წესდებისა არ იხსენიებს მრავალს აქ დასახელებულ საზოგადო საჭიროებას, მაგრამ იქვე, ამ პარაგრაფის ასახსნელად მოვიყვანეთ განმარტებითის წერილიდან ის აღგილი, სადაც ნათქვამია, რომ რაკი სოფელი მოდონიერდება ამ თანხის წყალობით, რაკი მეურნეობა გაძლიერდება და განკეთილდება, რადა დაუშლის შემდეგულ კაცს, თავის სიუხვისა და ნამეჯანობისაგან პირველ-დასაწყისი სკოლაც გაიკეთოს და უნივერსიტეტიც იქონიოს, მკურნალიც იყოლოს და აგრონომიც დაიჭირავოს? არაფერი.

ხელმწიფო ხარჯს გაისტუმრებს და ველარ ვნახავთ,—ჩვენ თუ არა, ჩვენი შთამომავლობა მინც, —იმ სულის შემსუთველს სურათს, როდესაც ჩათარი მათრახით აწიოკებს და არბევს სოფელს, „ფრატის“ ფული და „ნედლომკა“ გამოიტანეთო. მაშინ სოფელი ჩათარს თვალთაც ველარ ნახავს, მამასახლისი თავის დროზე მიართმევს სახელმწიფოს მისს ხვედრს და შინ არხეიწად დაბრუნდება.

მეტად სამწუხაროა დღეს ჩვენი სოფლის ნივთიერი ყოფა-ცხოვრება. სოფელს გაუჭირდა ცხოვრება, ხარჯმა და ბორჯმა შეაწუხა, დასჩაგრა, წელში მოჰლუნა. საქმე იქამდე გამწვავდა, რომ თითო-ორი სოფელი თავის მარჩენალს მამულზე უარს ამბობს, წაიღეთ, აღარ გვინდა, ოღონდ „ნედლომკებისაგან“ გაგვანთავისუფლეთ, აღარ შეგვიძლიან მათი გაძლოლაო<sup>25)</sup>. ამ სამწუხარო გარემოებას რუსეთის მწერლობამაც კი მიიქცია ყურადღება და თან განცვიფრებას მიეცა, ეს რა ამბავიაო?<sup>26)</sup> ის ამბავია, ვიტყვით ჩვენ, რომ სოფელს მართლა გაუჭირდა უზომო ხარჯის გაძლოლა და გაჭირებული კაცი, მოგვისწავთ, ყველაფერს მოიქმედებს.

აი სწორედ ამისთანა გაჭირებულს დროს ჩნდება წესდება, რომელსაც აზრად აქვს მაშვრალსა და ტანჯულს შემწეობა მისცეს. დრო მეტად შერჩეულია და შესაფერი, უკეთეს ქაშს თავადი შარვაშიც ვერ ამოარჩევდა თავის ყოვლად საქების და თანაგრძობის ღირსის აზრის განსახორციელებლად. მისი პროექტი შემწეობად ხელის გაწვდენა წყალში ჩავარდნილ კაცისათვის.

აქვე არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ დასასრული იმ მეთაურის წერილისა, რომელიც დასწერა ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ. ამ წერილში ბ-ნი ჭავჭავაძე, როგორც ხეშოთაც მოვისხენიეთ, დიდის ხელოვნებითა და მოხერხებით აღნიშნავს ამ წესდების მნიშვნელობას. ავტორი ამბობს:

<sup>25)</sup> ს. ნათარეული ლამის გაწყალდეს, ისეთი დიდი შეუტანელი ხარჯი აწევს კისრად (82,000 შ.). ს. კონდოლში საკუთარი მამულის პატრონი გლენ-კაცნი (ზს კომლი) უარს ამბობენ შესყიდულ მამულზე, ორთავე საქმეს ამ ჟამად საგლეხო საკრებულო იხილავს და ჯერ არ გადაწყვეტილა.

<sup>26)</sup> მაგალითებ, გაზეთები *Рус. Вѣдомости* და *Нов. Время*.

„ხოლო აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ მკითხველისა მასზე, რომ თუ ყოველ წელს ასე იმატა ამ საზოგადოებურმა ქონება— და დაწესებულება ისეა, რომ არამც თუ ამდენად უნდა იმატოს, არამედ ბევრად მეტი—ერთ ათ-თხუთმეტს წელიწადს შემდეგ რა სანატრელი-ღა ექნება ჩვენს გლეხ-კაცობას, რომ გაუჭირვებლივ არ აისრულოს? ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია მთელის სავსებით და მრავალგვარობით ის მართლა და დღეს გონება-წიუწლომელი შედეგი, რომელიც ამისთანა დაწყობილებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს, ის გაფართოებული ცხოვრების მოედანი, საცა ამ გზით გაღონიერებული ხელი გლეხ-კაცობისა მთელის თავის უშურველობით და მხნეობით მისწვდება. ჩვენ მარტო ეს და დაგვზაენია ვინატროთ, რომ შევესწრათ, როცა ამ დღევანდელ დიდს ნათესა მოძკის ჩვენი მერმისი .“

„ჩვენო თავად-აზნაურობავ, შენ რაღას ჰფიქრობ? ნუ თუ ეს საოცარი მაგალითი საკმაო არ არის, შენც რამე ამისთანა აღმოგაჩენინოს შენის უღონობის და უძლურებისაგან თავის დასაღწევად? თვითველი ცალკე სჩივით თქვენს უნუგეშო ყოფას და აი გზაც ხსნისა: თვით-მოქმედება და შეერთებულის ღონით საზოგადოებურ ქონების შედგენა თქვენდა საყოველთაო და საერთო საქარობის გასაძლიერად“.

მესამე წელიწადი მიდის<sup>27)</sup>, რაც გაისმა ეს ენერგიული მოწოდების ხმა—შევუდგეთ შეერთებულის შრომით თვით მოქმედების გზას ჩვენისავე ცხოვრების განსაკარგებლად, ზურგი შევაქციოთ ჩვენს დამლუპველს ჩვეულებას, სხვის თვალ-პირში ცქერას და გამოთხოვას, ღალადს—ვიღუპებით, გვიშველეთო.. დღეს, ქვეყნის საბედნიეროთ, ეს ხმა შეუსმენიათ და უკვე წრევანდელ გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებას წარედგინა განსახილველად სიღნაღის მაზრის მარშალის თავ. ანდრონიკაშვილის მიერ შედგენილი წესდება, საცა, როგორც ამბობენ, გატარებულია ის დედა-აზრი და პრინციპი, რაც ბნ ტფილისის გუბერნატორის წასდებას ასულდგმულებს და სანატრელსა ხდის. იმედი უნდა ვიქაიოთ, რომ ის კომისია კეთილ-შობილთა,

<sup>27)</sup> წერილი დაბეჭდილი იყო 29 მარტს, 1892 წელს.

რომელსაც გადაეცა განსახილველად თ. ანდრონიკაშვილის წესდება, ჯეროვანის ყურადღებით და მხნეობით მოეკიდება საგუბერნიო კრების მინდობილებას და საქმეს მალე დაავიკრავინებს. წესდების განხორციელება მით უფრო საადვილოა, რომ თავდაზნაურობას უმაღლესად აქვს მინიჭებული უფლება ხარჯი გაიწეროს თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

სანუგეშო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს აგრედვე წრევანდელი სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის კრების გადაწყვეტილება—გადაიდოს ათი პროცენტი იმ სასყიდელისა, რომელსაც აქამდე გამგობა იღებდა თავის სასარგებლოდ,—სასოფლო სამკურნეო თანხის შესადგენად. ასე ურჩია საზოგადო კრებას ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ და გაგვიკვირდა, რომ თითო-ორიოლა ორატორმა კამათობა დაიწყო და ეს სარჩიელი კენჭით გადასაწყვეტ საგნად გაჰხადეს. განა აქ დიდი ლარი და ხაზია საჭირო, რომ მიხვდეს ადამიანი სიდიადეს ამ სარჩიელისას, განა აქ ხმის ამოდება-ლა იყო საჭირო? ქართლ-კახეთის თავდაზნაურობა გლეხ-კაცობაზე ნაკლებ არ არის დაცემული ნივთიერად; შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი ეკონომიური მდგომარეობა უფრო საშინაოა, ვიდრე გლეხ კაცობისა, რადგან გლეხს მუშაობა ენერხება და კეთილ-შობილი წოდება კი ჯერ-ჯერობით მიჩვეული არ არის ოფლის ღერას ლუკმა პურის მოსაპოვებლად. ახალ-გარემოებას და ვითარებას ჩვენი თავდაზნაურობა მოუშინებელი დახვდა და ამისთვისაც მამა-პაპეული მამული ზელიდან ეკლება ნელ-ნელა. უარესის ასაცილებლად და იმის შესარჩენად, რაც აქვს დღეს ხელში, თავდაზნაურობა მოვალეა უარ-ჰყოს ძველი გზა ცხოვრებისა და აიოჩიოს ახალი გზა თვით-მოქმედებისა. ეს ახალი გზა ღვთით უკვე ნაპოვნია და ნუ თუ კეთილ-შობილი წოდება ვერ შესძლებს იმას, რასაც ახერხებს უვიცი, განუფითარებელი, ლატაკი გლეხ-კაცობა? შესძლებს, თუ გულით მოისურვა და წრფელი სურვილი ხომ მოგვხსენებათ, საქმის ნახევრად გაკეთებას ჰნიშნავს.

სწორედ სანატრელი დრო იქნება ის დრო, როდესაც სამი წოდება ჩვენის ქვეყნისა, ნივთიერად გაღონიერებული (სა-

მღვდლოცობა, ცოტად თუ ბევრად, უზარუნველ-ყოფილია ნიჟ-თიერად) თავისუფლად და დამოუკიდებლივ, შეგებრძვის ცხოვრებას, ადვილად არავის დაუთმობს თავის ადგილს, ბინას, ენას და სარწმუნოებას, ერთის სიტყვით, ყველა იმ ძვირფასს განძს, რომელიც სულთა, საიდუმლოთა ეროვნობისა და ურომლისოდაც ვერ ვერ ეროვნებს და ქვეყანა ქვეყნობას ვერ გასწევს.

დასასრულ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ მშვენიერ სიტყვას, რომელიც წარმოსთქვა წრევანდელ საადგილმამულთა ბანკის კრებაზე ჩვენმა ნიჭიერმა, მხნე და დაულალავმა პუბლიცისტმა ბ-ნმა ნ. ი. ნიკოლაძემ. ორატორმა საფუძვლიანად სთქვა, აქამდის ჩვენი ბანკი თავის არსებობისათვის იბრძოდა, ძალ-ღონეს იკრეფდა, წელში გამაგრება ეჭირებოდა. დღეს-კი ბანკი ისეთს მაგარ საძირკველზეა დამყარებული, რომ მისი შერყევა დიდს კოარიანტელსაც კი გაუჭირდება. მაშასადამე, დროა სწორედ ესლა საადგილმამულთა ბანკი შეუდგეს იმ აზრის განხორციელებას, რომლისათვისაც იგი დაარსდა, ესე იგი, დახმარება გაუწიოს ჩვენს სასოფლო მეურნეობას, ხელი შეუწყოს, იზრუნოს მემამულეთა და მიწად-მომქმედთა საჭიროებისათვისაო. დრო და ვითარება შეიცვალა უკანასკნელის ოცის წლის განმავლობაში. ევროპაში მეურნეობამ საკვირველის სისწრაფით წასდგა წინ ნაბიჯი: მეურნეობას ხელს უწყობს მრავალი დაწესებულება, კერძო საზოგადოებანი, მთავრობა და განძრახ მეურნეობისთვის დაარსებული კრედიტი<sup>28</sup>). სამელიორაციო კრედიტმა სწორედ საკვირველება მოიქმედა პოლონიაში და ისეთს მწირ ქვეყანაში, როგორც არის მთა-კლდიანი, მკაცრი და ქაობიანი ფინლიანდია. ჩვენში კი მეურნეობა ისევ ისე მიჩანჩალებს და მილონლილებს, როგორც მამა-პაპათა დროსაო.

<sup>28</sup>) გერმანიასა და შვეიცარიაში, მაგალითებრ, დაარსებულია ბანკები, რომელთაც აზრად აქვთ უყიდონ მიწად-მომქმედს საქონელი. ასეთია Сельско-хозяйственный Банкъ въ Трири და Коммунальные кассы кантона Тюргау. როგორ, რა წესით და რიგით ეხმარებიან ეს საკრედიტო დაწესებულებანი მიწად-მომქმედს, დაწერილებით არის აღწერილი გაზეთ Рус. Вѣд.-ში. № № 245 და 248, 1893 წლისა.

სწორედ დროა და ბანკის გამგებელნიც მოვალენი არიან დაიწყონ ახალი ხანა ბანკის ცხოვრებაში, ხანა ჩვენის დაცემულისა და ყველასაგან მივიწყებულის მეურნეობის გამოცოცხლებისა. ასეთი მოქმედება ჩვენის ბანკისა ბრწყინვალე მომავალს მოგვიმზადებს და ჩვენი თანაგრძნობა ამ საკრედიტო დაწესებულების მიმართ ერთი ათად და ასად იმატებსო.

კრებას გულის ჩასწვდა როგორც ბ-ნ ნიკოლაძის მოწოდება; აგრედვე ბანკის გამგებელის სარჩიელი და, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, დაადგინა: დაარსდეს განსაკუთრებული თანხა სასოფლო მეურნეობის ხელის შესაწყობადაო.

ა. ფრანკელი



# მეფე ირიკლი მეორის

## დოკუმენტები\*)

სისტორიო მასალა

### II

ქ. ჩეკნი მინება არის: ვაჟასაშვილო მდივანო დავით, მეტყე ცხინკალის სამოურაოს გამოსავალი ნახეკარი ჩეკნი არის და ნახეკარი მინებასი გოგასი. რაც ჩეკნი წილი აყო, ის შენ გეპბარეზოდეს. დავთარს დაიჭედე. რაც მოკიდოდეს, იქვე მამასახლის არუთინას მინებასდე და ჩეკნს მოხედეებს ანტარიშს აჩეკნებდე. კარგა გაუფთხადდი, ჩეკნი სარგო არა დაიკარგოს რა. აღიწერა მისის კდ ქს. უნდ.

მეფე ერეკლეს  
დიდი ბეჭედი

\*) ამ დოკუმენტების ორიგინალები ჩვენ გადმოგვცეს: №№ I—IX და XI—ბ. დავით კარიკაშვილმა, რომელმაც ბეჭედების აღწერილობაც წარმოადგინა; № X—ბ. გიორგი ნამორაძემ და № XII—ბ. ვასილ ყიფიანმა. ორიგინალები უკან დავებრუნეთ ბბ. კარიკაშვილს და ნამორაძეს. ხოლო ბ. ყიფიანის გადმოცემული ორიგინალი, მისი სურვილისამებრ, გადავეცით „წერა-კითხვის“ საზოგადოებას.

ყველა ამ დოკუმენტებს აზის მეფე ერეკლე მეორის ბეჭედი, რომელიც სამწიროა: ერთი — დიდი, რვა-კუთხიანი. შუაგულში მხედრულის ხელჩართულის ასობით ამოჭრილია მეფის სახელი: „ერეკლე“. ამის გარშემო ამოჭრილია მხედრულის ასობით სიტყვები: „კახეთის მეფედ ცხებულის ქნარს მიცემს დავით მიკომობს ძედ“. მეორე — შუათანა, რვაკუთხიანი, შუაგულში ხუტურის მთავრულის ასობით ამო-

II

ქ. ჯვარის მტკირთოველო, ჩვენ მაგეირად ჩვენს სასოებას ნი-  
ქოხელ ეპისკოპოსს დაკითხ წმიდას მარჯვენას ამბობის ყოფა  
მოსსენდეს. მეჩუ მანდ ზემოსკითხ გუთნის დედა ბერი რომ დგას,  
ის წმიდის პორტაიტას დ-თის მშობლის მონასტრისათვის შეგვი-  
წირავს ჩვენს სასტრეფიელს შვილის კასტანგეს მოსასსენებლად  
და იმის სასუფიეროდ და უნდა შენ გებაბობდე და შენი ამასათი  
ოყოს, ან აჩსად წავადეს, ან არ იყაროს, ან აჩაინ-არა შესცოდოს  
და გასაჩუგოს ეგ კატი, სანამდის ეს გაბრიელ მღვდელ-მონაზონი  
მოკიდადეს. აღიწერა აპრილის 8 ქეს უნდ.

მეფე ერეკლე  
დიდი ბეჟედი

III

ქ. ჩვენ მაგეირად მდივანს ჯვარსაშვილს დაკითხ ასე უამბეთ:  
შენა წიგნი მოგვიდა. რაც დაგეწერა, ყველა კიუწყეთ. დაიდ კარ-  
გად გეკმნა რომ ამბავი შეგეტყო და მოგეწერა. დაიდ დაკმადეთ.  
ამას იქით კიდე რაც ამბავი შეიტყო, რომლისაც მერადან, ადრე  
და მალე გავცოდინე. ან იმერული მართალი ისმინო რამე, ისიც მო-  
გეწერე. რომელიც მანდაური საქმე და ეგ სოფლები გრწმყსება,  
მაგ სამსხუარისა, შემოსაკლისა და ანგარიშის ბეჯითი იყავ. და ამ-

პრილია მეფის სახელი: „ერეკლე“. ამის გარშემო ამოჭრილია მხედრუ-  
ლის ასოებით სიტყვები: „მეფე ბთ განბანილთა მი ერეკლესია  
ვადიდე“, და მესამე — პატარა, ოთხკუთხიანი, მოგრძო, ზედ ამოჭრილია  
მხედრულის ხელ-ჩართულის ასოებით მხოლოდ მეფის სახელი „ერეკლე“.

რადგან ისტორიული დოკუმენტების დაბეჭდვა არა ერთხელ მოგვი-  
ხდება ჩვენს ჟურნალში, აქ საჭიროდ ვპოვებთ სამუდამოდ განვმარტოთ,  
რომ ორიგინალების მართლწერას შეუცვლელად ვსტოვებთ, თვით სხვა-და-  
სხვაობასაც მართლწერისას: მაგალითად, ორიგინალებში სწერია ზოგან  
„მერმე“ და ზოგან „მერე“, „ქცხილვანი“ და „ქცხივლი“, „უამბეთ“ და  
„უანბეთ“ და სხვ. ზოლო დასახელებელ ნიშნებს, საჭიროებისამებრ, ახლად  
ვუსვამთ.

ოვდ.

ბაკს ნუ დაგვაკლებს. ქარუმიბე და შენ მანდაურს სსქმეს და ანგარიშს  
გასწმედდეო სოღმე წლითა წლად და დავთარშა გაატარებდეო. ქეს-  
შობის (გ) ქეს უნზ.

მთვე ერეკლეს  
დიდი ბეჭედი

#### IV

ქ. ჩვენი ბძსება არის: ქცხალჯანის მამსისხლისო და ქცხი-  
ლჯანელსო, ნაცვლის გარიგება როგორც თქვენში დასტური იუოს  
და რაგვარადც განწყობული გქონოდესო, ამ ჟვანსიშვილს მდაიანს  
დავითს ნაცვლობა ისე ამოქმედეთ. დამხეედრნი კანნი იქნებთან და  
ზოგს თქვენ მოსწრებისართ. როგორც რიგი იუოს, მეტს ნურც  
ეგ მონდომებს და ნურცარას თქვენ დააკლებთ. რაც მავისი სავი-  
თსავია, ან ლიტრა, ან ადლი, ან დავთარის ნსავა და დაბეჭდვა, ან ჟა-  
რიმისა, რაც დებულება ყოფილიუოს, ისე მოაქციეთ ეგერ და თქვენც  
ისე მოაქციეთ. ივლისს ვდ ქეს უნზ. ქ. და თუ მართბუღი არ  
ყოფილიუოს და არა გდებოდესო რა, არცა რა სსქმე მავსა აქვს.  
ჩვენ ასეთს რქმს გაძლეეთ: თუ ყოფილიუოს, ნუ მოუძლით და თუ  
არ ყოფილიუოს, ნუ განწყობებთ.

მთვე ერეკლეს  
დიდი ბეჭედი

ქ. ღ-თნ ბედნიერის კელმწიფის ჭირი მათ მიწას ჟვანსიშვილს  
დავითს მოძრეს. ძველი სიკელი მქონდა ცხილჯანის ნაცვლობისა.  
ღ-თნ გაგიმარჯოს თქვენგანაც წყალობა დაგვემართა და ნსკეარ სს-  
ცვლობა გვიბოძეთ და იმ ნაკლების სსავა რიგად წყალობით შეს-  
რულება გვიბძსეთ. ცხილჯანის ნაცვლობის განწყობა ეს იუო: თუ  
რამ თემს ეთსობოდა, უნაცვლოთ არ უნდა დაწერალიყო, დავთარ-  
ზე ნაცვლის ბეჭედც მჟდარიყო. ვისაც მეტი თუნგი ექნებოდა, ან  
ლიტრა, ან ნაკლები ადლი, ჟარიმას წყართმეკვენ. აკვარობისა და ჩსუ-  
ბის ჟარიმის აიღებდენ. რაც მოურავისა ეჯათ, აიღებდენ. გასამ-  
ურელო ანუ უღაყა თემი ნაცვალს რიგით ზურს ატმეკდენ. ცხილჯა-  
ნის ნაცვალი მშიერი არავის უნასავს. უნდა თქვენი ბძსება და რქმი  
ასრე დაიწეროს მამსისხლისა და თემსე: როგორც დასტური ყოფი-

ლიუოხ, თვითონაც ისი ქნან; ჩვენც ის გვაქნევიონ. ოცი წელიწადია იქაური ნაცვალე ვარ. უკელა საქმე მკითხვია და ჰურჩი რიგით უტყვიათ და ბძანება თქვენი გათავდეს. დაიწერა თიბათვის იე ქ-ს აქეთ ჩღაჭ.

V

ქ. წაალ ყაფლანის შვილი და იარალის შვილი იარალი რომ კაცსკად ლაზარაკობდნენ, წაალ ყაფლანის შვილმა რესს მსასლობელი ბერი კაცი სასყიდა იმოწმა. ამ ბერმა კაცმა წასყიდამ ან ასე დაიფიცოს, რომ ის გლეხი წაალ ყაფლანის შვილის გლეხი იუოს და ან ასე დაიფიცოს, რომ არა იცოდეს რა და ან ასე დაიფიცოს, რომ სხვის ემა იუოს. გლასა ციცის შვილო, ასე აღასრულე. როგორც დაიფიცოს, დაწერინე და მოკვიტანე, რომ იმ კაცის ფიცსკად უნდა გარდაწუდეს მისი სამართალი. აღიწერა ღვინობისთვის 9 ქეს უაა.

მეფე ერეკლეს  
შუათანა ბეჟ.

VI

ქ. ჩვენ ბძანება არის: ვინც ამ წაალისაგან მამულს იყიდის, იცოდეს წავართმეუთ. ამ წაალისაგან მამულს ნურავინ იყიდით, გაკვიფთსილებინსართ. გათათვის იე ქეს უაა.

მეფე ერეკლეს  
დღი ბეჟედი

ქ. დ-თნ ბედნიერის სელმწიფის კირი მათს იერსთა მტკეპრს ვაჟასისშვილს წაალიშვილს დიმიტრისა და რომის მოსტეს. მერმე ამას კვედრები თქვენს მოწყალეებს, რომ მამა ჩვენი გალარობდა და სელ მოკლეთ შეიქნა და მეტის სიღარბისაგან მამულსა ყმებსა ჭყიდის და ავინავებს და საბოლოად ჩვენთვის აღარასა ნაღვლობს და ჩვენ საცოდავთა და საწყლად ვრჩებით. ესლაც ერთი კენახი და ბიჭი დაუგინავებია. ამ მოწყალეებს ვითსოუთ, ერთი ბეჟედი თი ოქმი გვიბოძოთ, რომ ჩვენი მამული იმის სიტყვით არავინ

იუიდას და არცა კინ დაიგირაოს, რომ ბოლოს თქვენის მოწყალე ბით ჩვენც გამოვიჩინდნეთ და არ დაგვეკარგოს მამულ დედულო სამკვიდრო და მოწყალეო სელმწიფეო ერთი ბეჭითი ოქმი კვიბოძეთ. მკათათვის ი ქეს უმც.

## VII

ქ. ჩვენ მაგიერად ამილახორის შვილებს იოანეს და ნიკოლოზს მოკითხვა ეუწყოს. მერმე ამას წინად თქვენ წიგნი მოგეწერათ. აქვე თქვენს ქვეყანაში მოსვლა და ცხოვრება სადმე გინდათ. დიად რიგინი საქმე მოგინდომებიათ. ახლა ჩვენც ასე გწერთ, რომ წამოსვიდეთ აქ, ამ ქვეყანაში მოხვდეთ, ნურას კაცისაგან საიუქრებელი ნურა გექნებათ რა. ლუთის მოწყალეობით აქ მოსვალთ და ქრისტიანობაში. მოაწიკეთ. არა გავიჭირდებათ რა. თქვენს ქრისტიანობას უფიქრელად თაყანსა სცემთ და კიდევ. დარჩებით, ასე იცოდეთ. აღიწერა გიორგობისთვის 6 ქეს უმც. ქ. თქვენი წიგნები მოდის. ამ ქვეყანაში მოსვლა სადმე გინდათ. კინცაგინ თქვენი ნათესავები და თვისნი არიან, გვესკეუბიან. ჩვენც გვიასიება, რომ აქ მოხვდეთ და თქვენს სამშობლოს ქვეყანაში იცხოვროთ. ამასთვის გწერთ ამისთანას წიგნს.

მეფე ერეკლეს  
დიდი ბეჭელი

## VIII

ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენგან დიდად პატრიცეშით სხისოკარს და არაოდეს არ დასავიწყარს მისს ბრწყინვალეობას ამილახვაროკს ბატონის იოანეს მრავალი მოკითხვა უამბეთ. მერე ამას წინათ თქვენგან ჩვენთან მოსვლის წადილი გავიგონეთ და მაშინვე წიგნი მოგწერეთ, რომ თქვენც და რომელნიც თქვენთან აქაურნი იმყოფებიან თაკადის შვილი თუ სხვანი ჩვენთან მოსვლა არ დაგვეკიანებინათ. თქვენგანვე მოწყირილის წიგნით გამოგვიცხადეს რომ ჩვენგან მოწყირილი წიგნი არ მოგსვლიათ. კიდევ ბეჭითად გწერთ: თქვენ-

ცა და ვინცა ვინ მანდ აქაურნი იმყოფებიან რომ არ დაიგვიან-  
ნათ ჩვენთან მოსვლა და სათრიჯამი ბმანდებოდეთ რომ ჩვენგან ნი-  
ადაც ღირსებისაებრს შატიჯის ტემას, წყალბას და სიკეთეს ჩვე-  
ნის შეძლებით არ დაიგდებით არც ერთი, რომ თქვენს გამლებინებს  
არ ვეცადნეთ. გიორგობისთვის ვდ ქეს უოგ. ქ. თქვენც კარგად  
იცით ჩვენის ქვეყნის შეძლება. რითაც შეძლებით თქვენი ამხანაგნი  
ჩნებიან, თქვენც ამითან უნდა დასჯიდეთ.

მეფე ერეკლეს  
დღი ბექელი



ქ. ჩვენი ბრძანება არის: რომელნიც ერეკუნელების ურმების მო-  
ასილნი იმყოფებით მერე ამ მუსტოფი მირზა რაბის ყმებთან საქ-  
მე ნურა გაქვსთრა და სხვათ კი გამართავით. ამის ყმებს ნუღარ  
შეაწესებთ. ოკლამბრის კვ ქეს უოგ.

მეფე ერეკლეს  
დღი ბექელი



ქ. ჩვენ მაგერად ერთობით თიანულთ, ახნაურთ, სამკვდელთ  
და მოსელეთ და გლესთ ასე აცნობეთ. მერე ეს ორმოც და ექვსი  
წელიწადია ჩემთან გილაშქრით და კვამლის კარა რომ დაგვიანარე-  
ბისნართ, და ან მამაცობრივ და ან კიდეკ ნახეკარ კვამლი და ან იმა-  
ზედაც ნაგლები, არას დროს სწორედ არ გამოსულსნართ. ვისაც მი-  
ზესი ჭქონია გამოუსკულებობისა და ვისაც არა ჭქონია, ისიც მრ-  
ვალნი არ გამოსულსნართ სოლმე. მაგრამ მამა-თქვენი და შავა-თქვე-  
ნი უფრო სალისით და უფრო უნაკლულად მამის ჩემის დროს და  
ჩემს დროში გამოადიდენ სოლმე და უფრო მოაწილებას იქმოდ-  
ნენ იმ ჯარაიანობაში. და თუ ვინმე ეგების დაგვაკლდებოდნენ, სან  
მიუტოვებდით და სან მცირედ გარდავანდევინებდით. მაგრამ მე თუ  
არ თქვენისა და ჩემის საწმენოებისა და ჩემის ცოლისა და შვი-  
ლებისა და თქვენის ცოლებისა და შვილების წაუსდენლობისათვის,  
თქვენი გარჯა და თქვენი ლაშქრობა არც მიყარება და არც მიუწარს

თუ არც ჩემისა და თქვენისა სარგებლისათვის. და აქამდის თუ ასე არ მექნა, მეცა და თქვენცა ვერც ჩვენს წმინდას სარწმუნოებას, ვერც ცოლსა და შვილს ვერ შევიანსევდით, ამისათვის რომ სამუდამო მტერი გეყავს და რაინც კი ეყოფილვართ, ღვთით ცოტასედაც და მრავალსედაც სასულოვანი გამარჯვება მიგვიღია და თქვენი დიდი და ჩვენი შესამატი ყოფილა. ახლაც იქნება, რომ ზოგმა ერთმა დაღოსტინის კაცმა და ზოგმა ჩვენმა მსჯობულმა მტერმა ჩვენი მტრობა მოინდომონ. და მე ახლაც ამას გწერთ რომ ეს შეტუბილი გქონდესით რომ ყოველი კაცი შემევიდრე და კისანი მოხად იყვნეთ, რაც შეძლება გქონდესთ, ხაცბით, დასურვიით, ტყუიით, წამლით, გონება და თვალი ღვისაგენ და ჩვენსგენ გაჭირბოსთ. რასაც წამს ხემა წიგნი მოგივიდესთ დახარებისა, მაშინვე დაუფოგანებულად ჩემთან უნდა იბოკებოდეთ უკლებრივ ყოველნი მამაცობრივ. ღვის მოწყვლებით ასე რომ გამოსვალთ, ორმოცი ათასი კაცი შეიყრებით, და ასე რომ გამოსვალთ საფასი დიად მალე გადასწყდება. და ამ ჩვენის შერობიადამ ქართლიდან და კახეთიდან ამ აწინდელს დაშქრობაში სხვაგან არ წავიყვანთ. ამაში ვინც ნაკლებობას იკმარებთ, ღვისც შემცოდვე იქნებით და ჩვენც ისევე გარდაგანდვიანებთ. და რელიც ამ ჩვენს ბძანებას ისმეით და იმ სახით ჩვენთან მოხვალთ და ერთგულად დასდებებით, იმ კაცს ეს წყალობა დაემართება, რომ სამს წელიწადს არც საჩვენო სათხოვარი და არც საჭკვეინო სათხოვარი კარს არ მოგადგებთ. რამეღნიც ამ ჩვენს ბძანებას აღსირულებთ და გამოსვალთ, ასრე შეგისრულებათ. და რღნიც ნაკლებობას იხმარებთ, და ურჩებას ღვისა სარწმუნოებისა და ჩვენს მუხანათად გაწდგანებად, და ეს ჩვენი წიგნი რომ მოგივიდესთ, ყოველმ სოფელურად უკლებრად გამოსვლის ხათრითხამობის წეწილი უნდა მოგვიკეთ თავადმა, აზნაურმა, სამღვდელმა, მოხეჯეთა და უკლესთა, ყოველმ კული უნდა მოაწერეთ და ისრე გამოგვიგზავნეთ ახლავ. და ესეც ასე იცოდეთ, რომ ღვის მოწყვლებით ამ მტრის ძლევა მოხდება. რამელიც მაშინ თავადი, აზნაური, თუ უკლესი სასულოვანად გაიბეება ამ ახატობას გარდავსწერთ ამას: თავთავის სახელდღო მიეცემით ხათრითხამად იცოდეთ. ამ წაგნსედ ჩვენს ბეჭედსა და ჩვენის შეილებს ბეჭედსა გისხამთ და ისრე გაძლეეთ ჰირობას, და თქვენც



ასრე სათრევანნი უნდა იყენეთ. იანგრის ბ ქეს ურგ. ქ. ვეელ-საგან სელის მოწერა რომ მოგვიწერია, სოფელ-სოფელ მებატონემა და მოსელემა, და მღვდელმა მოაწერონ სელი, იმათი კმარა.

მეფე ერეკლეს დიდი ბეჭედი      ოთხ კუთხ. ბე-ქედ-გიორგისა      რვა-კუთხ. ბეჭ. იფლონისა      რვა-კუთხი ბ. ვანტანგისა

უნდა წაიღოს ესე იოანე ჯიმიშვირიშვილმა და ამისი ჰასუხნი ამანკე უნდა მოგვიტანოს როგორც დაგვიწერია.

მეფე ერეკლეს პატარა ბეჭ.

XI

ქ: ყალფაშვილო ზადდასარ, ჩვენის მოსაწყემის თეთრიდან თაყუა-შვილს ისაიას თაკის ელის თანსად ორას ორმოცდა სუთი თუმა-ნი მოეც. იქნება ნასვეარი ორკბჭ ამდენი რომ მოსცე ყაზნი მოა-წერინე. თუ ამ თანძილისა სსკა ამისი ბართი გამოსნდეს, ბათი-ლია. ფეხურვალს ა ქეს უშბ.

მეფე ერეკლეს პატარა ბეჭ.

XII

ქ. ჩვენ მავიერად მურგანის შვილის ქანოსროს ასე უამბეთ: მერე ამდენი ხანია გავისტუმრეთ და არცა რა მანდაურა ამბავი შეგვატყობინე და არც ნაყოფი გვაჩვენე რამე. ნაყოფი ესე, რომ არც რიგინად ჯარის წასვლა მაგ ორსავ ქვეყნიდან, არც სურსათის მიცემა რიგინად, არც ყარაულების დაყენება და არც ჯაშუშე-ბის გავსაჯან, საცა ადგილები არის. თუ მაგ ორსავ ქვეყნიდან ან ჯარი და ან სურსათი დააკულ ჩვენს შვილს, იცოდე შენ ჩვენ-თინ თავს ვეღარ იმართლებ. აღბად ბუჯითი იყავ რომ ჯარი და სურსათი არ დააკლო. და ამას წინად სულთანსაც და ალაღარებსაც წიგნი მივსწერეთ, რომ, თუ სჯობდეს, ჩათინდადზედ ამოვიდნენ, და იმის ჰასუხი ვეღარა შევიტყუეით რა. და ასლა კიდევ მაგათ შენ გამოუცნადე, თუ სჯობდეს ჩათინდადზედ ამოვიდნენ, და იქ დად-

გენ. და თუ სამკობინარი არ არის ჩათინ დაღზედ ამოსულა, ნუ ამოკლენ; სარა დგანან, იჭაკ დადგენ. და წინაზედ ალი სუღთანს წიგნი მოკსწერეთ და თავის კაცის ხელით გამოუგზავნეთ. და იმის ზასუხი არა მოგვივიდა რა მაგისგან, და იმ ჩვენის წიგნის ზასუსს ასლას მოკვლით თავის მოჭტახარის კაცით და წიგნით. და ჩათინ დაღზედ ამოსულა, როგორც სუღთანს და ალაღარებს მოკსწერეთ, ასე გვგონია, რომ ჩვენის შვილის ალექსანდრესათვისაც მოკვამწეროს, და სწორეთ კი არ გვასხომს. და ღ-ის მოწყვლებით ამ ორსაოდ დღეში ან ჩვენ წამოვალთ ხუთი ექვსი ათასის კაცით და ან ჩვენს შვილს იუღანს გამოვისტუმრებთ. ამ ხუთს ექვს ათასს კაცს რომ ვიწერებთ, ესენი ახლას აქ მზას არიან და დღე დღეობით ემატებიან. ესენი ქართლისა და კასეთის ჯარი არის. ჯერ მთის კაცნი და უცხოეს ქვეყნის ჯარები არ მოგვისვლიან. დაბარებულნი არიან და მოკვლით. და ჯერ ქართლისა და კასეთის ჯარი არც მესამედი მოსულა, და არც მთის კაცნი მოსულან, ჯერ არც იმურლები და არც ლეკები, და ჯერ ღ-ის მოწყვლებით იმ გვარი ამბაჟი არა არის რა, და მაგათი ჩათინ დაღზედ ამოსულა არც ჩვენ გვემკობინება. და ფარნისათვის თუ ჯერ ცხენები არ გაგვგზავნოს, ალბად სანქაროდ უნდა გავგზავნოთ. დაგვიანება არ იქნება. ალაღარებისათვისაც მოგვიწეროს და შენც დიდად იბეჯითე მაგ ცხენების გაგზავნასაც. ივნისის იდ ქ. უზბ. ქ. და იმ ფარნისათვის ჯერ თუ ცხენები გაგზავნილი არ არის, და დღეს იქ მისული არ არის, სწორედ ჩვენს მტრობა არის, სხვა არაფერი არა არის რა.

მეფე ვრემელის  
დიდი ბეჰედი

# საერო პოეზია

შექმნა და დარღვევა საერო პოეზიისა, — მისი ისტორიული  
და კულტურული მნიშვნელობა.

## I

სიტყვიერება საერთოდ ეწოდება მთელს რომელსაშიც კრის სიტყვითი ნაწარმოებს. იგი შეიცავს ყოველგვარ მეცნიერულ ნაწერს ქვეყნიერების შექმნა-მოწყობილებასა, კაცის ყოფა ცხოვრებისა და განონმდებლობა — აღმინისტრიციაზედ. სიტყვიერებასვე ეკუთვნის უხელოვნო საერთო ნაწარმოები ვადრე სელოვნურ ქმნილებამდე დამის, ღირვის და ეპოსისა. სიტყვიერებას კერძოდ ვუწოდებთ ლიტერატურას, ბელეტრისტიკას (ფრანგულად belles lettres) ანუ ნაწერებს პოეზიის და ენამეტყველებისა. მასთანადვე ისტორია ლიტერატურისა წარმოგვიდგენს ისტორიას საზოგადოების აწროვნებისა, რამდენადაც იგი გამოისატა პოეტურ თხზულებებში. ამიტომ სიტყვიერების ისტორიის დანიშნულება ის არის, რომ შემუშავებულ იქმნას თანდათანობითი განვითარება რომელსაშიც კრის ლიტერატურისა ერთად მის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აწროვნებასთან. მოგვისუნებათ, რომ ლიტერატურა და ცხოვრება გადამხელნი არიან მტკიცე კავშირით, დაასლოებუნნი არიან ურთიერთის ზედგაკლენით. რამდენადაც სისწრაფით, სრულადაც, მარჯვედ მიდის წინ საზოგადოებრივი ცხოვრება, იმდენად სავსეა და მდიდარი მასველ-გონიერულ შინაარსით სოლიტერატურა ქმნილებაც. წინსვლა ცხოვრების წინ სწევს ლიტერატურასაც, ამლევს ასალს მასალას დასასურათებად, აფართოებს მის სარბიელს. აგრედვე სიტყვიერებაც თავის

შინაარსით ემსახურება სასოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას: იგი ავრცელებს სასოგადოებაში ახალს სამეცნიერო ცოდნას, უსერგავს ბრწყინვალე იდეებს გამომწინდელ მოაზრებას, უკეთესს იდეალებს ანუ სურვილს ბუნებით დაჯილდოებულ ჰოეტას. ამისთვის ლიტერატურა არის ძლიერი და სასწაულმოქმედი იარაღი ერის განათლებისა და განვითარებისთვის. იგივე ლიტერატურა არის უტყუარი საჩუქრად სასოგადოების კულტურული მდგომარეობისა, რომლის სურვილი-ნი, კინებანი, მიდრეკილებანი გამოიხატება საესკედ და ცოდნად. მაშასადამე ისტორია ლიტერატურისა აძულებს ერის სულს და გულს, ანუ ერის მსახილოვანს. უკერ არ არსებობდა წერა-კითხვა, როცა ერი თავის ბედს და უბედობას, აზრსა და გრძობას აფრქვევდა ლექსად და არაკვად, მოწიწებით გადასცემდა ჩემირად შემდეგს თაობას, სასოგად და დასაცეკვლად. აი ეს ხეყნამდის მოწეული მთელი-სალხის ჩემირი ნაწარმოები არის დასაბამი ერის ისტორიისა და მის ლიტერატურულ განვითარებისა. საერო სიტყვიერება დროთა განმავლობით იცვლებოდა და ხასიათი ამ ცვლილებისა შეთანხმებულია სასოგადოების განვითარებასთან. ერის განვითარებაში და მაშასადამე მის სიტყვიერებაშიც შენიშნულია სამი ხანა ანუ პერიოდი: მითიური, გმირული და ისტორიული.

მითიური პერიოდი არის უუძველესი ეპოქა ერის ცხოვრებისა, როდესაც იბადება მითები ანუ ამბები ქვეყნის, დემონების და ხალხის განენის შესახებ. მითები გვიხსნიან, ერის შესუდულებით, დემონების ხასიათს და მოქმედებას და მათს დამოკიდებულებას ქვეყნიერებასთან. კარება ამგვარის ამბისა შეადგენს მითოლოგიას, რომელშიც დაცულია ერის რელიგიური რწმენა, კოსმოგონია ანუ მოთილოიის შექმნა, მისი ცოდნა და ფილოსოფია. მითოლოგიაში აღნიშნულია ორი ეპოქა—სტიქიური, როდესაც ხალხი სტიქიურ ძალას სთვლის ძალად არსებად, ავიროვნებს მას დთვის სახით, უმორჩილებს ყოველსავე ბუნებაში და თავის საკუთარ ცხოვრებაში. მეორე ეპოქა—ანტროპომორფიში, როცა ერის ფანტაზია დემონების მოქმედებას და ცხოვრებას სახაჯს კაცურის ფორმით და თვისებებით. სტიქიურ მხარეს ავსებს ჩნობითი ხარისხი დვთაობისა, დემონები ჭხდებიან სხვა-და-სხვა ჩნობრივ თვისებათა ავიროვნე-

ბულ არსებთ: ერის ფანტაზია ჭქმნის ღმერთებს ცოდნისას; მართლ-  
მისაყულებისას, პოეზიისას და სსკ. ესეთა ბუნებითი ელემენტი  
შეადგენს საღისის ცხოვრების მითიურ პერიოდის განმასსვავებელ  
სასაითს. ის ქართული არაკები, რომელნიც მოკვითსრობენ ცის  
მნათობების, ქვეყნიერების გაჭავების და გველეშაშუბას შესასებ ეკუ-  
თვნისან ნაწიკეთა ქართველთა მითოლოგიისას.

გმირული პერიოდი არის პირველი ნაბიჯი ყოველის ერის  
ისტორიაში, როცა საზოგადოება, განცალკევებულს თემებად დაყო-  
ფილი, შეუსვენებლად ებრძვის თავის ქვეყნის ბუნებას და ნელ-ნელა,  
დიდის წვალებით, იმორჩილებს მას მოთხოვნილებებისაძებრ, ებრძვის მე-  
ზობელ თემებს, რათა გააფართოოს თავისი მამული ანუ დაიცვას უძვე-  
ლესი შექმნილი ავლადიდება. ერის ფანტაზია იმ პირთ, რომელ-  
ნიც იღებენ გამაჩინილ მონაწილეობას ამ არსებობისთვის ბრძოლაში,  
სდის გმირებად, ზესთა ბუნებით არსებად, ნახევარ ღმერთებად. ამ  
გმირების სურათით ერი გვისატყავს თავის იდეალებს სილამიზის,  
ღონის და მამაცობისას, სერსიანობისა და სიმარჯვისას, ანუ მოკ-  
ლედ იდეალს ფიზიკურის და სხეობრივის ძალისას, ერი იცვავს მდლო-  
ბით მოგონებას ამ გმირებისას, გარდასცემს შემდეგს თაობას მთ-  
სურათს, გასწავლებულ და ღთაებრივის შუქით ამოღებულს. ამ გვარ  
გმირულ ლექსებიდან სანდასან შესდგება სოლემ დიდი პოემა ანუ  
პოეზია, როგორც ილიადა და ოდისეა, ლექსები როლიანდზედ ანუ  
ნიბელოუნგებზედ. გმირულ პოეზიის ნიმუშად სკენში შეიძლება დაკა-  
სასელოთ ლექსები ამირანის, როსტომის, აბესალომ და ეთერის  
შესასებ.

ისტორიული პერიოდი ხაფხის ცხოვრებაში იწყება იმ დრო-  
დან, როცა ერი სტრუქტებს თემურ მდგომარეობას, ითვისებს მოქა-  
ლაქურ ცხოვრებას და ადგენს საზოგადოებას სასულემწიფო მოწყო-  
ბილობის ფორმით. როცა საღისი დიდის სნის გამოცდილების შემ-  
დეგ გაიწინობს და დაუხსლავდება ბუნებას, მამინ რწმენა «საკვირ-  
ველისადმი» სუსტდება, ბუნების მოკლენიანი ჭკარკვეს ღთაებრივი პი-  
როვნებას და წარმოუდგებიან თავისი ნამდვილის სასით: ნელ-  
ნელა მითი და ებრძეა უთმობს ადგილს ისტორიას. ეს საში პე-  
რიოდი გაიარა ყოველმა ერმა. მითიურ და გმირულ შინაარსის მო-

not  
NB

თსრობანი შეიცვალნენ ისტორიულ ლექსებად. საქართველოში აქამდინ მღერის ერეკლე და არჩილ მეფეზედ, მოგვათსრობენ ამბებს თამარის და ლეკანის შესახებ, ასსოვთ ამილახვარი, ზურაბ არაგვის ერისთავი, შიოლა ღუდუშაური და სსკ. მიხაიურს და გმირულს ჰოქიას ამ ათი-სუთიქტის წლის წინად გადამეტებულ მნიშვნელობას აძლევდნენ გერმანულნი და რუსეთის მსწავლეუნი. ჰოქიას და რელიგიის საერო ხასიათზედ ამყარებდნენ ნათესაობას სხვა-და-სხვა ერთა შორის. მართლთა შედარებით შესწავლამ ინდო-ევროპულ ხალხთა გამომარევიან, რომ ოჯახობრივისა და თემობრივის მდგომარეობის დასაწყისი, პოეტური და რელიგიური გარდმოცემათა საფუძველი ეკუთვნის არა სლავიანებს, გერმანელებს ასუკლასიკურ ხალხებს, არამედ შეადგენს არიულ ხალხთა საერო ეკუთვნის ამ დროიდან, როცა იგინი ერთად სცხოვრობდნენ შუა აზიაში, მაგრამ ამასთანავე შესწავლამ სსკ ტომთა რელიგიისა და ჰოქიასამ აღმოაჩინა მსწავლეუნი ერთნაირი მსწავლეუნი, ოჯახობისა და მითოლოგიისა არიულ და არა-არიულ ხალხთა შორის. ამიტომ ესლავიან რელიგიას და ჰოქიას აღარ უთვინებენ ისეთ დიდ ხარისხსაგან მნიშვნელობას ტომთა ნათესაობის დასამყარებლად, როგორც ლინკვისტიკას და ანტროპოლოგიას ერთგვარი ხასიათი ჰოქიისა და რელიგიის სხვა-და-სხვა უნათესავო ერთა შორის ამ უმად ისსნება საერთო მსოფლოვითი თვისებით და შინაარსის გარდაცემით ერთის ერისგან მეორე მოსამზღვრე ხალხისადმი. მსმსადამი, ეკვლა ის არაგვი, რომელნიც ტრიალებენ ამ თუ იმ საზოგადოებაში, არ ეკუთვნის განსაკუთრებით მის შემოქმედებითს ძალას, — როგორთი მათგანი შეადგენენ საერთო განმს სრულიად განცალკევებულ ერთა, ან დამყარებულნი არიან ესრედ წოდებულ მოსიარულთ სიუეტზედ, როგორც ჩვენს «კატის ომი».

## II

ხალხის სიტყვიერების ქმნილებას ეკუთვნის: 1, ზღაპრები, სკაგები და ლეგენდები; 2, გამოცანები; 3, იტაგები და არაგები; 4, შელოცვანი; 5, გარდაცემანი და 6, ლექსება. პირველი ჯგუფი გვი-

ხსნის ერის ფანტაზიას, მეორე—მის მასვილ გოანერებს, მესამე—  
—ცხოვრების დაკვირვებას, მეოთხე—რწმენას, მესამე—მესსიერე-  
ბას და მეექვსე—უძიარესად გრძნობას.

საერო ლექსებს ვუწოდებთ მხოლოდ იმგვარ ლექსებს, რომელ-  
თაც ერთპირიანი ავტორი არასოდეს არ ჰყოლიათ, —მისი სასე-  
ლის დარქმევა არ შეგვიძლიან. პოეზია ბუნებრივი თვისებაა კაცის  
ანსიუობისა და პოეტური გრძნობა და მის გამომეტყველება შეთან-  
სიმბუღის საზოგადოების კულტურულ მდგომარეობასთან. რამდენ-  
დაც ერი ნაკლებ განვითარება განათლების პირველს ნაბიჯს, იმდენ-  
დაც მასში ნაკლებია მნიშვნელობა კერძო პირისა, უხილავია კერძო  
ხსებობრივ თვისებათა გამოაშვარავება და ძლიერია ერთგობობა,  
ერთნება და ერთხეობა მთელის საზოგადოებისა. ამ პირვანდელ  
მდგომარეობაში პოეზიას არ აზის ბუკედი პირიველის ქმნილები-  
სა; პოეტური ზეგარდმო შთაგონების ნაყოფი ნაწივეტ-ნაწივეტად  
ჩასახული არ იწერება დასაცელებად, როგორც ერთის პირის საკუთ-  
რება, მწერლობა ჯერ კიდევ არ ემსახურება კერძო აზრების გამო-  
ხატვას და მათი საზოგადოებაში გავრცელებას. პოეტური ნაწივე-  
ტი, შექმნილი უცნობის პირისგან, გადადის ანუ გადაცემის მე-  
ორეს, მესამეს და ამ უგანასკნელთა პოეტურ ატეხულების გავლენით  
იცვლება პირვანდელი სასიათი ლექსისა, ემატება ახალი შედარება,  
ავლდება ერთი-ორი თვისება. ერთის ნათქვამს მეორე ითვისებს, რო-  
გორც საკუთარ ქმნილებას, თავის გულიდან აღმოცემულს და ამი-  
ტომაც დაუბრკოლებელივ, გაუტებრად უმატებს სხვისგან შექმნილს  
ლექსს და ამავე თვისს საკუთარ სულის მომძრაობას, ასკამს  
ახლს ბუკედს გარემოცულ საზოგადოების და ბუნების შთაბუკედი-  
ლებათა თანხმად. ამგვარად ჩასახული ლექსნი, დამატებულინი, გა-  
შლამინებულნი იწოდებოდნ და შეეჯახებინ სხვა ადგილას გამოთ-  
ქმულ ლექსებს, ერთდებიან და მთელდებიან. ერთი ლექსი გადაბმის  
მეორეს, ერთი არავის ნაწილი ჩაერთვის მეორე აზვის შინაარსს და  
ამგვარად ითხება გრძელი ლექსები და ზღაპრები გარეგანის შეხე-  
დულებით ერთის შინაარსისა და დაბოლოებისა. ასეთი სასიათისა  
სახალსო ზღაპრები და ლექსები ტარიელსედა, სადაც თვალ-საჩინოდ  
მოსჩანს სხვა-და-სხვა ტოტიდან შემოკრება ლექსთა და არავთა ნა-



წვეულებების უმთავრესის გმირის გარშემო. თუმცა სელაჯუკურად გა-  
დაბმულს ლექსებს ეტყობათ სიმეტრიც და შეურყეველობა, მაინც  
საღსოი ტრიადის დროს პირდაპირ გარდაცემის გაკვლით, მათ არ  
ავლდებთ შესწორებას, დამატება და გამოკლება: — და ამ წვლილებათა  
მიხედვით ირდევინს კიდევ სრულებით და უტოვებენ თავიანთ ელე-  
მენტებს ახალ ლექსების და არაკების შესადგენად. რაკი ერთსეულ  
გამორკვეული იქმნა სხვათი ზღაპრისა და ლექსობისა, მაშინ სე-  
ჭირთა მსოფლიდ ერის ფანტაზიამ გადაახას ერთმანეთს ნაწვეულებ-  
ბი, რომელიც მის შესწორებაში დატყუნი არიან. ამითი ახსენება,  
რომ პრეტენსი ლექსების და არაკების შექმნისა აქმდის სწარმოებს  
იმვე სხვით, რომორც უმეველეს დროს.

ლექსი უმეველესი ფორმისა ერის ქმნილებისა. ლექსად უნდა  
ყოფილიყუნს ჩვენშიც ის ლოცვები, რომელსაც წარმოთი ქრთვე-  
ლი მიმართავდა თვის ღვთაებას (დააკვირდით ჩვენს შელოცვებს).  
ლექსად ერი აფრქვევს მას, რაც სულს და გულს უგანესებს, ლექსს  
სთს-უჩავს იმიტომ, რომ ალექსებული გრძნობისთვის შესაფერ-  
ვზა მოკლებინს, — და მისი გრძნობიერება სომ გამოწვეულია ცხოვ-  
რების და ბუნების მოკლენით. ეს სიანლოვე ლექსისა ერის გუ-  
ლის-ცემისთან არის მიხეზა ლექსის შეცვლისა, რათა ამ შეცვლით  
შეეფარდოს ახალს საზოგადოებაში დატრიალებულს ძლიერს გრძნო-  
ბას. მასთანადე მიხეზი ლექსის ვარინტებად დაყოფისა მის არ-  
სებაშია დაფარული, მაგრამ რაკი საღსის ცხოვრება, მიუხედავად კ-  
რძო განსხვავებულ მოკლენათა, საზოგადოდ ერთი და იგივეა, ამიტომ  
საერთო ზოგზიაც იცვავს უმთავრესი თვისებით ერის სასიერებას.  
ლექსები წინათობისა, გადაცემულნი შემდეგ თაობათა განცდევნი-  
ბულ ვარინტებად, იტოვებენ შეუცვლელად ჩვეულებრივ სასათს და  
ქლასს შენაარსისას. ძირითადი შეცვლა საერთო ზოგზიისა მამის სწა-  
რმოებს, როცა ირდევინს ჩვეულებრივი მიმდინარეობა ერის ცხოვრე-  
ბისა. მაგრამ ახალ კითარებად გამოწვეულ ლექსებს და ლეგენდებ-  
შიაც შეიძლება გამოირკვეს წინანდელი ლექსთა ნაწვეულები, ძველი  
ზოგტური სურათები, სელაჯუკური ელფერი და ხან მთელი მოთხრო-  
ბაც, რომელიც თვისის სხვათით არ ეთანსმება თანამედროვე ცხო-  
ვრების ნიშებს. რამდენადაც კულტურული მდგომარეობა შემდეგ

თაობათა უცვლელია, იმდენად ახალ ლექსების მოტივები უბრუნდება ძველს შინაარსს. რამდენადაც ხელის ცსოკრებზე ეცვლება მიმდინარეობა, იმდენად ლექსით-თსზვა ძლიერდება და სსკაფურდება. N10

საერო ქმნილება—ლექსია თუ არაკი—შეთსხული სამშობლოს ერთს გუთსეში გადადის მერე, მესამეში გარეგანის ცვლილებით. თუ სსკა-და-სსკა ნაწილთა შორის რომელიმე ქვეყნისა მტკიცდება განუწყვეტელი მუდმივი მისვლა-მოსვლა, მეზობლობა, მასში საერო ქმნილებაც ინსება დახლოებულ კარანტებად, როგორც მაგალითად როსტომის ლექსები თუ შ-ფშავ-სეეს-ურეთში. პირაქით, სისუსტე მისვლა-მოსვლისა იწვევს განსსკაებულ კარანტებს ერთისა და იმავე ლექსისას, ხანდახან იმდენად დაშორებულებს, რომ პირველი შესედეით განაღებულ ქმნილებას ემსგავსებთან.

### III

შესანიშნავ ცვლილებას ერის ცსოკრებში აჩვენს წერა-კითხვის გავრცელება, რომელიც სსკაგარ მიმართულებით ატრიალებს ჰოეტურ ქმნილებას. წერა-კითხვის მცოდნე ჰოეტი თვის სეგარდმოცდაფურენის ნაყოფს იტაცს წერლით, აძლევს შემუშავებულ სივრცეს და სეგანეს, ძლას და დონეს, ჭფიქრობს და სვის განცალკევებული და აბიტომაც ნაყოფი მწიფდება დამთავრებით, სელაგნურ ფორმით, რომელსაც არცა-რა მოემატება-რა და არცა-რა დააგდება-რა სსკის სურვილისამებრ,—ჭდება იგი სულიერ გუთსენილებად ერთის პირისა. თუ შეიხვედმა მოიწონა და გაიმეორა კიდევ ამ გეარო ქმნილება, მანც კარგად იცის, რომ იგი მას არ ეგუთისის და მის შესწორების უფლება არა აქვს. გარეთ სასული ჰოეტისა, თუ არა—სულ ერთია: მის ნამუშავარს აზის ღმა ბეჭედი ერთ-პიროკანის აკტორისა. აქნება დიდის ხნის პირადად გადაცემის წყალობით ჰოეტის ლექსის აღმოუჩნდეს კარანტები, მაგრამ ეს კარანტები იქნება მტრაცვლებით დამსინჯება ორიგინალისა და არ ჩათვლება ჩომძღურ ფორმად, როგორც კარანტები საერო ქმნილებისა. წერის საშუალებით ეძლევა ჰოეტის ნაწერს სამუდამო მისგან მოწონებული ნორმა. შეუცვლელია ფორმისა, მიცემა შეთავებული სასი-

სა ერთის მწერლის კადმით, კუთვნილება ერთის ავტორისა—აი უმთავრესნი განსხვავებანი ლიტერატურულ თხზულებათა საერო ქმნილებათაგან, რადგანაც კუთვნილება მთელის სახლისა და აუცილებელი, უსამღვლო კარნაფია შეადგენს საერო ზოეზიის ნამდვილს ნიშნებს.

წერა-კითხვის გავრცელება სრულის ენას, ხასიათს, აზრის გამოხატვას, კონტექტებს და მთლად საერო ზოეზიის მიმართულებას. განსხვავება განათლებულთა ენისა სახელსო ენისაგან არის საერთო მოკლე და დამოკიდებულია მასზედ, რომ განათლებულთა რიცხვი ნაკლებია დანარჩენს, უმეცრებაში შთანქმულს ერზედ. მრავალგვარი ცოდნა, გაფართოებული შესუღულება, უცხო ენათა შესწავლა ჰბადავს სახლს სიტყვებს აზრის გამოხატვაზედ, ახლს კონსტრუქციას წინადადებათა შესაკავშირებლად (ზედ-დათუღნი წინადადებანი, პერიოდები), რომელსაც უარჭყოფს ხალხური ენა. ამგვარად ჩნდება კერძო შირთა თხზულებათაგან მდიდარი სიტყვიერება, რომელიც თვისის შინაარსით და ხელაგნობით საგრძნობლად განირჩევა საერო ზოეზიისაგან.

განათლების გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ერი ითვისებს წერითი ზოეზიის ხასიათს. ჰბამავს განათლებულთ ენით და ლექსით, რომელსაც ცდილობს შეადგინოს ლიტერატურული კილოთი. თუმცა კერძო შირების ნაწერები გარცხლდებიან ხალხში, მანც შირადი სიტყვიერება არ ისპობა, შექმნა ლექსებისა სწარმოებს ძველის მეთოდით, რომელსაც გავლენის ბუკედს ახამს ხელაგნურ ლიტერატურა. რაკი ლიტერატურის გავლენა დატყობა საერო ზოეზიას, ეს უგანსიხელი ნელ-ნელა მახინჯდება და დროთა განმეგობობით ისპობა. მდაბიო კაცს, რომელსაც არ მიუღია შირველ დასაწეის განათლებაც, შეუთვისებია ცოტა რამ განათლებულთაგან, ჰსურს მიემსროს და დაუახლოვდეს გარეგნობით მანც სასურველ ცხოვრებას, იწუნებს ძველს თავის ლექსებს, რადგანაც იგინი აღარ ეთანსმებიან ახალს იდეალს, ითვისებს ლიტერატურულ ხელაგნურ ზოეზიას, მაგრამ შეუგნებლივ ასწორებს, ამახინჯებს დრმა აზრებისა და გრძნობის გაუგებრობის გამო. ამვე დროს მდაბიო კაცს უერერ გაუწევეტია ძველს ცხოვრებასთან კავშირი და ამიტომ ლიტე-

რატურულ ლექსებთან მღერის თვის გულიდან ამონაკვესს ლექსებს, შეცვლილებს კულტურულ დასას ზედ-გაველენით. მაგარდნილ კუთსე-  
 ებში, როგორც სკანეთში და მთაში, საერო პოეზია ნაკლებად ემო-  
 რნილება განათლებულთა გავლენას.

დასაველეთ ევროპაში ლიტერატურული გავლენა დიდი ხანია შე-  
 ევასა საერო პოეზიას. ჩვენში ამ პოეზიას თუმიცა სიტყვების მ-  
 ჯა მაგრად უცემს, მაგრამ წერა-კითხვა და დახლოება განათლებულ  
 წრესთან შესცვლის ხალხის შესვდულებას და პოეზიის ხსიათს. გ-  
 ნათლება უსათუოდ ინაცვალეს საერო პოეზიას, დაავიწყებს ხალხს  
 და მოგვიპაბს უსატირეს მასალას ჩვენის ისტორიისას. ამიტომ  
 სასურველია დავეშუროთ საერო ნაწარმოებთა შეკრებას, რომელნიც  
 საყურადღებონი არიან, როგორც ჩვენთვის, ისე საერთოდ მეცნიე-  
 რებისათვის.

## IV

ლიტერატურის ისტორია სწავლობს თვით ცხოვრებას კი არა,  
 არამედ მის სურათებს, ილიუსტრაციას მრავალგვარ თსზულებათა  
 შემწეობით. ამიტომ ლიტერატურის ისტორიის საგანი არის საერ-  
 თოდ იდეები, ანუ დედა-აზრი, რომელიც შეესება კაცის შესვდუ-  
 ლებას ჭეუნიერებასა და მორალს. ეს იდეები სსვა-და-სსვა სარი-  
 სსსედ ცხოვრების დროს არ წავაკანანს კრთმანეთს. რამდენადაც კა-  
 ცი მიდიოდა წინ, იმდენად იცვლებოდა მისი შესვდულებაც ზნეობა-  
 სა და ბუნებაზედ. ამ პოეზიისათვის იდეების ანუ წინამსვლელო-  
 ბის ისტორიას პირვანდედ დროს, როცა წერილი ლიტერატურა არ  
 არსებობდა, წარმოგვიდგენს საერო პოეზია, რომელიც ცნობილია  
 პირველ ნაბიჯად კულტურული კიბისა ერის განვითარებაში. ერმა-  
 ნულის მსწავლეულის ჭერდერის აზრით, საერო პოეზია საცავია მეც-  
 ნიერებისა, რელიგიისა, კოსმოგონიისა და თეოლოგიისა, არქივია  
 წინაპრთა საქმეებისა და საჩუკა ერის შინაურ ცხოვრებისა.

საერო პოეზია გვიხატავს კულტურის სთავს, ავსებს იმ  
 ნაკლს ჩვენის ისტორიულ მასალებისას, რომელნიც ნაკლებად მო-  
 გვითხრობენ ერის სულიერ და შინაურ ცხოვრების წვლილსა და

ქნის. ამ შემთხვევაში შეგვიძლიან მიუკნოდოთ საერო ნათქვამს, რადგანაც საღსი თვის ცხოვრების და გრძნობის აღსაბეჭდად არ მოსტუეუდებოდა, ცრუ გზას არ დაადგებოდა. საერო ჰოეზია აშუქებს წარსულს ზნეს, ჩვეულებას, რელიგიას, რომლითაც ბევრი ახისნება ძველს ისტორიულ ნაწერებში. რაც მემეტანეს არ ჩაურთავს ისტორიაში სსვა-და-სსვა მიხეზით, ის შეიძლება წავიკითხოთ ერთს გულის ამონათქვამში, რომელიც დაკავშირებულია წარსულ ავთან და კარვთან. ასალი ცხოვრება უცხად კერ სცვლის ძველს მიმდინარეობას: ასალი მოთხოვნილებასა და აზრებთან ჩაწულია ძველი ჩვეულებრივი წარმოდგენა, რომლის გამოჩენკვა დაგვისატავს წინა-კულტურულ პერიოდს. ამირანის მოთხოვნიებაში მაგალითად სამკაკარი ხანა დაცული: წარმართული, ებრაული და ქრისტიანული.

ქრისტიანობის გაგრძელებამ შესცვალა ნელ-ნელა საერო ჰოეზიის მიმართულება. ქრისტიანობამ წამოაყენა «სასულიერო ლექსები», რომელთა გმირნიც ებრძვიან ბოროტ ძალას, ქაჯებს და ეშმაკებს. საერთოდ ქრისტიანობამ პირველადვე კერ შესცვალა საღსის შეხედულება. ძველი ღმერთები ისევე არსებობდნენ, მხოლოდ გადაიჭცნენ საღსის მავნებელ ძალად, ქრისტიანობის მტრებად, ქრისტიანობამ მოჭფინა სინათლე და შეიტანა საღსში ასალი იდეები. საღსს ეს იდეები უნდა შეემუშავებინა, შეეთანხრობებინა და შეეთანხმებინა შეთვისებულ გარდმორცმისთან, რელიგიურ რწმენასთან, მორალურ შეხედულებასთან: უნდა მომხდაროყო ბრძოლა ასალს და ძველს იდეებს შორის. წარმართულნი შეხედულებანი თითქმის შეუცვლელნი დარჩნენ, მხოლოდ მიიღეს ასალი ფორმა, შეიმოსეს ქრისტიანობრივი ელფერი. როდესაც ცხოვრებამ წამოაყენა წარმართულ და ქრისტიანობრივ იდეალების შერიკების საჭიროება, მაშინ შესდგა «სასულიერო ჰოეზია». ეს ჰოეზია ირის ძვირფასი საუნჯე ერის კულტურის გამოსაკვლევად. სასულიერო ლექსებში აღნიშნულია ზნეობრივი მდგომარეობა და გონებრივი განკითარება ერისა. ამ ჰოეზიის შემწეობით შეგვიძლიან ვადკნოთ თვალი, როგორ ვრცელდება ერში ქრისტიანობრივი სწავლა. ლექსნი ნოეხედ, იობხედ, აბრამხედ, ქრისტეხედ და იოანხე ნათლის-მცემელხედ, რომელნიც დაჩნენილნი არიან ჩვენში, მშენიერად ასურბათებენ, რომელ მხარეს

სასარების სწავლისას მიუხედავად ურადლებას ერისა. ამ ლექსებში გამოთქმულ აზროვნებით ერი ჭსსის საკითხავეს ქვეყნის შექმნა-გაქენისა და თვისის მოკვლეობისას. ლოგიკურ აზროვნებით ყველას კერ მისვდება კაცი და შესაძლებელია, ამბობს პროფ. კლაუდიუსი, რომ ამ გვარ აზროვნებით ვიგებთ სრულიად მცირე ნაწილს მიუწოდებლისას; ამ შემთხვევაში დიდად საუარესობა შესწავლას სასულიერო პოეზიისა, რომელსაც შეუძლიან აკვირსნას სალიტერატურო ისტორიის საკითხავეები და აღნიშნოს ერის კულტურის მდგომარეობა.



ისტორიკოსისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო პოემის ანუ ეპოპეიას. ეპოპეიაში დატულია ის ისტორიული ამბავი, რომელიც მოწაწილობას იღებდა მთელი ერი. ამ გვარი შემთხვევა მოქმედობს ერის ფინტაზიასად, ღრმად იდგამს ფესვებს მის გულში და ეს ძლიერი შთაბეჭდილება აჩის ის ისტორიული მარცვლი, რომლის გარშემო იკრებიება ერის ფინტაზიის ნაყოფი. დროთა კოთარებით ამ პირველს ნაყოფს ემატება კიდევ «საკვირველი» ანუ «განსაცვიფრებელი» თვისება, ზეციდან ჩამოდის მოქმედების ასპარეზზე მთელლოგიური პირნი. ბუნების სიმბოლური ძალნი ჩაერთვიან პოემის კაცის სისით და მიწიერი აჩსებანი სდებიან ნასკვარ ღმერთებდა და გმირებდა. პატარ-პატარა ლექსები შექმნილნი ბრძოლის ველზედ სისიძღვროდ ანუ სუფრასად შესაქცევრად ისმარებიან, უკვე გახდილნი, გაგრძელებულნი და თავ-მოყრილნი ერთის შესანიშნავის გარეობის გარს, რომელიც აპირობს ერის ურადლებას, დაასლოებელია წარსულ ცხოვრებასთან, ნაცდას აკთან და კარგთან. ამ დროს ერთის ნიჭიერის პოეტის გაკლებით ეპოპეია ითვისებს სრულიად დაბლოებული სელოკურ ქმნილების სახეს.

რომ პირველად დაწუობილ ლექსებიდან შესდგეს ეპოპეია, საჭიროა: 1, რომ ლექსები არ იყენენ ჩაწერილნი, თორემ მომავალ ეპოპეისთვის მათი შეცვლა შეუძლებელი შეიქმნება 2, ლექსნი უნდა

MB

პოემა  
1-2  
MB



იყენენ დაწყობილნი იმ დროს, როცა ხალხს ბრძოლა აქვს მესობელ ერთან, როცა ჯარის-კაცი და მისი წინამძღვარი ერთი რწმუნით, სურვილით და გრძნობით არიან გამსჭვალულნი; წინააღმდეგ, ლექსნი მუშაკის გრძნობის დასატეობად კერ შეიმოსებოდნენ გმირულის იყრადბით. 3, ამ გვარი ლექსნი უნდა შეპოვიან იფინენ შესანიშნავის ამბავის გარს, უმასროდ ჩქარა მიეცეპოდნენ დაიწყებს და კერ შეიკსებოდნენ ფანტაზიის მიერ გამოგონილი სურათებით. ისტორიული ლექსები ყუელან წყარო იყო საერო კომპიუსა, ამ გვარ პატარა ლექსებიდან შესდგა ჭომიროსის პოემები «ილიადა» და «ოდისეა». ნიადაგი, რომელზედაც ასენდა პოეზია, არის ისტორიული ამბავი, ის დრო, როდესაც ნაწილი ბერძენთა გადასახლად მცირე აზიასში და იქ მოუხდა ბრძოლა იჭურ ხალხებთან. «ახალიდასა» — შეუგულს და თავდაპირველს პოემის ნაწილს — მიემატა სხვა გმირთა ამბებიც და ბოლოს შეერთდა ჭომიროსის კენარობით ერთს პოემად. «ილიადა» და «ოდისეა» წარმოადგენს საუკეთესო წყაროს ბერძენთა ცხოვრების შესასწავლად მეცნრე და მეტრე საუუუნემა ქრისტეს წინად, შესასწავლად, როგორც მათის რელიგიისა, აგრედვე პოლიტიკურის და სოციალურის მდგომარეობისა.

მართალი უნდა ვთქვათ, საერო პოეზია დრობი წყაროს პოლიტიკურის და სოციალურის წესწობილების შესასწავლად. უუქელები დროის გამოსაქელებად, სხვა მასლების უქონლობის გამო, საერო პოეზია რჩება, რასაკვირველია, უმთავრეს წყაროდ. ხალხურ პოეზიას ბერძენ არა მოეთხოვებოდა. ნუ დაკავიწეებთ, რომ ლექსი ექუთენას მდაბიო კაცს, რომელსაც შეუძლიან დაგვისატრს თვისი საუუთარი ცხოვრება, მატურიადღური მდგომარეობა, განბრვი და ზნეობრივი მუხედულება. ისტორიკოსის მოთხოვნილებას სრულად კერ აკმაყოფილებს საერო პოეზია, მერამ, სცა კი საქმე შეეკება ერის გრძნობას, ლექსები დაუუასებუდი და შეუდასებუდი წყაროს ეს შეუღობა გრძნობის საერო ლექსებში ახსნება ამ უქანასენელთა სიხლადკით ხალხის გულის ცემსთან და საერთოდ ცხოვრებასთან. გრძნობა არის ლუთაბრივი მადა აზრის აღმადრენისა, გრძნობა არის ის შეუუქეუდი ნიადაგი, რომელზედაც ჭეკადება ზნეობრივი მიმართულება. ამდრომაც ლექსები ძირფესი განბია ჩვენის ერის



გულტურის შესასწავლად. ზატივისცემის ქაჯისა და მოსურვისა, ერთ-  
 გულება მამულასა და მეგობრისა, სიყვარული თავისუფლებისა და  
 დამოუკიდებლობისა, საწმინტოებისა და სწავლობისა სიმტკიცე—აი  
 დედა აზრი ყველა ჩვენის საერთო ლექსებისა, რომელიც შეგვრებილ-  
 ნი არაინ მთავრად და ბარბის. ბეგრს ჩვენგანს უსარტებლია ამ გან-  
 მით ერის რელიგიისა და ჩვეულების შესასწავლად. საქართველოში  
 სიმღერა შეადგენს ერთს აუცილებელ თვისებათაგანს. ქართველს ამ-  
 ლერებს მსიარულებაც და მწესარებაც. სიმღერაში გამოსთქვამს მას,  
 რაც აღეგებს მის სულს და სხატრავს მის გულს. დედა აგანში  
 მწოდარე ბაჭის უმღერს ტრბილს ნანას; ნანაში გამოთქმულია სი-  
 ყვარული ემაწავლისადმი, და მერე დასურათებულია ცხოვრების იდე-  
 ალი, რომელიც მოსარბდა უნდა იქონიოს სასეში, რომ გამოვიდეს  
 კეთილი, მამაცი, მოწილე, სასარგებლო ქვეყნისა და დედ-მამისთ-  
 ვის. სტუმრება რომ სადილად დასსდებიან, იტყვიან «სუფრულს»,  
 რომელშიაც მასპინძელს გულუხვობისათვის ქებას უმღერებენ; შემდეგ  
 მოაჩივლებენ ამ სოფლის ამოებასედ და ბოლოს მივლენ იმ დას-  
 კენამდინ, რომ კაცის ჩატრელის, ყოველთვის უგმაყოვილო გულის  
 გამსწეება-განგურება შეუძლიან მსოლოდ ღსინს, რომელსაც არაინ  
 არ უნდა მოერიდოს; მაგრება რომ გვირგინოსან მეფე დედოფლი-  
 თურთ კავას სასლისკენ გაემგზავრებთან გადასკვეენ კათმანეთს  
 სელს, გაუძვებან წინ «გვრიტებსა» და ახოვანას სმით დაიწყებენ  
 მსიარულს დასურულს:

*Handwritten notes:*  
 თქვენი  
 1930  
 1935  
 1937  
 1938

„მოვდრვართ, მოვიხარინ,  
 თან მოგყავს წყვილი ხობობი“...

ამას დაუმატეთ სიმღერა შობის წინა-ღამეს «აღლო», ბო-  
 ბის კვირასში «ქონა», სსვა-და-სსვა ფერსულის სიმღერები, უამუ-  
 ლი, სიმღერა ვენასის შემუშავებისა, ყურძნის დაწურვისა, სენისა,  
 ფარცისა, ლეწისა და სსვა-და-სსვა, რომ საკმარისად დაწმინ-  
 დეთ, რამდენ საირად ჩაწულა სიმღერა და ღიღინი ერის ცხოვრება-  
 ში, რა ძვირფასს მასადას იძლევა ეს ზოგადი ერის გონებრივისა  
 და ხეობრივის საზრდოს შესასწავლად.

VI

არაკებიდან უნდა გამოიკრიბოს ის ამბები, რასაც ბერძნები მიიღეს უწოდებდნენ. მითა, ამბობს ცნობილი ლანგუაისტი ჰოტოფრიდ მიუღლერი, წარმოდგენს ან იმას, რაც მოხდა, ან რასედაც ხალხი ფიქრობდა. ხანდახან ეს ორივე ელემენტი—რეალური და იდეალური—მითურ ამბავში ერთად არის მოქცეული. მითი, აუცილებელი საზრდო ერას გონების მოძრაობისა, შესდგა ცხოვრების მოთხოვნილებით, გარეშე ერის ცნობიერებისა. მითი გვიხსნის ერის რელიგიურ წარმოდგენას, გვიხსტავს ისტორიული ფორმით რომელსაღე მის იდეას. მითისაგან განიხილავს სავა, რომელმაც დათარგულაა ნამდვილი ისტორიული ამბავი. ეს სავა ანუ სკერო პოლიტიკური გრადმოცემა, შეეგლერას აზრით, მიუძღვის რომის ისტორიას. ნაბურთი ხომ რომის ისტორიას დასაწყისად სთვლიდა სკერო პოეზიას. საქართველოს ისტორიაში ამ პოეზიის გავლენას სავამისად მისხანს. ჩვენს წერილებში კვალად სავა პოეზიის ქართლის ცხოვრებაშია ვედილობით აღვკვირებთ ის სავაგეონაწერი დათარგული ხალხის გრადმოცემა, რომელად ჩვენს მემატიანეს ჩაუწერია. ჩვენ აღვნიშნეთ მამინ კტიოლოგიური მითები, ესე იგი ის მითები, რომელნიც ცდილობდნენ ახსნათ მიხეცი რომეფისაჲ წესისა, სასეაწოდება აღვილას, მოტივა წნე-ჩვეულებისა. ხალხმა იცის მავალითად, რომელიმე გეოგრაფიული ადგილი და იმისა გამხენ დაშა-დებულს თვითონ ჰპოულაბს. ჩვენმა ურმა იცის სახელია «ქართლი» და წარმოდგენილი აქვს, რომ «ქართლას» დამარსებელი იყო სულიერი არსება «ქართლოსია». აა როგორ ვაჩნდა ქართლოსია! ქართლოსმა კი არ უწოდა თვისი სახელია ქართლს; არა, «ქართლმა» გამოიწვია ეპონიმის, იმის აღმშენებლის არსებობა. რომელმა კი არ დაარქვა თვისი სახელი რომის, არამედ ამ უკანასკნელის არსებობამ ხალხის მოაზრებაში დაჭბადა რომელი, რომელმაც გააშენა ვითომ სავაგურა ქალაქა. შემდეგ კიდეკი, ერმა იტრდა უხსოვართა დროთაგან არსებობა ბარდაკის კალაქისა. იმას ფანტაზიამ მასდა ამ ქალაქს თვისი აღმშენებელი, სახელიად ბარდაოს.

სავაგეონაწერი  
წმ.

ნო. 1  
სავა

ერის ცნობის-მოყვარეობა ეძებდა ქალქთა დამაარსებელთ სახელებს, სუფიქლასზედ ადგილი ახსნა ის იყო, რომ ამშენებელმა თვისი სახელი ამშენებელს ქალაქს და მხარეს უწოდა: ჰერეთმა გააშენა ჰერეთი, ეგრისმა — ეგრისი, ლეკოსმა უწოდა თვისი სახელი ლეკეთს. საღსმა გააზიარონა ქალაქების აღმშენებელნი, იმისმა წარმოდგენამ დახადა ლეკოს, ეგრის, ჰეროს და სსკ. ამ გვარმა ახსნამ იქონია გავლენა მატიახეს დამწერზედ და ამ უკანასკნელმა შეიტანა საღსის ახსნა ქალაქების დაარსების «ქართლის ცხოვრებაში»

მივმართოთ კვალს სიმბოლიური მითისას. მატიახე გავწიებს, აფირდონმა «შეერა ვაჭვითა ბერასა, კველთა უფალიო და დახდა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ-შეუგალიო». ბერასაში ჩვენი ამირანი გასდევთ, სახელ-შეცვლილი შეწამეს გაგენით, როგორც იგივე ამირანს გადაქრეულია პრომეთეასად ბერძენთა ლეგენდაში. საბოლიტიკო მათიღ დაჩხენალია ჩვენს მატიახეში: იგია ბრძოლა ნებროთ გმირთან და განთავისუფლება უცხო ბრძანებლისაგან. დასწყისი «ქართ. ცხოვრებისა» მოგვითხრობს ჩვენ წინაშართა ისტორიას, როგორც გმირების და გოლიათების ამბავს. იმათი მოქმედება გვაგონებს საარყო გაუჭრების სასიათს: «ხოლო ჭაოს უმეტესი გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგე ვითარი არაოდეს ყოფილიყო წყლის რღვნის წინად, არცა შემდგომად ტანითა, ძლითა და სიმსიით... ჭაოს უდგა ზურგად გმირთა, ძალ სცემდა, ნუკეშინის ტემად სმითა სასარელითა, რომელ მსგავსი იყო მესის-ტესისა». ეს განდადება გმირისა მოგვაგონებს ჩვენის არაგების მოქმედი ზიარების აღწერას. ზღაპრულმა სასიათმა იმოქმედა მემატიახეზედ, რომელმაც დასურთა თვისუბანი უუძველესს მოგონილ წინაშართა საარყო ელიფორით.

№6!

საერო პოეზია, ამბობს ტენი, მედამ შეგვილიან აღმოაჩინოთ ძველი ისტორიკოსების ნაწერებში: ლივი და ჰეროდოტი უხვად სარგებლობენ ამ განძით. რადგანაც ეს უუძველეს დროის ამბები არა აქვს დარული წერილის ნაშთებით, ამისთვის ზიარული ისტორია საღსისა არის საერო გარდმოცემა, უქმდე შეტანილი მატიახეში. ამ გვარი გარდმოცემა რომის ზიარულ მეფეების მეფობა. აგრედვე რუსეთში ნესტორის მატიახეში (როგორც უწოდებენ უკ-

1966 1951  
 მოწივს ხო  
 მთავრად

რონოდ ამ კომპალიატურ თსზეულებას) დაცულია საერო ლექსები, რომლითაც აკსებდა მატინე ბერძნულ ს.რონოგრაფის გარდმოცემას აღმოსავლეთ სლავიანების შესახებ.

მოკლედ განვიხილოთ საერო პოეზიის მნიშვნელობა: იგი გვიხატავს ერის შინაურ ცხოვრებას, მის გონებრივსა და ზნეობრივს მდგომარეობას. ეს კულტურული მნიშვნელობა აქვს ისტორიკოსს ღონისძიებეს გაითვალისწინოს შინაური ცხოვრება ერისა და ეს დიდი საქმეა, რადგანაც მატინე გართული რუმების აღწერით, არ გვაძლევს საკმარისს მასალას შემოსხენებულის საგნის შესასწავლად და გამოსარკვევად. გარდა ამისა, შედარებითის შესწავლით სხვა ერთა პოეზიასთან ვირად ვარდმონაცემი უჩვენებს გზას სადასთან დამოკიდებულებიასს, მისკლა-მოსკლასს. ჰერდოტი ამბობს, რომ საერო პოეზიის შინაარსით, კილოთი, იდეებით კოსმოგონიის შესახებ, წინაშართა საქმეთა წარმოდგენით შეიძლება ბევრი მართალი ითქვას ერის ჩამომავლობასა, დასასახლებასა და სხვა ერთან მისკლა-მოსკლასზედაც. საერო პოეზიას ერთი დიდი მნიშვნელობა აქვს კიდევ ისტორიკოსთვის: ფაქტორი, ასეუ გარემოება, რომელმაც შეჰქმნა საერო პოეზია, არ მოსტყუვდება ისტორიულ მოკლენათა აღსნაში. ამიტომ შევედგეთ საერო ქმნილებას ეძხვის აისტორიულ გამოცხადებასა. ზნეობრივს დახასიათებაში ლექსებსა მოქმედ ვიწითა, ბუნდავეის აზრით, კერძო ერთა პრაკტიკული ისტორია ვერ გაუწევს მეტოქობას საერო ზეპირ-სიტყვაობას.

საერო ლექსები ისტორიულის შინაარსით ხაფხისითვის არის უკეთესი ისტორიული სახელმძღვანელო და ამიტომაც იგი არან უსაჭიროესი საშუალება ნაწიონაღურ გრძნობის გასამტკიცებლად. ისტორიის ცოდნით იწონება საზოგადოებას განათლება და ამ ცოდნასთან წარსულის ბედისა შეკავშირებულის სურვილი მოძავლის გაუმჯობესობისა და გონაურულად აღნაშენა ნაწიონაღურის იდეაფისა.

ესაუკეთესო ძეგლი ერის ცხოვრებისა, — ამბობს ერთი პატივცემული რუსული უწინაღი, — მისის განვითარებისა, თვით ელემენ-

48  
საერო პოეზია

48

ტი ხალხობის არის საერთო ზოგადი. იგი არის ისტორიული სურათი ერის თავ-გადასავალის უტყუარ გულის სიმართლით გათვალისწინებული. ყოველი მისი მიდრეკილება ანუ სიმპატია და ანტიპატია, ტანჯვა და სისხარული ჩაწეულია ერის ზოგადში. საერთო ზოგადი მოქმედებებს არის იტყვის: იგი ცხოვრობს თვით ხალხთან და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იცავს ერთს შინაარსს და ერთს მიმართულებას. საერთო ზოგადი არის განხორციელებული მთელის ერის სული, და ხალხური ლექსი, ანუ ღიღინი არის საფუძველი ნაციონალურის მუსიკისა.

აღ. ხახანაშვილი

# ლვინის დაყენება

## VIII\*)

### მსჯელობა ლვინის ღირსების დასაფასებლად

საფრანგეთის გამოჩენილი სწავლულის გიუოს აზრით, ღვინის ღირსების დასაფასებლად საჭიროა ორგვარი მსჯელობა: ერთი გრძნობათა შემწეობით და მეორე—ფიზიოლოგიის დახმარებით; ჩვენ ამას მესამესაც მივუმატებთ—საჭიროა მსჯელობა ქიმიის შემწეობითაც. ვისაც სურს ღვინის ღირსება და ნაკლებუღებანება ზედ-მიწევნით შეიტყოს და დააფასოს, ჯერ გემოთი უნდა გაისინჯოს და შემდეგ მისი ფიზიოლოგიური მოქმედება შეისწავლოს, ხოლო ბოლოს ქიმიური განაწილებით შეიტყოს მისი შედეგნილება.

### ა) დაფასება ღვინის ღირსებისა გამოკვების შედეგობა მონაწილეობით

გემოვნების შემწეობა ამ საქმეში ის არის საზოგადოდ, რომ გაისინჯოს, რა ღირსებისაა ღვინო თვალად, სუნით და გემოთი. ამგვარი დაქაზნილება ღვინისა ნამდვილი ოსტატობაა, ხელოვნებაა მეღვინეობაში; თვალით, ცხვირით და ენით უნდა დაფასდეს ღვინის თვისება და ვითარება; ამისათვის საჭიროა, რომ სამივე გრძნობა: მხედველობა, ყნოსვა და გემო კარგად

\*) «მოამბე» № 9.

განვითარებული და გავარჯიშებული ჰქონდეს მსინჯველს, მექაშნიკეს, როგორც ყოველს ხელოვნებაში, აქაც საჭიროა, ბუნებისაგან ჰქონდეს კაცს მინიჭებული უმაღლესი და მახვილი გრძნობიერება და შემდეგ ეს გრძნობიერება წარმატებული და განვითარებული იყოს ვარჯიშობითა და სწავლით.

1) მხედველობის მნიშვნელობა ღვინის დაფასებაში. პირველად თვალმა უნდა გასინჯოს ღვინო და თავისი მსჯელობა შეადგინოს კაცმა მის ღირსების შესახებ. თვალი ძალიან მალე და ადვილად მიეჩვევა ამგვარ საქმეს და მის შემწეობით თითქმის შეუცდომლად შეიძლება ყოველგვარი მსჯელობა შევადგინოთ და გავითვალისწინოთ, როგორია ღვინო თვალად, სიკამკამ-სიმჭკირვალითა და ფერის ვითარებითა. ღვინოს ადვილად ეტყობა როგორც ახლობა, ისე ძველობა, როგორც ღირსება, ისე ნაკლულევენება. პირველ შემთხვევაში, ესე იგი როცა ღვინო ჯერ ისევ ახალია, იმისი ფერი მთლად და სრულიად გამჭვირვალი არ არის; მრავალი ორგანიული ნივთიერებანი ტივტივებს შიგ და ფერს უმღვრევს, გამჭვირვალობას ართმევს. ამასთან, რასაკვირველია, ისიც შესაძლებელია, რომ ზოგჯერ სიმღვრივე დამოკიდებული იყოს ან იმაზედ, რომ ხელ-მეორედ დუდილში შესულა და ან იმაზედ, რომ ღვინოს სხვა-და-სხვაგვარი ავადმყოფობა შეჰპარვია, რომელთა შორისაც ძლიერ ადვილი შესატყობია: სიჭანგე, გასქელება, აჯეღეება და გადაბრუნება. რასაკვირველია, მარტო მხედველობით არ შეიძლება ღვინის სხვა-და-სხვა ავადმყოფობის შეტყობა, მაგრამ მრავალ შემთხვევაში ეს გრძნობა ადვილად მიხვდება მის დაზიანებას და ამისათვის მრავალ გარემოებაში ესეც საკმარისია. როცა ბევრი ღვინოებია ერთად გასასინჯი, დახელოვნებულს მსინჯველს ადვილად შეუძლიან მათი დაფასება მარტო სტაქანში ჩასხმით.

შეხედულობით ღვინის დასაფასებლად მეღვინე-მექაშნიკენი ხმარობენ ერთგვარ მოკლე ტარიან ვერცხლის აზარფემას



(სურათი 60). ეს აზარფეშა ისეა გაკეთებული, რომ მისი ძირი და გვერდები ზოგჯერ ამოზურთულია და ზოგჯერ ჩაღრმავებული; ამგვარი ფიალით ანუ აზარფეშით ძალიან ადვილად შეიძლება შეტყობა ღვინის ფერის მდგომარეობისა; ამ ქურჭელში სარკესავით ცხადად სჩანს ღვინის ფერის ღირსება<sup>1)</sup>. თუ ფერი კარგია და გამჭვირვალი, მაშინ სინათლის სხივები აზარფეშის ძირიდან და გვერდებიდან უკუ გარდმოიცემა (reflechit) და თუ მღვრივეა, მაშინ სინათლის შუქს და სხივებს გასტეხს, აღარ გამოჩნდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რაც უნდა ბევრი ვუტყვიროთ, რაც უნდა ბევრჯელ შევარხიოთ ქურჭელი, სინათლევ უკან აღარ გადმოიცემა (ne rend pas). რა ფერისაც უნდა იყოს ღვინო: წითელი თუ თეთრი, ყვითელი თუ ალისფერი, ყოველ შემთხვევაში ღვინო მხოლოდ მაშინ იქნება სასიამოვნო, როცა სრულიად გამჭვირვალია და მისი ფერი კარგად დამჩნეული და განსაზღვრულია (decidé). რასაკვირველია, ისიც ადვილად შესაძლებელია, რომ კარგ-ფერიან ღვინოს კარგი გემო არა ჰქონდეს, მაგრამ ძალიან იშვიათად კი. საზოგადოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველ შემთხვევაში, როცა ღვინის გამჭვირვალეობა და ფერი კარგი და საღი არ არის, მაშინ ღვინო ან ძალიან დაბალის ხარისხისაა და ან დასნეულებულია და წამხდარი. ერთი სიტყვით, თვალს მხოლოდ ის ღვინო მოსწონს, რომელიც სრულიად გამჭვირვალი და საღი ფერისაა. მხოლოდ ახალი ღვინოები არ იქნება სრულიად გამ-



სურათი 60.

<sup>1)</sup> აზარფეშა უჭკველად ვერცხლისა უნდა იყოს, რადგანაც სხვა მასალა, სხვა ლითონი დროს განმავლობაში დაჟანგდება, აქა-იქ დალაქავდება და მაშინ ღვინის ფერის დაფასება ძნელი იქნება. ეს დაჟანგებული ადგილები ფერს უფუტებს ღვინოს. ფერის გასასინჯავად ხშირად ძირ-შევიწროებულ სტაქანსაცა ხმარობენ და იმის შემწეობით ადვილად შეიძლება ღვინის ფერის ნიუანსების შედარება; სტაქნის ძირში უფრო ცოტა ღვინოა, ვიდრე სტაქნის პირისკენ, ამისათვის სინათლის სხივები სხვა-და-სხვაგვარად გაივლის შიგ და ამ გარემოებას შეუძლიან მისი ფერის ნაკლი და ღირსება ცხადად გამოაშკარავოს.

ქვირვალე, მაგრამ გამოცდილი მსინჯველი ყოველთვის ადვილად შეიტყობს, მათ შორის რომელი დაიწმინდება სრულიად შემდეგში და რომელს შერჩება თავისი ფერი. ადვილი გასარჩევია აგრედვე თვალ-და-თვალ მაგარი ღვინო სუსტი ღვინისგან,—პირველს მუქი ფერი აქვს და მეორეს კი მხოლოდ ლალის ფერი; არც ახალი და ძველი ღვინოების გარჩევაა ძნელი; ახალ ღვინოს მუქი იისფერი აქვს, ყურძნის ფერი და მეორეს, ესე იგი ძველს, ფერი შესუსტებული აქვს; ყურძნის ფერი აღარ ეტყობა; მისი საფერავი დაქანგებულია და მოყვითანო ფერი დასცემს, ფერი ხახვის ნაფრცქვენისა. რაც შეეხება თეთრ ღვინოს, ახალს წმინდა ანკარა ფერი აქვს და ძველი კი მოყვითანოა, ქარვის ფერი აქვს (ეს რასაკვირველია მხოლოდ მაშინ, თუ თეთრი ღვინო უქაჟოდ არის დაყენებული; ქაჟაზე დაყენებულ თეთრ ღვინოს კი ახლობასვე მუქი ქარვის ფერი აქვს).

2) ღვინას დაფსება ყნოსვის შემწყობა-მონაწილეობით. როგორც ყველამ კარგად იცის, ცხვირის ნესტოებს როგორც გარეგან ჰაერთანა აქვს კავშირი, ისე პირის ხახასთანაც და ამისათვის ყნოსვა ბევრად ჰშველის კაცს ღვინის გემოვნების გასაგებად. საფრანგეთის ზოგიერთი მეღვინენი ამბობენ, რომ „sans la participation de l'oderat il n'y a point de gustation“—ყნოსვის გარეშე, მის შეუწვევნელად გემოვნება შეუძლებელიაო; ზოგიერთნი ამტკიცებენ კიდევ, რომ ამ შემთხვევაში ყნოსვა და გემო ერთ გრძნობად გადაიქცევა ხოლმეო. ყნოსვით ღვინის დაფსების დროს ღვინის სამგვარი თვისება უნდა გაირჩეს: მისი ბუკეტი, სუნნელოვანება და ძალა (Sève). Portes და Ruysseu'ის სიტყვით, „ბუკეტი არის საზოგადო სუნნელოვანება ღვინისა, თუმცა კი ყოველ ღვინოს თავისი საკუთარი ბუკეტი აქვს; ბუკეტი ის სუნია, რომელიც ყოველ ღვინოს ეტყობა ზ რომელიც შემდგარია სხვა-და-სხვა ეთერებისაგან. ამ ეთერების სუნი უფრო და უფრო ემჩნევა ღვინოს ხანში შესვლით; თანდათან უფრო იწმინდება (S'affine) ზ ნახლება (S'attenué) ძალით. ტემპერატურის ცოტაოდენი ამაღლებით ეს ეთერები ადვილად აორთქლდებიან და შეღონიერდებიან, უფრო ძლიერ მოქმედებენ

ყნოსვაზე. ბუკეტი ყოველ კარგ ღვინოსა აქვს და თვითონ ღვინოშივეა გაჩენილი; ბუკეტი ყურძნის საქმე არ არის, რადგანაც ყურძნის ბუკეტი არა აქვს. არომატიკა ანუ სუნნელოვანება ღვინისა ყურძენშივეა და ამიტომ ყოველი ჯიშის ყურძნის ღვინოს იმ ყურძნის სუნნელოვანება აქვს, რომლისაგანაც არის გამოწურული და დაყენებული. ღვინის სუნნელოვანება ასეთი ნაზი არ არის, როგორც ბუკეტი, თუმცა ყოველთვის ეტყობა ღვინოს და ჩვენი ყნოსვა ყოველთვის ცხადად ამჩნევს. ხშირად ეს სუნნელოვანებაც ძლიერდება და ცხოველდება ღვინოში და მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს ცუდი ნიშანია, ღვინო იცვლება, გადაგვარების გზაზეა.

რაც შეეხება ღვინის ძალას (Sève), ეს არც ბუკეტია და არც არომატი; ეს მხოლოდ ღვინის ძალა და ენერჯიაა; ეს არომატიული გემო გამოწვეული ღვინის განვითარებისგან. ამ ძალას, ამ არომატიულ გემოს მხოლოდ პირი ჰგრძნობს, როცა ღვინო ხახაშია და ყელში გადასვლას აპირობს და ან გადასულია; ბუკეტი და არომატი მარტო ყნოსვის მასიამოცნებელია, ძალა კი პირისა და სტომაქისა.

ღვინის გასინჯვის დროს ყნოსვას სხვა-და-სხვა საშუალება უწყობს ხელს: აზარფეშისა და ძირ-შევეწროებული სტაქნის გარდა, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, ყნოსვით ღვინის დაფასების დროს ხმარობენ ერთგვარ ჭიქის ჭურჭელს, რომლის სურათიც აქ არის დახატული (სურათი 61). ამ ჭურჭელს, როგორც ვხედავთ, მუცელი კარგა განიერი აქვს და პირი კი შევეწროებული. ამის შემწვობით ღვინის გამსინჯველი ადვილად ჰგრძნობს ღვინის ბუკეტს და სუნნელოვანებას, თუმცა კი უფრო ხშირად ეს ჭურჭელი ბუკეტის შესატყობია; სუნნელოვანება ანუ არომატი აზარფეშითაც შეიტყობა. ღვინოს ამ ჭურჭელში ნახევრამდინ ჩაასხამენ, ცოტათი შეანჯღრევენ და ცხვირს ჭურჭლის პირს მიუახლოვებენ. ამ



სურათი 61.

გარემოებაში ღვინის ყოველგვარი სუნი ადვილად შესამჩნევია. რადგანაც ღვინის პირს აქ დიდი სივრცე აქვს, ამიტომ ამ ადგილას ღვინის ეთერების აორთქლება გაადვილებულია; ამ ეთერების ორთქლი გროვდება ცარიელ ადგილში და რადგანაც ქურჭლის პირი შევიწროებულია, ეს ეთერები აქ შეიკუმშება და ყნოსვაზე ძლიერ იმოქმედებს. ცხვარი, რასაკვირველია, მათ სუნნელოვანებას გრძობას გადასცემს და ეს გრძობა განსჯის მის ვითარებას, დააფასებს მის ღირსებას. ამგვარად გასინჯულ ღვინოს ცხადად დაეტყობა მისი სიკეთე და ნაკლი, ასე რომ მრავალ შემთხვევაში თასი და სტაქანი სრულიად საქმარისია ღვინის დასაფასებლად: თუ ღვინო დაქანგებულია, მაშინვე ცუდად იმოქმედებს ჩვენს ყნოსვაზე, მჟავე სუნი, ძმრის სუნი გვეცემა და გემოდ ნახვა საჭირო აღარ იქნება. გავარჯიშებ ული კაცისთვის ადვილი გასარჩევია ბუკეტი და არომატი, მეტადრე თუ ღვინო ცოტაოდნად შეათბო ხელითა; ამ გათბობით ბუკეტიც და არომატიც უფრო შეემჩნევა; ბუკეტი უფრო ნაზია და ღვინის სუნნელოვანებას ემატება და ბუკეტის შთაბეჭდილება უფრო დიდ ხანს საქლებს.

3) ღვინის დაფასება ზარას შემწება-მონაწილეობით. მთელი პირი ღრძილებიდან დაწყებული ხახამდინ გემოს შემტყობია, გემოვნების ორგანოა. არა მხოლოდ პირი, არამედ ლოყების შიდა კანიც, სასა და განსაკუთრებით ენა შველიან ერთმანეთს გემოს შესატყობად; მათ შორის უმთავრესი მნიშვნელობა ენასა აქვს. ენაში ჩნდება და ვითარდება სასმელის გემო. როგორც ყველამ იცის, მთელი ენა მოფენილია პატარა-პატარა დვრილებით, პატარა-პატარა ძუძუებით, რომლებიც პირდაპირ ნერვებთან არის შეერთებული და აი ეს დვრილინი ჰგრძნობენ გემოვნებას და ატყობინებენ ტვინს, სადაც შესდგება ხოლმე მსჯელობა. მგემოვნებელ-მეჭაშნიკეს საქმე ადვილი არ არის; იმან უნდა შეადგინოს გამოკვეთული და ცხადი მსჯელობა არა მარტო იმის შესახებ, კარგი გემო აქვს ღვინოსა თუ ცუდი, არამედ ამასთან ზედმიწევნით უნდა შეიტყოს ისიც კი, თუ რა ჯიშის ყურძნისაგან არის დაყენებული ღვი-

ნო, რომელი მხრიდან არის, რამდენი წლისაა და თითქმის ისიც კი, რა შედეგნილებიასა გასინჯული ღვინო. როგორც ვხედავთ, მისი მსჯელობის ასპარეზი ფართო და ძნელია. ამისათვის მგემოვნებელი, მახვილ-გრძნობათა გარდა, დიდად დახელოვნებული უნდა იყოს ამ საქმეში და მუდმივ უნდა ვარჯიშობდეს. თუ რომელმამე ექსპერტმა ცოტა ხნით თავის ხელობას თავი დაანება, უეჭველად დაეკარგება სიცხადე და სიმტკიცე მსჯელობისა (*nettete' et Justesse d'appréciation*).—განვითარებულნი მგემოვნებელნი აგრედვე საჭირონი არიან, როგორც ქიმიკოსება. თუმცა ქიმიკოსებს კარგად და შეუკლომლად შეუძლიანთ ღვინის შედეგნილების გამოკრევევა, მაგრამ ღვინის კარგი თუ ცუდი გემოს შესატყობად, ამ მხრივ ღვინის დასაფასებლად ისინი უძლეური არიან; მხოლოდ გემოვნებით შეიძლება ამ გარემოებათა ღირსეულად დაფასება. თუ ღვინოს ცუდი გემო აქვს და სასმელად სასიამოვნო არ არის, ის ღვინო გამოსადეგი არ არის, რაც უნდა კარგად იყოს ქიმიურად შეზავებული. ღვინოში ბევრია იმისთანა ძლივს შესამჩნევი ნივთიერება, რომელთა გამოაშკარავება ქიმიურად ჯერჯერობით შესაძლებელი არ არის. მაშასადამე, გემოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ.

პირის სხვა და-სხვა ნაწილებს ყველას თავისი საკუთარი დანიშნულება აქვს ღვინის დაფასებაში; იმისდა მიხედვით, თუ რით ისინჯება ღვინო,—ენის წვერით, შუაგულით თუ ბოლოთი (ძირით)—გრძნობაც სხვა-და-სხვა იქნება; ღვინო სხვა-და-სხვა გვარად მოქმედობს ენის სხვა-და-სხვა ნაწილზე: თუ ღვინოში მარტო ენის წვერს ჩავასველებთ, მაშინ გრძნობა ძალიან სუსტია, სასმელის ბუნებას ძლივს შევიტყობთ, თუმცა კი ამასთანავე ამ გარემოებაში ენა ადვილად ჰგრძნობს, მკავეთ სასმელი თუ ტკბილი, ენას შეუშავს თუ არა. ამგვარი გასინჯვით თუმცა ბევრს არას შევიტყობთ, მაინც ვცნობთ გასინჯული ღვინის ერთგვარს თვისებას. თუ ეს პირველი ცდა, ეს პირველი ბიჯი გემოვნებისა უსიამოვნებას არას ვვაგრძნობინებს, მაშინ ღვინო პირში უნდა ჩაიყენოთ, ტუჩები და ლო-

ყები მოვკუშვით და ღვინო შევჩეროთ ცოტაოდენი ხნით ენის შუაგულ ადვილას. პირის სითბო, რომელიც 35°—37°-ია ხელს შეუწყობს ამ ადვილის გემოვნებას. როგორც წინადაცა ვაქვით, ამ ადვილის გრძნობა სულ სხვანაირია, ვიდრე ის, რომელიც ენის წვერით შევიტყუთ. აქაური სითბოს გამო ის სხვა-და სხვა ელემენტები, რომლებსაგანაც ღვინოა შემდგარი, აქ ერთის მხრით თან და თან შედუღდება, შეკაწმირდება და მეორეს მხრით ამავე სითბოს ძალით ღვინოს გამოეცლება ადვილად ასაორთქლებელი სხეულნი და ამას გამო ღვინის ეთერები თავისს გემოს გამოიჩენს. ერთი სიტყვით, ახლა ღვინოს დაეტყობა სხვა ახალი ხასიათი, სხვა გემო. თუ ღვინო აქედან ენის ძარამდე გადავიდა, მაშინ ღვინის ყოველგვარი გემო ყნოსვასაც გადაეცემა. როგორც ვიცით, ენის ძირას, ხახასთან ცხვირსაცა აქვს გზა ნესტოებიდან წამოსული. თუ იმ ორ მილს, რომელიც ნესტოებიდან ხახაში ჩადის, როგორმე დავხშავთ, პირს დაფუკობთ და ამ ყოფაში შევქამთ ან შევსვამთ რასმე, მაშინ ამ სასიმელს და საჭმელს არავითარი გემო არ ექნება, ესე იგი მათ გემოს ვერ შევიტყობთ. ეს გარემოება ყველამ კარგად იცის. თუ ვისმე სურდო სჭირს, საჭმლის გემოს ვერ იგებს, ესე იგი ამ მდგომარეობაში საჭმელსაც გემო ეკარგება. ამისათვის ღვინის დამფასებელი თუ ამისთანა ყოფაშია, ესე იგი ან სურდო სჭირს და ან ამა თუ იმ მიზეზით ყნოსვა დაკარგული აქვს, იმან ღვინის გემოვნების გასინჯვას თავი უნდა დაანებოს და სხვა დროსთვის გადასდოს.

თუ ღვინის მგემოვნებელს ბევრგვარი ღვინო აქვს გასასინჯი, მაშინ, რასაკვირველია, ყველა ღვინის დალევას ვერ აუვა, იმის სტომაქი ვერ აიტანს. ამისათვის იძულებულია, ენით გასინჯვის შემდეგ, ღვინო უკანვე გამოაქციოს; ღვინოს მხოლოდ ხახამდინ ჩაუშვებს პირში და, როცა იგრძნობს მის სხვადა სხვა გვარ ზედმოქმედებას, უკანვე გადმოაფურთხებს. ასეც კარგად შეიტყობს ღვინის ღირსებას. ზოგიერთს შემთხვევაში კი იძულებულია ცოტაოდენი მინც ჩაყლაპოს, რომ ნამდვილი მსჯელობის შედეგნა შეიძლოს; ხშირად მხოლოდ ამგვა-

რი გასინჯვით შეიძლება დაფასდეს ღვინის ძალა და არომატიული მისი გემო, რომლებიც კარგად ემჩნევა ღვინოს მხოლოდ მაშინ, როცა ყელს გადასცდება. არომატის და ბუკეტის შესამჩნევად ღვინო დიდ ხანს არ უნდა დარჩეს პირში, რადგანაც ეს გარემოება შეასუსტებს გრძნობას. ამასთან ისიც საჭიროა, რომ ღვინის ჩაყლაპვის შემდეგ პირი მოკუმული არ დარჩეს; ჩაყლაპვის დროს ტუჩები და ენა ისე უნდა შეანძრიონ, თითქო სქამენ რასმესაო; ასე უფრო კარგად შეეტყობა ღვინოს მისი არომატი და გემო.

საზოგადოდ, გემოვნების გასინჯვის დროს ღვინის გემო და არომატი ძალიან სწრაფად მოქმედობს ჩვენს გრძნობებზე—ორს ან სამს წამში და ეს ზედ-მოქმედება თავისს კვალს სტოვებს 10—20 წამამდე. როცა ღვინო პირიდან ყელში გადავიდა, მას შემდეგ მისი ზედ-მოქმედება 7—8 წამს კიდევ რჩება.

ზოგიერთ შემთხვევაში ეს კვალი უფრო დიდ ხანსა რჩება, მეტადრე აუ ცუდი სუნისა და გემოსი არის; ზოგიერთი ღვინოების გემო და სუნი 5—60 წამამდე სძლებს. სიმწკლარტის გრძნობა, თუ კარგი ღვინოა, მხოლოდ რამდენსამე წამს ეტყობა, ხოლო თუ ეს სიმწკლარტე ცუდად დამწიფებული ყურძნის ღვინისა არის, მაშინ მისი კვალი ორ წუთამდე რჩება და თითონ ზედ-მოქმედება მისი ძლიერია არა მარტო პირში, არამედ ტუჩებზედაც კი. საკმაოდ მეტ-ნაკლები დრო უნდა გავიდეს, ვიდრე ცუდი გემო დარჩებოდეს ადამიანს ღვინისაგან: ხან პირში ჩაყენების უმაღვე დაეტყობა და ხან მხოლოდ ყელში ჩასვლის შემდეგ; შმორის გემო შეიღირვა წამის შემდეგ გამოჩნდება და ორ-სამ წამამდე გასძლებს; დამძალებული გემო მხოლოდ 10—15 წამის შემდეგ ჩნდება და ერთ წუთამდე სძლებს; სიმწარის გემო ოთხი ან ხუთი წამის შემდეგ ჩნდება და ოთხ წუთამდე სძლებს.

გიუოს აზრით, „თუ ღვინოს სრული სიმჭირვალე აქვს და სალი ფერი, თუ იმის სუნნელოვანება სასიამოვნოა და თუ, საზოგადოდ, სიმჟავისა, სიტკბოსი და სიმწკლარტის საზოგადო



გემო პირში სიამოვნებას გვაგრძნობინებს, ესე იგი ეს სამივე გემო ისეა ერთმანეთში შეთვისებული და შეზავებული, რომ ერთ სასიამოვნო გემოდ გვეჩვენება; თუ ამ ჰარმონიულ ზედ-მოქმედების შემდეგ ენის ძირშიაც სითბოს გრძნობას აღძრავს და ღვინის ძალას დაგვიმტკიცებს, ისე კი, რომ ალკოგოლის გემო არ ეტყობოდეს; თუ ბოლოს ღვინის ჩაყლაპვა დაავიროვნებს ყოველსავე ამას კარგი ბუკეტით და ამასთან არავითარი სხვა ხინჯი, უკანა-გემო (arrière-gout), არა-სასიამოვნო, არ ეტყობა, მაშინ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს ღვინო გრნობათა მხრივ სრულიად კარგია; მაგრამ თუ ამ თვისებათა და ღირსებათა შორის მხოლოდ ერთმა უმტყუნა, მაშინ ღვინო უქველად დაზიანებული უნდა იყოს“.

თუმცა ძალიან ძნელია გემოვნებით ღვინის დაფასება სრულის შეუცდლომელობით, მაინც ვინც ამ საქმეში განვითარებულია და მიჩვეული, იმას შეუძლიან მხოლოდ ერთი სიტყვით გამოჰხატოს ღვინის მდგომარეობა და ღირსება. ეს სიტყვები შემდეგ იყოს, ეხლა კი ცოტა რამ კიდევ უნდა ვთქვათ ისევ ღვინის გასინჯვისათვის. ღვინო ყოველ დროს არ უნდა გაისინჯოს. ღვინო უნდა გაისინჯოს უზმო გულზედ, როცა კაცი სრულიად მშვიდია, უნაყრო. პურის ჰამაზედ არ შეიძლება ღვინის გასინჯვა, რადგანაც სხვა-და-სხვა საჭმელების გემოს შეუძლიან შეცდომაში შეიყვანოს კაცი; არც საჭმელის შემდეგ შეიძლება, რადგანაც პირის და სტომაქის გრძნობიერება დაჩლუნგებულია; ღვინის მსინჯველი თამბაქოს წვევას არ უნდა იყოს მიჩვეული და არც არყისა და ლიქორიანის ღვინოების სმას. ღვინის მსინჯველი საქმეს უნდა შეუდგეს დილით ადრე და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ჯერ არა უჭამია-რა და არა უსვამს-რა, როცა ჯერ დანაყრებული არ არის; ამასთან, რასაკვირველია, ღვინის გამსინჯველი სრულიად ჯან-მთელი უნდა იყოს და ისეთი ავადმყოფობა არა სჭირდეს-რა, რომელიც ან ყნოსვას და ან გემოს შეასუსტებს.

როცა ბევრი ღვინოებია ერთად გასასინჯი და სხვა-და-სხვა ხარისხისა, ეს ღვინოები უნდა განაწილდეს სხვა-და-სხვა

კატეგორიებად: ჯერ გასინჯავენ თეთრ ლენოებს და მათ შორის ჯერ უფრო ხმელსა და სუსტს ლენოებს, ხოლო მერე თანდათანობით ნედლსა და მაგარ ლენოებს. თეთრი ლენოების შემდეგ შეუღებებიან წითელი ლენოების სინჯვას და აქაც ჯერ სადა ლენოებს დაუწყებენ სინჯვას და მერე თანდათანობით უფრო და უფრო მაგარსა და ალკოგოლიან ლენოებს გასინჯვენ, ხოლო სულ ბოლოს ტკბილი ლენოების სინჯვას მოჰყვებიან. ყოველ კატეგორიაში გასინჯვას დაუწყებენ ჯერ ახალს ლენოებს და მათ შორისაც ჯერ ხმელ ლენოებს გასინჯავენ, შემდეგ მომთავოსა და მსუბუქ ლენოებს და ბოლოს შეძველებულ ლენოებს გაარჩევენ და აქაც ჯერ ხმელ ლენოების სინჯვას შეუღებებიან, მერე სუნნელოვან ლენოებს და ბოლოს მაგარს და ალკოგოლიანებსაც, კიდევ გავიმეორებთ, რომ ერთსა და იმავე დროს არ უნდა გაისინჯოს ხმელი და ლიქორიანი ლენოები ერთად, თეთრი და წითელი; სხვა-და-სხვაგვარი ლენის გასინჯვა ერთსა და იმავე დღეს არ ვარგა. უფრო სჯობს, რომ სხვა და-სხვა მხარის ლენოებიც ცალ-ცალკე გაისინჯოს, რადგანაც ერთი და იმავე მხარის ლენოების გასინჯვა, კატეგორიებად გაყოფილისა, უფრო მოსახერხებელია, თუმცა ამ შემთხვევაშიაც დიდი გამოცდილება არის საჭირო, რომ ყოველი ლენო თავის ღირსების დაგვარად დაუხადეს.

ხშირად ლენის მსინჯველს რაქდენისამე ხნის შემდეგ ენა ეღალღება და სამსახური აღარ შეუძლიან. მაშინ საჭიროა შესვენება; დაღალული ენა ვეღარა ჰგრძნობს ლენის გემოს, მარტო სუსტი გრძნობა-ღაჩეება და ისიც მხოლოდ სითბოსი და შეუნხვისა, რაც, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. ამისათვის საჭიროა, როგორც ფრანგები ამბობენ, მსინჯველმა ზაინა გაასწავროს (refaire la bouche), ესე იგი მოიბრუნოს თვისთა გრძნობათა ძალა და სიმახვილე. ამ გარემოებაში საჭიროა ენას და პირს მოშორდეს ყველა ის ნივთიერებანი, რომელთაც დაჰღალღეს და დაასუსტეს მათი გრძნობა; ამისათვის ცივი წყლით პირის გამორეცხვა ყველას სჯობიან. ზოგნი ურჩევენ ყველის ან ნივგზის შექმას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სა-

ქმელებს სარგებლობასთან ვნების მოტანაც შეუძლიან; შემჩნეულია, რომ ყველის შექმნის შემდეგ ღვინო უფრო კარგი გამოსი ეჩვენება მსინჯველს და ამის გამო ამ შემთხვევაში ხშირად დაბალ ღვინოს მალა აყენებენ, უფრო ღირსეულად ჰპოვებენ. სუფრაზე, როგორც ვთქვით, ღვინის ღირსება დამოკიდებულია იმ საქმელზე, რომელიც ღვინის დაღვევის წინადა იყო მიღებული, ამისათვის ღვინის მსინჯველმა არაფერი არ უნდა სჭამოს ღვინის გასინჯვის დროს; ყოველი საქმელი თავისდაგვარად იმოქმედებს გემოვნებაზე და ამისათვის ღვინოების შედარება შეუძლებელი იქნება. ერთი ღვინის გემოვნებაში განვითარებული ფრანგი ამბობს, რომ ყველის ჰამა ლოთის საქმე არისო; ყველი წყურვილს უჩენს, პირს უშუშხავს და მაშინ ყველა ღვინო, თუნდა ცუდიც, ძალიან კარგი ეჩვენება; ყველის მჭამელი სიმწკლარტეს, პირის მწკლერტავს გემოს ვერა ჰგრძნობს და ყოველი ღვინო ამ შემთხვევაში მოტბოდ ეჩვენება. ნიგოზისა და ნუშის ჰამასაც ესეთივე ნაკლულევენება აქვს, თუმცა კი უფრო ნაკლებად. ამისათვის პირის გასწორებლად ყველას ემჯობინება დროებითი შესვენება, ცივი წყლით პირის გამოარეცხვა და, თუ მაინცა და მაინც საჭიროა, პატარა ლუქმა ხმელი პურის შექმაც საკმარისი იქნება. ხილვეულობა, შაქრიანი პური და სხვაგვარი ტკბალი საქმელი აფუჭებს გემოს და ამ შემთხვევაში ყველა ღვინო მკავედ და მწკლარტედ გვეჩვენება, პირში რალაც უსიამოვნებას ჰბადავს.

ახლა მოვიყვან იმ სიტყვებს, რომლებითაც ღვინის დამფასებელნი ღვინის ღირსებას და ნაკლულევენებას ჰხატავენ; სამწუხაროდ, კარგად არ ვიცი ამის შესახებ ქართული ტერმინოლოგია; შეიძლება, რომ ჩვენ ამისათვის ცოტა სიტყვები გვეკონდეს და ისიც შესაძლებელია, რომ ჩვენი ენა მდიდარი იყოს ამგვარის სიტყვებით; ვინც ამ სიტყვების შეკრებას იკისრებს, ის დიდ ამავს დასდებს ჩვენს მეღვინეობას. ამასთან ესეც უნდა აღვიაროთ, რომ ამგვარი სიტყვები მხოლოდ საფრანგეთის ღვინის შესახებ სიტყვატურაშია კარგად შემუშავებული და ყველანი იძულებულნი არიან ის სიტყვები იხმარონ. ამისათვის

ვიდრე ჩვენს სიტყვებს და გამოხატულებას შევკრებდეთ, იძულებული ვარ ფრანგული ტერმინოლოგია მოვიშველიო.

### ღვინის ღირსებას გამოსახატავი სიტყვები

ღვინო—თეთრია თუ წითელი—ჯერ თვალად საღისა და ცხადად გარკვეულის ფერისა უნდა იყოს (*franc de couleur*); შემდეგ ყნოსვაზედ ღვინოს უნდა ჰქონდეს სუნნელოვანება და ბუკეტი (*arome et bouquet*). ეს სუნნელოვანება და ბუკეტი, როგორც ვიცით, დამოკიდებულია ღვინოში გაცხნილ სხვადასხვა ნივთიერებაზე; ამასთან ისიც ვიცით, რომ სუნნელოვანებასა და ბუკეტ შორის დიდი განსხვავება არის; ბუკეტი უფრო ნაზია და გემოდ ნახვს დროს ღვინის სუნნელოვანებას ემატება, მაგრამ ბუკეტის გემო პირში უფრო დიდ ხანს რჩება. როცა ღვინოს სუნნელოვანება და ბუკეტი კარგად შეკავშირებული აქვს და სიმაგრეც საკმარისი, მაშინ ამბობენ ღვინოს ძალა აქვსო, ჯანი აქვსო, (*Sève*). ბუკეტი არის სასიამოვნო გრძნობა ყნოსვისა გემოდ ნახვის წინად და ძალა კი—პირისა, სტომაქსა და ყნოსვისა დაღვეის შემდეგ.—თუ ღვინო ძალიან მჭირხნეა და სქელი, მაშინ აძას ხორცის, წაღიან ღვინოს ეძახიან (*vin charnu*); ამ შემთხვევაში ხშირად ამბობენ, *il a de la mâche*; როცა ღვინო ახალია და ისე სქელია, რომ პირში ჩასვლის დროს პირს ისე ავსებს, თითქო დაღვევა უნდაო. ეს საღვეავი ღვინო პირველი გადაღებეს შემდეგ, როცა ბევრ თხლეს მოიკლის, ხორციან ღვინოდ გადაიქცევა. თუ ხორციან ღვინოს ალკოგოლი ბლომად აქვს და გემო გადაწყვეტილი და დამჩნეული, თუ პირს კარგად ავსებს, მაშინ ამბობენ, სხეულისა ღვინო არისო (*corsés* ანუ *il a du corps*). თუ ღვინო სქელი არ არის, მაგრამ მისი შემადგენარნი ნივთიერებანი კარგად არიან შეზავებულნი, მაშინ ამბობენ, ღვინო ნაზიაო (*delicat*); ჩვეულებრივ ამისთანა ღვინოში მარილოვანი სხეულები ცოტაა, ფერი მუქი არა აქვს, არც სიმწკლარტე ეტყობა. თუ ღვინო ნამდვი-

ლად ნახია და ეს სინაზე მისი ღირსება არის, მაშინ საჭიროა რომ არავითარი მისი შემადგენელი ნივთიერება გადამეტებული, მოჭარბებული არ იყოს.—თუ ღვინო პირში სასიამოვნო გრძობას აჩენს და არავითარი სიმწკლარტე არ ეტყობა; თუ პირში ფარჩასხვით ეგება, მაშინ ამბობენ, ღვინო აბრეშუმოვანაა (soyeux); მასაღანა ანუ სამოსღანა ღვინო (etoffés) ის ღვინოა, რომელიც კარგად არის შედგენილი და პირში სიმტკიცის და სისრულის გრძობას აჩენს; ამ ღვინოს გემოდ ნახვის დროს სრული ერთგვარობა ეტყობა მის შემადგენელი ნაწილებისა და, საზოგადოდ, მომავლისთვის კარგ იმედს იძლევა. მტკაფე ღვინო (fermeté) ის ღვინოა, რომელიც თუმცა ჯერ სრულგვით არ არის დამდგარი, მაგრამ სხეულიანი, ძარღვიანი და საკუთარი, განსხვავებული გემო აქვს. ძანღვანა ანუ ნერვანა (nerveux) ის ღვინოა, რომელსაც ისეთი ძალა აქვს მოპოვებული, რომლის გამოც დიდ ხანს შეინახება შეუცვლელად; კარგად არის შეზავებული როგორც ალკოგოლით, ისე სხვა მის შემადგენელი ნივთიერებით; მაშასადამე, ცხოველი, სხეულიანი და კარგად შესანახავი ღვინოა; განსხვავებული და მდიანა გემოს ღვინო (qui est mordant) ის ღვინოა, რომელსაც როგორც ალკოგოლის ძალა, ისე გემო და ბუკეტი გადამეტებული აქვს და თუ სხვა ღვინოს შეერია, მაშინ თავისს ხარისხს და თვისებას იმასაც მიანიჭებს. ცხოველი ღვინო (vin vif) ის ღვინოა, რომელსაც სასიამოვნო გემო აქვს და ამასთან მაგარი არ არის; მშვენიერი ცხადი და ბრწყინვალე ფერი აქვს. არც ტკბილია, არც მშუშხავი და ალკოგოლის ძალა კარგადა აქვს შეზავებული. აზაზა (vin fin) ანუ ტურფა, ფაქიზი, ნარნარი ის ღვინოა, რომლის ბუნებრივს სინაზეს ზედ დაჰმატებია სიგემრიელე და სატრფილო ბუკეტი. ადრეული ანუ ადრე დამდგარი ღვინო (vin précoce) ის ღვინოა, რომელიც ძალიან ადრე დაღვინდა; ბევრ შემთხვევაში ეს უფრო ნაკლებევენება იქნება, ვიდრე ღირსება, რადგანაც მალე დაღვინებული, წინ წანაჭარი ღვინო უეჭველად მოკლებული იქნება ან ბუკეტს, ან ძალას და ან სხვას რასმეს. მაგარი ღვინო ანუ

ალკოგოლიანი (Vinosité ანუ Spirituosité) ის ღვინოა, რომელსაც ბევრი ალკოგოლი აქვს და დიდი ძალა. საზოგადოდ თუ ღვინო მაგარია, იმას ძალიცა აქვს (montant) და ეს ღირსებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა მისი არომატიული ნივთიერებანი და ალკოგოლი სასიამოვნოდ მოქმედობენ ნერვებზე. მალე დამთრობი და თავის ამატიკივებელი ღვინო ანუ **თავშია ზმეანდნელი ღვინო (fumeux)** ღვინის ნაკლულევიანება არის, მისი ალკოგოლი მალე მოქმედობს და თავს ატიკივებს; ამ ღვინოს ხშირად ბევრი ნახშირის სიმყავეცა აქვს და პირსა შუშხავს. ღვინის დასათასებლად ხშირად ხმარობენ სიტყვას **კარგა (bon)** და ყოველნი მისი შემადგენარნი ნივთიერებანი ჰარმონიულად არიან შერეულ-შეზავებულნი. როგორც ფერი, ისე ბუკეტი და გემო კარგი და სასიამოვნო აქვს და სასმელადაც მშვენიერია. ამ ღვინის გემო ისეთია, როგორც ყურძენს მიუცია, ესე იგი ცხადად გარკვეული გემო აქვს (**franc de goût**); კიდევ ხშირად ხმარობენ ღვინის დასათასებლად შემდეგ სიტყვებს: ღვინო პირში კარგია (**bien en bouche**)—ესე იგი კარგი სასმელი და ხალი ღვინოა. აგრედვე ამბობენ: ღვინოს კარგი ბოლო აქვს ანუ კარგი მომავალი, საძველოდ კარგია (**vin qui finis bien**); ამ სიტყვებს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთი, როცა ღვინო გემოდ ნახვის დროს პირში მშვენიერია და ნაზი სუნწელოვანება აქვს და ეს გემო და სუნი პირში რჩება მაშინაც კი, როცა ღვინო უკვე სტომაქშია. მეორე შემთხვევაში ამ სიტყვებით იმისთანა ღვინო იგულისხმება, რომელიც ხანში შესვლით უფრო და უფრო კეთდება, უფრო და უფრო ჯანსა და ღონეზედ მოდის და სიბერემდე შეუცვლელად მიაღწევს და ამ დროს მისი შემადგენარნი ნივთიერებანი ჰარმონიულად, უმეტ-ნაკლებოდ შეკავშირებული და შეზავებული იქნება. ეს ახალ ღვინოზე ითქმის, რასაკვირველი, და ამისათვის ამ შემთხვევაში ამბობენ: ამ ღვინოს მომავალი კარგი აქვს (**qu'ils ont de l'avenir**); ხანში შესულ ღვინოზე კი უნდა ვთქვათ: ღვინო კარგად თავდება (**tinir bien**), თავის კარგს გემოვნებაზედ ბერდება.

ღვინის ნაკლუღვენებას გამოსახატავა სიტყვება

თუ ღვინოს ცხადი და საღი ფერი არა აქვს, მაშინ ამბობენ, ღვინო შემღვრეულია (louche); როცა ეს სიმღვრივე ახალ ღვინოსა აქვს, იმისთანა ღვინოს, რომლის დაწმენდაც ჯერ გათავებული არ არის, მაშინ ამბობენ vin bourru (არეული ინუ ღურდოიანია). მომღვრივე და ღურდოიან ღვინოებში ღიღი განსხვავება არის; როცა ღვინო მღვრივეა (louche\*), მაშინ ხშირად დასწეულებულია და გატეხილია. ამ ღვინის ფერის გაფუჭება წარმომდგარია რომელიმე გადაგვარებისაგან; ღურდოიანი ღვინო კი ამ მდგომარეობაში არ არის; ამას თუ ფერი ცხადი და საღი არა აქვს, მხოლოდ იმიტომ რომ მისი თხლე ჯერ დაღეჟილი არ არის. ღურდოიანობა ნაკლუღვენებად არ უნდა ჩაითვალოს; ეს მხოლოდ დროებითი სიმღვრივეა. კარგი ღვინის მსინჯველი ამ ორსავე სიმღვრივეს კარგა გაარჩევს ერთმანეთისაგან. პირველი სიმღვრივე ძნელი მოსაცილებელია და მეორე კი თავისთავად გამოეცლება დაწმენდით.—ხანდისხან სიტყვა „ღურდოიანის“ მაგიერად ხმარობენ სიტყვას ტლანქი (grossier), როცა ღვინო ჯერ კარგად დაწმენდილი არ არის; დროს განმავლობაში ეს ღვინოც მოიცლის იმ ორგანიულ ნივთიერებათა, რომელნიც ღვინოში ტივეტივებენ და ამღვრევენ; დაწმენდის შემდეგ ღვინო სასიამოვნო სასმელი შეიქნება. ტლანქ ღვინოს იმასაც ეძახიან, რომელიც მძიმე და სქელია და გემო ცომისა აქვს. საზოგადოდ სიტყვა ტლანქი უფრო დაბალი ხარისხის ღვინოებზე ითქმის. თუ ღვინო მართლა ტლანქია, მერეც სულ ასეთივე დარჩება; იმის გაკეთება ძნელი-ღა არის. მისი თვისება მხოლოდ მაშინ შეიცვლება და გაკარგდება, თუ აეთრ სუსტ ღვინოს შევურევთ. ამისათვის ის ღვინო, რომელიც შეხნიანებით იწმინდება და კეთდება, სჯობს გამოიხატოს სიტყვით „ღურდოიანი“.

\* ) ფრანგული სიტყვა louche ძნელი გადმოსათარგმნელია.



მწკლარტე, კოწახა, მამკეგო და მკვახე ღვინო (apre dur, acerbe, vert)—ეს სიტყვები თითქმის სინონიმებია, ერთი-სა და იმავე მნიშვნელობისაა, მაგრამ მაინც ცოტაოდენი განსხვავება არის მათ შორის; მწკლარტეს უფრო ძველ ღვინოს ეძახიან, როცა ის პირსა სწკლარტავს, ანუ ჰკლერტავს; კოწახი უფრო ახალ ღვინოზე ითქმის, რომელშიაც ბევრია ღვინის მარილი და ტანინი; ეს ღვინო ხშირად დროს განმავლობით და დაწმენდით ჰკარგავს უსიამოვნო გემოს და კეთდება. ჰმახე ანუ მომკეგო ღვინო ცუდისა და დაუმწიფებელ ყურძნიდან არის დაყენებული; ამის გამო ეს ღვინო ერთსა და იმავე დროს მწკლარტეც არის, კოწახიც, ჰმახეც და ამასთან მშუშხავიც. სიტყვა მკვახე შეიძლება ორგვარის მნიშვნელობით. ვიგულისხმობ, ცუდი ან კარგი მხრით. მკვახე ღვინო ან დაუმწიფებელ, მკვახე ყურძნიდან არის დაყენებული და მაშინ ეგ თვისება ნაკლებეანება იქნება. იმ შემთხვევაში კი, როცა ახალ ღვინოს სიმკვახე, მხეობა, ანუ მარახოშობა და სიგრილე ეტყობა, მაშინ მოსალოდნელია, რომ ეს ღვინო კარგად შეინახება და ბოლოს გაკეთდება კიდეცა. ჩვეულებრივ ახალი ღვინო ან სუსტია და ან მგარი; სუსტ ღვინოს სხეული დიდი არა აქვს და ალკოგოლიც ნაკლებად ურევია და ამისათვის ადვილად წახდება, რადგანაც შესანახავი მასალა, გამძლეობის საფანელი ცოტა აქვს. თუ ამ სუსტ ღვინოს ცოტაოდენი სიმკვახე და მარახოშობა აქვს, მაშინ კარგად შეინახება. თუ, პირიქით, სუსტი ღვინო მოკლებულია სიმკვახეს, ეს ღვინო უღონო ან უჟღლური (plat) იქნება და გემოს მოკლებული; შეიძლება ფერი კარგი ჰქონდეს, მაგრამ სიმაგრე კი არავითარი და ამისათვის მალე წახდება. მას ზოგიერთ შემთხვევაში სიმკვახეს, მხეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონია და ღირსებად უნდა ჩაითვალოს. ხშირად ამბობენ კიდეც *vin pâteux* (ცომოვანი), რომელიც ისე სქელია, რომ პირს ცომივით ავსებს, პირში ფაფასავით მიდის, თითქო ენასა და ლოყებზე რაღაც მეკვრისო; ამ ღვინის შემადგენარი ნივთიერებანი ჯერ კარგად არ არის შეკავშირებულ-შედუღებული და ამის გამო რაღაც ძნელად გადასაჭოელი გემო აქვს, ძნელად გამოსარკვევის გემოვნებისაა.

საზოგადოდ, თუ ღვინო მღვრიევა (lon he), იმას, გარე-  
განი ნაკლულევანების გარდა, დაზიანებული აქვს სუნენლო-  
ვანება, გემო და ეს გარემოება მომსწავებელია მისი დასნეუ-  
ლებისა: ბრკე, დაქანგება, აღლევა, ჭურჭლის გემო ანუ ხე-  
ლი და სიწვარე ის სნეულებანია, რომელიც მოსალოდნელია  
გაუჯდეს ჯანში ამისთანა ღვინოს. ამ სხვა-და-სხვა გვარ ავად-  
მყოფობაზე ჩვენ უკვე ვრცლად გვქონდა ლაბარაკი წინა წე-  
რილში და ამის გამო იმას ეხლა აღარ გავიმეორებთ.

როცა ღვინო დამთავრებულია, მაშინ, რასაკვარველია, ყვე-  
ლას შეუძლიან ამოიჩიოს რომელიმე მათ შორის თვისის გე-  
მოსა და ჩვეულების დაგვარად; რაგვარ ღვინოსაც მიჩვეულია  
და რომელიც უფრო მოსწონს, იმისათვის ის უფრო სასიამო-  
ვნო და კარგი იქნება. იმ შემთხვევაში კი, როცა ღვინო ჯერ  
ახალია, ჯერ რიგიანად დაღვინებული არ არის, მაშინ კი ძნე-  
ლია იმის შეტყობა, თუ რომელი ღვინისგან დადგება იმისთა-  
ნა ღვინო, რომელიც მოსწონს ამასა თუ იმასა. მაშასადამე,  
ღვინის მომავალის ბედის წინაღვე შეტყობა ყველასთვის აღ-  
ვილი და მოსახერხებელი არ არის; ამის გამორკვევა მხოლოდ  
იმათ შეუძლიანთ, რომელნიც დახელოვნებულნი არიან ამ სა-  
ქმეში და რომლებსაც ბევრი ვარჯიშობით და ღვინის ყოველ  
ხანაში გასინჯვით გრძნობა ისე აქვთ განვითარებული, რომ  
შეუცდომელად შეუძლიანთ გადასწყვიტონ, რომელ ღვინიდან  
რა გვარი ღვინო დადგება მომავალში; ამას გარდა ისიც კი  
შეუძლიანთ გადასწყვიტონ, რომელი ღვინო რა დროს მოვა  
ჯანზედ და ყველა მათგანს რამდენი ხნის შენახვა დასჭირდე-  
ბა; იმასაც უტყუვრად გადასწყვეტენ, რომელი ღვინო გასძლებს  
კარგად და რომელს მოელის ცუდი ბოლო.

ხშირად ისიც მოხდება, რომ ზოგიერთი ღვინო, თუმცა  
კარგი არ არის, მაგრამ კარგი კი გვეჩვენება. ამგვარ ღვინო-  
ების მსჯელობას შედგენას დიდი ფაქტი უნდა. ამ შემთხვევა-  
ში, ვიდრე რაიმე გადასწყდებოდეს, საჭიროა ამ ღვინის წლო-  
ვანება ვიცოდეთ; მხოლოდ ამით შეიძლება გადასწყდეს—იმისი  
თვისება და გემო, მისი სიმწკლარტე ანუ სიტკობა, მისი მუქი

ანუ ღია ფერი ღირსებს შეადგენენ თუ ნაკლულევანებას. ეს შენიშვნა შეეხება იმისთანა ღვინოს, რომელიც პირდაპირ სასამელია, სხვა ღვინოებთან შეურვევლად.

რაც შეეხება იმ ღვინოებს, რომელიც საკუბაჟოდ არის დანიშნული, აქ სხვა შენიშვნა და მოფიქრებაა საჭირო.

პირველ შემთხვევაში, როცა ღვინო პირდაპირ, შეურვევლად არის სასამელი, ბოჩკაშია შენახული თუ ბოთლებში, ყოველთვის აგაჟება, იმას ყოველთვის თავისი თვისება აქვს, თავისი ხასიათი და ელფერი; მხოლოდ დროს შეუძლიან მისი შეცვლა, გაკეთება ან გაფუჭება. თუ ეს ღვინო მოსაწონია, მოსაწონია ასეთა, დოკორაღ ანაჲ; მისი ძალა საკმარისია, მისი სუნის ცხადი და სასიამოვნოა, მისი გემო სასურველი და მშვენიერია და ბოლოს თუ ამ ღვინოს სტომაქიც კარგად ინელეებს, მაშინ ეს ღვინო ბუნებური ღვინოა, კარგი თვისებისა და ხასიათისა.

მეორე შემთხვევაში კი იმისთანა ღვინოებია, რომლის პირდაპირ დაღვევა შეუძლებელია, მაგრამ თუ ამა და იმ რაოდენობით ერთმანეთშია შერეული, შეზავებულია ერთა მეორით, მაშინ ახალი ღვინო კეთდება, ნაკუბაჟევი, რომელიც ბოლოს გაკეთდება და განვითარდება. ამისათვის მიუცილებლად საჭიროა შესარევი ღვინოების კარგად ამორჩევა, რომ მართლა და იმისთანა ღვინო გამოვიდეს, რანაირიც საჭიროა. დაფასება ამ შემთხვევაში უნდა შეეხოს ღვინის ფერს, მის ალკოგოლის რაოდენობას, გემოს, სუნნელოვანებასა და შედგენილებას; ერთი სიტყვით, უნდა დაწვრილებით გამოკვლეულ იქნას ღირსება და ნაკლი ყოველი ღვინისა და იმათგან ისეთი ღვინოები უნდა იქნას ამორჩეული, რომლებიც შერევით კარგად შეუკავშირდება ერთი ერთმანეთსა და ამ შეკავშირებით კარგი და საღი, სასურველი გემოს და ფერის ღვინო შედგება.

უკანასკნელად კიდევ გავიმეორებ, რომ გემოდ ნახვის დროს მიუცილებლად საჭიროა ღვინოების კლასიფიკაცია; ყოველგვარი ღვინოების ერთად გასინჯვა შეუძლებელია, შეც-

ღომა მიუცილებელია. ღვინოების გემოდ გასინჯვას მხოლოდ მაშინ შეუდგებიან, როცა რიგზე აქვთ დამწკრივებული ღირსების დაგვარად; ჯერ დაბალი ღირსების ღვინოებს გასინჯავენ და ბოლოს რიგით მაღალ ხარისხის ღვინოებსაც დაუწყებენ სინჯვას.

საზოგადოდ ღვინოები განიჩჩევა ერთმანეთ შორის ან შედგენილებით და ან ფერით. შედგენილებას ანუ კონსტიტუციის მხრივ ღვინო ან ხმელია ან ლიქორიანი და ან შუა ადგილი უჭირავს—ნედლი ღვინოა. მათი თვისება ჩვენ უკვე ვიცით.

რაიცა შეეხება ფერს, ღვინოებს ჯერ წითელ-თეთრობით განასხვავებენ. მერე წითელს კიდევ გაანაწილებენ ნიუანსების დაგვარად: შავი ღვინო, წითელი, ალისფერი და მოყვითანო—ხახვის ფურცლის\* ფერი; თეთრი ღვინო კი ან სრულებით თეთრია და ან მოყვითანო—ქარვის ფერი (ambrée), კვერცხის გულის ფერისა.

ამასთან ესეც საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ სხვადასხვა მხრის ღვინოების გასინჯვა კარგი არ არის; ქართლისა და კახეთის ღვინოები ცალ-ცალკე უნდა გასინჯოს მათის ფერისა და კონსტიტუციის მიხედვასამებრ. თუ ამასთან სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ღვინოები ცალ-ცალკეა დაყენებული, მაშინ თითო ჯიშის ღვინოები ცალკე უნდა გასინჯოს და ისევ იმავე რიგით, როგორც წინად მოვიხსენიეთ, ესე იგი მათის ფერისა და შედგენილების დაგვარად. — რასაკვირველია, ამისთანა სიფრთხილე საჭიროა მხოლოდ კარგი ღვინოების გასინჯვის დროს; რაც შეეხება დაბალ ღვინოებს, ისიც საკმარისია ვიცოდეთ—ღვინოს კარგი და ცხადი ფერი აქვს და მისი ძალა შეეფერება თუ არა იმ ადგილს, საიდანაც ღვინო არის. ამ შემთხვევაში ესეც საკმარისია.

### ბ) ფიზიოლოგიური მოქმედების მნიშვნელობა ღვინის დაფასებაში

როგორც ვნახეთ, ღვინის ყოველი ღირსების და ნაკლის დაფასება ადვილი არ არის და მხოლოდ იმას შეუძლიან, ვი-

საც დიდი და მხევილი გრძობიერება აქვს და გავარჯიშებულია ამ საქმეში. ყველას არ შეუძლიან კარგად ასწონოს ღვინის გემო, ბუკეტი და არომატი და ამ საუფუძველით გაარჩიოს მრავალი ღვინოები ერთი-ერთმანეთისაგან; უფრო ადვილია ღვინის ფიზიოლოგიური ეფექტების ანუ მოქმედების შეტყობა და დაფასება. ამ შემთხვევაში მსაჯულებად გამოწვეულნი არიან სტომაქი, მუსკულები, გული და თავი. თუ რომელიმე ღვინო თვალსაც ასიამოვნებს, ყნოსვასაცა და გემოსაც, მაგრამ ამასთან მძიმე და ძნელი მოსანელებელია, თავსა სტკენს და ან გულს ურევს, მაშინ ეს ღვინო კარგ ღვინოდ აღარ ჩათვლება. კარგი ღვინო ის არის, რომელსაც შეუძლიან გამაცხოვლებელი და მარგებელი მოქმედება მოახდინოს როგორც ჩვენს ფიზიკურს ორგანოებზე, ისე მორალურსა და გონებრივზე; რომელი ღვინოც კარგად მოიმაღლიერებს ჩვენს სტომაქს, გულსა და თავსა, ის ღვინო უფრო შესაფერი იქნება ჩვენს ჯანმრთელობისთვის; მხოლოდ ეს ღვინო აღძრავს ჩვენში სასიამოვნო გრძობიერებას. თუ გამჭრიახობა, გულოვნობა და მხიარულება ყოველთვის სტაქნის ძირში არ მოიპოვება, ის კი უეჭველია, რომ თუ კარგი ღვინო ამკობს სუფრას, იმ სუფრაზედ არასდროს არ გაიგონებთ უშვერად უზრდელ ლაზღანდარობას. თუ მეჯლისში გაცხარებული ჩხუბი და ლანძღვა ასტყდა, ეს იმის ნიშანია, რომ დაღეული ღვინო გამამხიარულებელი და გამახალისებელი არ არის—ამიტომ მასპინძელმა მარანში სხვა ღვინო უნდა მოსძებნოს. თუ ცხოველი და გულ-ახილი ხუმრობის და საყოველთაო ალერსიანობის მაგივრად სტუმრებში მოღვრემილი სიჩუმე ჩამოვარდა—ესეც ცუდი ღვინის შედეგია და აქაც თუ მასპინძელს უნდა, რომ იმის სუფრაზე ისევ გაჩნდეს ჩვეულებრივი მხიარულება და ცხოველი სასიამოვნო ოხუნჯობა, თუ იმას უნდა, რომ იმის სუფრაზე ბრწყინადეს ქუა, გულოვნობა და სიყვარული, შესაფერი ღვინო უნდა მოსძებნოს, იმისთანა ღვინო, რომელმაც უნდა გაცხოველოს სტუმრები ნადიმის განმავლობაში. ღვინო არა მარტო სასმელია, არამედ სანოვავეც არის. ამის დასამტკიცებლად ის გავიხსენოთ,

რომ; თუ მუშას ღვინო აკლია, მის მაგივრად ხორაგი უნდა მიემატოს.

ფიზიოლოგიური მხრით კარგი ღვინო ის იქნება, რომელსაც კაცი მიჩვეულია; ამიტომ, საზოგადოდ რომ ვთქვათ, ვინც რა ღვინოს არის მიჩვეული, იმას ის უფრო მოსწონს, და აი ეს არის ფიზიოლოგიური ზედმოქმედების მიხედვით ღვინის დაფასების დამაბრკოლებელი.—დარწმუნებული ვართ, ჩვენ რომ იძულებული ვიყოთ ყოველთვის კარგი ტკბილი და ან ლიქორიანი ღვინო ვსვათ, იმისთანა ღვინოები, რომელიც თავისთავად შესანიშნავი ღვინოებია, მაინც მალე მოგვწყინდება და იქნება შეგვევიზღოს კიდეცა მათი სმა. ნაზუქი ხომ კარგია ან შაქრიანი პური, მაგრამ ყოველ დღე მათი ჭამა კაცს უმჭკველად მოსწყინდება, როგორც სამართლიანად ამბობს ვიუო—საყოველღეოდ უფრო პური არის გამოსადეგი. ღვინოებზედაც ესევე შეიძლება ვთქვათ: საყოველღეო სასმელად მხოლოდ ის ღვინო იქნება კარგი, რომელსაც ჩვენი აგებულება, ჩვენი ორგანიზმია მიჩვეული.

ღვინის მოქმედება ადამიანის ზნეობაზედ (მორალურს კერძობაზედ) ისეთივე დიდია, როგორც დიდია ჰიგიენის მხრით; მისი მოქმედება ცხადად ეტყობა როგორც სახლობას, ისე მთელ ხეობას და საზოგადოდ თვითონ ხალხსაც, რომელშიაც ღვინო აჩენს გულადობას, გულ-ახდილობას, დიდ-სულოვნობას, სიცხოველეს და გამჭრიახობას—ეს ის ღირსებანია, რომელიც ცნობილია იმ ქვეყნებში, სადაც ლუდს და არაყს უფრო ეწყობიან.—ზოგიერთი მორალისტები იმასაც კი ფიქრობენ, რომ ღვინის ხასიათს და შედგენილებას დიდი გავლენა აქვსო თვითონ კაცის ხასიათზე. ეს იქნება სრულიად მართალი იყოს, მაგრამ ჩვენ ამის გამოკვლევას ვერ შევუძლებთ.

თუქცა ღვინო დიდად სასიამოვნო და მარგებელი სასმელია, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მისი სიკეთე და მისი ჰიგიენური ზედმოქმედება სხვათა შორის დამოკიდებულია მის ძველობა-ხნეობასა და ფერზე. ახალი ღვინო მართალია ძლიერ ქეიფიანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ძნელი მოსა-

ნელგებელია და ხშირად მწკლარტე გემო აქვს; თუ ამასთან ახალი ღვინო ცოტა კმახეც არის, მაშინ სტომაქს ძალიან სწყენს. ახლობის დროს მხოლოდ სუმბუქი ღვინის სმა შეიძლება და ისიც დიდის სიფრთხილითა და ზომიერებით.—ახალი ღვინო კარგი საზრდო არ არის, თუ მეტადრე სიტკბო არა აქვს და წყლიანია; ამასთან ახალი ღვინო მალეც ათრობს მსმელს, რადგანაც ნახშირის სიმჟავე ჯერ ისევ ბევრი აქვს.

ძველი ღვინო მარგებელია და ყუათის მიმცემი; ყოველ იმ შემთხვევაში, როცა ჯანისა და ძალის მობრუნებაა საჭირო, როგორც მოხუცებულისათვის, ისე ნაადამყოფარისათვის, ძველი ღვინო ძალიან მარგებელია. როგორც Portes და Ruysen ამბობენ, „სუსტი აგებულობისათვის ძველი ღვინო ის არის, რაც ყვავილისთვის ნამი და ცხოველ-მყოფელი მზის სხივები“.

ჰიგიენის მხრივ, როგორც ვთქვით, ფერსაც დიდი მნიშვნელობა აქვს: თეთრი ღვინო საზოგადოდ გამამხნეველი და განმახალისებელია ნერვებისა; თუ თე ირი ღვინო ნაზია, მაშინ სისწრაფით მოქმედობს კაცზე და აღძრავს მისი ორგანიზმის ყოველ მოქმედებას; თეთრი ღვინო იმდენად უფრო ჩქარა მოქმედობს, რამდენადაც მისი შედგენილება განვითარებულია.

წითელი ღვინო კი უფრო ყუათის მიმცემია; ნერვების, მუსკულების და სტომაქის შემამაგრებელია; მისი მოქმედება ორგანიზმზე უფრო ხანგრძლივია და ძლიერი, მაგრამ ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს განსხვავება ღვინოების მოქმედებისა შეიძლება შეიცვალოს კულტურით, ჰავით და დუღილის განსაკუთრებულის რიგით; თუ თეთრი ღვინოც ჰაპით დადულდა, მაშინ მათ ფიზიოლოგიურ მოქმედებაში ბევრი განსხვავება არ იქნება. ამით გავათავებთ ჩვენს შენიშვნას შესახებ ღვინის ფიზიოლოგიურის მოქმედებისა.



**ბ) ქიმიურისა და სამიკროსკოპო ანალიზის მონაწილეობა ღვინის ღირსების დაფასებაში.**

ჩვენ წინაღ გავარჩიეთ, რა მონაწილეობას იღებს ღვინის ღირსების დაფასებაში გემოვნება და ფიზიოლოგიური მოქმედება ღვინისა; ახლა გავსინჯოთ ამ მხრივ ქიმიური და სამიკროსკოპო ანალიზის მნიშვნელობა.

ქიმიურსა და სამიკროსკოპო ანალიზსაც შეუძლიან ბევრ შემთხვევაში სასარგებლო ცნობანი შეგვძინოს ღვინის ღირსების შესახებ და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ღვინო მონათლულ-გაყალბებულია სხვა და სხვა გვარის სხეულის შერევით. როგორც უკვე ვიცით, ღვინო ძალიან რაული სხეულია; იგი შესდგება სხვა-და-სხვა ხასიათისა და თვისების სხეულისაგან და ყველა სხეულნი ჰარმონიულად არიან შეზავებულნი და შეკავშირებულნი; თუ რომელიმე მათ შორის ან ნაკლებია და ან გადამეტებული, ეს მეტ-ნაკლებობა თავის ბეჭედს დააჩვენებს ღვინოს და ცოტად თუ ბევრად გადაავარებს მის თვისებას და ღირსებას; ამ შემთხვევაში ჰარმონია დაიშლება. ჩვენ უკვე ვიცით ნორმალური ღვინის შედგენილება და ამასთან ისიც ვიცით, რომ მის შემადგენარ ნივთიერებათა შორის ცხადი დამოკიდებულება სუფევს; მათი ურთიერთი რაოდენობა ერთმანეთზე არის შეკავშირებული; მაგალითად, თუ ღვინოში ალკოგოლი ბევრია, მაშინ წყალი ცოტა იქნება და გლიცერინი კი ბევრი; თუ გლიცერინი ბევრია, მაშინ ქარვის სიმთავვეც ბევრი იქნება. ამას გარდა ღვინის ექსტრაქტსა და მის შემადგენელ ნივთიერებათა შორისაც დიდი ურთიერთობაა. ამისათვის ქიმიურის ანალიზით ადვილი შესაძლებელია გარკვევით დაფასდეს ღვინის ნაკლულებანება და ღირსება. ღვინის შედგენილებაში ამის გამო დიდი მნიშვნელობა აქვს ალკოგოლის და ექსტრაქტის რაოდენობას და ამათ შედარებით გლიცერინისა და სიმთავეთა რაოდენობასაც, განსაკუთრებით ადვილად ამართქლებელ სიმთავეთა.

აქ ჩვენ მოკლედ მოვიხსენიებთ, რა რიგადაც შეიძლება ღვინის ქიმიურად შესწავლა და რაგვარია მისი შედგენილება და შემადგენელ ნივთიერებათა ურთიერთი რაოდენობა და დამოკიდებულება:

1) ღვინის სიმჭიდროვის შეტყობა. ღვინის სიმჭირხნე დამოკიდებულია ალკოგოლის და ექსტრაქტის რაოდენობაზე. თუ ღვინოში ალკოგოლი ბევრია, მაშინ მისი სიმჭირხნე შესუსტებულია, ხოლო პირიქით, თუ ექსტრაქტი ბევრია, მაშინ სიმჭირხნე დიდი იქნება. ღვინის სიმჭირხნის შეტყობა, სხვათა შორის, საჭიროა იმისათვის, რომ შეგვეძლოს ღვინის შემადგენელ ნივთიერებათა ურთი-ერთი რაოდენობა წონაზე გამოვიანგარიშოთ. ღვინის სიმჭირხნის შეტყობა შეიძლება ამგვარად: ავიღოთ რომელიმე ამოწყული ჭურჭელი და მასში ჩასხმული ღვინის წონა შევიტყოთ და ამასთან ამავე საწყაოს წყლის (გამოხდილი) წონაც. ამისათვის აიღებენ შუშის პატარა ჭურჭელს (პიკნომეტრს), რომელსაც ყელი შევიწროებული აქვს და რომელსაც საცობლად შუშისავე მილი აქვს ყელის ზევით ძლიერ შევიწროებული; ამ შევიწროებულ მილს ნიშანი აქვს. ჯერ ასწონენ ცარიელ ჭურჭელს, შემდეგ შიგ გამოხდილ წყალს ჩაასხამენ ნიშნამდინ და კიდევ ასწონენ. ამას შემდეგ წყალს გადაასხამენ და ჭურჭელს რამდენჯელომე გასასინჯა ღვინით გამოარეცხავენ და შემდეგ შიგ ღვინოს ჩაასხამენ იმავე ნიშნამდინ და ასწონავენ. ახლა ჩვენ ვიცით ერთის ტანის წყლისა და ღვინის წონა. წარმოვიდგინოთ, რომ ჭურჭლის წონა არის 20,75 გრამი; ჭურჭლისა და წყლისა ერთად 58,79 გრ.; აქედან წყლის წონა იქნება 38,29 გრ. თუ ჭურჭლისა და ღვინის წონა 58,85 გრამია, იმავე ტანის ღვინის წონა იქნება 38,85; ახლა თუ ღვინის წონას გავყოფთ იმავე ტანის წყლის წონით, მაშინ ღვინის სიმჭირხნეს შევიტყობთ:

$$\frac{38,85 \text{ (ღვ. წონა)}}{38,29 \text{ (წყლის წონა)}} = 1,0056 \text{ ღვინის სიმჭირხნე.}$$


ზოგიერთ ღვინოებს გარდა, საზოგადოდ ღვინის სიმჭირხნე ძალიან უახლოვდება წყლის სიმჭირხნეს. რადგანაც ღვი-

ნოში წყალზე მსუბუქი სხეულებიც არის (როგორც ალკოგოლი და ეთერები), რომლებიც მის სიმჭირხნეს, ასუსტებენ და წყალზე მძიმე სხეულებიც (როგორც მარილოვანი სხეულები, სიმჟავენი და გლიცერინი), რომლებიც მის სიმჭირხნეს აძლიერებენ, ამიტომ ის წყალს უახლოვდება თავისის სიმჭირხნით.

ღვინის სიმჭირხნის შეტყობა ბევრი სხვა საშუალებითაც შეიძლება და განსაკუთრებით იმისთანა არეომეტრით, რომელიც ჩხინტი სხეულების საკუთარ წონას ანუ სიმჭირხნეს უჩვენებს. ამათში უფრო გავრცელებულია გეილუსაკის არეომეტრი, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ამისათვის იმის ხმარებაზე მე აქ აღარას ვიტყვი.

2) **ალკოგოლის რაოდენობის შეტყობა.** ალკოგოლის რაოდენობის შეტყობა ძნელი არ არის; ამისთვის საჭიროა ღვინოს გამოცვალოს ეს ალკოგოლი; ეს საქმე ასე უნდა მოხერხდეს. რადგანაც ღვინოში ბევრია იმისთანა სხეულები, რომლებიც ორთქლად იქცევიან, როგორც წყალი, ალკოგოლი, ზოგიერთი ცხიმოვანი სიმჟავენი (ძმრის სიმჟავე, პროპიონის სიმჟავე და სხვ.), ამისათვის ძალიან ძნელია ალკოგოლის სრული განცალკევება; თუ ალკოგოლს წყალი გამოჰყვია, ეს არ დაუშლის; მაგრამ სიმჟავენი კი დიდად შეამცირებენ იმის რაოდენობას. ამისათვის საჭიროა ამ სიმჟავეთა ისე გადაგვარება, რომ ორთქლს არ გადაჰყენენ. ეს ადვილი მოსახერხებელია; თუ ღვინოს რამე ტუტეს მივუმატებთ, მაშინ ყველა სიმჟავენი მარილად გადიქცევიან და მარილი ხომ ორთქლად აღარ იქცევა. ცდა ასე უნდა მოხდეს: აიღებენ 100 კ. ს. ღვინოს, ჩაასხამენ პატარა ჭიქის ჭურჭელში (კოლბა—სურათი 62), საწყაოს ცოტაოდენი გამოხდილი წყლით გამოავლდებენ და ამ ნარეცხსაც ჭურჭელში ღვინოს მიუმატებენ. შემდეგ ცოტაოდენ კირის წყალს ჩაასხამენ, რომ თავისუფალი სიმჟავენი დაწვლდნენ და ცოტაოდენი გადამეტებულიც იყოს, ტუტის რეაქცია ჰქონდეს. ამ ჭურჭელს ერთხვერელიანი საცობლით დაუცობენ და მოხრილი შუშის მილის შემწეობით შეაერთებენ საცივებელთან (3); საცივებლის ბოლოს სდგას 100 კ. ს. საწყაო (4). იმ

ქურჭლის ქვეშ, რომელშიაც ღვინოა (2), ალკოგოლის ლამუას (1) ანთებენ ჭამით ღვინოს ადუღებენ. ალკოგოლი ჭე წყალი ორთქ-



სურათი 82.

ლად იქცევა, მათი ორთქლი საცივებელში გაცივდება და ჩავა 100 კ. ს. საწყაოში. როცა  $\frac{2}{3}$  ღვინოსა დაშრება, მაშინ ლამუას გააქრობენ და 100 კ. ს. საწყაოს გამობდილი წყლით შეავსებენ ნიშნამდინ; კარგად შეანჯღრევენ, რომ ალკოგოლი და წყალი კარგად აირიოს. ახლა მთელი ის ალკოგოლი, რომელიც 100 კ. ს. ღვინოში იყო, ამ წყალშია მოგროვილი და, თუ ამ წყლის სიმჭირხნეს შეეიტყობთ, მაშინ ალკოგოლის რაოდენობის გამოანგარიშება შეგეძლებოდა. ამ წყლის სიმჭირხნის შეტყობა იმავე საშუალებით შეიძლება, როგორც ღვინოს სიმჭირხნისა, ესე იგი ან პიკნომეტრით ან არეომეტრით. რადგანაც არეომეტრით გასინჯვა უფრო სასწრაფოა და უფრო ადვილი, ამისათვის ეს საშუალება უფროა გავრცელებული; რა ნიშნამდინაც არეომეტრი ჩავა წყლიან ალკოგოლში, ის ნიშანი იქნება იმის სიმაგრის მაჩვენებელი. რადგანაც არეომეტრის ჩვენება დიდად

დამოკიდებულია სასინჯი სხეულის ტემპერატურაზე, ამისათვის მე აქ მოვიყვანე იმ სქემას, რომლის შემწვობითაც შეიძლება გასწორდეს არეომეტრის ნაჩვენები; ჩვეულებრივ გავრცელებულია გეილუსაკის არეომეტრი და მისი ნაჩვენები ნამდვილი მხოლოდ 15<sup>0</sup>. ამ ტემპერატურაზე ქვეით ცოტას უჩვენებს და ზევით კი — ბევრს.

სქემა წყაღშა გახსნად ალკოგოლისა 1<sup>0</sup> და 2<sup>0</sup> დან


ტემპერატურა სასინჯი სხეულ.	გეილუსაკის არეომეტრის გადასება																			
	1 <sup>0</sup>	2 <sup>0</sup>	3 <sup>0</sup>	4 <sup>0</sup>	5 <sup>0</sup>	6 <sup>0</sup>	7 <sup>0</sup>	8 <sup>0</sup>	9 <sup>0</sup>	10 <sup>0</sup>	11 <sup>0</sup>	12 <sup>0</sup>	13 <sup>0</sup>	14 <sup>0</sup>	15 <sup>0</sup>	16 <sup>0</sup>	17 <sup>0</sup>	18 <sup>0</sup>	19 <sup>0</sup>	20 <sup>0</sup>
10 <sup>0</sup>	1,1	2,1	3,1	4,1	5,1	6,1	7,1	8,1	9,1	10,1	11,1	12,1	13,1	14,1	15,1	16,1	17,1	18,1	19,1	20,1
11 <sup>0</sup>	1,2	2,2	3,2	4,2	5,2	6,2	7,2	8,2	9,2	10,2	11,2	12,2	13,2	14,2	15,2	16,2	17,2	18,2	19,2	20,2
12 <sup>0</sup>	1,3	2,3	3,3	4,3	5,3	6,3	7,3	8,3	9,3	10,3	11,3	12,3	13,3	14,3	15,3	16,3	17,3	18,3	19,3	20,3
13 <sup>0</sup>	1,4	2,4	3,4	4,4	5,4	6,4	7,4	8,4	9,4	10,4	11,4	12,4	13,4	14,4	15,4	16,4	17,4	18,4	19,4	20,4
14 <sup>0</sup>	1,5	2,5	3,5	4,5	5,5	6,5	7,5	8,5	9,5	10,5	11,5	12,5	13,5	14,5	15,5	16,5	17,5	18,5	19,5	20,5
15 <sup>0</sup>	1,6	2,6	3,6	4,6	5,6	6,6	7,6	8,6	9,6	10,6	11,6	12,6	13,6	14,6	15,6	16,6	17,6	18,6	19,6	20,6
16 <sup>0</sup>	1,7	2,7	3,7	4,7	5,7	6,7	7,7	8,7	9,7	10,7	11,7	12,7	13,7	14,7	15,7	16,7	17,7	18,7	19,7	20,7
17 <sup>0</sup>	1,8	2,8	3,8	4,8	5,8	6,8	7,8	8,8	9,8	10,8	11,8	12,8	13,8	14,8	15,8	16,8	17,8	18,8	19,8	20,8
18 <sup>0</sup>	1,9	2,9	3,9	4,9	5,9	6,9	7,9	8,9	9,9	10,9	11,9	12,9	13,9	14,9	15,9	16,9	17,9	18,9	19,9	20,9
19 <sup>0</sup>	2,0	3,0	4,0	5,0	6,0	7,0	8,0	9,0	10,0	11,0	12,0	13,0	14,0	15,0	16,0	17,0	18,0	19,0	20,0	21,0
20 <sup>0</sup>	2,1	3,1	4,1	5,1	6,1	7,1	8,1	9,1	10,1	11,1	12,1	13,1	14,1	15,1	16,1	17,1	18,1	19,1	20,1	21,1
21 <sup>0</sup>	2,2	3,2	4,2	5,2	6,2	7,2	8,2	9,2	10,2	11,2	12,2	13,2	14,2	15,2	16,2	17,2	18,2	19,2	20,2	21,2
22 <sup>0</sup>	2,3	3,3	4,3	5,3	6,3	7,3	8,3	9,3	10,3	11,3	12,3	13,3	14,3	15,3	16,3	17,3	18,3	19,3	20,3	21,3
23 <sup>0</sup>	2,4	3,4	4,4	5,4	6,4	7,4	8,4	9,4	10,4	11,4	12,4	13,4	14,4	15,4	16,4	17,4	18,4	19,4	20,4	21,4
24 <sup>0</sup>	2,5	3,5	4,5	5,5	6,5	7,5	8,5	9,5	10,5	11,5	12,5	13,5	14,5	15,5	16,5	17,5	18,5	19,5	20,5	21,5
25 <sup>0</sup>	2,6	3,6	4,6	5,6	6,6	7,6	8,6	9,6	10,6	11,6	12,6	13,6	14,6	15,6	16,6	17,6	18,6	19,6	20,6	21,6
26 <sup>0</sup>	2,7	3,7	4,7	5,7	6,7	7,7	8,7	9,7	10,7	11,7	12,7	13,7	14,7	15,7	16,7	17,7	18,7	19,7	20,7	21,7
27 <sup>0</sup>	2,8	3,8	4,8	5,8	6,8	7,8	8,8	9,8	10,8	11,8	12,8	13,8	14,8	15,8	16,8	17,8	18,8	19,8	20,8	21,8

რადგანაც ღვინო ტანით იყო აღებული 100 კ. ს. და გამოხდილი ალკოგოლიც ამ ტანამდინ იყო გამოხდილი წყლით განელებული, ამისათვის ამ გამოხდილში არეომეტრი ალკოგოლის ტანის რაოდენობას უჩვენებს, ესე იგი იმას, თუ რამდენი კუბიკური სანტიმეტრი ალკოგოლი არის ასს კუბ. სანტ. ღვინოში.

ალკოგოლის რაოდენობის შესატყობად თუმცა გელიუსაკის საშუალება დაახლოებით სწორია, მაგრამ ამას ერთი ეს

ნაკლულევენება აქვს, რომ ბევრი დრო უნდება. ამისათვის სწავლულები დიდ ხანს კდილობდნენ იმისთანა საშუალება მოეგონათ, რომლის შემწეობითაც ეს ოპერაცია სწრაფი და ამასთან სწორიც ყოფილიყო. ამისთანა საშუალება ეხლა ნაპოვნია და შემდეგს პრინციპზე დაფუძნებული; როგორც ვიცით, თუ ჰაერის ზედდაწოლა  $760\frac{mm}{mm}$ , მაშინ წყალი დუღს  $100^{\circ}$ -ზე და ალკოგოლი კი  $78^{\circ}$ ,<sub>გ</sub>; თუ წყლისა და ან ალკოგოლის მაგივრად მათი ნარევი გვაქვს, მაშინ ეს ნარევი იმდენად მიუახლოვდება ალკოგოლის დუღილს, რამდენადაც ამ ნარევეში ბევრი ალკოგოლი იქნება. რადგანაც ღვინო უმეტესად წყლისა და ალკოგოლისგან შესდგება, ამისათვის თუ ჩვენ რომელი-სამე ღვინის დუღილის ტემპერატურას შევიტყობთ, შეგვეძლება ამით ალკოგოლის რაოდენობაც შევიტყოთ ამ ღვინოში. დუღილის ტემპერატურის შესატყობად მოგონილია ერთგვარი მანქანა, რომელსაც ებულიოსკოპი ჰქვია; ამისთანა მანქანები ეხლა ბევრია მოგონილი, ერთსა და იმავე პრინციპზე აშენებული, მაგრამ მკითხველების ყურადღებას მივაპყრობ მალიგანის (Ebulioscope de Mollingand) ებულიოსკოპზე (სურათი ნ3) და მოკლედ ავწერ იმის შედგენილებასა და ხმარებას. ეს მანქანა შესდგება ერთის ვიწროსა და მაღალის, ძირშევიწროებულ სადუღებელიდან (3), რომელიც შეერთებულია ტერმოსიფონთან ანუ ვიწრო ირგვლივ მორკალულ მილთან; ამ მილის ბოლოები ორივე ამ სადუღებელში შედის და შუაგულზე კი ჩამოცმული აქვს ძირ-გაკანინებული მილი ბუხარივით (2), რომლის ქვეშაც ალკოგოლის ლამფა სდგას (1). ამ სადუღებელს სახურავი აქვს, რომლის გარეგანი ნაპირები ხრახნილია; სადუღებელის პირიც შიგნიდან არის ხრახნილი, ასე რომ ხუფი ჩაბურღულია სადუღებელში; მაშასადამე, ყოველთვის გერმეტიულად შეიძლება სადუღებელის დახურვა. სახურავს ორი ნახვრეტი აქვს, რომელთაგანაც ერთში ჩაბურღულია საცივებელი (4) და მეორეში კი ჩამაგრებულია ტერმომეტრი (6). საცივებელი შესდგება ორის მილისაგან, რომელთაგანაც ერთი

ვიწრო და გძელი და მეორე ცოტა მოკლე და განიერი; განიერი მილი ერთ ბოლოზე შევიწროებულია შაქრის თავივით და



სურათი 03.

ამ ნაწილით მიდუღებულია ვიწრო მილზე. ამ ვიწრო მილის ორივე ბოლო ღია არის და იმ ბოლოზე, რომლითაც ჩამაგრებულია განიერში, გარედან ხრახნილი აქვს, რომლის შემწეობითაც ჩაიბურღება სადუღებელის სახურავში. ამგვარად ამ ვიწრო მილის ერთი ღია ბოლო სადუღებელში ჩადის და მეორე კი განიერ მილზე ცოტა გძელია და გარედ გამოდის. ამ ორ მილთა შორის საჭიროების დაგვარად წყალს ჩაასხამენ, რომელიც ღვინის ორთქლს გააცივებს. ტერმომეტრი თავისი ბოლოთი, ესე იგი იმ ნაწილით, რომელშიაც ვერცხლის წყა-



ლია, სადღუღებელში ჩადის და მისი ღერი მოხრილია და მი-  
მაგრებული გრძელ და პტყელ ჯერკმაზე (5), რომელიც  
აგრედვე სადღუღებელის სახურავზე არის დამაგრებული. ამავე  
ჯერკმაზე, ტერმომეტრის ქვეშ დამაგრებულია ვიწრო და  
გრძელი, მთელი ტერმომეტრის ღერის სიგრძე საზომი (7),  
განაწილებული გრადუსებად (règle). ეს საზომი ანუ ლინეიკა  
ისეა მომართული, რომ საჭიროების დაგვარად წინ-და-უკან  
წაიწ-წამოიწევა. ეს ლინეიკა ანუ საზომი ამოჭრილ ნიშნებით  
განაწილებულია ალკოგოლის გრადუსებად  $0^{\circ}$  დაწყებული  
 $25^{\circ}$ -მდე. საზომი განაწილებულია ამ პრინციპზე:  $0^{\circ}$  უჩვენებს  
წყლის დუღილს; თუ ამ წყალში  $1^{\circ}$  ალკოგოლი ურევია, მა-  
შინ  $1^{\circ}$  იქნება, თუ ხუთია— $5^{\circ}$  და სხვანი. თვითონ ტერმო-  
მეტრს ტემპერატურის მაჩვენებელი ნიშნები არა აქვს.—ჯერ-  
კმაზე ზემოდან ჩამოცმულია პატარა საჩვენებელი (ს) გრადუ-  
სებისა, რომელიც ამ ჯერკმაზე წინ-და-უკან აღვილად სცუ-  
რავს. ცდას აი როგორ შეუდგებიან. ჯერ სახურავს მოხდიან  
და სადღუღებელში ცოტაოდენ გამოხდილ წყალს ჩაასხამენ. ამ  
სადღუღებელში შეინიდან ორი ნიშანია დასმული, ერთი სულ  
ძირში და მეორე კი უჭუო მაღლა; წყლით ქვედა ნიშნამდინ  
შეავსებენ; რადგანაც ტერმოსიფონი ამ სადღუღებელის ძირშია,  
აქისათვის ის ირგვლივ მორკალული მილიც წყლით სავსე იქ-  
ნება. ამას შემდეგ სახურავს ისევ დახურავენ და ტერმოსიფონ-  
ის ქვეშ ლამფას აანთებენ. როცა წყალი კარგად აღუღდება,  
მაშინ ტერმომეტრს კარგად დაათვალიერებენ და სადაც ვერ-  
ცხლის წყალი გაჩერდება, იქ საჩვენებელს გამოაცურებენ. ამას  
შემდეგ სახურავს ისევ დახურავენ და ტერმოსიფონის  
ქვეშ ლამფას აანთებენ. როცა წყალი კარგად აღუღდება, მა-  
შინ ტერმომეტრს კარგად დაათვალიერებენ და, სადაც ვერცხ-  
ლის წყალი გაჩერდება, იქ საჩვენებელს გამოაცურებენ. ამას  
შემდეგ საზომის ბურღს მოადუნებენ და ისე გასწევენ და ან  
გამოსწევენ, რომ მის  $0^{\circ}$  ამ საჩვენებელ ქვეშ მოაქცევენ; იქ  
სადაც ტერმომეტრში ვერცხლის წყალი გაჩერდა. ამით შეტ-  
ყობილია ამ მაჩვენებელის  $0^{\circ}$ . შემდეგ ლამფას გააქრობენ, სა-

ხურავს მოხდინან და წყალს გადაასხამენ. როცა საღულღებელი ცოტაოდნად გაცივდება, რამდენჯელმე გამოორეცხავენ იმ ღვინით, რომელიც გასასინჯია და გარეცხის შემდეგ საღულღებელს შეავსებენ ზემო ნიშნამდინ. სახურავს ისევ დახურავენ, საცივებელში წყალს ჩაასხამენ და ბუხარში ლამფას ანთებენ. როცა ღვინო აღულღება, მაშინ დააკვირდებიან ტერმომეტრის მდგომარეობას; თუ ვერცხლის წყალი რამდენისაზე წამის განმავლობაში ერთ. ადგილას არის შეჩერებული, საჩვენებელს აქ გადმოაჯობებენ და გასინჯავენ, მაჩვენებელზე ამ ადგილას რა ნიშანია; ვთქვათ, აქ არის 11<sup>0</sup>, მაშ ღვინოს 11<sup>0</sup> ალკოგოლი ჰქონია (ტანით); თვლა 0<sup>0</sup> დაიწყება, ესე იგი წინიდან უკან.

თუ სასინჯი ღვინო მუქი და მჭირხნე არის და ანლიქორიანი ღვინოა, მაშინ ეს ღვინო წყლით უნდა განელდეს; ან წყალსა და ღვინოს ნახევრობით აიღებენ, ან  $\frac{1}{3}$  ღვინოს და  $\frac{2}{3}$  წყალს, ღვინის სისქის დაგვარად და ამ შემთხვევაში მაჩვენებლის ნაჩვენებს ან 2 და ან 3 გაამრავლებენ. მავალითად, თუ ღვინო ერთი მესამედი იყო და წყალი ორი მესამედი და მაჩვენებელმა გვჩვენა 3<sup>0</sup>, მაშინ ამ ღვინის ალკოგოლის რაოდენობა იქნება შემდეგი:  $3,0 \times 3 = 10,0$ . როგორც ცხადად სჩანს, ამ პატარა მანქანის შემწეობით ძალიან მალე შეიძლება ღვინოში ალკოგოლის რაოდენობის შეტყობა, ძლივს 20 ან 25 წუთი დასჭირდება. თვითონ მანქანა, სამწუხაროდ, ცოტა ძვირია, 60 მანეთამდინ ღირს და, რასაკვირველია, ყველას არ შეუძლიან იქონიოს; მისი შეძენა შეუძლიან მხოლოდ დიდის მამულის და ან დიდის სარდაფის პატრონს.

როგორც ვთქვით, სხვებიც ბევრია ამგვარივე მანქანები, როგორც საღერონისა, ამაგასი და სხვანი, მაგრამ იმათ აღწერას არ შევეუდგები, რადგანაც ყველგან ერთი და იგივე პრინციპია მხედველობაში მიღებული—ღუღილის ტემპერატურა.

**3) ღვინის ექსტრაქტის რაოდენობა.** ღვინოში ექსტრაქტის რაოდენობის შეტყობა ისევე უნდა, როგორც ტკბილში, ესე იგი აიღებენ 35 კ. ს. ღვინოს, ჩაასხამენ ცარიელს და წი-


ნად აწონილ პატარა პლატინის ფილაში, დასდგამენ ცხელ წყალზე და ნელად დააშრობენ. დაშრობის შემდეგ შესდგამენ პატარა სპილენძის ყუთში, რომელიც 100<sup>0</sup>-დინ არის გამთბარი და რამდენიმე ხნის შემდეგ გააცივებენ და ასწონენ; მის წონიდან ფალას წონას გამოორიცხავენ და ნაშთს გაამრავლებენ 4 ჯერ — ეს იქნება ექსტრაქტის რაოდენობა 100 კ. ს. ღვინოში.

4) **ნაცრის რაოდენობა.** ნაცრის რაოდენობის შესატყობად ამ ექსტრაქტს დასწვამენ ცეცხლზე და როცა მთელი ორგანიული ნივთიერება დააწვეება და ნაცარი გათეთრდება, ე. ი. ნახშირი აღარ ერევა, მაშინ გააცივებენ და ასწონენ. აქაც ფალას წინას გამოორიცხავენ და ნაშთს ოთხჯერ გაამრავლებენ; ეს იქნება ნაცრის რაოდენობა 100 კ. ს. ღვინოში.

5) **სიმჟავეთა რაოდენობის შეტყობა.** როგორც ვიცით, ღვინოში სხვა-და-სხვაგვარი სიმჟავეა: a) ნახშირის-სიმჟავე, b) თავისუფალი სიმჟავენი, როგორც ვაშლის სიმჟავე, ლიმონისა და ქარვის სიმჟავენი, c) აგრედვე ზოგჯერ მოიპოვებიან ადვილად ორთქლად-მქცევი ცხიმოვანი სიმჟავენი, როგორც ძმრისა, პროპიონისა, ბუტირინისა და სხვანი და d) მარილოვანი სიმჟავენი, განსაკუთრებით ღვინის მარილი (კრემორტარტარი), რომელიც უმთავრესი სიმჟავეა ღვინისა. როცა უნდათ სიმჟავეთა რაოდენობის შეტყობა, მაშინ იგულისხმება ყველა ამ სიმჟავეთა საზოგადო რაოდენობა, ღვინის სიმჟავეზე გამოანგარიშებული. ამ სიმჟავეთა რაოდენობის შეტყობა ჩვენ უკვე ვიცით; აქაც, როგორც ტუბილში, კირის წყლისა და ლაკმუსის შემწეობით ადვილად შეიძლება ამ საგნის გამოკვლევა.

6) **ადვილად ორთქლად-მქცევი სიმჟავეთა რაოდენობა.** ამ სიმჟავეთა რაოდენობის შეტყობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც, როგორც ვიცით, ნორმალურ ღვინოში ეს სიმჟავენი ისე მკირდნენ არიან, რომ ძლივს შესამჩნევია, მაგრამ თუ ღვინო დასნეულდა, მაშინ კი ეს სიმჟავენი შესამჩნევად მატულობენ და ამის გამო თუ მათი რაოდენობა გაძლიერებულია, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ღვინო გაფუჭებულია. ამ სი-

მევეთა რაოდენობის შეტყობა ასე მოხერხდება: როგორც 64 სურათიდან სჩანს, აიღებენ შუშის ორ ჭურჭელს, ორ კოლბას, პირველში წყალს ჩაასხამენ და მეორეში 100 კ. ს. ღვინოს და ორივე ჭურჭლის ქვეშ ლამფებს დაანთებენ. რამდენისამე ხნის შემდეგ ორივე ჭურჭელში დუღილი გაჩნდება, წყალიც ადუღდება და ღვინოც. პირველი ჭურჭლიდან (1) წყლის ორთქლი ღვინოში ჩადის (2) და, რადგანაც ღვინოც დუღილშია, ეს ორთქლი აქ აღარ გაცივდება და ამისათვის როგორც წყლისა, ისე ღვინის ორთქლი ერთად საცეცხველში (3) გადადის; აქ ცივდება და გროვდება ამოწყულ 200 კ. ს. ჭურჭელში (4); დუღილს იმდენ ხანს განაგრძობენ, ვიდრე ეს 200 კ. ს. ჭურჭელი არ აივსება. ესლა მთელი ის სიმევენეი, რომლებიც ორთქლად ადვილად იქცევიან, სულ ამ ჭურჭელში არიან მოგროვილნი და ამათთან, რასაკვირველია, წყალი და ალკოგოლიც არის. ამ სიმევენეთა რაოდენობას ახლა კირის წყლის შემწეობით შეიტყობენ და ეს იქნება ყველა ორთქლად-მქცევ სიმევენეთა რაოდენობა 100 კ. ს. ღვინოში.



სურათი 64.

7) გლიცერინას რაოდენობა. აიღებენ 200 კ. ს. ღვინოს,

ჩაასხამენ შუშის და ან ჩინურ ფიალაში და გამთბარ წყალზე დასდგამენ, რომ ნელ-ნელა დაშრეს; როცა 50 კ. ს. დაჩება, მაშინ მიუმატებენ კირის ფქვილს ორიოდ გრამს, რომელიც ღვინოში მყოფ სიმჟავეთა და შაქარს შეეუერთდება. ამას შემდეგ ღვინოს ისევ ნელ-ნელა სრულებით დააშრობენ; გაცივების შემდეგ მიუმატებენ ეთერ-ალკოგოლის ნარევს (1 ალკოგოლი და 1,5 ეთერი), კარგად აურევენ და ქალაღში გასწურავენ. რამდენჯერღე გაიმეორებენ ამ ოპერაციას, რომ სრულებით ამოსცილდეს ამ ღვინოს ნაშთს იქ მყოფი გლიცერინი. ამ ეთერ-ალკოგოლის ნარევს, რომელშიაც ახლა გლიცერინია გახსნილი, ხელ-მეორედ დააშრობენ თბილ წყალზე და ხელ-მეორედვე ისევ ცოტაოდენ ეთერ-ალკოგოლის ნარევში გახსნიან, ქალაღში გასწურავენ, ამ ნაწურს პატარა შუშის ქურქელში (სურათი 65) ჩაასხამენ და თბილ წყალზე დააშრობენ; შუშის ქურქელი წინადა აწონილი იყო და გაცივების შემდეგ ისევ ასწონენ, შუშის წონას გამოვლენ და ეს იქნება გლიცერინის რაოდენობა 200 კ. ს. ღვინოში; ამ წონას ორად გაპყოფენ და ეს იქნება 100 კ. ს. ღვინოს გლიცერინი; თუ ღვინო ლიქორიანია, ესე იგი ბევრი შაქარი აქვს, მაშინ კირი უფრო მომეტებული უნდა მიემატოს და ან კირის მაგივრად ტყვიის ქანგი ანუ მისი გიდრატი.



სურათი 65.

8) ქარვის სიმჟავის რაოდენობა. ნახევარ ლიტრ ღვინოს დააშრობენ თბილ წყალზე და ექსტრაქტს ეთერ-ალკოგოლს მიუმატებენ; კარგად აურევენ და ქალაღში გასწურავენ; ამას ისევ დააშრობენ და ნაშთს კირის წყალს მიუმატებენ, დააშრობენ და კიდევ ეთერ-ალკოგოლით გარეცხავენ. ნაშთი ქარვის-სიმჟავის კირიანი ზარილი იქნება, რომელსაც 24 საათის განმავლობაში 80° ალკოგოლთან დასტოვებენ და შემდეგ გასწურავენ აწონილ ფილტრში და ამ წონიდან გამოიანგარიშებენ ქარვის სიმჟავის წონას.

9) ღვინოს მარილის (კრემორტარტრას) რაოდენობა. აიღებენ 10 კ. ს. ღვინოს, ჩაასხამენ ვიწრო-ყელიან პატარა

ჭურჭელში და მიუმატებენ 50 კ. ს. ეთერ-ალკოგოლის ნარევის (ნახევრობით), კარგად შეანჯღრევენ, პირს დაუტოპენ და 24 საათის განმავლობაში გრილ ადგილას შეინახვენ. ამ დროს განმავლობაში მთელი ღვინის მარილი დალექილია, რადგანაც, როგორც ვიცით, ეთერ-ალკოგოლში არ იხსნება. ეთერ-ალკოგოლიან ნარევი ღვინოს ქაღალდში გასწურავენ, ჭურჭელს ცოტაოდენის ეთერ-ალკოგოლით გამორეცხავენ და ამ ნარევისა იმავე საწურავში გაატარებენ. როცა კარგად გაიწურება, ამ ქაღალდს ჩაადებენ იმ ჭურჭელში, სადაც წინად ღვინო იყო და ეხლა ღვინის მარილი, ცოტაოდენ ცხელ გამოხდილ წყალს მიუმატებენ, რომელშიაც ღვინის მარილი გაიხსნება და ამ ხსნილში კირის წყალით შეიტყობენ სიმჟავის რაოდენობას.

ამით ვათავებთ ღვინის ანალიზს ქიმიურად; რაც შეეხება სამიკროსკოპო ანალიზს, ეს სრულიად ადვილია, თუ ვისმე მიკროსკოპი აქვს; ამ საშუალებით ადვილად შეიძლება ღვინის ყოველგვარი სენის შენიშვნა და ამაზე ზომ ჩვენ გვქონდა ვრცელი ზაასი, როცა ღვინის სხვა-და-სხვაგვარი სნეულება გავარჩიეთ.

ახლა ის გავარჩიოთ, როგორ უნდა გამოვიყენოთ ქიმიური და სამიკროსკოპო ანალიზები ღვინის ღირსების დასაფასებლად:

რაც შეეხება მიკროსკოპით ანალიზს, აქ ბევრი სჯა არ არის საჭირო; თუ მიკროსკოპი გვიჩვენებს, რომ ღვინოში რომელიმე ავადმყოფობის ფერმენტია, მაშინ, რაღა თქმა უნდა, რომ ან ღვინო გადაგვარებულია და ან გადაგვარების გზაზე სდგას; მაშ წამხდარია და ამის გამო მისი ღირსებაც ძლიერ იქნება შემცირებული. რასაკვირველია, თუ სენი ჯერ ძალიან არ გასჯდამია, ამ ღვინის გამობრუნება კიდევ შეიძლება, მაგრამ დასნეულებული ღვინო საღ და კარგ ღვინოდ ზომ ვეღარ ჩიოთვლება და, მაშასადამე, ღირსებას მოკლებულია.

რაც ქიმიურ ანალიზს შეეხება, აქ თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ძნელია გადაწყვეტით ითქვას, ღვინო გაფუჭებულია

თუ არა, მაგრამ ღვინოში ნაპოვნ ნივთიერებათა რაოდენობის შედარებით და ზოგიერთის გამოანგარიშებით შესაძლებელია გადაწყვეტით ითქვას, ღვინო ბუნებრივია თუ გაყალბებულია და ან გაფუჭებული.

მეცნიერთა გამოკვლევამ ცხადად გვიჩვენა, რომ ღვინის ექსტრაქტის და ალკოგოლის რაოდენობათა შორის ერთგვარი დამოკიდებულება არის, მათ შორის მტკიცე ურთიერთობას უფევს, ასე რომ თუ ექსტრაქტი ბევრია, ალკოგოლიც ბევრი იქნება. მრავალი გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ ყოველ წითელ ღვინოში ალკოგოლის რაოდენობაზე ოთხნახევარჯერ ( $4,5$ ) გადამეტებული არ იქნება, ასე რომ თუ ექსტრაქტი  $2\%$ -ია, მაშინ ალკოგოლი  $9\%$ -ზე მეტი არ იქნება. თუ ალკოგოლის რაოდენობა ამ კოეფიციენტზე გადამეტებულია (შესაწყნარებელია მხოლოდ  $\frac{1}{10}$  გადამეტება, მაშასადამე  $4,6$  ჯერ), მაშინ ღვინო უქველად გაყალბებულია, ალკოგოლი აქვს მიმატებული; რადგანაც აქ გამოანგარიშება წონაზეა და ჩვენ კი მხოლოდ ის საშუალებანი ვუჩვენეთ, რომელიც ალკოგოლის ტანს გვიჩვენებს, ამისათვის გამოსაანგარიშებლად ალკოგოლის ნაპოვნი ტანი წონაზე უნდა გადავიანგარიშოთ და ეს ძალიან ადვილია: თუ ჩვენ ნაპოვნ ალკოგოლის ტანს გავამრავლებთ  $0,18$ , მაშინ იმის წონას ვიპოვით; მაგალითებრ, თუ ანალიზით ვიპოვეთ  $9\%$  ალკოგოლი, ამ ალკოგოლის წონა იქნება  $9 \times 0,18 = 1,62$ ; თეთრი ღვინის კოეფიციენტი (თუ, რასაკვირველია, ღვინო უჭკოდ არის დაყენებული)  $5,17$  არ გადასცილდება.

იმის შესატყობად, თუ ღვინოს ალკოგოლი აქვს მიმატებული ღვინის სიმჭირხნეც შეგვიძლიან გამოვიყენოთ. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ მრავალ შემთხვევაში ღვინის სიმჭირხნე უახლოვდება წყლის სიმჭირხნეს და არასოდეს  $0,885$ -ზე დაბალი არ იქნება; თუ მაშ რომელსამე ღვინოს ამ  $0,885$ -ზე ნაკლები სიმჭირხნე აქვს, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ამ ღვინისთვის ალკოგოლი მიუმატებიათ.

ამგვარი დამოკიდებულება ექსტრაქტსა და ალკოგოლ შორის ნამდვილია მხოლოდ მაშინ, როცა ღვინოში ან შაქა-



რი არ არის დარჩენილი და ან სხვა მჭირხნე სხეული არა აქვს მიმატებული, როგორც გაჯი და სხვანი; თუ მიმატებულია, მაშინ ამ შაქრის და ან გაჯის რაოდენობაც უნდა იყოს ნაპოვნი და გამოირიცხოს ექსტრაქტის რაოდენობიდან.

კიდევ არის ერთი ღონის-ძიება მიმატებული ალკოგოლის შესატყობად: როგორც წინადაც ვთქვით, პასტერმა ცხადად დაამტკიცა, რომ ტკბილის დუღილის დროს გლიცერინის რაოდენობა ძლიერ დამოკიდებულია ალკოგოლის რაოდენო-

ბაზე და შეადგენს ალკოგოლის  $\frac{1}{15}$ -ს; მაშასადამე, თუ ღვინოში გლიცერინის რაოდენობა  $0,65\%$  არის, მაშინ ალკოგოლის რაოდენობა არ უნდა გადასცდეს  $9,75\%$ ; თუ ამაზე გადამეტებულია, მაშინ ცხადია, რომ ღვინოს ალკოგოლი აქვს მიმატებული. რასაკვირველია, შესაძლებელია ალკოგოლთან გლიცერინიც მიუმატონ, მაგრამ ამის შეტყობაც შესაძლებელია, რადგანაც გლიცერინსა და ქარვის სიმჟავეს შორის ახლო დამოკიდებულებაა და ქარვის სიმჟავის რაოდენობა შეადგენს  $\frac{1}{5}$  გლიცერინის რაოდენობისას. მაშ თუ ამ სიმჟავის რაოდენობა არ ეთანხმება გლიცერინის და ალკოგოლის რაოდენობას, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ღვინოს მიმატებული აქვს გლიცერინიც და ალკოგოლიცა.

ალკოგოლთან ხშირად წყალსაც უმატებენ ღვინის გასაბევრებლად; ამის შეტყობა ამგვარად შეიძლება: გამოკვლეულია, რომ ყოველ ნორმალურ ღვინოში ალკოგოლის რაოდენობა (ტანიით) და სიმჟავეთა რაოდენობა (წონით), ერთად აღებული,  $12,5\%$ -ზე ნაკლები არ არის. თუ ღვინოს წყალი აქვს მიმატებული, სიმჟავეთა და ალკოგოლის რაოდენობის ჯამი შემცირდება, ხოლო თუ ალკოგოლი აქვს მიმატებული, ეს ჯამი, რასაკვირველია, იმატებს; მაშ საჭიროა ეს ორივე გარემოება ცალ-ცალკე იქმნას გამოანგარიშებული. ჯერ უნდა შევიტყოთ, რა დამოკიდებულება არის ექსტრაქტისა და ალკოგოლის რაოდენობათა შორის. ვიპოვოთ ამ დამოკიდებულების

კოეფიციენტი; თუ ეს კოეფიციენტი  $4,5$  მეტია, მაშინ ჯერ ექსტრაქტის რაოდენობას გაამრავლებენ ამ  $4,5$  და ამით შეიტკობენ, რამდენი ალკოგოლი უნდა ყოფილიყო ღვინოში; ამ გამოანგარიშებულ ალკოგოლის რაოდენობას გამორიცხავენ ანალიზით ნაპოენ ალკოგოლის რაოდენობიდან და ნაშთი გვიჩვენებს მიმატებულ ალკოგოლის რაოდენობას. ამას შემდეგ გამოანგარიშებულ ალკოგოლის რაოდენობას და ანალიზით ნაპოენ სიმჟავეთა რაოდენობას შეაერთებენ და, თუ ჯამი  $12,5$  დაშორდა, მაშინ წყლის მიმატება ცხადია. ავიღოთ მაგალითი:

ვთქვათ, რომ ღვინის ექსტრაქტი  $1,42^{\circ}/\text{ო}$

სიმჟავეთა რაოდენობა  $0,81^{\circ}/\text{ო}$

ალკოგოლი ტანით  $16^{\circ}$  და წონით  $12,80^{\circ}/\text{ო}$

ახლა შევიტყოთ ამ  $1,42$  ექსტრაქტიან ღვინოს რამდენი ალკოგოლი უნდა ჰქონოდა და ამისათვის ექსტრაქტის წონა გავამრავლოთ ალკოგოლის კოეფიციენტით:  $1,42 \times 4,5 = 6,39^{\circ}/\text{ო}$  ამ ალკოგოლის ტანი იქნება  $6,39 : 0,8 = 7,99$  და რადგანაც ანალიზით ნაპოენი იყო  $16^{\circ}$ , მაშ მიმატებულია  $16 - 7,99 = 8,01$ . ახლა შევეადგინოთ გამოანგარიშებით ნაპოენი (ექსტრაქტის შესაფერი) ალკოგოლის და სიმჟავეთა ჯამი:  $7,99 + 3,10 = 11,09$  და, როგორც ვხედავთ, ეს ჯამი  $12,5$ -ზე ნაკლებია, მაშ წყალიც ჰქონია მიმატებული. როგორც ვხედავთ, ალკოგოლი, ექსტრაქტი, ნაცარი და ღვინის მარლილი ერთმანეთში ისე არიან შეზავებული, მათი ურთიერთი რაოდენობა ისეა ერთმანეთზე დამოკიდებული, რომ ყოველთვის თითქმის უტყუარად შესაძლებელია ღვინის გაყალბების შეტყობა მისის ანალიზით. წმინდა ღვინოში, საზოგადოდ, ერთ გრამზე ნაკლები ღვინის მარლილი არ არის, მისი ნაცარი დაახლოვებით მისი ექსტრაქტის ერთ მეათედს შეადგენს და ექსტრაქტის რაოდენობაც  $4,5$  ნაკლები არ იქნება ალკოგოლის რაოდენობაზედ. ამასთან გლიცერინი შეადგენს  $\frac{1}{15} - \frac{1}{14}$  ალკოგოლის რაოდენობისას და ქარვის სიმჟავეზე ხუთჯერ მეტია. მაშ თუ ღვინოში ეს ურთიერთობა დარღვეულია, თუ რომელიმე მათგანი ან ნაკლები და

ან გადამეტებულია, შეგვიძლიან ვიგულისხმოთ, რომ ღვინო შემუშავებულია ხელოვნურად, ესე იგი გაყალბებულია: რასაკვირველია, შესაძლებელია ისე ცოტა წყალი და ალკოგოლი მიემატოს ღვინოს, რომ მის შემადგენელ ნივთიერებათა ურთიერთი რაოდენობა ძლიერ არ შეიშალოს—მაშინ კი ძნელი იქნება გადაწყვეტით რისამე თქმა.

ქიმიური ანალიზი, როგორც ვნახეთ, იმასაც გვიჩვენებს, ღვინო საღია თუ გადაგვარების გზაზეა; როგორც წინა წერილში გავარკვიეთ, თითქმის ღვინის ყოველგვარ სნეულების დროს შესამჩნევად მრავლდება რაოდენობა იმ ცხიმოვან სიმკვევთა, რომელნიც ორთქლად ადვილად იქცევიან. მაშ თუ ანალიზმა გვიჩვენა, რომ რომელსამე ღვინოში მათი რაოდენობა კარგად შესამჩნევია, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ღვინო საღი არ არის და, ადრე თუ გვიან, უეჭველად გაუჟღდება.

ხშირად ღვინოს აყალბებენ უცხო საფერავის მიმატებით; ამის შეტყობაც ქიმიკოსისთვის ძნელი არ არის, მაგრამ ყველასთვის კი მოსახერხებელი არაა; ამიტომ ამაზე აქ არას ვიტყვი.

ამ სახით ვხედავთ, რომ როგორც ღვინის დამყენებელს, ისე ღვინის მყიდველს ბევრგვარის ღონისძიებით შეუძლიან დააფასოს და შეიტყოს ღვინის ღირსება და მისი ნაკლულევაწება; როგორც გემოვნებათ, ისე ფიზიოლოგიურის მოქმედების მხრივ. საქმიო და სამიკროსკოპო გამოკვლევით ყოველ ღვინოს მისი ღირსება ადვილად შეემჩნევა.

გ. ჰეტრანაშვილი

(შემდეგი იქნება)



# ი ნ დ რ ე თ ი

ე. ლამინსკის თხზულებიდან

## VIII \*)

### ხელოსნობა, გაჭრობა ინდოეთში და საზოგადოდ მკვადრთა მოღვაწეობა

ინდოეთის ქალაქებში მცხოვრებნი მკვიდრნი, როგორც საზოგადოდ ევროპაში, ან ვაქრობენ ანუ ხელოსნობენ და ანუ მოხელენი არიან. ხელოსანი ხალხი ბევრია ინდოეთში, რომელნიც მშრომელნი, მუყაითნი და საქმის მკოდნენი არიან. საზოგადოდ ყოველის ცალ-ცალკე ხელობის კაცნი ქალაქის ერთს ქუჩაზე, ანუ ერთს კუთხეში ჰმართავენ თავიანთ სახელოსნოებს, მაგ. ხალების მქსოველნი ერთ ქუჩაზე, მექურქლენი—მეორეზე, ხარაზნი—მესამეზე და სხვ. ინდოელები თითქმის სულ ხელით მუშაობენ და იარაღსაც ძველებურს, მამა-პაპურს ხმარობენ, ახალ მანქანებს, მუშაობის გასაადვილებლად შემოღებულს, არა ხმარობენ. ინდოელი ვერ შეეთვისა, ვერ შეეჩვია მანქანით მუშაობას. სამაგიეროდ ხელისა და ფეხის თითები ისე აქვთ მოქნილი და გაფარჯიშებული, რომ განცვიფრებაში მოჰყავთ ევროპიელები. ინდოელი ხელოსანი მარტო ხელით არ არის ხელოსანი, იგი გულთ ხელოსნობს, ცდილობს მამა-პაპისაგან გარდაცემული ხელობა გააუმჯობესოს, რადგან ამაში იხატება ხელოსან ინდოელის ზნეობრივი და სარწმუნოებრივი მოვალეობა. ხელოსანს

\*) „მოამბე“ №№ 1, 2, 8 და 9.

თავი მოსწონს თავისის ხელოვნებით და ყოველთვის იმის ცდა-შია, თავი არ შეირცხვინოს, ხელობა არ დაამციროს.

საქსოვ მანქანებზე ქალაქ დაკაკაში ჩვენა ვნახეთ ის განსაკვიფრებელი ქსოვილები, —სწერს ერთი მოგზაური, —რომლებიც ამშვენებდნენ 16 საუკუნის წინად ლამაზ ქალებს აგვისტო კეისრის სასახლისასაო. რომ ეს ასე ყოფილა, ამტკიცებს სიმრავლე რომელი ძველი ფულებისა, რომლებსაც ჰპოულობენ ინდოეთში ზოგს შემთხვევით, ზოგს არხეოლოგიური კვლევის დროს. ეს ძველი ფულები დამამტკიცებელია იმისიც, რომ წინად ინდოეთს ვეროპასთან აღებ-მიცემობა ჰქონია. ამ ქალაქში ჰქსოვენ შესანიშნავ თხელ მარმაშს (marcesh), განთქმულს მთელს ინდოეთსა და ინგლისში.

ერთი ნაჭერი. ამ მარმაშისა სიგრძით 26 არშინი და სიგანით 26 ვერშოკი სულ ოთხმოც და ოთხ მისხალს იწონს და იყიდება ოც და ხუთ თუმნად. როგორც ამბობენ, ისეთი წმინდაა რომ მთელი კბა ჩაეტევა ქათმის ერთ კვერცხის ნაჭუჭში, ანუ შეიძლება იგი ბეჭედში გაატაროთ. როდესაც ერთი ქალი პასუხსგებაში მისცეს იმისათვის, რომ ინდოელ მაგარაჯის ბალში მეტად თხელი ტანისამოსი ეცვა, —ქალს ძალიან ეწყინა და განრისხებულმა უპასუხა, რომ მისი ტიტველა ტანი შემოსილი იყო დაკაკაში მოქსოვილ შვიდად დაკეცილ მარმაშითაო.

უკანასკნელ ხანებში მრავალი ჩითის საქსოვი ქარხნები დაარსდა ინდოეთში. ძვირფასის ქვების თლა, მშვენიერი ოქრო მკედისა და სირმის ქსოვილები, ფარჩების ქსოვა, ტყავეულობის კეთება, ოქროსა და ვერცხლის ნივთების გაკეთება, განთქმული ხალხების ქსოვა და სხვა ამისთანა საქმე ინდოელთა განსაკუთრებულისა და აღმატებულის ხელოვნების დამამტკიცებელია.

ვერცხლის ათ შაურიანის მსგავსის ვერცხლისავე ანუ ოქროს ფულიდან მუშტრის თვალ-წინ დახელოვნებული ხელოსანი აკეთებს 1000 არშინამდე ვერცხლისა ანუ ოქროს ძაფს და ქსოვს სხვა-და სხვა ქსოვილებს ანუ ფარჩის ქსოვილში ატანს. აბრეშუმი მოაქვთ ჩინეთიდან, სპარსეთიდან და ბუხარადან.

ერთი საკაბე აბრეშუმის ქსოვილი ოქრო-მკედ ნარევი ფასობს ათას თუმნამდე. ძველადგანვე გავრცელებულია აგრედვე გემების კეთება. იმდენად მოწყობილი და კარგად მავალი გემები უკეთებიან, რომ ამერიკელებმა და ინგლისელებმაც კი ინდოეთის გემების მსგავსი გემები გააკეთეს თავიანთთვისაც.

დიდრონ ქალაქებში მინიჭებული აქვთ თვით-მმართველობა ქალაქის საქმეთა მართვისათვის; თვით-მმართველობის სათანამდებო და სამოხელეო საქმეებს თვით მკვიდრი ასრულებენ. სოფლებში, რომელშიაც მცხოვრებთა რიცხვი 5,000 სულზე ნაკლები არ არის, მკვიდრთა ხელშივეა მართვა სასოფლო საქმეებისა.

გარდა თვით-მმართველობისა, ინდოეთში მრავალი სამოხელეო ადგილია მკვიდრთა ხელში.

„Jlbert bill“-ის კანონით საადმინისტრაციო სამსახურში ყველას შეუძლიან იყოს მოხელედ განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა. ამ კანონმა დიდი აყალ-მაყალი ასტეხა ინგლისელთა შორის, რომელთაც ეგონათ, მისის შემოღებით ინგლისელთა მეუფეობა ინდოეთში გაქარწყლდება და დაჰკარგავს ძალასა. დამორჩილებულთ ეძლევათ იგივე უფლებანი, რაც დამმორჩილებელსა ჰქონდა. გაიარა დრომ და ინგლისელები შეეჩვივნენ ამ შემოღებას. ახლა თამამად შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ინდოეთში ას მოხელეთა შორის ოთხმოც და ათი მკვიდრი ინდოელია, თუმცა უფრო მცირე თანამდებობანი კი აბარიათ.

მხოლოდ უმაღლესი მმართველობა ინგლისელთა ხელშია, დანარჩენი ადგილები კი ინდოელებს უჭირაეთ. სასამართლოებში მსაჯულებად, მომრიგებელ-მოსამართლებად ინდოელებივე არიან და ასამართლებენ როგორც ინდოელთა, ისე ევროპიელთა და ამათში თვით ინგლისელებსაც, რასაკვირველია. მიუხედავად ამისა, ინგლისელები თვითონვე ჰკრძნობენ, რომ ჯერ კიდევ სრული უფლება არა აქვთ მინიჭებული ინდოელებს და არა აქვთ გადავიღებული საადმინისტრაციო და სხვა უწყებნი

სამსახურში შესვლის უფლება. თვითონ მკვიდრნიც ცდილობენ უფრო გაფართოებულ იქმნას მათი საპოლიტიკო უფლებანი, უფრო მეტი ადგილი მიეცეთ მათ. ამასვე ნაციონალურ კონგრესებზე საჯაროდა და თამამად მსჯელობენ, ამასვე ჰღალადებენ ინდოელთა აგენტები ინგლისში.

ნაციონალური კონგრესები 1885 წ. დაწესდა შემდეგ მარკიზ რიპონის ინდოეთიდან წასვლისა, რომელმაც დიდი სახელი და თაყვანისმცემლები მოიპოვა ინდოეთის მკვიდრთა შორის. ინდოელთ არ ავიწყდებათ მისი სიკეთე. თანხმად „Jlbert bill“-ისა რიპონმა თავისუფლება მიანიჭა იქაურს მწერლობას და ჟურნალ-გაზეთობას და ამით მოსპო განსხვავება უფლებათა ინგლისელთა და ინდოელთა შორის. რიპონი დიდი მომხრე იყო თვით-მმართველობის შემოღებისა და გავრცელებისა ინდოეთში, ამიტომ მისმა წასვლამ ინდოეთიდან დიდის თანაგრძნობის დემონსტრაცია გამოიწვია. ამ დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა მთელმა ინდოეთის ხალხმა. პატივცემულმა მუსულმანმა აღვოკატმა ბუდრუდინ-ტიაბეიმ წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, შეაქო რიპონის მიმართულება და მოღვაწეობა და სხვათა შორის სთქვა: „მე თქვენა გკითხავთ,—ყოფილან როდისმე ინდოელნი ასე დამშვიდებულნი, ასე ბედნიერნი და ასე ერთგულნი მისის უდიდებულესობის ტახტისა, როგორც ლორდ რიპონის მმართველობის დროს? მის მთავარ-მმართველობაში ჩვენ დაგვაიწყდა კიდევ, რომ უცხო მბრძანებელთა ქვეშევრდომნი ვართ. ჩვენი მმართველი, დიდი ბრიტანიის კაროლევა კი არა, ინდოეთის იმპერატრიცა იყო. ვერც კი ვგრძნობდით, ვინ იყო ჩვენი მბრძანებელი, ბრიტანიის მკვიდრი ბრძანებოდა, თუ ინდოეთისა, სწორედ ისე, როგორც ჩვენი წინაპარნი ვერა ჰგრძნობდნენ, დიდი ბრძენი აკბარი, მბრწყინავი შაჰ-ჯივანი და მამაცი აურენგზები ჩამომავალნი იყვნენ შუაგულ აზიის დამპყრობელ მონგოლთა, თუ ინდოელნი. ჩვენ 1001 ტომთა წარმომადგენელნი იმას კი არ ვკითხულობთ, მმართველი რა ჩამომავლობისა ანუ ტომისაა, არამედ იმას, თუ როგორ გვეპყრობა.“ მაშინ დაიბადა ზოგიერთ წარჩინებულთა მკვიდრთა შორის



ის აზრი, რომ დაარსებულიყო ინდოეთის მუდმივი საზოგადოება მკვიდრთა შორის საპოლიტიკო აზრების გასავერცელებლად და მათი ინტერესების დასაცველად.

ამგვარი პოლიტიკური მოძრაობა მით უფრო გასაბედი იყო, რომ ინგლისის მთავრობამ მიანიჭა ინდოელთ თავისუფლება კრებათა ინდოეთში. უმთავრესი მოღვაწე ამ საზოგადოებათა დაარსებისა იყო ინგლისელი ალენ იუმი. პირველი კრება მისის თაოსნობით იქმნა მოწვეული და აქამდინ ყველა ამ კრებათა მდივნად ის არის ხოლმე. ალენ იუმი მოგზაურობდა ინდოეთში და უხსნიდა და უმარტავდა ყველას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასე თავისუფლად შეკრებასა და საკუთარ საქმეთა გამო მოლაპარაკებასა.

პირველ კრებაზე 1855 წ. გადაწყვეტილ იქმნა, მოვაგონოთ ინგლისის უმაღლესს მთავრობას, გამოიკვლიოს ინგლისის საადმინისტრაციო უფლებანი ინდოეთში; ამისათვის ურჩევდნენ დანიშნულიყო უმაღლესი კომისია, რომლის წევრებად სხვათა შორის მკვიდრთა წარმომადგენელნიც უნდა ყოფილიყვნენ. პირველ კონგრესის ანგარიშში ნათლად იყო გამოთქმული ის აზრი, რომ ეს კრებანი შემდეგში საფუძველი იქნება ინდოეთისათვის საკუთარი პარლამენტის დასაარსებლად და ამ ნაირად დაირღვევა ის შეხედულება, ვათომ ინდოეთს შნო არა აქვს თავისს საქმეებს თვითონვე გაუძღვეს. გარდა ამისა პირველ კრებაზედვე გამოთქმული იყო აზრი, რომ სასურველია გაუქმდეს სტატუს-სერკტარიატი ინდოეთისა, გადასხვაფერდეს და გარდაიქმნას უმაღლესი და ადგილობრივი საკანონმდებლო საბჭო და ამასთანავე საბჭოს წევრთა უმრავლესობა არჩეული იქმნას; შეიცვალოს წესი მკვიდრთა გამოცდისა ლონდონში ადგილის და თანამდებობის მისაღებად ინდოეთს, რათა ამ სახით გათანასწორდეს უფლებანი ინგლისელებისა და ინდოელებისაო.

მეორე კონგრესის შემდეგ გავრცელდა აზრი, რომ კონგრესები ზრუნავენ განსაკუთრებით ინდუსთათვის და არა ინდოეთის ყველა მკვიდრთათვისაო; სხვათა შორის მაჰმადიანთა ინტერესებს არავითარს ყურადღებას არ აქცევსო. ამისათვის 1887 წ.

მესამე კონგრესზე, რომელიც მოხდა ქ. მადრასში, პრეზიდენტად კრებისა ამორჩეულ იქმნა მაჰმადიანი ბუღრუღდინ-ტიაბუი, პირველი ადვოკატთაგანი ინგლისში და განთქმული მკვებრმეტყველი. მეოთხე კონგრესი შესდგა ქ. ალლახაბადში 1888 წ. ამ კონგრესზედაც დიდად საჭიროდ დანახეს ლაპარაკი დაეწყათ ინდოელთა მდგომარეობის განკარგების თაობაზე. მთავრობა ავი თვალთ უყურებდა ამ კონგრესებს, მათი მართვა მიჩნდათ მავნებელ საქმედ და ინგლისის უფლებათა შემარყვევლად. ამ მეოთხე კრებაზე პრეზიდენტად ამორჩიეს შოტლანდიელი ჯორჯი იული იმის დასამტკიცებლად, რომ კონგრესებს არა აქვს არავითარი ბოროტი განზრახვა. კრების დაწყებისათანავე იულიმ წარმოსთქვა სიტყვა და აღიარა, რომ კონგრესებს ის აზრი კი არა აქვს, სრულიად გასწყვიტოს დამოკიდებულება და ურთიერთობა ინგლისსა და ინდოეთს შორის, არამედ ისა, რომ ამით თან და თან გაიხსნეს ნასკვი.

„ჩვენა გვსურს,—სთქვა ჯორჯ იულიმა,—რომ საკანონმდებლო საბჭონი, რომელნიც განიხილავენ ხოლმე ამ ქვეყნის ინტერესების შესახებს საქმეებს, უმეტესად განვითარდნენ და საბჭოს წევრთა ნახევარი ამორჩეულ იქმნან, ხოლო მეორე ნახევარი—მთავრობის მიერ ინიშნებოდეს. კრება სრულიად თანახმაა იმისი, რომ უკანასკნელი სიტყვა, ესრედ წოდებული „veto“, ეკუთვნოდეს აღმასრულებელს მთავრობას; მაგრამ საკანონმდებლო საბჭოს უნდა მიეცეს უფლება დამატებისა (интерполяция).“ ამავე კონგრესზე აღიძრა კითხვა შესახებ იმისა, რომ გაუქმებულ იქმნას კანონი, რომლითაც მკვიდრთ აღკრძალული აქვთ ტარება იარაღისა. რადგან ხალხი ფარულად არ მოქმედობს და თავისს ყოველ სურვილს საქვეყნოდ აღიარებს, ადგილი არა აქვს იმისთანა კანონს, რომელიც ხალხს ბრალსა სდებს არ არსებულ, ფარულ დანაშაულისასა.

ინდოეთის ვიცე-კაროლმა დეფერინმა სთქვა, რომ ამ კონგრესმა ცხადად გაგვაცნო განათლებულ მკვიდრთა მიმართულება შესახებ ინგლისისა. დეფერინმა ინდოეთიდან წასვლის წინად სთქვა, რომ ვერც ერთი გონიერი კაცი ვერ იტყვის, რომ

ახლანდელი სისტემა ინდოეთის მართვისა დიდ ხანს დარჩეს. იმის აზრით, მალე დაადგებიან ისეთ გზას, რომლის წყალობითაც შესაძლოა იქნება უფრო დაუახლოვდეს ინდოეთი ინგლისსა. ეს გზა სასტიკი ან აუტანელა კი არ იქნება, რათა არ გაამწვავოს ინდოელები, არამედ გზა ინგლისისა და ინდოეთის ინტერესების დამახლოვებელი. ინდოელთ მიეცემათ უფლება თავიანთი საქმე ზვითონვე განაგონ და იყვნენ ერთგულნი თავიანთი სამშობლოსიცა და ინგლისისაცა.

მართლადაც, უკანასკნელ ხანებში პარლამენტს წარედგინა აზრი, რომ მიენიჭათ ინდოელთ მეტი უფლებანი.

დიდი სამსახური გაუწიეს ინდოეთს ესრედ წოდებულმა ინდოეთის საპოლიტიკო აგენტებმა, რომელნიც ლაპარაკითა და წერით თხოულობდნენ იმავე უფლებათა, რა უფლებანიც ევროპიელთა აქვთ მინიჭებული, თხოულობდნენ მათთვის სრულს თავისუფლებას. ეჭვი არ არის, განათლებული ინგლისი თავისუფლებას მიანიჭებს ინდოეთს, რადგან თავისუფლების მინიჭებით უფრო გაძლიერდება თვით ინგლისიცა.

(დასასრული)

## სალიტერატურო შანიშნევი

ქართულის მწერლობის ცხოველ-მყოფელობა და მისი უფერულობა. მესამე დასის პროგრამა. ამ დასის წარმომადგენელი — გ. წერეთელი და ბატონი ჯიბლაძე. ორიოდე-სიტყვა ეგ. ნინოშვილის შესახებ. უკანასკნელი სიტყვა ბ-ნს პეტრიძეს. აკაკის აზრთა წინააღმდეგობა მწერლობასა და საზოგადო საქმეში. ჩვეფხის-ტყაოსნის“ კრიტიკოსები: ბ-ნი გრენი და სხვანი.

როცა ცხოვრებაში ახალი რამ სვანნი და მიმართულება თავს იჩენს, უოკლად შეუძლებელია მწერლობამ ადრე თუ გვიან ეუბნადღება ან მიაჭციოს და მიზეცი და სხვაბი იმ მიმართულებისა შეძლებისა დეგარად ან გამოარგვიოს. ზოგჯერ ისე მოხდება, რომ მიზევი ახლის მიმართულებისა შეტად რთული და მძიმე გამოსაცნობია და ამიტომ შესაძლოა მწერლობამ შესაფერი ანგარიში ვერ გაუწიოს, იმისი მნიშვნელობა ვერ გამოარგვიოს და მით ამ ახალს მიმართულებას, რაც უნდა კანონიერი და სსსარგებლო იყოს, გზაზე გადაედობოს და წინააღმდეგობა გაუწიოს; ზოგჯერ კი — შესაძლოა იმ ახალს მიმართულებას მოსარჩლე ვინმე გამოუჩნდეს და ცხოვრებასა თუ მწერლობაში სავატიო ადგილი დაიჭიროს. ისიც მოხდება ხოლმე, რომ ეს ახალი მიმართულება თელლითი და უადგილო და მაშინ, რა თქმა უნდა, ანდერძი უნდა აეგოს. რაც უფრო მრავალგზიანი და მრავალ-ფეროვანია რომელისამე ერის ცხოვრება, მწერლობა მით უფრო მდიდარი და ღონიერი და მით უფრო სავსებით ქსატაკს იმ ერის ზნეობრიუს და გონებრიუს ძალას და კითარებას. ამგვარს მწერლობაში მრავალი სსვა-და-სსვა მიმდინარეობას აზრისა, მუდამ აზრთა ბრძოლა ტრიალებს და ამ გზით ერის გონებას

«გზა ფართო» ეძლევა და საზოგადო აზრით უფრო მკვიდრი, ძლიერი და ნათელია. სამწესაროდ, ჩვენს მწერლობასე გვიჩვენებს ითქმის; ჩვენი მწერლობა ჯერ-ჯერობით ნორჩი და გამოუყვანილია და ფესვსაც ძლიერ იდგამს. ამას თავისი შინაგანი მიზეზიცაა აქვს და გარე-შეცა და ეგ ორი მიზეზი ისეა ერთი-მეორეზე გადაბმული, რომ ძნელია კაცმა ერთი-მეორეს ჩამოაცალას. ოც და ათი, ორმოციოდე წელიწადია, რაც ჩვენში უფრო-გაზრდობამ ფესვი მოიკიდა და ამ მცირე ხნის განმავლობაში ჩვენმა მწერლობამ ცხოველი ძალაც გამოიჩინა, დაიღაც თავლ-სახინო სამსახური გაუწია საზოგადოებას, მაგრამ მაინც ხელის ნაბიჯით მიიმართება წინ და ზოგჯერ ერთსა და იმავე წერტილზე შეჩერდება ხოლმე დიდის ხნობით; ერთი სიტყვით, იმდენს სამსახურს ვერ გვიწევს, რამდენიც სასურველი და საჭიროა ჩვენის გონების წარმატებისათვის. ამ ოც და ათოდე წლის განმავლობაში რამდენსამე თავლ-სახინო მწერალს ფრთა გაუშლია და სასულიერო მოუბოვებია, სხვა-და-სხვა აზრი გამოარკვეულა, მაგრამ მაინც ისე მომხდარა, რომ წინ ნაბიჯი არ წავიდეგამს. ისე გამოდის, თითქო ჩვენი მწერლობა ერთსა და იმავე წერტილზე სდგას და წინ არ მიდის. აბა, გაისხენიეთ, რამდენს საჭირო-ბოროტო საგანს შეუჭნებია ჩვენი მწერლობა; ყველა ამ საგნის ჩამოთვლა აქ საჭიროდ არ მაგვიჩინა; საკმაო რამდენიმე დავასახელოთ; მაგალითად, ავიღოთ სამშობლო ენის მნიშვნელობა; განა ამ საგნის შესახებ ცოტა ლაპარაკი იყო ჩვენს მწერლობაში და განა ეს ლაპარაკი უსაფუძვლო, უდროო და ჩვენის კითხვებს შეუფერებელი იყო, მაგრამ ამისდა მიუხედავად იმ საგანს ვეროგანი საშუალო ადგილი ვერ დამკვიდრებია ცხოვრებაში. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეგ საგანი საკმაოდ გამოარკვეულია და იქნება მეტის თქმა შეუძლებელიცაა, მაგრამ ზოგჯერ მაინც მწერლობა იმუფებელია ძველს დავითებს მიუბრუნდეს და ძველსავე საგანს მიჰმართოს. განა საკმაოდ შეგნებული არა ვაქვს, რომ უიმისაროდ მოუხერხებელია მოზარდის თაობის გრძობა-გონება ვეროგანად იკვებებოდეს და რომ მთქმელს კარგი გამოგონებები უნდა, მაგრამ მაინც იქვე ვდგევართ და წინ ფესვი ვერ გადავიდეგამს. განა მრავალთ სხვა საჭირო საგნებს არ შეუჭნებია ჩვენი მწერლობა; ავიღოთ თუნდა ქალების სწავლა-განათლება. მართალია, ამ საგნის შე-

სასკებ ბერი არა დაწერილა-რა, მაგრამ რაც დაწერილა, დიდად სს-  
 ყურადღებო და დროს შესაფერი იყო. ჩვენმა მწერლობამ დიდი სა-  
 ნია აღიარა დედკაციის აღზრდის საჭიროება, მაგრამ განათლებული  
 დედკაცები მანტ არა გიჟიანან და ვინ იცის, როდემდინ უნდა გე-  
 ლოდებოდეთ. სიტყვის გაგრძელებას რომ არა ეშიშობდეთ, ამ ჩვენს  
 აზრს მაგალითებით დაკასბუთებდით; დავამტკიცებდით, რომ ჩვენი  
 მწერლობა ამ საგანს ისე შეესო, როგორც საჭირო იყო, რო-  
 გორც დღეინდელს ვითარებებს შეეფერება; მეითსველს დაგანსკებდით,  
 რომ ჩვენმა მწერლობამ დედკაციისათვის იგივე სწავლა-განათლება  
 სცნა საჭიროდ, როგორც მამაკაცისათვის და რომ დედკაციც ადა-  
 მინად უცნია. ეს ორი მაგალითი საკმაოდ მიგვანინა და ესლს  
 დროს გამოვარკვეით, თუ რა შედეგი მოსდევს, როცა სიტყვას სატ-  
 ყვადვე რჩება. როცა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო რომელიმე აზრი  
 აზრადვე რჩება და სისხლ-ხორცს კერ შეისხამს, მწერლობა იბუღე-  
 ბული ხდება იმ აზრს რამდენჯემდე დაუბრუნდეს და ერთი და იგი-  
 ვე განიმეოროს. რასაკვირველია, ერთისა და იმავე აზრის ცოხნა  
 მწერლობას საღისს უკარგავს და უფერულობის დაღს ასვამს და  
 ეს ერთი იმ მიზეზთაგანია, რომელიც მასს წარმატებას ხელს უშ-  
 ლის. მწერლობას და მწერლებს ხელიდან საშუალება ეცლებათ  
 თვით-წარმატებისა, გაღონიერებისა და ცხოველ-მყოფელობისა. მწერ-  
 ლობას ერთფეროვნობა ემსნევა და აზრთა სხვა-და-სხვა მიმდინა-  
 რეობის ნაკლებობა, ამიტომ რომ, სანამ ერთი რომელიმე გამოარ-  
 გვეული აზრი საქმედ არ იქცევა, მანამ მსუჯია მწერლობა სხვა აზ-  
 რის გამოკვლევას შეუდგეს.

ამ თვლით გუჩქვრით ჩვენს მწერლობას, ესე იგი თვით ამ  
 მწერლობის ბუნებაში ცხოველ-მყოფელობის ნრშნებს გზოულობთ, მ-  
 გრამ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო მანტ უფერულია, უღონო და  
 წარმატებაც ნაკლებად ეტყობა. რასაკვირველია, რაკი ამ ყოფსში ვართ,  
 ცხოვრებასა და მწერლობას თვალ-ყურს უნდა ვადგენებდეთ—იქნება  
 რომელიმე ხელანსაჭიდებელი საგანი აღმოჩნდეს და იქნება მწერ-  
 ლობაში რომელიმე ასაღმა აზრმა, ასაღმა მიმართულებამ და დასმა  
 თავი იპინოს. ამიტომ, როცა «კვალში» წაუვიტისეთ—რადაც მესა-  
 მე დასი, ასალი თაობა აღმოჩენილარ, რომლის კვალზე დადგობა

აშკარად ეტეობა ჩვენს ახალს «კვალსაცო», სწორედ გვიამა. თავში იმ აზრმა გაგვირბინა—იქნება ახალის თაობის დასის გამოსვლასადმიწერლო საბოიელზე ვერც კი შეენიშნეთ-მეთქი. რა თქმა უნდა, ეკეთი ჩვენი ჩამოწმობა ცსოვრებასა და მწერლობაში ჩვენი თავ-მოვეარეობისათვის სასიამოვნო არ იქნებოდა, სოლო ახალის დასის შექმნასა და სამოღვაწეოდ გამოსვლას, ესე იგი, ჩვენი წარმატების ნიშნებს კი მანინტ სისარულით მიგვეტებეთ; ამ აზრით იმ ახალს დასს კვალში ჩაუდექით; რაც მას შესასებ დაწერილა და რაც მის წარმომადგენელთ დღემდე უმოდვრნიათ, დიდის გულმოდგინებით გადავიკითხეთ, და, ჩვენდა სამწუხაროდ, იმის მეტი ვერა შევიტეეთ-რა, რომ ამ ახალს თაობას მესამე დასია რქმეკია. ეს მესამე დასი განსვენებულის ეგ. ნინოშვილის დასაფლავების დღეს აღმოუჩენიათ და ორმა წარმომადგენელმა ამ დასისამ, ბ. გ. წერეთელმა და ჯიბლაძემ ამ დასის პროგრამაც გამცნეს. «კვალსა» 21-ს №-ში მოკითხრობს ბ-ნი დამსწრე:

ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე: მის კუბოს გარს შემოკრბენ, ასე ესთქვათ, მესამე დასი ახალგაზღობისა, ესე იგი სულ უკანასკნელი წლების თაობა—ისინი, რომელიც გამოსულან ასპარეზზე მეოთხმოცდაათე წლებიდან. ნამდვილი ამათი მოთავე, ამათი სახელი და ამათი იმედი ყოფილა ნინოშვილი... ისინი უარს ყოფენ ძვილს ჩვენს ინტელიგენტებს—მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მანებებლად მიჩნიათ ჩვენი საზოგადოების წარმატებისათვის... ეს მესამე დასი ჰნდება დაუძინებელ შტრად ახლანდელი ჩვენი ინტელიგენტ-მეთაურებისა... ნინოშვილის კუბოზე პირველად წარმოსთქვეს ამათ თავისი პროგრამა მოქმედებისა და თითქოს რაზმად დაეწყვენ, რომ ხალხში შეიტანონ განათლების შუქი და ზურგი შეაქციონ იმ ინტელიგენციას, რომელიც დღეს თავს იხრჩობს ბანკისა და ქაღალქის არჩევანებში. ამ მესამე დასმა საგნად აღიჩნია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელს ხალხში მოჭფინოს წიწკა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებისაგან გამოარკვეული აზრები, მკვირცხლად ადვენოს თვალი მსოფლიო ცხოვრების მიმდინარეობას და არაერთარი შემთხვევა არ გამოეპაროს მსოფლიო ცხოვრების მოძრაობაში მისთანა, რაც კი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წააყენებს მის ბედ-იღბალს“...



ქსლას განსოთ, ამ მესამე დასის რაზმს კინ შედგენენ:

უესენი არიან სულ ახალგაზდანი, გონებრივი ღონით სავსენი; იმათ-ში თითო ოროლა ფრიად ნიჭიერები არიან და მათი ღიდი იმედი უნდა გვექონდეს მომავლისათვის. ბევრმა მათგანმა შესამჩნევი მჭერმეტყველებით გამოთქვა ნინოშვილის კუბოსთან პროგრამა მესამე დასის ახალგაზდობის მოქმედებისა...

სამწუხაროდ, არც ერთი მჭერმეტყველებით სავსე სიტყვა არაა მოყვანილი «კვალში» და მასთანავე ძალა უნებურად ბ-ნს დამსწრეს უნდა ვერწმუნოთ. იმიტომ არ მოგვეყვოს, ბრძანებს ბ-ნი დამსწრე, რომ «არც ერთი მუხლი იმათი პროგრამას არ ეწინააღმდეგებოდეს იმ აზრებსა, რომელიც იცით კინ გამოარკვევა ჩინოშვილის კუბოს წინაშე წარმოთქმულს სიტყვაში?» ამიზბარმა კვალისა, ბ-ნი გ. წერეთელმა, რომელმაც ტფილისის ქალაქის არსებანებში სული კინაღამ დაღია და დრო იყო, როცა ბანგის საქმეებშიაც წილი ჰქონდა, ხალხი ერთს მშენიერს დღეს ამ საქმეებზე გული ავიყარა. ეს ის მწერალია, რომელიც არც სულ ახალგაზდაა და გვეკონა, რომ ჩვენს ძველს თაობას ეკუთვნის როგორც წლავანებით, ისე თავისის ნაწერებით, მაგრამ, როგორც სხანს, შემდარნი ეყოფილვართ. ასე ვფიქრობდით, ძველი თაობაც იმას ცდილობდა, რომ ხალხში წერაკითხვა მოეფინა, გაუნათლებელს ხალხში შეეტანა ნათელი აზრები და სხვანი და ესლას ის-ღა დაგვრჩენია—ბ-ნი გ. წერეთელს კეთისოთ.—წერაკითხვისა და ნათელის აზრების გავრცელებასა ცდილობდა ძველი თაობა, თუ არა, ის თაობა, რომელსაც ბ-ნი გ. წერეთელი ეკუთვნის, ან ახალი რამ აზრება თუ არა ამ მესამე დასის პროგრამაში? ერთს ადგილას ბ-ნი დამსწრე გვარწმუნებს, რომ მესამე დასის ჩანდელი მოთავე, სასული და იმედი ყოფილას ნინოშვილია, ეს უდროოდ გარდაცვალეული ნიჭიერი მწერალი, ხალხი მანც იმას ვფიქრობთ, რომ მეთაურობას მესამე დასისას ბ-ნი გ. წერეთელი არავის დაუთმობს. არა გვერნა, განსვენებულს ნინოშვილს გ. წერეთელზე უფრო ადრე ემოდგინოს ახალი აზრები. ნინოშვილი სულ ახალი მწერალია და ბ-ნი გ. წერეთელი კი აკერ ოც და ათი წელიწადია მწერლობაში მოღვაწიობს და ასე ვფიქრობთ—დიდი სანია ცდილობს ხალხში წერაკითხვა და ნათელი აზ-

რები მოჭყენოს, ამკვირცხლად ადკინოს თვალი მოფლიო ცხოვრების მიმდინარეობას და აზრითარი შემთხვევა ან გამოკვაროს მოფლიო ცხოვრების მოძრაობაში მისთანა, რაც გი სარტუბლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წააყენებს მის ბედ-იღბალს. საკვირველი ისაა, რომ გ. წერეთელმა მხოლოდ ნინოშვილის კუბოს წინაშე გვიმოძღვრა მესამე დასის ზროგრამა.

ესლან ჩანათ, როგორ გამოარკვეია ბ-ნმა გ. წერეთელმა მესამე დასის აზრები. ზირველად, რასაკვირველია, მიცვალებულისათვის უნდა მიემართოს და მიჭმართა კიდეც, მაგრამ ახალი ვერა უთხრან-რან განსკენებულს. რაც ავაკიმა სთქვა უზნებულის დასაფლავების გამო, გ. წერეთელმაც იგივე განიმეორა. ამბო კენტე! ჩუტამც ესლან წამოგახედა მეც ცხედრიდან... ეს რომ მოხდეს, მე კიცი, ზირველად შენ მხარულად გააღიბებ... მაგრამ ზურგს შემოგაჭებევ და გვეტყვი: უმადური გამოფათ დმერთმა! სიცოცხლეში მე ვერაგინ მოგიკარეთ ჩემ გარემო და ესლან რას ვაჭნევ თქვენს თანაგრძობასაო. მესამე დასის ზროგრამას რაც შეეხება, გ. წერეთელი გვეუბნება: ნინოშვილმა მიგვითითა ჩვენის ერის სამირკველზე, მიწის მუშა დაბალ მშრომელ წოდებაზე... ცხადად გვიჩვენა, რომ თუ გვიინდა ჩვენი ერი შევიკავოთო გადაგვარებისაგან, აი, ამ წოდებას უნდა ვუშეკოთო, ავამადლოთ ის ზნეობრივად და გონებრივად, ავამოროთ მას მისე მწერლისთანა და ტარიელისთანა ავი თვისების კაცებოა. უფრო ვრცელი სიტყვა ბ-ნს ჯიბლამეს წარმოუთქვამს; აქ უფრო გარკვევით არის გამოხატული ზროგრამა მესამე დასისა და ამიტომ არ შეგვიძლია ამ სიტყვას გზა ავუსვიოთ. გ. წერეთელს მოკლედ რაც აღუნიშნავს, ბ-ნს ჯიბლამეს უფრო გარკვეული აქვს. ჩვენნი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ ელასს. ერთი მხრით—ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით—მუჭათ-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები. ზირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა გი—დასაკუთრება ამ შრომის ნყოფისა... ეს კემპარიტება შეიგნო და მისკენ ჭქონდა მიმართული თავისი ქნარი ჩვენს შესანნიშავს ნიჭის მქონე ინგოროუვას. ამის ნიშნებს კხედავთ მის მოთხრობასშიც, მაგ., «სიმონაში» და ზოლემიკურ სტატებში».

აი, მოკლედ პროგრამა მესამე დასისა. გ. წერეთელი გვეუბნება—ნინოშვილმა «მიწის მუშა დახალ მშრომელ» წოდებაზე მიგვიითათაო, და ჩვენ კი გვეგონა და გვეგონია კიდევ, რომ ჩვენის მწერლობის მეთაურნი დიდი ხანია, რაც ასე თუ ისე მიწის მუშას ესარჩლებიან და, ასე ვთქვათ, იმათ რიცხვში გ. წერეთელსაც უნდა ეგულებოდეს თავი. გ. წერეთელზე უფრო შორს ბ-ნი ჯიბლამე წასულა. ეს გაუბატონი გვარწმუნებს, რომ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება დამყარებულა—ერთის მხრით ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენლნი დამკვიდრებულან, ხოლო მეორე მხრით—მუქთა-ხარა—ბურჟუა-კაპიტალისტებიო. რაკი ერთიცა და მეორეც ამ აზრის დასამტკიცებლად ნინოშვილის ნაწერებს ისვენებენ, საჭიროა შევიტყოთ—ნუ თუ მართლა განსკვნებული ბელეტრისტი კაპიტალისტურ წეს-წყობილებას გვიხატავს? გ. წერეთელი გვეუბნება—მუშა ხალხს «მოსე მწერალისთანა» და «ტარეელისთანა» ავი თვისების კაცები უნდა ავამოროთო. ჯიბლამე კი თავისის აზრის დასამტკიცებლად «სიმონას» ისვენებს. საბუთი გვაჭვს ვიფიქროთ, რომ ამ ორს წარმომადგენელს მესამე დასისას მოსე მწერალი, ეს სკინადისზე ხელ-აღებული, გაიძვერა ადამიანი, ტარელი—ეს ქალებს ნამუსის ამხდელი, ლოთი და მსუნაგი კაცი, რომელიც, ღვინში თუ მოხვდა, ან ხაჩაღას დატრიალებს, ან ამხანაგს თავს «გადაფრწის», სიმონას ყახლი და მაზეზი მისის უხალად გახდომისა დავით დროიძე და ამისი შვილი აფიცერი ტიტოკო, რომელმაც სიმონას ცოლს დარიგოს ნამუსი ასადა—კაპიტალისტურ წეს-წყობილების ნაყოფი ჭტონიათ; იქნება ყველა დასასელებული გმირები, სიმონას კარდა, ბურჟუა-კაპიტალისტებდ მიუქსნიკიათ. აჭედან ცხადია, რომ გერც განსკვნებულის ნინოშვილის მოასრობათა ბუნება, დედა-აზრი გავუვათ, გერც ჩვენის ცხოვრების ხასიათი და გერც კაპიტალისტური წეს-წყობილების ბუნება. მაშასადამე, ისიც აშკარაა, რომ საპოლიტიკო ეკონომიის ან-ბანაც გერ ამოუგითხვით, თორემ რა თქმა უნდა კაპიტალისტურ წეს-წყობილების ბუნებასაც ადვილად გამოიცნობდნენ. შესაძლოა გვიპასუხონ, რომ თვით განსკვნებული ბელეტრისტი იმ თვალთ უყურებდა ჩვენს ცხოვრებას და თავისს ნაწერებსაცაო. შესაძლოა ასეც იყოს; ხოლო ეს თუ მართალია, აშკარაა, რომ გერც



შდიდარი და ღარიბი იპოკეს ჩვენ შორის, ჩვენშიაც იგივე წეს-წყობილება უნდა ვიგუფოსსმოთო. კიმეორებთ—მესამე დასის წარმომადგენელთ არც ჩვენის ცსოკრების სასიათი აქეთ გაცნობილი, არც კეროპისა და, მასასადამე, არც ის იციან—კაპიტალისტური წეს-წყობილება რა თვისებისა და ბუნებისაა, და სანამ ძეკელს თაობაზე იერიშს მიიტანდნენ, საჭიროა მეცნიერების ანხანი გაიზუპირონ, ჩვენი და კეროპის ცსოკრება გაცინონ; უამისოდ იმათი მოძღვრება იმის ნიშნად უნდა მივიძინოთ, რომ გონებრივი აკლა-დიდება მეტის-მეტად ნაკლები აქეთ და თუთიუუშივით იმეორებენ, რაც აქა-იქ ურში სმენათ და შეთვისებით კი კერ შეუთვისებიათ. დასასრულ ისიც უნდა მკვასსენოთ, რომ უმეცრება, კადნიერება და მედიდურება, რომელსაც მესამე დასის მწერალნი იხენენ, მწერლობაში ყოვლად შეუწყნარებელია.

რაკი მესამე დასის მოძღვრება ნინოშვილის უდროოდ გარდაცვალებამ გამოიწვია, ამიტომ მეტი არ იქნება იმაზე მოკილანაწაკოთ, თუ რა თვალთ ურჩქერიან ამ ნიჭიერს მწერალს მესამე დასის წარმომადგენელი. ამ ნიჭიერს, სიმპტიურს ბუელტრისტს, რომელსაც სიკვდილმა ასე უდროოდ გადუტეს ხელში მადლიანი კალამი, რამდენიმე პოლემიკური წერილები დაუბეჭდია და ერთი გრძელი პუბლიცისტიკური წერილი დაუტოვებია, რომელიც ჟურ-ჟურობით დაბეჭდილი არ არის; ამ წერილებშიო, მოკეთისრობს ბატონი ვიბლამე, ის იღუა აქეს გატარებულიო, რომელსაც ამ უამად მესამე დასი ჭმომღვრობს. გგანსკენებული ემზადებოდა კრიტიკულს და პუბლიცისტიკურს ასპარეზზე გამოსკლასაო. არ იცნოთ, რა ღირსებისაა ის დაუბეჭდავი წერილი; პოლემიკურის წერილების გამო არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ მათი აკტორი საკრიტიკოსოდ და საპუბლიცისტოდ ძლიან ნაკლებად იყო მომზადებული. ამ პოლემიკურს წერილებს აზრის სიმკვირცხლე, ენა-მასკილობა ეტყობა და აკტორის პატოლისანის გრძნობის დადი ამხნევი, ხოლო რაც შეეხება გარკვეულს მომდინარეობას აზრისას, მიმართულებისას, ამისი რა მოგასსენოთ. განსკენებული ისეთის ნიჭის პატრონი და იმ ზომამდე ფისიკელი იყო, რომ ცსოკრების სისამდევილეს კერ გაეჭვიოდა და ამით ახსნება, რომ აქა-იქ ნაწვეუტ-ნაწვეუ-

ტად ამოკითხულს აწერებს კერ დამოწმებებს და ბელეტრისტულ ნაწარმებში გზა კერ გადასვლებზე. რომ დასტოვდა, ეს ნიჭიერი კაცი, რასაკვირველია, უფრო განკვეულს აზრს და მიმართულებას დაადგებოდა და იქნება მასინ იმის მიმდევართაც გამოკვეთილად აზრი და გონება. მაგრამ ნურც ამით იმედს დაკარგავთ, რაჟი ესენი, გარდა გ. წერეთლისა, არიან სულ ახალგაზრდანი, გონებრივი ღონით სავსენი და რაჟი «იმთში თითო ოროლა ფრად ნიჭიერი არიან».

ესლა ორიოდე სიტყვა ბ-ნ ჰეტრიძის ნაწარმების შესახებ. მკითხველის წინაშე ბოდიში უნდა მოკახდლოთ, რომ ამ მწერლის ნაწარმებს ვუბრუნდებით და იმათა ხსენებით თავს ვაბეზრებთ. საჭიროდ არ მიგვაჩნია არსებითს მხარეს შევესოთ ამ მწერლის ნაწარმებისას. ამ გზობით განსრავა გვაქვს ბ-ნ ჰეტრიძის «მეტნიერობას» და ლოდიკას სამიწველი გაკუსინჯოთ; რასაკვირველია, მკითხველისათვის ეს მანც და მანც საჭირო არ არის, და თუ ამ განსრავას თავი გაკატაცბინეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ იქნება ბ-ნი ჰეტრიძე საგონებელში ჩაჯარდეს და სხვა დროს უფრო მოწყალე თვალთ შემოგვსედოს და ისე მედიდურად და მრისხანედ არ მოგვეპყრას, როგორც «კვალის» 33-ს და 34-ს №-ში მოგვეპყრას.

ბ-ნი ჰეტრიძე გვასწავლის: „ეკონომიური ურთიერთობა ალებ-მიცემობას მოასწავებსო“ და „ალებ-მიცემობა ყიდვა-გაყიდვას ნიშნავსო“. შემდეგ ჩვენ მოგვმართავს და გვეუბნება: თუ ჰეტრონი წარსულ ცხოვრების შესახებ ლაშარავებს, მართლდასა შესულა სსუკონომიურებში ალებ-მიცემობა არ იყო, ესე იგი, არ ყოფილა ეკონომიური ურთიერთობა, ალებ-მიცემობა, არ ყოფილა ყიდვა-გაყიდვა. კარგი და ჰეტრონი! სოლო «მთაშბე» რომ სთქვა: «ეკონომიურ ურთიერთობის სარბიელსე უნდა გამოვიდეთო», მასინ კი გააძნის: ამ სარბიელსე გამოსულნი ვართ მას ქვედ, რაც ქართველობა არსებობსო. რომელი სჯლსა არ ყოფილა და არ არის ნივთიერ ურთიერთობის სარბიელსე გამოსულა? ესლა კვათსოთ ბ-ნს ჰეტრიძეს—საშულა სსუკონომიურებში ეკონომიური ურთიერთობის სარბიელსე ყოფილვართ გამოსული, თუ არა, და ქართველობა საშულა სსუ-



კუნოების აქედ არსებობს, თუ წინადაც იყო? ბ-ნი ჰეტრიძე ისეთის ლოდიკისა და ცოდნისა შტრონი ყოფილა, რომ ჩვენ რომ ეთქვათ— სწავლა-განათლების, მწერლობის საზბიელზე უნდა გამოვიდეთო, კი-უინას დაგვიტყვი და შეგვიძისებს: ამ საზბიელზე ჩვენ ფარნავაჲს მეფის დროიდან ვართ გამოსული, რადგანაც ჩვენი მსედრული ანბანი იმის დროს იქმნა შემოდებულიო. მოდი დასუ დაუფუქრებთ! «მოამბისა» მე-ნ №-ში ვამბობდით: ანა, ბატონო მასაკვალო, რაც უნდა მიხეცი უზოგოთ ამ თუ იმ ავანავობას, რაც უნდა საწნული დაატანოთ, ამ მიხეცის კვლევა-ძიებაში ისეთი ისტორიკოს-ანსეოლოგოსიც რომ მიიშეულიოთ, როგორც «კვალისა» თანამშრომელი ბ-ნი გ. წერეთელი ბრძანდება, იმას მანც კერ დაგვიმტკიცებთ, ვითომ ჩვენი ერი დანაშაულობად არა სთვლიდეს უცხო მგზავრის მოკვლას, ფოსტასა თუ რეინის გზის მატარებელზე თავდასხმასა. ეს ჩვენი სიტყვები ამოუვითსავს ბ-ნი ჰეტრიძეს და ჰტონებია, ვითომ ჩვენა ვფიქრობთ, რომ ბ-ნი მასაკვალე მგზავრის მოკვლას, ფოსტასზე თავდასხმას და სსვა ავანავობას ამართლებს. ამიტომ ბ-ნი ჰეტრიძე თამამად გაიძისი: «ეს არის ბ-ნი ნა—ლის ლოდიკა. მისის აზრით, ვინც კი მოვლენის მიზეზს იკვლევს, ის უაუოდ ამართლებს თვით მოვლენასაო». ერთის სტრიქონის შემდეგ კი სსვას გაიძისას: «ბ-ნი ნა—ლის მოჩვენა, ვითომ მასაკვალე ამტკიცებდეს, ჩვენი ხალხი ამართლებს აკვაცობასაო». ბ-ნი ჰეტრიძე, რასაკვირველია, თავს იმით გაიძისთლებს, რომ ერთს სტრიქონს ქვეშ სომ ნამდვილი მომჩვენებიაო და ამიტომ შირველი მოჩვენება რა სასაუვედურო იყო. დიაღაც სასაუვედურო არ იქნებოდა, რომ ერთს და იმავე დროს ერთისა და იმავე საგნის შესახებ სან ერთს არ ამბობდეს, სან მეორესა:

ასე, ჩემო მანსეო,  
ხან ისე და ხან ასე!

ეს «კვალისა» 33-ს №-ში იყო. ესლა შემდეგი № გადავიფურცლოთ, რომელშიც ბ-ნი ჰეტრიძე თავისს მოძმეს მასაკვალს გამო-საწნულებია. ტუუილად კი არ არის ნათქვამი—«ოდეს კაცსა დაუჭი-როს, მაშინ უნდა მშა და თვისა». იმ ნომერშიაც საუცსოკო მარ-



გალიტებს კიბოკით ჰეტრიძის აზრის ძლიერებისას. ჩვენ გვესყუებოდა და გვეუბნება ავანსაკობის მიზეზის შესახებ: «ამ წაირი სურვილი, თავის ქონების უკმაყოფილება, საშინლად გაძლიერებულია მაგალითად ევროპის ხალხთა შორის. აქ სწორად ასობით და ათასობით იწებებიან უღუგუშა-ჰურად, იბრძვიან თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ეგულან სურს ნაკლებად გაისარკვოს და მეტი აიღოს, მაგრამ ავანსაკობას და სხვის მარცხა-გლეჯას არ მისდევენ და ამით თავს არ ირჩენენ». აქ ევროპის მაგალითი რა მოსატანი იყო, ბ-ნს ჰეტრიძეს რომ თუთაიუშივით არ გაეზეპირებინოს შემდეგი ფრაზა: „ერთგვარ მიზეზებს მოღვევენ ერთგვარი შედეგები“. განა ბ-ნ ჰეტრიძეს ისიც უნდა კუშიძეჯაროთ, რომ ევროპაში მეტი განათლება, შრომის უნარიც მეტი აქვთ, სამართალიც უფრო მკვიდრია და ადამიანის ზიროვნება და შრომა უფრო დაცულია? განა «ძემაძის» ზირკელის №-ის ქრონიკაში და «სალიტერატურის უნივერსიტეტი» (№ 5) ეს აზრი არ იყო გატარებული, მაგრამ ეგეთი ჩვენი შესვლად ბ-ნმა ჰეტრიძემ არ მოგვიწინა. ახა, განსხვავებით, თვითონ რა მიაჩნია ავანსაკობის მიზეზად ჩვენს ცხოვრებაში: ჩვენს ცხოვრებაში უცებ შემოვარდა ფულის საჭიროება, ამის შესაფერად შოვნის საღისარი, ანუ შრომა არ განვითარებულა. ფული გჭირია, უნდა იშოვნო, თუ კანონიერად არ შეიძლება შექმნა, სიყალბე იხმარე, მოიპარე. ასეთია ცხოვრების პირობები. იქნება ევროპაც ეგეთს ცხოვრების პირობებში იყო მოქცეული? ეს ბ-ნს ჰეტრიძეს ჭკითხეთ. სხვა მაგალიტებსაც ამოკვრებით ბ-ნ ჰეტრიძის ნაწერებიდან, ხალხ რაც მოვისსენიეთ, ისიც სავაია.

ბ-ნ ავანსაკობის მოუხდომებია მესამე დასის მწერლების რაზმში გარეგან; ახა, ფსიხული ჰუმლიტისტი ცხოვრების მიმდინარეობას როგორ უნდა ჩამოაჩვენო უკან? ეს აზრი იმ წამსვე ფიქრად მოგვივიდა, «კვლის» მე-25-ე №-ში ავანსაკობის სიტყვა რომ წავიკითხოთ. «კვლის» რედაქცია მოგვიტოვებდა: «ავანსაკობის, პ-ს ივანის ბაღში სადღი გაუმართეს გორის მარძალს, ბ-ნს სულხანიშვილსაო», ხალხ იმას არ გვეუბნება, თუმცა კარგად იცის, ეს რომელი ბაღია, სადა ავანსაკობის სულხანიშვილი მშრომელის საღისის მოსარჩელედ აღიარა.

ჩვეულებებისამებრ, ბ-ნმა აკაკიმ ეს სიტყვაც იმით დაიწყო, რომ მე წინასწარმეტყველი ვარ, მაგრამ არავის სჯერა; მე რომ რასმე ვიტყვი, მტრები იმ წამსვე პირში ჩამიდგებიან და შეძვეგ კი ჩემს წათქვამს განიმეორებენ და ის კი არ ახსოვთ, რომ ჩემის აზრებით იკებებანო. ამ სადაღვზე, სჯაც მსხვილ-ფეხა და წვრილ-ფეხა აზრებობა ბევრი იყო, ბ-ნმა აკაკიმ, სსჯათა შორის, სთქვა: ჩვენ ყოველთვის უფრო შეჩერებოვართ ზედა-ტანს (ერისას) და იმ ფესვის კი, რომელსაც მიწის მუშა ეწოდება, სშირად ვერც კი ვსედავთ. აი, თუ გინდა დღესაც, აქ ჩვენთან არც ერთი მათგანი არ არის, მაგრამ მათი ნაკურთხი მარჯვენა კი აქ ჩვენ წინ, ჩვენ სუფრასზე ძევს; აშური და ღვინო ასარებს გულსა კანისასო. ხვედრ დღეს ემხარყოლობთ ამ ზურ-ღვინით და ეს სისარწლის მიზეზი, იმ მუშების, იმ დაბალ წოდების მეოხება, რომელიც ჩვენ მუდამ უნდა გავსოვდეს და ისე გუგლიდეთ, როგორც კეთილი მუბაღე უფლის სესილს. მას, გაუმარჯოს იმ ჩვენ ღარიბ და ქვედა საფეხურზე მდგომარე მოძმეებს და მათთან ერთად იმთაც, ვინც იმათ არ ივიწიებს!—ეს სადღერძო დინსუგლად ერგება დღეს არსებულ ბ-ნ სულსანიშვილსაცო. რა თქმა უნდა, ისე უნდა გვეფიქრნა, რომ ბ-ნი სულსანიშვილი იმათი მოსარწლე უფიქრდა, ვინც სადაღვზე არ დასწრებიან, ესე იგი იგი იმუშების, იმ დაბალის წოდებისა, რომლის მეოხება ზური და ღვინო. ამ აზრის დასამტკიცებელია კი აკაკის არა უთქვამს-რის და ამ. ტომ, ცოტა არ იყოს, ეჭვი დავგებდა. დიდის გულ-მოდგინებით ვეძიეთ ამის საბუთი აკაკის სიტყვაში, მაგრამ ვერ ვიპოვეთ-რის, გარდა იმისა, რომ ესულსანიშვილს გულმა ურჩია სწორ გზას დასდგომოდა და თაკისი ყურადღება უფრო მდაბლისა და წვრილ-ფეხობისათვის მიექცია. ეს რომ ამოვიკითხეთ, ის აზრი დავგებდა—იქნება წვრილ-ფეხობას ბ-ნი აკაკი მუშებს უწოდებს, რომლებიც სადაღვზე არ დასწრებიან; მაგრამ, არა, თურქმე აზრად ქვინია „ლარიბი წვრილ-ფეხა აზნაურობა“, რომელიც სადაღვზე სავაოდ იყო. ამ წვრილ-ფეხობის სადღერძო რომ დაეღია და ზედ სულსანიშვილსაც რომ დაერთო, არა გვეთქვოდა-რის. საქმეც ის არის, რომ აკაკის აზრით, როგორც ზემოდ ამოხაწვრილან სჩანს, ზურ-ღვინო ამ წვრილ-ფეხობის მეოხება არ არის. მას მუშების სა-

დღეგრძელო, რომელთაგან სხდოლზე არც ერთი არ დასწრება, ბ-ნ სულხანიშვილისას რად გადაბა? აი, ახრისა და ლოდიკის აბრეხად აგდება ასე უნდა! ის კი ნამდვილია, რომ ბ-ნ სულხანიშვილს «თავისი უურადლება უფრო მდაბლისა და წვრილ-ფეხობისათვის» მიუქრევია, რომეუფრო ღარიბს და წვრილ-ფეხს აწინაურობას ემსახურება!.. დიად, სულხანიშვილს «ღარიბი და წვრილ-ფეხობა» მეტის-მეტად ჭეკარება; უიმისოდაც ღარიბისა და წვრილ-ფეხის გაწვრილ-ფეხება ჭეკარება. მეითხველმა ცუდი რამ არა იაუქროს-რა; უნდა ვთქვათ— ამ სიტყვით რას ვგულისხმობთ. ტფილისის ბანკის კრებაზე დასასწრებლად მისი, ერთს ღარიბს და წვრილ-ფეხს აწინაურის, რომელსაც სუთასი მანეთი შეიძლება ჭქოსია, იმისი მოწმობა მისცა, რომ 20 მანეთის მეტი შემოსავალი არა აქვსო.

თუ რამდენად მტკიცება ბ-ნი ავაკი ჰუმლიცისტიკაში, სასოგადო საქმის სამსახურში, ეს ჩვენ «მოამბის» მე VII №-ში ვუხვეუნეთ მეითხველს. იმ ჩვენმა წერილმა «კვალის» 36 და 37 №-ში ავაკის მასუხი გამოიწვია. მასუხი კი შიგ ვერა ვპოვეთ-რა, მაგრამ მანც უურადლების დირსია. ეს წერილი მიზეზს გაძღვეს კადეკ ერთსულ მიუბრუნდეთ ავაკის სამწერლო და სასოგადო სიმტკიცეს და მეითხველს დაუხანავოთ, რამდენად მართალი ბრძანდება ბ-ნი ავაკი, როცა, ვინმე რომ სიტყვას შეუბრუნებს, უსათუოდ შირადად მისდამი მტრობას, ცილის-წამებას და დეგნას შესწამებს ხოლმე. ეს ერთი ხანია, ზოგეიერების შურის-ძიებამ და დეგნამ ჩემდამო, იმდენზე მიაწია, რომ ჩვეულებრივ ცილის-წამებასა და გადასხვაფერობას რომ ღარ მავმარებენ, თვით ჩემს ნაწერებს აუკუდმართებენ («კვალი» № 36)... «ეჲ თუ, ვიფარობდი ჩემს გუნებაში, ის რწმუნება, რომელიც ამდენი ხანია, გულისთ მიტარება, რომლისათვისაც შემეწირავს ჩემი შირადი. არსებობა, რომლის გამოც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთი დღე შედნიერი არა მქონია, ნუ თუ მართლაც ის რვეულად გადაქცეული საგანი შედგომა იყო? («კვალი» № 24). დიად, დიდს ბრალსა და მოამკვიდრებულ ცოდვას. სწამებს იმათ, ვინც სიტყვის შებრუნებას გაუბედავს. ესლა ვნახოთ— დირსია თუ არა ჩვენი ჰუმეტი სიტყვის შებრუნებისა, ვითარცა ჰუმლიცისტი, ვითარცა სასოგადო მოღვაწე? წელს, მისის

4-ს, როცა ტიფლისის ბანკის კრების მოლოდინში მთელი საქართველო ფეხზედ იდგა, როცა ეკლესიას ბანკისაკენ ქმნდა თვალი და ყური მიქცეული, ბ-ნმა აკაკიმ ერთი ზაწია წერილი დაბეჭდა გასეთ „НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“-ს 3557-ს №-ში. ეს წერილი სამუდამო სასარგებლოდ დარჩება. თავის დროზე იმავე გაზეთში იღიწეულადაც იგი დაფასებულა. ბ-ნი აკაკი სწერს: „ეს რამდენიმე ხანია, რაც მრავალი წერილი მომდის ბანკის მომავალ არჩევნების შესახებ; რადგანაც საშუალება არა მაქვს თვითოველს ცალკე შესუსნი გავსტე, იმულებული ვარ შემდეგი გამოგაცნადო. კითქათ, მართლაც, ბ-ნი აკაკის აუარებელი წერილი მაუღაა არჩევნების შესახებ. მართალიც რომ არ იყოს, არა უშაკ-რას; საქმე ის არის—თუ რა შესუსნი გასცა იმათ, ვისაც ბანკის საქმე საზოგადო, საქვეურო საქმედ მიანდა. როგორი შესუსნი გასცა იმ კანდა, რომლიცგანაც საზოგადოება გულწრფელს შესუსნს ელოდა? ამ უმადაო, ბრძანებს აკაკი, საადგილ-მამულა ბანკი ისეთ დაწესებულებად, ისეთ საგანად არ მამხანა, რომ განათლებულა ქართველმა მთელა თავასი ყურადღებას საკუთრად ამ დაწესებულებას მიექციოს. ბანკის ოპერაციების წესისამებრ სწავრობულად არაა საჭირო არც ასტრონომის, არც პოეზია: ცოტადანად გონება-განსნილს და ჩვეულებრივის ნიჭის ზატრონი ინტელიგენტს, თუ რომ შრომის მოყვარე და კეთილას განზრანის მქონებელია, შეუძლია იმ ოპერაციებს თავი გაართვას; ამიტომ პეტრე იქნება ეს კაცი, იგანე, თუ მაქსიმე, სიელ ერთია».

აქედან აშკარაა, რომ, ბ-ნი აკაკის აზრით, ბანკი მანინა და მანინადიდი საქმე არ არის და ამიტომ, რაკი იმისი გაძლოლა ცოტადანად გონება-განსნილს ინტელიგენტსაც შეუძლია, იმის გამო ზრუნვა და თავის სეთქა რა საკადრისაო: ცოტადანად განათლებული ინტელიგენტი და მასთან შრომის მოყვარე და სვინიდიისაქონი ჩვენში ხომ საკმაოდ ბევრია. ასე ფიქრობდა ბატონი აკაკი კრების დაწვევამდე, ასე უზანუსნი იმათ, ვინც, მათის აზრით, მძიმე საგნის გამოარკვევას სთხოვდა. ერთის თვის შემდეგ კი ქართლის თავად-აზნაურობის წინაშე ბანკის კრების შესახებ ვრცელი სიტუა წარმოსთქა (აკვლია, №24); ჩვეულებისამებრ შესწივლა—ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთი დღე ბენიერი არა მქონია—ა და შემდეგ უმოძვრა:

«დღეს, როდესაც კრება გათავდა, დაიშალა და თქვენ სასლისკენ ბრუნდებით, მე ვიდეკ იმავე რსევით მოგმართავთ, რომლითაც მოგმართეთ კრების წინად: როდესაც სასოგადო საქმე მოგიწოდოთ, ნუ დაიზარებთ სოღმე ჩამოსკლას!... ვალი აიღეთ!.. არა თუ ქალიშენებით, ფეხშიშველა რომ ჩამოსკიდეთ, დასამძახისი არ იქნება!.. არა თუ სასტუმროებში და ბაღებში, ქუჩებშიც რომ მოგიხდეთ ღამის გათევა, ნუ გერცხვინებთ!... შესარცხვენი ის არის, ვინც გრძობითა და გონებით არის ღარიბი და არა ის, ვისაც სიმათლუ და ჭკუმათიტება უხელმძღვანელებს».

იმედი გეჭებს მკითხველი ავადის აზრის გადასწავლერებას, გაუგებლმართებას არ შეგკწამებს; განა აქვარ არ არის, რომ ერთის თვის განმავლობაში ავადი აზრი შეიცვალა და თავდაზნაურობას მოასსენა—ბანი ასეთი სასოგადო საქმეა, რომ ვალი აიღო და ისე ჩამოდითო, ფეხშიშველობაც ნუ შეუშინდებითო, ქუჩებშიაც რომ მოგიხდეთ ღამის თევა, არა უმჯავს-რარ. 4-ს მამის ბანიას საქმე თავის სეთქად არა ღირდა და 5-ს იენისს კი უმისოდაც ილაჟ-გაწყვეტილს თავდაზნაურობას ეუბნება, ბანი ასეთი სასოგადო საქმეა, რომ ვალი, ფეხშიშველობას და ქუჩებში ღამის თევას ნუ შეუშინდებითო. ესღა ვკითხოთ, როდის ბრძანდებოდა ბანი ავადი გულწრფელი—4-ს მამის თუ 5-ს იენისს?.. საკადრისი სასოგადო მოღვაწისთვის თუ არა ესე გზა-კვალად დაუბნიოს, დაუსლართოს სასოგადოებას, რომელსაც იმისი იმედი აქვს—იქნება სასოგადო საქმის მდგომარეობასე თვალის ამისი-ლოსო. დაიღ, ასეთი საქმე ემართებათ იმ მოღვაწეთა, რომლებიც ქვეყნისა და სასოგადოების სამსახურს მსუბუქად, მხატვდ კვიდებთან და რომლებსაც ჭკონათ—ერთის კალმის მოსმით, ერთის მხვილის სიტყვით სასოგადოების გონებას სათევენაც გვინდა, ყურს იქითკენ გამოვაბამთო; ემართებათ იმ მოღვაწეთა, რომლებსაც სასოგადო აზრის სიღრმე-სიგანის გაზომვა სავალდებულოდ არ მამინათ და არც ძალ-უძო. რასაკვირველია, ეგეთი მოღვაწე მეთაურობას, წინასწარმეტყველებას რომ დაიხემებს და საქვეყნოდ მრავალგვით და მრავალჯერ გამოაცხადებს—გვემული და ტანჯული ვარო, ყოვლად შეუძლებელია მწერლობამ ყურადღება არ ათხოვოს და თავისი განა-

ენი არ დასდოს. რა თქმა უნდა, მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე თავისუფალია—ესა თუ ის მიმართულება აირჩიოს, ერთხელვე გარკვეულს გზას დაადგეს; ეს მისი ნიჭისა, ცოდნისა და სისამართის საქმეა და არავის უფლება არა აქვს უსაყვედუროს—რატომ სხვაგზით და სხვაფორმად არ მოღვაწეობო, ჩემი სულობა შენსასაო; კამათობა, ახრთა შეჯახება შესაძლებელია, მაგრამ მოკამათენი ახრთა და მიმართულების სხვა-და-სხვაობას ერთმანეთს დანაშაულობად ვერ ჩამოართმევენ. ხოლო, როცა მწერალს თუ საზოგადო მოღვაწეს «დედს ერთი უნდას, სვალე სხვა», საზოგადოება და მწერლობა ვაძღებულის დაუკითხოს—ჩემს გრძნობა-გონებას, ჩემს სვინდისს ეგრე მსუბუქად, გაუფრთხილებლად რად კვიდებო, მწერლობა და საზოგადო მოღვაწეობა «მეუშითობა» რადა გგონიაო, და უკვლავ შენს მოწინააღმდეგეს ფარისევლობას, თუთიყუშობას და მოღალატეობას რადა სწამებო! დაიღ, ბ-ნი აკაკი, ეს რამდენიმე ხანია, ისე წერილს არ დასწერს, რომ თავისი თავი წინასწარმეტყველად არ გამოაცხადოს, გულწირველობა არ დაიქმოს და სხვებს კი ფარისევლობა, მტრობა და შურის-ძიება არ შესწამოს. «ჩემს ნაწერებს აუკვლამართებენ, მე გულ-წირველად ჩაკერიე ამ თუ იმ საქმეში, რჩევა მიგვეცია», ხოლო «ჩემი სიტყვა იქვე გადაატრიალეს თვალსა და სულს შუაო». ამის მთქმელი რამდენად მართალი ბრძანდება, მეითხეულს უემოდ დაჯანსხვოთ, ხოლო ბ-ნმა აკაკიმ დაინახა თუ არა, არ გიცით.

აქამოდე ისეთს საგნებს ვესებოდით, რომ იქნება ვისმე სწვეზად დარჩეს. ესლა კი დროა ისეთს საგანზე გადავიდეთ, რომლის გამო შესაძლოა უფრო გულდასმით, უფრო მშვიდად ვისაუბროთ. ახრად გვაქვს «გეფხის-ტყალსის» კრიტიკონებს შევესოთ. ამის მიზენი ბ-ნმა გრენმა მოგვცა, რომელმაც წელს ვაზენ «გაკაკაშში» ორი ფელეტონი უძღვნა თამარ მეფის დროინდელ საქართველოს. ბ-ნმა გრენმა ფრად მძიმე და საინტერესო საგანს ჩასჭიდა სელი; თამარ მეფის დამცირება მოინდომა და «გეფხის-ტყალსისაც» შევესო. რა თქმა უნდა ჩვენის ისტორიის გამორევევა ჩვენთვის ფრად სისამარგო და სასარგებლოცაა და ამ მსრით ბ-ნ გრენს ვერაფერს ვერ ვუსაყვედურებთ. ბ-ნი გრენი ამტკიცებს—თამარ მეფე არც ისეთი დიდებული გეირგინოსანი იყო და არც ისეთი სათნო ადამიანი, როგორც



ქართველებს ჰგონიათო. ამის შესახებ არაფერს ვიტყვი, — ჩვენი საქმე არ არის. ბევრი მაგალითი ვიცი, ისტორიულს გირტიკას, სსკა-და-სსკა ერის წარსულის ზოგს ეზოქაჩე, რომელიც საუფუნოა განმავლობაში «ბრწყინვალედ» ყოფილა წოდებული, იქნა რომ მიუტანა და ფარდა რომ აუხდია, თეთრი შავად უცვლია. რასაკვირველია, საზოგადოებისათვის ძნელია შეჩვეული აზრი შეუჩვეულზე გასცვალოს, მაგრამ რა გაეწყობა. საზოგადოება ვერც მიახმნევს სასაამოკრო ამხად, რომ თამარქივე უნებობით არც ისე სათნო იყო, როგორც ქართველობა ჰფიქრობსო. მართლდა ეტ თავისი აზრი ბნის გრენს სავმოდ ვერ დაამტკიცა, მაგრამ ვერც ამ აზრს ჩამოკართვიტ დასაძულაბად. შირადი უნებობივი სათნობა არც იმისთანა რამეა, რომელიც ისტორიულს მოღვაწეს უკვდავსა ჰქმნის, თუ რამ ერის წინაშე სსკა სამსახური არ მიუღლის. ამჯეს თავი დაგანებოთ და ის მოგვისსენიოთ, რომ ჩვენის აზრით, ბნის გრენს სრულიად სამართლიანად აღუნიშნავს ერთი საუყრადღებო გარემოება. იგი მოგვიხსობს, რომ თამარის მეფობის დროს საქართველოში რაი დასის ბრძოლა ტრიალებდაო. ერთის მხრით სომხები ხეუღლობდნენ საქეფოს მართვა-გამგეობას, სოლო მეორე მხრით ქართველნი და რსნი, რომლებიც საეროკრო აზრის წამომადგენელი იყენენო. ეს აზრი მართალი გგონია. ისტორიანც საკმაო საბუჯებს გვძლევეს იმის სინამდვილისას. ეს გარემოება ამ რამდენისამე წლის წინად ჩვენც აღვნიშნეთ, როცა «გეფხის-ტყალსანი» მცირე წერილი გეძლევეთ 1890 წელს. ჩვენის აზრით, «გეფხის-ტყალსანი» ავტორს სელში კალში აალებანა იმ საეროკრო მოძრაობაში, რომელიც თამარის დროს ტრიალებდა. შოკმა ამის ნიშნებს შეიცვალ და ეს გარემოებაც ჰმოწიბობს, რომ «გეფხის-ტყალსანი» თამარის დროს უნდა იფოს დაწერილი და არა მისს შემდეგ. მეტას-მეტად საგულისხმია, რომ შირველად ნესტან-დარეჯანმა და არა ტარიელმა შეიგნო მნიშვნელობა უცხოეთიდან სასიძოს «მოყვანებისა» და წინააღუდეგ სკარაზმ მას ინდოეთში დამკვიდრების.

რეგე ამხად არ ეგებოს, რომე სპარსნი გავიხსიდნენ“.

უბნება ნესტანი თავისს საუვარელს და შემდეგ ასწავლის:

რეგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,  
ჰკადრე თუ, — სპარსთა ვერა ვიქ ინდოეთისა კამასა“.



ტარიელის სესტანის დარიგებისამებრ მოქმედობს და ფაქსადანს უთვლის:

ერთი-ლა მე ვარ მემკვიდრე, ყველაი თქვენ მოგზდომია!

სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახდომია!

ინდოეთი ჩემი არის, არვის მივეცემ ჩემგან კიდე...

როგორც სედატო, თვით ისტორიას გარდა, «გეფსის-ტყაოსნის» ჳმოწმობს, რომ საქართველოში თამარის დროს ძლიერი ეკლესიური ბრძოლა ტრიალებდა წინააღმდეგ უცხოელთა გავლენისა და რომ ქართველობა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ვინ იცის, — იქნება უფროსერთი წილი ამ გამარჯვებისა «გეფსის-ტყაოსნის» ჳედ-მოქმედებას ეკუთვნის ქართველთა გრძნობა-გონებასე?

ბ-ნი გრენი თავისს წერილში ქართულს მწერლობას და კერძოდ «გეფსის-ტყაოსნისს» ესება, და კრიტიკას თვალთ-სედეის ისარმც სწორედ აქ უმტყუნს. გრენი ბრძანებს—წინასიტყვაობა გეფსის-ტყაოსნისა» პოემის ავტორს არ ეკუთვნისო. ბ-ნი გრენამდე რუსულს უწინააღმა, «Съвер. Вѣст.»-ში, ბ-ნმა ნ. დ—მა ეს აზრი ამჟამად წასომოსთქვა. ეს ავტორი ამტკიცებდა, რომ წინასიტყვაობა გაზვიადებული გილოთი არის დაწერილი და, თუ სსოკან არა გვალაატობს, იმასაც ბრძანებდა, რომ შინაარსი წინასიტყვაობისა სრულად არ ეთანხმება პოემისსაო. ჩუენის აზრით კი, ეს მართალი არ არის: წინასიტყვაობა გეფსის-ტყაოსნისა» თვით პოემის გლიტე-გასადებია; ავტორს პოემისს თითქო შიში ჳჭონია, რომ ეგ წინა-სიტყვაობა თუ არ წაკუძმვლარე პოემის, იქნება სპარსულს მწერლობასე აღზრდილმა ქართველობამ გერც კი შეიგნოს იმისი შინაარსიო. სესტანისა და ტარიელის მიჯნურობა ვინარმანისეური, სორცელი, «სიძვის» დასადარი კი არ არის, არამედ უზრუნველ და გონებრივს სამირვეკლსეა დამკვიდრებული. აი სწორედ ამგვარის მიჯნურობის ძალადებული იყო პოემის ავტორი და წინასიტყვაობაში მეითხუელს სწორედ ამიტომ აფრთხილებს:

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნულად ძნელი გვარი,  
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:

იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,  
 ნურქვის გარკეთ ერთმანერთსა—გესმისთ ჩემი ნაუბარი?

აშკარაა, საქართველოში სპარსული მწერლობა იყო დამკვიდრებული და ამიტომ სპარსეთიდან გადმონერგული მიჯნურობა სორცოელი, კისრამინისებური იყო და არავითარი ზნეობრივი და გონებრივი საშირეკელი არა ჰქონდა. ეს ბ-ნის გრესსაც სამართლიანად აღუნიშნავს. აი, სწორედ ამგვარს სპარსულს მიჯნურობას გაემკლავა «გეფისის-ტეაოსისი» ავტორი და მით ახალი მიმართულება დამკვიდრა ქართულს მწერლობაში. ამ აზრს ჩვენ უფრო დაწვრილებით გავარკვევით ცალკე წერილში და ესლა კი საჭიროდ ვრცნებთ «გეფისის-ტეაოსისს» კრიტიკოსებზე ჩამოკაკლოთ ლაშარავი.

«გეფისის ტეაოსისი» ვერ-ვერობით თითქმის სრულად არა გვაქვს შესწავლილი. მართალია, რამდენიმე საუკუნეა, რაც მისის მუსიკითა და მშენიერებით ვსტებებით, მაგრამ ჰოტიური და ისტორიული მნიშვნელობა ჰოემის დღემდინ გამოურკვეველია. ჩვენზე მეტი შრომა «გეფისის-ტეაოსისს» შესასწავლად უნსოელთ გაუწევათ, მაგრამ ამ შრომიდან ბერი არა გამოსულა-რა. ეგ ჰოემს ზოგს მთლად უთარგმნიათ და ზოგს ნაწილ-ნაწილად, ცდილან კრიტიკის სასწორზედაც კი შეეგდოთ; ჰოემის მნიშვნელობა და სასიათი კი მანც ცნრა-გლიტულშია მოქცეული. რასაკვირველია, იმისთანა ნაწარმოებს შესწავლა, როგორც «გეფისის-ტეაოსისი», ადვილი საქმე არ არის; ერთი და ათი კრიტიკული წიგნი დაიდაც საკმა არაა, რომ ამ ჰოემს სული და გული გადაგვიშალოს; ჩვენცან კისმე იუ ხელი წაუღლან ამ ჰოემისათვის, ისიც შემთხვევით და მსუბუქად. ამიტომ უცხოელების დიდი მადლობა ვამართებს, რომ სკენს სასახლო ნაწარმოებს ჩასციდეს ხელი, მაგრამ აქედან, როგორც შემოდა ვთქვით, ბერი არა გამოსულა-რა, და არც გამოვა, თუ ბ-ნ გულავის თქმისა არ იყოს, თვით ქართველნი ხელს არ მიუყოფთ დიდებულის ჰოემის შესწავლას. უცხოელმა, ვინც კი ხელი მოჰკიდა «გეფისის-ტეაოსისს», ვინც მისი გადადება განიხრასა უცხოენაზე და კრიტიკის თვალი გადაავლო, ყველამ ისეთი არ-ცოდნა გაძობინა ქართულის ენისა, რომ ჰოემის რიგიანად გადადება და

იმისა მნიშვნელობის სიღრმე-სივრცის გაზომვა მათთვის ყოველად მოუხერხებელი აღმოჩნდა. ასე იყო დღემდე და ეს იმის საბუთია, რომ თვით ქართველნი უნდა შეეუდგეთ «ვეფხისტყაოსნის» შესწავლას და მით ურსოელთაც დაეკისვროთ და იმათი ნაშრომ-ნაღვაწიც გამოიყენოთ. აი, მაგალითად, ბ-ნს გრენს, აღბად ქართულის ენის საფუძვლიანად არ-ცოდნის გამო, უფიქრია, რომ «ვეფხისტყაოსნის» წინა-წიტყვობა სსკა ენით არის დაწერილიო, კინემ თვით ჰოეია. ჩვენ ვემოდა ვთქვით, რომ ეკ აზრი მართალი არ არის და კედებით ჩვენ აზრი ცალკე წერილში გაკარგეთ; მანამდე კი სსკა კრიტიკოსებს მიუუბრუნეთ.

თუ არა კედებით, ბარდტინსკი პირველი მთარგმნელი იყო «ვეფხისტყაოსნის» რუსულს ენაზე, მაშ იმიდან დაიწყოთ, და ვნახათ რა ღირსებისა.

აი რამდენიმე მაგალითი: 130-ე ტაში (ჩუბინაშვილის გამოცემა).

„მერმე მოდი, ლომო, მხესა შეგეყრები, შემეყარე“.

ბარდტინსკი ასე სთარგმნის:

„И постъ иди, мой левъ, къ солнцу;  
Мы встрѣтимъ другъ друга привѣтно“.

ბარდტინსკის თუ დაუუკრეთ, თანათინი თავის თავს მხეს უწოდებს, მაშინ რადესაც ეკ სიტყვა ავთანდილს კეთონის:

«მოასსკინა ემანს: მხეო, ვინ გიშერი აწამწაიე» (ტ. 133) ხომ მართლა ღამისი, ჰოეტური შედარებაა, თავისი აზრი ჰოეტს სომ ძლიერად და ნათლად გამოუსატავს. ბარდტინსკის კი ეს სტრიქონი ისე უთარგმნია, რომ ასში ერთი კერ გამოიტანოს—ჰოეტს რა უნდა ეთქვას:

„Солнце, чьи черные камни мпгали мнѣ“.

მართლაც, ჩუბინაშვილს თავისს ლექსიკონში სიტყვა გიშერი **черный камень**-ად აქვს ნათარგმნი, მაგრამ ჰოეტის აზრს ეკ სიტყვა სრულიად არ შეჭყერის.

კვლავცა ჰკადრა: აა მხეო, რადგან ღმერთმან მხედ დაგბადა, მით კმორხილებს ზეტიური მნათობია რაცა სადა...

ეს ლექსი ბარდტინსკის ასე აქვს ნათარგმნი:

„Солнце, промолвил онъ, вижу Богъ избралъ тебя свѣтиломъ,  
Которому-бы, солнца земли раболѣпно служили“.

როგორც სედავთ, არც სიტყვა „избралъ“ კთანბრება სიტყვას «დაგზადა», არც სიტყვა „раболѣпно служили“ — სიტყვას «ემორჩილებდეს»; პირიქით, კთანბრება კი არა, მკითხველს ზინდსა ჭტორის, მასან რადესაც სიტყვა «ემორჩილებდეს» პოეტის აზრსაც სწორედა ჭსატავს და მკითხველისათვისაც საამოა. «ზეციერი მნათობი» მთარგმნელს „солнца земли“ ჭტონებას. ამ სასიით რის სტრიქონში სამი ისეთი შედგომა მოსვლია, რომ მთელი ტაჰვის აზრი და სამშკინიერე გაუქარწულეობა.

ეს თარგმანი ფრად მოსწონება ბ-ნი ნ. დ—ს, რომელმაც ამ რამდენისამე წლის წინად გრცელა წერილი უძღვნა «კეფსის-ტუასსს» „Съвер. Вѣст.“-ში და პოემისე ისეთი აერში მაიტანა, თითქო განსრასკა ჭქონდა რუსთველის სახელი მიწასთან გასწორებინა.

სამ ნსკეთ ბარდტინსკის ნათარგმნი რა ღირსებისაა, და აი, ამის შესახებ რას ბრძანებს ბ-ნი ნ. დ—ი:

«რუსის მკითხველთ რომი უფრო ნათლად დანასკოთ რუსთველის პოეტური შემოქმედობას საიათი, ჩვენს კსარგებლობთ ბარდტინსკის გალექსილის თარგმანითა». ეს აღბად იმატომ მოსვლია ბ-ნი ნ. დ—ს, რომ ქართულს ენას შინ თვითონაც კერ ყოფილას საკმოდ განსწავლული, თორემ ამ თარგმანის უკარგისობას ადილად დაინსკადა. სცა ბარდტინსკის ნათარგმნი კერ მიუშელებია და თვითონ უკისრია «კეფსის-ტუასსს» სკვა-და-სსკვა ადილის გადმოლება, იქაც ქართულის ენის არცოდნა გამოუჩინა. აი, რაიოდე მკვალთიც:

გავთანდილ სჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მარტ პერანგი,  
იმღერდა და იხარებდა, წინა ედვა კრთი ჩანგი,  
შემოვიდა მის წინაშე თინათინის მონა ზანგი“... და სხვ.

ბ-ნი ნ. დ—ი ამ ტაჰვს ასე სთარგმნის:

„Тѣмъ временемъ къ Автандилу, небрежно отдыхавшему въ своей спальнѣ, тихо наигрывая на арфѣ, является рабъ, посланный Тинатиною“..... ნ. დ—ს ეს ტაჰვი ისე გაუგია, კათომ აკთან-

დილი კი არა, არამედ მონა წანგი იმღერდა და ისარქუდა და ჩანგზე-  
დაც უგრავდა, როცა თავისის მბრძანებლის წინაშე წარსდგა. რადგანაც  
უფლებს არა გვაქვს ბ-ის ნ. დ—ს რუსულის გრამატიკის არ-ცოდნა  
და დაღატი შეესწამოთ, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულში  
საკმაოდ გაჯერებული კერა ყოფილა.

მეორე მაგალითი: ლექსი

„ყმა (ავთანდილი) გარდაიჭრა, დაბა (ასმათი) ვითა კაკაბი მახესა“.

ნ. დ—ს ასე უთარგმნია: „Автандилу удалось поймать ее  
своими арканомъ“. აშკარაა, რომ ავთანდილი გადასტა და ისე შე-  
იპყრო ასმათი; ნ. დ—ს კი, რაკი სიტყვა «კაკაბი და მასუ» ამოუ-  
კითხავს, უფიქრნა, ალბად სასროლით დაიჭირა; ვერ მიმხვდა, რა  
რომ აქ შედარებაა და არა სინამდვილის გადმოცემა. იმასაც ვერ მი-  
მხვდა, რომ ავთანდილი, რომელსაც მთელს შოკეში «арканъ»-ი  
არსად უსმარია, არც შეკობრებთან ბრძოლაში, არც ქაჭკითის ცი-  
სის ადების დროს, უძღურს დედაგაცს უიმისოდაც შეიპყრობდა.  
ბ-ნი ნ. დ—ი იმ აზრის მომხრე და მოციქულია, ვითომ «ვეფხისტ-  
ყაოსანია» სპარსულის მწერლობის ნაწარმოების—«შაჰ-ნამეს» სუ-  
სტი მიბაძვას\*) და სხვა არაფერი; იქნება ის განსხვავდა, რომ «შაჰ-  
ნამე»-ში ორი გმირი, ერთი მამაკაცი და ერთი დედაგაცი, ერთმა-  
ნეთზე ცხენ-და-ცხენ მივიდნენ და რაკი ერთმანეთს ვერ დააკლეს-  
რა, მამაკაცმა დედაგაცს მარუევი თავზე გადაადგო და ისე შეი-  
პყრო. ცხენ-და-ცხენ ბრძოლის დროს ეს ადვილი წარმოსადგენია,  
სოლო ავთანდილისა და ასმათის შებრძოლებაში სრულიად საჭირო  
არ იყო. იქნება, ვამბობთ ჩვენ, ბ-ნი ნ. დ—მა «შაჰ-ნამეში» ეს აზრავა  
ამოიკითხა და რაკი «ვეფხისტყაოსანია» ამ შოკის მიბაძვა ჭკონე-  
ბია, იფიქრა—ავთანდილმაც ასმათი «арканъ»-ით შეიპყრო, რაკი  
შოკეში კაკაბი და მასუ მოსხენებული.

მესამე მაგალითი:

ტარიელი ავთანდილს ხვარაზმისს მოკვლას ასე უამბობს:

„ასსა ვუბრძანე მონასა, საომრად დაემზადენით;  
შევხედით, გავლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით,

\*) ნ. დ—მა ის არ იფიქროს, ვითომ ჩვენ უარყოფით სპარსულის მწერლო-  
ბის გავლენას ჩვენსაზე.

კარავსა შეველა, სასიძო ვითა წვა, საწმცა თქმად ენით,  
 უსისხლოდ მოკვალ იგი ყმა, თუმიცა ჭსმდა სისხლასა დენით.  
 კარვის კალთა, ჩახლართული, ჩავსკურ, ჩავაკარაბაკე,  
 ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“...

ბ-ნ ნ. დ—ს ეს ადგილი ჰოემას ასე გაუგავს:

„Заставь его спящимъ, хватаетъ (Таріалъ) его безъ даль-  
 нихъ околнностей за ноги, и чтобы „не пролить крови“  
 разбиваетъ ему голову о столбъ палатки“.

ნ. დ—ის აზრით, ტარაიელს განზრახვა ჰქონდა «უსისხლოდ»  
 მოკვლა იგი ყმა, ესე იგი რამდენადაც შესაძლებელი იყო—მსუბუ-  
 ქად დაესვა და მით ინკვიზიტორისებური გულ-მტკივნეულობა გა-  
 მოჰინა: *ut quam elementissime et citra, sanguinis effusi-  
 onem puniretur*—რაც შეიძლება მსუბუქად, უსისხლოდ დაისა-  
 ჯოს დამნაშავეო. ისე გამოდის, თითქო, ტარაიელის აზრით, «სუ-  
 ტრე თავის შეტაკება» უფრო მსუბუქი სასჯელია. პირიქით, ტა-  
 რაიელმა თუ სვეტსე ტვინი მიასსმეინა, იმატომ რომ ასე ემარ-  
 ვებოდა და წინასწარ განზრახული არა ჰქონდა—უსისხლოდ მო-  
 კვლა «იგი ყმა». ის სასჯელი, რომელიც სკანდინავიის მთაყენს, ტარა-  
 იელის აზრით, იმდენად მძიმე და სამაგელია, რომ «ზარმცა თქმად  
 ენით», სოლო «სასხლის დენით» მოკვლა, ალბად სელ-და-სელ  
 შეჭიდების დროს, ტარაიელისავე აზრით, ვაჟაყვანთავის უფრო შე-  
 საფერი იქნებოდაო. ტარაიელი ისე მოაქცა, როგორც ნესტანისჯან  
 ჰქონდა ნაბრძანები:

დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად;  
 რა მოვიდეს, სიძე მოჰკალ, მათთა სპათა აუწყებულად“.

ტარაიელს რომ «სისხლის დენით» მოკვლა ნდომოდა სასიძო-  
 სი და საბრლო სკანდინავიის ბრძოლად გამოეწვია, უსათუოდ იმისი  
 სპაც უნდა აეწვეიტნა და ამას სომ აუჯებელი უბედურობა მოჰყვე-  
 ბოდა. ეგ შენიშვნა რომ წკრილმანობად არ ჩამოგუართვან, უნდა  
 ვთქვათ, რომ ასეთს თუ ისეთს განმარტებას ზემოდ ამოწერილ ლე-  
 ქსებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ტარაიელის ბუნებასა და სასია-  
 თის გამოსარკვევად. ვიმეორებთ, ტარაიელს წინასწარ სრულიად გან-

ზრასული არ ჰქონდა სსსიძო «უსისხლოდ» მოკვდა და თუ «სისხლის დენას» «სვეტზე თავის შეტაკება» არისა, იმატომ რომ ასე ეპარჰეობოდა, ასე რომ არა, — უსათუოდ «სისხლის დენას» არსეკედა: «თუძმა ჰხმდა სისხლისა დენით»-ო.

შეოთხე. სატაკელთა და ტარიელის ომის შესახებ ნ. დ—ი ბრძანებს:

„Китайское войско, какъ у Руставели, такъ и въ Шахъ-Наме, прикрываетъ свои движенія тайственнымъ „дымомъ“ или туманомъ, который, какъ объясняетъ Фирдуси, производится при помощи волшебства дэвовъ, служившихъ въ рядахъ китайскихъ войскъ. Замѣчательно однако, что, занимая всѣ эти детали у персидскихъ поэтовъ, Руставели нигдѣ не пытается объяснить ихъ, а приклеиваетъ ихъ чисто внѣшнимъ образомъ къ сюжету своей поэмы, дорожа одной ихъ сказочной оболочкой, тогда какъ тотъ глубокій внутренній смыслъ, который присуиъ имъ у иранскихъ поэтовъ, повидимому остается для него совсѣмъ непонятнымъ“. კვამლი, რომელიც სატაკელთა ჯარში გამოჩნდა, რაღაც დიდი საიდუმლოებაა, რუსთაკელს იმისი მნიშვნელობა კერ გაუგია და შექანიურად ჩაუთავს თავისს პოემაში; ეს წვრილმანები სპარსუთის პოეტებისაგან აქვს ნასესხები და იმათი მნიშვნელობა კი არ ესმისო. ესლა ენასოთ, მართალსა ბრძანებს ბ-ნი ნ. დ—ი, თუ არა და იმ «კვამლს» რა მნიშვნელობა აქვს. სატაკეთში გიღაცა კაცი გამოჩნდა ტარიელის მამის, სარდალის, «განსზარდი». ამ კაცს შეუტყვია, რომ რამაზ შეფე, რომელმაც ტარიელის წინაშე კაცი წაჩვსავნა და შენდობა სთხოვა, ტარიელს შეტყუებას და ღაღატს უპირებს; აი ეს კაცი ეუბნება ტარიელს:

მეფე ცოტად მოგეგების, ვის მჭვრეტნი ვერ გელევიან,  
მალვით ჩაიცმენ აბჯარსა, მიენდო, ვით გეთნევიან,  
კვამლსა შეიქმნენ ლაშქარნი, ყოველგნით მოგებვევიან,  
შენ ერთსა გცემენ ათასნი, ვერუმცა მოგერევიან.

ამ სახით, ტარიელი გაუფრთხილებათ, სოლო ჯერ-ჯერობით იმ «კვამლის» მნიშვნელობა ცხადი არ არის. რამაზმა ტარიელს მო-



ციქული გამოუგზავნა და ტარიელმა მოღალატე მეფეს მუქარა შეუთვალა. ტარიელ ამბობს:

„რა მივიდა მოციქული, კვლამცა რადღა გამოგზავნეს,—  
კვამლი შექმნეს ლაშქართათვის, დამალული გაამჟღავნეს,  
სამალავით გამოვიდნენ, თავნი ორგნით აქარავენს,  
შექმნეს რაზმი მრავალკაცი, თუმცა, ღმერთო, ვერა მავნეს“.

ვუკრ სარდიანის განაზარდმა გაფრთხილა ტარიელ: «კვამლ-  
სა შეიქმნეს ლაშქარნი, ყოველებით მოგესკვიანო» და შეძებ კვამ-  
ლი რამ შექმნეს ლაშქართათვის, დამალული გაამჟღავნეს, სამალავით  
გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავენს. რაკი ამ კვალზე ლაშქარი  
სამალავით გამოვიდა, აშკარაა, «კვამლი» სიგნალი ყოფილა. მასსა-  
დაძე ეს წერილმანი შექანიერად გი არ არის ჩართული ჰოქამში,  
არამედ იმისი მნიშვნელობა ჰოქტს კარგად სმენია და, საცა საჭი-  
რო იყო, იქ ჩაურთავს.

იმ აზრს, ვითომ რუსთაველი ყოველს წერილმანს სპარსეთის  
ჰოქშიიდან სესხულობდა და სპარსეთის ჰოქტებს თვალუბნამოფა-  
რებული უწვდიდა სელს, ბ-ნი ნ. დ—ი მეტის-მეტად გაუტანინა.

აი, მკვლითად, ავთანდილის შესახებ რას ამბობს:

„Руставели въ роли Сеяда, знаменитаго охотника, пома-  
гавшаго Кансу похитить возлюбленную, выводитъ Автан-  
дила, также знаменитаго охотника“. სხსს, ბ-ნი ნ. დ—ს  
უფიქრია, რომ რუსთველი კერძო სტილითა ლექსი-მეყენის ავტო-  
რის ნიზამის გავლენას და ამიტომ ავთანდილი სამკვლითო მონა-  
დირად დაუსახავსო. კაისიც, რომელიც ცდილობს ლეილა მოიტა-  
ნოს და ავთანდილი, რომელიც ნესტან-დარეჯანს დაემბეს, ორივე  
შესანიშნავი მონადირეა და რაკი ლექსი-მეყენი წინადაზრის დაწე-  
რილი, რუსთველმაც საჭიროდ დაინახა ავთანდილის მონადირედ და-  
სახავსო. ის კი დავიწყებია, რომ რუსთველის გმირები ყველა შესა-  
ნიშნავი მონადირეა: ავთანდილიც, როსტომიც მეფეც, ტარიელიც,  
ფრიდონიც, ფარსადანიც და რომ ყოველად შეუძლებელია სპარსული-  
სა და ქართულის ჰოქმის იმ დროინდელი გმირები მონადირეები  
არ ყოფილიყვნენ.

ისე ვეკონას, ბ-ნს ნ. დ — ს „ეკუფს-ს-ტუალსანი“ სერიანად არც კი წაუკითხავს; კიდევაც რომ წაუკითხა, ბეერი არა გამოკიდობდა-რა, რადგანაც ქართულის სერიანად გაგება არ შესაძლებელია. ეს რომ ლიტონი სიტყვა არ არის, აა ამის საბუთიც. ნ. დ — ი ბრძანებს: ტარიელი

„Сначала (ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ) ѣдет въ Аравію, гдѣ пируютъ на свадьбѣ Автандила и Тиватины, а затѣмъ подѣ охраной войскъ, любезно предложенныхъ Автандиломъ, Таріэль съ своею невѣстой возвращается въ Индію, завоевываетъ себѣ престолъ, сочетается бракомъ съ Нестанъ-Дареджаной и живетъ счастливо до самой смерти“...

ნ. დ — ს სიტყვიდანა სხანს, კითხვით ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ ტარიელი არაბუას წავიდა, საცა ავთანდილის და თინათინის ქორწილი გადაიხადეს, მერმედ ტარიელი და ნესტანი ინდოეთს ბრუნდებიან; კიდევ შემდეგ ტარიელმა ტახტი დაიპყრო და სულ ბოლოს კი იქორწინა. ნამდვილად კი საქმე ასე არა ყოფილა. „ეკუფსის-ტუალსანი“ რომ სერიანად წაკითხა ნ. დ — ს, შეიტყოდა, რომ ციხის აღების შემდეგ ზღვათა მეყვისს მივიდნენ, მერმედ ფრიდონასს, საცა ქორწილი გადაიხადეს, კიდევ შემდეგ — ქებას მივიდნენ და აქედან არაბეთს გაემგზავრნენ, საცა ავთანდილი და თინათინი დაქორწინეს და სულ ბოლოს ინდოეთს წამოვიდნენ.

იქნება კინემი იფიქროს, ეც შეცდომას მეტად წვრილმანია და ბეერად არა ღიარო. არა, არც ისე წვრილმანია და თავისი მნიშვნელობაც აქვს. განა ტარიელი, რომელიც თავისს მიჰყურის; რამდენსაჲ წელიწადს დაეძებს და ამ ძეხნაში ცრემლისა და სისხლის ზღვასა ჭღერის, თავისი საწადელი რომ მიჰსკვდა, ქორწინებას აყოენებს; ინდოეთში დაბრუნებამდე, ხოლო სსვის ქორწილში კი ქეაფს ეწევა? ისე უნდა მომხდარიყო და კიდევაც ისე მოხდა, რომ ტარიელმა შირველის შემთხვევისათნაჲ იქორწინა და მით თავისი დიდის ხნის სურვილი შეისრულა. ასე რომ არ მოჭკუულიყო, მისი ცრემლისა და სისხლის ღრწა ტყეელი იქნებოდა და ჰოეტაც ადამიანის სასიათის და ბუნებას არ-ცოდნას გამოიჩენდა. ბ-ნ ნ. დ — ს ნაწერში სხვა წვრილმანებიც ბეერია, მაგრამ, რაც მოვიხსენიეთ, მისი დაჯერდეთ.

«ვეფსის-ტეაოსის» სსკებზე უფრო გულ-დასმით პატივცემული გულაგი მოკვიდა. ამ მწერალმა ბუკნი შრომა ღ. დრო შესწირა ქართულის ენის შესწავლას და «ვეფსის-ტეაოსის» კრიტიკას, მაგრამ თვალსაჩინო შეცდომა თავიდან მანაც ვერ აიცილნა. აი, რაიოდე მაგალითიც.

ტარეელი უამბობს ავთანდილს:

„რახომსაც ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,  
გავეგულისდი, მოვიქნივე, ვკარ, მიწასა დავაწყვიდე;  
მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკვიდე..“

სიტყვას «წავეკვიდე» ბ-ნი გულაგი სთარგმნის «схватить руку», ესე იგი, სელი ჩაეკვიდე; ცოცხლას ენის არ მტოდნე კაცს «წავეკვიდე» და «მოკვიდე» ვერ გაუჩხვია. სომ გასსოვთ, მკითხველო, რა აზრით ჭსმარობს რუსთაველი სიტყვას «ეუკანი».

წავიკითხავ, სიყვარულსა მოციქულნი რავგარ სწერენ,  
ვით იტყვიან, ვით აქებენ, ჰსცან, ცნობანი მიადგერენ,  
სიყვარული აგვამალღებს, ვით ეყვანნი ამას უღერენ,  
შენ არ ჰჯერხარ, უსწავლელნი კაცი რამცა შევაჯერენ.

სიტყვა «ეუკანი» трещотка-დ აქვს სთარგმნი, ესე იგი, სარაკუნებელი; რა თქმა უნდა, ამ ორმა სიტყვამ სულ სსკა-და-სსკა ზედ-მოქმედება უნდა იქონიოს მკითხველის გონებაზე: ეუკნის სმა სმენასათვის საამოა, трещотка-სი გი სრულადაც არა. სიტყვა «ეუკანი» უფრო დასლრკებით აქვს სთარგმნი ბ-ნ ს. დ—ს (бубенчик). «ბუბენიკი» არც ისე ახლოა ეუკანზე, სოლო «უღერა» და звенять ერთმანეთზე გადევ უფრო შორს არიან; ამატომ უფიქრნია: რუსთაველი „очень неловко отзывается отъ апостолахъ“ (Нов. Обзор. № 2043—1889 г.); აქედან ის დაუსკნია, რომ «ვეფსის-ტეაოსის» ქრისტიანობისა არა ამხნეია-რაღ.

მუთიე და სუტნერაც უნდა მოგვესსენებინა, მაგრამ; რაკი წერილი ძალიან გაგრძელდა, სჯობს აქვე შეაწყვიტოთ.

# შინაური მიმოხილვა

## მიწად-მოქმედების მინისტრის მოგზაურობა

მმართველი ძალის გადატანა ტფილისიდან პეტერბურგს. — რა უნდა გვექნა, როცა ეს ცვლილება მოხდა? — წარმომადგენლობის საჭიროება. — მმართველობის მეთაურების მოგზაურობა. — მისი სიკეთე და მნიშვნელობა. — ახალი სამინისტრო. — რა იმედი აქვს ძისი რუსეთს. — ჩვენი მზადება ბ-ნ ერომოლოვის დასახვედრად. — ახალი ხასიათი მეთაურების დანიშვნისა. — რა საფუძველზე უნდა ვაშენებდეთ შუამავლობას ახალ მეთაურების წინაშე? — აღმოსავლეთის კავკასია და მისი მივიწყება. — მისი ველი და უღაბნობები.

წინა თვეში საზოგადო ჩვენი ყურადღება მიიქცია მიწად-მოქმედების მინისტრის ჩვენკენ გამოგზავრებამ. ყველგან დიდი იმედები გააღვიძა მისმა მოგზაურობამ. უწინ, სანამ კავკასიას ცალკე მთავარ-მმართველი ჰყავდა (ნამესტნიკი), რომელსაც თითქმის ყველა საქმეების საბოლოოდ გადაწყვეტა შეეძლო, მინისტრების მოსვლას ჩვენში როდი ჰქონდა იმისთანა მნიშვნელობა, როგორც ესლა მიეცა. მათი მოსვლა მაშინ არც ისე საჭირო იყო. ნამესტნიკობის მოსპობის შემდეგ (1883 წ.) მმართველობის სრული ძალა ტფილისიდან პეტერბურგს გადავიდა. მას შემდეგ ვერც ერთი ცოტაოდნად მაინც მნიშვნელოვანი საქმე ანუ საშიშრო საგანი ისე ვეღარ გადაწყდება და დაბოლოვდება, თუ პეტერბურგს არ გაიგზავნა. იქ მათი საბოლოო და დაუშლელი გადაწყვეტა სხვა-და-სხვა დებარტამენტსა თუ სამინისტროზეა დამოკიდებული. ამათთვის, რასაკვირველია, დიდად საძნელოა იმ სიშორედან განსჯა ჩვენის საქმეებისა და

მდგომარეობისა, მით უფრო, რომ საკმაოდ არ იცნობენ ჩვენს მხარეს და მისს გარემოებას. ამ მდგომარეობაში იძულებულნი არიან ორში ერთი აირჩიონ. ან დაენდონ აქედან წადგენილს აზრს და მაშინაღუთად ამტკიცონ ყველაფერი, რაც კი მიუვათ, ანა-და ადგილობრივი გარემოების გამოუტყველვებად და მიუხედავად სწყვიტონ საქმე წარა-მარად. ორსავე შემთხვევაში მათი როლი საქმელოც უნდა იყოს და საზიანოც. ამ მდგომარეობაში უმაღლესი მთავრობა დიდხანს ვერ დარჩებოდა. ყოველს წუთს თვალ-წინ უდგას აუცილებელი საჭიროება, უფრო დაახლოვებით გაიკნოს ის მხარე, საიდანაც ასე ხშირად მისდის გადასაწყვეტად ამოდენა გაუგებარი, თუ თავისებური საქმეები. ამიტომაც თან-და-თან უფრო-და-უფრო ხშირად ვხვდებით ჩვენს ქვეყანაში სხვა-და-სხვა უწყებათა უმაღლესს წარმომადგენელთ, რომელნიც მოდიან ჩვენში საქმის ადგილობრივად გასაჩხრეკად. მათ ჰსურთ საკუთარის თვალთ ჰნახონ და გაჰზომონ აქაური გარემოება და მდგომარეობა...

ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ეს დიდი ბედნიერებაა. რაც უფრო ახლო გაგვიცნობენ და შეგვისწავლიან ჩვენი მმართველები, მით უმჯობესია ჩვენთვის; მით უფრო გონიერად და სამართლიანად, მით უფრო თვალ-ახელით წაიყვანენ მერმე ჩვენს საქმეებს, რომლის ბედი და უბედობა ამჟამად სრულს მათს უფლებასა... ჩვენი ერი რომ უფრო განათლებული იყოს, ამდენ ხანსაც იმას კი არ მოუტლიდა, რომ თვით მმართველებს მოენდომნათ აქაურობის გაცნობა: თვითონვე ეცდებოდა მათთვის თავი გაეცნო და თვისი მდგომარეობა დაენახებინა. გადავიდა თუ არა ჩვენგან ჩრდილოეთისკენ მმართველობის ძალა—მაშინვე თან უნდა გაგვეყოლებინა ჩვენი სიმართლის დე ინტერესების მუღმივი წარმომადგენელი, გამომთქმელი და დამცველი ორგანოები. უამისოდ ჩვენ ვერ ვივარგებთ, ვერ გავძლებთ. მთავრობის მოქმედება და მიმართულება რუსეთში, როგორც ყოველს განათლების გზაზე დამდგარს სახელმწიფოში, არ შეიძლება ცოტაოდნად მაინც არ მიჰყვებოდეს საზოგადო აზრის და შეხედულობის მსვლელობას. რაც უფრო განვითარებულია

ქვეყანა, მით უფრო უდიდესი გავლენა აქვს მის მმართველობაზე მისი ერის რწმენას და მოაზრებობას. ვისაც ჰსურს, რომ მთავრობის მოქმედება ხელს უწყობდეს ჩვენს ინტერესებს, ან მათს ზრდას ხელს მაინც უშლიდეს, ის უნდა მიხვდეს, რომ ამისთვის ყოველად საჭიროა მმართველობას, და უფრო საზოგადოებას, გაეაგებინოთ, დაეჯერებინოთ, დავამახსოვრებინოთ ჩვენი სიმართლე, სისწორე და სიკეთე. ცარიელის ფრანგებით კი არ უნდა ვიცავდეთ ჩვენს სარგებლობას, არამედ საქმით, ყველა აქაურის ანგარიშის ჩამოთვლით და გამოაშკარავებით, აქაურ გარემოებათა განათებით, გაჩხრეკით და დალაგებით. როგორც მაღაფანი, რომელიც ამდენს ადამიანს გონებას უხიბლავს, ქვეყანაზე სრულიად არსად არ არსებობს და მარტო ცარიელი წარმოდგენაა, რადგანაც ის მხოლოდ იმ გროშებიდან და მანათებიდან შედგება, როგორც ჩვენც გვაბღია მილიონებით, სწორედ ისრევე მთავრობის „მომართულებაც“ იმ ათასისა და ათი ათასის გადაწყვეტილებიდან გროვდება, რომელთაც მმართველები სხვა-და-სხვა საქმეების განხილვის დროს ადგენენ ხოლმე. თვითვე ამ საქმის ახსნა, დაცვა, გადარჩენა, გამოკეთება შეუძლებელი არ არის ჩვენთვის. ყველამ იცის, რომ როცა კი ვამტყვალავთ რომელისამე კერძო თუნდ საზოგადო საქმისათვის, ის საქმე თითქმის ყოველთვის, ჩვენის სურვილისამებრ დაბოლოვდა კიდევ. რამდენჯელაც ვიმეცადინეთ; თითქმის იმდენჯერვე ასე იყო. ყოველთვის, ნიადაგ, შეუწყვეტლად რომ ვმეცადინებდეთ, შეიძლება ყველა ჩვენის საქმის გადაწყვეტას დაღი დაესვას, ჩვენი იერი მიეცეს...

რაკი ჩვენ არ მივეკარეთ მთას, თვითონ ის მოგვიახლოვდა. სხვა-და-სხვა უწყების მეთაურები თან-და-თან უფრო-და-უფრო ხშირად მოდიან ჩვენში სტუმრად. უმთავრესი და საზოგადო თვისება მათის მოგზაურობისა ის ვახლავთ, რომ ისინი, თითქმის ყოველთვის, მოდიან პეტერბურგიდან იქაურ გაზეთებში ატეხილის ბლავილის წყალობით, ვითომდა კაკასიაში საშინელი უწყსოება არსებობსო. რუსულმა გაზეთებმა, დაახლოვებით კი არა, სრულიად არ იციან, თუ რაში მდგომარეობს და სად მო-

იძიება ეს ჩვენის ქვეყნის უწესოება. ამიტომაც ჰთხზავენ ხოლმე სხვა-და-სხვა „საზარელ ზღაპრებს“, აიო-და, კავკასიაში რუსებს სდევნიანო, რუსებს როდი ასახლებენო, რუსებს სჩაგრავენო და სხვ. და სხვ. იმის მაგიერ, რომ რიგიანად და მიუკერძოვლად გამოსაზონ აქაური ნამდვილი მდგომარეობა, აქაურის ნაკლისა და უწესოების დაუშალავად, ისინი ზღაპრებსა ჰთხზავენ. სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომადგენლები მოთმინებულან გამოდიან ხოლმე, ამ სამწუხარო ამბებს ჩვენი კავკასიელი ხელქვეითები რად გვიმალოვენო, და მოემგზავრებიან ჩვენსკენ, საქმის „საკუთარის თვლით“ საკლევად. მოდიან პეტერბურგიდან, რასაკვირველია, იმ სურვილით გამსჭვად უღები, რომ რუსეთის ინტერესები ზღირსება დაიკან, აღადგინონ, დაამკვიდრონ, მათი მტრები კი სამუდამოდ დაამხონ და შემუსრონ. დაადგენ თუ არა ფეხს კავკასიის მიწას, მაშინვე გულწრფელად აცხადებენ, რისთვისაც მოგვლითო: „რუსეთის ღირსებასა და სარგებლობას არავის დეაჩავგრინებთო!“ მერმე მიჰყვებიან და იწყებენ ძებნას, თუ სად დაჩაგრულა ეს საგნები, ეძებენ მხურვალე გულით, დაუღალავად, კიდიო-კიდემდე, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ვერ პოულობენ. რაც უფრო-და-უფრო ახლო აკვირდებიან საქმეს და გარემოებას, მით თან-და-თან უღრმესად რწმუნდებიან, რომ რუსეთის ღირსება და სარგებლობა კავკასიაში მარტო წესის და სიმართლის დამყარებაა, მარტო სამართლიანობის დაცვაა. რუსულ გაზეთების ზღაპრებისაგან დადგენილი წარმოდგენა, ვითომ კავკასია წინააღმდეგეებითაა გატენილი, ვითომ მისნი მკვიდრნი მტრულის გრძნობით არიან გამსჭვალულნიო, ნელ-ნელა ნისლივით იფანტება და ადგილს აძლევს სულ წინააღმდეგ მოაზრებას. მუქარის სიტყვების მაგიერ მალე მოისმის დამშვიდებულნი, დაწყნარებული მუსაიფი. რაც უფრო გრძელდება მოგზაურობა, რაც უფრო აკვირდება ამისთანა უფლება-ძოსილი კაცი ქვეყანას, მით უძლიერესია ეს ცვლილება. ბოლოს საქმე მით თავდება, რომ სრეკარულის გრძნობაც გამოითქმის ხოლმე იმ სიმებზე, რომელნიც სულ სხვა განზრახვით იყო მომართული თავდაპირველად...



მართალია, ეს სურათი, შეიძლება, ერთობ დასანდობი არ იყოს: უცები ცვლილება ფესვს ყოველთვის როდი იკეთებს... დილაღ უფრო სანდო და სახეირო იქნებოდა საქმე, ჩვენი გაცნობა ბევრად უფრო მკვიდრი ან საფუძვლიანი რომ იყოს, ვინემ ის გაცნობა, რომელიც ორიოდე დღის ან კვირის განმავლობაში მოხერხდება, ამხელა ქვეყნის გადათვლიერების დროს... მაგრამ, რაგინდ ნაკლულევენება ჰქონდეს ამ ფრენით გადათვლიერებას, სულ არარაობას ისიც სჯობია. ცოტაოდნად მაინც მოეფინება სინათლე იმ სიბნელეს, რომელიც უშაღლეს მთაერობას ჩვენს ნამდვილს მდგომარეობას და გასაქირს უშაღავს; ცოტაოდნად მაინც რეალურად წარმოუდგებათ თვალ-წინ იმათ, ვისაც ჩვენის საქმეების გადაწყვეტა აბარიათ, თუ რაში მდგომარეობს ამ საქმეების ხასიათი და საიდუშლო. ცოტაოდნად მაინც გამჩაველდება მათი ცოდნა და ცნობა ჩვენის გარემოებისა... ნურავინ იფიქრებს, ვითომ ადამიანის სიავისაგან სწარმოებდეს ქვეყანაზე უწყესობა და უსამართლობა. ეს ბევრად უფრო უცოდინარობის, მიუფნებლობის, გამოუცდებლობის ბრალია, თუ ყოველთვის არა, ძლიერ ხშირად მაინც. ამიტომაც გულ-წრფელად უნდა გვიხაროდეს, როცა ვამჩნევთ მმართველობის მეთაურებს ჩვენის ქვეყნის გაცნობის წადილს. ჩვენთან მათი მოსვლა, ჩვენი გარემოების მათგან გაგება დიდ სიკეთედ უნდა ჩათვალოს კაცმა, რასაკვირველია, თუ, ჩვენც; ჩვენის მხრით, რიგინად ვისარგებლებთ ამ ერთის იშვიათის შემთხვევებითა და მათ გამოყენებას ჩვენდა სასარგებლოდ მოვახერხებთ... თავისთავად მმართველობის მეთაურები ამ მოგზაურობის დროს ყველაფერს ხომ ვერ დაინახავენ და შეისწავლიან: ისინიც ადამიანები არიან, და არა გულთმისნები. იმას დააკვირდებიან და გაიცნობენ, რასაც მხლებლები თუ მკვიდრნი აჩვენებენ და აუხსნიან, მეტს არაფერს. დანარჩენი ყველაფერი მათ თვალ-წინ გაირბენს, ამ აჩქარებულ ფრენის დროს ისე, როგორც ვაგონში მჯდომ მოგზაურის თვალში არე-მარე გარბის ხოლმე...

ამ საზოგადო შენიშვნებს შემდეგ შეიძლება პირდაპირ გადავიდეთ მიწად-მოქმედების მინისტრის, ბ-ნ ერმოლოვის მოგზაურობაზე. ეს სამინისტრო ახლად დაარსებულია რუსეთში. იმ შემთხვევის შემდეგ, რომელმაც 1891-ში თითქმის ნახევარი რუსეთი დაალონა, მთავრობა ხალხისა და მიწად-მოქმედების მდგომარეობას დაუყვირდა, შემშალაობის მიზეზის გამოსაკვლევად. აღმოჩნდა, რასაკვირველია, რომ რუსეთში მიწად-მოქმედება იმავე ყრუ მდგომარეობაშია, როგორშიაც ნოეს დროს ყოფილა. იარაღიც მაშინდელი, ცოდნაც, მოწყობილებაც და გასატანი გზა თუ საშუალება. რუსეთის ევროპიელ მეზობლებს კი მიწად-მოქმედება, ეხლანდელ მეცნიერების დახმარებით, უმაღლესს წარმატებამდე აუყვანიათ. აქედან ყველასთვის ნათლად გამოჩნდა საჭიროება ისეთი ახლის დაწესებულების ან სამინისტროს დაარსებისა რუსეთში, რომელსაც მიწად-მოქმედების ამოღება და დაწინაურება შეეძლოს. ამ განზრახვით დაარსეს სრულიად ახალი „მიწად-მოქმედების სამინისტრო“, რომელიც ჩაჰბარდა ბ-ნ ერმოლოვს, ნასწავლს აგრონომს და სახელოვნანს გამოცდილს მეურნეს. მისის პლანით შესდგა ახალი სამინისტროს სხვა-და-სხვა დაწესებულებას შუა საქმის განაწილება. განსაკუთრებული განსხვავება ამ სამინისტროსი ის არის, რომ ამერიკის დაწესებულებათა ხასიათი მიეცა. ბ-ნმა ერმოლოვმა თავის სამინისტროში, ამერიკის მიხედვით, იმდენი ცალკე „ბიურო“ დააარსა, რამდენიც სხვა-და-სხვა სპეციალური მეცნიერებაა მიწად-მოქმედებისათვის გამოსადგეი. ერთი ბიურო ჰკრებს და აგროვებს ცნობებს; შესახებ სასარგებლო და მავნე ხოჭო-მწერებისა, მკორე—ტყის მოშენებისა, მესამე—მოსავლ ის რაოდენობისა, მეოთხე—პირუტყვის კირისა, მეხუთე—ღვინის მოვლისა და სხვ. და სხვ... ყოველ ბიუროში საკმაო რიცხვი სპეციალისტებისა ჰმსახურებს. მათი დანიშნულებაა—თვალ-ყური ადევნონ ნიადაგ ერთის მხრით მეცნიერებას, და მეორეთი—რუსეთის თუ უცხოეთის მიწად-მოქმედებას. როგორც მინისტრს, ისე ყოველ მსურველს აქ მუდამ უნდა შეეძლოს მოიკითხოს და მოისმინოს უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და

ნამდვილი ცნობა გამოცდილებისა ყველაფრის შესახებ, რაც კი მიწად-მოქმედებისათვის საგულისხმოა. ერთის სიტყვით, ბ-ნ ერმოლოვის გეგმით მისი ახალი სამინისტრო მშვენიერი, რთული და სრული *справочное бюро* იქნება მიწად-მოქმედებისთვის. თუ მინისტრს და მის თანამშრომლებს, რომელთა დანიშნულებაც მართვა და გადაწყვეტა საქმეებისა, ამისთანა მეცნიერი მომხსენებლები და მასალები მიეცემათ, იმედია, მათ ხელში აწი საქმე ისე სწრაფად, სამართლიანად და რიგიანად წავა, როგორც ამერიკაში მიდის თურმე...

ახალის მინისტრის დანიშვნა რუსეთის მიწად-მოქმედებას ჯერ არ დასტყობია, რადგანაც აქამდინ სულ უფრო სამინისტროს შრომის განაწილებას და გეგმის შესწავლას თუ შედგენას უნდებოდა. მაინც მთელი რუსეთი დიდს სიკეთეს გამოელის ბ-ნ ერმოლოვისა და მის ახალ სამინისტროსაგან. საერთო იმედი ნამდვალ საკიროებაზეა დამყარებული. მართლაც, ყოვლად უეჭვო და აუცილებლად გადაუღებელია მიწად-მოქმედების განკარგება და ამაღლება იმდენადვე, რამდენადაც დღეს ეს საქმე ევროპაშია წარმატებული. რით, როგორის საშუალებით, რა საიდუმლოებით მოახერხებს ახალი მინისტრი ამ სასწაულს,—ეს ადვილი მისახლოვია ყველასთვის, ვინც კი მეცნიერებაში ცოტაოდნად მაინც განვითარებულია: რუსეთის მიწად-მოქმედს მარტო ის ღონისძიებანი ამაღლებს, რომლის შემწეობითაც აღყვავდა ევროპისა და ამერიკის მიწად-მოქმედება. ამ ღონისძიებათა ჩამოთვლა ჩვენთვის აქ მით უფრო უადგილო იქნება, რომ ერთხელ—დიდი ხანი როდია—კიდევ ავასრულეთ ეს მოვალეობა, „მოამბის“ მეექვსე წიგნის იმ „შინაურ მიმოხილვაში“, რომელსაც სათაურად „გამარჯვება გვავალებს“ ჰქონდა. მარტო აზრის განუწყვეტლობისთვის ვაფასებებთ მკითხველს, რომ ევროპიელ მთავრობათ თავიანთ მიწად-მოქმედების ამაღლება ორის უმთავრესის ღონისძიებით მოუხერხებიათ: მკვლევართა ჩვენებისა და გზის გახსნით, ჭირბანხულის გადატან-გადმოტანას გადავადებთ.

ბ-ნს ერმოლოვს ამ პროგრამიდან მარტო პირველი ნაწილის ასრულება შეუძლიან, რადგანაც მეორე მხარე, გზის გა-

ხსნა და გადავიღება ჭირნახულის აქეთ-იქით წადებისა ორსხვა სამინისტროს შეგება, და არა მის სამინისტროს. მისდა თავად, მაგიერად, ბ-ნი ერმოლოვი მტკიცედ დასდგომია ევროპისა და ამერიკის მაგალითს. ახალი მინისტრი აპირობს მოჰყინოს რუსეთი იმავე სამაგალითო ყანებით, იმავე იარაღისა და თესლეულობის დებოებით, იმავე საუკეთესო მოდგმის პირუტყვებით, როგორც ევროპიელმა ამა თუ იმ მთავრობამ გამდიდრა თვისის ქვეყნის მეურნეობა, გაამრავლა მისი ხეავი და თან მეცნიერებას პირდაპირი გავლენა მოუბოვა მთელს ერზე, თვით უკანასკნელ და უმეცარ გლეხზედაც კი...

როცა ბ-ნი ერმოლოვის გამომგზავრება გაიგეს ჩვენში, დიდი მოძრაობა ატყდა მოწინავე საზოგადოებაში იმის შესახებ თუ „რა და რა ვთხოვოთ მინისტრსაო“. ესეც ევროპიელთ ეხლანდელის ცხოვრების ჩვეულებაა მინისტრის შეგება, მის წინაშე ქვეყნის საჭიროების თუ სურვილის ნათლად გამოთენა, და მათ დასაკმაყოფილებლად შესაფერი ღონისძიების დასახელება. ევროპაში მინისტრი მოისმენს ხოლმე ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლების აზრს და სურვილს, და პასუხად თავისს საკუთარს შეხედულებას გამოსთქვამს: ამა და ამ მუხლის შესრულება შეგე-ძლიან, სხვებისა—ჯერ სულ არაო, ჩემის აზრით, ისე კი არ არის საქმე, ასეაო და სხვ. და სხვ. ჩვენი საზოგადოება თითქო ჰგრძნობდა, რომ ბ-ნი ერმოლოვი, როგორც ამას წინად წინანდელმა ფინანსთ-მინისტრმა, ბ-ნმა ვიშნეგრადსკიმ, ჰქნა, ჩვენში სწორედ ისე დაიკავებდა თავს, როგორც ევროპიელი მინისტრი: აქაურ შეხედულებას და სურვილს ყურს დაუდებდა, მათ საფუძველს გამოგვეკითხავდა, და თავისს შეხედულებასაც გავვაცნობდა. ამის შესაფერად ჩვენი საზოგადოებაც დამარავდა წინ-და-წინ, თვისის საჭიროებისა და სურვილის შესათანხმებლად. ყველაზე უფრო საფუძველიანად ქუთაისში მოიქცნენ, საცა რამდენისამე თვის წინად ცალკე კომისია შეადგინეს საქმის შესასწავლად, ცნობების და საფუძვლების შესაგროვებლად და სურვილის გამოსათქმელად. ამ კომისიამ ჯეროვანად შეასრულა თავისი დანიშნულება, და მის-

მა ქუთაისში წარდგენილმა მოხსენებამ მეტის-მეტად გავლენა იქონია მინისტრზე. მტკიცედ და გონივრულად დასაბუთებულ იყო ეს მოხსენება, რომლის თაობაზე მინისტრმა ქუთათლებს პირდაპირი სატყვეც მისცა, შევასრულებ ყველა თქვენს სურვილს, რაშოდენადაც კი ჩემის სამინისტროს უფლება მაგის ნებას მომცემსო. როგორც შეეფერება ყოველს მტკიცე ადამიანს, ბ-ნი ერმოლოვი როდი ჰფარავს, რომ ბევრ შემთხვევაში ან უფლება ან სახსარი აკლია თვისის სურვილის განხორციელებისა...

ყოველგან კი ასე არ ყოფილა. ზოგან ჯერაც ვერ გავუგიათ, თუ რა ცვლილება მოხდა რუსეთში ამ უკანასკნელ ხანს, შესახებ მეთაურების დანიშნვისა. ამას წინაღობა მინისტრებად ყოველთვის დიდად-დამსახურებული ღენერლები ან ჩინოვნიკები ინიშნებოდნენ, სახელმწიფო სამსახურში გამოაზრდილი და დაბერებულები. თავის მოვალეობას ისინი სწორედ ისე ასრულებდნენ, როგორც მათი წინამოადგილენი, იმავე გზით, აზრით და მიმართულებით. უწინ, სანამ ცხოვრება ერთფეროვანი იყო; ამ წესს დიდი ვნება როდი შეეძლო... მაგრამ ამ უკანასკნელ ოც და ათი წლის განმავლობაში რუსეთი ახალ ცხოვრებას გზას დაადგა. ტენიკამ, წარმოებამ, ალებ-მიცემობამ, შენობამ, გზის-საქმემ, ერთის სიტყვით, ცხოვრების თითქმის ყველა კერძობამ ფერი იცვალა და სამეცნიერო ხასიათი მიიღო. დღეს ჩინოვნიკური ზრდა და გამოცდილება როდელია ჰყოფნის კაცს, ამ ახალ საქმეთა მართვაში. ცხოვრება ისე რთული, ისე გაბარდული, ისე მეცნიერი შეიქმნა, რომ უბრალო ჩინოვნიკმა ვერათუ ვეღარ უწინამძღვრა, გზა და კვალიც ვეღარ გაუგო. გაოსტატებულმა ვაჭარმა, თუ ფინანსისტებმა, თუ ინჟინრებმა ისე დარიეს და დახლართეს საქმეები, რომ ხაზინა და სახელმწიფო ააოხრეს, უარ-ჰყვეს, მერე ისე, რომ პატრონი არსად სჩნდა, რადგანაც პატრონი საკმაოდ განვითარებული არ იყო ცხოვრების ახალ-ახალ ოინებისა და ხრიკების ცნობაში. ამ მდგომარეობაში უმაღლესმა მთავრობამ საქოროდ სცნა ზოგიერთის სატენიკო ელფერის სამინისტროების მეთაურობა „ახალ

კაცებისთვის“ ჩაებარებინა, ისეთებისათვის, რომელთაც თავი გამოუჩენიათ და სახელი შეუძენიათ სახელმწიფო სამსახურში კი არა, კერძო მოღვაწეობაში: რკინის გზების მართვაში, თუ აღებ-მიცემობაში და სხვ. თვით სრულებით “უჩინო“ კაცებს ჩააბარეს სამინისტროები... მაგიერად ამ კაცებმა გამოცდილებით და ზედმიწევნით იცოდნენ ახალის ცხოვრების სხვა-და-სხვა რთული ხერხი და საძრომი სოროები. ხომ მოგეხსენებათ, „გამოცდილს“ დედაძთილს რძალი არ გაერყენებია“. ამ მოაზრებით აყვანილ იქნა მინისტრად ბ-ნი ვიწნეგრადსკი, ზედმიწევნით მკოდნე ყოველგვარ ახალის მოხერხებისა. მას შემდეგ იმავე წრიდან მიწვეულ იქნა მეთაურად ბ-ნი ვიტე, მერე ბბ-ნი: კრივოშენინი და ერმოლოვი... რაკი კარი დაიფელა და პირველი ნაბიჯი გადიდგა, საფიქრებელია, რომ ამას შემდეგ სახელმწიფოს მართვაში თანდა თან უფრო მეტი ადგილი მიეცემა გამოცდილ და გამოჩენილ საქმის-მკოდნეთ...

ამ ახალ მიმართულებაზე, მეთაურების დანიშვნაში, იმიტომ ჩამოვადდე ლაპარაკი, რომ აღმენიშნა, თუ რაოდნად უსაფუძლო და შემცდარი იყო იმ კაცთა ან ქალაქთა საქციელი, რომელთაც ჯერაც არ შეუნიშნავთ ახალის მეთაურების მიერ საქმის ღრმად ცოდნა, და ისევ უწინდებურად ჰგონიათ, რომ უბრალო ფრაზეებით შესაძლოა მათი თვალის-ახვევა, უწინდებურად... ზოგმა ჩვენშიაც ძველებურად მიართვა ბ-ნ ერმოლოვს თხოვნა თუ საჩივარი, აქაო-და, იქნება დაღრეჯით და ხვეწნით დაუღბო გულიო, ზოგმა ოინებსაც ხელი მიჰყო, რასაკვირველია, ამაოდ. დროა გავიგოთ, რომ ძველი, უფიცობის დრო დაუბრუნებლად გაჰქრა, თვით რუსეთისთვისაც. პოლიტიკა მატყუარობა როდია, არც თვალხუჭის თამაშობაა. ვინც ერის წინამძღვრობას ჰჩემობს, ან ქვეყნის ბედისთვის ცდილობს, იმან ნიადაგ უნდა იცოდეს, რომ მარტო საფუძელიანი და პირდაპირი გამოკვლევა ნამდვილის სიმართლისა და საჭიროებისა, ნამდვილის ურთაერთას საზგებლუბასა მისცემს შეურყვევლს ნიადაგს და წარბატების იმედს...

ბ-ნმა ერმოლოვმა გვარიანისა და თითქმის ჯეროვანეს გულმოდგინებით დაათვალიერა ღსავლეთის სპარტველოო უმძ

ტესი ნაწილი იმ საგნებისა, რომელიც ამ ქვეყნისა ეკონომიურს ბედს და გარემოებას შეეხება, მისგან დღეს ვაცნობილი და ვაგებუ-ლიონ. დიდად საამო შთაბეჭდილება და ვაგლენა იქონია მინისტრზე ამ ქვეყნის მკვიდრთა მხნე მეცადინეობამ და შრომის-მოყვარეობამ. — „სწორედ ღირებულა მისი ხელის-მოწყობაო“, რამდენ-ჯერმე სთქვა მინისტრმა, „არც უნამყოფოდ ჩაივლის მის და-სახმარებლად დახარჯული ფულიო!“ დიდად დააღონა მინისტრი იმ ზარალის გაზომვამ, რომელიც ამ მხარესთვის ფილოქსერას მიუტყა... საუბედუროდ, დროის უქონველობამ ნება არ მისცა ბ-ნს ერმოლოვს ამნაირივე გულმოდგინებით დაეთვლიერებინა დანარჩენი საქართველოც, საცა მან ეხლა მარტო ბორჯომი და ტფილისი ინახულა. მართალია, უწინ იმას არა ერთხელ უნა-ხავს და დაუვლია კახეთი და ზოგიერთი სხვა კუთხე ჩვენის ქვეყ-ნისა, იმ დროს, როცა აქციზისა და წარმოების ხელმძღვანე-ლობა ებარა ფინანსთ-სამინისტროში... უარესი ბედი აღმოსავ-ლეთის კავკასიას დაემართა. მინისტრმა ვერც კი ინახულა ეს მდიდარი მხარე: არც ელისავეტპოლის გუბერნიას, არც ბაქო-სას, არც ერევნიას არ შეჰხებია ეხლანდელი მისი მოგზაურო-ბა. ბაქოში კი შეჩერდა ცოტას ხნით, თორემ სხვაგან არც კი გაუვლია.

ეს სწორედ რომ სამწუხარო მოვლენაა, დიდად სამწუხა-როც. ეს ნაწილი კავკასიისა დღესაც თითქმის იმავე მდგომა-რეობაშია, კულტურის მხრივ, როგორშიაც რუსების აქ მო-სვლამდე იყო. შეუძლებელია, ერთ და იმავე ქვეყანაში ერთი ნახევარა ჰყვაოდეს და მეორე ველად ევდოს, უიმიოდ, რომ ველმა ნამუშევარი აღვლი არ წაახდინოს... დროა, დიდი ხანია დროა, ამ მხარესაც ეღირსოს წარმატების ხეირი. ამას გარდა აქ თითქმის ნახევარი მილიონი დესიატინა მიწა სრუ-ლიად უხმარად უხალხოდ, უპატრონოდ ჰგდია, მაშინ, როდე-საც მთელს დანარჩენ ამიერ კავკასიაში ყოველგან მიწის სიმ-ცირით და უქონლობითაა ხალხი ილაჯ-გაწყვეტილი. აუცი-ლებლად საჭიროა, რომ ამ უშველებელ ველებს, რომელთაც შირაქის, მილქის და მულანის მინდვრები ჰქვია, რწყვა ეღირ-



სოთ ალაზნიდან, მტკვრიდან და არეზიდან, რომელნიც მათ ირგვლივ არტყიათ... ბ-ნ ერმოლოვის აქ ყოფნის დროს მას თან ახლდა ღენერალი ფილინსკი, რომელმაც თავი იჩინა ზუსეთში უღაბნოების სარწყავ ადგილებად გადაქცევითა და ჭარბების დაშრობით. მისმა აქ ყოფნამ იმედი მოგვცა, რომ მინისტრი კავკასიის უღაბნოების რწყვის საქმესაც ფეხზედ დააყენებდა. საუბედუროდ, ბ-ნმა ერმოლოვმა დრო ვერ იშოვნა, გინდ ერთი მცირედი ნაწილი დაეთვალაიერებინა ამ უღაბნოებისა....

ეს ის უღაბნოები გახლავთ, რომლის სიგრცე ასე ხშირად აცდენს ხოლმე რუსეთის გაზეთებს, რომელთაც ჰგონიათ, ვითომ ამიერ-კავკასიაში ბევრი თავისუფალი ადგილი უბატრონოდ გდიაო, და რომელნიც უბედურ რუსის გლეხებს აბრიყვებენ აქეთკენ გადმოსახლებად. ის კი არ ესმთ, რომ მიწა აქაურებსაც აღარ ჰყოფნის; არც ის იციან, რომ ამიერ-კავკასიის მკვიდრნი მიწის სიღვიწროის წყალობით პირიქით თვითონ გადადიან მთის ქედს, რუსეთის ცივ მინდვრებზე დასახლებლად... ის უღაბნოები რომ მოირწყას, რომელიც ალაზანსა, მტკვარსა და არაგვს შუა მდებარეობს, ამიერ-კავკასიის მკვიდრთ, აქაურ პაპანაქ მზესთან შეჩვეულთ, უფრო ადვილად შეეძლებათ იტანონ სამხრეთის სიცხე და ციებ-ციხელება, ვინემ ესლა სტავროპოლის გუბერნიის ყინვებს იტანენ... ყოველ შემთხვევაში მარტო იმათ შეეძლებათ გაუძლონ მილქის უღაბნოს ჰაერს... მაგრამ ეს ერთობ დიდი და მძიმე საქმეა ჩვენი ქვეყნისთვის; რომ მისი სავსებით განხილვა გაკვრით შეიძლებოდეს იმ წერილში, რომელსაც სულ სხვა საგანი ჰქონდა.

ნ. ნაკოლაძე

# უსსრ-ის მიმოხილვა

## მოსალოდნელი ცვლილება

რუსეთის ხელმწიფის სწეულებამ მეტად ააღაპარა ევროპის პოლიტიკური მწერლობა. სხვა დიდრონ სამეფოებში ნამეტანი მნიშვნელობა აღარც კი აქვს დღეს იმ გარემოებას, თუ რა გვარი ჭკუის და ხასიათის პირი ზის ტანტზე. ინგლისის, მაგალითად, ან იტალიის, გინდ თვით გერმანიის პოლიტიკა და ისტორიული მოქმედება შესამჩნევად არც კი შეიცვლება ან გადისრება, იქაური მეფეები რომ გარდიცვალონ და მათ ალაგზე მათი მემკვიდრეები გამეფდნენ. ამ ქვეყნების პოლიტიკას ტანტის-მფლობელი კი არ მართავს, ერის წარმომადგენლობა, საბჭო (პარლამენტი) განაგებს. ამ მიზეზით იქ ყველასთვის ცხადი და აშკარაა ამ პოლიტიკის საგანი, მიზანი და მიმართულება. სანამ იქ მართებლობა რამე გზას აირჩევს და დადგება, ერს, მწერლობას და საბჭოს დიდი სჯა და რჩევა აქვს იმის თაობაზე, თუ რომელი გზა და რისთვის ამჯობინოს... საიდუმლო იქ არაფერია, რადგანაც თვითველი გზის ან მიმართულების სიკეთე და სივე აშკარად ისინჯება და მრავალჯერ იწონება. როგორც მმართველი პარტიის, ისე მისი მოწინააღმდეგე ოპოზიციის, განზრახვა, სურვილი და შეხედულება მთელი ხალხისთვის ცხადია. მართებლობა რომ იქ უცრად რამე ახალს გზას დაადგეს—ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ხალხი და მისი წარმომადგენლობა უცნობ გზას ვერც გაიგნებს, არც გაჰყვება. უცები, მოულოდნელი ცვლილება

პოლიტიკის მიმართულებისა იქ, ამიტომ, იმოდნადვე წარმოუდგენელია, როგორც ერის ხასიათის ან ქვეყნის მდებარეობის უცარი გადასხვაფერება. პოლიტიკა იქ პირადი შთაბეჭდილებით და პირადი შთაგონებით როდიღა ხელმძღვანელობს. სულ სხვა გვარია რუსეთის მდგომარეობა. აქ პოლიტიკა თვითმპყრობელი ხელმწიფის ხელშია. ერი მის სჯაში და რჩევაში რადი შეღის: ბრძანებას ელის და ასრულებს. ამის გამოისობით რუსეთის პოლიტიკის საგანი, საფუძველი და დედა-აზრი ევროპისთვის სრულს საიდუმლოებას შეადგენს. ჩვენ ადვილად შეგვიძლიან წინ-და-წინ ვივარაუდოთ, თუ რა გზას დაადგება ამა და ამ შემთხვევაში ინგლისი, ან ავსტრი-უნგრეთი, ან რომელიმე სხვა დიდი სახელმწიფო. იმისი ვარაუდი კი, თუ რას იზამს და რას ინებებს რუსეთი—ყველასთვის და ყოველთვის ამოცანაა. ეს გარემოება, ერთის მხრით, ზოგჯერ დიდ საარგებლობას წარმოადგენს და დიდს პოლიტიკურს ძალასაც შეადგენს. მაგრამ ამ ორ სისტემას აქ არ ვაღარებთ, უბრალოდ ვნიშნავთ მათ არსებობას. ამ განსხვავების წყალობით, ევროპის პოლიტიკური მწერლობა საფუძვლიანად დარწმუნებულია, რომ თვითმპყრობელი მეფის პირად ხასიათს და შეხედულებას უზენაესი გავლენა აქვს მისი ქვეყნის პოლიტიკაზე. როცა რამდენიმე მილიონი ჩინებულად დარაზმული და დაიარაღებული მხნე მემომარი მორჩილად ასრულებს ტახტის-მფლობელის ბრძანებას, დიდაც საგულისხმოა იმის გაგება, თუ რა ხასიათისა და მიმართულებისაა ეს მფლობელი...

ამას გარდა მეორე მხრითაც დამაფიქრებელია ევროპისთვის ყოველგვარი ცვლილება რუსეთის პოლიტიკის მიმართულებაში. ევროპის უმეტესი ნაწილი მით უფრო გულწრფელად თხოულობს მშვიდობიანობის დაცვას, რომ მაძლარია. ომი მას, თუ არ დააკარგვინებს, ვეღარას შესძენს. მისი მხურვალე სურვილი მარტო ისაა, რომ ძველი შენაძენი შეიარჩინოს და დაიცვას. ამ მდგომარეობაშია თითქმის მთელი ევროპა, რომელშიაც მარტო საფრანგეთს აქვს გული დაწყვეტილი ელზას-ლოტარინგიის დაკარგვით... სულ სხვაგვარია, ამ მხრივ, რუსეთის

მდგომარეობა. იმას დღესაც საძებარი აქვს ის თავისუფალი მისავალი გახსნილ, დაუქეტავ; ზღვისკენ, რომელსაც პეტრე დიდის აქეთ ეძებს, და ურომლოდაც მისი ეკონომიური ზრდა შეუძლებელია. ამ მიზეზით ევროპა დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანობის დარღვევას ის მარტო რუსეთის მხრით უნდა მოელოდეს, რადგანაც მარტო მის ანგარიშშია ომიო. მართალია ეს აზრი, თუ შემცდარი, ეს სულ სხვა საქმეა. აქ შესანიშნავი მარტო ისაა, რომ თითქმის მთელი ქვეყანა ამ შეხედულებას ადგია. მაშასადამე, მით უფრო საგულისხმოა ყველასთვის იმისი ცოდნა, თუ რა ბეჭედს და ნიშანს დაამჩნევს რუსეთის პოლიტიკას ახალი და ახალგაზდა თვით-მპყრობელის პირადი ხასიათი და მიმართულება.

ამ კითხვის განსჯა, რასაკვირველია, ჩვენის მხრით უდრო-ოცაა და უადგილოც. ჩვენ აქ მხოლოდ ის შეგვიძლიან განვმარტოთ, თუ რა უმთავრესი ცვლილება მოხდა ევროპის პოლიტიკაში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. ეს განმარტება მომავალს ვერ გვიწინასწარმეტყველებს: მარტო მომავალი შემთხვევის და მოვლენის გაგებას გაგვიადვილებს.

უკანასკნელ ომამდინ რუსეთსა და ოსმალეთ შუა, მთელი ევროპის პოლიტიკა იმ „ურღვევი კავშირის“ გავლენას ქვეშ იმყოფებოდა, რომელსაც „სამი იმპერატორის კავშირი“ დაერქვა ისტორიაში. გერმანია, რუსეთი და ავსტრი-უნგრეთი ერთად იღვინენ, 1871—1878-მდე, მშვიდობიანობის და წესიერების გუშავად, სწორედ ისე, როგორც 1815-დან 1854-მდე ბრძანდებოდნენ. მათი თანხმობა და ერთობა 1878-ში, როგორც 1854-ში, „აღმოსავლეთის კითხვამ“, ესე იგი ოსმალეთის გაყოფამ, დაარღვია. რუსეთს იმედი ჰქონდა, რომ გერმანია დაფასებდა და არ დაივიწყებდა იმ დავალებას თუ დახმარებას, რომელიც 1870-ში, საფრანგეთთან ომის დროს, მან გაუწია გერმანიას. რუსეთს ეგონა, რომ როგორც მე შევადლებინე გერმანიას საფრანგეთის გაღწევა, ავსტრი-უნგრეთის გაკავებით და ბრძოლიდან დათხოვნით, სწორედ ამგვარადვე გერმანიაც. მაკლის ოსმალეთის დამხობას და ავსტრი-უნ-

გრეთს შეაჩერებს, მომაგერებსო. ამ იმედით წავიდა რუსეთი ბერლინის კონგრესზე. ყველამ იცის, რამდენად შემცდარი გამოდგა ეს იმედი. გერმანიამ გამოაცხადა, რომ „პატიოსან შუამავლობის“ მეტს არას ვიქო: გერმანიას არც ოსმალეთში, არც აღმოსავლეთის კითხვაში არავითარი ინტერესი არააქვს ისეთი, რომ მისი გულისთვის გინდ ერთი ბრანდემბურგელი ჯარისკაცის ძვლების შეწირვა ღირდესო. რასაკვირველია, გულ-ნაკლულ რუსეთს მეტი გზა აღარა ჰქონდა, უნდა სამი იმპერატორის კავშირიდან გამოსულიყო და საფრანგეთისკენ ექნა პირი. რადგანაც რუსეთის საფრანგეთთან დაკავშირება მართლაც შესაძლო და საშიში იყო გერმანიისთვის, ამ უკანასკნელმა სამეფომ 1879-ში კავშირი შეკრა ავსტრი უნგრეთთან რუსეთის წინააღმდეგ, და ცოტა ხანს შემდეგ იტალიასთან—საფრანგეთის საპირდაპირად. მას აქეთ, აგერ თხუთმეტი წელიწადი იქნება, ევროპის პოლიტიკა ამ ახალი „სამთა კავშირის“ გავლენას ქვეშ იმყოფება. ერთის მხრით ერთად შეთანხმებული დგანან გერმანია, ავსტრი-უნგრეთი და იტალია, მეორეს მხრით კი რუსეთი და საფრანგეთი, რომელთა შუა შეკავშირება მარტო ორი-სამი წელიწადია რაც მოხდა. დანარჩენი სახელმწიფოები ცალ-ცალკე დგანან, ორთა შუა, მაგრამ ცხადია, რომ ყველა ამ სახელმწიფოების სიმპატია, გარდა დანიისა და, იქნება, საბერძნეთისაც, უფრო „სამთა კავშირს“ ეკუთვნის...

ამგვარად 1879-მდე თითქმის მთელი ევროპის ძალა საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და რუსეთისაკი საკუთრივ ოსმალეთის წინააღმდეგ. 1879-დან დღემდე ევროპის ძალა საკუთრივ რუსეთს ეწინააღმდეგებოდა, ან რუსეთსა და საფრანგეთს. სამაგიეროდ რუსეთმა ოსმალეთი დაიეიწყა და მის მაგიერ გერმანია და ავსტრი-უნგრეთი აითვალწუნა. რუსეთს, რასაკვირველია, საფრანგეთიც გვერდში ამოუდგა.

ამ მდგომარეობაში იყო საქმე ამ უკანასკნელ ზაფხულამდე. მას აქეთ საზოგადო პოლიტიკის მსვლელობაში დაკვირვებულნი აღდიანნი შენიშნავეს ზოგიერთს ერთობ მძიმე ნიშნებს, ღრმა ცვლილებების მომასწავებელს. იქნება ჩვენ, შორიდან, ვერ ვაფა-

სებდეთ ღირსეულად ამ ნიშნების ხასიათს; იქნება კიდევ ვცდებოდეთ მათ გაგებაში; მაგრამ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენი აღსნა საეულისხმო მინც არის, თუ ერთიანად მისაღები არა...

იაპონიის ბრძოლამ ჩინეთთან თვალი აუხილა საფრანგეთს და მასთან, იქნება, რუსეთსაც. ამ ბრძოლას აღვიღად შეუძლია შესამჩნევად შეცვალოს შორე-აღმოსავლეთის სახე და დიდის ხნობით ავნოს ციმბირის და ტონკინის მომავალს. შორე-აღმოსავლეთში რუსეთს, ციმბირის მიზეზით და საფრანგეთს—ტონკინის, ანამის და კოხინხინის წყალობით ბევრად უფრო დიდი ინტერესები აქვთ მოსავლელი და დასაცველი, ვიდრე ევროპაში, გერმანიის საზღვრებზე. ორივეს კი უმთავრესი ნაწილი თავისის ჯარისა და ძალის იქ ჰყავთ დაბანაკებული და შეგროვებული, საცა ნაკლები ინტერესი მოითხოვს. სანამ ორივეს თითო შილიონი ჯარის-კაცი უყენია გერმანიის საზღვარზე, მყოფრო ოკეანეში და შორე-აღმოსავლეთში არც ერთს იმოდენა ძალა არა აქვს, რომ იაპონიას ეწინააღმდეგოს. მყოფრო ოკეანეზე თავისუფლად ბრძანებლობს მარტო ინგლისი, რომელსაც ევროპაში არც ინტერესი აქვს, არც მტერი ჰყავს და რომლის ღონე ნიადაგ იქ არის შეგვროვილი, საცა მისი ინტერესი შეიბღალვის. ძნელი როდია, ამ მდგომარეობაში, დაფიქრდეს კაცი: რა უნდა მოვიგოთ გერმანიასთან შეტაკებით, ისეთი, რომ, ერთის მხრით, იმ ხარჯს და მსხვერპლს უღრიდეს, რომელსაც გერმანიასთან ომი შთანთქმავს და, მეორეს მხრით, იმ ენების მაგიერობა გვაქნას, რომელიც შორე-აღმოსავლეთში მოგვეცემა, თუ იაპონიას ვაცალეთ კორეიას მითვისებით ციმბირი დაგვიკეტოს და ფორმოზას აღებით—ტონკინი დაგვიბევროსო? ვინ იცის, იქნება იმ ფულისა და ღონის მყოფედმა ნაწილმა, რომელიც გერმანიის საწინააღმდეგოდ გვიჭირია, ჩინეთის ზღვებში რომ ვინმაროთ, ათასჯერ უფრო მეტი სარგებლობა მოგვცეს, ვიდრე გერმანიაზე ერთიანად გამარჯვება გვალირსებს. და ეს გამარჯვება, ხომ, უეჭვო როდიაო...

ამ ფიქრებს და მოაზრებას დიდი ალაგი უკავია დღეს მმართველ წრეებში, მეტადრე მისთვის, რომ მათში ყოველგან დიდი ხანია სამაგალითოდ არის გადაქცეული ინგლისის პოლიტიკური მოქმედება. როცა ამ მდგომარეობაში მწერლობამ ყურადღება მიაქცია ინგლისის საქციელს, ყველასთვის აშკარად გამოჩნდა, რომ ინგლისის არასოდეს იმდენი არ უმეცადინია, არც მოუხერხებია, რამდენიც ამ უკანასკნელ წელიწადში. ცხადია ის ცდილობს არ დაკარგოს დრო, სანამ მისი უშუავერსი მეტოქენი, რუსეთი და საფრანგეთი გერმანიას ქიშპობაში გაბმული არიან. ინგლისმა ამას წინაღ მშვენიერად ისარგებლა საფრანგეთის გერმანიისკენ გალაშქრებით—მარტოხელად იგდო და დაიკავა ეგვიპტე, რომელიც მისთვის, როგორც საფრანგეთისთვისაც, ერთადერთი მოკლე გზაა ინდოეთსა და შორეულმოსავლეთისკენ. ეხლა აფრიკაში ხელთ იგდო ინგლისმა ის „კონგოს სახელმწიფო“, რომელიც ბელგიის მეფემ ლეობლდ მეორემ დააარსა და რომელიც მისი ხელშეკრულებით საფრანგეთთან, მომავალში საფრანგეთს უნდა რგებოდა, თუ ბელგია მას აღარ მოუვლიდა. ახალი ხელშეკრულების ძალით ინგლისმა ამ ზაფხულს ვრცელი უფლებები მიიპოვა ამ სახელმწიფოს უმჯობეს ნაწილებზე. გარდა ამისა ინგლისმა დიდი ზიანი მისცა საფრანგეთს აფრიკის სხვა-და-სხვა ნაწილებში (სიერალეონეს სიახლოვეს, ჩადის ტბის გარშემო და სხვ.) და აზიაშიაც, სიამის სამეფოში. ამ უკანასკნელ თვეებში მას კიდევ რაღაც ინტრიგები აუტეხია მადაგასკარზედაც, თუმცა პირდაპირის ხელშეკრულების ძალით ინგლისმა კაი ხანია აღიარა, რომ ეს კუნძული ერთიანად საფრანგეთის გავლენას ქვეშ უნდა იმყოფებოდეს სამუდამოდ. ერთი სიტყვით, საფრანგეთის მმართველებმა შენიშნეს, რომ ინგლისი, რომელსაც ხელები ერთიანად გახსნილი აქვს, დაულალავად ცდილობს ისარგებლოს საფრანგეთის ხელგაკავებული მდგომარეობით და სადაც კი შესაძლებელია იჩემებს საფრანგეთის საკუთრებას, ანა-და იმ ადგილებს, რომელნიც საფრანგეთისთვის აუცილებლად საჭირონი არიან, ურომლოდაც საფრანგეთის კოლონიები ვერ გასძლებენ და სხვ.



და სხვ. იაპონიის ბრძოლამ ჩინეთთან, და ინგლისის საქაიელ-  
მა ამ ბრძოლის დროს აგრედვე და ამნაირადვე საქვეყნოდ გა-  
მოაშკარავა, რომ რუსეთის წინააღმდეგაც ინგლისი ამ გზას  
აღვია.

გერმანიის მწერლობა, რალა თქმა უნდა, ამ შემთხვევას ისე  
რად გაუშვებდა, რომ ზედ თითი არ დაედო, საფრანგეთის და  
რუსეთის მწერლობის შესაგონებლად.—რას გამოელით ჩვენგან  
ისეთს, კიდევ რომ მოგვერიოთ, რომ იმათ ღირდეს, რასაც  
ესლა ინგლისი გართმევსთ? ჩვენ, გერმანიელები, ჩვენთვისა ვართ,  
და ჩვენს საკუთრებას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავ-  
თო. გირჩენიათ სხვაგან ეცადოთ შეძენას, იქ, საცა შეძენა  
უფრო იაფი და ადვილიაო. ჩვენთან ბრძოლაში თქვენ უფრო  
ადვილად დაკარგავთ რასმე. ვიდრე შეიძენთო. და თუ შეიძენთ,  
იმ ფასად დაგიჯდებით, რომ არც კი ღირდეს შეძენაო. უეჭველია,  
ამ ქადაგებას გავლენა მოუპოვებია, რადგანაც ორივე სახელმწი-  
ფოების მოქმედებაში ამ ზაფხულზე და შემოდგომაზე ბევრი  
ახალი ნიშანი აღმოჩნდა გზისა და განზრახვის შეცვლისა. სა-  
ფრანგეთის მხრით მოლაპარაკების დაწყება ინგლისთან, აფ-  
რიკის საქმეების შესახებ, ამ ნიშნების რიკებში უნდა ჩაითვალოს,  
აგრედვე როგორც მზადების დაწყება მადაგასკარის წინააღმდეგ.  
ბევრად უფრო შესანიშნავია ის ცვლილება, რომელსაც რუსე-  
თის პოლიტიკაში მოასწავებს ფრანსთ-მინისტრის, ბ-ნ ვიტეს,  
მოკზაურობა, ამ ზაფხულზე, მკურმანის ნაზარისკენ. ეს სახელი  
ჰქვიან ჩრდილოეთის ოკეანეს ნაპირს ლაპლანდიაში (ფინლან-  
დიის ბოლოს), იმ ადგილიდან, საცა ნორვეგიასა და რუსეთ შუა  
საზღვარი ოკეანეს შეეხება, იმ ბოლოზამდე, რომელსაც *губа Святого Носа*  
ჰქვიან (არხანგელის გუბერნიაში). რადგანაც რუ-  
სეთს არსებითა აქვს პირდაპირი გასავალი გაშლილ ოკეანესკენ,  
ესლა ეს მურმანის ნაპირი აურჩევით ამგვარი გასავლის სამაგიე-  
როდ. მართლაც აქედან, კარგად თუ ავად, ზაფხულობით მაინც  
გაგზავნის კაცი გემს, სადაც უნდა, ისე, რომ დაგდული კარი არ  
დახვდეს ან სტამბოლოს, ან ზუნდში და სხვ. და სხვ. ზოგან, ამ  
ნაპირზე, ზამთარშიაც არ იყინება ზღვა, რადგანაც აქ ხვდება ის

თბილი მდინარეობა ოკეანესი, რომელიც მექსიკიდან მოდის და რომელსაც „გოლფსტრემი“ ჰქვია. ეხლა გადაწყვეტილია შეუერთონ ეს ნაპირი რუსეთს რკინის გზით (ექვსასიოდე ვერსი გზაა გასაკეთებელი ფინლიანდიის რკინის გზამდინ). აქ მოთავსდება უმეტესი ნაწილი რუსეთის სამხედრო და საომარი ფლოტისა, გარდა იმ მცირედი გემებისა, რომელთაც საგნად მარტო შავი ზღვის ან ბალტიის ზღვის ნაპირების დაცვა ექნებათ. საომარი კრეისერები და აბჯროსანი ხომალდები კი ამ მურმანის ნაპირზე იდგებიან მომავალში, სანამ რუსეთი უმჯობესს გასაეაღს არ იშოვის გაშლილ ოკეანესკენ...

ეს ცვლილება მეტად სამნიშვნელოა მით, რომ დღეის იქით რუსეთმა ძალა-უნებურად ბევრად უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს თავისი ფლოტისა და ზღვის საქმის წარმატებას, ვიდრე აქამდინ აქცევდა. დღემდინ მისი ფლოტი დამწყვედელი იყო ბალტიის და შავს ზღვებში. მშვიდობიანობის დროს მათზე დიდძალი მილიონები იხარჯებოდა, მაგრამ ომიანობის დროს რუსეთი ვერც კი სარგებლობდა მათი ძალით: თითქმის ყველა მისი გემები ნადავ დაწყვედელი იყვნენ ამ ორ ზღვაში და გზას ვერ შოულობდნენ იმ ადგილებისკენ, საცა მტრის ძალა და ღონე იმყოფებოდა. რაკი საომარი ფლოტი ომიანობის დროს დამწყვედელი აღარ იქნება, იმას შეეძლება მტერს საბრძოლველად შეეებას იქ, საცა საქიროება ან სარგებლობა მოითხოვს. ამას იქით შავს და ბალტიის ზღვაზე რუსეთს შეეძლება იყოლიოს მარტო იმდენი სამხედრო ხომალდი, რამდენიც საქირაა მისი ნაპირების დაცვისთვის ანა-და საკუთრივ ოსმალეთთან, ან გერმანიასთან საბრძოლველად. უმეტესს ნაწილს კი რუსეთის ზღვის ძალისას ადვილად შეეძლება შესამჩნევი ზიანი მისცეს უფრო ძლიერს ზღვის სამეფოებსაც, მაგალითად ინგლისს...

საქმის ნამდვილი მდგომარეობა დღეს თანდათან უფრო-და-უფრო ნათლად ჩნდება ყველასთვის. უწინდელ დროში, როცა მისვლა-მოსვლა ძნელი იყო, ასე გვეგონა, ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოებს დიდძალი ადგილი უკავიათო. ოსმალეთიც

ვეება რამედ მიგვაჩნდა მაშინ, ავსტრია, პრუსია და საფრანგეთი. ეხლა კი, როცა ორთქლმა, ორთქლის გემმა, ორთქლ-მაველმა რკინის გზამ, ქვეყნის სახე შეცვალა და მეცნიერთ მთელი დედა-მიწა გააცნო, დაუმონავა, მარტო ახლო-მახლო არე-მარე კი აღარ გვიდევს თვალ-წინ, მთელს ქვეყნიერებას დავცქერით და ვხედავთ, თუ რამდენად შემცდარი, რამდენად მდაბიო და მცირედი ყოფილა უწინდელი ჩვენი წარმოდგენა პოლიტიკის შესახებ! დღეს დედა-მიწაზე მარტო სამი დიდი სახელმწიფო არსებობს, რომელთან შედარებით ყველა სხვანი ქონდრისკაცებს ემსგავსებიან: ინგლისი, რუსეთი და ამერიკის შტატები. ამ უკანასკნელ სახელმწიფოს თავისი საკუთარი წრე აქვს, უდავო და ხელ-უხლებელი, ამერიკა: მას ვერაფერ უბედავს მეტოქედ გამოუვიდეს, და ის თვითონ სხვას არავის ეცილება, არც ევროპაში, არც აზიაში, არც აფრიკაში, არც ავსტრალიაში. ამერიკას გარდა დანარჩენი დედა-მიწა სადავო თუა, სადავოა უფრო მეტად მარტო ინგლისსა და რუსეთ შუა. ორივე ეს სახელმწიფოები ამჟამად ისეთს ბუმბერაზებს წარმოგვიდგენენ, რომელთაც ხელები შემოუტრტყავთ მთელი დედა მიწის გარშემო. ორივეს სამფლობელო რომ ერთად აიღოს კაცმა, თითქმის ნახევარი გამოვა მთელის ხმელეთისა. როგორც ამას წინად ვთქვით, მომავალი მეოცე საუკუნე იქნება ამ ორ სახელმწიფოებ შუა ბრძოლის ეპოქად. ორივეს ერთმანეთის წინააღმდეგი წყობილება და ხასიათი აქვს, ორივე სხვა და-სხვანაირ გზას ადგია, როგორც შექენაში, ავრედვე მფლობელობაში, ორივე „ბუნებითი მოქიშვეა“ ერთი-მეორისა. გასაყოფი, სადავო, საომარი თუ ვისმე რამე აქვს დედა-მიწის პირზე, აი სწორედ ამათ აქვთ, და არა სხვასა...

რუსეთის რუქა რომ აიღოს კაცმა ხელში, მაშინვე ნახავს, რომ ეს სახელმწიფო გეოგრაფიულად ერთს სხეულს წარმოადგენს: ყველა მისი სამფლობელო, ევროპაში და აზიაში ერთმანეთზე გადაბმული და დაკავშირებულია. ის ბუნებითად იზიდება ზღვებისა და ოკეანებისკენ, და მალე თავისუფალს გასავალს იშოვნის ჩრდილოეთის და აღმოსავლეთისკენ. თუ ამას

შემდეგ იმან მოახერხა და გზა გაიკაფა სამხრეთისაკენაც, ინდოეთის ოკეანესთან (მაგალითად სპარსეთის მხრით), იმას შეეძლება თავისს კანში მოთავსდეს, და შინაგან ეკონომიურს და პოლიტიკურს წარმატებაზე იზრუნოს, იმნაირადვე მშვიდობიანად, უღაფღავოდ, უმეტოქოდ და უშიშრად, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები ცხოვრობენ და იზრდებიან. მაშინ რუსეთს აღარაფერია შეეშინდება, არც აღარაფერი დასჭირდება, შინაური ზრდის მეტი. იმას პირდაპირი მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემობა ექნება მაშინ ქვეყნიერებასთან, და ეკონომიურად დამოკიდებული აღარ იქნება ზღვების მფლობელ სახელმწიფოებზე....

ინგლისის მდგომარეობა სულ სხვანაირია. ინგლისი, თავის-თავად, მცირედი კუნძულია, ვაჭრობით და განათლებით გამდიდრებული და დაიარაღებული. ამ კუნძულს ურავალავი კოლონიები აქვს დედა-მიწის სხვა-და სხვა ადგილებში. თვითეული ამ კოლონიებთაგანი თითქმის საკუთარის ცხოვრებით თავისუფლად თავს ირჩენს. მის შინაგან საქმეებში ინგლისი არც კი ერევა: ყოველგან საკუთარი წესი, ჩვეულება, კანონი და საბჭო მეფობს. ინგლისი მარტო მფლობელად ითვლება ამ კოლონიებისა, მარტო ხარკს იღებს მათგან, საერთო ჯარისა და ფლოტის, საერთო ზღვისცაყას საღირალსა. ყოველი კოლონიისთვის სახეიროა ამ მცირედი ხარკის გადახდა, რადგანაც ამით ის თავისუფლდება საკუთარი ჯარისა და ფლოტის საჭიროებისაგან. მარტო ინგლისის დროშა აქვთ მფარველად გარეშე მტრისაგან... ყველა ამ კოლონიებისთვის, მართალი რომ სთქვას კაცმა, ინგლისი ძლიერი და მდიდარი უზრუნველ-მყოფელი საზოგადოების მაგიერობას უწევს. სანამ ინგლისის პრესტიჟი დედა-მიწაზე შეუბღალავია, სანამ მის დროშას მართლა სასწაულ-მოქმედი თვისება აქვს ყველა გარეშე მტრების მოგვრებისა, ყველა კოლონიებისთვის დიდაც სასარგებლოა ინგლისის მფარველობას ქვეშ ყოფნა, ინგლისისთვის ხარკის ძლევა. მაგრამ როგორც კი გარემოება შეიცვლება, როგორც კი აღმოჩნდება, რომ უზრუნველ-მყოფი მართლა უზრუნ-

ნველ ველარ ჰყოფს, კოლონიები თავის-თავად ჩამოსცილდებიან ინგლისს, როგორც ამ ასიოდე წლის წინად შეერთებული შტატები და ამ ოც და ათის წლის წინად იონიის კუნძულები ჩამოსცილდნენ...

რაკი რუსეთის ფლოტი ფეხს მოიკიდებს მურმანის ნაპირზე, და რაკი რუსეთს ეხლანდელივე ერთობა ექნება საფრანგეთთან, რომლის საომარი ფლოტი, ინგლისის ფლოტის შემდეგ, ყველაზე უფრო ძლიერია, რუსეთსა და საფრანგეთს, ომიანობის დროს, ადვილად შეეძლება გადასჭრან ის გზები, რომლითაც ინგლისს თავისს კოლონიებთან მისვლა-მოსვლა აქვს. საკმაოა ორ-სამს ადგილას გადაეჭრას ინგლისს ამისთანა გზები, ან ისეთი გზაუხვეველი ადგილები წაერთოს, როგორც არის გიბრალტარი, ან სუეცი (ეგვიპტე), რომ ინგლისის პრესტიჟს, ინგლისის გავლენას მის კოლონიებზე მეტი დაცევს. მაშინ არც ამერიკის შეერთებული შტატები დადგებიან უარზე ბრძოლაში ჩარევის შესახებ. სხვა რომ არა მოინდომონ-რა, იმას ხომ მაინც იზამენ, რომ კანადას ჩამოართმევენ ინგლისს, რომ მით მუდმივი თავიანთი დევიზი გაამართლონ: „ამერიკა ამერიკელებისაა!“ სანამ ამერიკის იმხელა ნაწილი, როგორც არის კანადა, ინგლისელებს ექნებათ ხელში, ეს დევიზი ხომ ნატურის მეტს არას ნიშნავს...

საფრანგეთიც ამერიკის შტატებზე ბევრად უფრო მეტად მოსურნეა ინგლისს ზოგიერთი კოლონიები მაინც ჩამოართვას, რომ მათ თავისს საკუთარ კოლონიებისკენ გზა გაიკაფოს. ბერლინის კონგრესის შემდეგ საფრანგეთი მტკიცედ დაადგა ევრედ-წოდებულ კოალიციას. თავის გაძლიერებას და შემატებას ის გერმანიის მხრით კი არა, უფრო აზიაში და აფრიკაში ეძებს. უკანასკნელი თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის განმავლობაში მან ჩინეთსა და სიამ შუა და აფრიკაში ისეთი სამფლობელოები შეიძინა, თითქმის უომოდ, რომელთაც სივრცე ორი და ერთი მეოთხედი მილიონი (2.243,000) კვადრატული კილომეტრი აქვთ და რომელშიაც ოც და თერთმეტი მილიონი ადამიანი სახლობს. ამ შენაძენის სივრცეს ჩვენ უკედ

მაშინ წარმოვიდგენთ, როცა გავიხსენებთ, რომ მთელი კავკასია, ჩრდილოეთის კავკასიით და სტავროპოლის გუბერნიითურთ მარტო 468.364 კვადრატულ კილომეტრს (თითქმის ვერსს) შეიცავს, რომელზედაც 1892 წლის ანგარიშით მარტო 8 მილიონი (8.156,376) ადამიანი სახლობს. მაშასადამე, საფრანგეთის ახალი შექმნილი სამფლობელო **ხუთჯერ** უფრო ვრცელია, ვიდრე მთელი კავკასია, და თითქმის **ოთხჯერ** უფრო მეტი ხალხით არის დასახლებული. თვითონ საფრანგეთი ოთხჯერ უფრო ნაკლებია, სივრცით, ვიდრე მისი ახალი კოლონიები, მესამე რესპუბლიკის დროს შექმნილი. ხალხით კი ცოტათი მეტია მათზე, რადგანაც ახალ კოლონიებში მარტო 30 მილიონი სახლობს და თვით საფრანგეთში კი—38 მილიონი. ამ შენაძენთან შედარებით, საფრანგეთისგან ომის დროს დაკარგული პროვინციები (ელზასი და ლოტარინგია) თითქმის აღარაფრად ჩათვლება.

აღბად ამოდენა სამფლობელოს ინტერესი უფრო ძვირფასი ყოფილა საფრანგეთისთვის, გერმანიის სიძულვილზე, თუ კი ამ შემოდგომაზე მეტად უსიამოვნო დავა აუტეხა ინგლისს აფრიკის კოლონიების შესახებ. უმთავრესი საგანი ამ დავისა ეგვიპტის დაკავებაა ინგლისისაგან. დავამ თავიდანვე ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ბევრს კიდევ ეგონა, ვაი თუ ომიც ასტყდესო. რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით ეს შიში უსაფუძვლოა, ეხლანდელი ომი ისეთი უბრალო რამ როდია, როგორც უწინდელი ომი იყო, რომ ალა-ალად შეიძლებოდა მისი დაწყება. ჯერ არც საფრანგეთია მზად ინგლისთან საომრად, არც ინგლისი—საფრანგეთთან, პირველს თავისი ფლოტის დათავება სჭირია, მეორეს კი—ჯარი აკლია. ამას გარდა არც ერთი ამ ქვეყნების ხალხი ჯერ-ჯერობით არცა ჰგრძნობს ომის აუცილებლობას, არც ეძებს შეტაკების შემთხვევას. ჯერ საქმე ისევ „ანგარიშშია“. ყოველ მხრით იმის თვლას და მიგნებას ცდილობენ, თუ რანაირად დალაგდება ქვეყანა და ვისკენ რომელი სახელმწიფო დადგება, ვინ ვის მხარეს დაიკავებს, ვინიცაბაა ინგლისს და საფრანგეთ შუა ომი ასტყდესო. მარტო

იმის საჩვენებლად, თუ რაში მდგომარეობს ამნაირი ანგარიში და რა სახით ფაქტობრივ ხოლმე პოლიტიკური მოაზრენი, მოვიყვან აქ ლორდი სალისბიურის გაზეთ Standard-იდან რამდენიმე ნაწყვეტს იმ თხზულებისას, რომელიც მას დაუწერია ამ საგანზე, ერთი გერმანიელის წერილის გამო. ოქტომბრის წიგნში ბერლინის ჟურნალის Deutsche Revue დაბეჭდილი იყო დიდი მეთაური იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება გახდეს ინგლისის მეკავშირე მომავალ მის ომში საფრანგეთთან. გერმანიელი მეცნიერი ამტკიცებს თურმე, რომ ინგლისს არსად არც ერთი ამხანაგი არ ამოუჩნდება ქვეყანაზე, საფრანგეთის წინააღმდეგო. აქ ჩვენთვის ის კი არ არის საგულასხმო, მართალი იქნება ეს, თუ ტყუილი, შესცდება, თუ არა, ვინც ამ აზრს დაადგება. საინტერესო მარტო ის გახლავს, რას ფიქრობენ, ან, უფრო სწორედ ვთქვათ, რას სწერენ ამ საგანზე უცხოეთში, საკუთრივ ინგლისში და გერმანიაში. როგორც Deutsche Revue, აგრედვე Standard-ი ცნობილი არიან ყოველგან როგორც გერმანიის და ინგლისის მეუაღური წესების ნამდვილი აზრის გამომტქმელნი. ორივე ამ გამოცემის აზრით, „უეჭვოა, რომ საფრანგეთთან ომში ინგლისი მარტოდ-მარტო დარჩება, უამხანაგოდაა“. ინგლისელებს საზოგადოდ ჰგონიათო, სწერს გერმანიული ჟურნალი, ვითომ გერმანიამ და სამთა კავშირმა ხელი უნდა მოუშარათ ინგლისს, თორემ როცა, ომის შემდეგ, გამარჯვებული საფრანგეთი, რუსეთთან ერთად, სამთა კავშირს შეებრძოლება, ეს უკანასკნელი კავშირი თავს ველად დაიკავსო. ეს დიდი შეცდომააო. ჩვენ გერმანიელებს, საკმაოდ ძლიერად მიგვაჩნია ჩვენი თავი და სამთა კავშირი ორივე ჩვენი მეზობლის (რუსეთის და საფრანგეთის) მოსაგერებლად.—ისიც უნდა სახეში ვიქონიოთ, რომ საფრანგეთი, ინგლისთან ბრძოლაში, მარტო როდი იქნებაო. რუსეთმა კარგად უნდა იცოდეს, და დარწმუნებულდ უნდა იყოსო, რომ არც გერმანია, არც ავსტრი-უნგრეთი მის წინააღმდეგ ხმალს არ იშიშვლებს, ოღონდ კი რუსეთმა ხელი არ ახლოს რუმინიას ან ბოლგარიას, და სტამბოლის დაპყრობა არ მოინდომოსო. ამ მიზეზით უეჭველია,



რომ რუსეთი არასოდეს არ ინდომებს ამეებსო, და დანარჩენში ყველაფერში ხელი გახსნილი ექნებაო. ამას შემდეგ ორივე მწერალი დიდის საფუძვლით არღვევენ ინგლისელი პოლიტიკური მოქმედი პირების აზრს, ვითომ იმ ომში, რომელიც ასტყდება ერთის მხრით ინგლისსა, და მეორეს მხრით—საფრანგეთსა და რუსეთ შუა, სხვა ევროპიელი სახელმწიფოებიც გაერევიანო. ეს დიდი შეცდამა არისო. „სანამ რუსეთი ხელაახლავ არ აშლის აღმოსავლეთის კითხვას, ამ სატყვეობას ვიწრო მნაშენელობით (in the narrower sense), გერმანიას და ავსტრი-უნგრეთს ერთი ნამცეცი საფუძველიც არ ექნებათ ამგვარ ბრძოლაში გაერიონ, ვერც იტალია ამოუდგება გვერდში ინგლისს, იმის შიშით, რომ ამით ორის თავისის მოკავშირის მფარველობა არ დაკარგოს“. აქ მეტად შესანიშნავია ორი სიტყვა—„ვიწრო მნაშენელობით“. ეს დამატება მოასწავებს, რომ სამთა კავშირი სრულიადც წინააღმდეგი არ იქნება რუსეთისა, თუ ეს სახელმწიფო „აღმოსავლეთის კითხვას“ აღძრავს სადმე სხვაგან ან სხვაფრივ, სტამბოლ გარდა. მაგალითად, სპარსეთში რომ მოინდომოს გზის შოვნა გაშლილ ოკეანესკენ, სამთა-კავშირი ამას არ ეწინააღმდეგება. აღმოსავლეთის კითხვა მისთვის აღკრძალულია მარტო „ვიწრო მნაშენელობით“, ისე, როგორც უწინ ესმოდათ...

სტატიას, რომლიდანაც ჩვენ ეს ნაწყვეტები გადმოვთარგმნეთ, სახელად ჰქვია—„დიდი ომი მოსალოდნელია, თუ არა?“ ამ კითხვაზე აი რა პასუხს იძლევა ავტორი:

„ერთი სიტყვით, დიდი ომი ევროპის კონტინენტალურ სახელმწიფოებ შუა (ესე იგი საფრანგეთსა და გერმანიას შუა, მათი მეკავშირეთურთ) სრულიად მოსალოდნელი არ არისო. ამ ნაირი ომი, შესაძლოა, მარტო როგორც ისეთი უუკარი შემთხვევების შედეგი იქნება, რომლის წარმოდგენა ეწლა სრულებით შეუძლებელია. სამაგიეროდ დიდი ომი ერთის მხრით რუსეთსა და საფრანგეთს, და მეორის—ინგლისს შუა მიგვაჩნია არა თუ მაინც და მაინც აუცილებლად, ანა-და გინდ ამ ქამად მოსალოდნელად, არა, ყოველ შემთხვევაში შესაძლოდ, რადგანაც მათ შორის მართლა და რეალურად არსებობს ინტერესების წინააღმდეგობა. რუსეთს და საფრანგეთს ამ ომში ძალიან დიდი შანსები აქვთ გამარჯვებისა“.

ერთი სიტყვით, რუსეთის და საფრანგეთის კავშირს დღეს, როგორც ვტყობა, საგანი და მიზანი ეცვლება: გერმანიის მა-

გიერ, ის ინგლისის დაუწყებს წინააღმდეგობას. საკუთრივ ჩვენთვის ეს ცვლილება დიდად სასარგებლო უნდა იქნეს. მართლაც, ძნელი როდია მიხვდეს კაცი, რომ სანამ რუსეთი გერმანიის და ავსტრი-უნგრეთის საპირდაპიროდ ემარაგებოდა, ჩვენს მხარეს უწინდელი პატივი და მნიშვნელობა აერთო. მზადების და ომის სიმძიმე, როგორც „პოლიტიკის ღერძი“, საქართველოს საზღვრებს მოსცილდა. თუ ჩვენ ეხლა არა ვცდებით საზოგადო პოლიტიკის გადატრიალების აღსნაში, და თუ მართლა ინგლისის წინააღმდეგ წარიმართა რუსეთისა და საფრანგეთის ძალა, უეჭვოა, რომ ჩვენს ქვეყანას და ხალხს კვლად სახეირო ადგილი მიეცემათ მსოფლიო ისტორიაში. მაშინ რუსეთის ძალა, ხმელეთით, კვლავ სამხრეთისკენ უნდა მიიწევდეს, ინდოეთის ოკეანესკენ, სპარსეთის ზღვის უბის გზით. ამ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას თავის-თავად უპირველესი სტრატეგიული მნიშვნელობა მიეცემა. ის წინა-მფარველად გახდება რუსეთის გზისა გაშლილ ოკეანესკენ, და, უეჭვოა, უკედ გამოიყენებს ამ მდგომარეობას, რადგანაც უწინდელზე უფრო თვალ-ახელილი იქნება...

## 6. ნაკვალაძე



კელაქცია მიილო უამღაზი წიგნები:

1) **Professor Tzagareli's Catalogue of the Georgian Manuscripts in the Monastery of the Holy Cross at Ierusalem**, translated from the Russian by **Oliver Wardrop**, of Balliol College, Oxford.

2) **Georgian Folk Tales**, translated by **Marjory Wardrop**. London, 1894.

3) თხზულებანი გ. წერეთლისა, ტ. II, ჩვენი ცხოვრების უკუილი, გვ. 1—291, ფასი 60 კაპ. ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა, №9, ქუთაისი 1894 წ.

4) А. Евфратовъ—Общедоступная книга для учащихся—Шенспирь и его трагедии: Макбетъ, Отелло и Гамлетъ. Книжка первая. Баку, 1894 г.

რედაქტორი  
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი  
ალექსანდრე ჯაბაღანი



# „მ რ ბ მ ბ მ“

წელიწადი პირველი

გამოდრს ყოველ თვის პირველ რ . ბში

7-10 თბანი (224-320 გვ.)

## ფასი უზრუნველსა გაგზავნით

1 წლათ ს თვი: ათ

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 10 მან. 6 მან. მან.

სახლვარ გარედ . . . . . 13 მან. 7 მან. მ

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლ. ან შემოიტანოს 1 იანვრამდე— 4 მან., 1 მაისამდე— 3 მან., და 1 სექტემბერამდე— 3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ყურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერა აღრესის გამოცვლისათვის ათი შაერი უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებ აზრის ადრესი: Тифлиси, Редакция „Моамбе“.

ყურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საქრობა მითითდეს, ან შემოკლებულ და ან შესწორებულ იქნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელნაწერები, რომლებზედაც არავითარი პიოზა არ იქმნება აღწერული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასონი.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღწერული უნდა იყოს უუკველად ის პერიოდიული გამოცემი ან, საზოგადოდ, ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ყურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ოლი ეგზემპლიარი უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირ-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმოზრინებსადა. სთხოვს ყველა ხელის მოწერთ, რომელთაც კი უზრუნავის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომელიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესადა ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი  
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი  
ალექსანდრე ჭაბაძარი